

მანანა ხოვერიკი

უხრობი

მიხილ ჯავახიშვილი

(1924 წლის აჯანყების 100 წლისთავისთვის)

შესრულდა ნება ხალხისა მიხილ ჯავახიშვილი

არ მახსოვს ტროცკი-ზინოვიე-
 ჯგუფზე უფრო მძაფრი და უფ-
 აღმაშფოთებელი მაგალითი
 ირობის და ვერაგობისა. ისანი
 ცელზე ხოხვით შევიდნენ ხელ-
 და პარტიაში, რათა შიგნიდან და-
 ღვიათ იგი და ბელადების დახოც-
 თ მიეღწიათ თავიანთი ბნელი მ.წ.
 ისათვის, რომელიც ისევ კუპუი-
 ა და წვრილფეხა, როგორც მისი
 ვტორები. არავითარი იდეა, არაუი-
 თარი პროგრამა, გარდა პირადული
 ცუდმედიდობისა — განა ამაზე უფ-
 რო მეტად დაკნინება კიდევ შეი-
 ძლება? გამეტება უდიდესი ადამი-
 ნის სტალინისა და მისი მახლობელი
 თანამშრომლებისა — განა ამაზე
 უფრო საზიზლარი მზაკვრობა კიდევ
 წარმოსადგენია? ეს ბანდა ნაძირალ
 ავაჯაკებად იქცა და თავის ზვედრი
 დაიმსახურა: ვინც ჩვენი სტალინი
 არ დაინდო, თვითონ ისიც არ არის
 დასანდობელი. ხალხის რიხხვა გა-
 ნუწომელია და შესრულოდეს ნება
 მისი!

ჯავახიშვილი მიხეილი კი აჩვენებს:
 • ხომერიკთან. ხანგრძლივი ბაასის შემდეგ მე გამოვარკვიე, რა
 მთელი მისი გეგმა (შეიარაღებული მზადებისა) დამყარებული იყ
 ანტანტის აქტიურ დახმარებაზე. სურვილი მქონდა უფრო დანამდ
 ვილებით გამეგო, არის თუ არა რომელიმე სახელმწიფოს მხრი
 რწმუნება აქტიური დახმარების შესახებ, და ამისთვის ხომერიკს მი
 ვეცი ამისდა შესაფერი კითხვა. ამაზე ხომერიკმა სთქვა, — „დახმარე-
 ბა იქნება“ და, რომ თავისი სიტყვები დაედასტურებინა, დაუმა
 რომ მოკლე ხანში საზღვარგარეთიდან ველოდ მანანა
 ათას რევოლუერს.“

მანანა სომერიკი • უცნობი მიხეილ ჯავახიშვილი



„გომთსხელოა პრესი“

თბილისი
2024

მანანა ხომერიკი



უცნობი

მიხეილ ჯავახიშვილი

(1924 წლის აჯანყების 100 წლისთავისთვის)

დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი თავის ჭეშმარიტ მრწამსს ნაწარმოებებში გამოხატავდა, ხოლო პირად ცხოვრებაში კომპრომისებზე წასვლა უხდებოდა. არაობიექტური პუბლიკაციების წყალობით, საზოგადოება სრულიად მოუმიზადებელი აღმოჩნდა მის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოსასმენად, რომელიც არ თავსდება ღმერთკაცის მოდელში. მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფები წლების მანძილზე ჩქმალავდნენ მის წვლილს 1924 წლის აჯანყების დამარცხებასა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაციაში, სხდომებზე გამოსვლებს ხელისუფლების მიერ განირული ადამიანების წინააღმდეგ, მის საგაზეთო პუბლიკაციებს, რომლებშიც იმათ სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, ვინც „სტალინი არ დაინდო“, მის მონმედ გამოსვლას 1925 წლის სასამართლო პროცესზე, რომელზედაც მის ყოფილ თანამებრძოლებს, აჯანყების მონყობის მცდელობის გამო ასამართლებდნენ, ცალმხრივად აშუქებდნენ ზოგიერთ ეპიზოდს მწერლის ცხოვრებიდან, შეუწყნარებლობას იჩენდნენ სხვათა მიმართ. მოხდა უპრეცედენტო რამ: მ. ჯავახიშვილის ოჯახის წევრებმა მწერლის მიერ 1937 წელს, დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე, საკუთარი ხელით დაწერილ განცხადებაში დასახელებული 50-ზე მეტი კაცი – მის დამსახელებლებად გამოაცხადეს. მე კი, ვინც საარქივო მასალებს ზედმინევნით ვიცნობდი, გაჩუმების უფლება აღარ მქონდა, რამეთუ უსამართლობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.

ამჟამად, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა თავად გადახედოს დიდი მწერლის მიერ განვლილ ცხოვრების გზას. აქვე აღვნიშნავ, რომ მისი შემოქმედების კვლევა ჩემი მიზანი არ ყოფილა. როგორც არ უნდა იყოს მწარე სინამდვილე, მიხეილ ჯავახიშვილი მაინც დარჩება დიდ მწერლად და საბჭოური რეჟიმის მსხვერპლად.

მანანა ხომერიკი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
„იმერეთის მეფეთა შთამომავლების საზოგადოების“ ნამდვილი წევრი
ქიოსისა და ოინუსისის (საბერძნეთი) საპატიო მოქალაქე
6 აგვისტო, 2024

წიგნი უძღვნიება მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დასმენილი და
1924 წელს დახეუტვილი ნაე ხამეჩიკის ხსენას



დამოუკიდებელი საქართველოს მინათმომადების
ყოფილი მინისტრი ნოე ხომარიკი (1883-1924)

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.
1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტზე.
პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომისიის დამფუძნებელი მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად.
დახვრიტეს 1924 წელს.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	8
თავი I. მიხეილ ჯავახიშვილის გვარის დადგენის საკითხისათვის.....	11
I.1. მწერლის წინაპრები.....	11
I.2. თავადობის სინდრომი.....	34
დანართი №1. ბორჩალოელი ჯავახოვები.....	40
თავი II. 1900-იანი და 1910-იანი წლები.....	45
II. 1. ილიას საყვედური.....	45
II.2. გაზეთ „გლეხის“ რედაქტორობის საკითხი.....	46
II.3. დემოკრატია ხალხის ჩარევის გარეშე.....	50
II.4. მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმი (1910 წ.).....	52
II. 5. მიხეილ ჯავახიშვილი და დვოიურა (დორა) რეზნიკი.....	56
II.6. იძულებითი ქორწინება, ანუ „ბედი-მდევენელი“.....	60
II.7. სკანდალი წითელი ჯვრის ქონების ირგვლივ.....	65
თავი III. 1920-იანი წლები.....	67
III.1. „პარიტეტული კომიტეტი“.....	67
III. 2. ნოე ხომერიკის ჩამოსვლა და სამხედრო კომისიის შექმნა.....	71
III.3. მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრება და ჩვენებები.....	77
III.4. მიხეილ ჯავახიშვილი და კალე მისაბიშვილი.....	85
III.5. მიხეილ ჯავახიშვილი და ნოე ხომერიკი.....	94
III. 6. მიხეილ ჯავახიშვილი ჩეკას თავმჯდომარეს გამოძახებას სთხოვს.....	102
III.7. „შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის“.....	104
III.8. „წამებულთა გაცოცხლებული ხმა“.....	108
III. 9. მიხეილ ჯავახიშვილი და სერგო ორჯონიკიძე.....	115
დანართი 2. ზოგი რამ „ჯაყოს ხიზნებისა“ და „ცოფიანის“ შესახებ.....	120
თავი IV. 1930-იანი წლები.....	124
IV. 1. მწერალთა კავშირში.....	124
IV. 2. მიხეილ ჯავახიშვილი და ცისფერყანწელები.....	134

IV. 3. მიხეილ ჯავახიშვილის კონფლიქტები კოლეგებთან.....	136
IV. 4. მიხეილ ჯავახიშვილი – სტალინის აპოლოგეტი?.....	138
IV. 5. მიხეილ ჯავახიშვილი ხელისუფლების მიერ შერისხულთა წინააღმდეგ.....	141
IV. 6. მეტეხის ლეთისმშობლის ტაძრის გადარჩენის დათარიღებისათვის.....	146
თავი V. დასასრულის დასაწყისი.....	148
თავი VI. მიხეილ ჯავახიშვილის ტრაგიკული აღსასრული.....	166
VI.1. მიხეილ ჯავახიშვილის მიერ, დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე, საკუთარი ხელით დაწერილი განცხადება.....	166
VI.2. პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის განცხადების (21. 06. 1937) გარდაუვალი შედეგი.....	177
VI. 3. მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრება, ბერია და მწერლები.....	177
VI.4. მიხეილ ჯავახიშვილის ჩვენება და განცხადებები.....	181
VI.5. საბრალდებო დასკვნა.....	187
დანართი №3. სხვადასხვა წლების რეპრესირებულთა საქმეებს შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.....	192
თავი VII. უსამართლობა მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დასახელებულთა მიმართ.....	194
VII.1. მიხეილ ჯავახიშვილის 12 დამსახელებელი და მის მიერ დასახელებული 51 კაცი.....	194
VII. 2. მიხეილ ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმის გაყალბება რევაზ კვერენჩილაძის მიერ...	195
VII. 3. მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დასახელებული გაუტყუებელი.....	197
დანართი №4. „არა არს დაფარული, რომელ არა განცხადნეს“.....	199
თავი VIII. რეაბილიტაცია.....	202
დანართი №5. მიხეილ ჯავახიშვილი და იაკინთე ლისაშვილი.....	207
დანართი №6. „განცხადება“.....	233
დანართი №7. ბულინგი, უმეცრება და თაღლითობა.....	235

წინასიტყვაობა

დიდი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ ბევრი დანერილა და ინერება, მაგრამ მისი ცხოვრება, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, დღემდე არ არის სრულფასოვნად გამოუქველნი.

მიხეილ ჯავახიშვილი თავის ეპოქის ღვიძლი შვილი იყო. მისი წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების პირუთენელი შესწავლა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ისტორიის უკეთ გაანალიზებას და ოდნავადაც არ მიაყენებს ჩრდილს მწერლის შემოქმედებით მემკვიდრეობას. დღეს, მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში არავინ ცდილობს დიდი მწერლების პიროვნების შელამაზებას. პირიქით, ეძებენ და აქვეყნებენ თუნდაც უმნიშვნელო დეტალებს მათი ცხოვრებიდან. საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს უფრო გასაგებას და ახლობელს ხდის მწერლების შემოქმედებას. ჩვენში კი ჯერ კიდევ ძლიერად არის გამჯდარი საბჭოური შტამპებით აზროვნება, რომლის თანახმად, დიდ მწერალს არავითარი ადამიანური სისუსტე არ უნდა ახასიათებდეს. ასე იქმნება შემოქმედთა ყალბი იმიჯი.

დიდი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის, პიროვნების გაიდევალების მომხრენი მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ისტორიულ ფაქტს, იქნება ეს მწერლის მოღვაწეობა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიაში, თუ სხვა – ერთადერთ არგუმენტს უპირისპირებენ: „მიხეილ ჯავახიშვილი დიდი მწერალია!“ ამ ჭეშმარიტებას არავითარი მტკიცება და დაცვა არ სჭირდება, მაგრამ დროა შევთანხმდეთ, რომ ლიტერატორების კვლევის საგანი ერთია, ისტორიკოსებისა კი – სხვა. ლიტერატორებმა და მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების თაყვანისმცემლებმა უნდა გაითავისონ, რომ ლიტერატურა ისტორიას ვერ გადაფარავს, რის გამოც, არ უნდა გააპროტესტონ ისტორიის კვლევა. მიხეილ ჯავახიშვილს კი, ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში არცთუ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, ხოლო თუ როგორი – ამას მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი მასალა მეტ-ნაკლები სიცხადით დაგვანახებს.

ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ამჟამად „უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი“) მწერალთა კავშირის სხდომათა ოქმების გაცნობის შემდეგ დავინახე, რომ თვით მიხეილ ჯავახიშვილი იძულებული იყო ხოლმე სიტყვით გამოსულიყო თავისი მეგობრების წინააღმდეგ. ერთ-ერთ ასეთ გამოსვლას, რობაქიძის წინააღმდეგ მიმართულს, ქეთევან ჯავახიშვილი იმით ხსნის, რომ მამამისი აიძულეს სხდომაზე სიტყვით გამოსულიყო. ამის საპასუხოდ ვწერდი: „რატომ გამოვრიცხავთ, რომ ჯავახიშვილის წინააღმდეგაც იძულებით გამოჰყავდათ მეგობრები? ცხადია, დიდ მწერალს ბევრი რამ ეპატიება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვები დაუნდობლად და დაუფიქრებლად უნდა მოვთხაროთ, ფეხქვეშ გავთელოთ მათი ადამიანური ღირსება“ [მ. ხომერიკი, „ერთი პუბლიკაციის გამო“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ., 4 აგვისტო].

ეს სიტყვები მკრეხელობად ჩამითვალეს და ჩემი გალანძვაც არ დააყოვნეს, რათა სამუდამოდ დამკარგვოდა სიმართლის სააშკარაოზე გამოტანის სურვილი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სიმართლის ძიებამ ახლა სხვა არქივებსა და ბიბლიოთეკებში მიმიყვანა. პოლიტიკურმა ძვრებმა დიდი ცვლილებები მოიტანა. „ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან, შესაძლებელი გახდა სუკის არქივების ზოგიერთი მასალის გაცნობა“ [რამაზ შიშნიაშვილი, „ბოლოსიტყვაობა“, წიგნში: ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, გვ. 461]. სუკ-ის არქივში სამუშაოდ დაუშვეს რამდენიმე მკვლევარი და ჟურნალისტი. 1990 წლის ზაფხულში, სუკ-მა დააკმაყოფილა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მოთხოვნა, საარქივო მასალებზე სამუშაოდ ჩემი დაშვების შესახებ, რამაც საშუალება მომცა ბევრ საიდუმლოში ჩამეხედა. სამი კვირის განმავლობაში ვმუშაობდი არქივის ცალკე ოთახში, სადაც მხოლოდ ის მასალა შემოჰქონდათ, რომელიც მიმართავში იყო მითითებული. ასე გავეცანი მ. ჯავახიშვილის მიერ 1923 და 1937 წლებში დაწერილ განცხადებებს, მის ჩვენებებს, მის მიერ დასახელებულთა „საქმეებს“, აგრეთვე იმ პირთა ჩვენებებს, რომლებმაც თავის მხრივ, 1937 წელს მ. ჯავახიშვილი დაასახელეს. ასევე, ვიმუშავე საქართველოს ეროვნულ არქივში, სადაც მიხეილ ჯავახიშვილის 1910 წლის დაპატიმრების მასალებ-

ბი და გვარის საკითხი შევისწავლე. გავიდა კიდევ ხანი და სხვა არქივშიც შევალნიე, რომელშიც ადრე, როგორც უპარტიო, ვერ შევდიოდი. ამ არქივს შემდგომში „საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის პოლიტიკურ პარტიათა არქივი“ ეწოდა. დიდძალი საარქივო მასალის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად დავრწმუნდი, რომ ჩემი ადრინდელი ნათქვამი სავსებით სამართლიანი და საკმაოდ რბილიც ყოფილა.

1992 წელს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი და კენჭისსაყრელად დაშვებული იყო „ქეთევან მიხეილის ასული ჯავახიშვილი – პუბლიცისტი – ნიგნისათვის „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“. აღნიშნულ ნაშრომზე ჩემ მიერ უარყოფითი რეცენზიის წარდგენამ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ხელმძღვანელობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ უტყუარი ფაქტების გაბათილება ვერ შეძლეს. იძულებული გახდნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაედინათ და ქ. ჯავახიშვილის ნაშრომი ჩუმად გამოეცვალათ. პრემია მიანიჭეს მის წიგნს „მიხეილ ჯავახიშვილი – ბელეტრისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი“, რომელიც მწერლის შემოქმედებას ეხება და არა ცხოვრებას. ამდენად, იგი ჩემი კვლევის საგანი არ არის და მასზე რეცენზია არ წარმიდგენია. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს ჩემი რეცენზიის სასარგებლოდ. ამაზე უფრო დანვრილებით ქვემოთ.

აქვე მინდა ვახსენო ქ. ჯავახიშვილისა და ე. გენძეხაძის მიერ შედგენილი ნაშრომი „მიხეილ ჯავახიშვილი. ანოტირებული ბიბლიოგრაფია“ [1989]. ამომწურავი ბიბლიოგრაფიის შედგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ პუბლიკაციების გამოტოვება გამიზნულად არ უნდა ხდებოდეს. დასახელებულ ავტორებს კი, მათთვის არასასურველი პუბლიკაციები ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არ აქვთ, ან ანოტაციის მეშვეობით ცვლიან მათ შინაარსს, რაშიც კონკრეტულ მაგალითებზე დავრწმუნდებით.

1996 წელს, ჩემი წიგნი „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“ გამოსაცემად მზად მქონდა, როდესაც გამოქვეყნდა ისტორიკოს ნესტან კირთაძის მონოგრაფია „1924 წლის აჯანყება საქართველოში“. კეთილსინდისიერ მეცნიერულ გამოკვლევას ერთვის დოკუმენტები, რომელთა შორის არის მ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წელს ჩეკასათვის მიცემული რამდენიმე ჩვენება. პროფესორ ნ. კირთაძისგან განსხვავებით, მე 1924 წლის აჯანყებას კი არ ვიკვლევდი, არამედ მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნების – მ. ჯავახიშვილის როლი მაინტერესებდა. ცხადია, მის ჩვენებებს დედანში გავეცანი და გამოსაქვეყნებლად მოვამზადე, მაგრამ რადგან ისინი უკვე ნათარგმნი და გამოქვეყნებული აღმოჩნდა ნ. კირთაძის მონოგრაფიაში, გადავწყვიტე ეს მასალა ჩამერთო ჩემს ნაშრომში. ვერც ნ. კირთაძის არაკეთილმოსურნეებმა და ვერც მიხეილ ჯავახიშვილის ხელშეუხებლობის მომხრეებმა ამ დოკუმენტების გაბათილება ვერ შეძლეს. დრო მიდის და სიახლეები მოაქვს. საზოგადოება სულ უფრო ეჩვევა სიმართლის გაცნობიერებას. თუ ადრე მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ ცალმხრივად ინერებოდა და ისტორია ყალბდებოდა, XXI საუკუნეში ნელ-ნელა გამოჩნდა სიმართლის ამსახველი ნაშრომები, რომელთაგან დავასახელებ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ, პროფესორ შოთა ვადაჭკორიას ნაშრომს „შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის 1924“. ისიც აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარად არის გამჯდარი ის ილუზიები და მითები, რომლებიც არაკეთილსინდისიერი მკვლევრების ძალისხმევით ვრცელდებოდა. გარდა ამისა, საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს ებადებათ ბუნებრივი კითხვა: „თუ მიხეილ ჯავახიშვილი კომპრომისებზე მიდიოდა, მაშინ რატომ დახვრიტეს?“ გადარჩენის გარანტიას იმ წლებში კომპრომისებიც კი არ იძლეოდა. მაშინდელი ტერორი ლოგიკის არავითარ კანონებს არ ექვემდებარებოდა: უპარტიოების გვერდით ხვრეტდნენ პარტიულ ხელმძღვანელებს, ათასობით უდანაშაულო, პატიოსანი ადამიანის გვერდით – ზოგიერთ ჯალათს, რომელსაც ხელები სხვების სისხლში ჰქონდა გასვრილი. ამდენად, მ. ჯავახიშვილის დახვრეტის ფაქტი არ გამოდგება იმის საბუთად, რომ მწერალი არ ღალატობდა თავის პრინციპებს.

დიდი მწერლის შესახებ გამოქვეყნებულ ჩემს ბოლო წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური

დოკუმენტების ფონზე“ [თბ., 2008], საკმაოზე მეტი ადგილი დავუთმე კამათს გიორგი ციციშვილთან, რაც წინამდებარე ნაშრომში საგრძნობლად შევამცირე, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ ამოვშალე. ეს ის ავტორია, რომელიც 1924 წლის აჯანყების მომზადებაში მონაწილე გამირებს ექსტრემისტ-ავანტურისტებს უწოდებდა, ჯალათი კიროვის გარდაცვალებას მისტიროდა, კულაკების, მენშევიკების, აჯანყების ყოფილი მონაწილეების პარტიაში შეღწევას აპროტესტებდა. მის შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორებმა, 2005 წლის 7 მარტს წერილობით განაცხადეს: „ჩვენ ველარ განვიხილავთ გ. ციციშვილს მოკამათე მეცნიერულ მხარედ და სრულიად შეუძლებლად მიგვაჩნია მასთან რაიმე სახის ოპონირების გაგრძელება“. მეც ამ მოსაზრებას ვიზიარებ.

ფრიდრიხ ნიცშეს მიაჩნდა, რომ ჭეშმარიტების შემეცნებას მივყავართ ილუზიების, შეცდომების, ფიქციების განადგურებასთან, რომლებიც სიცოცხლის შემადგენელი ნაწილია, რამეთუ თავად სიცოცხლეს სწადია მოჩვენებითობა. აქედან გამომდინარე, ჩემი ნაშრომის გაცნობა ილუზიების დაკარგვის ტკივილს გამოიწვევს. რა გაეწყობა! ზოგჯერ იძულებული ვართ მწარე სინამდვილეს გავუსწოროთ თვალი. სამართლიანობის აღდგენის მიზნით, თავი მოვუყარე იმ მნიშვნელოვან ფაქტებს და დოკუმენტებს, რომელთა დიდი ნაწილი უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ჩემთვის ამ ნაშრომის გამოქვეყნება, მიმაჩნია, რომ 1924 წლის აჯანყებიდან, თუნდაც, 100 წლის შემდეგ მაინც უნდა ითქვას სიმართლე, რამეთუ არც ერთი ნიჭიერი შემოქმედის ავტორიტეტი არ დგას საქართველოს ბედ-იღბალზე მაღლა. „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

თავი I. მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარის დადგენის საკითხისათვის

„ჩემი წინაპარი ტოკლიკიშვილი იყო“.
მიხეილ ჯავახიშვილი

I.1. მწერლის წინაპრები

დიდი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილი, ქეთევან ჯავახიშვილი, თავის ნაშრომში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ [1984], თავისი გვარის შესახებ მის ხელთ არსებულ მთელ მასალას აცნობს მკითხველს. მართალია, ამ საკითხზე მისი ცოდნა საკმაოდ შეზღუდულია, მაგრამ მაინც ღირებულ ინფორმაციას იძლევა კვლევისათვის. მწერლის უმცროს ქალიშვილს, რუსუდან ჯავახიშვილს კი, არც კვლევით შეუწუხებია თავი და არც მნიშვნობარი დის ნაშრომში ჩაუხედავს. მისთვის მთავარი იყო როგორმე დაემტკიცებინა, რომ დიდი მწერალი თავადი იყო. ამ მიზნის მისაღწევად ის ისტორიული სინამდვილის დამახინჯებასაც არ მოერიდა, რამაც გადამანყვეტინა საფუძვლიანი კვლევა ჩამეტარებინა. უტყუარ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით დავადგინე, რომ მ. ჯავახიშვილის ნამდვილი გვარი იყო ტოკლიკიშვილი, რაც აისახა ჩემს ნარკვევში „ფესვები“ [2003 წ.]. ქ. ჯავახიშვილი თავის მოგონებებში სწორად წერს: „მიხეილის მამა, საბა წარმოშობით ქიზიყელი იყო. იგი დაიბადა 1842 წელს, 2 თებერვალს, სოფელ ზემო მაჩხაანში... საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში დაცულ სიღნაღის მაზრის, სოფელ ზემო-მაჩხაანის საეკლესიო მეტრიკული წიგნით დასტურდება, რომ საბას მშობლები იყვნენ: მამა – ადამ არსენის ძე ტოკლიკიშვილი, დედა – მელანია ივანეს ასული. შემდგომ, როდესაც საბა მიატოვებს თავის სოფელს და ბორჩალოს მაზრაში დასახლდება, ის ადამაშვილის გვარით ცხოვრობს“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1984, გვ. 17]. ამ ცნობაზე დაყრდნობით, ბევრი ახალი საარქივო დოკუმენტი მოვიძიე. აქვე აღვნიშნავ, რომ ქ. ჯავახიშვილი არსად არ ახსენებს ისტორიკოს მაქსიმე ბერძნიშვილის შემდეგ ცნობას: „მიხეილ ესტატეს ძე ჯავახიშვილს, „მეტსახელად „პრუნუნეს“... თავის მოახლისაგან ადამაშვილის ქალისაგან ეყოლა შვილი, რომლის ჩამომავალია ჩვენი მწერალი მიხეილ ადამაშვილი-ჯავახიშვილი“ [მ. ბერძნიშვილი, „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის, წ. II, თბ., 1983, გვ. 266]. **ეს ნაშრომი ქ. ჯავახიშვილისა და ე. გენძეხაძის მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაში შეტანილიც არ არის.** ცნობილი მკვლევრის, მ. ბერძნიშვილის ზემოთ მოყვანილი ცნობა სარწმუნოდ არც მე მიმაჩნია. როგორ უნდა მოსვლოდა მას ასეთი შეცდომა? ის ხომ შესანიშნავად იცნობდა საარქივო დოკუმენტებს. როგორც გაირკვა, ეს ცნობა არქივში არ ჰქონია მიკვლეული. 1950 წელს მას ივანე ჯავახიშვილის ძმის, პროფესორ გიორგი (ჟორჟიკა) ჯავახიშვილისაგან, მოუპოვებია ჩანაწერი, რომელშიც არ არის მითითებული დასახელებული პირების დაბადების თარიღები. არ ჩანს, თუ რამდენი თაობა და რამდენი წელი ამორებს ერთმანეთისგან ორ მიხეილ ჯავახიშვილს. რა ერქვათ მწერლის მამას ან პაპას? – ამაზე ჩანაწერი არაფერს გვეუბნება. საერთოდ დაკარგულია ტოკლიკიშვილის გვარი, რომელსაც თავად მიხეილ ჯავახიშვილი და მისი ქალიშვილები ასახელებენ. ცხადია, რომ გიორგი ჯავახიშვილისათვის ცნობილი იყო ორი უტყუარი ფაქტი: 1. მის საგვარეულოში, მიხეილ ესტატეს ძე ჯავახიშვილს მოახლე ადამაშვილის ქალისგან შვილი შეეძინა. 2. მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ ადამაშვილის გვარით იყო ცნობილი, შემდეგ ჯავახიშვილ-ადამაშვილისა და ჯავახიშვილის. პროფესორმა გ. ჯავახიშვილმა ეს ორი ფაქტი ერთმანეთს დაუკავშირა. მან არ იცოდა, რომ „ადამაშვილი“ შერქმეული გვარი იყო. მწერლის მამამ, საბა ტოკლიკიშვილმა, მას შემდეგ რაც მშობლიური სოფელი მიატოვა, თავისი მამის, ადამას სახელის მიხედვით, ადამაშვილის გვარით განაგრძო ცხოვრება. ჩემი მხრივ, ცნობილ გენეალოგ იური ჩიქოვანის მიერ შედგენილ ნუსხებზე დაყრდნობით განვმარტავ, რომ გ. ჯავახიშვილის ჩანაწერში ნახსენები ესტატე – თეიმურაზის ძეა და მისი ახლო ნათესავი არ არის. ივანე და გიორგი ჯავახიშვილებს ჰყავდათ გაცილებით ახლობელი ნათესავი – ესტატე ნიკოლოზის ძე, რომელსაც ჰყავდა

ვაჟი, მიხეილი, დაბადებული 1879 წელს (მწერალ მიხეილ ჯავახიშვილზე ერთი წლით უფროსი). გასაგებია, რომ გიორგი ჯავახიშვილი ვერ მიაღწევნებდა თვალყურს თავისი არცთუ ძალიან ახლობელი ნათესავისა და მოახლე ქალის უკანონო შვილს, რომლის სახელიც არ იცოდა და რომელსაც საკუთარმა მამამ გვარიც კი არ მისცა. თავადის წოდებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

გ. ჯავახიშვილისა და მ. ბერძნიშვილის ვერსია მწერალ მ. ჯავახიშვილის და მისი ოჯახის წევრების მონათხრობითაც არ დასტურდება. გ. ჯავახიშვილი ისტორიკოსი არ ყოფილა, ხოლო მის ძმას, ცნობილ ისტორიკოს ივანე ჯავახიშვილს მწერალთან ნათესაობა არ უხსენებია. პირიქით, როგორც ისტორიკოსმა, პროფესორმა კოტე ჩოლოყაშვილმა გადმოცა, ივანე ჯავახიშვილს მისთვის უთქვამს, ვინ არ მოდის ჩემთან, ვინ რას არ მეკითხება, მიხეილ ჯავახიშვილი კი არასდროს მოსულაო. რასაკვირველია, მკითხველს შეუძლია ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია სარწმუნოდ არ მიიჩნიოს. შევეცდები მწერლის ოჯახის ისტორია დოკუმენტებზე დაყრდნობით გაგაცნოთ.

ქ. ჯავახიშვილი ალექსანდრე გომიაშვილის მოგონებას გვაცნობს. 1937 წელს, დიდ მწერალს ა. გომიაშვილისთვის და გიორგი შატერაშვილისთვის თავისი სიზმარი მოუყოლია. მას სიზმრად გრიგოლ ორბელიანი უნახავს, რომელსაც მისთვის დაუძახია: „ეი, ტოკლიკიშვილო, მოდი აქ“. მ. ჯავახიშვილის მსმენელებს ვერაფერი გაუგიათ და უკითხავთ: „ვინ ტოკლიკიშვილი, ბატონო მიხეილ?“ მწერალს უპასუხია: „ჩემი წინაპარი ტოკლიკიშვილი იყო“. მას მოუყოლია: „ჩემი ნამდვილი წინაპრები ჯავახიშვილები არიან. ჩემს წინაპარს, ვინმე ჯავახიშვილს ქართლში კაცი შემოკვდომია, იქიდან გამოქცეულა, ქიზიყში გადასულა და იქაური გვარი ტოკლიკიშვილი აუღია. შემდეგ, ბორჩალოში რომ გადმოვედით, იქ ადამაშვილის გვართ ვცხოვრობდით. პაპაჩემი ხომ ადამა იყო და გვარად ადამაშვილი ავიღეთ. მე ალვადგინე და დავიბრუნე ჩვენი გვარი“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ, 1984, გვ. 18]. საარქივო მასალებში მივაკვლიე ქიზიყში, სოფელ ზემო-მარხაანში მცხოვრებ არსენ ტოკლიკიშვილს, მის ვაჟს – ადამას და შვილიშვილს – საბას, რომელიც შემდეგ ადამაშვილი გამხდარა, მაგრამ კვლავ სახაზინო გლეხად დარჩენილა. 1909 წელს მისმა შვილებმა გვარი ჯავახიშვილად გადაიკეთეს. ცხადია, მათ ისევ გლეხის წოდება ჰქონდათ, როგორც ეს დოკუმენტებიდან ჩანს. ასე მაგალითად, 1913 წლის 30 აპრილით დათარიღებულ საიდუმლო დოკუმენტში მწერალი იხსენიება, როგორც ბორჩალოს მაზრის, სოფელ სიონის გლეხი მიხეილ საბას ძე ჯავახოვი (ადამაშვილი) [სეა, ფ. 17, ან. 2, ს. 1184, გვ. 24]. ამ საკითხზე არც გავამახვილებდი ყურადღებას, რომ არა ისტორიის დამახინჯების მცდელობა მწერლის ოჯახის წევრების მხრიდან. მწერლის ქალიშვილი რუსუდან ჯავახიშვილი იმეორებს რა მამის მონაყოლს ქართლიდან გადმოხვენილ ჯავახიშვილზე, თავად ჯავახიშვილებს მწერლის წინაპრებად ასალებს. ამასთან, განმარტავს: „რუსეთთან შეერთების შემდეგ, ჯავახიშვილები წვრილ აზნაურებად გადაიქცნენ“. ეს განმარტებაც არ შეესაბამება სიმართლეს. თავადი ჯავახიშვილები თავადებად დარჩნენ. ყოველი მათგანის სახელი, მცირეწლოვანი ბავშვების ჩათვლით, შეტანილია 1850 წელს პეტერბურგში დასტამბულ ქართველ თავადთა და აზნაურთა ნუსხებში. მ. ჯავახიშვილის წინაპრები ამ ნუსხებში შეყვანილი არ არიან, რადგან თავადაზნაურობას არ ეკუთვნოდნენ, რაც მთელი პასუხისმგებლობით დამიდასტურა საქართველოს გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ, ბ-ნმა იური ჩიქოვანმა. თავადი ჯავახიშვილები დაფიქსირებული არიან, აგრეთვე, 1892 წელს გამოქვეყნებულ ცნობარში „რუსეთის იმპერიის ტიტულოვანი გვარები და პირები“. ეს შტო ხოვლედან იყო. ქართლში, აზნაური ჯავახიშვილები, ძირითადად, სოფელ ძევერაში ცხოვრობდნენ. აქედან იყო 1924 წლის აჯანყების გამო გასამართლებული, ცნობილი ექიმი დიმიტრი ჯავახიშვილი, რომელიც სოფ. ძევერაში დაიბადა. ქართლელი ჯავახიშვილები, უმეტესად, გლეხები იყვნენ, ისევე როგორც ქიზიყელი ჯავახიშვილები. აი, რამდენიმე მაგალითი: „სასძლოს მხრით თავსმდებნი გლეხნი მიხეილ გიორგის ძე ჯავახიშვილი ...“ (სოფ. სასირეთი) [ფ.489, ან. 6, ს. 879 – 1851 წელი]. „სასძლოს მხრით მალრანს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი დიმიტრი იოსების ძე ჯავახიშვილი“ [ფ. 489, ან. 6, ს. 273 -1836 წელი]. „კურდღელაურს მცხოვრები საბატონო ყმა ისაკა ჯავახისშვილი“ [ფ.489, ან. 6, ს. 142 – 1831 წელი]. წვრილ აზნაურებად ისინი არც რუსეთთან შეერთების შემდეგ გადაქცეულან და

არც იქამდე ყოფილან. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1721 წელს შედგენილ სტატისტიკურ აღწერილობაში ქართლელი ყმა ჯავახიშვილები გვხვდება: „დედოფლის ყმები წინწყაროში – ჯავახიშვილი ბაინდურა, ჯავახიშვილი მარქარა, ფარემუზიშვილის ბეჟანის ყმა ბოგვს: ჯავახიშვილი ამირანა, ელიარაშვილის დავითისა და ურქმაზასი შაქარს – ჯავახიშვილი რამაზა, ალიხანაშვილის ბეჟანასი სალარველას – ჯავახიშვილი ბაბა, იეგულაშვილის დათუასი აკანთს – ჯავახიშვილი ათუა, უშეკანს – ჯავახიშვილი ამირხანა“ [ვახუშტი ბატონიშვილი, „მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მე-18 საუკუნეში, თბ., 1907, გვ. გვ. 101, 102, 152, 246, 277, 284, 391]. ამას ემატება ბორჩალოს მაზრაში მცხოვრები ჯავახოვები, რომლებიც ეროვნებით ბერძნები არიან, როგორც ეს კამერალურ აღწერებშია დაფიქსირებული და როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

ხოვლელი თავადი გახლდათ დიდი ივანე ჯავახიშვილი. მისი დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით, ჟურნალ „არტანუჯში“ გამოქვეყნდა ბ-ნი იური ჩიქოვანის მიერ შედგენილი ჯავახიშვილების თავადაურ შტოთა ტაბულები [ი. ჩიქოვანი, „ჯავახიშვილთა გენეალოგიური ტაბულა“, ჟურნ. „არტანუჯი“ 1997, №6]. რ. ჯავახიშვილმა კი, მათ თავისი არაკომპეტენტურობით თავადობა ჩამოართვა და საკუთარ პაპას უბოძა. მისი განცხადება მართლაც სენსაციურია: „დავძენ, რომ სწორედ ჯავახ თორელის შთამომავალი ჯავახიშვილები წვრილ აზნაურებად გადაიქცნენ, მაშინ **საბა ადამას ძე ადამაშვილი (მიხეილის მამა) როგორი წარმომავლობის უნდა ყოფილიყო, რომ თვით-შერქმეული გვართაც კი თავადიშვილად დარჩა**“ [მაკა ჯავახიშვილი, „როგორ აღმოჩნდა სოფელი სიონი მიხეილ ჯავახიშვილის მამის საბა ადამაშვილის საკუთრებაში (ინტერვიუ რუსუდან ჯავახიშვილთან), ჟურნ. „თბილისელები“, 2003, №1]. „თავადი ადამაშვილი“ არარსებული ცნებაა, რაც რ. ჯავახიშვილმა არ იცოდა.

რუსუდან ჯავახიშვილი არ იცნობდა არა მხოლოდ საკუთარ გენეალოგიას, არამედ ისტორიულ პროცესებს. „თვითშერქმეული“ გვართ ვერავინ „დარჩებოდა“ თავადიშვილად. XIX ს-ში ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში შექმნილი იყო სპეციალური კომისიები, რომლებიც ქართველი მეფეების მიერ გაცემული ძველი სიგელებისა და აგრეთვე, მონუმენტების საშუალებით, ადგენდნენ ამა თუ იმ პირის თავადაზნაურული საგვარეულოებებისადმი კუთვნილებას. 1846 წლის 30 მარტის ბრძანებულების საფუძველზე, სტამბურად გამოიცა ტფილისის კომისიის ინსტრუქცია თავადური და აზნაურული ღირსების განხილვისათვის «Инструкция Тифлисской Комиссии для разсмотрения прав лиц на княжеское и дворянское достоинство по Грузии» [სეა, ფ. 26, ან. 2 ს. 566]. ინსტრუქცია 56 პუნქტისაგან შედგებოდა. პუნქტებში ქვეპუნქტებიც შედიოდა. საგანგებოდ უნდა ყოფილიყო გამორკვეული, მოცემული პირი ხომ არ ეწეოდა თავადისათვის შეუფერებელ საქმიანობას, ან წინაპართაგან ხომ არავინ ჰყოლია მოხარკე. ამის მაგალითად გამოდგება მონმის, თავად ქაიხოსრო ბაგრატიის ძე ბაგრატიონ მუხრანსკის მიერ პავლე ჯავახიშვილისათვის მიცემული მონმობა: „არც დეკანოზს პავლე ჯავახოვს და არც ძეთა მისთა არა ვითარიმე ხარჯი არა უძლევიათრა და ყოველთვის ნოდებულ არიან თავადობით და არც არა ვისგანმე გამიგონია რომა წინაპართა მათსა ოდესმე ყოფილიყოს ვინმე ხარჯის მძლეველთა შორის...“ [სეა ფ. 213, ან.1, ს.272]. თავადობის დამადასტურებელ მსგავს დოკუმენტებს საბა ადამას ძე ვერ წარადგენდა.

რუსუდან ჯავახიშვილი წერს: „ჩნდება ორი ვერსია: ზემო მაჩხაანში გამოქცეული ჯავახიშვილი ან ადამას (მიხეილის პაპა) მამაა, ან თავად ადამია, რომელმაც მისივე მეუღლის გვარი, ტოკლიკიშვილი აიღო“ [მაკა ჯავახიშვილი, (ინტერვიუ რუსუდან ჯავახიშვილთან), ჟურნ. „თბილისელები“, 2003, №1]. ქ. ჯავახიშვილის წიგნიდან ვიცით, რომ ადამ არსენის ძის მეუღლეს – მელანია რქმევია. რ. ჯავახიშვილი მელანიას ტოკლიკიშვილად ასაღებს, ადამას კი თავად ჯავახიშვილად, რომელიც, ვითომდა, ცოლის გვარზე გადავიდა. ჩემ მიერ გამოვლენილი დოკუმენტები ამ ვერსიას აბათილებენ. ადამა ნამდვილი ტოკლიკიშვილი იყო, მელანია კი – ბოსტოლანაშვილი. 1834 წლის 14 იანვარს „ზემო მაჩხაანშივე მცხოვრებელმა სახელმწიფო ყმამ ტოკლიკიშვილმა ადამიმ არსენის ძემ უცოლომ იქორწინა მისივე სოფელში მცხოვრებლის სახელმწიფო ყმის ბოსტოლანაშვილ ნინიას ქალწულ ქალს მელანიაზე“ [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 213] (სურ.№1).

არც არსენა და არც ადამა ქიზიყში ქართლიდან გადმოსულები არ ყოფილან.

დავინწყით არსენასგან. 1804 წლის კამერალური აღწერა ნათლად გვიჩვენებს, რომ ის ადგილობრივი მაცხოვრებელია. ის რომ საიდანმე ყოფილიყო ჩამოსული, ეს კამერალურ აღწერაში აღნიშნული იქნებოდა. იმავე კამერალური აღწერიდან ვიგებთ მის ქონებრივ მდგომარეობას: არსენას ჰქონია ერთი დღის სახნავი მიწა და ბალი (ვენახი), საიდანაც 40 ვედრო ღვინოს იღებდა [სეა, ფ. 254, ან.1, ს.75, გვ.54ა] (სურ.№2).

ახლა კი ადამა მოვიძიოთ. მას მძლავრად ჰქონდა გადგმული ფესვები მშობლიურ სოფელ მაჩხაანში. ჰყავდა ოთხი ძმა და ერთი და, ცხადია, ტოკლიკიშვილები. ისინი შეყვანილი არიან სოფელ მაჩხაანის 1832 წლის კამერალურ აღწერაში. იმ დროისთვის, არსენა ცოცხალი აღარ იყო. ძმები ტოკლიკიშვილები: სოლომონ – 30 წლის, ადამ – 22 წლის, გლახა – 12 წლის, გრიგოლ – 10 წლის, დავით – 7 წლის, მათი და ნინა – 15 წლის, დედა ელისაბედი – 50 წლის [სეა, ფ. 254, ან.1, ს. 1326] (სურ.№3).

ზემოჩამოთვლილი ახალგაზრდები რომ არსენას შვილები არიან, ეს სხვა წლების კამერალური აღწერებიდან ჩანს. 1860 წლის ნუსხებში შეყვანილი არიან:

„45. ადამ არსენას ძე ტოკლიკიშვილი 45 წლის, მისი ვაჟიშვილი საბა – 18 წლის...“

46. გრიგოლ არსენას ძე ტოკლიკიშვილი...

47. გლახა არსენას ძე ტოკლიკიშვილი...

50. სოლომონ არსენას ძე ტოკლიკიშვილი...“ [სეა, ფ. 254, ან.2, ს.247, გვ.147ა].

ეს უახლოესი ნათესავები, მათ შორის მამა-შვილი ადამ და საბა ტოკლიკიშვილები, 1842 წელსაც არიან დაფიქსირებული. მაშინ საბა სულ ოთხი თვის ყოფილა [სეა ფ. 254, ან.1, ს.1933, გვ. 450].

ამრიგად, არსენა და ადამა ქართლიდან გამოქცეული ჯავახიშვილები კი არა, მაჩხაანელი ტოკლიკიშვილები იყვნენ, ხოლო მათ თავადობაზე საუბარი ხომ არასერიოზულია. ადამას და მელანიას რამდენიმე შვილი ჰყავდათ და არა „ორი ვაჟიშვილი“ როგორც მათ უშუალო შთამომავლებს ჰგონიათ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ, 1984, გვ. 19]. ჩემ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ 1836 წლის 15 დეკემბერს, მაჩხაანში „მცხოვრებელს სახაზინო ყმას ტოკლიკიშვილი არსენას ძე ადამასა და სჯულიერსა ცოლსა მისსა მელანია ივანეს ქალსა თანა დაებადა ქალი – ტასია...“ [სეა, ფ.489, ან.6, ს. 269] (სურ. №4). ეს სახელი დღემდე ჟღერს ამ ოჯახის შთამომავლებში, თუმცა მათ ჩემგან განსხვავებით, ამის მიზეზი არ იციან. თავისი დის სახელი დაარქვა შემდგომ საბა ტოკლიკიშვილ-ადამაშვილმა თავის ქალიშვილს, ტასოს (მიხეილის დას), ხოლო საბას ვაჟიშვილმა – ფრიდონ ტოკლიკიშვილმა, იმავე ჯავახიშვილმა, ტასო თავის ქალიშვილს უწოდა.

1840 წელს ადამს და მელანიას უფროსი ვაჟიშვილი – სვიმონი შეეძინათ: „სახელი დაბადებულთა – სვიმონ [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 380] (სურ. №5).

1842 წელს მათ შეეძინათ საბა (მიხეილ ჯავახიშვილის მამა), რის შესახებაც ქ. ჯავახიშვილმა გვამცნო, მე კი საარქივო ჩანაწერი მოვძებნე [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 458] (სურ. №6), რაც აცამტყვერებს მ. ბერძნიშვილის მიერ ჩანწერილ ვერსიას მოახლე ადამაშვილის ქალის შესახებ.

1845 წელს ადამსა და მელანოს ეყოლათ ვაჟი, რომელსაც არსენა დაარქვეს, მაგრამ ბავშვმა მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა. 1846 წლის მეტრიკული წიგნის გრაფაში „წოდება, სახელი და გვარი გარდაცვალებულთა“ არის შემდეგი ჩანაწერი: „ამავე სოფელში მცხოვრებლის ადამ ტოკლიკისშვილის ძე არსენ მოკვდა“ [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 609] (სურ. №7).

1848 წელს გაჩნდა პარასკევა ტოკლიკიშვილი. მშობლები: „სოფელს ზემო მაჩხაანში მცხოვრებელი სახაზინო ყმა ადამ ძე არსენისა ტოკლიკიშვილი და სჯულიერი ცოლი ამისი მელანია ნინიას ქალი, ორნივე მართლმადიდებელთ სარწმუნოებისა“ [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 717] (სურ. №8).

1852 წლის მაისში ადამას და მელანოს კიდევ ერთი ვაჟიშვილი ეყოლათ, რომელსაც ილია დაარქვეს. მეტრიკული წიგნის მშობლების გრაფაში ვკითხულობთ: „ამავე სოფელში მცხოვრებელი სახაზინო გლეხი ადამ არსენის ძე ტოკლიკიშვილი და სჯულიერი ცოლი მისი მელანია ივანეს ქალი,

ორნივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისანი“ [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 940] (სურ. №9).

ქ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს: „საბას მამას, ადამას, საკმაო კარგი სახლ-კარი გააჩნდა, სოფლის კვალობაზე, მას ღონიერი ოჯახი ჰქონდა, მაგრამ ბედი არა სწყალობდა. ცოლი ადრე გარდაეცვალა და ოჯახის გაძღოლა და დაობლებული ორი ვაჟიშვილის აღზრდა მას დააწვა. ის მკაცრი ხასიათის კაცი ყოფილა. მისი უფროსი ვაჟიშვილი საბა კი არა ჰგავდა მამას... დედის სიკვდილის შემდეგ, ოჯახში, მამა-შვილს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. ისინი ხასიათებით ვერ ეგუებოდნენ ერთმანეთს“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ, 1984, გვ. 19]. ბოლოს, საბამ რამდენიმე მეგობართან ერთად, სოფლიდან გაქცევა გადაწყვიტა. ახალგაზრდები იმ დღისათვის ჩუმჩუმად ემზადებოდნენ. საბას მისი ძმა „სანდროც“ თან მიჰყვებოდა.

სანდროს ბედი „მოგონებებში“ აღარ ჩანს. ზეპირსიტყვიერი ცნობების საფუძველზე დავადგინე, რომ საბას უმცროს ძმას მიშა ერქვა და არა სანდრო. საბასთან ერთად გაქცევის შემდეგ, რომ წამოიზარდა, ოფრეთელი ბერძენი ქალი შეურთავს და საცხოვრებლად იქვე დარჩენილა. მწერლისთვის მისი სახელი დაურქმევიათ, მაგრამ შემდეგ, ძმათა ოჯახის წევრებმა ერთმანეთი დაკარგეს. მ. ჯავახიშვილის ქალიშვილებმა მწერლის ალალი ბიძის ნამდვილი სახელიც კი არ იცოდნენ. სანდროს, იმავე მიშას, შესახებ წერილობითი ცნობა არ გამაჩნია, მაგრამ ის საბას ერთადერთი ძმა არ ყოფილა. როგორც უტყუარი საარქივო მასალებით დავადგინე, საბას მის გარდა, დებიც ჰყავდა და ძმებიც. ისინი მწერლის მამიდები და ბიძები იყვნენ, მაგრამ მათი არსებობა მისი ოჯახის წევრებისათვის დღემდე უცნობია.

საბა ტოკლიკიშვილის უმცროსი ძმის – სანდროს, თუ მიშას, დაბადების ჩანაწერი ვერ მოვიძიე, რადგან მეტრიკული წიგნები ნაკლულია. ასევე არ ჩანს, თუ როდის გარდაიცვალა საბას დედა მელანო და იყო კი გარდაცვლილი იმ დროისათვის, როდესაც საბამ მშობლიური სოფელი სამუდამოდ დატოვა. არ ვიცი, რა ბედი ეწია საბას ძმას, ილიას. დები – ტასია და პარასკევა, ალბათ გათხოვდნენ და შესაბამისად, თავიანთი ქმრების საგვარეულოს შეუერთდნენ. როგორც ჩანს, საბას უფროსი ძმა, 1840 წელს დაბადებული სვიმონი, ადრე გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების ჩანაწერი ჩვენს ხელთ არსებულ მეტრიკულ წიგნებში არ არის. სხვა საარქივო ჩანაწერები შემდეგი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა: სვიმონს სამი ობოლი დარჩა. 1873 წლის კამერალურ აღწერაში მისი შვილები მშობლების გარეშე არიან შეყვანილი: „77. ილია სიმონის ძე ტოკლიკიშვილი – 17 წლის, ძმები: დავით – 14 წლის, ზაქარია – 10 წლის“ [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 279; ფ. 254, ან. 3, ს.217]. კამერალურ აღწერებში, როგორც უკვე ვთქვით, ასაკი მიახლოებით არის ხოლმე მითითებული. ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიმონმა ადრე შეირთო ცოლი და დაახლოებით 1857 წელს უკვე უფროსი ვაჟი – ილია შეეძინა, რომელსაც შემდეგ დავითი და ზაქარია მოჰყვნენ. (სვიმონის გარდაცვალების შემდეგ, ადამამ სამი ობოლი შვილიშვილი მიატოვა, წერაქვეში საბა მოძებნა და მასთან დასახლდა).

მაჩხანნიდან წამოსვლის შემდეგ, საბამ და მისმა მეგობრებმა ჯერ თბილისში სცადეს სამუშაოს შოვნა, მაგრამ დამხმარე არავინ ჰყავდათ. ამ დროს გაიგეს, რომ შულავერის მხარეს სამუშაო უფრო ადვილად იშოვებოდა და შულავერისაკენ გასწიეს. პირველად საბა მოეწყო, სამი წლის განმავლობაში ილია ბოსტოლანაშვილის ბაღში მეზღვედ მუშაობდა. ილია მდიდარი კაცი იყო. ოჯახთან ერთად ბაქოში ცხოვრობდა, სადაც ვაჭრობას მისდევდა. შულავერში საკუთარი სახლი და მამული ჰქონდა, რაც საბას ჩააბარა. თვითონ აქ იშვიათად ჩამოდიოდა. ცხადია, საბა იმ ნიშნით გამოარჩია თანატოლებისგან, რომ მას დედა ბოსტოლანაშვილი ჰყავდა. ერთხელ, საბა ტოკლიკიშვილი ვილაციის ქორწილში იყო მიპატიჟებული. იმ ქორწილში ბურნაძეებიც იყვნენ თავიანთ ქალიშვილთან, ელენესთან, ერთად. მათი პირველი შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ, საბამ ელენე დანიშნა. მალე იქორწინეს კიდევ და საბა მეუღლესთან ერთად წერაქვეში დასახლდა. სამუშაოდ კი, ისევ სადახლოში დადიოდა.

ილია ბოსტოლანაშვილმა არა მხოლოდ ხელი გაუმართა საბას, არამედ ქორწილში მისი მეგობარობაც იტვირთა. ქ. ჯავახიშვილი წერს, რომ საბას და ელენეს მეგობარედ ილია ბოსტოლანაშვილი

იყო, რომელთანაც საბა ერთ დროს, შულავერში მეზობედ მუშაობდა. ჯვრისწერის ჩანაწერს შულავერისა და წერაქვის მეზობელი სოფლის, ოფრეთის, 1872 წლის საეკლესიო-მეტრიკულ წიგნში მივაკვლიე: «Церковский житель Савва Адамов сын Токликадзе, православного исповедания, первым браком», საცოლეს: «Цераквский житель Андрея Бурнадзева дочь, Елены православного исповедания, первым браком» [სეა, ფ. 489, ან. 32, მარნეული, ს.1, მეტრიკული წიგნი 18] (ორთოგრაფია დაცულია) (სურ. №10). როგორც ვხედავთ, საბას ჯერ ტოკლიკაძის გვარი აუღია. მეჯვარეებს შორის, საქმროს მხრიდან დასახელებულია: «Илья Абрамов сын Бостоганов» [სეა, ფ. 489, ან. 32, მარნეული, ს.1, მეტრიკული წიგნი 18] (სურ. №11). ისიც უნდა ითქვას, რომ როდესაც ნიკო ფიროსმანის აღმზრდელი ქალანთაროვების შესახებ ცნობების შესაგროვებლად ჩავედი შულავერში, ბოსტოლანაშვილის სახლიც მოვიწახუღე (სურ. №12). იღია თავის ეზოში ყოფილა დაკრძალული. დიდი ორსართულიანი შენობა სრულიად გაპარტახებული დამხვდა, საფლავი კი – ლოდის გარეშე. ლოდი ვილაცას გადაუტანია და საფლავიდან მოშორებით, უკულმა დაუგდია. წარწერა გვამცნობს: «Илья Абрамович Бостоганов родился 1835 г. Скончался 1885 г. От роду 50 л.». სამწუხაროა, რომ დღეს მის სახლ-კარს და საფლავს პატრონი არ გამოუჩნდა.

რ. ჯავახიშვილის ინტერვიუში ვკითხულობთ: „საბას თავადური ამპარტავენება არ ახასიათებდა. ის მეტად განათლებული, აღზრდილი და მოკრძალებული ადამიანი გახლდათ. მას შრომა არ ეთაკილებოდა. რადგან მამის კერას თავისი ნებით მოსწყდა, ჯაფის მძიმე ჯვარიც ბოლომდე ატარა“. საბამ თავისი შრომით თავადი ვანო მელიქიშვილის მამულის მოურავობას მიაღწია, წელში გაიმართა, სოფელი სიონიც დააარსა. იყო გამრჯე, ენერგიული და საზრიანი ადამიანი, რის გამოც დიდ პატივისცემას იმსახურებს. ცხადია, რომ მას „თავადური ამპარტავენება“ არ ექნებოდა, ან კი საიდან უნდა ჰქონოდა? რაც შეეხება განათლებას, 1886 წლის კამერალური აღწერის სპეციალურ გრაფაში „სად მიიღო განათლება“ – საბას უწერია: „არსად“.

ამონარიდი ტფილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრის სოფელ ზემო მაჩხაანის 1886 წლის კამერალური აღწერის წიგნიდან:

«Токликишвили Саба Адамов проживает с малых лет в Шулаверах – 45 лет.

Сын – Михаил – 5 лет.

Жена – Елена – 30 лет.

Дочери: Мелания – 12 лет, Тасия – 10 лет, Маргарита – 5 лет, София – 2 года.

Народность – Грузинская

Вероисповедание – православное

Язык домашний – Грузинский

На каком языке грамотен – ни на каком

Знание русского (государственного) языка – не знает

Где получил или получает образование – ни где

Сословие — Государственные крестьяне

По ремеслу и промыслу – Хлебопашец» [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 1592].

რ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს, რომ როდესაც საბა შულავერიდან სადახლოში გადავიდა და მელიქიშვილის მოურავი გახდა, „აქ წლების მანძილზე მუშაობის პერიოდში თავადებმა გაიგეს საბას წარმომავლობის შესახებ. გარდა ამისა, მას მთელ იმ ტერიტორიაზე პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ“ [მაკა ჯავახიშვილი, (ინტერვიუ რუსუდან ჯავახიშვილთან), ყურნ. „თბილისელები“, 2003, №1]. ეს პატივისცემა მან, უთუოდ, თავისი შრომით დაიმსახურა და არა თავისი წარმომავლობით. მას შემდეგ, რაც ჩვენ საბას წარმომავლობის დამადასტურებელი ამდენი ახალი დოკუმენტი გამოვაგლინეთ, გაუგებარია, თუ რა უნდა გაეგოთ თავადებს მისი წარმომავლობის შესახებ ისეთი, რაც მათ მისდამი პატივისცემას განაპირობებდა და რაც ზემოთ განხილულ დოკუმენტებში აღნიშნული არ ყოფილა? გაკვირვებას იწვევს მწერლის ოჯახის ზოგიერთი წევრის ასეთი დაუოკებელი სწრაფვა თავადობისკენ. საბას სოციალური წარმომავლობა კარგად იყო ცნობილი იმ ადამი-

ანებისთვის, ვისთანაც მას ურთიერთობა უხდებოდა. მ. ჯავახიშვილის მასწავლებელი კაფაფოვი, რომელიც მას ჯელალ-ოღლის სასწავლებელში ასწავლიდა, შემდეგ იხსენებდა: „იქვე ახლო მდებარე სოფლიდან, წერაქვიდან ერთი გლეხი, გვარად საბა ადამაშვილი მოვიდა ჩემთან, თხოვნით, სასწავლებელში და საცხოვრებლად მისი ვაჟიშვილი მიხეილი მიმელო“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ, 1984, გვ. 57].

ჟურნალ „არტანუჯში“ გამოქვეყნებულ თავადი ჯავახიშვილების გენეალოგიებში, 1588 წლიდან დღემდე, ვერც ერთ საბას, არსენს, თუ ადამს ვერ ნახავთ. ნამდვილი ადამაშვილებიც, საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ისეთივე გლეხები იყვნენ, როგორც საბა ტოკლიკიშვილ-ადამაშვილი. ქ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს: „მიხეილის დედა წარმოშობით ქართლელი ქალი იყო, ბურნაძის გვარის შთამომავალი. ამ ოჯახის წინაპრები, სოფელ წერაქვის ერთ-ერთი პირველი მოსახლენი – ცოლ-ქმარი მაია (მართა) და გლახა ბურნაძეები, მიხეილის დედის ბებია და პაპა იყვნენ. ისინი ბარათაანთ ნაყმენი იყვნენ სოფელ არბოდან და ავლევიდან. ბატონყმობის დროს, ქართლის ბატონმა, ბურნაძის ოჯახი 100 მანეთად მიყიდა თურმე წერაქვის ბატონ გრიგოლ ბარათაშვილს, რომელმაც ეს ხალხი წამოიყვანა და ნასოფლარ ადგილას დაასახლა. ასე რომ, წერაქვში იძულებით გადმოსახლდა ბურნაძის ოჯახი თავისი ოთხი ვაჟიშვილით: გიორგი (ზედმეტსახელად ბაირამას ეძახდნენ), თედო, ანდრო (მიხეილის პაპა) და სოლომონი, ზედმეტსახელად „ბაცუკა“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ, 1984, გვ. 11].

დასახლებულ ძმებს მართლაც ვხვდებით სოფ. ზემო წერაქვის 1873 წლის კამერალური აღწერის მასალებში „დროებით ვალდებული გლეხები, დასახლებული თავად ნიკოლოზ ბარათოვის (გრიგოლ ბარათაშვილის შვილის – მ. ხ.) მიწაზე:

1. თევდორე გლახაშვილი ბურნაძე – 53 წლის, მისი ვაჟი ისააკი – 5 წლის.

2. სოლომონ გლახაშვილი ბურნაძე – 43 წლის, მისი ვაჟები: საბა – 5 წლის, ნიკოლოზი – 3 წლის, ლევანი – 1 წლის.

3. ანდრო გლახაშვილი ბურნაძე – 48 წლის, მისი ვაჟები: გიგოლა – 15 წლის, თომა – 9 წლის, ირაკლი – 5 წლის, იგორი – 4 წლის, გლახა – 1 წლის.

4. გიორგი გლახაშვილი ბურნაძე – 63 წლის, მისი ვაჟები: ალექსი – 27 წლის, პავლე – 19 წლის, პეტრე – 17 წლის, ივანე – 14 წლის, მიხეილი – 8 წლის“ [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 244].

ქ. ჯავახიშვილი თავის მოგონებებში აგრეთვე წერს, რომ მიხეილის პაპას „ანდროს სულ ექვსი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი (ელენე) ჰყავდა, რომელიც შემდგომ, მიხეილის მამამ, საბამ შეირთო ცოლად“. 1886 წლის კამერალურ აღწერაში ანდრო ბურნაძის ექვსივე ვაჟიშვილია დაფიქსირებული. როგორც ირკვევა, ელენეს გარდა, მას კიდევ ჰყოლია ქალიშვილი – 13 წლის თათინო.

ე. ი. მიხეილ ჯავახიშვილს დეიდაც ჰყოლია, მაგრამ მისმა ქალიშვილებმა ეს არ იცოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მწერალი ბურნაძეების გვერდით იზრდებოდა. შემდგომში, მან ისინი თავისი ლიტერატურული გმირების პროტოტიპებად გახადა. მ. ჯავახიშვილი წერდა: „არსენას პროტოტიპად ჩემი ბიძაშვილი ბაგრატ ბურნაძე მყავდა. ღვთისაგარი პაპაჩემი ანდრო ბურნაძეა“ [მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1980, გვ. 170]. საბას და ელენეს შვილები წერაქვში შეეძინათ. 1894 წლიდან კი, ისინი საცხოვრებლად სოფელ სიონში გადავიდნენ, რომელიც საბამ თავად დააარსა. თვითონ მიხეილ ჯავახიშვილი წერაქვში დაიბადა. ქ. ჯავახიშვილი გვანვდის ცნობა, რომლის მიხედვით მწერლის მეტრიკულ ამონაწერში აღნიშნულია შემდეგი: „მიხეილი დაიბადა 1880 წლის 8 ნოემბერს. მოინათლა იმავე წლის 15 ნოემბერს. მისი მშობლები არიან: საბა ადამას ძე ადამაშვილი – წარმოშობით სიღნაღის მაზრიდან, სოფელ ზემო მაჩხაანიდან. ზემო წერაქვის მცხოვრები, გლეხი და მისი კანონიერი მეუღლე ელენე ანდრიას ასული...“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ, 1984, გვ. 39].

ოფრეთის პეტრე-პავლეს ეკლესიის 1880 წლის მეტრიკულ წიგნში, მ. ჯავახიშვილის დაბადების ჩანაწერსაც მივაკვლიე. მწერლის ნათლობის სახელი „მიხა“ ყოფილა: დაბადებულის სახელი – *Миха*. მშობლები – «Житель сел. Церакв Сава Адамов законная его жена Елениа Андроев оба провос.

Испов» [სეა, ფ. 489, ან.32, მარნეულის სოფ. ოფრეთი 2]. (ორთოგრაფია დაცულია). მეტრიკული ნიგნი შემონმებულია 1902 წელს (სურ. №13). საბა ტოკლიკიშვილი ახლა უკვე ტოკლიკაძედ კი არა, ადამოვად გვევლინება. შემდგომში, ადამოვის შერქმეული გვარი ადამაშვილად იქცა. საკუთარი ვინაობის დამალვის მიზნით, მან სამჯერ გამოიცვალა გვარი, მაგრამ არც ერთხელ ჯავახიშვილად არ წარმოუჩინია თავი. ალბათ, მითი წინაპარი ჯავახიშვილის შესახებ – არც სმენია.

დიდი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების ჩანაწერი პირველად 2006 წელს გამოვაქვეყნე [მ. ხომერიკი, „წერილები“, თბ., 2006, გვ. 47]. მიუხედავად იმისა, რომ საბამ ახალგაზრდობაში (როგორც დავადგინე –1865 წელს) დატოვა ზემო მაჩხაანი, ის მაინც მშობლიური სოფლის კამერალურ აღწერებშია შეყვანილი. მაჩხაანის 1873 წლის კამერალური აღწერის დამატებით სიაში ვკითხულობთ: „სახაზინო გლეხები, მცხოვრებნი სახაზინო მინაზე: საბა ადამას ძე ტოკლიკიშვილი. ერთიანი რიცხვი სულთა კომლში: მამრობითი – 2, მდედრობითი – 3“ [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 217, გვ.124]. ძნელი დასადგენია, თუ ვინ იგულისხმება მისი ოჯახის (კომლის) წევრებად. 1873 წელს საბას ჰყავდა 1 წლის შვილი – იოსება, რომელიც იმავე წელს გარდაიცვალა. ქალიშვილები ჯერ დაბადებული არ იყვნენ. მამამისმა, ადამამ, იმ დროს საბას ადგილსამყოფელი არ იცოდა და მის ოჯახში ჩასახლებული არ იყო. ქ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს, რომ საბა ხშირად ფიქრობდა მშობლიურ მხარეზე, თავის სახლ-კარზე და მოხუც მამაზე. ასეთ ნუთებში იგი მზად იყო ყველაფერი მიეტოვებინა და მამის სანახავად წასულიყო, მაგრამ წასვლას ვერ ახერხებდა და ისევ საქმეში იქარგებდა დარდს. მე კი უნებურად მებადება კითხვა: თუ საბამ წლების მანძილზე წერაქვიდან მაჩხაანში ჩასვლა ერთხელაც ვერ მოახერხა, ნუთუ, წერილობით დაკავშირებაც ვერ შეძლო? ის მაინც ხომ უნდა ეცნობებინა მამისთვის, რომ ცოცხალია. ამის გაკეთება პატარა ბარათითაც შეიძლებოდა. ადამა კი „ყველგან დაეძებდა დაკარგული შვილის კვალს (თუ შვილების? – მ. ხ.). შინიდან მათი გაქცევის ამბავი მწვავედ განიცადა. იდარდა მოხუცმა და იმ დღიდან მოსვენება დაკარგა, ყოველი ღონე იხმარა, როგორმე გაეგო შვილის ადგილსამყოფელი, მაგრამ არსაიდან პასუხი არ მოდიოდა... მრავალი წლის შემდეგ მაინც მიაგნო თავისი შვილის კვალს“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ, 1984, გვ. 28]. ადამა ტოკლიკიშვილს გადაუწყვეტია თავის სოფელში აღარ დაბრუნებულიყო და სიცოცხლის დარჩენილი წლები შვილისა და შვილიშვილების გვერდით გაეტარებინა. ქ. ჯავახიშვილი წერს, რომ ადამამ თავისი მამული უმინაწყოდ დარჩენილ გლეხებს, მეზობლებს, დაურიგა და „კმაყოფილი, რომ ამ საქციელს საბა მოუნონებდა, შვილის გზას გაუდგა“. ეს ცნობა სარწმუნოდ არ მიმაჩნია. ადამა თავის მამულს მეზობლებს არ დაურიგებდა და ვერ დაურიგებდა: გარდა იმისა, რომ ის სახაზინო მინაზე ცხოვრობდა, რა გარანტია ჰქონდა, რომ მას შეიკედლებდა შვილი, რომელმაც სამუდამოდ მიატოვა? თანაც გაუგებარია, რატომ არის საუბარი ერთ შვილზე, როდესაც მამას სანდრო-მიშაც გამოექცა. ზემოთ გამოვთქვი ვარაუდი, რომ ადამამ ობოლი შვილიშვილების რჩენის მძიმე ტვირთს ვერ გაუძლო და ამიტომ გაცლა ამჯობინა. ადამას მიერ მეზობლებისთვის თავისი მამულის დარიგებაზე საუბარი ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. ქ. ჯავახიშვილს ამგვარი ილუზია იმიტომ შეექმნა, რომ თავისი უახლოესი ნათესავების შესახებ ოჯახში არაფერი სმენია. მათი არსებობა, როგორც ჩანს, საბამ საკუთარ შვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, დაუმალა. საბამ მხოლოდ საცხოვრებელი ადგილი და გვარი კი არ გამოიცვალა, არამედ სამუდამოდ განყვიტა კავშირი საკუთარ ფესვებთან. შვილებსაც კი დაუმალა, რომ იქ, მაჩხაანში, მას და-ძმა ჰყავდა. საბას აღარც მშობლიური სოფელი უნახავს. ყოველმხრივ ცდილობდა თავისი წარსული წაეშალა. ასეთი რამ უმიზეზოდ არ ხდება. რა დანაშაული ჰქონდათ ტოკლიკიშვილებს? რატომ ედო ტაბუ ოჯახში მათ ხსენებას? პასუხი მაჩხაანის 1886 წლის კამერალურ აღწერაში ამოვიკითხე. ამ მიზეზის გამჟღავნება ადვილი არ არის, რადგან ძალიან ფაქიზ და მტიკივნეულ თემას უნდა შევეხო. უცხო სიტყვათა ლექსიკონი სიტყვა „ინვალიდის“ (ლათინური – invalidus) შემდეგ განმარტებას იძლევა: „სუსტი“, „უძლური“. ადამიანი, რომელსაც მეტ-ნაკლებად დაკარგული აქვს შრომის უნარი (დასახიჩრების, ავადმყოფობის ან მოხუცებულობის გამო).“ კამერალური აღწერიდან ირკვევა, რომ ადამას უახლოეს ნათესავებში საკმაოდ იყვნენ უნარშეზ-

ლუდული (შშმპ) ადამიანები. მისი ძმა, გლახა – ხეიბარი იყო. თავისთავად ეს, ცხადია, დანაშაული არ არის, მაგრამ ქიზიყში ისეთ ოჯახებს, რომელთა წევრებს შორის ფიზიკურად, ან გონებრივად უნარშეზღუდული პირები იყვნენ, „მლოცავებს“ ეძახდნენ. ეთნოლოგი ბიძინა ნანობაშვილი წიგნში „საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში“ მოგვითხრობს, რომ „მლოცავები“ გამოსავალს ეძებდნენ და მკითხავთან მიდიოდნენ. მკითხავი კი უცხადებდა: ზედაშე (სალოცავი) გედავებათ, ცხვარი, კურატი, ზვარაკი უნდა დაუკლათო. დღენიადაგ სალოცავში სიარულის გამო ასეთ ოჯახებს ბარაქა გამოლუული ჰქონდათ. მშობლები ფრთხილობდნენ, რომ თავისი ქალი ასეთ ოჯახში არ მოხვედრილიყო და სიცოცხლე ნვალებში არ გაეტარებინა. ამიტომ, მაჭანკალს პირველ რიგში ეკითხებოდნენ: ვაჟიანნი „მლოცავები“ ხომ არ იყვნენ, რადგან ასეთ ოჯახებთან დამოყვრებას ყველა ერიდებოდა. სწამდათ, რომ „მლოცავი მლოცავ უნდა შეიხვედესო“ [ბ. ნანობაშვილი, „საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში“, თბ., 1988, გვ. 22-23]. ანუ, უნარშეზღუდული ადამიანი უნარშეზღუდულთან უნდა დაქორწინებულიყო. ასეთი იყო ქიზიყის მკაცრი ადათ-ჩვევები, რომლებსაც ვერ დავმაღავთ და დღევანდელი ჰუმანური კანონებით ვერ შევცვლით. ისტორია გაცილებით უფრო არაჰუმანურ კანონებსაც იცნობს. გავიხსენოთ სპარტელების სისასტიკე: „თუ ყმანვილი სუსტი და უსახური გამოდგებოდა, მას ისროდნენ ეგრეთნოდებულ „აპოთეტში“ – ტაიგეტის მახლობლად მდებარე უფსკრულში“ [პლუტარქე, „რჩეული პარალელური ბიოგრაფიები“, თბ., 1957, გვ. 30]. ასეთ სისასტიკესთან შედარებით, საქორწინო შეზღუდვები ბევრად უფრო ნაკლები ბოროტება იყო. ზემოთ დამონშებული წიგნის ავტორმა, ბ-ნმა ბ. ნანობაშვილმა სიტყვიერადაც დამიდასტურა, რომ „მლოცავების“ ოჯახის წევრები, მკითხავებთან სიარულის შედეგად, თვითონაც ინაფებოდნენ შელოცვაში. ამის საილუსტრაციოდ ქ. ჯავახიშვილის მონათხრობი გამოდგება: ბავშვობაში მიხეილი ბენვზე გადაურჩა სიკვდილს. ის ხშირად ავადმყოფობდა. ერთხელ კი ისე მძიმედ გახდა ავად, რომ ექიმებს ბავშვის მორჩენის იმედი გადაუწყდათ და მკურნალობაზეც კი ხელი აიღეს. იმ დროს, საბას მამა, ადამა უკვე მათთან ცხოვრობდა. „რაც თვითონ იცოდა, ან სხვებისგან გაგონილი ჰქონდა, ყველაფერი სცადა, მაგრამ არაფერმა შედეგი არ გამოიღო. ბოლოს, კიდევ ერთ საშუალებას მიმართა. შავი ქათამი დაკლა, შეულოცა და მისი ნალველი ავადმყოფს მალამოსავით თავზე დაადო. ძნელი სათქმელია, რამ უშველა ბავშვს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადი გახდა: ამ ამბის შემდეგ ავადმყოფმა მოიხედა და მალე გონს მოვიდა კიდევ“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1984, გვ. 54]. შელოცვა ყველა ქართველმა მამაკაცმა როდი იცოდა, მაგრამ ადამა, ცხადია, ბავშვობიდან შემლოცველებისა და მკითხავების წრეში ტრიალებდა.

ზემოსხენებული კამერალური აღწერის მიხედვით, ადამას უახლოეს ნათესავებს შორის რამდენიმე უნარშეზღუდული ადამიანი იყო: 4 ბრმა, 2 კოჭლი, 1 ბნედიანი, 1 გიჟი, 1 „ხეიბარი“:

„114. ტოკლიკიშვილი დიმიტრი იოსების ძე – 43 წლის. ვაჟები: სვიმონი 14, იოსები 13 (ბრმა). ძმები: გიორგი იოსების ძე – 57 (ბრმა)... ქალიშვილები... ნინო (ბრმა)...

116. ტოკლიკიშვილი ნოდარ გოგის ძე – 52. ვაჟები: ...მიხეილ (ხარება) – 27 (ბნედიტ არის დაავადებული)...

118. ტოკლიკიშვილი გიორგი იოსების ძე (კოჭლი) – 52...

121. ტოკლიკიშვილი ბიძინა დიმიტრის ძე – 35. ვაჟები: მამა – დიმიტრი დავითის ძე – 65 (ბრმა მარჯვენა თვალით).

125. ტოკლიკიშვილი დიმიტრი გლახას ძე 35. მამა – გლახა არსენის ძე – 65 (ხეიბარი) (ადამას ძმა – მ. ხ.)...

126. ტოკლიკიშვილი სტეფანე დათიას ძე – 65. ვაჟები: გაბრიელ – 31 (გიჟი).

129. ტოკლიკიშვილი თომა ნოდარის ძე (კოჭლი) – 33... [სეა, ფ. 254, ან. 3. ს. 1592] (სურ. №14 და №15).

1886 წლის კამერალური აღწერა ცხადყოფს, რომ საბა ე. ნ. „მლოცავების“ ოჯახიდან იყო, რაც ზემო მარჯვენაში არავისთვის არ იქნებოდა საიდუმლო. როგორც ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, ქიზიყში ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ჩამორჩენილი საზოგადოებრივი აზრი

იყო ჩამოყალიბებული. ახალგაზრდა საბა ტოკლიკიშვილი წინ ვერ აღუდგებოდა თანასოფლელთა ადათ-წესებს, რომელთა თანახმადაც „მლოცავი მლოცავ უნდა შეიხვედროდა“, ამიტომ, მან გაცლა ამჯობინა. სამუდამოდ მოშორდა იქაურობას, აღარც მშობლები მოიკითხა და აღარც და-ძმა. გვარიც გამოიცვალა, თითქოსდა მეორედ დაიბადა. სამუდამოდ განწყვიტა კავშირი საკუთარ ფესვებთან, მაგრამ „ბედი-მდევენელი“ მის ვაჟს, მიხეილს მაინც თან სდევდა. როდესაც საბა დაოჯახდა, შვილებს უახლოესი ნათესავების არსებობა დაუმალა, არც მაჩხაანის სანახავად წაუყვანია ისინი. შვილებს ტოკლიკიშვილებს არ უხსენებდა. საბას უნდოდა მკაცრი სინამდვილისაგან დაეცვა შვილები, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ასე გამოიკვეთა საბას მიერ მშობლიური სოფლის მიტოვებისა და გვარის გამოცვლის ნამდვილი მიზეზი. ყველაფრის მიუხედავად, **მაჩხაანის 1886 წლის კამერალური აღწერის დამატებით სიაში საბა თავის ცოლ-შვილთან (მათ შორის ვაჟიშვილ მიხეილთან ერთად) მაინც ტოკლიკიშვილის გვარით არის დაფიქსირებული. საბა 45 წლის ყოფილა, მიხეილი კი – 5 წლის [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 1592, გვ. 363].**

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, საბა ადამის ძე ტოკლიკიშვილი სახელმწიფო გლეხი იყო. მომავალი მწერალი, მიხეილ საბას ძე ტოკლიკიშვილი მაშინ 5 წლის ყოფილა. მითითებულია საბას მეუღლის სახელი – ელენე, რომელიც, როგორც ვიცით, ბურნაძე იყო. აქვე არიან მიხეილის დები: მელანია, ტასია, მარგარიტა, სოფია. გაუგებარია, ჩემმა ოპონენტებმა საიდან მოიტანეს, თითქოს ტოკლიკიშვილის გვარი მე მოვიგონე? ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი მიხვდება, რომ ზემოთ დამონშებულ დოკუმენტებში დიდი მწერლის ოჯახის წევრები არიან ჩამოთვლილი. სულ მცირედი ეჭვიც რომ არ დარჩეს, მომაქვს ამონარიდი ქ. ჯავახიშვილის მოგონებებიდან: „საბას დედას მელანო ერქვა და ამიტომ დედის ხსოვნის პატივსაცემად, მან პირველ ქალიშვილს მისი სახელი დაარქვა. ამის შემდეგ მათ კიდევ სამი ქალიშვილი შეეძინათ – ტასო, სოფიო და მარგალიტა, რომელსაც შინაურები მალს ეძახდნენ“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1984, გვ. 25].

ვინც კამერალურ აღწერაში და ქ. ჯავახიშვილის მოგონებებში ჩამოთვლილი პირების იდენტურობას ვერ მიხვდება, ისეთ „მკვლევრებთან“ კამათი დროის ფუჭად ხარჯვაა. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთ მტკიცებულებას მოვიტან. მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „დავიბადეთ:

მე – 1880.

ტასო 1876+1910.

მელანო 1874

მალო 1878+1927

ფიდო 1888+1937

სოფო 1885+1899

იოსება 1872+1873 [კრებული „ლელვარი“, თბ., 2005].

1899 წელს საბას ოჯახს უბედურება დაატყდა თავს. მისი ქალიშვილი სოფიო (სონა) თოთხმეტი წლის შესრულდა. კარგი გარეგნობის იყო, მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა – ახლო მხედველობა. როგორც ჩანს, ეს ნაკლი მას გენეტიკურად გადმოეცა. სუსტი მხედველობა ჰქონდა მ. ჯავახიშვილსაც. სონა მისივე თანასოფლელ ახალგაზრდა კაცს შეუყვარდა, რომელმაც ცოლად გაყოლა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ვაჟის დედას შვილისთვის უთქვამს: „რად გინდა ისეთი ქალის ცოლად შერთვა, რომელიც ბრმა არის. მიიხედ-მოიხედე და სხვა ქალი მონახე“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1984, გვ. 83]. ამ სიტყვებმა სონას, იგივე სოფიოს და დედამისის ყურამდე მიაღწია და მათი განრისხება გამოიწვია. სიტუაცია გამწვავდა. ქ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს, რომ შეყვარებულმა ახალგაზრდამ სოფიოს მოტაცება განიზრახა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან დედა-შვილი ვერ დააცილა ერთმანეთს. ამის გამო, მან და მისმა თანამზრახველებმა ჯერ ელენეს თავში ნაჯახი დაჰკრეს და ადგილზე მოკლეს, შემდეგ სოფიოს ცულის ტარი გულში დაარტყეს და თავიც ცულით გაუპეს [სეა, ფ. 489, ან. 32, ს. 29] (სურ. №16). შემზარავი ამბავია და ცოტა საკვირველიც: ნუთუ, შეყვარებულმა ბიჭმა, თანამზრახველების დახმარებით,

ორი ქალი ერთმანეთს ვერ ააგლიჯა და მათი მოკვლა ამჯობინა? ბ-ნმა გაიოზ იმედაშვილმა ამ ტრაგედიის სხვა ვერსიაც გამაცნო, რომლის თანახმად, მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე მოხდა, მაგრამ დეტალებს ვერ აღვწერ, რადგან მტკიცებულება არ გამაჩნია.

1899 წელს, როდესაც საბას ოჯახში ტრაგედია დატრიალდა, ქ. ჯავახიშვილის თქმით, ფრიდონი მოსწავლე იყო და თბილისში იმყოფებოდა. შესაძლებელია, ქ. ჯავახიშვილს წლები ემღებოდეს, ვინაიდან თბილისის I გიმნაზიის მოსწავლეთა სიებში, აღნიშნულ წლებში, ფრიდონი (სპირიდონი) არ გვხვდება. თუმცა, ტფილისის I გიმნაზიის მე-4 კლასის მე-2 განყოფილების მოსწავლეთა 1901 წლის საგამოცდო უწყისებში არის შემდეგი ჩანაწერი: „ადამოვი – წლიური ნიშანი – 2“ [სეა, ფ.441, ან.1, ს.1922], ხოლო 1902 წელს, მე-5 კლასის მე-2 განყოფილების მოსწავლეებს შორის არის – ადამოვი ალექსანდრე [სეა, ფ.441, ან.1, ს.1944]. ხსენებულ ალექსანდრეს ატესტატი 1906 წელს აუღია [სეა, ფ.441, ან.1, ს. 1958]. სხვა ადამაშვილი სიებში არ არის. ასევე არ არის არც ერთი ტოკოლიკიშვილი. (ფრიდონი ჯავახიშვილის გვართაც კი ვეძებე, მაგრამ ცხადია, არ აღმოჩნდა). თუმცა, 1911 წელს, მ. ჯავახიშვილი თავის განცხადებაში წერს, რომ თუ მას გადასახლება, მისი ერთადერთი ძმა, რომელსაც ის ეხმარებოდა, იძულებული იქნება შუა გზაზე შეწყვიტოს სწავლა სათავადაზნაურო გიმნაზიაში: «Мой единственный брат, гимназист дворянской гимназии, которого я поддерживал до сих пор, а с моей высылкой будет вынужден на пол пути прекратить образование» [სეა, ფ. 13, ან. 27, ს. 1559] (სურ. №17). ხელს აწერს: Михаил Джавахов-Адамашвили. სხვა დოკუმენტში, დაკითხვის ოქმში, მ. ჯავახიშვილი აზუსტებს, რომ 1910 წელს მისი ძმა სპირიდონი იყო 21 წლის და სწავლობდა სათავადაზნაურო გიმნაზიის მე-6 კლასში [სეა, ფ. 153, ან. 1, ს. 1834, გვ. 135]. ამდენად, გიმნაზიაში სპირიდონის სწავლის საკითხი გაირკვა.

როდესაც მ. ჯავახიშვილმა, ყირიმში სწავლის დროს, თავის ოჯახში დატრიალებული უბედურების შესახებ შეიტყო, საშინლად განიცადა და სწავლაზეც გული აიყარა. მასწავლებლებისგან შეტყობინების მიღების შემდეგ, საბა თავის შვილს სწერდა:

„საყვარელო ჩემო იმედო შვილო, მიხავ!

მივიღე შენი მონერილი წერილები. უდროვოდ დამაბერა შენმა დარდმა. ორჯელაც მოვიდა შენი ქცევა ყოფის ატმეტკები. რამტელიც გაიზარდე, დაკარგე გონება. ინერებიან ცუდი, ძალიან ცელქი არიო. ტანისამოსს არ ირჩენსო, იგლეჯამსო. ერთი დაფიქრდი, შვილო, პატარა ხო აღარა ხარ, მეოცეში ხარ წლოვანებით. კარგად იფიქრე, ერთი წლის დაკარგვა რა ღირხარ ჩემთვის, შენი ოჯახისთვის. მტერი გააცინე, მოკეთე მოკალი...“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხვილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ, 1984, გვ. 95].

საბამ სონას და ელენეს წლისთავი გადაუხადა და ერთი თვის შემდეგ თვითონაც აღესრულა. მ. ჯავახიშვილმა იალტის სასწავლებელი მიატოვა.

თუ მწერალს მართლა ჰყავდა შორეული წინაპარი ქართლელი ჯავახიშვილი, მაშინ ცხადია, ის თავადი არ ყოფილა. ვინ უნდა მოეკლა ქართლელ თავადს, რომ საქმე გასაქცევად გახდომოდა? ვახტანგ VI კანონების მიხედვით, თავადის სისხლი აზნაურის სისხლთან შედარებით ბევრად ძვირად ფასობდა, ხოლო გლეხის სისხლთან ხომ შედარებაც არ შეიძლებოდა. მწერლის წინაპარ ჯავახიშვილს მეფე ხომ არ შემოაკვდებოდა, რომ სასჯელის შეშინებოდა. თუ უცნობი წინაპარი ქართლელი გლეხი ჯავახიშვილი იყო, მაშინ ცხადია, ის მიმალვას ეცდებოდა. ახალ ადგილზე თუ ძველი გვართ არ ჩავიდოდა, მაშინ თვითმერქმეული გვართ გააგრძელებდა ცხოვრებას (როგორც ეს საბამ გააკეთა, როდესაც ქიზიყიდან ქართლში გაიქცა). ქიზიყში ჩასულ კაცს ადგილობრივი მაცხოვრებლების გვარი რომ მიეღო, ამით მეტ ყურადღებას მიიპყრობდა და მისი გვარის გამოცვლა კონსპირაციას ველარ შეუწყობდა ხელს. ქიზიყში გვხვდება ისეთი გვარები, როგორცაა: მოსულიშვილი, ახალმოსულიშვილი, ახალკაცი და სხვ. ალბათ ადრე მათ სხვა გვარ-სახელები ჰქონდათ. ქიზიყის ერთ-ერთი სოფლის ეკლესიის 1823 წლის მეტრიკულ წიგნში დასახელებული არიან ნათლიები: ქართლელი რომანოზ, ქართლელი ივანე, შოშიტა იმერელი, გოგია ნალეკრის შვილი, მათე ნათათრალი, ზაქარია სომეხი და სხვ. [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 20]. ჩვენ უკვე ვნახეთ,

რომ მწერლის წინაპარი არსენ ტოკლიკიშვილი, 1804 წელს, ყოველგვარი სადაურობის აღნიშვნის გარეშე დაფიქსირებული [სეა, ფ. 254, ან. 1, ს.75, გვ. 54ა].

არქივში შემხვდა ცნობა, რომ ერთ-ერთ ჯავახიშვილს 1910 წელს მართლაც შემოკვდომია კაცი, მაგრამ ის მწერლის წინაპარი არ ყოფილა. ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის მიერ შედგენილი დოკუმენტი გვამცნობს, რომ გორის მაზრის აზნაურს, რომან ოქროპირის ძე ჯავახოვს, 16 წლისას, ჩაუდენია წინასწარ გამიზნული მკვლელობა, რისთვისაც მას 12-წლიანი პატიმრობა მიესაჯა და აზნაურობა ჩამოერთვა [სეა, ფ. 213, ან. 1, ს.2223, გვ. 1-1ა]. ხოლო 1835 წელს, გორის მაზრის აზნაურს, **მიხეილ ჯავახოვს**, თავისი ძმების დახმარებით, გაუტაცია გარდაცვლილი მღვდლის ობოლი ქალიშვილი – ნინო მამუჩაშვილი და გაუპატიურების მიზნით დაუმწყვდევია. როგორც პროკურორის პატაკიდან ჩანს, მღვდლის ქვრივმა დახმარებისათვის „ადგილობრივ ხელისუფლებას“ მიმართა. 1837 წელს ბარონ როზენს ატყობინებდნენ, რომ ამ საქმეზე დაპატიმრებული არავინ ყოფილა [სეა, ფ.2, ან.1, ს.4753, ფ. 1-3ა].

მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს ქართლელ თავად და აზნაურ ჯავახიშვილებთან არაფერი აკავშირებდა. მათ ერთმანეთთან ურთიერთობაც არ ჰქონიათ (ყოველ შემთხვევაში იქამდე, სანამ მიხეილი დიდი მწერალი არ გახდებოდა). ქართლელი თავადაზნაურობის წარმომადგენელმა ჯავახიშვილებმა არაფერი იცოდნენ მიხეილის შესახებ და რა გასაკვირია, თუ არც დახმარების ხელი გაუწვდიათ მისთვის მაშინ, როდესაც ეს მას მართლაც სჭირდებოდა.

ქ-ნი რ. ჯავახიშვილი აღუშფოთებია იმ ფაქტს, რომ შოუში „ვის უნდა ოცი ათასი“ მ. ჯავახიშვილის ნამდვილ გვარად ადამაშვილი გამოცხადდა. „მიკვირს, როგორ უნდა შეშლოდათ, მამა ხომ ვილაც რიგითი ადამიანი არ იყო?!“ – სვამს კითხვას ქ-ნი რუსუდანი. მისი განმარტებით „24 წლის ასაკამდე მიხეილ ჯავახიშვილი „მ. ად-ლი“ ან მ. ა-ლი“ ფსევდონიმებით წერდა, ხოლო შემდეგ უკვე ნამდვილ გვარს იბრუნებს და სულ უფრო იზვიათად აწერს გვარ ადამაშვილს თავის ნაწარმოებებს, ისიც კენტად არა, მხოლოდ შემდეგნაირად – ადამაშვილ-ჯავახიშვილი“ [მაკა ჯავახიშვილი, (ინტერვიუ რუსუდან ჯავახიშვილთან), ჟურნ. „თბილისელები“, 2003, №1]. მ. ჯავახიშვილს (დაბ. 1880 წ.) 24 წელი 1904 წელს შეუსრულდა. თურმე, მას შემდეგ გვარი ადამაშვილი კენტად აღარ მოუწერია! დიდი მწერლის ქალიშვილს ასეთი რამ როგორ უნდა შეშლოდა? მას რომ თავისი დის – ქ. ჯავახიშვილის და ე. გენძეხაძის მიერ შედგენილი მ. ჯავახიშვილის ანოტირებული ბიბლიოგრაფია გადაეშალა, თვალნათლივ დაინახავდა, რომ დასახელებული ფსევდონიმებით მ. ჯავახიშვილი თავის ნაწარმოებებს 24 წლის ასაკის შემდეგ აწერდა ხელს, 1904 წლამდე კი – ფსევდონიმით „თავისუფალი მონა“ ან ადამაშვილის გვარით. ამ გვარს „კენტად“ მწერალი 44 წლის ასაკამდე აწერს თავის ნაწარმოებებს, 1924 წლიდან კი ადამაშვილის გვარს ჯავახიშვილთან აწყვილებს. საბოლოოდ მხოლოდ ჯავახიშვილს ტოვებს.

დოკუმენტურად დავადგინე, რომ მწერალი მხოლოდ 1910 წელს მოიხსენიება ჯავახოვად, ამასთან განმარტებულია – იგივე ადამაშვილი: «Студент Женевского и Сорбонского университетов, крестьянин Борчалинского уезда, с. Сиони Михаил Саввич Джавахов, он-же Адамашвили, 30 лет» [სეა, ფ. 153, ან. 1, ს. 1820, გვ. 9]. კიდევ ერთ დოკუმენტს დავიმონწიებ. ეს არის ჟანდარმერიის საიდუმლო ცნობები მიხეილ საბას ძე ჯავახოვზე, სადაც ასევე განმარტებულია – „იმავე ადამაშვილზე“ [სეა, ფ. 153, ან. 1, ს. 1820, გვ. 43].

1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი 1925 წელს ჩატარდა, რომელზედაც მონაწილე დაკითხულმა მწერალმა თავისი გვარი „ჯავახიშვილი“ დაასახელა. მიუხედავად ამისა, ის ხან მ. ჯავახიშვილად მოიხსენიება, ხან „ჯავახ-ადამაშვილად“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40].

რ. ჯავახიშვილის ინტერვიუში ერთი სწორი აზრია გამოთქმული: როდესაც ახალი ქართული ენციკლოპედია გამოვა, მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარის საკითხი უნდა დაზუსტდეს. ამაში მეც ვეთანხმები. შესწორება უნდა მოხდეს მთელი ამ ახალი საარქივო მასალის გათვალისწინებით, რის მოძიებაზეც საკმაო შრომა დავხარჯე და არა ისე, უსაბუთოდ, როგორც საბჭოთა კრიტიკოსი

გურამ გვერდნითელი წერდა, ან როგორც რუსუდან ჯავახიშვილს სურს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. ჯავახიშვილის გვარის შესახებ მცდარ ინფორმაციას გვანდის „ქართველ მწერალთა ბიოგრაფიული ცნობარი“, სადაც ვკითხულობთ, რომ მწერლის „პაპა ყოფილა ადამა ჯავახიშვილი, რომელიც ქართლიდან გაქცეულა და ქიზიყში, ზემო მაჩხაანში მიუღია გვარი ტოკლიკიშვილი“ [ქართველ მწერალთა ბიოგრაფიული ცნობები (XX), თბ. 2001].

აქვე გაცნობთ მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიას, რომელიც გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ინახება და როგორც კრებულ „ლეღვარის“ რედაქტორი იზა ორჯონიკიძე აღნიშნავს, დაწერილია აშკარად მწერლის მიერ, მესამე პირში. ამას გვიდასტურებს მინანერიც: „ტიციან ხუთიოდე ცალი დააბეჭდვინე, ერთი შენ აიღე, დანარჩენი მე მომეცი. მ. ჯ.“ [კრებული „ლეღვარი“, თბ., 2005, გვ.7]. ხელნაწერში ვკითხულობთ:

„მიხეილ ჯავახიშვილი (ადამაშვილი) დაიბადა 1880 წ. ბორჩალოში, ს. ზემო წერაქვში, რომელიც ერთადერთი ქართული სოფელი იყო მდინარე ხრამის გაღმა. მამა მისმა საბამ, ქიზიყიდან გადმოსულმა გლეხმა, შემდეგში მოახერხა და შულავრის მახლობლად ახალი სოფელი სიონი გააშენა და თვითონაც აქ გადმოვიდა.

7-13 წლამდე ჯავახიშვილი რუსულ სასოფლო სკოლებში სწავლობდა პრივოლნოესა და ჯელალოღლში, ეხლანდელ ლორის მაზრაში. დედა-ენა თითქმის დაავინწყდა, მაგრამ ნამდვილი ქართული წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლაში (1893-1897) ისწავლა, რადგან იქ საგნებს ქართულად ასწავლიდნენ. ავტორი ამ სკოლას და ყველა იქაურ მოღვაწეს ეხლაც დიდის მადლობით იხსენიებს ხოლმე. 1897-1901 წწ. ყირიმის სამეურნეო სასწავლებელში იყო, მაგრამ უკანასკნელ წელს შინ დაბრუნდა, რადგან მის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა: და და დედა მოუკლეს და მამაც მალე გარდაეცვალა. მიხეილმა ამ სახლში ცხოვრება აღარ მოინდომა და ალავერდის ქარხანში დაიწყო სამსახური, თანაც უამრავს სწერდა და ხევდა, რადგან სხვების გავლენას ჰგრძნობდა. 1903 წ. სამსახურს თავი დაანება და ბედის საძებნელად ტფილისში ჩამოვიდა. იგემა ხეტიალი და გაჭირვება. ისევ სწერდა და სწავდა. ბოლოს ერთ ღამეში „ჩანჩურა“ დასწერა. „ცნობის ფურცელის“ დამატებაში დაბეჭდეს და მაშინვე ამავე გაზეთის რედაქციაში მიიწვიეს. კრიტიკამ მისი გამოჩენა უმაღლე დიდის იმედით აღნიშნა.

ჟურნალისტობამ ღრმად ჩაითრია და ბელეტრისტობაზე მალე ააღებინა ხელი. მაგრამ ჯავახიშვილი თვითონაც ჰგრძნობდა, რომ პოლიტიკა და პუბლიცისტობა მისი ნამდვილი ხელობა არ იყო და ამიტომ არც ერთ ასეთ წერილს გვარს არ აწერდა (ფსევდონიმები: ალი, ა-ლი, მ-ალი, ადლი, მადლი და სხვ.). გ. ყიფშიძის დროს ერთ ხანს ფაქტიურ რედაქტორად იყო ჯერ „ივერიის“, შემდეგ „გლეხის“. სამართალში მისცეს. ევროპაში გაიქცა (1906-1910). სწავლობდა ჯერ ჟენევაში, შემდეგ პარიზის უნივერსიტეტში – ლიტერატურას, ხელოვნებას და პოლიტეკონომიას. სხვისი გვარით დაბრუნდა. დააპატიმრეს და 1 წელი ციხე და 5 წლით გადასახლება მიუსაჯეს“ [კრებული „ლეღვარი“, თბ., 2005, გვ.8].

გთავაზობთ კიდევ ერთ ამონარიდს, სადაც მ.ჯავახიშვილი პირველ პირში მოგვითხრობს უცხოეთში მოგზაურობის შესახებ: „პირველი გაქცევის შემდეგ ევროპაში ორჯერ მომიხდა წასვლა. ქუდბედიანი გამოვდექი. ზუბალაშვილის უცვლელი სტიპენდია 75 მანეთი უცვლელად მქონდა. გარდა ამისა, ევროპაში მყოფი ჩვენი მეცენატები კარგად მხვდებოდნენ. მათი წყალობით დავათვალიერე იტალიის ღირსშესანიშნავი ქალაქები. თითქმის მთლიანად მოვლილი მაქვს ავსტრია, გერმანიის დიდი გაღერეები, როგორც დრეზდენში ისე თვითონ ბერლინში. ცენტრად პარიზი მქონდა მიჩნეული. უკეთ რომ ვთქვა, პარიზიდან საცხოვრებლად ამოვირჩიე რამსი, ჰიურეს პანსიონი... შემდეგ ვიყავი ლონდონში, სადაც შემომეყარა დიდი ქველმოქმედი ნიკოლოზ ლოლობერიძე, რომელმაც ნიცაში წამიყვანა თავისი ხარჯით და რამდენიმე თვე შემინახა. თავის კარლსბადში შემახედა, სამკურნალო აბაზანები მიმალეზინა და ისევ პარიზში გამისტუმრა“ [კრებული „ლეღვარი“, თბ., 2005, გვ. 85].

ერთ დეტალზე მინდა გავამახვილო ყურადღება: უცხოეთში ყოფნისას მწერალს ბევრი უმოგ-

3	8	<p>הנה המונח המפורסם של פילוסופיה של מלך אשור המלך המפורסם של אשור המלך המפורסם של אשור</p>
---	---	--

№7. [לגא, עג. 489, אב. 6, ב. 609].

11	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	65	70	75	80	85	90	95	100	<p>הנה המונח המפורסם של פילוסופיה של מלך אשור המלך המפורסם של אשור המלך המפורסם של אשור</p>
----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	-----	--

№8. [לגא, עג. 489, אב. 6, ב. 717].

9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100	<p>הנה המונח המפורסם של פילוסופיה של מלך אשור המלך המפורסם של אשור המלך המפורסם של אשור</p>
---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	-----	--

№9. [לגא, עג. 489, אב. 6, ב. 940].

МЕТРИЧЕСКОЕ КНИГИ НА 185

Месяц и день.	Звание, имя, отчество, фами- лия и върცხოვდანი жєнхა, и которыхъ бракомъ.	Лѣта жєнхა.	Звание, имя, отчество, фами- лия и върცხოვდანი жє- нхა, и которыхъ бракомъ.
Февраль 16.	Цერაქვესი ² მამულა ვახტანგის ასული საბო არაგვისა, პრავა საბნაო სენობადანი, პირველი ბრანია სებასტიანის ასული	26.	Цერაქვესი ² მამულა ანდრეა ბურიაძისა დავ. ივანის პრავა საბნაო სენობადანი, პირველი ბრანია.

№10. [სეა, ფ. 489, ან. 32, მარნეული, ს.1, მეტრიკული წიგნი 18].

Кто была поручителем.
<p>Панчеша: 1. ვახტანგის ასული საბო არაგვისა. 2. სიმონი არაგვისა. 3. სიმონი ცერეთელი. Панქოეთი: 1. სებასტიანის ასული, 2. სიმონი ბურიაძისა. 3. სებასტიანის ასული.</p>

№11. [სეა, ფ. 489, ან. 32, მარნეული, ს.1, მეტრიკული წიგნი 18].

" 24	27	30	Крестьянка семейства Сидорова Елена Андрее- вна Агашишвили " 46 отъ убоинства
			Общественный Анастасий Попандонович. Труженикомъ Мухоморова Архипа.
" 25	27	30	Дочь крестьянина семейства Сидорова Софья Савва Агашишвили " 15 отъ убоинства
			Общественный Анастасий Попандонович. Труженикомъ Мухоморова Архипа. Благочинный при Дух. Преем.

№16. [бга, ф. 489, лб. 32, л. 29].

10205
себя работы, и во 2^{ой}) я не шито, подбоко дружил, никакой поддержке
ни тогда: ни солидария, ни какой-то ни было родни, которая
могла бы помочь мне в такую трудную минуту жизни.
Наказание это являясь для меня тем более суровым, что
выпала солидой депрессии поблизуш мой единственной братъ,
инженер дворниковой машин, которая я поддерживаю до сих
пор, а с мой высшей будеть возмущен на поля пути препо-
тний образование.

Ваше Сидимейство! не доволюсь ли от меня требовать и всякого
последствия подруги заключен в видт разбирательства здоро-
вья, материальной разорения и лишения возможности за-
ниматься педагогическим делом, которому я посвятила
столько времени, труда и средств? Считаю надеяться, что ва-
ше Сидимейство найдет мое положение исключительным
и не пожелает наказывать невинного человека, и без того уже
достигшего наказания. В заключение вышесказанной
фразы Сидимейство, что если бы я утверждал за собой какую-ни-
будь вину, я бы безропотно похоронил своей угайки и намерь
бы в себя достойно заслуженную пережить заключенную кару.
В виду этого покорнейше прошу ваше Сидимейство отменить
ваше постановление о выселении меня из пределов Кавказа.

Михаил Степанович Адамашвили

13 марта 1911 года

Билет № А1585

1161
№ 2335 Арестантское.
Настоящая переписка препровождается Миро-
лицескому губернатору
для сообщения, с возвращением ее, с датой и заклю-
чения. „14“ Март 1911 года. № 3314
Гор. Тифлис.

Заведующий Особым Отделом Славян

И. об. Допроизводителю Суртман



საქართველოს ეროვნული
არქივის
სამსახური
National
Archives of
Georgia

1.2. თავადობის სინდრომი.

მიხეილ ჯავახიშვილი ქართული ენის დახვეწის მიზნით, ქართლის სოფლებში გაემგზავრა. დაუახლოვდა თავად მარბლებსა და სხვებს (ჯავახიშვილებთან შეხება არ ჰქონია). მწერალი მოგვითხრობს, რომ მას ქურთა-თამარაშენ-მთიანეთიდან დაბრუნებისას ცალ ფეხზე კალოში ეცვა, ხოლო მეორეზე ძირგავარდნილი ჩექმა [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1984, გვ. 111]. არც ერთი საარქივო დოკუმენტიც რომ არ არსებობდეს, მწერლის ამგვარმა ჩაცმულობამ უნდა დააფიქროს რუსუდან ჯავახიშვილი და ის მკვლევრები, რომლებიც მიხეილ ჯავახიშვილის თავადობის ვერსიას იცავენ. რ. ჯავახიშვილის ინტერვიუში ის აზრია გატარებული, რომ მიხეილის თავადობას ოჯახი მალავდა, მაგრამ ამის აუცილებლობა 1900-იან წლებში ხომ არ არსებობდა.

რუსუდან ჯავახიშვილის ინტერვიუში ჟურნალისტი მაკა ჯავახიშვილი (მ. ჯავახიშვილის ძმის შვილიშვილი) გვანვდის სენსაციურ ცნობას: „არსებობს უტყუარი დოკუმენტი, მიხეილის ძმისშვილის დაბადების მონუმბო, სადაც ნახსენებია თავადი, ოფიცერი ფრიდონ საბას ძე ჯავახიშვილი. ეს მიხეილის უმცროსი ძმა გახლავთ“. როგორც ჟურნალისტი მითხრა, დაბადების მონუმბო გაცემული ყოფილა 1914 წელს. ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ თავისი წარმომავლობით ფრიდონი ისეთივე გლეხი იყო, როგორც მისი საკუთარი და-ძმები. ქ. ჯავახიშვილის მოგონებებიდან ვიცით, რომ ფრიდონს ბავშვობაში ნათლიად ბოგანო „ოსმალეული ბერძენი“ ჯეირანა შეურჩიეს. ცხადია, წარჩინებული წოდების მშობლები არჩევანს თავისი წრის ადამიანზე შეაჩერებდნენ. ჩვენი ვარაუდით, ფრიდონმა (იგივე სპირიდონმა) თავის უფროს ძმასთან, მიხეილთან ერთად გამოიცვალა გვარი. ის თავისი გარეგნობით გამოირჩეოდა. ცოლად ჰყავდა წარმომობით ბერძენი ქალი ალექსანდრა პანაიდისი. ფრიდონს, როგორც სამხედრო პირს, შეეძლო პირადი აზნაურობისთვის მიეღწია. თავადი ის ვერ გახდებოდა, მაგრამ მსჯელობას სჯობს დოკუმენტში ჩავიხედოთ. ფრიდონი 1910 წლის 18 აგვისტოს ძმის სანახავად მისულა ციხეში. მისი ხელით შევსებულ ანკეტაში ვკითხულობთ: „გვარი – ჯავახოვი. სახელი – სპირიდონი, მამის სახელი – საბას ძე. წოდება: გლეხი“. სპირიდონი ითხოვს ძმასთან – მიხეილ საბას ძე ჯავახოვთან შეხვედრის უფლებას [სეა, ფ. 153, ან. 1, ს. 1820] (სურ №18). დაუჯერებელია, რომ სულ რაღაც 4 წლის შემდეგ, ის თავადი გამხდარიყო.

ახლა ვნახოთ, თუ რა წოდება ჰქონდა დიდ მწერალს. 1911 წელს მიხეილ ჯავახოვ-ადამაშვილი მეფისნაცვლისათვის გაგზავნილ განცხადებაში უთითებს, რომ ბორჩალოს მაზრის სოფელ სიონის გლეხია [სეა, ფ. 13, ან. 27, ს. 1559, გვ. 40]. რ. ჯავახიშვილი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს, მწერლის ოჯახი საბჭოთა ხელისუფლების შიშით მალავდა თავადობას, მაგრამ სად იყო საბჭოთა ხელისუფლება 1911 წელს? მ. ჯავახიშვილს თავადის წოდება რომ ჰქონოდა მეფისნაცვალს ხომ არ დაუმალავდა? ანალოგიურ სიტუაციაში თავადობა ძალზე გამოადგა ივანე ჯავახიშვილს, რომელსაც თავისი ბროშურის „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“ გამო, დაპატიმრება ელოდა. პეტერბურგში ის პასუხისგებაში მისცეს და სათანადო ნებართვის გარეშე სამი წლით პეტერბურგიდან გასვლა აუკრძალეს. როგორც შემდეგ თავად აღიარებდა, თურმე, მას უფრო დიდი სასჯელი ელოდა, მაგრამ თავადის წოდებამ უშველა [გ. ყორანაშვილი, „ივანე ჯავახიშვილი“, თბ., 1999, გვ. 34]. რ. ჯავახიშვილის ინტერვიუს თუ დაუჯერებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ივანე ჯავახიშვილიც, ისევე როგორც სხვა თავადი ჯავახიშვილები, რუსეთს წვრილ აზნაურად გადაუქცევია. არადა, 1901 წელს დამტკიცდა საქართველოში მცხოვრები თავადი ჯავახიშვილებისა და აგრეთვე რუსეთში გადახვეწილი თავადი ჟივახოვების საგვარეულოთა გერბები. აღნიშნული ფაქტების ცოდნა აუცილებელია იმ ავტორებისათვის, რომლებიც ჯავახიშვილების წარმომავლობის შესახებ ამა თუ იმ ინფორმაციას აწვდიან მკითხველს. ასე მაგალითად, რუსეთში გამოიცა სოლომონ დოდაშვილის შთამომავლის, ანჟელიკა დოდაშვილი-მაგარსკაიას მოგონებები „გახსოვდეს გვარი შენი“, სადაც გამოთქმულია მცდარი ვარაუდი, თითქოსდა, მიხეილ და ივანე ჯავახიშვილები ქიზიყელები იყვნენ“. ისიც აღსანიშნავია, რომ ავტორი, რ. ჯავახიშვილის

მსგავსად, თავადობის იდეით არის შეპყრობილი. როგორც ჩანს, ეს არის ბოლო დროს გავრცელებული ტენდენცია. მას სურს სოლომონ დოდაშვილი თავადად გამოიყვანოს, რისთვისაც მისი პაპა, იოსებ დოდაშვილი, ერისთავებს გაუტოლა: «Отмечая заслуги Иосифа Додашвили, достойно исполнявшего царское поручение, Ираклий Второй особым фирманом пожаловал ему земли в Квемо и Земо (Нижнем и Верхнем) Магаро и повелел отныне называться, как и другие грузинские Эриставы (буквально – «Глава народа»), по наименованию пожалованных ему земель – Магароэли» [А Додаева-Магарская, «Помни род свой», Москва, 2000 г., с 42.]. თუ დოკუმენტებს დავუჯერებთ, სოლომონის პაპას იესე რქმვია: „შტატის მღვდელი იოანე დოდაევი ძე იესესი. შვილნი მისნი: ა, სოლომონ. ბ, სტეფანე, გ, იესე, დ, სფირიდონ. არს წოდებისგან სახელმწიფო გლეხისა...[სეა, ფ. 489, ან. 1, ს. 4424]. ავტორის კომპეტენტურობაზე კი მისივე შემდეგი განმარტება მეტყველებს: «Слово «Магаро» значит: «стойкий», «крепкий». ცხადია, რომ „მალარო“ – „მაგარო“ ჰგონია. ასევე უსაფუძვლოდ, ზოგი ქართველი ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოსდა, ცნობილი ფილოსოფოსი გიორგი გურჯიევი თავადი მუხრანსკის (სახელის ცოდნის გარეშე) დისშვილი, ან შვილიშვილი იყო. ორივე შემთხვევაში ის ბაგრატიონების შთამომავალი გამოდის. და ეს მას შემდეგაც გააგრძელეს, რაც გურჯიევის დედ-მამის ქორწინების მეტრიკულ ჩანაწერს მოვაკვლიე [სომხეთის ცენტრალური არქივი, ფ. 47, ან. 2, ს. 25] და პირველად 2000 წელს გავაჟღერე გურჯიევის დედის სახელი და გვარი: ევდოკია ელეფთერის ასული ელეფთეროვა [მ. ხომერიკი, „გიორგი გურჯიევის ბიოგრაფიისათვის“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2000 წ., 7-14 იანვარი]. ელეფთეროვა – ბერძნული ელეფთერიადის რუსიფიცირებული ფორმაა. სხვებს არც რ. კვერენჩილაძე ჩამორჩება, რომელიც თავის მამას, კასიანეს, მეფის რუსეთის არმიის ოფიცრად წარმოაჩინს, რაც სიცრუეა.

დავუბრუნდეთ ადამა არსენის ძე ტოკლიკიშვილს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ის არსაიდან არ გაქცეულა, თავის დაძმებთან ერთად მაჩხანში დაიბადა, ხოლო ცოლად მელანია ბოსტოლანაშვილი ჰყავდა.

ასევე მცდარია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში გ. გვერდნითელის მიერ მოწოდებული ცნობა: „ჯავახიშვილი (ნამდ. გვარი ადამაშვილი) მიხეილ საბას ძე“ [ქსე, ტ. XI, თბ., 1987, გვ.527], რასაც რ. ჯავახიშვილიც არ ეთანხმება.

თუ საქართველოში რომელიმე გვარს შეუძლია ნიჭიერებით იამაყოს, ერთ-ერთი პირველი, უთუოდ, ტოკლიკიშვილების გვარია. მათ მოგვცეს დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი და თავისი ნიჭიერება უნილადეს თვითნასწავლ მხატვარ ფიროსმანს, რომელსაც დედა ტოკლიკიშვილი ჰყავდა. რ. ჯავახიშვილი კი აცხადებს: „არის კიდევ ერთი ცნობა, რომ ნიკალას (ნიკო ფიროსმანაშვილი) მამა და საბა დეიდაშვილები იყვნენ“. ეს ვერსია რ. ჯავახიშვილს იმისთვის დასჭირდა, რომ დაემტკიცებინა, თითქოსდა, საბას მამამ, ადამამ „მისივე მეუღლის გვარი, ტოკლიკიშვილი აიღო“. ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით საარქივო დოკუმენტს და ვიცით, რომ საბას მეუღლე ბოსტოლანაშვილი იყო, საბა კი ტოკლიკიშვილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნიკო ფიროსმანაშვილის დედა თეკლე ტოკლიკიშვილი იყო, მაგრამ ქ-ნ რ. ჯავახიშვილს ნიკალა მის მამაში ერევა, რომელსაც ასლანი ერქვა. და შესაბამისად საბა და ასლანი დეიდაშვილები ვერ იქნებოდნენ. შესაძლოა, მოგვარეები საბა და ნიკალას დედა, ნათესავებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ არა საბა და ნიკალას მამა – ასლან ფიროსმანაშვილი [მ. ხომერიკი, „ფიროსმანის დაბადების და გარდაცვალების მისტერია“, თბ., 2023].

1906 წელს მ. ჯავახიშვილი იძულებული გახდა უცხოეთში მიხეილ ლობჯანიძის პასპორტით გამგზავრებულიყო. 1907 წელს მალულად დაბრუნდა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ პარიზს გაემგზავრა. ქ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს: „საბოლოოდ საქართველოში ის 1909 წელს ბრუნდება... ამიერიდან ის ადამაშვილის გვერდით ვეღარ იცხოვრებს, ვინაიდან ჟანდარმერია დაეძებს და პირველი გამოჩენისთანავე დაპატიმრება ელის. პასპორტი ლობჯანიძის გვარზე, რომლითაც ის რამდენიმე წლის მანძილზე საზღვარგარეთ ცხოვრობდა, პატრონს დაუბრუნა... ასეთ რთულ ვითარებაში, თავისი მეგობრის რჩევით, ის გადაწყვეტს სხვა გვარზე აილოს პასპორტი და თავიდან აიცილოს ჟანდარმერიის მეთვალყურეობა და დევნა... ამ პერიოდში გაიხსენა მან თავიანთი

ოჯახის, შორეული წინაპრების ნამდვილი გვარი – ჯავახიშვილი და გადაწყვიტა ახალი საბუთები ამ გვარზე აელო, ძველი გვარი აღედგინა“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ, 1984, გვ. 25].

არსებობს ერთი დოკუმენტი, რომლითაც მტკიცდება, რომ მიხეილ ადამაშვილს, თავისი ვინაობის დასამალად, ჯერ კიდევ პარიზში გამგზავრებამდეც გამოუყენებია ჯავახიშვილის გვარი, რომელიც თავისი გარდაცვლილი მამისთვის მიუსადაგებია. 1907 წლით დათარიღებული სიაში – «Члены партии Грузинских Социалистов-федералистов» შეყვანილია საბა ადამას ძე ჯავახოვი «67. Джавахов Савва Адамович» [სეა, ფ. 153, ან. 1, ს. 3267, გვ. 61] (სურ. №19). მიხეილს ორმაგი ფიქციისთვის მიუმართავს. თავისი სახელის და გვარის ნაცვლად, მას გარდაცვლილი მამის სახელი და მამის სახელი მიუთითებია – „საბა ადამის ძე“, რაც ფიქციაა (საბა 1901 წელს გარდაიცვალა, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია გაზეთ „საქართველოს“ რედაქციამ, ჟენევაში, 1904 წლის აპრილში დააარსა.). ამავე დროს, მიხეილმა საბას ჯავახიშვილის გვარი მიუმატა და თავი ამ არარსებულ, შეკონინებულ პიროვნებად გაასაღა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს, ჰყავდა თუ არა მას ვინმე შორეული წინაპარი ჯავახიშვილი. ფაქტია, რომ მიხეილს, 1907 წელს, ჯავახიშვილის გვარი დაკანონებული არ ჰქონია. ამრიგად, როგორც უკვე ვთქვით, საქმე გვაქვს ორმაგ ფიქციასთან. ჟანდარმერიამ დაადგინა, რომ ამ მოგონილი სახელის და გვარის უკან რეალური პიროვნება, მიხეილ ადამაშვილი იდგა. არსებობს ჟანდარმერიის სია, სადაც სულ 286 კაცია შეყვანილი. აქედან მარტო ოთხს აქვს მიწერილი «Кличка наблюдения» მაგალითად, «Дедаберов Шио захарович (кличка наблюд. «Берковец»), Джабадари Владимир Георгиев (кличка наблюдения «Подбородок», Тавзარашвили Михаил Михайлов (кличка наблюдения «ужасный»), Адамашвили Михаил (кличка наблюд. «Курок») [სეა, ფ. 153, ან. 1, ს.3267, გვ. 61]. როგორც ვხედავთ, სიაში მიხეილია შეყვანილი და არა მისი გარდაცვლილი მამა. 1909 წელს დიდი მწერალს დაბადების მოწმობა ჯავახიშვილის გვარზე აუღია. ადამიანი ერთხელ იბადება და დაბადების მოწმობასაც მაშინ აძლევენ. წლების შემდეგ მან შეიძლება ძველი ჩანაწერის ასლი აიღოს. ხოლო თუ ის ასლის ნაცვლად, სხვა გვარზე შევსებულ ახალ მოწმობას აიღებს, ასეთ დაბადების მოწმობას ყალბი ეწოდება, რამეთუ თავს მეორედ ვერავინ იშობს. ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით მიხეილ (ნათლობის სახელია – მისა) ჯავახიშვილის დაბადების ნამდვილ ჩანაწერს, სადაც ის ადამოვის გვარით არის გატარებული, თუმცა ისიც ვნახეთ, რომ 1886 წლის კამერალურ აღწერაში 5 წლის მიხეილი თავის მშობლებთან და დებთან ერთად ტოკლიკოშვილების საგვარეულოს წევრად არის დაფიქსირებული. ქ. ჯავახიშვილი გვამცნობს რა, რომ 1909 წელს აღებული მოწმობა ჯავახიშვილის გვარზეა, განაგრძობს: „ასევე ორ გვარზეა მიღებული წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის დამთავრების მოწმობაც. იქ ჩანერილია ადამაშვილი-ჯავახიშვილი. ასე, რომ 1909 წლიდან, ყველა საბუთი ჯავახიშვილის გვარზეა“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ, 1984, გვ. 122]. იბადება კითხვა: თუ მ. ჯავახიშვილს მხოლოდ 1909 წელს გაახსენდა თავისი შორეული წინაპრების გვარი და ამ წლიდან მისი ყველა საბუთი ჯავახიშვილის გვარზეა გაცემული, მაშინ საიდან გაჩნდა ორმაგი გვარი წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის დამთავრების მოწმობაში? მან ხომ აღნიშნული სასწავლებელი 12 წლით ადრე, 1897 წელს დაამთავრა. ქ. ჯავახიშვილი აღარ აზუსტებს, რომ როგორც ჩანს, მ. ჯავახიშვილმა სასწავლებლის დამთავრების მოწმობაც ხელმეორედ აიღო, ან ძველ მოწმობაში ადამაშვილის გვარს – ჯავახიშვილი დაუმატა და ეს დოკუმენტი დაბადების მოწმობის აღების დროს გამოიყენა. გვარის შეცვლა არც ისეთი ადვილი საქმე იყო. აქედან გამომდინარე, მას ან მატერიალურად უნდა დაეინტერესებინა ის მოხელეები, ვის ხელშიც გვარის „აღდგენა“ იყო, ან შეცდომაში უნდა შეეყვანა, ვფიქრობ, მან ეს უკანასკნელი გზა აირჩია, რაზედაც კონსპირაციის აუცილებლობამ უბიძგა. გვარის შეცვლის საკითხი სახაზინო პალატაში წყდებოდა ხოლმე. საარქივო დოკუმენტების შესწავლამ დამანახა, რომ ნამდვილი გვარის აღსადგენად მხოლოდ განცხადების დაწერა საკმარისი არ იყო. ითხოვდნენ ოჯახის წევრების დაბადების და ნათლობის მეტრიკულ მოწმობებს, ხოლო თუ ისინი ცოცხლები აღარ იყვნენ, მა-

შინ „გვარის შესწორებისთვის აუცილებელ“ გარდაცვალების მეტრიკულ მოწმობებს. 1909 წელს, მ. ჯავახიშვილს რომ გვარის აღდგენა მოეთხოვა, მსგავსი რთული პროცედურა უნდა გაეწყო. ვფიქრობ, მწერალმა გვარის გამოცვლის უფრო ადვილი გზა აირჩია და საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს დაკარგული მოწმობის ასლს ითხოვდა. ასლებს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა იძლეოდა, მაგრამ მხოლოდ საეკლესიო ჩანაწერის შემონახვის შემდეგ. მ. ჯავახიშვილი დაბადებული იყო სოფელ ზემო წერაქეში. როგორც 1873 წლის კამერალური აღწერის მასალებით დავადაგინე, ამ სოფელში სულ 14 კომლი ცხოვრობდა [სეა, ფ. 254, ან.3, ს. 244, 443]. ესოდენ მცირეკომლიან სოფელში მეტრიკულ ჩანაწერებს არ აწარმოებდნენ. მ. ჯავახიშვილის ნამდვილი მოწმობაც მეზობელი სოფლის, ოფრეთის პეტრე-პავლეს ეკლესიის მიერ იყო გაცემული. ეს ფაქტი მას გვარის გამოცვლის დროს, ჩინოვნიკებისათვის გზა-კვალის აბნევის საშუალებას აძლევდა. თუ იმ სოფელში, სადაც მწერალი დაიბადა, ჩანაწერი არ აღმოჩნდა, მეზობელ სოფლებში ძიებას აღარ დაიწყებდნენ. არსებობდა კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი. როგორც ვნახეთ, საბა ადამაშვილის (იმავე ტოკლიკიშვილის) ოჯახი ზემო მაჩხაანის კამერალურ აღწერაშია დაფიქსირებული. იმის მიუხედავად, რომ საბა ცოლის შერთვის შემდეგ სოფელ ზემო წერაქეში დასახლდა და შვილებიც აქ შეეძინა, მისი ოჯახი ამ სოფლის არც 1873 წლის და არც 1886 წლის კამერალურ აღწერებშია შეყვანილი. კამერალურ აღწერებში ამ ოჯახის „გამორჩენა“ მ. ჯავახიშვილს საქმეს უადვილებდა: რადგან ჩანაწერი არ არსებობდა, მისი და მისი და-ძმების ნამდვილი გვარის შემონახვაც წერაქვის კამერალური აღწერების მიხედვით ვერ მოხერხდებოდა. თუ მწერალი თვითონ არ განაცხადებდა, რომ მამამისი წარმოშობით ზემო მაჩხაანიდან იყო, მაჩხაანის კამერალური ჩანაწერების შემონახვა ჩინოვნიკებს აზრად არ მოუვიდოდათ. ასეთ ვითარებაში, საკმარისი იქნებოდა მ. ჯავახიშვილს რამდენიმე მეგობარი მიეყვანა მოწმედ, რომ თავისთვის და თავისი ძმისთვის (ან იქნებ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სხვა ნათესავებისთვისაც) ჯავახოვის გვარი დაემკვიდრებინა. შემდგომში კი, ჯავახოვი ჯავახიშვილად იქცა და თავადობის უსაფუძვლო პრეტენზიები გაუჩინა მწერლის ოჯახის წევრებს, რომელთა გამოც ამდენ შრომას არ დავხარჯავდი, რომ არა ერთი გარემოება: არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი ამბიციები თავად მიხეილ ჯავახიშვილსაც გასჩენოდა, რის გამოც თავისი გამორჩეულობის დამტკიცებას სისხლის მეშვეობით ცდილობდა, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

მახსენდება, რომ გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგში“ სიტყვა „კომპლექსი“ პირდაპირ ფროიდით ჩაანაცვლა: „ფროიდი თუა მისი“ [მ. ხომერიკი, „ჰიერატიული „გველის პერანგსა“ და „ფალესტრაში“, ყუნ. „განთიადი, 1990, №2]. ალბათ, გლახობა თუ იყო მიხეილ ჯავახიშვილის „ფროიდი“.

ყველა საკუთარი ფესვებიდან მოდის, მოსწონს მას ეს თუ არა. კარგი იქნებოდა, ქალბატონი რუსუდან ჯავახიშვილი ამ ჭეშმარიტებას რომ შეგუებოდა და თავი შეეკავებინა მკითხველების შეცდომაში შეყვანისაგან. ბევრი საქმეში ჩაუხედავი მკითხველი (მათ შორის ზოგი ისტორიკოსიც) უკრიტიკოდ იღებს მისი ფანტაზიით შექმნილ ვერსიებს, რადგან სწამთ, რომ დიდი მწერლის ქალიშვილი მხოლოდ სიმართლეს უნდა ამბობდეს.

42
Листокъ для посѣтителей,

иентя мѣсяца 31 числа 1910 года.

Фамилія Досавахова

Имя Спиридонъ

Отчество Саввовичъ

Званіе хрестіанинъ

Адресъ: (А. Мавер) Ведзинская, 9

Кого желаетъ видѣть Тодюковича
Башинскаго

По какому дѣлу По дѣлу брата
Михаила Досавахова.

Убодително прошу не отка-
зано принятъ меня лично для
пробавноу слугать прошу не отка-
зано водать справку, въ какомъ



საქართველოს ეროვნული
არქივი
National Archives of Georgia

22	<p>67. ^а ДЖИВАХОВЪ, Савва Адамовичъ. Крестьянинъ Тифлисской губ. (см. АДАМШВИЛИ Михаилъ кличка наблюд. "Нурокъ")</p>	<p><i>Списокъ в отделе</i> <u>№ 2.</u></p>
----	--	---

№19. [лгд, ф. 153, сб. 1, л.3267, об. 61].

დანართი №1. ბორჩალოელი ჯავახოვები

და მაინც დიდმა მწერალმა, ჟანდარმერიისთვის კვალის ასახვევად, რატომ აირჩია ჯავახიშვილის გვარი? მას უნდა აეღო ისეთი გვარი, რომელიც მის მშობლიურ მხარეში გავრცელებული იყო და ეჭვს არ გამოიწვევდა. ჩვენ ვნახეთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილის მშობლების ჯვრისწერის, შვილების დაბადების და გარდაცვალებიდან ჩანანერები სოფელ ოფრეთის პეტრე-პავლეს ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში აღმოჩნდა დაფიქსირებული. ბორჩალოს მაზრაში მართლმადიდებლური ეკლესიების სიმცირე იყო. ამის მაგალითად გამოდგება სოფელი დიდი შულავერი, სადაც საქართველოს რუსეთთან ძალადობრივი შეერთების შემდეგ, მეფე თეიმურაზ II-ის აშენებული ციხე-სიმაგრე და ეკლესია, როგორც დოკუმენტურად დავადგინე, ფიროსმანის გამზრდელი ქალანთაროვების წინაპრებს დაუნგრევიათ [მ. ხომერიკი, „ფიროსმანზე და არა მხოლოდ...“, თბ., 2017]. სოფელი ოფრეთი XIX საუკუნეში თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნებით იყო დასახლებული, რომლებსაც ქრისტიანობა ჰქონდათ შენარჩუნებული. რუსეთის მთავრობამ მათ სხვა სოფლებიც დაუთმო. ამ სოფლის კამერალური აღწერა პირველად 1831 წელს ჩატარდა. აღნიშნულია, რომ ამ სოფლის მცხოვრებლების აღწერა ადრე არ ჩატარებულა. სოფლის მთელი მოსახლეობა ბერძნულია. ამ აღწერაში პირველად ვხვდებით ეროვნებით ბერძენ ჯავახოვებს: «2,020 Осип Христофоров сын Джавахов...2,023 Иван Шермазанов сын Джавахов» [სეა, ფ.254, ან. 1, ს. 1254, გვ. გვ. 403ა, 404ა].

სავარაუდოდ, ზოგი ბერძენი ჯერ ჯავახეთში დასახლეს, საიდანაც შემდგომ გადმოვიდნენ საცხოვრებლად და გვარად ჯავახი, ან ჯავახოვი აიღეს. რასაკვირველია, ეს ამ გვარების ყველა წარმომადგენელზე არ ითქმის. მათ შესაძლოა, სხვადასხვა წარმომავლობა ჰქონდეთ, ისევე, როგორც გურჯიელებს, გურჯიშვილებს, გურჯი-ოდლებს. უტყუარი ფაქტი კი ის არის, რომ სოფელ ოფრეთის მთელი მოსახლეობა ბერძნული იყო. ამ სოფელში ჯავახის გვარს 1834 წლის მეტრიკულ წიგნში ვხვდებით: „ბორჩალოს მაზრის დისტანციის სოფლის ოფრეთის წმინდისა მოციქული პეტრე და პავლეს ეკლესიას შინა...ამავე სოფლის მცხოვრებ სახაზინო გლეხს იოანე ოსეფას ძე ჯავახს და სჯულიერ ცოლსა მისსა მარიამს ოსეფას ასულს დაებადა ქალი მალდალინა [ფ. 489, ან. 6, ს. 206]. ასევე ვხედავთ ოფრეთში მცხოვრები სახელმწიფო ყმის თეოდორე ჯავახის ქალს, მარიამს [ფ. 489, ან. 6, ს. 206]. იმავე 1834 წლიდან, ოფრეთში ჯავახოვებს ვხვდებით: ამავე სოფლის მცხოვრებს სახაზინო ყმა იოანე ჯავახოვს დაებადა ქალი სიდონია [ფ. 489, ან. 6, ს. 206]. სახაზინო ყმას იოსებ ხრისანტეს ძე ჯავახოვს დაებადა ქალი ანნა [ფ. 489, ან. 6, ს. 206]. სოფელ ოფრეთში მცხოვრებელმა სახელმწიფო გლეხმა იორდანე იოანეს ძე ჯავახოვმა ჯვარი დაიწერა [ფ. 489, ან. 6, ს. 286]. ამავე სოფლის მცხოვრებელს სახელმწიფო გლეხს იოსებ ხრისანტეს ძე ჯავახოვს შეეძინა ვაჟი – ლაზარე [ფ. 489, ან. 6, ს. 286]. ამავე სოფლის მცხოვრებელს სახელმწიფო გლეხს თომა ხრისანტეს ძე ჯავახოვს შეეძინა ვაჟი – კირიაკე [ფ. 489, ან. 6, ს. 286]. ჩანს ამავე სოფლის მცხოვრებელი სახელმწიფო ყმა იოანე შერმაზანის ძე ჯავახოვი [ფ. 489, ან. 6, ს. 310ა]. ამავე სოფლის მცხოვრებელ სახაზინო ყმას იოსებ ხრისანტეს ძე ჯავახოვს შეეძინა ვაჟი – ხრისანტე [ფ. 489, ან. 6, ს. 370]. ამავე სოფლის მცხოვრებელს სახაზინო ყმას გიორგი იოანეს ძე ჯავახოვს შეეძინა ქალი – ბარბარე [ფ. 489, ან. 6, ს. 370]. ამავე სოფლის მცხოვრებელს სახელმწიფო ყმას იორდანე იოანეს ძე ჯავახოვს შეეძინა ვაჟი – კირიაკოზ [ფ. 489, ან. 6, ს. 370]. ამავე სოფლის მცხოვრებელს სახელმწიფო ყმას თომა ხრისანტეს ძე ჯავახოვს შეეძინა ვაჟი – ლაზარე [ფ. 489, ან. 6, ს. 370]. ამავე სოფლის მცხოვრებელს სახელმწიფო ყმას იოანე იოსების ძე ჯავახოვს შეეძინა ვაჟი – ილნატი [ფ. 489, ან. 6, ს. 370]. აქვეა ამავე სოფლის მცხოვრებელს სახელმწიფო ყმა იოანე შერმაზანის ძე ჯავახოვი [ფ. 489, ან. 6, ს. 370]. 1840 წელს ვხედავთ სახელმწიფო ყმებს – იოანე იოსების ძე ჯავახოვს, თომა ხრისანტეს ძე ჯავახოვს, გიორგი იოანეს ძე ჯავახოვს, იოსებ ხრისანტეს ძე ჯავახოვს [ფ. 489, ან. 6, ს. 370]. ოფრეთში მცხოვრებ სახაზინო ყმას იოსებ ქრისანტეს ძე ჯავახოვს შეეძინა ვაჟი – სტეფანე. ამავე სოფელში მცხოვრებ სახაზინო ყმას პავლე იოანეს ძე ჯავახოვს შეეძინა ვაჟი ალექსანდრე [ფ. 489, ან. 6, ს. 648]. დავასახელებ კიდევ რამდენიმე ოფრე-

თელ ჯავახოვს: 1871 წელს „ოფრეთის მცხოვრებ ხრისანთე იოსების ძე ჯავახოვს“ შეეძინა შვილი – ეკატერინე; – „ოფრეთის მცხოვრებ პეტრე გიორგის ძე ჯავახოვს“ შეეძინა შვილი – სოლომონი; დიმიტრი ფეოფანეს ძე ჯავახოვს შეეძინა შვილი – მიხეილი [სეა, ფ. 489, ან. 32, ს. 1]. ხოლო 1872 წელს, ოფრეთის მცხოვრებ **მიხაილ საბას ძე ჯავახოვს შეეძინა შვილი** – ანა [სეა, ფ. 489, ან. 32, ს. 1, 1872]. ჯავახოვის პარალელურად იწერება – ჯავალოვ. ასე მაგალითად: „ოფრეთში მცხოვრებელნი სახელმწიფო ყმანი თეოდორე შარმაზანის ძე ჯავახოვ... იოსებ ხრისანთეს ძე ჯავალოვ“ [ფ. 489, ან. 6, ს. 336]. „ამავე სოფელს ოფრეთში მცხოვრებელი სახაზინო ყმა გიორგი იოანეს ძე ჯავალოვ“ [ფ. 489, ან. 6, ს. 336].

მეტრიკულ წიგნებში ეროვნება იშვიათად არის ხოლმე აღნიშნული, მაგრამ ასეთი მაგალითებიც გვაქვს: „სასიძოსანი ოფრეთში **მცხოვრებნი სახაზინო ბერძენი** ...აბრამ თეოდორეს ძე ჯავახოვ. სარძლოსანი იაღდანში მცხოვრებნი მემადნენი... კირიაკოს ამირას ძე **ჯავახოვ**“ [ფ. 489, ან. 6, ს. 921] (სურ №20). თუ საეკლესიო მეტრიკულ წიგნებიდან ეროვნების დადგენა ყოველთვის ვერ ხერხდება, კამერალური აღწერის წიგნებში ეროვნება სპეციალურ გრაფაში იწერებოდა. ყველა ჯავახოვი ბერძენი იყო. გაგაცნობთ რამდენიმე ბერძენი ჯავახოვის ოჯახის წევრებს ოფრეთის 1873 წლის კამერალური აღწერის წიგნიდან: „39. ისააკ ივანეს ძე ჯავახოვი 33 წლის. მისი ვაჟი ნიკოლაი – 5 წლის. ისაკის ძმისშვილები – თეოფილაქტე 5 წლის. გიორგი 3 წლის“ [ფ. 254, ან. 3, ს. 123, გვ. 144]. „41. საბა ივანეს ძე ჯავახოვი 53 წლის. მისი ვაჟები – მიხეილ 23 წლის. დიმიტრი 15 წლის. რომელი სარწმუნოებისა – მართლმადიდებლური. რა ჩამომავლობისა – ბერძნული. რა ხელობას აწარმოებენ – მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას“ [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 123, გვ. 145]. ახლა კი იმავე სოფლის 1886 წლის კამერალური აღწერის წიგნში ჩავიხედოთ, სადაც აღწუსებული არიან სახაზინო მიწაზე მცხოვრები სახაზინო გლეხები: „16. დიმიტრი საბას ძე ჯავახოვი 28 წლის. მისი ცოლი: სოფია /აგათია/ 20 წლის. ქალიშვილები: 1. პელაგია 4 წლის. 2. ნატალია 2 წლის. დედამისი – ელენა 50 წლის. 17. **მიხეილ საბას ძე ჯავავეი** (გვარი შეცდომით წერია: უნდა იყოს – ჯავახოვი) [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 1559] (სურ. №21). ასევე „19. ივანე ივანეს ძე ჯავახოვი 51 წლის. მისი ვაჟები: 1. ლაზარე 27 წლის. 2. ალექსანდრე 14 წლის. 3. ვასილი 10 წლის. 4. აბრაამ 4 წლის. ძმისშვილი პავლე ეგნატეს ძე. მისი ძმა ეგნატე მოკვდა“ [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 1559, გვ. 77].

ყველა ოფრეთელ ჯავახოვს უწერია ეროვნება – ბერძენი [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 1559] (სურ. №22). როგორც ვხედავთ, ბორჩალო ჯავახოვებით იყო სავსე. ცხადია, მიხეილ ჯავახიშვილისთვის გვარის შეცვლის დროს, ყველაზე უფრო იოლი ჯავახოვის გვარის აღება იყო.

ვის აღსრულად ხელმძღვან.

ვის ავტორი თაველიძე ი.

ქვლის მაქრა, მოქმედი
რომელიცა სკისი მწერა
სუკრიათის მგისი.

მეორე ქორწინებათა
მეუღლეობის

სამართლის ავტორი მეორეობის
მისი ავტორი. სასაბუჟო
ქორწინება, სასაბუჟო
მისი სასაბუჟო ქორწინება
მისი სასაბუჟო. სამართლის
მისი მეორეობის უპირობო:
მისი მეორეობის უპირობო
მისი მეორეობის უპირობო
მისი მეორეობის უპირობო

და

ვი სასაბუჟო

სამართლის ავტორი მეორეობის
მისი მეორეობის უპირობო

სამართლის ავტორი მეორეობის
მისი მეორეობის უპირობო
ქორწინება, სასაბუჟო
მისი სასაბუჟო ქორწინება
მისი სასაბუჟო. სამართლის
მისი მეორეობის უპირობო
მისი მეორეობის უპირობო
მისი მეორეობის უპირობო
მისი მეორეობის უპირობო



თავი II. 1900-იანი და 1910-იანი წლები

II. 1. ილიას საყვედური

დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი იხსენებდა: „1906 წლის გაზაფხულზე ავადმყოფ ილია წინამძღვრიშვილის სანახავად მივედი. მალე ჭავჭავაძეც შემოვიდა. ავადმყოფი მოიკითხა და საუბარი გააბა. შავბნელი აზრებით იყო შეპყრობილი. ჯერ „ივერიის“ ბედი გაიხსენა. ეს გაზეთი მისი ნაშვილევი იყო. იგი რამდენიმე ათეულ წელიწადს ზიდა, მერე თავის ერთგულ ა. სარაჯიშვილს გადასცა, მან ილიას გზით მავალ ყოფშიძეს ჩააბარა, ამან კი – ამ ახალგაზრდას გადაულოცაო“ – სთქვა ილიამ ჩემზე და შემდეგ გოგიჩაიშვილსაო. ეს კიდეც არაფერი. ერთმა გაზეთმა ილია ფეოდალად და გლეხების მტანჯველად გამოაცხადა. გესმის ილიავ, თურმე ხალხის მტერი ვყოფილვარ! – შფოთავდა ჭავჭავაძე – ფეოდალი ვყოფილვარ, ბატონყმობის აღდგენა მსურვებია!“ მე და ილია წინამძღვრიშვილი ვლამობდით ილია დაგვეწყნარებინა, მაგრამ ის ველარ ისვენებდა, ახალმა თაობამ ჩემდამი უმადურობა გამოიჩინაო. ვილაც ვიგინდარამ ილიას სახელს წუმპე შეასხა, სიყალბით სავსე კორესპონდენცია შეითთხნა. „ივერიამ“ იგი „მოგზაურიდან“ გადმობეჭდა და შემდეგ უარესიც ჩაიდინა: ილიას პასუხს „ნუთუს“ შენიშვნა დაურთო, ზოგ რამეს არ ვიზიარებთო, ესე იგი – ილიამ თავი სავსებით ვერ იმართლაო. ამ დროს მეც „ივერიაში“ ვმუშაობდი. **ყმანვილო, ნუ თუ ამ შენიშვნამ არ გაგანითლათ: – მომიბრუნდა ჭავჭავაძე.** მე თავი ვიმართლე: წერილისა და შენიშვნისა წინასწარ არაფერიც არ ვიცოდი-მეთქი“ [ქ. ჯავახიშვილი, „ილია და მიხეილ ჯავახიშვილი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981, 25 სექტემბერი]. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე, ქართველი ემიგრანტი, პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი – მიხეილ ქავთარაძე (რომელმაც დამოუკიდებელ საქართველოში დაასრულა სიცოცხლე), ამ ამონარიდს თავის კომენტარს ურთავს: „როგორი აღმძვრელი სურათია! ათეულ წელთა განმავლობაში სამშობლოზე ზრუნვით და ქვეყნის ტკივილებით, საქართველოზე ფიქრით და გონების უაღრესი დაძაბვით დაღლილი და ჯანშეღებულნი, უდროოდ მოხუცებულ ილიას სიტყვები: „ახალთაობამ ჩემდამი უმადურობა გამოიჩინა – ყმანვილო, ნუ თუ ამ შენიშვნამ არ გაგანითლათ“. მ. ქავთარაძე მ. ჯავახიშვილსაც ეხება: „წინასწარ არაფერი ვიცოდიო!“ როცა გაიგო მაშინ რად არ ასტეხა განგაში. რატომ უმალვე არ მივიდა ილიასთან ბოდიშის მოსახდელად... მიხეილ ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა (? – მ. ხ.) სწორედ ის არის, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლად მოგვითხრობს ამ ამბავს. მან ხომ, მწერლობის ოსტატმა, მშვენივრად იცის, რომ მკითხველს საშუალებას უტოვებს, ინციდენტის მრავალგვარად ინტერპრეტაციისა. ამით არის, რომ **ჯავახიშვილი თავისთავსაც არ გამოირცხავს თეიმურაზთა დასიდან** და თავადაც კისრულობს პასუხისმგებლობას. „ჯაყოს ხიზნები“ ერთგვარი „შახსეი ვახსეია“ (ასე უწოდებდნენ ტფილისში სპარსელთა რელიგიურ წესს, რომლის დროსაც მორწმუნენი თავიანთ თავსა სცემდნენ ზოგჯერ სისხლის დენამდე)“ [მ. ქავთარაძე, „ნაწერები და სიტყვები“, პარიზი, 1997, გვ. 15]. დავძენ, რომ მ. ქავთარაძე საფრანგეთში ეროვნულ დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, სპირიდონ კედიას, გარდაცვალების შემდეგ, განაგრძობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას, ხოლო 1950-იანი წლებიდან რედაქტორობდა ჟურნალ „ივერიას“. ის ერთადერთი ავტორი არ ყოფილა, ვინც დიდ მწერალსა და მის ლიტერატურულ გმირ თეიმურაზს შორის მსგავსებას ხედავდა. ასეთივე აზრის იყო ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მეორე თვალსაჩინო მოღვაწე და დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი შალვა ამირეჯიბი, რომელიც 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. მოღვაწეობდა საფრანგეთში. ალბათ, ეს დასახელებული ავტორები ჩვენზე უკეთ თუ არა, ჩვენზე ნაკლებად არ იცნობდნენ მაშინდელ რეალობას და თავიანთივე პარტიის წევრ მიხეილ ჯავახიშვილს უპასუხისმგებლოდ არ შეაფასებდნენ.

ახლა კი, კვლავ მ. ჯავახიშვილის მოგონებას გადავხედოთ. ის წერს, რომ „ივერიაში“ ილიას პასუხს, „ნუთუს“, შენიშვნა დაურთო, ზოგ რამეს არ ვიზიარებთო. სინამდვილეში, „ივერიის“ რედაქ-

ციამ აღნიშნული შენიშვნა დაურთო „მოგზაურიდან“ [ჟურნ. „მოგზაური“, 1905, №13] გადმობეჭდილ წერილს „საგურამოსა და ჭოპორტის საზოგადოება“. „ივერიამ“ ასეთი მინაწერი დაურთო: „თუ რომ ცნობილი მგოსანი ასეთ ამბებს სჩადის გლახებთან, მამ საგურამოს სხვა მებატონეები რაღას იზამენ? ეს მკითხველისთვის მიმინდვია გამოსაცნობად...ნუ თუ ეს აღმამფოთებელი ამბავი მართალია? ნუ თუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქ გლახებთან? ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ სანამ თვითონ თ. დი ილია ხმას არ ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს“ [„ივერია“, 1905, №54]. ილიამ მართლაც გასცა დასაბუთებული პასუხი, რომელსაც „ნუ თუ“ დაარქვა [ი. ჭავჭავაძე, „ნუ თუ“, ივერია, 1905 წ., №96], ვინაიდან „ივერიის“ ამ შენიშვნით გამოხატულმა უნდობლობამ ყველაზე მეტად ატკინა გული. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს სათაური რედაქციას შეერჩია.

მწერლის ქალიშვილი ქ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს, თუ როგორ აფასებდა მიხეილ ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძეს, რომლის წიგნების ფურცლებზე მინერილი ჰქონია თავისი აღფრთოვანების გამომხატველი სიტყვები: „ბრწყინვალე“, „მშვენიერი“, „გენიალური“, „პროგრამული“ და სხვა. მიხეილ ჯავახიშვილს ასევე ლიტერატურის მუზეუმისთვის გადაუცია ილიას გვამის გაკვეთისას ამოიღებული, დუშელი მასწავლებლის, დავით კობიაშვილის მიერ შენახული და მიხეილისთვის ნაჩუქარი ორი ტყვია. ეს ყველაფერი ძალიან კარგი და დასაფასებელია, მაგრამ ილიას სიცოცხლეში მიხეილ ჯავახიშვილს ხომ ერთი სიტყვაც არ დასცდენია მის დასაცავად. **ილიას საყვედურიც დაიმსახურა და გულნატკენი გაისტუმრა იმქვეყნად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მიხეილ ჯავახიშვილის ბრწყინვალე აზრები, რასაც თავის ნაწარმოებებში აქსოვდა და უბის წიგნაკში აფიქსირებდა, რადიკალურად განსხვავდებოდა მისი რეალური საქციელისგან.**

II.2. გაზეთ „გლახის“ რედაქტორობის საკითხი

1910 წლის 26 ივნისს პოლიციის დეპარტამენტში გაიგზავნა პოლკოვნიკ პასტრიულის საიდუმლო მინერილობა, სადაც ნათქვამია, რომ 1910 წლის 1 მაისს დააპატიმრეს მ. ჯავახოვი: «Крестьянин с. Сиони, борчалинского уезда, Михаил Саввич Джавахов, 29 лет». მან განაცხადა, რომ 1906 წლის აპრილიდან აიღო ნებართვა ქართული ჟურნალი „გლახის“ გამოცემაზე. პირველი ნომერი მაისის ბოლოს გამოიცა, ხოლო მე-3 ნომერი კონფისკირებული იქნა. ივნისის დასაწყისში „გლახი“ დაიხურა. ჯავახოვმა შეიტყო, რომ პასუხისგებაში იყო მიცემული როგორც გამომცემელი და უცხოეთში მიიძალა. ჯავახოვი წერდა ადამაშვილის ფსევდონიმით. ტფილისში ქართული გაზეთი „გლახის“ გამომცემელი იყო მიხეილ საბას ძე ადამაშვილი, რომელსაც გაზეთის მე-3 ნომრის გამოშვების გამო, ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულში. „ამჟამად დაკავებული ჯავახოვი, იგივე ადამაშვილი, ექვემდებარება დაპატიმრებას“ [სეა, ფ. 153, ან. 27, ს. 1820, ფ. სფ. 37, 38] (სურ.№23).

1970-იან წლებში, გაზეთ „გლახის“ რედაქტორობის საკითხის ირგვლივ, პოლემიკა გაიმართა. 1989 წელს გამოცემულ „ანოტირებული ბიბლიოგრაფიაში“ ავტორები აცხადებენ: „წინამდებარე ბიბლიოგრაფიაში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვეტანა ის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცნობებიც კი, რომლებშიც გაკვრით არის მოხსენიებული მ. ჯავახიშვილი, მაგრამ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის სახელთან დაკავშირებული რიგი საინტერესო საკითხების გარკვევის თვალსაზრისით“. მიუხედავად ამისა, **ზემოაღნიშნული პოლემიკა ბიბლიოგრაფიაში ასახული არ არის.** მოკლედ შევეხოთ ამ საკითხს. ტარიელ კვანჭილაშვილი წერილში „კომენტარი ზედმეტი არ არის“ [ჟურნ. „ცისკარი“, 1971 წ., №6] შეეკამათა მკვლევარ ლეილა ნანიტაშვილს და შეეცადა დაემტკიცებინა, თითქოს, „გლახის“ ფაქტობრივი რედაქტორი სამსონ ფირცხალავა კი არა, მიხეილ ჯავახიშვილი იყო და მასვე ეკუთვნოდა მონინავე წერილები. ტ. კვანჭილაშვილი დავით კასრაძის მემუარებსაც იშველიებს: „მ. ჯავახიშვილი დ. კასრაძეს პირდაპირ მიმართავს და ეუბნე-

ბა: დავაარსე „გლეხიო“. შენი პირველი ლექსი მის პირველ ნომერში მოვათავსეო...“ ქალბატონმა ლეილა ნანიტაშვილმა კი გამოააშკარავა, რომ დ. კასრაძის ლექსი „გლეხის ღიღინი“ „გლეხის“ ფურცლებზე საერთოდ არ დაბეჭდილა. ეს ლექსი „გლეხის გოდების“ სათაურით გამოქვეყნდა გაზ. „მინაში“, 1907 წლის 27 იანვარს (№5), როდესაც მის. ჯავახიშვილი საქართველოში არ იმყოფებოდა [„უსაფუძვლო კომენტარების გამო“, წიგნში: ლ. ნანიტაშვილი, „წერილები“ 1981 წ., გვ. 71]. **ამ ორი პუბლიკაციიდან ვერც ერთი ვერ მოხვდა ქ. ჯავახიშვილისა და ე. გენძეხაძის შედგენილ ბიბლიოგრაფიაში.** ტ. კვანჭილაშვილის და ლ. ნანიტაშვილის კამათი განხილულ იქნა 1973 წლის 4 იანვარს, ჟურნალისტიკის კათედრის საჯარო სხდომაზე, რომელზედაც ლ. ნანიტაშვილის სიმართლე დადგინდა. იოსებ ბოცვაძის მიერ სხდომაზე წაკითხული მოხსენება „გაზეთ „გლეხის“ რედაქტორობის ვინაობის საკითხისათვის“, შემდეგ გამოქვეყნდა ჟურნალში [„ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1973 წ., №3]. ავტორი ერთ საკითხსაც შეეხო. 1911 წელს მ. ჯავახიშვილმა ციხიდან მეფისნაცვალს გაუგზავნა თხოვნა, რომელშიც გულახდილად გაუმხილა მას: „მე ვიყავი მხოლოდ ფიქტიური რედაქტორი აღნიშნული გაზეთისა, რომლის რედაქტირებაში არ ვიღებდი არავითარ მონაწილეობას“. ეს განცხადება სიმართლეს შეესაბამებოდა, მაგრამ მ. ჯავახიშვილმა ხომ იცოდა რაზეც მიდიოდა, როდესაც ფიქტიურ რედაქტორობაზე დათანხმდა. იოსებ ბოცვაძე აღნიშნავს, რომ მწერალი „ცდილობს ჟანდარმერიის მარწუხებიდან თავის დაძვრენას, მარყუჟის აცილებას, მაგრამ ამავე ჩვენებით ხომ უბიძგებდა ჟანდარმერიას ეძებნა ნამდვილი „დამნაშავე“? **თავისთავად ცხადია, რომ ი. ბოცვაძის ამ წერილს ქ. ჯავახიშვილი თავის ბიბლიოგრაფიაში არ ახსენებდა.** ქ. ჯავახიშვილის მოგონებებში გაკვრით არის ნახსენები, რომ მ. ჯავახიშვილი პირველად 1910 წელს იყო დაპატიმრებული „გაზეთ გლეხის რედაქტორობისათვის“.

ახლა კი, მ. ჯავახიშვილის განცხადებაში ჩავიხედოთ: «Я был только фиктивным редактором означенной газеты, в редактировании которой я не принимал решительно никакого участия» [სეა, ფ.13, ნ. 27, ს.1559] (სურ.№24).

Ф. 94

Секретно.

18/19369

26 июня 1910

Арестованный 1-го мая с/г., какъ привлеченный къ перепискѣ, производимой при ввѣренномъ мнѣ Управленіи въ порядкѣ 23 ст. Правиль о мѣстностяхъ, объявленныхъ на военномъ положеніи, крестьянинъ с. Сіони, Борчалинскаго уѣзда, Михаиль Саввичъ Д Ж А В А - Х О В Ъ, 29-ти лѣтъ, на вторичномъ допросѣ 24 мая с/г. заявилъ, что съ апрѣля 1906 года онъ взялъ разрѣшеніе на изданіе грузинскаго журнала "Глехи" въ гор. Тифлисѣ, первый № "Глехи" вышелъ въ

ВЪ Д Е П А Р Т А М Е Н Т Ъ П О Л И Ц И И.


по осад. суд.



საქართველოს ეროვნული არქივი
National Archiver of Georgia

вину записи о моих политических девициях. 3) Вспомнить о протоколах дознания записку Станиславскому была представлена обвинительный акт Миф. Суд. наказы по обвинению меня по ст. 129 и 144 ст. ст. Ур. Ул. за нападения в газетной "Искра" в 1906 г. сивашин преследования характера. Это правда, за эту вину по приговору суда я уже нес наказание, в особенности, я был только физическим редактором означенной газеты, в редактировании которой я не принимал участия ни как и никакого участия и не мог принимать, т.к. за все время моего императорского деятельности, сивашин и время издания газеты "Искра", я состоял одним из главных сотрудников самой императорской и в то же время либо существовавших на грузинском языке газет "Искра", издававшихся кн. Пав. Геор. Турмановичем. Другая, что одновременно я не мог работать в двух противоположных по направлению газетах, во всяком случае несправедливо наказывать меня физически и гораздо сильнее, чем наказан суд, за одно и то же деяние, совершенное, вдобавок, пять лет тому назад. При этом я считал себя принужденным к этому с 1906 года я совершенно ушел от императорско-общественной деятельности все это время находилась за границей, была занята исключительно по личным делам и физически не мог чем либо проявить мою противоположную общественную деятельность.

За время моего пребывания за границей я подготовил себя к педагогической деятельности, которой я посвятил столько времени и труда, отдавая этому делу последний рубль и буквально ославившись ничем. Благодаря просьбам подруг, осужденному на явном недоразумении, все мои физические труды и материальные средства грузинские окончательно и я вынужден в возрасте 37 лет начинать жизнь сначала; годичное творческое заключение окончательно расшатало мое здоровье, опозорило мое имя и имело для меня возможности во всяком случае, затруднено-добывать кусок хлеба службы. Неужели этого недостаточно, чтобы не бросить меня на пять лет в чужой для меня край, где меня ждет старая гильда, т.к. (во-первых) как политический деятель и (во-вторых) с профессией уйдя в разлуку я не найду



II.3. დემოკრატია ხალხის ჩარევის გარეშე


ქ. ჯავახიშვილი არ აცნობს მკითხველს მ. ჯავახიშვილის მიერ დაწერილ თხოვნას, რომელიც საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. ამ დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ 1910 წელს, ჩხრეკისას, მწერლებისათვის უბის წიგნაკი ჩამოურთმევიათ, რომელშიც მისი პოლიტიკური მრწამსი ყოფილა განცხადებული: „ყველაფერი დემოკრატიისათვის, მაგრამ არა დემოკრატიის გზით“, ე. ი. როგორც თვითონ განმარტავს, ყველაფერი დემოსისათვის, ხალხისათვის, მხოლოდ ხალხის ჩარევის გარეშე. მომყავს ამონარიდები მისი განცხადებიდან: «Мой политически девиз – все для демократии, но не через демократию...я, выработавший такой политический девиз (все для демократии, т. е. для демоса, т. е. для народа, но не через народ), должен быть в политическом отношении более чем умеренным». უფრო მეტიც. დიდი მწერალი თვლიდა, რომ ხალხს თავისი ბედი არ უნდა ეკუთვნოდეს: «изменился и я, и в моем развитии дошел до отрицания за народом права управлять самим собой» [სეა, ფ. 13, ან. 27, ს. 1559] (სურ. №25). ეს პოსტულატი დიამეტრულად განსხვავდება ილიასეული პროგრამული დევიზისგან: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“. საკვირველია, რომ გლეხის ოჯახიდან, ხალხის წიაღიდან გამოსული, პირველი თაობის ინტელიგენტი, რომელიც „თავისუფალი მონის“ ფსევდონიმითაც წერდა, ასე ემიჯნება ხალხს. ამ დოკუმენტიდან არ ჩანს, თუ მწერლის აზრით, ვინ უნდა განაგოს ხალხის ბედი. საბჭოთა კრიტიკოსი გურამ გვერდნითელი ზემოთ დამონმებულ დევიზს შემოკლებული სახით გვაცნობს და აზრს უცვლის: „მიხეილ ჯავახიშვილი თავისი მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვით ერთ მიზანს ელტვოდა, სამსახური გაენია მშრომელი ხალხისთვის. საგულისხმოა, რომ უბის წიგნაკში, რომელიც მეფის „ოხრანკამ“ მიხეილ ჯავახიშვილის ბინის ჩხრეკის დროს ჩამოართვა მწერალს, ეწერა: „ჩემი დევიზია: ყველაფერი დემოკრატიისათვის“. ამ დევიზს მიხეილ ჯავახიშვილი ერთგულად მისდევდა და ემსახურებოდა მთელი თავისი შემოქმედებით და მოღვაწეობით“ [გ. გვერდნითელი, „მიხეილ ჯავახიშვილი“, წიგნში: „მიხეილ ჯავახიშვილი“, თბ., 2004, ტ. I, გვ. 9]. კრიტიკოსი მაღავეს, რომ მწერლის აზრით, სწორედ მშრომელ ხალხს უნდა ჩამოერთვას თავისი თავის მართვის უფლება.

მ. ჯავახიშვილი მეფისნაცვალს სთხოვდა, რომ არ გადაესახლებინათ კავკასიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ძმა ველარ შეძლებდა სწავლის გაგრძელებას [სეა, ფ. 13, ან. 27, ს.1559, ფ.ფ. 104-105]. შემდგომი დაპატიმრების დროს, 1923 წელს, ძმაზე ზრუნვას ცოლ-შვილზე ზრუნვა შეცვლის, რის გამოც მ. ჯავახიშვილი კომპრომისებზე წავა.

19908

книжка с некоторыми записями, из которых производились
 доктринали социал-демократии подполковником были от меня потребо-
 ваны объяснения по поводу двух фраз, принадлежащих мне и доста-
 точно ясно характеризующих мой политический облик, а именно:
 запись первая: "Мой политический девиз - все для демократии, но
 не через демократию", и запись вторая: "Учения соц. демократов
 и соц. федералистов - это обувь, сшитая по ноге западной Европы,
 но абсолютно непригодная для нас". Эти записи были внесены
 в протокол дознания как доказательство моего революцион-
 ного заблуждения, между тем - ясно до очевидности - они доказывают
 совершенно противоположное. Не знаю ли для каждого непредубеж-
 денного человека, знакомого с терминологией политического
 языка, что я, разработавший на кон. политический девиз (все для
 демократии, т.е. для народа, т.е. для народа, но не через
 народ), должен быть в политическом отношении более или
 менее реакционер, но самими же этими вышеуказанными фразами
 были исключены в противоположном смысле и поравле-
 ны мои же мысли, как очевидные доказательства моего поли-
 тического безразличия.

2) В опровержение предвзятого мной обвинения я указал на некоторые
 мои статьи, напечатанные в журнале "Искра" в 1906 г., в которых
 я высказал решительный протест против политический идеологии
 соц. федералистов и высказывалась против идеи федеративного
 устройства государства, заимствовал в то же время идею
 широкого местного самоуправления, доступная масса против
 основных положений и идеологии партии федералистов, я не мог
 в то же время принадлежать к этой партии, но в ответ на это
 мне указали на радикальный тон статей, чего я не отрицаю,
 но - я могу быть численно-средним - в то время господства ради-
 кализма и крайних партий родно косо учитывать отнюдь не
 фразы и насильственный. С тех пор прошло пять лет и за это время
 изменились обстановка, условия, условия и люди, изменился и
 я, и в своем развитии дошел до отрицания за народом права
 управлять самим собой, что ясно выражено в высказывании мое в



II.4. მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმი (1910 წ.)

1910 წლის 1 მაისს შედგა მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმი [სეა, ფ.153, აბ. 1, ს. 1839] (სურ. №26, სურ. №27, სურ. №28, სურ. №29).

99 135

ПРОТОКОЛЬ № 4

1910 года, маи „1“ дня, в г. Тифлисе,
 Я, Отдельнаго Корпуса Жандармовъ Подполковникъ
Ваминский, въ порядкѣ ст. 23 Правилъ о мѣстностяхъ, объя-
 вляемыхъ состоящими на военномъ положеніи, допрашивалъ въ качествѣ
 заподозрѣннаго, въ политической неблагонадежности нижепоименнаго,
 котораго онъ показалъ:

- Имя, отчество, фамилія, вре- Михаилъ Савловичъ Абавадзе
 мя и мѣсто рожденія. по мѣст. пел. дашинск. Арамаишвили,
Гнадоръ 1887. в с. Вуртій Церахви,
Борзанин. у.
- Вѣроисповѣданіе; проис- Храбославной, крестьянск.,
 хожденіе; народность; подданство. грузинъ, русское.
- Званіе, мѣсто постоянного Крестьянинъ с. Сиони Бор-
 жительства; мѣсто приписки; заня- занимается уезд. Борзанин-
 тія; средства къ жизни. скаго уезд. в мѣст. Церахви
в 1902 г. в графити оно являлся
Графити, в. Мисимѣ, Беду-
тавскаго уезд. д. А29, надвотна
- Семейное положеніе (имя, на вѣнцѣ уезд. и грузин.
 отчество, жены или мужа, имена свѣтл. уезд. уезд. Саву-
 дѣтей, ихъ занятія и мѣсто житель- нѣва, на кредитѣ мѣстнаго и
 ства). стипендія, вѣва Зубанова.
Долго имѣ.
- Родственныя связи (роди- Родители уезд. Борзанин
 тели, братья, сестры, мѣсто ихъ уезд. в мѣст. Мисимѣ уезд.
 жительства и занятія). Борзанин. мѣст. Борзанин,
М. Свѣтл. Савуцкія:
Меланія Фредерикова, доц.
Грета Крестьянина с. Арабада, доц.
уезд. Арабада, Фредерикова, 32 г.,
и Маргарита Едди. Шенкава,
28 г. уезд. в с. Арабада - в. Ара-
бада.

135

საქართველოს National
 არქივები Archives of
 საქართველო Georgia

№26. [სეა, ფ. 153, აბ. 1, ს. 1834, გვ. 135].

6. Мѣсто постоянного жительства родителей или замѣняющихъ ихъ родственниковъ или опекуновъ.

7. Экономическое положеніе родителей.

8. Мѣсто воспитанія (указать, въ какомъ именно заведеніи, сколько времени пробылъ, почему оставилъ каждое заведеніе, когда поступилъ и когда вышелъ).

9. На чей счетъ воспитывался.

10. Былъ-ли за границею, когда именно, гдѣ, съ какою цѣлью.

11. Привлекался-ли раньше къ дознаніямъ, какимъ, гдѣ и чѣмъ окончены.


Съ 1897 по 1901 г. окончилъ курсъ Императорскаго Московскаго университета садикомъ дѣла и въ маѣ 1901 г. и т. д. Служилъ въ Мелевскомъ уѣздномъ земствѣ и въ 1907 по 1909 г. въ Судобскомъ университетѣ въ Парижѣ.

На счетъ родителей и Давидъ Зубанина.

Съ 1901 г. по августъ 1909 г. въ Швейцаріи въ Мелевѣ и во Франціи въ Парижѣ для изслѣдствъ.

Не привлекался и не судился. —

На предложенные мнѣ вопросы отвѣчаю: Я не принадлежу и не принадлежалъ ни къ какой революціонной аі, въ частности, ^{и политическимъ} (соціалистическо-революціонной), а потому не участвовалъ ни въ какихъ конференціяхъ и изданіяхъ соціалистическо-революціонныхъ. Много незнакомствъ къ составнымъ и издамъ пр. членовъ мнѣ писано и обращеніе къ нимъ пишу касаясь за подписью группы „защиты пр. чл.“



მოცემულია აღნიშნული წიგნის შესახებ
მოტი რედაქციის, ბი. დიმიტრის,
ქაიხაიძის მიერ. ვა. ვა. „მედიკალი“ 1907 წ.
სტ. 101-ის. მ. დიმიტრის.

მადლობა ვთქვამთ



საქართველოს
არქივები
საქართველო
National
Archives of
Georgia

II. 5. მიხეილ ჯავახიშვილი და დვოიურა (დორა) რეზნიკი

მწერლის ქალიშვილები, რატომღაც, არ ახსენებენ იმ ფაქტს, რომ პარიზიდან დაბრუნებულმა მ. ჯავახიშვილმა თან ჩამოიყვანა ეროვნებით ებრაელი, მშვენიერი გარეგნობის ქალბატონი. დოკუმენტურად ირკვევა, რომ ისინი ოფიციალურად დაქორწინებულები არ ყოფილან. ზემოთ დამონშებულ ოქმში მ. ჯავახიშვილი წერს, რომ უცოლოა [სეა, ფ. 153, ან. 1, ს. 1834]. მიხეილი ხომ სხვისი პასპორტით მოგზაურობდა, რაც ცოლის შერთვას გამორიცხავდა. ჯვრისწერას, ალბათ, ისიც უშლიდა ხელს, რომ დვოიურა (დორა) რეზნიკი თავისი აღმსარებლობით იუდეველი იყო. მიხეილი და დვოიურა თბილისში, ბებუთოვის ქ. №29-ში დაბინავდნენ. 1910 წლის 30 აპრილს მიხეილის დასაპატიმრებლად მოსულმა ჟანდარმებმა ჩხრეკა ჩაატარეს. ოქმში №26 აღნიშნულია, რომ ბინა შედგება ერთი პატარა ოთახისაგან, რომელშიც იმყოფებოდა დვოიურა აბრამის ასული რეზნიკი [სეა, ფ. 153, ან.1, ს.1834, გვ.104]. დვოიურას კითხვარი შეავსებინეს [სეა, ფ.153, ან.1, ს. 1820, გვ.14] (სურ. №30). იმავე 1910 წლის 8 მაისს, დ. რეზნიკი წერს ხელწერილს ტფილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის სახელზე, სადაც ადასტურებს, რომ მიხეილ ჯავახოვის ბინის ჩხრეკის დროს ჩამორთმეული ნივთები სრულად დაუბრუნეს [სეა, ფ. 153, ან.1, ს.1834, გვ. 9]. დვოიურა ციხეში ნახულობდა მწერალს, რაც მის სახელზე გამოწერილი საშვებით დაატურდება. საშვებზე მითითებულია მისამართი: ბებუთოვის №29 [სეა, ფ. 153, ან. 1, ს. 1820] (სურ.№31). აღსანიშნავია, რომ 1910 წლის 25 აგვისტოს გამოწერილ საშვში მითითებულია ახალი მისამართი: სოფ. ალავერდი [სეა, ფ. 153, ან.1, ს.1820, გვ.47] (სურ.№32). ზემოთ დამონშებული მ. ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმიდან ვიცით, რომ ალავერდში მისი დები ცხოვრობდნენ. „დები: მელანია ფეოფანოვა, არის ბორჩალოს მაზრის სოფ. ალავერდის გლეხის, ანასტასი ფეოფანოვის მეუღლე – 32 წლის. მარგარიტა ხაჯი-ალექსანდროვა – 28 წლის, ს. ალავერდის გლეხის ცოლი, ცხოვრობს ს. ალავერდში“ [სეა, ფ. 153, ან. 1, ს. 1834, გვ. 135] (სურ. №26). მიხეილის დებმა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ფაქტობრივი რძლის მიმართ მზრუნველობა გამოიჩინეს და საცხოვრებლად თავისთან წაიყვანეს. მიხეილ ჯავახიშვილი კი, როსტოვში გადაასახლეს, სადაც როგორც თვითონ წერს, იძულებული გახდა ცოლი შეერთო. ამით წერტილი დაესვა მისი და დვოიურას ურთიერთობას.

14

9710


Свѣдѣнія

о лицѣ, обысканномъ „30“, апрѣля 1910 года въ домѣ № 29
кв. № 1 по Лебтуховской улицѣ г. Тифлиса

Фамилія Розинъ
 Имя Фойра
 Отчество Абрамовна
 Лѣта 23
 Вѣроисповѣданіе иудейскаго
 Званіе домашней швейцарки
 Занятіе домашняя швейцарка
 Причина обыска

Подпись: Фойра Абрамовна
Розинъ

Свѣдѣнія отбираль (подпись):
Ван Риндлеръ



Листокъ для посѣтителей,

23

май мѣсяца 21 числа 1910 года.

Фамилія Гуринько

Имя Сара

Отчество Корниловна

Званіе Землемѣръ и членъ общины

Адресъ: Бутырская 29

Кого желаетъ видѣть Гуринько
Землемѣръ

По какому дѣлу Михаилъ

Гуринько

Противъ неоплате
въ общинѣ.

Листокъ для посѣтителей.

№ 28. 47
Августъ мѣсяца 25 числа 1910 года.

Фамилія Гурмишова

Имя Сара

Отчество Абрамовна

Званіе Домашница ур.

Адресъ: Сел. свшаверзи

Кого желаетъ видѣть Гурмишова
Кашанская

По какому дѣлу Прому визамъ

Генеръ на свизамъ

от Шмашиной

Акашова

II.6. იძულებითი ქორწინება, ანუ „ბედი-მდევნელი“

მ. ჯავახიშვილი 1912 წელს, ვლადიკავკაზში, თავის მომავალ მეუღლეს შეხვდა. როგორც ცნობილია, იმ ხანად სოციალურად მეტ-ნაკლებად თანასწორი წყვილები ქორწინდებოდნენ ხოლმე. დიდი ივანე ჯავახიშვილი თავადის ქალზევე იყო დაქორწინებული. მისი მეუღლე, გვარად ჯამბაკურ-ორბელიანი, მეფე ერეკლე II-ის შთამომავალი გახლდათ. შესაბამისად, 1912 წელს, მ. ჯავახიშვილმაც თავისივე სოციალური წარმომავლობის ქალი, ლუბა ივანეს ასული ჯაჭვადე შეირთო ცოლად. ლუბას პაპა, დიონისე ჯაჭვადე საცხოვრებლად დუშეთიდან ვლადიკავკაზში გადასულა და ოჯახიც თან გადაუყვანია, რის გამოც, ქ. დუშეთის კამერალურ აღწერაში შეყვანილი არ ყოფილა. მისი მოგვარეები კი, 1886 წლის აღწერაში ჩანან: „ქ. დუშეთის გამომღები (податного) ნოდების ქალაქის მაცხოვრებლები: 91. ბასილა ბესოს ძე ჯაჭვადე – 48 წლის. 92. ზაქარია ბესოს ძე ჯაჭვადე – 26 წლის“ [სეა, ფ. 254, ან. 3, ს.255]. ჯაჭვადეები კახეთშიც ცხოვრობდნენ, მაგალითად, სიღნაღის მაზრის სოფ. ჭერემის ეკლესიის მეტრიკულ წიგნში 1842 წელს დაფიქსირებული არიან: „სახაზინო გლეხი პავლე მამუკას ძე ჯაჭვადე“ და „სახაზინო გლეხი გიორგი დავითის ძე ჯაჭვადე“ [სეა, ფ.489, ან. 6, ს.441]. საცოლის წარმომავლობას თავისთავად, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და მით უმეტეს, დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ მწერალი თავადი ჯავახიშვილების შტოდან არ ყოფილა, როგორც ზოგიერთებს სურთ დაამტკიცონ.

1913 წლის 15 მარტს, მიხეილ ჯავახოვ-ადამაშვილი წერს თხოვნას მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე, სადაც აღნიშნავს, რომ ქორწინებამ კიდევ უფრო დაამძიმა მისი სასჯელი და გადასახლების სიმძიმე. ამავე დროს, უმხელს საკმაოდ ინტიმურ დეტალებს: ის იძულებული გამხდარა დაქორწინებულიყო – «Будучи поставлен в необходимость жениться вскоре после освобождения из тюрьмы и высылки в г. Ростовь тем самым я усугубил мое наказание и удвоил тяжесть ссылки» [სეა, ფ.13, ან.27, ს. 1560, გვ.139] (სურ. №33). თუ მწერალი მეფისნაცვლისგან დახმარებას მოელოდა, შეეძლო მხოლოდ თავისი მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ ეცნობებინა მისთვის. რა მნიშვნელობა ჰქონდა იმის დაზუსტებას, რომ ეს ქორწინება იძულებით შედგა? ვფიქრობ, ეს ერთგვარი უპატივცემლობა იყო მეუღლის მიმართ.

მწერლის მამა იმიტომ გადაიხვეწა მაჩხაანიდან, რომ რომელიმე პრობლემურ ოჯახს არ დამოყვრებოდა, მაგრამ ბედი-მდევნელი მიხეილს მაინც დაენია. უცნაური დამთხვევით, ის სწორედ ისეთი ოჯახის სიძე გახდა, როგორ ოჯახებსაც მამამისის მშობლიურ სოფელში „მლოცავებს“ ეძახდნენ და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას ცოლის სულიერად დაავადებული ძმის მოვლის ტვირთიც დააწვა: «Мой шурина. Душевно-большой человек...» [სეა, ფ. 13, ან. 27, ს. 1560] (სურ.№33). ამას წერდა მეფისნაცვალს და თან სამედიცინო ცნობას ურთავდა, რომელიც გაცივებულია ვლადიკავკაზში, 1913 წელს, ნიკოლოზ ივანეს ძე ჯაჭვადის სახელზე. „მიხეილ საბას ძე ჯავახოვის“ განთავისუფლება მწერლის მეუღლემაც სთხოვა მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს. შეახსენა, რომ იმავე საქმეზე დაპატიმრებული სხვა პირები, თავიანთი ცოლების ძალისხმევით შედეგად, სამ წელიწადში განთავისუფლდნენ. მე კი, მიხეილის მდგომარეობის შემსუბუქებას ვერ გთხოვდით, რადგან იმ დროს ჯერ კანონიერი მეუღლე არ ვიყავიო. «В 1910 г. Вместе с моим мужем были арестованы несколько человек, среди них Георгии Ласхишвили, Илья Агладзе и др. За упомянутых лиц хлопотали перед Вашим Сиятельством их жены, благодаря чему Ваше Сиятельство нашли возможным облегчить положение вышеназванных лиц и сократить им срок высылки до трех лет. Я не могла в то время просить Ваше Сиятельство об облегчении участи моего мужа, т. к. в то время не была еще его законной женой» [სეა, ფ. 13, ან. 27, ს. 1559] (სურ. №34, სურ.№35, სურ. №35, სურ.№36).

"Грехи" я беру на кабань судебным порядком, а как
автор нравственных статей - понес кару и
въ административном порядке.


Буду поставлен въ необходимость жениться, вскорѣ
освободеніи отъ тюрьмы и высылки въ г. Ростовъ [№] 2.
пью самими я усугубил мое наказание и удвоил
тяжестъ ссылки, втянувъ въ постигшее меня несчастье
несчастное лицо - мою жену, а влечу съ ней и сироту тѣму.

За все время ссылки я просивалъ на чужбинѣ, безъ за
мѣтокъ и средствъ къ существованію, жена же моя, прожи
вая въ г. Владикавказѣ так же безъ замѣтокъ и средствъ,
но безъ всякихъ средствъ, въ продолженіе долгаго времени
страдала нравственно, а въ последнее время и фи
зически. Мой шурин, душевно-больной человекъ, и так же
болитъ тѣло въ силу всеполюбовствъ просявшаго
влечу съ моею женою на добываемыхъ кое-какъ ея
средствъ.

Ваше Сидѣтельство! Если я виновенъ и заслужилъ
наказаніе, то и понесъ таковое, и не съ бы впередъ до
помощнаго мнѣ срока, но создавшееся безвѣдное
помощіе дастъ ^{мнѣ} право просить Ваше Сидѣтельство
прекратить страданія моей семьи, а мнѣ освободить
отъ нравственныхъ мукъ, всеглаголющихъ и отъ снати
тяжелую долгу передъ семьей, исполнитъ какое
я имѣю возможности.

Жена и другіе члены семьи тѣсно болитъ, и если къ
нимъ не придетъ во время мое помощь, я долгие буду
страдать всю жизнь отъ снати неслыханно долго
передъ семьей.

При семъ представляю два свищѣтельства о болотни мое
жены и моего шурин, почтительны и покорительны прошу
Ваше Сидѣтельство сдѣлать съ мнѣ помощнаго наказаніе и
дать мнѣ право проживать въ гор. Тифлисе, Климатъ



№33. [69, ф. 13, сб. 27, л. 1560].

ПОЛУЧЕНО
КАНЦЕЛЯРИИ НАМЕСТНИКА
19 МАРТ 1913
Е. И. В. из Владикавказа
КО ОСОБОМУ УЧЕБНОМУ ЗАВЕДЕНИЮ

6988
380

141
[Handwritten signatures]

Его Святельству, Наместнику
Его Величества на Кавказе
Графу Уварову Ивану
Воронцову-Дашкову

Молоды Уваровны
Джавалаевой

Прошение

Въ 1910г. по распоряженію Вашего Святельства былъ назначенъ куръ предствлв Кавказа мой мужъ, житель сел. Сиони, Борчалинскаго уезда, Тиф. губ. Михаилъ Саввиъ Джавалаевъ, сынъ же Адамашвили, срокомъ на пять лѣтъ. Проживая съ тѣхъ поръ въ гор. Росинави 1/2. и существуя немощно по случайнымъ заработкомъ, онъ имеетъ возможнымъ оказывать мнѣ какую-либо матеріальную поддержку, въ которой я сильно нуждаюсь, но все-какъ мужъ терпѣливъ и немаловѣрливъ мнѣнїи мѣрилась съ создавшимися положенїемъ и ожидая окончанїя срока выслуги моего мужа. Я терпѣла все до конца, но постигшее мѣня по неожиданное негасїе вынуждаетъ мѣня обратившейся къ

322

საქართველოს ეროვნული
არქივის
სამსახური
National
Archives of
Georgia

(32)

1910

доброму и отзывчивому сердцу
Вашего Величества.
Живя с моею матерью, Ниной
Навловной Дзавадзе в гор.
Владикавказ мы как как под-
держивали наше существование.
Мой единственный брат Николай
Домтв, проживавший в гор.
Наворосийск заболел сыпным
тифом, а зайков - тяжелой душной
болотью.
Не имея никакой возможности
помочь им в больницу, а и
моя мать была вынуждена взять
его к себе и превратить в без тол-
тешную жизнь в стоиной агр.
Моя мать одной кровью с душной
больным человеком а и моя мать
начинает болеть. Не имея ни
правильной ни физической возмож-
ности пролечить больного, и не
будя никакой помощи из созда-
вшегося невыносимого положения,
а и моя несчастная мать про-
обращаемся к Вашему Святельству
с покорнейшей просьбой вернуть
нам единственного спасителя и
кормильца, моего сына Михаила
Саввина Дзавадзе и дать ему
право проживать в гор. Тифлисе,
где уже живет с родителями
мать; он освободит нас от
зависимых правительственных и
физических мучений.

Осмыслилось напоминийъ Вашему Сіятель-
ству на одно обіюетельско: № 1910г.
Видісь въ моихъ мужинахъ были
арестованы по одному съ ними друму
еще несколько человекъ, среди нихъ
Георгій Васильевичъ, Микъ Армадзе
и др. За упомянутыхъ мужъ хлопотами
передъ Вашимъ Сіятельствомъ ихъ
меня, благодаръ тому Ваше Сіятельство
нашимъ возмощнымъ облегчить положение
вышеназванныхъ мужъ и сократить
ихъ срокъ взыскки до трехъ мѣтѣ.
Я не могла въ то время просийъ
Ваше Сіятельство объ облегченіи участіи
моего мужа, т.к. въ то время не было
еще его законной женой.

Со дня аресту моего мужа про-
шло почти три года. За это
время и отъ и мы пережили
много мужъ и горд, что дасть
мнѣ смѣлосій просийъ Ваше
Сіятельство о прекращеніи дань-
ныхъ нашихъ невзгодъ и мученій.

Любовь Ивановна Дмавакова
утом. Армадзе

г. Владикавказъ
Медведевскій пер. №14.

7 марта 1913г.

II.7. სკანდალი წითელი ჯვრის ქონების ირგვლივ

1913 წელს, მ. ჯავახიშვილი ახერხებს სამშობლოში ჩამოსვლას, მაგრამ ცოტა ხნით. 1915 წელს ის თბილისში ოფიციალურად ბრუნდება და მუშაობას იწყებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორად [მ. გოგოლაძე-გაბუნია, „მწერალთა ბიოგრაფიები“, თბ., 2004, გვ. 113].

„1915 წლის ბოლოს, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა, გენერალმა ვოლსკიმ მიხეილ ჯავახიშვილის კავკასიიდან გადასახლება გადაწყვიტა. მიხეილ ჯავახიშვილი იძულებული შეიქნა გამოსავალი ეძებნა, რაიმე ელონა, ვინმე ვირაპის (ვირაპიანი) ხელშეწყობით, რომელიც წითელ ჯვარში გავლენიან პიროვნებად ითვლებოდა, მიხეილ ჯავახიშვილმა წითელ ჯვარში მუშაობა დაიწყო. პირველი მსოფლიო ომი დაწყებული იყო“ [კრებული „ლეღვარი“, თბ., 2005, გვ. 88]. მწერალი წითელი ჯვრის სამმართველოს ხაზით, სპარსეთის ფრონტზე მოქმედი არმიის მოძრავ მეხუთე ლაზარეთში, სამეურნეო ნაწილის გამგედ დაინიშნა. ეს ლაზარეთი ჯერ თურქეთში იმყოფებოდა, შემდეგ კი ჩრდილოეთ ირანში გადავიდა. ქ. ჯავახიშვილი წერს: „მამა სპარსეთ-ოსმალის ფრონტზე, წითელი ჯვრის მეხუთე საავადმყოფოს ადმინისტრატორად, კონტროლიორად და ქართული კორპუსის რწმუნებულად მუშაობდა. 1917 წელს იგი უკვე ბათუმის წითელ ჯვარში მუშაობს“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1984, გვ. 27].

ივანე არჯევანიძე მოგვითხრობს: „თებერვლის დამლევადან ბათუმის მისადგომებთან, აჭარისწყლის მიმართულებით, ჭოროხის ფრონტი გაიხსნა. ამ ფრონტზე სამხედრო რაზმის უფროსად ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი დაინიშნა. დავითი ბათუმს და აჭარის ყველა კუთხეს, განსაკუთრებით ჭოროხის ხეობას ზედმინევენით კარგად იცნობდა. საომარი ოპერაციების დროს ამ სამხედრო რაზმის სამედიცინო-სანიტარული მომსახურებისთვის ჩამოყალიბდა რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ჭოროხის პირველი მოწინავე რაზმი, რომლის ადგილსამყოფელი აჭარისწყალში, სამხედრო შტაბის მახლობლად მოეწყო. დავით კლდიაშვილმა, მოსალოდნელ საომარ ოპერაციებთან დაკავშირებით მოითხოვა, რომ წითელი ჯვრის რაზმს ყოველდღიურად მზად ჰყოლოდა ორი-სამი ავტოსანიტარული მანქანა დაჭრილ და დაავადებულ მეომართა ბათუმის ჰოსპიტალში დროულად გადაყვანისათვის. დავითის ეს მოთხოვნა ილღობა მაშინვე გადავეცი ბათუმის რწმუნებულს საველე ტელეფონით; იგი შემპირდა მანქანების სწრაფად გამოგზავნას, თანაც მითხრა, რომ აქ, ჩემთან მიხეილ ჯავახიშვილი იმყოფება და თქვენთან სურს ლაპარაკიო. იმავე წუთს ყურმილიც გადასცა... დილით ადრე მივედი ბათუმის მთავარ საველე საწყობის კანტორაში, სადაც მიხეილ ჯავახიშვილს შევხვდი“ [ი. არჯევანიძე, „დავით კლდიაშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი“, გაზ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1962, 17 აგვისტო]. **ი. არჯევანიძის პუბლიკაცია ქ. ჯავახიშვილის და ე. გენძეხაძის შედგენილ ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არ არის.**

1918 წელს, მ. ჯავახიშვილი წითელი ჯვრის ქონებასთან დაკავშირებით, უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა. გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა ეროვნული საბჭოს წევრის, სამსონ დადიანის სიტყვა: „სოც. ფედერალისტების რაზმმა ცეცხლიდან, ზღვის ტალღებიდან და მტრების ბანაკიდან გამოიტანა რამოდენიმე მილიონის ქონება და მოუტანა ქართველ ხალხს. ამ რაზმმა გამოიტანა ოცდა თორმეტი საუკეთესო ზარბაზანი, ამ რაზმმა დატვირთა თავის ბარჟაზე მეორე პოლკის მთელი ქონება, რომელიც მტერს უნდა დარჩენოდა; თავის ბარჟაზე მისცა ბინა ჯარისკაცთაგან ოთხჯერ გადაყრილ 23 ტყვიისმფრქვეველს, სამოც ათასამდე პატრონა, რამოდენიმე ასი თოფი; ეს რაზმი დაეხმარა ინჟინერთა დრუჟინას დატვირთა ოც მილიონად ღირებული ქონება, მაგრამ სამწუხაროდ ეს ისევ ბოლშევიკებმა გაიტაცეს ნოვოროსიისკში და მე ვამბობ ესეც იმიტომ, რომ ჩვენი რაზმი უკვე აღარ იყო ტრაპიზონში; ამავე რაზმმა თავის ბარჟაზე მოათავსა ტელეფონთა (ტექსტში ასეა – მ. ხ.) რაზმის ორ ათას ფუტამდე ქონება, რომელსაც ტრაპიზონიდან ვერ გამოიტანდნენ, თუ არა ჩვენ; ამავე რაზმმა მოიტანა საომარი იარაღი იქიდან და აი ამ იარაღით იბრძვის ჩვენი მთავრობის მცირე რიცხოვანი ჯარები ოსმალეთის ფრონტზე, შინ და გარეთ წესიერების დასაცავად და

ყველა ამისათვის რაზმი სასიკვდილო განსაცდელში აგდებდა თავის სიცოცხლეს. ახლა კი – აგრძელებს მომხსენებელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ასეთი ტანჯვით გადარჩენილს ქონებას გაყიდვას უპირებს („დაასახელებთ ვინ არის“ ყვირიან ეროვნულ-დემოკრატები). სამასი ათასი მანეთის ქონება ას ათასად მიაძლია ერთს პირს ადამაშვილმა“ [ს. დადიანის სიტყვა, გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, №274]. **ეს პუბლიკაცია ქ. ჯავახიშვილის და ე. გენძეხაძის მიერ შედგენილ ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში გამოტოვებულია.**

მ. ჯავახიშვილმა (ადამაშვილმა) გამოაქვეყნა „ღია წერილი ბ-ნ სამსონ დადიანს“, რომელშიც ვკითხულობთ: „ეროვნულ საბჭოს კრებაზე თქვენ გითქვამთ, ვითომ მე ქ. სამტრედიამი ვაპირებდი ნითელი ჯვრის ქონების გაყიდვას 100. 000 მანეთად, თუმცა იგი ღირდა 300. 000 მანეთი. თქვენი საქციელი ღრმად მაშფოთებს. ვერ გამიგია, რის თქმა გინდოდათ? რაში მდებთ ბრალსა? თუ ბოროტმოქმედებას მატრალებთ, პირდაპირ ბრძანეთ და საბუთიც წარმოადგინეთ“ [მ. ადამაშვილი, „ღია წერილი ბ-ნ სამსონ დადიანს“, გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, №274]. მ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ სამტრედიის თვითმმართველობასთან შეწყდა მოლაპარაკება და გადარჩენილი ქონება არ იქნა გაყიდული. როგორც ზემოთ მოყვანილი ამონარიდიდან ნათლად ჩანს, სოციალისტ-ფედერალისტი სამსონ დადიანი ეროვნულ-დემოკრატ მ. ჯავახიშვილს ადანაშაულებს არა ქონების გაყიდვაში, არამედ გაყიდვის მცდელობაში. აპირებდა, თუ არა მ. ჯავახიშვილი ამ ქონების გაყიდვას? ქ. ჯავახიშვილი აქვეყნებს მწერლის მოკლე ჩანაწერებს, სადაც ვკითხულობთ: „ჩოლოკი. იმერული და ქართული ჯარები...ხიფათი ჭოლოკამდე. ვცდილობ ქონება გავიტანო და გავყიდო“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ, 1984, გვ. 28]. იმერეთი თუ XXს-ში საქართველოს ნაწილი არ იყო – ეს მხოლოდ დიდი მწერლისგან გავიგე! ჩოლოქის ხსენება ნათლად მიგვანიშნებს, რომ იგულისხმება ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის და ამიერკავკასიის ჯარებს შორის, 1918 წელს. გენერალი მაზნიაშვილი წერს: „ქართული ჯარები თითქმის მთლიანად შესდგებოდნენ ფრონტზე მყოფი ძველი ჯარისკაცებისგან...“ [გიორგი მაზნიაშვილი, „მოგონებები 1917-1825“, თბ., 2020, გვ. 22-23]. მისი მოგონებებიდან ასევე ვიგებთ, რომ „კავკასიის არმიის მთავარსარდალი“ ლებედინსკი ყოფილა. არავითარი იმერული ჯარის არსებობა მაზნიაშვილისთვის ცნობილი არ არის.

გაზ. „სახალხო საქმის“ ზემოთ დასახელებულ ნომერში დაიბეჭდა ს. დადიანის პასუხი: „პასუხად თქვენი ღია ბარათისა მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ეროვნული საბჭოს ტრიბუნიდან მე ვსტევი ის, რისი თქმაც ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობად მიმაჩნდა. ვინაიდან თქვენ მიგიმართავთ მთავრობისათვის, ალბათ, კიდევ შეეცდებით თქვენი სიმართლე დაამტკიცოთ, ხოლო როგორ მოვიქცევი მე როგორც გამოძიების დროს, ისე შემდეგ, ნება მიბოძეთ ამის შესახებ მოგახსენოთ მაშინ, როდესაც მთავრობა გამოძიებას თქვენი საქმის შესახებ დაასრულებს. ეროვნული საბჭოს წევრი ს. დადიანი.“ [ს. დადიანი, „პასუხად მ. ადამაშვილს“, გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, №274]. **ამ პუბლიკაციებიდან ვერც ერთი ვერ მოხვდა ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში.**

ქ. ჯავახიშვილი წერს: „1921-1923 წლებში მამა საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის, ე. წ. „პარიტეტული კომიტეტის წევრი იყო“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ, 1991, გვ. 25]. მას არ გაემტყუნება, რომ არ იცის: ნაციონალ-დემოკრატიული პარტია ე. წ. „პარიტეტული კომიტეტი“ კი არ არის, არამედ მასში შემავალი ერთ-ერთი პარტიაა. ეს უნდა სცოდნოდა რამაზ შიშნიაშვილს, რომელმაც თავისი დედის ნაშრომს „ბოლოსიტყვაობა“ დაურთო და ყოველგვარი ფასი დააკარგინა. ქ. ჯავახიშვილისგან განსხვავებით, მას მიეცა „სუკის“ არქივში დაცული დოკუმენტების გაცნობის საშუალება. მან გარდა იმისა, რომ ეს დოკუმენტები გამიზნულად გააყალბა, თავისი არაკომპეტენტურობაც გამოამჟღავნა: ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას ისიც პარიტეტულ კომიტეტთან აიგივებს და მისი თავმჯდომარის მოადგილედ მ. ჯავახიშვილს ასახელებს [რ. შიშნიაშვილი, „ბოლოსიტყვაობა“, ნიგნში: ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ, 1991, გვ. 466]. შესწორების შეტანა ვერავინ გაუბედა. ის ხომ დიდი მწერლის შვილიშვილი იყო, ანუ სწობებისათვის ხელშეუხებელი და უშეცდომო პიროვნება. ისტორიის გაყალბებას ვინ დაეძებდა!

თავი III. 1920-იანი წლები

III.1. „პარიტეტული კომიტეტი“

1922 წელს, მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, ანუ ეროვნულ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების, სხიველებისა და მემარჯვენე ესერების პარტიები გაერთიანდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საბრძოლველად და ე. წ. „პარიტეტული კომიტეტი“, ანუ „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ აირჩიეს. კომიტეტის სამხედრო ცენტრში საუკეთესო სამხედრო სპეციალისტები შევიდნენ. მოგვიანებით, შეიქმნა პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომისია, რომელსაც იდეოლოგიური ხელმძღვანელობა ევალებოდა. მენშევიკების მხრიდან, კომისიაში შევიდა მინათმოქმედების ყოფილი მინისტრი ნოე ხომერიკი, ხოლო ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან მათი პარტიის ცკ-ს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჯავახიშვილი, (რომელიც ადრე სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრი იყო) [სუკ-ის არქივი, პარიტეტული კომიტეტის საქმე, არქივი №8, ფ. 6].

ქ. ჯავახიშვილის წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“ მ. ჯავახიშვილის სამხედრო კომისიაში მონაწილეობა ნახსენები არ არის. სხვა რომ არაფერი, 1937 წელს ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტის გახსენებაც კი საკმარისი იყო მ. ჯავახიშვილის დასახვრეტად. ამგვარად დანერილი მოგონებები სრულად ვერ წარმოაჩენს დიდი მწერლის დაღუპვის მიზეზებს და ისტორიის დამახინჯებასაც ხელს უწყობს. პარიტეტული კომიტეტის შექმნის შესახებ მომყავს ამონარიდი გ. საითიძის ნაშრომიდან: „1922 წლის ზაფხულში შეიქმნა საქართველოს „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ („დამკომი“), რომლის შემადგენლობაში პარიტეტულ საწყისებზე შედიოდნენ: სოც-დემოკრატების, ეროვნულ-დემოკრატების, სოც-ფედერალისტების, სოც-რევოლუციონერების და „სხიველების“ წარმომადგენლები (გოგიტა ფალავა, იასონ ჯავახიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ გობეჩია და მუხრან ხოჭოლავა). ამასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა შეთანხმება, რომლის პირველ მუხლში გაცხადებული იყო ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოს შექმნის მიზანი: „პარტიები ერთიანდებიან იმისათვის, რათა საერთო ძალებით იბრძოლონ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“ [გ. საითიძე, „სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი)“, თბ., 1997, გვ. 93].

იმავე საკითხზე გთავაზობთ ვრცელ ამონარიდს ლევილის მმართველი საბჭოს წევრის, ბ-ნი ტიერ ბერიშვილის წიგნიდან:

„საფრანგეთში, ემიგრაციაში ჩასვლისთანავე, საქართველოს მთავრობამ წამოიწყო მოლაპარაკებები საქართველოს პარლამენტში შემავალ პარტიებთან, რომელთაც 1919 წლის მარტში მთავრობაში შესვლაზე უარი თქვეს. ეს პარტიები – ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური და სოციალ-რევოლუციური იმედოვნებდნენ, რომ სოციალისტური მთავრობა ვერ გაამართლებდა და ქართველი ხალხი, რომელმაც 1919 წლის თებერვლის არჩევნებზე 80%-ზე მეტი ხმით გამოუცხადა ნდობა სოციალ-დემოკრატებს, ზურგს აქცევდა მათ და არჩევანს შეცვლიდა. გადანყდა, საფრანგეთშიც და საქართველოშიც შექმნილიყო დამოუკიდებლობის პარიტეტული კომიტეტი – დამკომი, და 1922 წლის მაისში დამტკიცდა მასში შემავალი პარტიების მიერ. შეთანხმება ითვალისწინებდა ეროვნული აჯანყების გზით ბოლშევიკური რეჟიმის დამხობას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას და კოალიციური მთავრობის შექმნას...“

კომიტეტმა დააფუძნა სამხედრო ცენტრი გადამდგარი გენერლის კოტე აფხაზის ხელმძღვანელობით. ამ ცენტრის ფუნქცია შეიარაღებული სახალხო აჯანყების მომზადება იყო. პარიზში არსებული დამოუკიდებლობის პარიტეტული კომიტეტი, რომელიც აერთიანებს ემიგრაციაში მყოფ მთელ მთავრობას, ამყარებს ურთიერთობას რეგიონულ მოძრაობებთან, მუდმივ კავშირშია საქართველოში არსებულ დამოუკიდებლობის კომიტეტთან, თურქეთში დაფუძნებული მისი „კონსტანტინოპოლის ბიუროს“ მეშვეობით.

სწორედ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარშემო ყალიბდება დამოუკიდე-

ბლობის კომიტეტი. ამ პარტიას დამკომში ყველაზე მეტი დეპუტატი ჰყავდა, თუმცა მასში ყველა პარტია იყო წარმოდგენილი. კომიტეტს გოგიტა ფაღავა ხელმძღვანელობს, ნიჭიერი ადვოკატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი. შემდეგ მას სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ყოფილი დეპუტატი, კოტე ანდრონიკაშვილი ცვლის. მთელი არსებობის მანძილზე, დამკომის – პარიტეტული კომიტეტის – მდივანი იყო იასონ ჯავახიშვილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ამყარებს კავშირს რაზმელებთან, იატაკქვეშა სამხედრო დაჯგუფებებსა და ოპოზიციურ მოძრაობებთან. პარიზში ლტოლვილი საქართველოს მთავრობა დასავლეთის სახელმწიფოებს, მათი დახმარების მოპოვების მიზნით, აცნობს საქართველოში არსებულ ვითარებას. სოციალ-დემოკრატიული პარტია, საქართველოში მოქმედ დამოუკიდებლობის კომიტეტთან შეთანხმებით, თავის ლიდერებს აჯანყების მოსამზადებლად საქართველოში აგზავნის. 1924 წლის 12 თებერვალს ევგენი გეგეჭკორი და ნოე რამიშვილი მარსელში ბოლოჯერ სათათბიროდ ხვდებიან ემისრებს, რომელთაც საქართველოში აგზავნიან: ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვასო ნოდისა, გრიგოლ ცინცაბაძეს და ვიქტორ ცენტერაძეს. 14 თებერვალს, დელეგაცია, გემით „პატრიცია“ („Patrice“) მარსელს ტოვებს. გემი ათენში ჩერდება და 24 თებერვალს სტამბულში ჩადის.

დელეგაცია სტამბულში მყოფმა ქართველმა ლიდერებმა – კონსტანტინე გვარჯალაძემ, სიმონ მდივანმა და ვასო ნულაძემ მიიღეს. შემდეგ, ქართველი ემისრები ფარულად შედიან საქართველოში და უერთდებიან იქ მანამდე არალეგალურად დაბრუნებულ სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს, **ნოე ხომერიკს** და დამოუკიდებლობის კომიტეტს.

1924 წლის 15 თებერვალს ჩეკამ დააპატიმრა გოგიტა ფაღავა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე. 1924 წლის ივლისის ბოლოს დააპატიმრეს სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი ნოე ხომერიკი, ტიფლისის მერ ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილთან და სხვა პარტიულ ლიდერებთან – ვასო ნოდისთან და გიორგი წინამძღვრიშვილთან ერთად.

1924 წლის აგვისტოს დასაწყისში, საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ, დააპატიმრეს ლტოლვილი მთავრობის მიერ ემიგრაციიდან გამოგზავნილი ვალიკო ჯუღელი, ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი. ისინი, გოგიტა ფაღავასთან ერთად, გადაიყვანეს სუზდალის ციხეში, გადასცეს მოსკოვის ჩეკას, შემდეგ გადააგზავნეს როსტოვში, სადაც დახვრიტეს აჯანყებულთა სულისკვეთების ჩასახრჩობად [ტიერი ბერიშვილი, „1924 ეროვნული აჯანყება საქართველოში“, პარიზი-თბილისი, 2013].

ახლა კი, მ. ჯავახიშვილის ვერსია მოვისმინოთ. ამისთვის უნდა გავუსწროთ მოვლენებს და 1925 წლის სასამართლოს მასალებს გავეცნოთ. აჯანყების დამარცხებიდან ერთი წლის შემდეგ, შედგა სასამართლო პროცესი. მ. ჯავახიშვილი მონმედ მიიწვიეს. არქივში დაცული იყო უწყებები, რომლებიც მონმეებს დაეგზავნათ, მათ შორის უწყება №103. მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილს იბარებენ, როგორც მონმეს, ტრიბუნალის საჯარო სხდომაზე, 1925 წლის 15 ივლისს. უწყება ხელმონერილია მწერლის მეუღლის, ლ. ჯავახიშვილის მიერ, რომელსაც იგი მიუღია [პოლიტიკურ პარტიათა არქივი, ფონდი 14, ანაწერ 2, საქმე №40, ფ. 498]. ამავე საქმეში ინახებოდა 38 მონმის ხელმონერები იმის თაობაზე, რომ ისინი გაფრთხილებული არიან თავიანთი ვალდებულების შესახებ. მესამე ხელმონერა მ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. ქ. ჯავახიშვილი თავის მოგონებებში სასამართლოზე მ. ჯავახიშვილის მონმედ გამოსვლას არ ახსენებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი ოჯახისათვის კარგად იყო ცნობილი, რასაც მწერლის მეუღლის ხელის მონერა ამტკიცებს. ისიც უნდა ითქვას, მაშინ, როდესაც ამ პროცესზე მ. ჯავახიშვილის ყოფილი თანამებრძოლები ბრალდებულებად იყვნენ წარმოდგენილი და სასიკვდილო განაჩენს ელოდნენ, მონმედ დაბარებული დიდი მწერალი მხოლოდ დროის დაკარგვის გამო წუხდა და დაკითხვის რიგში ჩადგომას არ აპირებდა. სულ რაღაც ორი მოთხოვნა ჰქონდა: „1) სხვებზე ადრე მე გამომართვათ ჩვენება და 2) ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ სრულებით გამანთავისუფლოთ...“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),

ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 686] (სურ. №37).

მომყავს ამონარიდი მ. ჯავახიშვილის მიერ, პარიტეტული კომიტეტის თაობაზე, სასამართლოზე მიცემული ჩვენებიდან: „**ჯავახიშ.**: 21 წელს მარტის დამლევს და აპრილში ბათომიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან დაბრუნდენ ტფილისში დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრები. როგორ მოხდა? ჯერ ორი შეხვდა ერთმანეთს, მერე მესამე მოიწვიეს, მეოთხე და ასე, ამნაირათ შეიკრიბა ჯგუფი 6-7 კაცისაგან. აი, ისინი დადიოდენ ერთმანეთთან. ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო რომელიმე პარტიის კომიტეტი. ისინი შეადგენდენ უბრალო ჯგუფს, რომელიც ატარებდა დროს უბრალო ბაასში, ჩაის სმის ან ვახშმის დროს. 21 წლის განმავლობაში არავითარი საორგანიზაციო მუშაობა არ ყოფილა. იგი დაიწყო მხოლოდ 22 წლის დასაწყისში ნელ-ნელა შემჩნევლად. ამავე ხნის განმავლობაში ამ კომიტეტს დავარქვავთ კომიტეტი, ვინაიდან მას შემდეგ მიეცა ასეთი ხასიათი, თუმცა შედგენილი იყო სხვის დაუკითხავად. ეს კომიტეტი აწარმოებდა ან მასთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას სოც.-დემოკრ. პარტიის წარმომადგენელნი საერთო ფრონტის შესახებ, პარიტეტული კომიტეტის დაარსების შესახებ. ჩვენ მთელი ერთი წლის განმავლობაში ნინაალმდეგობას ვუნევდით, არ ვთანხმდებოდით. მაგრამ შემდეგ 22 წლის მაისში თუ ივნისში უკვე შესდგა, დაარსდა პარიტეტული კომიტეტი. ამავე ხანებში იწყება გაფართოებული მუშაობა“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 472].

860
საჩუქრის ვაჭარის გადართობის
15/11/25 -ს მიხედვით დასრულდა
მხრის სუბსტიტუციის

განხილვის
აქტივობის განხილვის მიხედვით დასრულდა
მედიკამენტოზი ვაჭარის გადართობის, ამ გადართობის
შესახებ დასრულდა ვაჭარის, მიხედვით ვაჭარის "მხარეთა"
მიხედვით სუბსტიტუციის 1,6/11/25-ის მიხედვით, ხე
მიხედვით დასრულდა ვაჭარის სუბსტიტუციის ვაჭარის
სუბსტიტუციის მიხედვით, ამ მიხედვით ვაჭარის
მიხედვით, ვაჭარის მიხედვით ვაჭარის
დასრულდა ვაჭარის მიხედვით ვაჭარის
ვაჭარის მიხედვით, მიხედვით ვაჭარის მიხედვით
მიხედვით ვაჭარის მიხედვით ვაჭარის
მიხედვით ვაჭარის მიხედვით ვაჭარის

ამის მიხედვით ვაჭარის მიხედვით, ვაჭარის
ამის მიხედვით ვაჭარის მიხედვით ვაჭარის
მიხედვით ვაჭარის მიხედვით ვაჭარის
მიხედვით ვაჭარის მიხედვით ვაჭარის
მიხედვით ვაჭარის მიხედვით ვაჭარის

მხრის სუბსტიტუციის

15/11/25

№37. [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 686].

III. 2. ნოე ხომერიკის ჩამოსვლა და სამხედრო კომისიის შექმნა

1990 წელს, როდესაც სუკ-ის არქივი ჯერ დამწვარი არ იყო, მაშინ გავეცანი ჩემი თემისთვის საჭირო მასალებს. მათ შორის, ნოე ხომერიკის შესახებ. დაპატიმრების შემდეგ, ის არ მალავდა თავისი ჩამოსვლის მიზანს – ბრძოლას არსებული წყობილების წინააღმდეგ [სუკ-ის არქივი, ფონდი 8, ფ. 27].

მომყავს ამონარიდი მ. ჯავახიშვილის ჩვენებიდან, რომელიც მან 1925 წელს მისცა სასამართლოს:

„ოკუფაცია: ხომერიკს ხედებოდი თუ არა?

ჯავახიშვილი: ადრე არ ვიცნობდი მას, შევხვდი 22 წლის მგონი ნოემბერში ორჯერ.

ოკუფაცია: საუბარი გქონდათ რაიმე მასთან?

ჯავახიშვილი: მე მითხრეს, რომ ხომერიკი უკმაყოფილო იყო, რადგანაც სამხედრო ორგანიზაციაში გავლენა ეკუთვნოდა მხოლოდ დემოკრატიულ პარტიას. ამიტომ მას უნდოდა ეს გავლენა შეენელებინა და შეეტანა თავისი გავლენა შემდეგი ხერხით: მან მოისურვა დაეარსებინა ერთი ორგანიზაცია პარიტეტულ კომიტეტსა და სამხედრო ცენტრს შორის, ეგრედ ნოდებული სამხედრო კომისია და მთხოვა შეესულიყავით მასში. იყო ჩემთან ორჯერ და მთელი დრო ამ ბაასში გავატარეთ. ახლა ჩამოსული კაცი იყო საზღვარგარეთიდან და ინფორმაცია მომცა. მისი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ რაღაც სახიფათო გზას ადგა. ის ამტკიცებდა, რომ ჩვენ უნდა ავჯანყდეთ, წითელი ჯარი აქედან უნდა გავდევნოთ...“ [საქართველოს შინაგანსაქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 487].

მომყავს ამონარიდი გურამ შარაძის წერილიდან: „1922 წლის ოქტომბერში უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნდა ნოე ხომერიკი. მისმა ჩამოსვლამ, სოლ. ზალდასტანიშვილის სიტყვებით, „თავიანთ წრეში მუშაობა გაახალისა. 1923 წლის იანვარში უკვე ყველა პარტიებმა ხელახლად გააჩაღეს მუშაობა და მთელ საქართველოში მას მისცეს ორგანიზაციული ხასიათი“ [გ. შარაძე, „მინათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი“, გაზ. „თბილისი“, 15 მაისი, 1990 წ.].

მ. ჯავახიშვილს, სამხედრო კომისიის წევრად, ყურმოკვრით, რ. კვერენჩილაძეც ასახელებს: „მაგრამ ჩეკას არ ეძინა. მან ბევრი რამ იცოდა და 1923 წლის მარტში დააპატიმრეს ისევ გამოცოცხლებული და არალეგალურად მომუშავე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები, მათ შორის მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც იმ დროისთვის იყო პარტიის თავმჯდომარის მოადგილე და წევრი დამოუკიდებლობის ანუ პარიტეტული კომიტეტის იმ სამხედრო კომისიისა, რომელსაც პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაეწია სამხედრო ცენტრისათვის“ [რ. კვერენჩილაძე, „საბუთები ღალატებზე“, თბ., 2007, გვ. 158]. „საბუთები ღალატებზე“, მაგრამ რ. კვერენჩილაძეს ეს საბუთები არ უნახავს, როგორც ეს მის მიერ მითითებული წყაროდან ჩანს. ის უთითებს შემდეგ საარქივო საქმეს: „მ. ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმე 9997, ფ. 6“. ე. ი. ავტორს უსარგებლია მ. ჯავახიშვილის მიერ 1937 წლის 16 აგვისტოს შევსებული პატიმრის ანკეტით (სიზუსტისათვის – გვ. 5, და არა გვ. – 6), რომელშიც დასახელებულ ფაქტს სულ ერთი წინადადება ეთმობა: „1923 წელს ვიჯექი 6 თვე ამიერკავკასიის ჩეკასა და საქ. ჩეკაში, როგორც ეროვნულ-დემ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე“. საქმე 9997 შედგენილია 1937 წელს. არავითარ სამხედრო კომისიაზე აქ საუბარი არ არის. რ. კვერენჩილაძე 1923-25 წლების ამსახველ საარქივო და საგაზეთო მასალას არ იცნობს. რა ფასი აქვს ასეთი დონის „ნაშრომებს“ – პასუხი ნათელია! მკითხველს ვაცნობ რამდენიმე ამონარიდს 1925 წელს გამოქვეყნებული საბრალდებო დასკვნიდან [„საქმე ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. (საბრალმდებლო დასკვნა)“, ტფილისი, 1925] (სურ. №38, სურ. №39, სურ. №40, სურ. №41, №42).

24.547
3

პროლეტარებო ყველა კვეენისა, შეერთდით!



ს ა მ ე მ ე

საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების
პარიტეტული კომიტეტის შესახებ.

(საბრალმდებლო დასკვნა)

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

ტფილისი
1925

№38. [„საქმე ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. (საბრალმდებლო დასკვნა)“, ტფილისი, 1925].

ხომერიკი. პარიტეტულ კომიტეტთან „სამხედრო კომისიის“
შექმნა.

პარიტეტული კომიტეტის მიერ აჯანყების მოწყობის ისტორია-ში შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტი საზღვარგარეთიდან საქართველოს ყოფილი მთავრობის და მენშევიკების პარტიის ცეკას წევრის ნოე ხომერიკის ჩამოსვლა. ხომერიკი ჩამოვიდა 1922 წლის ნოემბერში.

ამ მომენტიდან როგორც პარიტეტული კომიტეტის, ისე სამხედრო ცენტრის მოქმედებამ, ხომერიკის უშუალო გავლენის და ხელმძღვანელობის გამო, სხვა ფორმები მიიღო.

№39. [„საქმე ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. (საბრალმდებლო დასკვნა)“, ტფილისი, 1925].

უწინარეს ყოვლისა მენშევიკებმა შეიტანეს წინადადება პარტიულ კომიტეტთან სპეციალური სამხედრო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუწევდა სამხედრო ცენტრს. ეს კომისია შექმნეს ხომერიკის (მენშევიკებიდან) და მიხეილ ჯავახიშვილის (ეროვნულ-დემოკრატებიდან) შედგენილობით. ამ კომისიაზე გადავიდა აჯანყების მოსაწყობ მუშაობისათვის ფაქტიური ხელმძღვანელობა. ამ მომენტიდან სამხედრო ცენტრის როლმა ნამდვილად დამხმარე და სათათბირო ხასიათი მიიღო.

მაგალითად, ნარიკელაძემ ქარცივადის დავალებით შეიმუშავა და წარუდგინა პარტიულ კომიტეტს თავისი მოსაზრებანი ძალების აღრიცხვის შესახებ, გააძლიერა დასაზვერავი მუშაობა და სხვ.

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1923 წლის მარტამდე, როდესაც სამხედრო კომიტეტი მთელი შედგენილობით დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო ცენტრის ლიკვიდაციასთან ერთად პარტიულმა კომიტეტმა მთელი რიგი დამარცხება განიცადა, ამ გარემოებამ ბუნებრივად შეაჩერა შეიარაღებული გამოსვლისათვის მზადება.

ამ დროის მოვლენებიდან საჭიროა აღვნიშნოთ:

პარტიული კომიტეტის თავმჯდომარის—ქარცივადის დაპატიმრება, დაპატიმრება ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრების უპრავლესობისა, დაპატიმრება ახალგაზრდა მარქსისტთა არალეგალური ცენტრალური კომიტეტისა, დაპატიმრება მენშევიკების ტფილისის არალეგალურ კომიტეტის მთელი შედგენილობისა, მენშევიკების რამდენიმე სარაიონო კომიტეტის ლიკვიდაცია, 4 არალეგალური სტამბის აღმოჩენა და სხვ.

შევჩერდეთ ხომერიკის პიროვნებაზე.

ჩვენებებში თვითონ თავის თავზე ასე აზრობს:

„საბჭოთა რუსეთში მე ჩამოვედი იმ მიზნით, რომ შეწარმოებინა არალეგალური მუშაობა არსებული წყობილების წინააღმდეგ, რომელიც დამყარდა საქართველოში უცხო ძალების მეოხებით“.

№40. [„საქმე ანტისაბჭოთა პარტიების პარტიული კომიტეტის შესახებ. (საბრალმდებლო დასკვნა)“, ტფილისი, 1925].

1922. 26 235

სამხედრო ცენტრის ჩაშლის შემდეგ, აჯანყების მომხადების ხელმძღვანელი როლი უშუალოდ გადავიდა პარიტეტულ კომიტეტთან შექმნილ სამხედრო კომისიაზე. ამ კომისიას შეადგენდა ხომერიკი და წინამძღვრიშვილი, რომელმაც შეცვალა დაპატიმრებული მიხეილ ჯავახიშვილი.

პარიტეტულმა კომიტეტმა, ჩაშლის შემდეგ რომ ცოტაოდნავსული მოითქვა, 1923 წლის ივლისში ხელახლად დაადგინა შეიარაღებული აჯანყებისათვის მომხადების დაწყება.

ამ მომენტიდან ნახევარი წლის განმავლობაში ხომერიკი არის პარიტეტული კომიტეტის სრული დიქტატურა, ამას გარდა იგი პარიტეტში სამხედრო მუშაობასთან ერთად მენშევიკების ცეკასთან არსებულ საორგანიზაციო უკომისიის თავმჯდომარე არის და აერთიანებს პარტიის სამხედრო და საორგანიზაციო მუშაობას.

№39. [„საქმე ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. (საბრალმდებლო დასკვნა)“, ტფილისი, 1925].

თავის მხრით საზღვარგარეთიდან ხომერიკის მისამართზე სწე-
რდენ:

„მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეულია დღევანდელი მომენტი-
საკენ. რასაც ჩვენ ვფიქრობდით და რაც უნდა მომხდარიყო, თითქ-
მის ყველაფერი მართლდება. უნდა ველოდეთ, რომ თვით რუსეთ-
შიაც მალე მოხდება. თქვენ მობილიზაციის დროს, რაც უნდა ჩქარა
მოეწყოს, უნდა მიიღოთ ღონისძიება, რომ ყველა გამოვიდეს შეია-
რალებული...“

თვითონ ხომერიკი კი 1923 წლის 8 ნოემბერს შემდეგ დირექ-
ტივას აძლევს „ამირანს და ნოზრევანს“:

„თქვენ ახლავე საკუთარი ძალებით უნდა მოაწყოთ სამხედრო
ორგანიზაციები ყოველ მხრივ და მოახდინოთ იარაღისა და ხალხის
აღწერა... ეს, რასაკვირველია, უნდა მოახდინოთ სრული სიფრთხი-
ლით... მე მხედველობაში მაქვს ის მდგომარეობა, რომ ფაქტიურად
მახვილი უნდა ჩაიცეს სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთი დაი-
წყებს საგარეო სამხედრო მოქმედებას... ეს გარემოება უნდა იქონიოთ
მხედველობაში და აქედან გამოიტანოთ შესაფერი დასკვნა.

დასკვნა კი ასეთია, რომ ქართველი ერი უნდა განვათავისუფ-
ლდეს ოკუპაციისაგან... მხოლოდ მაშინ მიაქცევენ მას ყურადღებას.
ამაზედ უკეთესი მომენტი შეუძლებელია... გამოსვლა უნდა მოხდეს
ყველგან ერთდროულად და ელვის სისწრაფით... ყოველმა კუთხემ
უნდა შეასრულოს თავისი დავალება. თუ ეს ასე იქნება, ჩვენი ორ-
განიზაციები სამუდამოთ განთავისუფლდებიან... ორგანიზაციები უნ-
და იყვენ მტკიცე და მოწოდების დროს ფეხზე იდგნენ...“

№42. [„საქმე ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. (საბრალმდებლო დასკვნა)“, ტფილისი, 1925].

III.3. მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრება და ჩვენებები

1923 წლის მარტში დააპატიმრეს პარიტეტული კომიტეტის სამხედრო ცენტრის 15 წევრი: ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი, როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილი, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელი, სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი, ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილი, იასონ მათეს ძე კერესელიძე, ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე, სიმონ (იგივე ნასყიდა) იაგორის ძე ჭიაბერაშვილი, ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი, ელისბარ ზაქარიას ძე გულისაშვილი, ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი, დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი. ისინი გაასამართლეს ანტი-საბჭოთა აჯანყების მოწყობის მცდელობისთვის და სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს. 1923 წლის 25 მაისს გაზეთ „კომუნისტი“ განაჩენი გამოქვეყნდა: „ანტანტის კაპიტალისტების აგენტების დანარჩენის მუშაობა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად მოისპო დაპატიმრებით, რომელიც მოახდინა საგანგებო კომისიამ. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის მოწყობისა და მასში მონაწილეობის მიღების მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსათვის ღალატის გამო, ამ.-კავკასიის საგ. კომისიის მიერ დამთავრებულ გამოძიებით, საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის საგ. კომისია ადგენს: მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი... ყველა ზემო ჩამოთვლილ პირებზე გამოტანილი განაჩენი უკვე მოყვანილია სისრულეში“ [გაზ. „კომუნისტი“, 1923, 25 მაისი].

პროფ. შოთა ვადაჭკორია აღნიშნავს: „ამ ჩამონათვალში 4 გენერალია, 4 პოლკოვნიკი, 3 ოფიცერი და 4 სამოქალაქო პირი. ამით, აჯანყების შტაბს, ფაქტობრივად თავი მოკვეთეს და „უმეთაუროდ“ დატოვეს. ისინი მწყობრში რომ ყოფილიყვნენ, აჯანყების მომზადებასა და მსვლელობას მეტი ორგანიზება გაუკეთდებოდა... რუსული საბჭოთა იმპერიის მონობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებელი ორგანიზაციისათვის განეული საქმიანობის გამო, ბ-ნმა გ. ციციშვილმა ისინი ექსტრემისტებად და ავანტურისტებად გამოაცხადა“ [შ. ვადაჭკორია, „სინამდვილის გაყალბების და შეფასების XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკური სტილი (პასუხად გიორგი ციციშვილს)“, თბ., 2017, გვ. 7].

როდის მოხდა ზემოჩამოთვლილი პირების დაპატიმრება – მარტში, თუ თებერვალში? კოტე აფხაზის დაპატიმრების ორდერი №36 გაცემულია 1923 წლის 3 მარტს. მისი ბინა გაიჩხრიკა და თვითონ კოტე აფხაზი დააპატიმრა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საიდუმლო ოპერატიულმა ნაწილმა, კერძოდ, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თანამშრომელმა ვინმე გონჩაროვმა. „1923 წლის მარტის ბოლოს ბოლშევიკურ ხელისუფლებას თითქმის ყველა „დამნაშავე“ საგანგებო კომისიის ფურღლულეებში ჰყავდა გამოკეტილი. „ჩეკისტთა“ უპირველესი და ძალზე ძვირადღირებული ნადავლი გენერალი აფხაზი და სხვა ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწენი გახლდნენ“ [გ. საითიძე, „სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი)“, თბ., 1997, გვ. 97-98]. როგორც ჩანს, მათ დაპატიმრებას მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრება უძღოდა წინ. გელა სულაძე წერს, რომ 1923 „წლის თებერვალში დააპატიმრეს პარიტეტული კომიტეტის წევრი მიხ. ჯავახიშვილი და დუშეთის აჯანყების ყველა მონაწილე [გ. სულაძე, „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“, თბ., 2010, გვ. 75]. მომყავს ამონარიდი 1925 წლის სასამართლო პროცესის სტენოგრამიდან. მ. იშხნელი მ. ჯავახიშვილს მიმართავს: „იშხნელი: თუ გახსოვთ 1923 წ. თებერვალში თქვენი დაპატიმრების წინა დღით, როდესაც ერთად ვლაპარაკობდით ...“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 375, ტომი I, გვ. 511]. ამ ამონარიდიდანაც აშკარად ჩანს, რომ მ. ჯავახიშვილი, კოტე აფხაზზე უფრო ადრე, 1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს. კოტე აფხაზს ცუდად ენიშნა მისი დაპატიმრება. 2002 წელს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და მისი ყოფილი თავმჯდომარის, სპირიდონ კედიას მეუღლის, ქ-ნი სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მიერ ემიგრაციაში დაწერილი მოგონებები გამოქვეყნდა, სადაც ნათქვამია: „თამარა ფალავანდიშვილთან გავიგე ცუდი ამბავი, რომ

სამხედრო ცენტრის ერთი წევრი (ალბათ, სამხედრო კომისიას გულისხმობს – მ. ხ.) ადამაშვილი-ჯავახიშვილი დაიჭირეს და ამასთან ისიცა სთქვეს, რომ კოტე აფხაზი საშინლად არის შეშფოთებული, რადგან უთქვამს: „დავილუპეთ, საშინელი მშობარაა და თუ ანამეს, ყველაფერს იტყვისო“ [ს. ჩიჯავაძე-კედი, „ნასმენ-ნახული“, 2002] (სურ. №43).

კ. აფხაზის შიში გამართლდა. მ. ჯავახიშვილმა თავის ჩვენებებში დანვრილებით აღწერა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა, დაასახელა პიროვნებები, **დაამძიმა სამხედრო ცენტრის წევრების მდგომარეობა, რომლებიც იმ დროისათვის ჯერ დახვრეტილი არ იყვნენ**, დასახა „ჩოლოკაეველობის ლიკვიდაციის“ გზები.

ჩემი წიგნი „პასუხად მიხილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“ (1996) გამოსაცემად უკვე მზად მქონდა, როდესაც გამოქვეყნდა ისტორიკოს ნესტან კირთაძის მონოგრაფია „1924 წლის აჯანყება საქართველოში“. ნ. კირთაძის კეთილსინდისიერ მეცნიერულ გამოკვლევას ერთვის დოკუმენტები, რომელთა შორის არის მიხილ ჯავახიშვილის ზოგიერთი ჩვენება. ისინი დათარიღებულია 1923 წლის 7, 15, 22, 29 მარტით, 13, 16 აპრილით, 12 მაისით და სხვ. ქ. ჯავახიშვილი წერს, რომ მ. ჯავახიშვილს, რაღაც ხრიკებით მაინც მოაწერიეს ხელი გამომძიებლის მიერ შეთხზულ ჩვენებაზე. მისი ვერსიის თანახმად, აკივლებდნენ ქალს, რომელსაც საიდანაც ზუსტად ისეთი კაბა უშოვეს და ჩააცვეს, როგორც იმ დღეს ციხეში მისულ მწერლის მეუღლეს ეცვა. შემდგომში რატომ არ დაინტერესდა ქ. ჯავახიშვილი და არ ჰკითხა მამას, თუ რა ეწერა იმ „შეთხზულ“ ჩვენებაში და რას ისახავდა იგი მიზნად: მ. ჯავახიშვილისგან სიმართლის გაგებას, თუ მისი ხელმოწერის სამსოვროდ დატოვებას? დანაშაულის დამძიმებას და დახვრეტას, თუ შემსუბუქებას და განთავისუფლებას? ვისაც გარკვეული კითხვები გაუჩნდა, მათ იგი ბოროტებსა და შურიანებს უწოდებს. გამომძიებლებს, ცხადია, არავითარი ჩვენების შეთხზვა არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ აჯანყება ნამდვილად მზადდებოდა და მათ მართალი ინფორმაცია სჭირდებოდათ, შეთხზვას კი მერეც მოასწრებდნენ: აკი, 1924 წლის აჯანყებას, მისი ეროვნული და ხალხური ხასიათის მიჩქმალვის მიზნით, თავადაზნაურული უწოდეს.

ამჯერად, გამომძიებლებს ნამდვილი ინფორმაცია აინტერესებდათ და მიიღეს კიდეც მ. ჯავახიშვილისგან. სანიმუშოდ მომყავს მცირე ამონარიდი მოქ. მიხილ ჯავახოვის 1923 წლის 15 მარტის დაკითხვის ოქმიდან: „**1922 წლის ნოემბერ-დეკემბრამდე ეროვნულ დემოკრატია ცენტრალური კომიტეტი შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: აფხაზი (იმ დროს ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო – მ. ხ.),** იასონ და მიხილ ჯავახოვები, ნიკ. კეცხოველი და წინამძღვარი. კარგად არ მახსოვს, ნოემბრის მინურულს იყო თუ დეკემბრის დამდევს, ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე მივედი დიმ. ჯავახოვის ბინაში მიხილის ქუჩაზე, სადაც ზემოხსენებული პირები დამხვდნენ, აგრეთვე დიმ. ჯავახოვი, დანელია და მგონი, ახმეტელი, რომელიც კოოპტაციით შეიყვანეს ცენტრალურ კომიტეტში“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“ ქუთაისი, 1996, გვ. 273]. 10 მაისს, სანდრო ახმეტელმა უარყო მ. ჯავახიშვილის ინფორმაცია. აი, მისი სიტყვები: „მიხილ ჯავახიშვილის და სერგი დანელიას ჩვენებებს, ვითომ მე კოოპტაციით გამიყვანეს ცენტრალური კომიტეტის წევრად და ვითომ ვესწრებოდი სხდომას დიმ. ჯავახიშვილის ბინაზე, ვუარყოფ“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“ ქუთაისი, 1996, გვ. 217]. გამომძიებლებს ასევე აინტერესებდათ პარიტეტულ კომიტეტსა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჯგუფს შორის არსებული კავშირი, რაზედაც მ. ჯავახიშვილმა 1923 წლის 29 მარტს მოახსენა: „ბანდიტიზმის, კერძოდ, ჩოლოკაევის მიმართ ერთხმად გადაწყდა, ეს მოვლენა მავნედ ჩაგვეთვა-ლა და მხარი არ დაგვეჭირა მისთვის, თუმცა მეორე მხრივ, ბოლო შეხვედრისას იასონ ჯავახოვმა მითხრა, რომ მან პარიტეტიდან მიიღო 300-400 ლირა, რომელსაც ჩოლოკაევის უგზავნის, რაზედაც, როგორც ჩანს, წინასწარ შეუთანხმდა წინამძღვაროვსა და იშხნელს“ [სუკ-ის არქივი, ფონდი №8, ფ. 64]. (მ.ჯავახიშვილის ეს და სხვა ჩვენებები პირადად მაქვს ნანახი სუკ-ის არქივში, 1990 წელს). მკითხველს შეუძლია ჩემს მიერ მოყვანილი ჩვენება ნესტან კირთაძის წიგნში გადაამოწმოს: „მ. ჯავახიშვილის მიერ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიის თავმჯდომარისადმი 1923 წლის

16 მარტს გაგზავნილი წერილის მეორე ნაწილი დასათაურებულია: „გაძლევთ დამატებით ჩვენებას და განვმარტავ“. მ. ჯავახიშვილი წერს: „იასონ ჯავახიშვილი, როცა უკანასკნელად და შემთხვევით შემხვდა ქუჩაში, გაკვრით მითხრა „პარიტეტულ კომიტეტში ავიღე 300 (თუ 400) ლირა. მინდა ჩოლოკაევის გაუგზავნოვო“. შესაძლო შეცდომის თავიდან ასაცილებლად განვმარტავ: 1. ეს თანხა პარიტეტულ კომიტეტს შეეძლო გაეღო ჩოლოკაევისათვის; 2. იასონ ჯავახიშვილს ეს თანხა შეეძლო მიეღო სესხად, ოღონდ პარიტეტულ კომიტეტს აცნობა ვისთვის და რისთვის არის განკუთვნილი; 3. შეასრულა თუ არა ჯავახიშვილმა თავისი განაზრახვი, არ ვიცი, რადან ამის შემდეგ მას არ შევხვედრივარ“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „კაენ სად არის ძმა შენი?!...“ თბ., 1998, გვ. 16].

ეს ჩვენება რომ სიმართლეს შეესაბამება და ჩოლოკაევილის რაზმს პარიტეტული კომიტეტი, ანუ „დამკომი“ მართლა რომ უგზავნიდა ფულს – ამაში სოლომონ ზალდასტანიშვილის მიერ ემიგრაციაში, ყოველგვარი ზენოლის გარეშე დანერგილი მოგონებებიც გვარწმუნებს: „ამ დღიდან ქაქუცა ჩოლოკაევილი თავისი რაზმით ჩვენი პარტიის რჩევითა და საშუალებით გადავიდა „დამკომის“ განკარგულებაში. მან პირობა მოგვცა, რომ ის გამოსვლას მხოლოდ „დამკომის“ დასტურით მოახდენდა... იარაღზე, ტანსაცმელზე და ფულზე ზრუნვაც (რამდენადაც შესაძლებელი იყო) სამხედრო კომისიას (ალბათ, ცენტრს – მ.ხ.) უხდებოდა“ [სოლომონ ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, პარიზი-თბილისი, გამ. „მერანი“, 1989, გვ. 16].

როგორც მკითხველმა უკვე იცის, მ. ჯავახიშვილმა თავად უშველა საკუთარ თავს, დახვრეტაც აიცილა და 1925 წელს, სასამართლო პროცესზე მონაწილის სტატუსით გამოვიდა. გთავაზობთ ამ პროცესზე მისი დაკითხვის იმ ნაწილს, რომელიც ქაქუცას ეხება. მონაწილეს, შიგადაშიგ, მის მიერ 1923 წელს მიცემულ ჩვენებებს ახსენებენ და უკითხავენ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ დაპატიმრებისას მან თავად მისცა ჩვენებები, რაც ნიადაგს აცლის ფალსიფიკატორების ვერსიებს, თითქოსდა, მწერალმა გამომძიებლების შედგენილ ტექსტს მოანერგა ხელი.

„ოკუჯავა: ხომ ვერ იტყვით თვეს, რომელი თვიდან იწყება თქვენი პარტიის კავშირი ჩოლოკაევილთან?

მონაწილე ჯავახიშვილი: დაახლოებით 1922 წ. გაზაფხულიდან.

ოკუჯავა: ხომ არ იცით, როგორ მოხდა ჩოლოკაევილის ნასვლა?

ჯავახიშვილი: გაგონილი მაქვს ასეთი ამბავი: ჩოლოკაევილი მსახურებდა წარმოკავშირეში, იყო მისი წარმომადგენელი წნორის წყალზე და ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააპატიმრა, მერმედ გამოუშვეს. ჩოლოკაევილი სჩიოდა, მემუქრებოდნენ დახვრეტითო. გავიდა 2 კვირა. ისევ დააპატიმრეს, ისევ გამოუშვეს, მერმედ კიდევ დააპატიმრეს, კიდევ გამოუშვეს. იმ კაცს უთქვამს: „სულ ერთია მე არ გადამარჩენენ და უმჯობესია ტყეთ ნავიდე“!

ოკუჯავა: ეს 1922 წელში იყო.

ჯავახიშვილი: დიახ.

ოკუჯავა: ხომ არ უთქვამს თქვენთვის იმ კაცს, რამდენ ხანს იჯდა?

ჯავახიშვილი: არა, მე მას არ ვიცნობ.

ოკუჯავა: ხომ არ გსმენიათ, რომ ის თქვენი პარტიის დავალებით 1921 წელს აწარმოებდა მუშაობას, მაშინ როდესაც მსახურებდა, სამსახურის გამო მიდიოდა კახეთში და პარტიის დავალებს ასრულებდა?

ჯავახიშვილი: არა, არ გამიგია. მხოლოდ ეხლა წავიკითხე.

ოკუჯავა: არც იცით არაფერი?

ჯავახიშვილი: არა, მე პირველად 1922 წ. გავიგე გაზაფხულზე, რომ ნაც.-დემ. ჩოლოკაევილთან კავშირი ჰქონდათ. მე მას წინეთ არ ვიცნობდი. გამიგონია კი, მინახავს, იმიტომ რომ წინეთ თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა, ცხენოსანი პოლკის უფროსი იყო. შორიდან მინახავს, მაგრამ რას აკეთებდა არ ვიცი.

ოკუჯავა: არ იცით, 1922 წლიდან შეგიძლიათ სთქვათ, რომ ჩოლოკაევილს თქვენ პარტიასთან კავშირი ჰქონდა?

ჯავახიშვილი: 1922 წლის გაზაფხულიდან.

ოკუჯავა: დასვით როდესმე საკითხი იმის შესახებ, რომ ჩოლოყაშვილის ბანდა ყოფილიყო დაშლილი, ან წასულიყო საზღვარგარეთ?

ჯავახიშვილი: მე მახსოვს ასეთი საკითხი იყო დასმული, წერილი მოეწერა, მგონი დავით ვაჩნაძეს გამოუგზავნა, მას ჰქონდა დამოკიდებულება ჩოლოყაშვილთან. ჩოლოყაშვილი თხოულობდა დირექტივებს: „ჩვენ ტყეში ვართ რამდენი თვე, აქ ყოფნა მოგვბეზრდა“ და თხოულობდა ნებართვას დაენყო მოქმედება. ამაზე გვექონდა მსჯელობა და ბოლოს დავადგინეთ მიენერათ იმისთვის მტკიცეთ, გარკვეულად: „არაფერი არ გაბედო“. უნდა მოგახსენოთ, რომ ამაზე თავიდანვე იყო მსჯელობა, ერთი-ორჯერ კი არა მრავალჯერ ქონდა შეთვლილი, რომ არავითარი გამოსვლა არ გაებედა. უკანასკნელ დროს, როდესაც უფრო ღრმად ჩაუკვირდით საქმეს, კატეგორიულად შევეუთვალეთ, რომ არავითარ გამოსვლებს ადგილი არ ქონოდა. რადგან მასთან კავშირი ჰქონდა დავით ვაჩნაძეს, როგორც რამოდენიმე თვის შემდეგ შევიტყეთ, მას გაუგზავნია სულ სხვანაირი ბრძანება. გარდა ამისა, იყო ლაპარაკი მასზე, ეს მაგონდება თუმცა ბუნდოვნად, რომ ის გადასულიყო, დაენებები[ნ]ა კახეთისათვის, რადგან რეპრესიები იმატებდა და ხალხი განიცდიდა ზარალს. ჩვენ ამას ანგარიში გაუწიეთ და ურჩიეთ მას გასულიყო ჩეჩნეთში ან დაღესტანში. ეს ასე იყო.

ოკუჯავა: აი, როდესაც დაისვა ეს საკითხი, მაშინ წინადადება მიიღეს თუ არა თქვენ პარტიამი მისი წასვლის შესახებ?

ჯავახიშვილი: ადამაშვილი: ორიოდე თვე არაფერი ისმოდა ჩოლოყაშვილისაგან. ისე კავშირი ქონდა მათთან დავით ვაჩნაძეს. უნდა აღვნიშნო, რომ ეს წევრი ცენტრ. კომიტეტისა სრულიად არ ემორჩილებოდა ცენტრ. კომიტეტს.

ოკუჯავა: მე გამოვაქვეყნეფ აქ საქმის მესამე ტ. 234 ფურც. სადაც წინასწარ ჩვენებაში ნათქვამია: „მე წინადადება შევიტანე, რომ მიეღოთ ყოველგვარი ზომები ამ ბანდის დასაშლელად და ჩოლოყაშვილის საზღვარგარეთ გაგზავნის შესახებო. მაგრამ ეს ჩემი წინადადება მიღებული არ იქნა“ /კითხულობს რუსულად/.

ჯავახიშვილი: ადამაშვილი: მოგახსენებთ, ურჩიეს გადასულიყო ჩეჩნეთში ან დაღესტანში და ასეც მოხდა.

ოკუჯავა: არაა მაგრე. „რასკუსტიც ბანდუ ი პერეპრავიც ზაგრანიცუ“.

ჯავახიშვილი: ადამაშვილი: დიახ. პირველი ნახევარი თქვენგან თქმულისა მაგრე იყო, მეორე ნახევარში კი უნდა აღვნიშნო, რომ დაღესტანი მიიღეს უცხოეთათ. მაშინ ეს ასეც იყო. თუ იქ გადავიდოდა საქართველოდან ჩოლოყაშვილი, საქართველოში შეწყდებოდა ყოველგვარი რეპრესიები.

ოკუჯავა: თქვენ რამე ცნობა ხომ არ გქონდათ იმის შესახებ, რომ ჩოლოყაშვილი დაღესტანში თავის შესაფარებლად წავიდა, თუ სხვა რაიმე დავალებით?

ჯავახიშვილი: ადამაშვილი: მე ვიცი, რომ ჩოლოყაშვილს ქონდა მუდმივი ურთიერთობა ჩეჩნებსა და ლეკებთან და მათთან რაიმე დავალების შესახებ იქ წასვლა არ დასჭირდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვექონდა ჩოლოყაშვილი მოგვეცილებინა კახეთს, ვინაიდან ჩოლოყაშვილი მეტ გაჭირვებას განიცდიდა ამ ხანებში.

ოკუჯავა: თქვენ ბრძანეთ, ჩოლოყაშვილმა გამოგზავნა კაცი და პარტიას შეეკითხა, თქვენთან კავშირი მინდა, ამოძრავებას ვაპირებ და მოითხოვა თქვენგან ნებართვა არა? მან ითხოვა ნებართვა თავის მოქმედების შესახებ პარტიისგან? თუ გქონდათ ცნობები 22 წ. ჩოლოყაშვილის ბანდასთან მენშევიკებს ქონდათ კავშირი თუ არა.

ჯავახიშვილი: ადამაშვილი: გაგონილი მქონდა, რომ ცდილობდნენ გაებათ კავშირი. დაასახელეს ვილაც კაცი, ეხლა არ მახსოვს და ის ცდილობდა კავშირის გაბმას, მაგრამ რით დასრულდა ეს ცდა არ ვიცი.

ოკუჯავა: ხომ არ გქონიათ ცნობა, რომ მენშევიკები დახმარებას აძლევდნენ ჩოლოყაშვილს ფულით?

ჯავახიშვილი: არ გამიგონია.

ოკუჯავა: პარიტეტულ კომიტეტს ქონდა კავშირი და აძლევდა თანხას თუ არა?

ჯავახიშვილი: არ აძლევდა, მაგრამ მე მაგონდება ერთი ჩვენება.

თავმჯდომარე: თქვენ ადასტურებთ თუ არა?

ჯავახიშვილი: არა, მე მინდა განვმარტო პირველი ჩვენება, თუ გნებავთ ნაიკითხეთ.

ოკუჯავა: /კითხულობს რუსულად და შემდეგ თარგმნის/: **თქვენ სწერთ, (იგულისხმება 1923 წელს მიცემული ჩვენება – მ. ხ.) რომ მენშევიკები თავის მხრით აგზავნიდნენ მასთან ხალხს და აძლევდნენ დახმარებას.** ბოლოს გაიგეთ, რომ პარიტეტული კომიტეტიც უნებდა დახმარებას ფულით.

ჯავახიშვილი: გავიგე, მაგრამ დანამდვილებით რომ ეს მოხდაო ამას ვერ ვიტყვი, ვერც ვიტყვოდი და მანდაც სწერია „სლიშალ“.

ოკუჯავა: ვისგან გაიგონეთ?

ჯავახიშვილი: ერთ-ერთი ჩემი ამხანაგისაგან, დანამდვილებით ვერ გეტყვით ვისგან. ეს სამი-ოთხი წლის წინათ გავიგე, მაგრამ რამდენათ მართალია არ ვიცი, იქ იყო ცდა.

ოკუჯავა: ასეთი ხმები ხშირათ მოდიოდა?

ჯავახიშვილი: ეგ ხმა იყო 22 წლის დასასრულს“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფ. ფ. 481-487]. მომყავს დასახელებული დოკუმენტის ერთი გვერდის ასლი. (სურ. №44).

1923 წლის 16 აპრილით დათარიღებულ ერთწინადადებიან ჩვენებაში, მ. ჯავახიშვილმა იასონ კერესელიძესთან ერთად, იასონ ჯავახიშვილი მეორედ დაასმინა: „იასონ კერესელიძე... მოკავშირის მოვალეობას ასრულებდა იასონ ჯავახიშვილის დავალებით...“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „კაენ სად არის ძმა შენი?!..“ თბ., 1998, გვ. 16].

გაცნობთ მწერლის 1923 წლის კიდევ ერთ დაკითხვის ოქმს:

„მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმი

1923 წლის 12 მაისი

კითხვა: საბჭოთა საქართველოს პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიულ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ვინმე უპარტიო მიგეწვიოთ?

პასუხი: არ ყოფილა. ასეთი შემთხვევები გასაბჭოებამდე ხშირი იყო.

კითხვა: რას იტყვით ახმეტელის კოოპტაციაზე?

პასუხი: იასონ ჯავახიშვილმა მითხრა, დიმ. ჯავახიშვილთან სხდომაზე ალექსანდრე ახმეტელიც იქნება მონაწილე. ვერ ვიტყვი, რომ ეს კოოპტაცია ყოფილიყოს. პირიქით, ეს მონაწილე მივიჩნეოდა დასწრებად, **რაც პირად საუბარში განვუცხადე საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს მოგილევსკის,** ახმეტელის მონაწილეს მე ვხსნი იასონ ჯავახიშვილის იმ სურვილით, რომ მუშაობაში მიეზიდა ახმეტელი, რომელსაც სილნალის მაზრაში დიდი გავლენა აქვს.

კითხვა: საქართველოს გასაბჭოებამდე რა შემთხვევაში იწვევდნენ უპარტიოებს ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე?

პასუხი: სპეციალური ხასიათის საკითხის განხილვისას.

კითხვა: დიმ. ჯავახიშვილის ბინაში გამართული ცენტრალური კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში თუ იდგა ისეთი საკითხი, რომელშიც ალექსანდრე ახმეტელი დამსწრეებზე უფრო კომპეტენტური იქნებოდა?

პასუხი: იდგა საორგანიზაციო საკითხი და ამ საკითხში სილნალის მაზრისათვის ახმეტელი უთუოდ ყველაზე კომპეტენტური იქნებოდა, რომ დათანხმებულიყო.

კითხვა: ენდობოდა კი ეროვნულ-დემოკრატიულ ცენტრალური კომიტეტი ახმეტელს, თუ ის ორგანიზაციულ საკითხზე სილნალის მაზრის მიმართ რაიმე წინადადებას წამოაყენებდა?

პასუხი: პირადად მე ვენდობოდი, რაკილა წინასწარ ვიცოდი, რომ ის რადიკალ-დემოკრატიულ ხაზს გაატარებდა.

კითხვა: რა ჭარბობდა უკანასკნელი შემადგენლობის ცენტრალურ კომიტეტში, რადიკალური

მიმდინარეობა თუ წმინდა ეროვნულ-დემოკრატიული?

პასუხი: ჩვენი ბოლო პროგრამის თანახმად (1921 წლის იანვარი), რადიკალიზმის მიმდინარეობა ჭარბობდა.

კითხვა: დაასახელეთ ეროვნულ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის ბოლო შემადგენლობის იმ წევრთა გვარები, რომლებიც რადიკალიზმთან ახლოს დგანან.

პასუხი: მე, იასონ ჯავახოვი, ნიკო კეცხოველი, სერგი დანელია, დიმ. ჯავახოვი. დარჩა კოტე აფხაზი და წინამძღვარი, რომლებიც პოლიტიკურად ერთობ სუსტად არიან მომზადებული. ჩვენს შორის სერიოზული უთანხმოება არ ყოფილა.

კითხვა: იდგა თუ არა თქვენს ცენტრალურ კომიტეტში პარტიის სახელწოდების შეცვლის, მაგალითად, „რადიკალ-დემოკრატთა პარტიის“ დარქმევის საკითხი?

პასუხი: ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის სახელწოდება მექანიკურად შემორჩა. სინამდვილეში ჩვენ ფორმალურად უნდა გვრქმეოდა ახალი სახელი (1921 წლის იანვრიდან) „დემოკრატიული პარტია“, რომელიც შეიქმნა, როგორც უკვე აღვნიშნე, ეროვნულ-დემოკრატთა, რადიკალ-დემოკრატთა, მესაკუთრე გლეხთა და უპარტიოთა კავშირის გაერთიანებით.

დაჰკითხავდა: პეტროსიანი“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „კაენ, სად არის ძმა შენი?!..“, თბ., 1998, გვ. 142].

სუკ-ის არქივში გრიფით – სრულიად საიდუმლოდ, მუდმივი შენახვის წესით დაცული იყო ერთი საქმე: მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმეზე აგენტურის მონაცემები“. ამ მონაცემების საფუძველზეც ჩეკა იმუშავებდა რეალურ გეგმას ჭეშმარიტ მამულიშვილთა წინააღმდეგ საბრძოლველად. თავისი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა მიეცა, ნ. კირთაძის მონოგრაფიის მეშვეობით, გაეცნოს ამ უსაიდუმლოეს დოკუმენტს. მკვლევარი დასძინს: „ქართველი პატრიოტები ამზადებენ აჯანყებას. საქჩეკას და ზაკჩეკას აგენტურა კი ყოველდღიურ მასალას აგროვებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მცდელობის გასაწიად“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996, გვ. 329]. დიდად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ „აგენტურის მონაცემებში“ რამდენჯერმე არის მოყვანილი მიხეილ ჯავახიშვილის ჩვენებებიდან აღებული ინფორმაცია. რასაკვირველია, ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, მე იმას არ ვამტკიცებ, რომ დიდი მწერალი ჩეკას აგენტი იყო, მაგრამ უნდა გაგაცნოთ ამონარიდები: „ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრი მ. ჯავახოვი აჩვენებს: შეთანხმების პუნქტებში იყო ასეთი: „ყველა პარტია უარს ამბობს დამოუკიდებელ გამოსვლაზე, მათ მოქმედებას აერთიანებს პარიტეტული კომიტეტი“. „პარიტეტულ კომიტეტს ყოფილ მთავრობასთან ყავს საგანგებო კონტროლიორი“, „საზღვარგარეთ გასული ყოფილი მთავრობა დირექტივებს პარიტეტული კომიტეტიდან იღებს და საერთოდ მას უთანხმებს თავის მოქმედებას“. „საზღვარგარეთიდან მიღებულ მთელ თანხას პარიტეტული კომიტეტი საერთო მიზნისათვის ხარჯავს“. „თუ ბოლშევიკები საქართველოდან წავლენ, ძალაუფლება გადადის პარიტეტული კომიტეტის ხელში“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996, გვ. 334]. მ. ჯავახოვი აჩვენებს, რომ კომიტეტის სხდომაზე „გადანყდა ადგილებზე მუშაობის გასაერთიანებლად შეექმნათ პარიტეტული სამეულები, რაც განხორციელდა კიდევ“ [ნ. კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996, გვ. 332]. „მ. ჯავახოვი პარიტეტის წევრის ი. ჯავახოვის ნათქვამით ამტკიცებს, პარიტეტულმა კომიტეტმა ჩოლოკაევს 300-400 ლირა გაუგზავნაო [ნ. კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996, გვ. 336]. „მაგრამ სად შოულობდნენ სახსრებს ავანტიურებისათვის? ისევ და ისევ ერთგვარ პასუხს გვაძლევს ჯავახოვი: „ფულის საქმეები მთლიანად გადავიდა ი. ჯავახოვის ხელთ, რომელმაც ერთხელ საზღვარგარეთიდან – პარტიის კონსტანტინოპოლის განყოფილებისაგან 500-600 ლირა მიიღო“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996, გვ. 345]. საგულისხმოა, რომ ეს ჩვენებები მიხეილ ჯავახიშვილმა მაშინ მისცა, როდესაც იასონ ჯავახიშვილი ჯერ დაპატიმრებული არ იყო. შეაჯამა რა სხვადასხვა მონაცემები, ჩეკამ მიზანი დაისახა:

„დაუჭერელი დაგვრჩა 7-8 ოფიცერი, რომლებიც კონტრდაზვერვაში მუშაობდნენ: მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ ცინცაძე, მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის წევრი ფაღავა, პარიტეტული კომიტეტის წევრი იასონ ჯავახიშვილი და ეროვნულ დემოკრატთა წევრი დავით ვაჩნაძე“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996, გვ. 346].

თამარა ფალავანდიშვილთან გავიგე ცუდი ამბავი, რომ სამხედრო ცენტრის ერთი წევრი ადამაშვილი-ჯავახიშვილი¹ დაიჭირეს და ამასთან ისიცა სთქვეს, რომ კოტე აფხაზი საშინლად არის შეწუხებული, რადგან უთქვამს; “დავიღუპეთ, საშინელი მშიშარაა და თუ აწამეს, ყველაფერს იტყვის“ო.

¹ ადამაშვილი-ჯავახიშვილი “ჯაყოს ხიზნების“ ავტორი.

№43. [ს. ჩიჯავაძე-კელია, „ნასმენ-ნახული“, 2002].

ოკრუტა - არც იცის არაფერი.

ჯანვარი - არა მე პირველად 1922 წ. ვაფიქსირებ, რომ ნაპოვნი დემა. ჩოლოყაშვილთან ვაფიქსირებ ვქონდათ. მე მას წინეთ არ ვიცნობდი. ვამიგონია კი, მინახავს, იმიტომ რომ წინეთ თვალსაჩინო ადგილი ვქონდა, ცხენოსანი პოლიციის დროს იყო. მოვიდნარ მინახავს, მე რამ რას ავუთხარებდი ვიცი.

ოკრუტა - არ იცის 1922 წლის დეკემბერში შეგობლიანთ დაქვითვით ჩოლოყაშვილს ბებენ პარტიასთან ვაფიქსირებ ვქონდა.

ჯანვარი - 1922 წლის განაფიქსირებდი.

ოკრუტა - დასწრით როდესმე სავითხი იმის შესახებ, რომ ჩოლოყაშვილის ბანდა ყოფილიყო დაშლილი, ან წასულიყო საზღვარ გარეთ.

ჯანვარი - მე მას სოფს ასეთი სავითხი იყო დასწრით მული, მჭირილი მიეწერა, მგონი დავით ვაჩნაძეს უნაჩოვრავს, მას ვქონდა დაჩოვიდებულზე ჩოლოყაშვილთან, ჩოლოყაშვილი თხოულობდა დიქტირებებს: "ჩვენ ტყეში ვართ რანდები თვე, აქ ყოფნა მოგვებერდა", და თხოულობდა ნებართვას დამწყობი მოქმედება. ამასვე ვქონდა მსჯელობა და ბოლოს დავადგინეთ მიეწერათ იმისთვის მტკიცეთ გარკვეულად "არაფერი არ ვიცი". უნდა მოგახსენოთ, რომ ამასვე თავიდანვე იყო მსჯელობა, ერთი-ორჯერ კი არა, მრავალჯერ ქონდა მსჯელობა შეთვლილი, რომ არავითარი განსვლა არ გაებედ. უკანასკნელ დროს, როდესაც უფრო ღრმად ჩაუკვრილთ საქმეს დაგვიგონოთ დალ შევუთვალეთ, რომ არავითარი გამოსვლებს ადგილი არ ქონდა. რადგან მასთან ვაფიქსირებ ვქონდა დავით ვაჩნაძეს, როგორც რამოდ-

№44. [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა საქმე 40].

III.4. მიხეილ ჯავახიშვილი და კალე მისაბიშვილი

ჩემს ნაშრომში „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“, მე დავსვი საკითხი მ. ჯავახიშვილის კალე მისაბიშვილთან ურთიერთობის საგანგებოდ შესწავლის აუცილებლობის შესახებ. თუ ეს საკითხი აქტუალური არ იყო, მაშინ რატომ აიტაცა იგი გ. ციციშვილმა და რატომ დაახარჯა ამდენი შრომა ჩემს მიერ დასახელებული ორი პიროვნების ურთიერთობის მისეულ გამორკვევას? გ. ციციშვილმა თითქმის მთელი თავისი ნაშრომი „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“ იმის დამტკიცებას მიუძღვნა, რომ მ. ჯავახიშვილი და კ. მისაბიშვილი თანამოაზრენი იყვნენ არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხში, არამედ უკლებლივ ყველაფერში. მან ეს ორი პიროვნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკურ ორეულებად წარმოაჩინა. მე კი მაკრიტიკებს: „მაშასადამე, მ. ხომერიკისეული ლოგიკით „მოლაღატე“ კ. მისაბიშვილი სამნუხარო და სავალალო „თანამოაზრე ყოფილა მ. ჯავახიშვილისა“ [გ. ციციშვილი, „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003, გვ.96]. ჩემი ოპონენტი ვერ ხვდება, რომ საკუთარ თავს ეწინააღმდეგება და ჩემს ვარაუდს თავისი მსჯელობით ამყარებს: „ისტორიის კონკრეტული წყაროების საფუძველზე კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის ეროვნული ღვანლის შესწავლა-გაშუქება გვეხმარება და საშუალებას გვაძლევს დამატებით გავიაზროთ 20-იანი წლების დასაწყისის ანტისაბჭოთა მოძრაობის ნამდვილი ისტორია“ [გ. ციციშვილი, „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003, გვ. 5].

ვინ იყო კალე მისაბიშვილი? ამ პიროვნებას აბრალებდნენ პარიტეტული კომიტეტის სამხედრო ცენტრის გაცემას, რის გამოც, პარიტეტულმა კომიტეტმა 1923 წლის 1 აპრილს იგი მოაკვლევინა. მისაბიშვილის გადმოხიზება ჩეკამ მისი პატიმრობის დროს, 1923 წლის დასაწყისში, მოახერხა და ციხიდან სპეციალური დავალებით გაათავისუფლა. აქვე დავაზუსტებ მისი დაპატიმრების თარიღს. ქ. ჯავახიშვილს მოჰყავს მ. ჯავახიშვილის მოკლე ჩანაწერები: „1 მაისი 1921 წ. კალესა და სხ.-ის დაპატიმრება. მის მაგიერ კეცხოველი“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 28].

საინტერესოა მ. ჯავახიშვილის მიერ ჩეკაში მიცემული ჩვენება: „მისაბიშვილის შესახებ ვუჩვენებ: მისი განთავისუფლების შემდეგ მე მას ორჯერ შევხვდი... მან შემდეგი მიაპბო: იგი საქ. ჩეკას გამომძიებელმა გეგეჭკორმა მიიწვია ტროცკის ქუჩაზე. მიიღო ვინმე მოროზმა, რომელიც მისაბიშვილს ქართველ ინტელიგენციას შორის რუსული „სმენოვეხოველობის“ ანალოგიური მიმდინარეობაზე ესაუბრა. ამასთან, გაიგო რა, რომ მისაბიშვილი იზიარებდა მსგავს მიმდინარეობას, შესთავაზა თავის თავზე აეღო აღნიშნული მიმართულების გაზეთის გამოშვების ინიციატივა. ამის შემდეგ, მისაბიშვილმა მკითხა ჩემი აზრი. ვიპოვე რა მასში თანამოაზრე, მე მას დადებითი რჩევა მივეცი. ვუთხარი, რომ მეც მივატოვე ყოველგვარი მუშაობა პარტიაში და ვუერთდები მას, მაგრამ უნდა დავიცადო რაღაც ხნით... მგონი მეორე დღეს, ჩემთან შემოირბინა იასონ ჯავახოვმა და მიაპბო მისაბიშვილის გეგეჭკორთან და მოროზთან საუბრის შესახებ. ამასთან, აღელვებული იყო და გამოთქვა ვარაუდი, რომ მისაბიშვილმა გაგვყიდა, მირჩია იატაკქვეშეთში გადავსულიყავი. მისაბიშვილის მოლაღატეობის შესახებ მე ეჭვი გამოვთქვი, ვთქვი, რომ ახალი მიმართულების გაზეთის გამოცემის განზრახვა გამცემლობა არ არის“ [სუკ-ის არქივი, „პარიტეტული კომიტეტის საქმე. დასკვნითი დადგენილება“, ფონდი №8, ფ. 76].

ეს ჩვენება ამ სახით არის ციტირებული პარიტეტული კომიტეტის საქმის დასკვნით დადგენილებაში. დედანში კი იგი უფრო ვრცელია. მ. ჯავახიშვილს იასონ ჯავახიშვილისთვის უთქვამს: „ახალი მიმართულების მქონე გაზეთის გამოცემის განზრახვა გამცემლობა არ არის, იქნებ მეც მივეხმარო და ასეთ გაზეთში ვითანამშრომლო-მეთქი. ეს რომ გაიგო, იასონ ჯავახოვი შეცბა და დალონდა. სწორედ იმ დღეს ვუთხარი მას, შენ და შენ მეგობრებს ჩემი იმედი მეტი აღარ გქონდეთ-მეთქი.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა ჯავახოვთან, წინა დღეს კი – მისაბიშვილთან. მისაბიშვილის სავარაუდო გამცემლობაზე მეტი არავისაგან არაფერი გამიგია და არც არავისთან მილაპარაკია.

1923 წლის 13 აპრილი

მიხეილ ჯავახოვი“ [სუკ-ის არქივი. „საგამომძიებლო მასალები“. 1922-23 წლების დამოუკიდებლობის კომიტეტისა“, „სამხედრო ცენტრისა“ და კონტრდაზვერვისა“, არქივი №23, ფ. 60].

აქვე დედნისეულ ენაზე გთავაზობთ ამონარიდებს სუკ-ის არქივის დოკუმენტებიდან, რასაც 1990 წელს გავეცანი:

«1-го апреля 1923 г. Около своей квартиры по Казбекской ул., несколькими выстрелами из револьвера был убит бывший член нелегального ЦК нац. демократов Кале Мисабишвили.

По поводу его убийства обвиняемый Ишхнели показывает:

«Вопрос о терроре у нас всплыл в начале 23-го года, когда выяснилось, что Мисабишвили провокатор. Аресты Вардена Цулукидзе и Коте Абхази убедили нас, что Мисабишвили является провокатором. Все: Ясон Джавахишвили, Цинамдзгвришвили, я, Патаридзе, Николай Кецохвели – были того мнения, что его нужно «убрать со сцены» как мы выражались... Вскоре из газет я узнал, что Мисабишвили убит. Я встретил Цинамдзгвришвили и спросил, кто убил. Тот ответил – не все-ли равно для нас кто убил – нужно молчать...

Очевидно, об убийстве Мисабишвили партия или паритетный комитет сообщил заграничному бюро т.к. по свидетельству того-же Ишхнели – заграничное бюро в одном из своих очередных писем предлагало «с предателями партии поступить так, как поступил паритет с Мисабишвили».

Член паритета Яс. Джавахишвили также старается объяснить причину убийства Мисабишвили тем, что он был провокатором.

«После провала организации «военный центр» стали ходить слухи, что последний выдал Мисабишвили Кале. Фактов не было. Я на время прекратил с ним связь. Потом узнал из газет о его убийстве. Спустя некоторое время Цинамдзгваров сказал мне, что организация молодежи настаивала на убийстве Мисабишвили как провокатора и что он принужден был дать свое согласие. Впоследствии сам Когуашвили мне говорил, что убийство Мисабишвили ему поручил совершить Цинамдзгваров...»

По поводу его убийства обвиняемый Ишхнели показывает:

„ЦК нац. дем. Партии Хоперия Семен показал, что когда Когуашвили сам рассказал ему об убийстве Мисабишвили по поручению Гогиты Пагава и Георгия Цинамдзгвришвили за то, что, якобы, Мисабишвили выдал председателя ЦК Коте Абхази и др. и что основанием для убийства послужило сообщение об этом из тюрьмы.

Обстоятельства, предшествовавшие убийству Мисабишвили, выясняют действительную причину этого акта.

Находясь под стражей в Исправдоме, Мисабишвили, в начале 1923 года заявил представителям ЧК о своем коренном переломе взглядов в вопросах об отношении интеллигенции к Советской власти и о необходимости начатия среди них работы по переоценке взглядов путем издания газеты в духе «сменовеховства». Хотя в словах Мисабишвили была заметна некоторая неуверенность в своих силах и авторитете, однако он был из под стражи освобожден. Еще до ареста «военного центра», Мисабишвили имел об этом беседу с членом ЦК Михаилом Джавахишвили, сущность которой последний приводит в своем показании, данном вскоре же после убийства:

„О К. Мисабишвили показываю: после его освобождения, я два раза встретил его... он рассказал мне следующее: Его пригласил на ул. Троцкого следователь Грузчека Гегечкори. Принял его некий Мороз, который беседовал с Мисабишвили о течении среди грузинской интеллигенции аналогичного русскому «сменовеховству», при чем узнав, что Мисабишвили разделяет таковое течение, предложил ему взять на себя инициативу по изданию газеты указанного направления. Об этом Мисабишвили спросил мое мнение. Найдя в нем единомышленника, я дал ему положительный совет, сказав,

что я тоже оставил всякую работу в партии и присоединяюсь к нему, но должен выждать некоторое время. По вопросу о группе сотрудников мы назвали несколько имен, между прочим Кикодзе, Готуа и др... Кажется на второй день ко мне забежал Ясон Джавахов и рассказал о разговоре Мисабишвили с Гегечкори и Морозом, причем был взволнован и высказал предположение, что Мисабишвили предал нас, посоветовав мне уйти в подполье... О предательстве Мисабишвили я высказал сомнение, говоря, что намерение издать газету нового направления не есть предательство“...

„И Михаил, и Ясон Джавахишвили утверждают, что по освобождении из тюрьмы Мисабишвили не прерывал связи с нелегальной организацией, одновременно высказывая взгляды о необходимости и возможности легализовать партию. Во всяком случае, роль не провокатора“ [სუკ-ის არქივი, არქივი №8, ფ. 75-77].

გაკვირვებას იწვევს მ. ჯავახიშვილის ასეთი მისწრაფება „სმენავებოვებლობისაკენ“. მას ხომ კარგად მოეხსენებოდა აღნიშნული მიმდინარეობის არსი. მომყავს ამონარიდები, რომლებიც გვიჩვენებენ „სმენავებოვებლობის“ რაობას:

„საზღვარგარეთ გადახვენილ თეთრგვარდიელ რუს ინტელიგენტების ერთ ნაწილში გაჩნდა ახალი ჯგუფი „სმენავებლები“, რომლებიც ცნობენ საბჭოთა ხელისუფლებას და სხვადასხვაგვარი დახმარების აღთქმას გვაძლევენ ჩვენ, კომუნისტებს“ [ბაევსკი „სმენავებლების ნაციონალიზმი“, გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 13 სექტემბერი].

„ქართველი ინტელიგენტების უდიდესი ნაწილი თავიდანვე ჩუმი თუ აქტიური ბოიკოტის პოზიციაში ჩაუდგა ხელისუფლებას... ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართულ ინტელიგენციაში „სმენავებში“ ძალიან ნელი და ხშირად შეუმჩნეველი ტემპით მიმდინარეობდა. აქ ჩვენი — კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა ცხადია გაცილებით უფრო რთული და მტკივნეული შეიქმნა, ვიდრე ეს იყო რუსეთში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ არის არავითარი ნინსვლა“ [საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის პოლიტიკურ პარტიათა არქივი, ფონდი 14, ანაწერი 2, საქმე №657, ფ. 9, 1925 წ.]. „სმენავებოვებლობის“ საქართველოში დანერგვა ჩეკას „ოცნება“ იყო.

მ. ჯავახიშვილი კ. მისაბიშვილს დათანხმდა მონაწილეობა მიეღო იმ გაზეთისა თუ ჟურნალის გამოცემაში, რომელიც ჩეკას მიერ იყო დაგეგმილი. 1923 წლის 13 აპრილის ჩვენებაში ის წერს, კ. მისაბიშვილმა „მთხოვა გამომცემელთა ჯგუფის შედგენაში დამეხმარეო, რაც ასევე აღვუთქვი. მას ეეჭვებოდა, მეყოფა თუ არა ძალები და უნარი ასეთი გაზეთის გამოსაცემადო, მაგრამ გავამხნევე და კმაყოფილი, გახარებული წავიდა. ამით დაინტერესებულმა, დაახლოებით ერთი კვირის მერე მოვიწვიე, მიხდოდა გამეგო როგორ მიდის საქმე. ხუთიოდე წუთით შემოიარა და მითხრა, ჯერ არც გეგეჭკორს შევხვედრივარ და არც ვინმესთან მილაპარაკია ამ საკითხზეო“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996, გვ. 251].

კალე მისაბიშვილს არავითარი სმენავებოვური გაზეთი ან ჟურნალი არ გამოუშვია. იგი კვლავ დაუბარებიათ ჩეკაში და უთქვამთ: „არავითარი ჟურნალი არ არის საჭირო, შევუდგეთ საქმეს“. „საქმეში“ ცხადია, დასმენა იგულისხმებოდა. ჩვენ არ ვიცით, კ. მისაბიშვილმა მარტომ დაასმინა სამხედრო ცენტრის წევრები, თუ მას ამ საქმეში ვინმე „თანამოაზრე“ ეხმარებოდა. კ. მისაბიშვილის ახალგაზრდობას და გამოუცდელობას უნდა მივანეროთ ის ფაქტი, რომ ის ვერ ფარავდა თავის მოქმედებებს. მისაბიშვილის აგენტობა ცნობილი ყოფილა პარიტეტული კომიტეტის წევრებისათვის. მათი გადანყვეტილებით, მ. ჯავახიშვილი იძულებული იყო ჩამოეშორებინა პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომისიაში მუშაობას კ. მისაბიშვილი, რომელიც თავად ჰყავდა კომისიაში მიწვეული [პოლიტიკურ პარტიათა არქივი, ფონდი 14, აღწერა 2, საქმე №40, ფ. 187]. როდესაც მ. ჯავახიშვილი დააპატიმრეს, მისი დაპატიმრება კ. მისაბიშვილს სერიოზულად არ მიუღია და უთქვამს «ерунда, наверно он арестован за спекуляцию» [პოლიტიკურ პარტიათა არქივი, ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფ. 187].

თუ ყველა მკვლევარი ცალსახად ადასტურებდა და ადასტურებს, რომ სამხედრო ცენტრი

კ. მისაბიშვილმა გასცა, მე მხოლოდ შემდეგი ფაქტი აღვნიშნე: „ამ პიროვნებას აბრალებდნენ პარიტეტული კომიტეტის სამხედრო ცენტრის გაცემას, რის გამოც, პარიტეტულმა იგი მოაკვლევინა 1923 წლის 1 აპრილს“ [მ. ხომერიკი, „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიას“, თბ., 1996, გვ. 10]. მიუხედავად ამისა, გ. ციციშვილი სწორედ მე მესხმის თავს, თითქოსდა, კ. მისაბიშვილისთვის მე დამებრალებინოს გამცემლობა. მისი კრიტიკის საგნად არ ქცეულა თავისი მეგობრის, გ. საითიძის ნიგნი, სადაც ვკითხულობთ: „ისტორიული აუცილებლობა მოითხოვს ქართველმა ხალხმა იცოდეს იმ სულმდაბალთა სახელები, რომლებიც მტრის სამსახურში შედიოდნენ, რათა საკუთარი ცხოვრება მოეწყოს, თუნდაც იგი თავიანთ მოძმეთა გვამებზე ფეხის დაბიჯებით მოეპოვებიათ...კ. აფხაზისა და მასთან ერთად დაპატიმრებული სხვა მამულიშვილთა ერთ-ერთი გამცემის სახელი ცნობილია“. ავტორი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის სტუდენტთა კომისიის წევრს, კალისტრატე მისაბიშვილს ასახელებს და დასძენს: „სავარაუდოა, რომ იგი ედპ-ში ადრიდან შეგზავნილი აგენტი იყო. ამ უღირს ადამიანზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ“ [გ. საითიძე, „სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი)“, თბ., 1997, გვ. 97].

1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი სოლომონ ზალდასტანიშვილი, ემიგრაციაში დაწერილ მოგონებებში ადასტურებდა, რომ „1923 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კ. მისაბიშვილმა გასცა მთელი შემადგენლობა სამხედრო ცენტრისა“ [ს. ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება. მოგონებები“, პარიზი-თბილისი, თბ., 1989, გვ. 16].

გ. შარაძე ნათლად წერს: „ამავე 1923 წლის თებერვალშივე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კ. მისაბიშვილმა გასცა დამკომის სამხედრო ცენტრის მთელი შემადგენლობა“ [გ. შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ“, ნ. II, თბ., 1993, გვ. 1].

გელა სულაძე გვამცნობს: „საგანგებო კომისიას ფარული აგენტები ჰყავდა საზოგადოების სხვადასხვა ფენებში, ინტელიგენციაში, ორგანიზაცია-დანესებულებებში, თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმშიც კი.“

წარმატებული აღმოჩნდა ჩეკისტებისათვის ფარული თანამშრომლობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრთან კალე მისაბიშვილთან. კ. მისაბიშვილი საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებულ, ხოლო 1923 წლის დასაწყისში განთავისებულ იქნა ციხიდან. ის, როგორც აქტიური პარტიული მუშაკი იმთავითვე ჩართეს არალეგალურ საქმიანობაში, თუმცა მის მიმართ უნდობლობა სამხედრო კომისიაში უკვე გაჩენილი იყო. იმავე წლის თებერვალში დააპატიმრეს პარიტეტული კომიტეტის წევრი მიხ. ჯავახიშვილი და დუშეთის აჯანყების ყველა მონაწილე. ამ საქმეშიც კ. მისაბიშვილის ხელი ერია. ქართველ იატაკქვეშელებს კ. მისაბიშვილის მიმართ ეჭვი უკვე აღარ ეპარებოდათ, თუმცა გადაძვრელი ზომების მიღებას არ ჩქარობდნენ. მას შემდეგ, რაც საგანგებო კომისიამ დააპატიმრა კოტე აფხაზი, ვარდენ ნულუკიძე და სხვა შეთქმულები, აშკარა გახდა, რომ პარიტეტულ კომიტეტზე და მის ფარულ გეგმებზე საგანგებო კომისიას ინფორმაცია სწორედ კ. მისაბიშვილი აწვდიდა. საიდუმლო თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ იასონ ჯავახიშვილი, გიორგი წინამძღვრიშვილი, პატარიძე, ნიკო კეცხოველი და კიდევ ერთი პიროვნება, გადაწყდა მისაბიშვილის ფიზიკური განადგურება. კ. მისაბიშვილმა იას. ჯავახიშვილის და გ. წინამძღვრიშვილის წინაშე აღიარა ის ფაქტი, რომ პატიმრობაში მყოფი იძულებული იყო ეკისრა საგანგებო კომისიასთან საიდუმლო თანამშრომლობის ვალდებულება იმ მოტივით, რომ თითქოსდა, ის ნაწილობრივ დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, თუმცა მოგვიანებით მისგან მოითხოვეს ინფორმაცია პარიტეტულ კომიტეტში მიმდინარე პროცესებზე. კ. მისაბიშვილმა აღიარა, რომ საგანგებო კომისიის ხრიკებს ის დათანხმდა შიშის გამო. კედელთან მიმწყვდეული სასონარკვეთილი კ. მისაბიშვილი ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვას ითხოვდა: «Сейчас конечно я в ЧК больше идти не могу: давайте будем скрываться. Дайте мне денег, чтобы отослать куда либо свою жену, дайте мне револьвер и какие угодно задачи, совершить экспроприацию, я это исполню.» კალე მისაბიშვილი რომ ბოლშევიკების ნებას დაჰყვა და მოლაღატური ქმედება ჩაიდინა, ამის თაობაზე

ეროვნულ-დემოკრატი სევერიან ჭირაქაძე 1929 წლის 10 თებერვლით დათარიღებული წერილით პარტიის თავმჯდომარეს სპ. კედიას ატყობინებდა“ [გ. სულაძე, „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“, თბ., 2010, გვ. 75].

კ. მისაბიშვილს, 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილ უახლეს ნაშრომშიც ედება ბრალი: „1923 წ. თებერვალში საოკუპაციო ძალამ აგენტების საშუალებით შეთქმულთა ვინაობა დაადგინა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კალისტრატე მისაბიშვილმა გასცა კომიტეტის წევრები, დუშეთის შემადგენლობა, გამოააშკარავა პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის როლი“ [მონაზონი მარიამი (ია ბაგრატიონ-მუხრანელი), „გენერლები ჯარისკაცებს არ სტოვებენ...გენერალი კოტე აფხაზი“, წიგნში: „ზვარაკად შეწირულნი...“ თბ., 2023, გვ. 42].

აი, ეს გახლავთ „ეროვნული ღვანლი“ კ. მისაბიშვილისა, რომელიც გ. ციციშვილმა მ. ჯავახიშვილს გაუთანაბრა და ქება-დიდება არ დაიშურა. ზემოთ დამონმებული ჩვენებები ნანახი არ ჰქონდა და სოფიო ჩიჯავაძე-კედიას, რომელსაც კ. მისაბიშვილი უდანაშაულოდ მიაჩნდა. ავტორი მხოლოდ იმას მოგვითხრობს, რაც თავად მოუსმენია ან უნახავს. მ. ჯავახიშვილის შესახებ გვამცნობს: „ეს ადამაშვილი გაათავისუფლეს და იოლად შედის ჩეკაში, სადაც ვასო მგალობლიშვილთან ერთად იყვნენ დაჭერილები ე. დ. პარტიის წევრები. მ. ჯავახიშვილს ვასო მგალობლიშვილისთვის მიუძღროთავს: „ვიცი, რომ უშენოდ არაფერი გადამწყდება და თუ რაიმე საშიშროება მელის, იცოდეთ, მე ისე მანამეს, ყინულზე დამანვინეს, რომ იძულებული ვიყავი ყველაფერი მეტქვაო“ [ს. ჩიჯავაძე-კედია, „ნასმენ-ნახული, 2002, გვ. 261]. აქედან ნათელია, რომ დიდ მწერალს ეშინოდა თავისი ყოფილი თანამებრძოლების მხრიდან შურისძიებისა, როგორც ეს კ. მისაბიშვილის შემთხვევაში მოხდა. ზემოაღწერილი ფაქტი, პირადად ჩემთვის, უფრო სარწმუნოს ხდის იმ ზეპირსიტყვიერ ცნობას, რომელიც გაიოზ იმედაშვილმა მომანოდა. მამამისთან, იოსებ იმედაშვილთან, სახლში მისულა მ. ჯავახიშვილი და უთქვამს, მე ისეთ ნაწარმოებებს შევქმნი, რომ ქართველი ხალხი ყველაფერს მაპატიებსო. მკითხველს შეუძლია ამ ცნობას არ ენდოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ იგი სხვა უტყუარ ცნობებს და ს. ჩიჯავაძე-კედიას მონაყოლს ეხმიანება, რის გამოც, მისი უგულვებელყოფა არ ღირს. გ. ციციშვილი ს. ჩიჯავაძე-კედიას ვერსიას მ. ჯავახიშვილის მოლაღატეობის შესახებ „მცდარად შეკონინებულს“ უწოდებს. ამავე დროს აცხადებს, რომ „მიხეილ ჯავახიშვილი და სხვა „სამხედრო ცენტრის“ გამო დაპატიმრებულები, განსხვავებით ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებისაგან, ფიზიკურად არ უნამებიათ“ [გ. ციციშვილი, „სიმართლე 1921-19223 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003, გვ. 443]. ეს თუ მართალია, მაშინ გამოდის, რომ მ. ჯავახიშვილმა თავის გადასარჩენად ტყუილი მოიგონა. ის არავის უნამებია? ასეთი რამ მე რომ მეტქვა, ამას ვინ მაპატიებდა? გ. ციციშვილი თავისი წიგნის ანოტაციაში აცხადებს: „მონოგრაფიაში, სათანადო ისტორიის მასალებსა და პირველწყაროებზე დაყრდნობით, დასაბუთებულია, რომ ცალკეულ ავტორთა პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც მ. ჯავახიშვილს საჩოთირო პოლიტიკოსად თუ თანამოაზრე-თანამებრძოლთა და სამშობლოს მოლაღატედ გვისახავს, ყალბია.“ ვფიქრობ, ამ რიხიან განცხადებას ავტორი თავადვე აბათილებს, როდესაც აღიარებს, რომ მ. ჯავახიშვილმა „მართლაც პრინციპული მნიშვნელობის, ალბათ, ვერაფერი დამალა და იძულებული გახდა ყველაფერი ეთქვა, ანუ ძიების მიერ დასმული ყველა კითხვისთვის ეპასუხა, მაგრამ სათანადო წყაროები მეტყველებენ, ასევე ვერაფერი დამალა ვერც ერთმა „სამხედრო ცენტრის“ საქმეზე დაპატიმრებულმა...“ [გ. ციციშვილი, „სიმართლე 1921-19223 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003, გვ. 444]. როგორც ვხედავთ, გ. ციციშვილს ახლა სხვებზე გადააქვს ყურადღება. ჩემი ოპონენტების მხრიდან საკითხის ამგვარი კუთხით შემობრუნება მე წინასწარ განვჭვრიტე და ჩემს წიგნში „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“ დავსვი კითხვა: „მიხეილ ჯავახიშვილის გარდა ყველა უცოდველი იყო?“ პასუხი თავად გავეცი: რასაკვირველია, იმ რთულ დროს „უცოდველი“ ყველა არ ყოფილა, მაგრამ მათი ბიოგრაფები, თუ შთამომავლები, სხვების მხილებასა და პირუთვნელი ისტორიის დაწერას არ მოითხოვდნენ. „და რომელითა სასჯელითა შჯიდეთ,

მითცა ისაჯნეთ, და რომელითა სანყაულითა მიუწყოთ, მითცა მოგენყოს თქუენ“ [მათე, 7. 2]. ს. ჩიჯავაძე-კედიამ სპირიდონ კედიას თანამებრძოლ ეროვნულ-დემოკრატებს შორის მ. ჯავახიშვილი არც კი დაასახელა, ხოლო ემიგრანტი მწერალი, ეროვნულ-დემოკრატი შალვა ამირეჯიბი „ჯაყოს ხიზნების“ შეფასების დროს აღნიშნავდა: „მასში გამოსჭვივის თვით ავტორის ბედი“ [შ. ამირეჯიბი, „ჯაყოს ხიზნები“, „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, №10, გვ. 2]. გ. ციციშვილი მ. ჯავახიშვილის თანამედროვე ანტისაბჭოთა მოღვაწეებს უპირისპირდება და წერს, რომ შ. ამირეჯიბმა „ნანარმოებთან ერთად ეჭვის ქვეშ დააყენა ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური ღირსების საკითხიც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შემთხვევითი არ არის გრ. რობაქიძისეული სანინააღმდეგო კომენტარები, უნდა ვიფიქროთ, რომ მ. ჯავახიშვილი, როგორც მწერალი და პოლიტიკოსი, ცუდად გაგებულა ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციის ერთ ნაწილში. მაგრამ, როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილი როგორც მწერალი, ქართული ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ცუდად გაიგო ჩვენშიც, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, ზოგმა ცუდად გაიგო, როგორც პოლიტიკოსიც. ამას მოწმობს თუნდაც გ. ქიქოძის ნააზრევი, რომლის მიხედვით ჩეკას პატიმრობაში მყოფი მ. ჯავახიშვილი 1924 წლის აჯანყების წინ გაათავისუფლეს“ [გ. ციციშვილი, „სიმართლე 1921-19223 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003, გვ. 441.]

მისაბიშვილი მოკლეს. მ. ჯავახიშვილთან მისი საიდუმლო კავშირი არ გამომჟღავნებულა. 1925 წლის ზაფხულში, როდესაც ხელისუფლებამ ჩეკასა და სასამართლოს მიერ პარიტეტული კომიტეტის შესახებ მოძიებული მასალები გაზ. „კომუნისტში“ გამოაქვეყნა, მ. ჯავახიშვილისა და კ. მისაბიშვილის ურთიერთობის თაობაზე არაფერი დაბეჭდილა, მიუხედავად იმისა, რომ ჩეკას ჰქონდა სათანადო მასალა. თვითონ სასამართლო პროცესი დახურული იყო, როგორც ეს წინასწარ დაადგინეს: „საქმის განხილვის დროს საჭირო დარჩება ბევრი ისეთი საბუთების გამოქვეყნება, რომლებიც შეიცავენ დიპლომატიურ და სამხედრო ცნობებს და მათი სამსჯავრო სხდომაზე გამოტანა საზოგადოების თანდასწრებით, სახელმწიფოებრივი საიდუმლოების არ დაცვა იქნებოდა“ [პოლიტიკურ პარტიათა არქივი, ფონდი 14, ანაწერი 2, საქმე №40, ფ. 765]. სასამართლოს მასალების გაცნობამ იგივე სურათი დამანახა: გამოძიებას არ სურდა კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის ურთიერთობის თემის წამოწევა, რასაც იმით ვერ ავხსნით, რომ კ. მისაბიშვილი ცოცხალი აღარ იყო. სხვა გარდაცვლილებზე ხომ დანვრილებით იძიებდნენ ფაქტებს. კ. მისაბიშვილის შესახებ მოწმე მ. ჯავახიშვილს ბრალდებულმა იასონ ჯავახიშვილმა დაუსვა კითხვა და არა თავმჯდომარემ, რომელიც საკითხის მიჩქმალვას ცდილობდა:

„ბრალდებული ჯავახიშვილი: თქვენ იცით თუ არა რა ადგილი ეჭირა პარტიაში კალე მესაბიშვილს ვიდრე მას დააპატიმრებდნენ?

მ. ჯავახიშვილი: ის იყო წარმომადგენელი, ცეკას წევრი. დაპატიმრების შემდეგ, როდესაც გამოუშვეს მგონი დეკემბერის დამდეგს 22 ნელში.

ი. ჯავახიშვილი (ბრალდებული): გამოშვების შემდეგ ღებულობდა თუ არა მონაწილეობას არალეგალურ მუშაობაში?

მ. ჯავახიშვილი: თუგინდ დანვრილებით მოგახსენებთ.

თავმჯდომარე: მოკლეთ უპასუხეთ.

მ. ჯავახიშვილი: მოკლეთ, იღებდა.

ი. ჯავახიშვილი: თქვენ ხომ არ იცით, როდესაც იმან დაიწყო მუშაობა ლეგალიზაციაზე, ჩვენ წინასწარ გვითხრა, თუ იძულებული იყო ელიარებინა ეს ფაქტი მაშინ, როდესაც გავიგეთ?

მ. ჯავახიშვილი: ეს შემდეგ იყო.

ი. ჯავახიშვილი: როგორ ახსნა თავის მოქმედება მან, სად ვმუშაობო?

თავმჯდომარე: რისთვის გესაჭიროება ასეთი საკითხის მიცემა?

ი. ჯავახიშვილი: იმისთვის, რომ კალე მისაბიშვილის მოკვლაში ბრალს სდებენ არა მარტო ჩვენს პარტიას, არამედ მთელ პარიტეტულ კომიტეტს იმიტომ, რომ ის მომხრე იყო ლეგალიზაციის.

თავმჯდომარე: თქვენ გინდათ დაამტკიცოთ, რომ არ მიუღია მის მოკვლაში თქვენს პარტიას

მონაწილეობა.

ი. ჯავახიშვილი: თუ ნებას დამრთავთ მოგახსენებთ...

თავმჯდ. თქვენ გსურთ დაამტკიცოთ, რომ მის მოკვლაში თქვენს პარტიას მონაწილეობა არ მიუღია?

ი. ჯავახიშვილი: დიახ. ეს ერთი და მეორე ის, რომ ის არ იყო ლოიალური ჩვენი პარტიისადმი არც ეროვნულ საკითხისადმი როგორც ეს გვესმოდა ჩვენ. ეს სწორედ საჭირო იყო.

თავმჯდ. თქვენთვის შეიძლება იქნეს საჭირო, საქმისთვის კი არ არის საჭირო.

ი. ჯავახიშვილი: მოწმის ჩვენებაში არის ეს ადგილი და თუ ამის შესახებ არ შემიძლია შეკითხვა მივსცე, მაშინ...

თავმჯდომარე: შეიძლება მოწმის ჩვენებაში ბევრი სხვა ადგილიც არის, რომელიც საქმის ვითარებას არ არკვევს, მაშინ სასამართლოს შეუძლია ეს ადგილები გამოუშვას.

ი. ჯავახიშვილი: თქვენ აჩვენებთ, რომ მე გითხარი, რომ მისაბიძვილი არის გამცემელი?

მ. ჯავახიშვილი: ეჭვი მიიტანეს იმაზე და მახსოვს, რომ დაიწყო საქმის გამოძიება.

ი. ჯავახიშვილი: გაგაფრთხილეთ თუ არა თქვენ, რომ ის გამცემელია?

მ. ჯავახიშვილი: დიახ.

თავმჯდომარე: გაფრთხილებთ ბრალდებულს, რომ ეგ საკითხი სასამართლოს გამოძიების საგანს არ შეადგენს, მისაბიძვილი პროვოკატორი იყო თუ არა? თქვენ წამოყენებული გაქვთ კონკრეტული ბრალდება მისაბიძვილის სიკვდილის შესახებ. კითხეთ მოწმეს, შეუძლია დაადასტუროს, მიგიღიათ თქვენ მონაწილეობა თუ არა?

ბრალდ. ჯავახიშვილი: თუ ნებას მიბოძებთ, ერთი საკითხი.

თავმჯდომარე: მაგის შესახებ არ მოგცემ ნებას.

ი. ჯავახიშვილი: ნება მომეცით ერთი საკითხი მეც მივცე.

თავმჯდომარე: მაგის შესახებ არ მოგცემთ. სხვა საკითხი გაქვთ?

ბრალდ. ჯავახიშვილი: არა, მაგის შესახებ არა. იმ საკონსტრუქციო კომისიაში, რომელიც შედგენილი იყო ჩვენ და მენშევიკურ პარტიის მიერ და რომელშიაც შედიოდა ნოე ხომერიკი და მიხეილ ჯავახიშვილი, ხომ არ ეკავა რაიმე ადგილი მისაბიძვილს?

მოწმე ჯავახიშვილი: ხომერიკმა მთხოვა გამეგზავნა ვინმე მცირედი ტექნიკური მუშაობის შესასრულებლად. მე გავგზავნე კალე მისაბიძვილი, მაგრამ მეორე დღეს იასონ ჯავახიშვილმა შემატყობინა, რომ ის კაცი საეჭვო არის. ეს მე შევატყობინე ხომერიკს და ის მაშინვე იქმნა მოხსნილი.

თავმჯდომარე: მოწმე, თქვენ შეგიძლიათ აღარ უპასუხოთ! თქვენ გაეცით სასამართლოს პასუხი, რომ მისაბიძვილი საეჭვო პიროვნება იყო, კომისიაში რა ადგილი ეკავა. მე მგონია საკმარისია. ერთ და იმავე საკითხზე არ შეიძლება 100 ჯერ პასუხი“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფ. ფ. 499-502] (სურ. №46). საგულისხმო ფაქტია, რომ იასონ ჯავახიშვილის ჩვენების თანახმად, კ. მისაბიძვილის მოკვლა ეროვნულ-დემოკრატიულ ახალგაზრდათა ორგანიზაციას მოუთხოვია [„საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებლო დასკვნა)“, ტფილისი, 1925, გვ. 66]. მომაქვს ამონარიდი საბრალდებო დასკვნიდან: „მიხეილ და იასონ ჯავახიშვილები ამტკიცებენ, რომ ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მისაბიძვილს არ გაუწყვეტია კავშირი არალეგალურ ორგანიზაციასთან, იმავდროულად გამოთქვამდა მოსაზრებებს პარტიის ლეგალიზაციის აუცილებლობასა და შესაძლებლობაზე“. საინტერესოა ჩეკისტური კომენტარი: „ყოველ შემთხვევაში, ეს პროვოკატორის როლი არ არის“ [სუკ-ის არქივი, არქივი 8, გვ. 75-77]. ასევე ფიქრობს გ. ციციშვილი. უფრო მეტიც, პარტიის ლეგალიზაციის მოთხოვნა მან „ერთგვარ გმირობად“ გამოაცხადა და ამ საქმეში კ. მისაბიძვილს მ. ჯავახიშვილი ამოუყენა გვერდში, რაც დიდი მწერლისთვის საამაყო არ უნდა იყოს. პირადად მე, დიდი მწერლისთვის ასეთი რამ არ დამიბრალდება. 1923 წელს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლეგალიზაციის მოთხოვნა მხოლოდ პროვოკატორს შეეძლო. აღნიშნული პარტიის ლეგალიზაცია იმ დროს შეუძლებელი იყო. გ. ციციშვილს მკითხველი შეცდომაში შეჰყავს, როდესაც წერს, რომ

ციხიდან „განთავისუფლების შემდეგ შეიძლებოდა ეროვნული საქმის ლეგალური ბრძოლით გაეგრძელებინა“ [გ. ციციშვილი, „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003, გვ. 86]. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ თავისი ლეგალური არსებობა საქართველოს ანექსიის შემდეგ, როგორც ო. ჯანელიძე წერს, 1921 წლის მარტში შეწყვიტა. [ო. ჯანელიძე, „სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი“, თბ., 2002, გვ. 155]. პარტიის ყოფილი ზოგიერთი წევრი, რომელიც ეროვნულ-საგანმანათლებლო თუ ეკონომიკურ ასპარეზზე მოღვაწეობდა, კვლავ თავისი პროფესიული საქმიანობის ერთგული დარჩა. უფრო რადიკალური, მეზობლი ნაწილი კი, შემდეგ კვლავ გაერთიანებული აღმოჩნდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც არალეგალურად არსებობდა. ცხადია, მის წევრებს შეეძლოთ პარტიიდან გამოსვლა და ერისთვის სასარგებლო მოღვაწეობის ლეგალური გზით გაგრძელება, მაგრამ ეს პარტიის ლეგალიზაციას როდი ნიშნავს. პარტიამ რომ ლეგალურად იარსებობს, ამისთვის ორი პირობა მაინც უნდა იყოს დაკმაყოფილებული: 1. ოფიციალური რეგისტრაცია. 2. არჩევნებში მონაწილეობა. ეროვნულ-დემოკრატებს კი ამის უფლებას არ მისცემდა ხელისუფლება, რომელიც 1922 წელს აცხადებდა: „საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს დაუზოგავი ბრძოლა ქართველ მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების და მემარჯვენე ფედერალისტების წინააღმდეგ“ [გაზ. „კომუნისტი, 1922 წ., 17 სექტემბერი]. 1922 წლის 2 მარტს სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობამ მიიღო ე. წ. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ პირველი კონსტიტუცია. იგი საბჭოთა რუსეთის 1918 წლის კონსტიტუციის მსგავსად, საკანონმდებო წესით განამტკიცებდა „პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას და მთელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში“ [გ. ინჩიკიშვილი, „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, თბ., 1999, გვ. 97].

მართალია, კონსტიტუციის მიღებამდე, 1921 წლის 3 აპრილს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-მა დააკმაყოფილა მენშევიკური პარტიის მოთხოვნა ლეგალური მუშაობის შესახებ, რის სანაცვლოდ მენშევიკებმა დაგმეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბოტაჟი. აპრილშივე ორგანიზაციულად გაფორმდა მენშევიკური პარტიის შიგნით აღმოცენებული ოპოზიციური მიმდინარეობა ე. წ. „სხიველები“. საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს მემარცხენე ესერებმა, მაგრამ მაინც წამოიწიეს ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა. სოციალ-ფედერალისტების უფროსი თაობა შეეცადა ლეგალიზაციას, მაგრამ შემდეგ არალეგალურ მოძრაობას მიემხრო. კონსტიტუციის მიღების შემდეგ, მრავალპარტიულობა გამოირიცხა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1923 წელს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლეგალიზაციაზე საუბარი პროვოკაციული თუ არა, აბსურდული მაინც იყო.

აი, ასეთი ვითარების მიუხედავად, გ. ციციშვილი წერს: „ჩვენს მიერ გამოვლენილი და სხვა დამატებითი წყაროების საშუალებით ირკვევა, რომ კ. მისაბიშვილისა და მ. ჯავახიშვილის აზრთა თანხვედრა პარტიის ლეგალიზაციისა და ხელისუფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობის მიზანშეწონილობის შესახებ, 1923 წლის თებერვლისათვის შექმნილი უკიდურესად „საგანგაშო დროის“ გამო, გამართლებული იყო“ [გ. ციციშვილი, „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003, გვ. 71].

პარტიის ლეგალიზაცია მისი ყველა წევრის ვინაობის გამოაშკარავებას გულისხმობდა, რაც შესაძლოა, ხელისუფლების მიერ ყოფილიყო დაგეგმილი მათთან შემდგომი ანგარიშსწორების მიზნით. სწორედ ამის დაფარვა უნდოდა ჩეკას, როდესაც აცხადებდა, პარტიის ლეგალიზაციის მოთხოვნა პროვოკატორობას როდი ნიშნავს!

გრიგოლ რობაქიძის რომანში „ჩაკლული სული“ ერთი ასეთი ეპიზოდია: თბილისის საბჭო ზეიმით აღნიშნავს გასაბჭოების დღეს. ქართველ მწერალთა დელეგაციაში ყველაზე გამოჩენილი მწერლები შეიყვანეს. „დელეგაცია ოპერის თეატრისაკენ წავიდა, სადაც საზეიმო სხდომა იმართებოდა. „კალეს მოქალაქენი!“ დაიწყო რეჟისორის თეატრისაკენ წავიდა, სადაც საზეიმო სხდომა იმართებოდა. „კალეს მოქალაქენი!“ დაიწყო რეჟისორის თეატრისაკენ წავიდა, სადაც საზეიმო სხდომა იმართებოდა. „კალეს მოქალაქენი!“ დაიწყო რეჟისორის თეატრისაკენ წავიდა, სადაც საზეიმო სხდომა იმართებოდა.

ბრალდ. ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი - შეება მომეცით ერთი სავითხე

მე მოვცე.

თ ა ვ მ ჯ ლ მ ი ა მ ე - მაგის შეხახებ არ მოგცემთ. სხვა

სავითხე გაქვთ.

ბრალდ. ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - არა, მაგის შეხახებ არა.

მე სავითხე მომეცით კომისიაში, რომელიც შედგენილი იყო ჩვენ

შეგნებვიყურ შარტის მიერ და რომელმაც შედგინდა ნოე სომერვი

და მისგან ჯავახიშვილი, სომ არ ეკავა რაიმე ადგილი მისაბიწვილს.

მომე ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - სომერვი მისთვის გამიგზავნა

რამე მცირედი ტერორული მოქმედების შესასრულებლად. მე ვავაზავ

ვადე მისაბიწვილი, მაგრამ შემდეგ დავს იასონ ჯავახიშვილი შე-

ვატყობინა, რომ ის ვაცი სავაქვო არის. ეს მე შევატყობინე სომე-

რის და ის შეინიშნა იქნა მოხსნილი.

თ ა ვ მ ჯ ლ მ ი ა მ ე - მოწმე თქვენ შეგიძლიათ აღარ

შეასწოთ. თქვენ გაცითი სასამართლოს შასუხი, რომ მისაბიწვილი

სავაქვო შირთვრება იყო, კომისიაში რა ადგილი ეკავა. მე მგონია

საკმარისია. ერთ და იმავე სავაქვო არ შეიძლება 100 ჯერ შასუხი.

ბრალდ. ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - სამხედრო ცენტრის არ ცე-

ვას წევრი იყო როდესაც შეიკვრივი ღეონიბე.

მომე ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - არ გაიგია.

ბრალდ. ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - ვერნდა თუ არა რაიმე

ვაგნირი ან ჩვენთან, არ თქვენთან ოსებ ცინცადეს არ შეიძლება.

მომე ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - არ მახსოვს.

ბრალდ. ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - თქვენ სომ არ იცით, რა შე-

III.5. მიხეილ ჯავახიშვილი და ნოე ხომერიკი

მ. ჯავახიშვილმა სამხედრო კომისიის წევრი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი, ნოე ხომერიკიც დაასმინა, რომელიც მაშინ დაპატიმრებული არ იყო: „ხომერიკთან ხანგრძლივი საუბრებიდან მე გამოვარკვიე, რომ მთელი მისი გეგმა (შეიარაღებული მომზადებისა) ემყარებოდა ანტანტის მხრიდან აქტიურ დახმარებას. მინდოდა რა უფრო ზუსტად გამეგო – არის თუ არა გარკვეული დაპირებები აქტიური დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან, მე მონათხრობის შესაბამისი შეკითხვა დავუსვი ხომერიკს. ამაზე ხომერიკმა თქვა „დახმარება იქნება“, და თავისი სიტყვების გასამაგრებლად დაუმატა, რომ ახლო მომავალში ელოდებიან უცხოეთიდან „მაუზერის“ სისტემის ათასი რევოლვერის მიღებას“ [სუკ-ის არქივი, არქივი №8, ფ. ფ. 44-45]. კვლავ დედნი-სეულ ენაზე მომყავს ამონარიდი სუკ-ის არქივის დოკუმენტიდან:

«Джавахишвили же Михаил показывает: «Из долгих бесед с Хомерики я выяснил, что весь его план (вооруженной подготовки) основан на активной помощи со стороны Антанты. Желая узнать более точно имеются-ли определенные заверения об оказании активной помощи со стороны какого либо государства, я задал Хомерики соответствующий изложенному вопрос. На это Хомерики сказал – «помощь будет» и что-бы подкрепить свои слова добавил, что в скором времени ожидается получение из заграницы одной тысячи револьверов системы «Маузер» [სუკ-ის არქივი, არქივი №8, ფ. 45]. იგივე ინფორმაციაა მოცემული 1925 წელს გამოქვეყნებულ სასამართლოს მასალებში [„საქმე ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. (საბრალმდებლო დასკვნა)“, ტფილისი, 1925] (სურ. №46).

ეს ჩვენებაც არ ჰგავს შეთხზულს. აი, რას წერს გერონტი ქიქოძე: „უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენდნენ ევროპიდან ჩამოსული ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი და ჯუღელი. ისინი ხალხში ხმას ავრცელებდნენ, საფრანგეთი და ინგლისი მზად არიან საქართველოს მხარი დაუჭირონ, მხოლოდ ელიან, რომ თაოსნობა თვით ქართველმა ხალხმა გამოიჩინოს და აჯანყება დაიწყოს... ჯუღელი შედრკა (ვ. ჯუღლის შესახებ ასეთი უსამართლო აზრი იყო გავრცელებული, რაც შ. ვადაჭკორიას კვლევამ გააბათილა – მ. ხ.)... ის დახვრეტილი იქნა ნოე ხომერიკსა და ბენია ჩხიკვიშვილთან ერთად, რომელთაც უკან არ დაუხვეიათ და, როგორც ამბობენ, ვაჟაკურად შეხვდნენ სიკვდილს“ [გერონტი ქიქოძე, „თანამედროვის ჩანაწერები“, ჟურ. „მნათობი“, 1989 წ., №1, გვ. 29].

რ. კვერენჩილაძე აშკარად მე მგულისხმობს, როდესაც წერს: „ერთმა მკვლევარმა მიხეილ ჯავახიშვილს ემისარ ნოე ხომერიკის დასმენაც დააბრალა“ [რ. კვერენჩილაძე, „ნაშრომი ოციანი წლების პოლიტიკურ მოვლენებზე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2003, 29 აგვისტო – 4 სექტემბერი]. მკითხველმა თავად განსაჯოს, მე მ. ჯავახიშვილს რამე დავაბრალებ, თუ მხოლოდ დოკუმენტები დავიმონმე. რ. კვერენჩილაძე განაგრძობს, „მაგრამ გ. ციციშვილს წიგნის IX თავში მოჰყავს იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ ჩეკას ფარული, მათ შორის მენშევიკების ორგანიზაციაში ჩანერგილი აგენტები ნოე ხომერიკს ჯერ კიდევ 1923 წლის იანვრიდან თვალს ადევნებდნენ“. მართალია, ჩეკამ ნ. ხომერიკს მისი უცხოეთიდან დაბრუნებისთანავე აადევნა „კუდი“, მაგრამ საკითხავია, თუ ვის უფრო მეტი ინფორმაცია ექნებოდა მის შესახებ – იმას, ვინც უთვალთვალავდა, თუ სამხედრო კომისიის მეორე წევრს, მ. ჯავახიშვილს, ვისაც ნ. ხომერიკი თავის გეგმებს უზიარებდა? ყოველ შემთხვევაში, მე ჩემს ვარაუდებს არ ვეყრდნობი და საბუთის გარეშე არაფერს ვწერ.

გ. ციციშვილმა კი, იარაღის შოვნასთან დაკავშირებით, ნოე ხომერიკს მატყუარობა დასწამა: „ჩვენ კი ვხედავთ, რომ ნ. ხომერიკმა ამჯერადაც იცრუა. ცნობილი ნყაროებით საზღვარგარეთიდან ასეთი დაპირება და მით უმეტეს ასეთი დახმარება არ დასტურდება...“ [გ. ციციშვილი. „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003, გვ. 243].

ჩვენ კი ვხედავთ, რომ გ. ციციშვილმა იცრუა. მის საპასუხოდ, შ. ვადაჭკორია გვაცნობს პარიზის პოლიტიკური კომისიის სხდომების საოქმო ჩანაწერებს, რომელთა მიხედვით, მაუზერის სისტემის 1000 რევოლვერის შესყიდვა პოლონეთში იყო გათვალისწინებული. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 1923 წლის 24 თებერვალს, მარკიზის ფსევდონიმით, საქართველოს ემიგრაციული მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „თუ ... პოლონელებისგან იარაღის დაპირება შესრულდება, მაშინ აუცილებლად უნდა დავკრათ“. იმავე პოლიტიკური კომისიის მომდევნო სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების მიხედვით, თითქმის გადანყვებილი საკითხის ბოლომდე მიყვანა შეუძლებელი გახდა პოლონეთში გართულებული პოლიტიკური პროცესების გამო. ქართულ ემიგრაციას იმედი საფრანგეთის ხელისუფლებამაც გაუცრუა. მხედველობაში მაქვს სტამბოლის სამხედრო საწყობებში საფრანგეთის კუთვნილი ვრანგელის ნაქონი იარაღის შექენის მცდელობის ფაქტი. ამ საკითხთან დაკავშირებით, სტამბოლიდან 1923 წლის 7 სექტემბერს კ. გვარჯალაძის მიერ საქართველოს წარმომადგენლისადმი პარიზში გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „დღეს ჩემთან მოვიდა ფრანგების ოფიცერი და შემეკითხა თუ წავიღებდით იმ იარაღს, რომელიც ჩვენთვის ინახებოდა აქ (სტამბოლში – შ. ვ.). ეს იარაღი... არაფრად მოსახმარი და გამოსადეგარი აღარ არის. თოფებს აკლია ისეთი ნაწილები, რომლებიც ხელახლად უნდა გაკეთდეს, თორემ მათი შოვნა ძნელია. ეს თოფები რუსული თოფებია. ტყვიის მფრქვეველნიც ყველა დაჟანგული და წამხდარნი არიან. მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ... თუ გადავად-ნობდით... მე თვითონ ფრანგების ოფიცერს შევეკითხე და მათი აზრით ამ იარაღის გამოყენება ამ სახით შეუძლებელია“ [შ. ვადაჭკორია, „საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ზოგიერთი ფაქტორის დაზუსტებისათვის (1921 წლის თებერვალ-მარტი“, თბ., 2016 წ., გვ. 61].

1925 წლის 1 აგვისტოს გამოქვეყნდა პროკურორის პირველი თანაშემწის, ნიკოლოზ ოკუჯავას სიტყვა: „**მონმე მიხეილ ჯავახიშვილმა მოგახსენათ, რომ ნოე ხომერიკს ათასი მაუზერის მიღების იმედი ჰქონდა საზღვარგარეთიდანაო**“ [პარიტეტული კონტრრევოლუციის გასამართლება“, გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ., 1 აგვისტო]. **ნიკოლოზ ოკუჯავას გამოსვლა ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არ არის.**

ამ დროისათვის ნოე ხომერიკი უკვე დახვრეტილი იყო. საგულისხმოა, რომ ანალოგიური ჩვენება, როგორც უკვე ვნახეთ, მ. ჯავახიშვილს ჯერ კიდევ ნ. ხომერიკის დაპატიმრებამდე ჰქონდა ჩეკასათვის მიცემული [სუკ-ის არქივი №8 ფ. ფ. 44-45].

ზემოთ გაგაცანით 1925 წლის სასამართლო სხდომაზე მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ნოე ხომერიკის შესახებ მიცემული ჩვენების მცირე ნაწილი. ვაგრძელებ ციტირებას:

ოკუჯავა: მონმე, თქვენ ჩვენებაში გაქვთ ნათქვამი აქტიური დახმარების შესახებ?

ჯავახიშვილი: დახმარების, დიახ.

ოკუჯავა: აქტიური დახმარების?

ჯავახიშვილი: ერთი იყო დიპლომატიური ჩარევა და მერმედ ამტკიცებდა, რომ ანტანტა მოგვიტანს იარაღს, სურსათს და ყოველივე მასალას. რომ შევეკითხე თქვენ დარწმუნებული ხართ თუ რაიმე საბუთი გაქვთ? მან გამოსთქვა იმედი „დარწმუნებული ვარო“. მაგრამ რა თქმა უნდა მისი რწმენა ჩემთვის საკმარისი არ იყო. ისიც კი თქვა: „ჩვენ ადვილად ვიშოვნით ათას მაუზერს, დანარჩენს მერმე მოგვანვდიან“.

ოკუჯავა: ამ იარაღს საზღვარგარეთიდან ელოდა?

ჯავახიშვილი: დიახ.

ოკუჯავა: როგორ ფიქრობთ მონმე, როდესაც ტანსაცმელს განვდიან, იარაღს განვდიან, ეს დიპლომატიური დახმარება არის?

ჯავახიშვილი: არა, მე ვთქვი ორნაირი დახმარება, ერთი დიპლომატიური ჩარევა, რომ წითელი ჯარი გაიყვანონ და მეორე საშუალება იყო იარაღის და მასალის მონოდება.

ოკუჯავა: იმის გარდა, რომ საზღვარგარეთიდან შევლას მოელოდით, ამის გარდა შიგ მუშაობა იყო თუ არა?

ჯავახიშვილი: სამხედრო ცენტრი იყო.

ოკუფაცია: ის ანარმოებდა სამხედრო მუშაობას?

ჯავახიშვილი: დიას.

დამცველი მესხიშვილი: თქვენ წელან მოახსენეთ სასამართლოს ხომერიკის შესახებ. ხომ არ იცით საიდან მოელოდა ის 1000 რევოლვერს, ხომ არ იცით მიიღო თუ არა?

მონმე ჯავახიშვილი: ეს არ უთქვამს, სთქვა: „ჩვენ მოვახერხებთ“.

მესხიშვილი: ამ დროის განმავლობაში რევოლვერები ვისმეს ხომ არ გამოუგზავნია?

მონმე ჯავახიშვილი: არა, არ გამიგია.

მესხიშვილი: ასე რომ, როგორც თქვენ ბრძანეთ ეს ხომერიკის რწმენა იყო?

ანჯაფარიძე: გთხოვთ მონმე, მიპასუხოთ ერთ საკითხზე, რის შესახებ დაინყეთ ლაპარაკი ხომერიკთან პირველად?

მ. ჯავახიშვილი: პირველად რა თქმა უნდა ლაპარაკი იყო ინფორმაციის შესახებ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, იმის შესახებ, რაზედაც უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, როდესაც ხვდები ვინმეს იქიდან დაბრუნებულს.

ანჯაფარიძე: ინტერვენციაზე ლაპარაკი ხომ არ გქონიათ ხომერიკთან?

მონმე ჯავახიშვილი: ინტერვენციაზე ლაპარაკი არასოდეს არ შეწყვეტილა, ქუჩებშიდაც იყო ლაპარაკი იყო ამის შესახებ, რომ ერთი სახელმწიფო გამოიწვევს მეორეს, მოხდება გართულება და მაშინვე დაინყება საქართველოს ინტერვენცია.

ანჯაფარიძე: ხომერიკმა გითხრათ ინტერვენციის შესახებ რაიმე?

მონმე ჯავახიშვილი: ხომერიკმა გამოსთქვა მხოლოდ იმედი, რომ მდგომარეობა მტკიცე არ არის, რომ დღეს თუ ხვალ ევროპა დაეჯახება საბჭოთა კავშირს და მოხდება ომი.

ანჯაფარიძე: ჩვენი საკითხის გულისათვის?

ჯავახ.-ადამაშვილი: რა თქმა უნდა არ სჯეროდათ, რომ მარტო ჩვენი საკითხისათვის. ჩვენი საკითხი იყო მხოლოდ ერთი მუხლი ამ საერთო საკითხისა.

თავმჯდომარე: მონმე სწორედ დადექით და სასამართლოს უპასუხეთ.

ანჯაფარიძე: რა გითხრათ, არის საჭირო აჯანყებაო?

ჯავახ.-ადამაშვილი: ცხადია, საქართველოს გასანთავისუფლებლად.

ანჯაფარიძე: თუ ის მოელოდა განთავისუფლებას სხვა გზით, რაღა საჭირო იყო აჯანყება?

ჯავახ.-ადამაშვილი: იმას ქონდა ასეთი გეზი: თუ იმ დროს, როცა შევემზადებოდით, რაიმე გართულება ატყდებოდა, მით უმეტესი, თუ არ ატყდებოდა, მაშინ თვითონ ავჯანყდებითო, წითელ ჯარს გავაძევებთ საქართველოდანო. ამას მოყვება ორნაირი დახმარება ევროპის მიერ, პირველი – დიპლომატიური ჩარევა და ომის შეჩერება და მეორე – სამხედრო მასალების გამოგზავნა. მე შევეკითხე: ამ დახმარების სამზადისი არის თუ არაო? მან სთქვა: ყოველიფერი ეს იქნება თავის დროზეო.

ანჯაფარიძე: მის შემდეგ, რაც ხელისუფლება განდევნილი იქნებაო, თუ ამ ხელისუფლებასთან შესაბრძოლებლადო?

მ. ჯავახიშვილი: არა, შემდეგ.

თავმჯდომარე: როგორ ფიქრობთ თქვენ, ასეთი მდგომარეობა რომ შექმნილიყო, ხელისუფლება წასულიყო აქედან შინაური ძალების საშუალებით, შემდეგ რაღა საჭირო იქნებოდა ევროპის დახმარება და მისი გამოგზავნილი ტყვია-წამალი? ასე ლაპარაკობდა ხომერიკი, რომ მერე გამოგზავნიან ამ ათას მაუზერსო?

ჯავახ.-ადამაშვილი: არა, ათას მაუზერს ქალაქში საბრძოლველად გიმოვნიტო. აჯანყება დაინყება დასავლეთ საქართველოდანო, ჩავიგდებთ ხელში განაპირა უბნებსო და ამ დროს მოგვემველება ევროპაო.

ქარცივაძე: როდის იყო მაგ ლაპარაკი?

მ. ჯავახიშ. ეს უფრო დეკემბერში ან იანვრის დამდეგს.

ქარცივაძე: რად აჩვენეთ წინასწარ გამოძიების დროს: „ვ სკორე პოსლე პრიეზდა ხომერიკი“?

მ. ჯავახიშვილი: „ვ სკორე სლიშკომ რასტიაჟიმოე პონიატიე“. მე მგონია, რამდენათაც მაგონდება, ხომერიკი წამოვიდა ოქტომბრის დამლევს ან ნოემბრის დასაწყისში და აი, ამ ორ თვეზე შეიძლება ითქვას „ვსკორე“.

ქარცივაძე: ხომერიკი რომ გელაპარაკებოდა, პარტიისას გელაპარაკებოდა თუ თავის კერძო აზრებს?

მ. ჯავახიშვილი: მე არ შემიძინევია, რომ ყოფილიყოს პარტიის დავალება, რადგანაც „პარტია“ ეს სიტყვა არ უხსენებია.

თავმჯდომარე: თქვენ გჯერათ, რომ ხომერიკი თავისი სახელით ლაპარაკობდა, რომ ის პარტიის გარეშე გელაპარაკებოდათ?

მ. ჯავახიშვილი: მე არ მგონია ეგ.

თავმჯდომარე: იცით თუ არა ხომერიკი რისთვის ჩამოვიდა? ის ხომ აცხადებს რისთვისაც ჩამოვიდა და ამის შემდეგ თქვენ სასამართლოს წინაშე ლაპარაკობთ, რომ ის პარტიის სახელით არ გელაპარაკებოდათ?

მ. ჯავახიშვილი: ფიზიკურათ მას ჩემთან პარტია არ უხსენებია, რომ ამ საგანზე მელაპარაკებოდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მე ვფიქრობ, რომ ის ლაპარაკობდა მთელი პარტიის ან და პარტიის რომელიმე მიმდინარეობის სახელით“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფ. ფ. 503-507] (სურ. №47).

„ნოე ხომერიკი საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ (ჩეკა) დააპატიმრა 1923 წლის 9 ნოემბერს, თბილისში, გვანცელაძის ბინაზე. დაკავებისას ბინიდან ამოიღეს დიდი რაოდენობით მიმონწერა, დაშიფრული დოკუმენტები და პროკლამაციები; ჩამოართვეს ფული – 150 თურქული ლირა და 15 ოქროს რუბლი.

პატიმრობის განმავლობაში ძიებამ ვერ მოახერხა მისგან ჩვენების მიღება...“ [<https://archive.ge/ka/biography/240>].

1924 წლის 30 ივლისს დაიწერა დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ განიხილეს ბრალდებული ნ. ხომერიკის საქმე, რომელიც წარმოიშვა აგენტურული დამუშავების საფუძველზე: «настоящее дело возникло на основании агентурной разработки» [საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, ფონდი 6, არქივი №23587, ყუთი №99, ხომერიკი ნ. გ., გვ. 68]

პატიმრობაში მყოფმა ნოე ხომერიკმა, მ.ჯავახიშვილისგან განსხვავებით, არავინ დაასახელა. გთავაზობთ ამონაწერს ნოე ხომერიკის საგამოძიებო საქმიდან №2105: „ამ საქმის გამო ბრალდებული ხომერიკი იძლევა ჩვენებას, რომ მას, როგორც ცკ-ს წევრს არ შეეძლო და არ შეუძლია შეურიგდეს იმას, რომ საქართველო ოკუპირებულია, ხალხი მჩაგვრელთა უღლის ქვეშ არის და ამიტომ თავის მოვალეობად ჩათვალა ჩამოსულიყო საქართველოში და ემუშავა მოძალადეების წინააღმდეგ. იგი, ხომერიკი, ჩამოვიდა პირადი სურვილით, ყოველგვარი დავალების გარეშე და ვერასოდეს შეურიგდება არსებულ წყობილებას. ამჟამად მას თავი ტყვედ მიაჩნია და ამიტომ უარს ამბობს უპასუხოს კითხვებზე, რომლებიც პარტიული პრინციპების ჩარჩოებს სცილდება...“ (იხ. დადგენილება 1924 წლის 30 ივლისი. ხელს აწერს CEKO-ს რწმუნებულის მოადგილე ჯალალონია, CEKO-ს უფროსი მოროზი, საქ. ჩკ-ს უფროსი კვანტალიანი“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „კაენ სად არის ძმა შენი?!“, თბ., 1998, გვ. 266].

აი, რა უპასუხა ნ. ხომერიკმა გამოძიებას თავისი ჩამოსვლის მიზნის შესახებ: „საბჭოთა რუსეთში ჩამოვედი იმ მიზნით, რომ არალეგარულად ემუშავა არსებული წყობილების წინააღმდეგ, წყობილებისა, რომელიც საქართველოში გარე ძალთა მეშვეობით დამყარდა“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „კაენ სად არის ძმა შენი?!“, თბ., 1998, გვ. 301].

მომყავს რამდენიმე საარქივო ამონარიდი დედნისეულ ენაზე:

«Остановливаемся на личности Хомерики. Сам он говорит о себе в показаниях: «В Советскую Россию приехал я с целью ведения нелегальной работы против существующего строя, который был

установлен в Грузии посредством внешних сил“ [სუკ-ის არქივი, არქივი №8, ფ. 27]. „Интенсивная военная подготовка паритетного Комитета была прервана арестом Хомерики 9-го ноября, 1923 г.“ [სუკ-ის არქივი, არქივი №8, ფ. 29].

«Ясно, таким образом, что к началу 1924 года Паритетный комитет ждал внешних осложнений СССР и твердо решил выступить. Однако арест Хомерики, а вместе с ним и арест «сельской комиссии» спутал расчеты паритетного комитета, и выступление было отложено» [სუკ-ის არქივი, არქივი №8, ფ. 30].

მიუხედავად ნ. ხომერიკის თავგანწირვისა, გ. ციციშვილს სიმართლის დანახვა არ უნდა და სამშობლოსათვის თავდადებული ნოეზე მაღლა სამშობლოს მოლაღატეებს აყენებს. შ. ვადაჭკორია კი, დოკუმენტებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ნ. ხომერიკმა თავისი თანამებრძოლები არ ჩაუშვა და მათ დასმენას, ჩეკას ჯურღმულებში წამება ამჯობინა. აღმოფოთებულია იმით, რომ გ. ციციშვილი ნოე ხომერიკის აუგად ხსენება-ჩანჩხვლის ორბიტაზე დარჩა და საზოგადოების წინაშე მის დამცრობასა და დამცირებას ცდილობს. შ. ვადაჭკორია გ. ციციშვილს პაუხობს: „ნუთუ ეს ვერ უნდა დაინახოს საღად მოაზროვნე და ტენდენციურობისადმი ზურგმექცეულმა მკვლევარმა? ის, რაც ნოე ხომერიკმა უშიშროების თანამშრომლებს უპასუხა, ანალოგიური ქმედება მ. ჯავახიშვილს რომ ჩაედინა, დარწმუნებული ვარ, როგორც პოლიტიკურ ფიგურას და თანამებრძოლების არდამსმენს ოლიმპოს მწვერვალზე აიყვანდით“ [შ. ვადაჭკორია, „შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის“, თბ., 2016, გვ. 56].

ნოე ხომერიკს მიესაჯა ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში – «в один из концентрационных лагерей» გაგზავნა 5 წლის ვადით, მკაცრი იზოლაციით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ, საქჩეკას ნებართვის გარეშე არ უნდა ყოფილიყო განთავისუფლებული: «и по истечении срока без согласия ЧКГ не освобождать» [საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, ფონდი ნ, არქივი №23587, ყუთი №99, ხომერიკი ნ. გ., გვ. 68]. (ტერმინი „საკონცენტრაციო ბანაკი“ ბურების ომის დროს გაჩნდა, როდესაც ინგლისელმა ჯარისკაცებმა ბური გლეხების ბანაკებში კონცენტრაცია მოახდინეს, რათა მათ ბური პარტიზანებისთვის რაიმე სახის დახმარება არ აღმოეჩინათ. გერმანიაში, პირველი საკონცენტრაციო ბანაკი 1933 წელს შეიქმნა, რის გამოც, ამ ტიპის ბანაკები გერმანიასთან ასოცირდება. საბჭოთა კავშირში, სადაც ყველაფერი ინიღბებოდა, ასეთ ბანაკებს „შრომით-გასწორების ბანაკი“ ერქვა. ამდენად, ზემოთ დამოწმებული სახელწოდება ოფიციალურ დოკუმენტებში იშვიათობაა, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი პოლიტ-პატიმრები სწორედ ასე იხსენიებენ). ნ. ხომერიკს პატიმრობა დიდხანს არ მოუწია. ისე დახვრიტეს, რომ მისი დახვრეტის ოქმიც არ არსებობს. „1924 წლის 30 ივლისს ნოე ხომერიკი გოგიტა ფალავასთან, ბენია ჩხიკვიშვილსა და ვასილ ნოდისთან ერთად გადაგზავნეს მოსკოვში, საიდანაც ისინი სუზდალის პოლიტიზოლოტორში გაამწესეს. 1924 წლის 28 აგვისტოს ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყების დაწყების შემდეგ ფელიქს ძერჟინსკიმ გადასახლებაში მყოფი საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერების – ბენია ჩხიკვიშვილის, ნოე ხომერიკის, გოგიტა ფალავას, ვასილ ნოდისა და გიორგი წინამძღვრიშვილის დახვრეტის სანქცია გასცა. ისინი სუზდალის პოლიტიზოლოტორიდან ეტაპით გადაყვანისას გაურკვეველ სადგურზე დახვრიტეს. დასაფლავების ადგილი უცნობია“ [<http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/>].

მ. ჯავახიშვილის მიერ ჩვენებების მიცემას და თანამებრძოლების დასმენას იმით ამართლებენ, რომ იგი საკუთარი ოჯახის წევრების გამო წავიდა კომპრომისზე, რათა მათ არაფერი შემთხვეოდათ. სავსებით საპატიო მიზეზია, მაგრამ ოჯახის წევრები სხვებსაც ჰყავდათ. ასე მაგალითად, იმავე ნოე ხომერიკს, ემიგრაციაში სრულიად უპატრონოდ რჩებოდა დედით ობოლი, 13 წლის შვილი – ვიქტორი, მაგრამ არ გამტყდარა. საგულისხმოა, რომ მისი შვილი არ გაბოროტებულა. როდესაც ბ-ნ ვიქტორ ხომერიკს მამამისის შესახებ მ. ჯავახიშვილის დასმენის ასლი გადავეცი, როგორც მოგვარემ და უფროსმა მეგობარმა, მთხოვა არ გამომექვეყნებინა: ქრისტიანი უნდა იყო და პატიება შეგეძლოსო.

რაოდენ განსხვავდებოდა ბატონი ვიქტორის პოზიცია დიდი მწერლის ქალიშვილის, ქალბატონი

ქეთევან ჯავახიშვილის პოზიციისაგან, რომელიც სხვების მხილებას მოითხოვდა: „დეე, ისტორიამ სთქვას თავისი სათქმელი და სააშკარაოზე გამოიყვანოს დამბეზლებლები, მლიქვნელები, ორპირები, ორგული, ბოროტი და შურიანი ადამიანები, რომლებმაც მცირეოდენი წვლილი შეიტანეს მამას დაღუპვის საქმეში. ჩვენთვის ბევრი რამ ცნობილი არ არის. დრო მოვა და ხალხი ყველაფერს გაიგებს მათ შესახებ. ხალხმა დღესაც ბევრი რამ იცის, მაგრამ სდუმს. პირუთვნელი ისტორია კი ალბათ იწერება“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991 გვ. 432]. და აი, ნელ-ნელა პირუთვნელი ისტორიაც იწერება, მაგრამ მოსწონთ კი ეს დიდი მწერლის ოჯახის წევრებს?

ჯერ კიდევ 1925 წლის 21 ივლისს გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მ. ჯავახიშვილის (ადამაშვილის) ჩვენება, რომელიც მან სასამართლო პროცესზე მისცა თავისი ყოფილი თანამებრძოლებისა და მეგობრების წინააღმდეგ [„პარიტეტული კონტრრევოლუციის გასამართლება“, გაზ. „კომუნისტში“, 1925 წ., 21 ივლისი]. **მ. ჯავახიშვილის გამოსვლა ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არ არის და არც ქ. ჯავახიშვილის „პირუთვნელ“ მოგონებებშია ნახსენები.** ამავე გაზეთში გამოქვეყნდა პროკურორის პირველი თანამემნის, ნიკოლოზ ოკუჯავას სიტყვა: „მონმე მიხეილ ჯავახიშვილმა მოგახსენათ, რომ ნოე ხომერიკს ათასი მაუზერის მიღების იმედი ჰქონდა საზღვარგარეთიდანაო“. **ნიკოლოზ ოკუჯავას გამოსვლა ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არ არის.** თუ ქ. ჯავახიშვილს სუკ-ის არქივში არ უშეშავია, ამ პუბლიკაციების გაცნობა ხომ შეეძლო?

ნოე ხომერიკის შესახებ გაგაცნობთ კიდევ ერთ ამონარიდს ნესტან კირთაძის მიერ დამონმებული დოკუმენტიდან:

„ვინ მოკლეს საქართველოს ბოლშევიკმა დამპყრობლებმა (ნეკროლოგიური შენიშვნებით)

„...მთავრობის გაფართოების შემდეგ ხომერიკი მიწათმოქმედებისა და მიმოსვლის გზათა მინისტრად რჩება. 1920 წლის დასასრულს იგი ტოვებს მთავრობას (ირ. წერეთლისა და ა. ჩხენკელის საზღვარგარეთ ნასვლის შემდგომ) და არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად. ადრე რსდმპ საოლქო კომიტეტის, შემდეგ კი საქართველოს სდმპ-ს ცკ-ს უცვლელი წევრი, 1921 წელს, საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მიემგზავრება დასავლეთ ევროპაში, საიდანაც ბრუნდება 1922 წელს და ტერორისტული ოკუპაციის წინააღმდეგ რევოლუციურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწევა... დააპატიმრეს 1923 წლის ნოემბერში. ა.წ. აგვისტოს თვემდე ოკუპაციური საგანგებო კომისიის ცალკე საკანში იჯდა. აგვისტოს პირველ რიცხვებში ოთხ ამხანაგთან (ჩხიკვიშვილი, ფალავა, ნოდია და ეროვნულ-დემოკრატი წინამძღვარიშვილი) ერთად მოულოდნელად გაიყვანეს რუსეთში. მოათავსეს ბუტირკის ცალკე იზოლატორში, საიდანაც მოახერხეს ესერული ცკ-ის წევრებთან დაკავშირება (ყოფილ მძევალთან – გოცთან და სხვებთან). აგვისტოს ბოლოს ცნობილი გახდა, რომ მათ ვითომდა სუზდალში უპირებდნენ გადაყვანას. 31 აგვისტოს ტერორისტ-ოკუპანტებმა, პირველი 24-კაციანი ჯგუფის (ხომერიკის მეთაურობით) სიკვდილით დასჯის შესახებ გამოიტანეს დადგენილება (შემდგომში დამატებით გამოქვეყნდა ორი სია – 20 და 8 კაცის შემადგენლობით). სადაა დამარხული ნახსენები 5 მსხვერპლი – მოსკოვში, საქართველოსა თუ სუზდალში – ჯერჯერობით, უცნობია“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „კაენ, სად არის ძმა შენი?!..“, თბ., 1998, გვ. გვ. 452-455].

ჯავახიშვილი მიხეილი კი აჩვენებს:

„ხომერიკთან ხანგრძლივი ბაასის შემდეგ მე გამოვარკვიე, რომ მთელი მისი გეგმა (შეიარაღებული მზადებისა) დამყარებული იყო ანტანტის აქტიურ დახმარებაზე. სურვილი მქონდა უფრო დანამდვილებით გამეგო, არის თუ არა რომელიმე სახელმწიფოს მხრით რწმუნება აქტიური დახმარების შესახებ, და ამისთვის ხომერიკს მივეცი ამისდა შესაფერი კითხვა. ამაზე ხომერიკმა სთქვა,—„დახმარება იქნება“ და, რომ თავისი სიტყვები დაედასტურებინა, დაუმატა, რომ მოკლე ხანში საზღვარგარეთიდან ველით „მაუზერის“ სისტემის ათას რევოლვერს.“

№46. [„საქმე ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. (საბრალმდებლო დასკვნა)“, ტფილისი, 1925].

მით ხდებოდა ჩვენ შარტისა და შვირების მიღება, წინასწარ უფლებით
მოხმას ან კაცი მოეკლათ ან გაეხარცვათ და მერმედ ვოღებდით.

მოწ. ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - არასოდეს არ გამიგია რამე
შეთი, არ მომხვდარა.

მოწ. ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - მე გასული ეს ნაწილი ჩვენ-
გეიკანოთ თქმენი.

დამცველი მ ე ს ს ი მ ე ვ ი ლ ი თქვენ წუდან მოახსენეთ
დახმარების სომეროვი შესახებ, ხომ არ იცით, საიდან მოელოდა
1000 რეკოლვერს, ხომ არ იცით, მიიღო თუ არა.

მოწმე ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - ეს არ უთქვამს, სთქვა:
ჩვენ მოვახერხებთ.

მ ე ს ს ი მ ე ვ ი ლ ი - ამ დროის განმავლობაში რეკოლვერები
ვისმეს ხომ არ ვაწარმოებთ.

მოწმე ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - არა, არ ვაწარმოებ.

მ ე ს ს ი მ ე ვ ი ლ ი - ასე რომ როგორც თქვენ ბრძანეთ, ეს
სომეროვის რუმება იყო.

ან ჯ ა ვ ა რ ი მ ე ვ ი ლ ი - ვთხოვთ მოწმე მიმასუსხით ეს და სა-
კითხზე: რის შესახებ გაიქვეთ დახარაკი სომეროვთან პირველად.

მოწმე ჯ ა ვ ა ხ ი მ ე ვ ი ლ ი - პირველად რა თქმა უნდა დახარაკი
რაკი იყო ინტერმედიის შესახებ, საერთაშორისო მდგომარეობის შესახ-
ებ, იმის შესახებ, რაზედაც უნდა ყოფილიყო დახარაკი, რადესაც
ხვდები ვინმეს იქიდან დახარაკებულს.

ან ჯ ა ვ ა რ ი მ ე ვ ი ლ ი - ინტერვენციაზე დახარაკი ხომ არ
გქონია სომეროვთან.

№47. [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფ. 503].

III. 6. მიხეილ ჯავახიშვილი ჩეკას თავმჯდომარეს გამოძახებას სთხოვს

მ. ჯავახიშვილი 1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს, მისი წერილობითი ჩვენებები კი მხოლოდ მარტის თვიდან იწყება. არ შემოიძლია იმის მტკიცება, რომ ზოგი ჩვენება არ ჩაუნერიათ, ვინაიდან ასეთი პრაქტიკა შესწავლილი და დადასტურებული არ არის. და მაინც საყურადღებო ფაქტია: მ. ჯავახიშვილი 1923 წლის 12 მაისის დაკითხვისას ამბობს: „...პირად საუბარში განვუცხადე საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს მოგილევსკის“ [ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, „კაენ, სად არის ძმა შენი?!..“, თბ., 1998, გვ. 142]. გარდა ამისა, არსებობს იმის დამამტკიცებელი დოკუმენტი, რომ მან 1923 წლის 16 მარტს, კიდევ უფრო საიდუმლო ზეპირსიტყვიერი ჩვენების მიცემაც ისურვა: კოლეგიის თავმჯდომარეს ვთხოვ გამომიძახოს ამ საკითხზე, რათა პირადად მივცე განმარტებაო. ამაზე უფრო დანვრილებით – ქვემოთ. ეს ორი მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, მის პირველ ჩვენებებს ჩვენამდე წერილობით არ მოუღწევია.

1996 წელს ნესტან კირთაძემ თავის ნაშრომში მხოლოდ ერთი ჩვენება გამოაქვეყნა პატიმრის გვარის მითითების გარეშე [ნ. კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996, გვ. 241-244]. იგი „ჩოლოკაეველობის“ ლიკვიდაციას შეეხება და განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. ალბათ, სწორედ ეს მომენტი გაითვალისწინა ქალბატონმა ნესტანმა, რომელიც შენიშვნაში წერს: „პოლიტიკური პატიმრის გვარსა და სახელს შეგნებულად არ ვაქვეყნებთ“. ეს ჩვენება დედანში მქონდა წაკითხული, ამიტომ არ გამჭირვებია მისი ავტორის გამოცნობა. დოკუმენტი იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის, რომ ქართველ ხალხს სრული უფლება აქვს იცნობდეს მას. ეს არის მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის 1923 წლის 16 მარტის ჩვენება:

„ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიის თავმჯდომარეს

მშვიდობიანი საშუალებებით „ჩოლოკაეველობის“ ლიკვიდაციის თაობაზე ჩემი ბარათის განმარტებისა და შევსების მიზნით მოგახსენებთ შემდეგს:

შარშან, მგონი მაისში, „ჩოლოკაეველობის“ მშვიდობიანად ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს რეკომმა და საქართველოს საგანგებო კომისიამ მოქალაქეთა ერთ ჯგუფს შესთავაზეს დაენციოთ მოლაპარაკება ჩოლოკაევთან. ჩემთვის უცნობ სხვა პიროვნებათა შორის ასახელებდნენ: ოფიცერ ხიმშიევს, ჩოლოკაევის ყოფილ თანამოსამსახურეს. გამიგონია აგრეთვე, რომ ეს ერთობ ჯანსაღი იდეა შემდეგ რატომღაც მიივიწყეს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ნაბიჯი ყოვლად სასიკეთო შედეგებს გამოიღებდა და თავიდან ავიცილებდით დუშეთის სამწუხარო და ბევრ სხვა ამბებს, დაკავშირებულს ჩოლოკაევის სახელთან და „ჩოლოკაეველობის“ იდეასთან. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. საბჭოთა ხელისუფლება ერთობ ბრძნულ ნაბიჯს გადადგამს, თუ მოსინჯავს გზას, რომელზეც შარშან უნდოდა შედგომა.

„ჩოლოკაეველობის“ ლიკვიდაცია კონკრეტულად ასე წარმომიდგენია: მე ვკისრულობ გაბედულ და მძიმე ამოცანას შემოვიკრიბო ის ძალები და ის პიროვნებები, რომელთაც ჩოლოკაევზე გავლენა აქვთ და რომელნიც ან იმთავითვე უარყოფითად ეკიდებოდნენ „ჩოლოკაეველობას“ ან რომელთაც შემდეგ გაუტყდათ გული.

ასეთი ძალებია სამხედრო წრეები, უფრო სწორად, იმ სამხედროთა ჯგუფი, რომელსაც ჩოლოკაევთან ნათესაობა და მეგობრობა აკავშირებთ და ეროვნულ დემოკრატია ის ჯგუფი, რომელსაც „ჩოლოკაეველობა“ მავნე და სახიფათო მოვლენად მიაჩნია. უეჭველია, ამ იდეას წინააღმდეგობას გაუწევენ საერთო მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ფიციხი ხალხი, და, კერძოდ, საქართველოში მოქმედ პარტიათა საომრად განწყობილი ნაწილები. მაგრამ პირველნი უთუოდ ჩვენს მხარეს იქნებიან. მე მგონია, თუ რა თქმა უნდა, შესაძლებლობას მომცემენ დავინციო მოლაპარაკება ეროვნულ დემოკრატია ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ცალ-ცალკე, სასურველ გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით მივიღებ. გარდა ამისა, საჭიროა წინასწარ გვექონდეს გავლენიან ოფიცერთა კოლექტიური წერილი ჩოლოკაევის სახელზე სათანადო შინაარსისა. ეს საბუთები რომ გვექნება, ანუ ეროვნულ დემოკრატია პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, სამხედროთა

კოლექტიური წერილი და უპარტიო გავლენიან პირთა წერილები (უკანასკნელი სავალდებულო არც არის), ჩვენ, 3-4 კაცი, წავალთ კახეთში, ვიპოვით ჩოლოკაევის გზას და მტკიცედ მწამს, რომ დავარწმუნებთ მას დაყაროს იარაღი.

თავისთავად იგულისხმება, რომ ლიკვიდაცია მოხდება გარკვეული პირობებით, რომლებზეც მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, რაც მიღწეული იქნება ორივე მხარის პრინციპული თანხმობა საქმის მშვიდობიანად დამთავრებაზე. უკანასკნელ შემთხვევაში – იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფალთა მხრივ თანხმობა იქნა – პირადად მოგახსენებთ ჩემგან შემოთავაზებული გეგმის ყველა წვრილმანს, ახლა კი თავს ნებას მივცემ თქვენი ყურადღება მივაპყროთ ორ ფრიად მნიშვნელოვან გარემოს.

1) საჭიროა ვიჩქაროთ ამ საკითხის გადანყვეტა, თორემ გაზაფხული მოდის, ის არაჩვეულებრივი დრო, როცა ყველა მოუსვენარი ელემენტი ტყვეს მისცემს თავს, ან მთებს მიაშურებს. ზომები ახლავე უნდა მივიღოთ, რომ თავიდან ავიცილოთ გაზაფხულისათვის მოსალოდნელი „ჩოლოკაეველობის“ გაფართოება.

2) ჩემი შემოთავაზებული იდეა და გეგმა უაღრესად საიდუმლოდ უნდა დავიცვათ, რათა **მონინა აღმდევის ბანაკს (ანუ, მ. ჯავახიშვილი ჩეკას „ბანაკში“ მოიაზრებს თავს – მ.ხ.) დრო და საშუალება არ მივცეთ მიიღოს კონტრზომები და ჩოლოკაევისა და სხვებზე უკუმიმართულებით მოახდინონ გავლენა.**

ვთხოვ კოლეგიის თავმჯდომარეს, გამომიძახოს ამ საკითხზე, რათა პირადად მივცე განმარტება და შევიმუშავოთ გეგმის წვრილმანები, თუ რა თქმა უნდა, ჩემი იდეა პრინციპულად მიღებული იქნება.

გაძლევთ დამატებით ჩვენებებს და განვმარტავ.

I. იასონ ჯავახიშვილი, როცა უკანასკნელად და შემთხვევით შემხვდა ქუჩაში, გაკვრით მითხრა „პარიტეტულ კომიტეტში ავიღე 300 (თუ 400) ლირა. მინდა ჩოლოკაევის გაუფხავნო“. 1) ეს თანხა პარიტეტულ კომიტეტს შეეძლო გაეღო ჩოლოკაევისათვის. 2) იასონ ჯავახიშვილს ეს თანხა შეეძლო მიეღო სესხად, ოღონდ პარიტეტულ კომიტეტს აცნობა ვისთვის და რისთვის არის განკუთვნილი; 3) შეასრულა თუ არა ჯავახიშვილმა თავისი განაზრახვი, არ ვიცი, რადგან ამის შემდეგ არ შევხვედრდით.

II. ეროვნულ დემოკრატიის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩოლოკაევის ურთიერთ-დამოკიდებულება, ჩემი შთაბეჭდილებით, ერთობ გაურკვეველი იყო. ერთი მხრივ, ნათლად შეიმჩნეოდა ამ მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და ამ საკითხისათვის ბოლოს მოღების სურვილი. მეორე მხრივ კი ვგრძნობდი ცალკეულ პირთა და ჯგუფთა ფარულ მუშაობას საპირისპირო მიმართულებით. ჩოლოკაევი ამირეჯიბისა და ყიფიანის გაგზავნა პოსტ-ფაქტუმ შევიტყვე, ამასთან ამიხსენს, ამათ იმ მიზნით ვგზავნით, რომ ჩოლოკაევი შეაკავონ საერთოდ აქტიური მოქმედებისაგან და კერძოდ „ექსცესებისაგან“. პარტიის ლიდერების კედიას და ასათიანის როლი და გავლენა საერთოდ „ჩოლოკაეველობის“ საქმეში თითქმის გადამწყვეტი იყო. ციხიდან ისინი თითქმის ყოველდღიურად უკავშირდებოდნენ და დირექტივებს აძლევდნენ იასონ ჯავახიშვილს. მაგონდება, რომ კახეთში გაგზავნილ ამირეჯიბს დაავალეს დაიყოლიოს ჩოლოკაევი თვითლიკვიდაციის სანაცვლოდ მთავრობას მოსთხოვოს (თუ მასთან ჩავიდოდნენ ხიმშიაველი და სხვები) პოლიტპატიმართა გათავისუფლებაო. მე მგონია, ცალკეული პირები და ჯგუფი მხარს უჭერდნენ „ჩოლოკაეველობას“, როგორც იარაღს, შესაძლო მოდუსს მთავრობასთან მოლაპარაკებაში. დუშეთის სამხუზარო ამბების შემდეგ გადაჭრით მოვითხოვე გაგვერკვია, როგორ ვეკიდებით მათ და რა როლს ვასრულებთ, მაგრამ იასონ ჯავახიშვილმა პასუხი გამიჭიანურა ისტორიის და ამბების გარკვევამდე, მეუბნებოდა, თვითონაც არა ვიცი რაო. ცოტა ხნის მერე მითხრა, აქ პარტია და ცენტრალური კომიტეტი არაფერ შუაშია, ეს ამბები ყველასათვის მოულოდნელი იყო და ყველაფერში ბრალი მიუძღვის დ. ვაჩნაძეს, რომელიც ამის მერე ცენტრალური კომიტეტიდან გარიცხესო. შემდეგ დასძინა, ჩოლოკაევის ფიქრადაც არ მოსვლია თავში აქტიური გამოსვლები, მაგრამ იძულებული გახდა თავი დაეცვა, რადგან ჯარი მას კვალში ჩაუდგა და თავს დაესხაო. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი ჩოლოკაევიზე. მითხრეს, თითქოს სადღაც ვილაცხას მოლაპარაკება გაუმართავს ჩოლოკაევის ბანდის ლიკვიდაციის თაობაზე, ბანდისა, რომელიც მალე დაიშლებაო.

III. პირადად ჩემზე, ვიმეორებ: ერთობ დაკავებული ვიყავი და აქტიურად ვერ ვმუშაობდი. ზოგჯერ მთელი კვირა გავიდოდა ისე, რომ ცენტრალური კომიტეტის არცერთი წევრი არ შემხვებოდა და, ბუნებრივია, ამბები არ ვიცოდი. ცენტრალური კომიტეტის წევრები გრძნობდნენ და მამჩნევდნენ, რომ მწადდა სულ ჩამოვშორებოდი პოლიტიკას, რომ ბოლო დროს აღარ ვფარავდი ფრიად სკეპტიკურ დამოკიდებულებას დასავლეთიდან მოსალოდნელი ამბებისადმი და რომ ჩემი შეხედულება საბჭოთა ხელისუფლებაზე, დამოკიდებულება მისდამი აშკარად შეიცვალა. ამიტომ მერიდებოდნენ.

რაც ვიცოდი ყველაფერი ვთქვი“ [სუკ-ის არქივი, არქ. 23, ფ.ფ. 58-59].

ზემოთ მოყვანილი ჩვენების შესახებ პროფ. შ. ვადაჭკორია წერს: „სუკის სარდაფებში დაკითხულ პატიმართა შორის დანერგული ჩვენებების ჩემს მიერ საგულდაგულოდ შესწავლამ დაადასტურა, რომ მ. ჯავახიშვილი ერთადერთი პიროვნებაა, რომელიც პირადი ინიციატივით წერილს უგზავნის უშიშროების მაღალჩინოსანს, მასთან პირისპირ შეხვედრას მოითხოვს და ზემოაღნიშნული გეგმის ერთობლივად შედგენის როგორც ინიციატორი, მათგან ყურადღების მიპყრობას ცდილობს“ [შ. ვადაჭკორია, „შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის“, თბ., 2015, გვ. 56].

სუკ-ის არქივი დაინვა, მაგრამ სიმართლე მაინც გამოვიდა სააშკარაოზე. მე ამის ყოველთვის მწამდა, რის გამოც, დამწვარი დოკუმენტებისადმი მიძღვანილი წერილი, 1992 წელს ასე დავასრულე: «Рукописи не горят!» – восклицает один из героев романа Михаила Булгакова «Мастер и Маргарита». Истина восстанет даже из пепла!» [М. Хомерики, «Рукописи не горят!», გაზ. «Свободная Грузия», 1992 წ., 21 მარტი].

III.7. „შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის“

შოთა ვადაჭკორია წერს, რომ სამწუხაროდ, დღემდე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. კირთაძე, მ. ხომერიკი, გ. ციციშვილი, გ. სულაძე, დ. ჯიქია...) ეროვნულ-დემოკრატიების ერთი ჯგუფის მხრიდან მხოლოდ „სამხედრო ცენტრის“ გაცემაზე საუბარი და ყურადღების მიღება დატოვებული უმნიშვნელოვანესი საკითხი – ეროვნულ-დემოკრატიების იმავე ჯგუფის მიერ შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის (ვ. ჯუღელი-ალ. ზაქარიაძე) გაცემის ფაქტი. პირადად მე ვიღებ ამ შენიშვნას და დავძენ, რომ გეგმის გაცემის საკითხზე ადრე არ მიმუშავია. ჩემთვის უალრესად საინტერესო აღმოჩნდა შ. ვადაჭკორიას ნაშრომი „შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა. წიგნის ავტორს სოლიდური რედაქოლეგიაც უმაგრებს ზურგს. გადაწყვეტივით, დასახელებული ნაშრომიდან მკითხველს ვრცელი ამონარიდი გავაცნო: „სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ იმ ეტაპზე შეიარაღებული აჯანყების ორი გეგმა არსებობდა: 1. ვ. ჯუღელი-ალ. ზაქარიაძის და 2. რ. მუსხელიშვილის. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ შეიარაღებული აჯანყების პირველი გეგმა (ვ. ჯუღელი-ალ. ზაქარიაძე) აჯანყების დაწყებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევდა დასაშვებად, თუკი იგი ყოველმხრივ იქნებოდა მომზადებული; მეორე მხრივ, ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე დასაბუთებული ფორმით იყო წარმოდგენილი აჯანყების დაწყების ხელსაყრელ დროდ არა შუა ზაფხული, არამედ გვიანი შემოდგომა ან ადრე გაზაფხული. ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში, სამხედრო თვალსაზრისით საფეხურებრივად ყველა ნიუანსი იყო გათვლილი. იგი პირველ რიგში თბილისის აღებას, საბჭოური შეიარაღებული ძალების განიარაღებას, ბოლშევიკური მთავრობის დაპატიმრებას, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაპატრონებას და ამის შემდეგ, შეიარაღებული აჯანყების სრულიად საქართველოს და კავკასიის მასშტაბით გაშლას ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, თუკი ამ გეგმის მიხედვით იმოქმედებდნენ და იგი წარმატებული აღმოჩნდებოდა, საქართველოს მოსახლეობაში

სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა ავტორიტეტი ერთი-ორად გაიზრდებოდა და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, როგორც ქვეყნის განმათავისუფლებელ პოლიტიკურ ძალას საქართველოს მოსახლეობაში ალტერნატივა არ ექნებოდა. რაც შეეხება მეორე გეგმას, რომელიც რ. მუსხელიშვილის გეგმის სახელწოდებითაა ცნობილი, იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეიარაღებულ რაზმზე იყო ორიენტირებული და საქართველოში დისლოცირებული რუსული ჯარის ხევესურეთის ხეობაში შეტყუებას და განადგურებას ითვალისწინებდა. ამის შემდეგ უნდა მოეხდინათ აჯანყებულებს თბილისის აღება. ამ გეგმის საერთო ანალიზიდან გამომდინარე, გ. ციციშვილმა სავსებით კანონზომიერად უწოდა მას ფანტასტიკური გეგმა. ეს იყო არსებული სინამდვილის გაუთვალისწინებლად შედგენილი გეგმა, რომელიც რუსული სარდლობის და მის ხელქვეით თბილისში მყოფი სამხედრო შენაერთების (4000 ხიშტი) ცხვრის ფარასავით ხევესურეთის ვიწრო ხეობაში შეტყუებაზე იყო გათვლილი. ამ შემთხვევაში სალი აზრი დაჩრდილა ეგოიზმმა, ხელისუფლებისკენ სწრაფვის ავადმყოფურმა სენმა და სოციალ-დემოკრატებისადმი ბიოლოგიურმა სიძულვილმა. ეროვნულ-დემოკრატების გარკვეულმა ჯგუფმა, ზემოაღნიშნული ქმედებით, სამშობლოს ინტერესებს პარტიული ინტერესები ანაცვალა“ [შ. ვადაჭკორია, „შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის“, თბ., 2015, გვ. 59]. აქ ვნახავთ ციტირებას და ვსვამ კითხვას: რამდენად შეესაბამება სიმართლეს პარიტეტული კომიტეტის შიგნით, ეროვნულ-დემოკრატების ასეთი დესტრუქციული საქციელი, მათი სიძულვილი თავიანთი თანამებრძოლი სოციალ-დემოკრატების მიმართ? ამ საკითხზე მ. ჯავახიშვილს მოვუსმინოთ. მართალია, 1925 წლის სასამართლო პროცესზე ის სიძულვილს არ ახსენებს, მაგრამ ქიშპობა აშკარად ჩანს. წინააღმდეგობა ჯერ კიდევ პარიტეტული კომიტეტის დაარსების დროს წარმოიშვა:

„თავმჯდომარე: მონმე, რამდენ ხანს გრძელდებოდა მოლაპარაკება პარიტეტული კომიტეტის შესახებ?

ჯავახიშვილი: ერთი წელიწადი.

თავმჯდომარე: რატომ გაჭიანურდა?

ჯავახიშვილი: იმიტომ, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პირველი შეხვედრის დროს, როცა ჩვენ 6 თუ 7 კაცი შევხვდით ერთმანეთს, ასეთი გეზი მივიღეთ და ვამბობდით, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერს მენშევიკებს იმდენად, რამდენადაც მხარს უჭერდით საქართველოს დამოუკიდებლობას და ამასთან ვამბობდით, რომ მართალია ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის დიდი განსხვავება არის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან იმათაც მხარი დაუჭიროთ, თუ ისინი შეანარჩუნებენ საქართველოს დამოუკიდებლობას. რაკი ამ გზას დავადექით ჩვენ არ შეგვეძლო გავყოლოდით მენშევიკებს და ამიტომ მოლაპარაკებამ ჩვენსა და მათ შორის გასტანა თითქმის ერთი წელიწადი“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფ. ფ. 476].

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ნაციონალ-დემოკრატები (ეს პარტია თავს ილია ჭავჭავაძის იდეულ მემკვიდრედ მიიჩნევდა) კომუნისტებთან თანამშრომლობას არ გამოირიცხავდნენ, სოციალ-დემოკრატები კი წინააღმდეგნი იყვნენ. შემდგომში ამ ორ პარტიას შორის წინააღმდეგობა უფრო გამწვავდა:

„ქავთარაძე ბრალმდებელი: შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას ისეთი გრძნობა ქონდა, რომ ეს ძალა ე. ი. ჩოლოყაშვილის ბანდა მას ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას გამოეყენებია მენშევიკების წინააღმდეგ?

ჯავახ. ადამაშვილი: ამის შესახებ მე გამიგონია, შეიძლება ეს იყოს ცალკე რომელიმე პიროვნების სურვილი. ცენტრ. კომიტეტს კი ამის შესახებ არავითარი ლაპარაკი არ ქონია.

ქავთარაძე: თუ გახსოვთ თქვენი ჩვენება, თქვენ ამბობთ, რომ „ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას განზრახვა ქონდა გამოეყენებინა ეს შეიარაღებული ძალა მენშევიკების წინააღმდეგ“. მომენტის შესახებ თქვენ არაფერს არ ამბობთ, მაგრამ თქვენ ერთგვარი განზრახვა გაქვთ აღნიშნული.

ჯავახ.-ადამაშვილი: ეს იყო ცალკე მიმდინარეობა თვით პარტიაში, მაგრამ ეს მიმდინარეობა

შეადგენდა უმცირესობას და რომ ვთქვათ, პარტიას ქონდა განზრახვა ასეთიო, ამის თქმა არ შეიძლება, იმიტომ, რომ მაგის შესახებ ცეკაში არავითარი მსჯელობა არ გვქონია.

ქავთარაძე: **მაშასადამე, თქვენ უარყოფთ თქვენს წინანდელ ჩვენებას ამ შესწორებით.** მაშინ ამბობდით პარტიაო და ასეთ დეტალიზაციას არ უკეთებდით, ეხლა კი ამბობთ უმცირესობაზე და ერთ მიმდინარეობაზე. აქ ან შეუთანხმებლობა არის ან მაშინ ამბობდით მართალს ან ახლა.

ჯავახიშვილი: **მე არ მახსოვს, რომ ეგ მეთქვას, მაგრამ თუ დავწერე ვგულისხმობდი ერთ მიმდინარეობას.** ერთგვარი მიმდინარეობა იყო ეს იმ ჯგუფის, რომელიც უკმაყოფილო იყო პარიტეტული კომიტეტის ხელშეკრულებით. ის პირობები, რომლებიც აღნიშნული იყო ხელშეკრულებაში ამ ჯგუფს არ აკმაყოფილებდა. იმათ ჰქონდათ ასეთი განზრახვა, მაგრამ მთელ პარტიაზე ვერ ვიტყვით. ამას გადაჭრით მოგახსენებთ.“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფ. 492]. **ამ ამონარიდიდან ისიც ჩანს, რომ მ. ჯავახიშვილს ადრე, ანუ 1923 წელს, ჰქონდა მიცემული ეს ჩვენება, რომელიც სასამართლო პროცესზე შეახსენეს.** ახლა კი ვაგრძელებ ციტირებას შ. ვადაჭკორიას ნაშრომიდან: „ჩემს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები დაედო საფუძვლად შეიარაღებული აჯანყების ვ. ჯუღელი-ალ. ზაქარიაძის სამხედრო გეგმის გაცემას. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ აღნიშნული გეგმის (ვ. ჯუღელი-ალ. ზაქარიაძე) შესახებ მხოლოდ რამდენიმე კაცმა (ნ. ხომერიკი, ვ. ჯუღელი – სოციალ-დემოკრატები) და ეროვნულ-დემოკრატებიდან განსაკუთრებული პასუხისმგებლობით აღჭურვილმა ორიოდე კაცმა თუ იცოდა. ისიც ცნობილია, რომ ამ გეგმის ხელის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტის ერთი ეგზემპლარი (40 გვერდი) აჯანყების ცენტრის ხელმძღვანელობას ჰქონდა ჩაბარებული. **დღემდე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, სამხედრო ცენტრის გამცემთა შესახებ საფუძვლიანი მტკიცებულებაა მოტანილი. მხედველობაში მყავს კ. მისაბლიშვილი, მ. ჯავახიშვილი, ივ. ნარიკელაძე და კ. გეგეჭკორი.** მაგრამ არაფერია ნათქვამი აჯანყების სამხედრო გეგმის გამცემთა შესახებ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ 40 გვერდიანი დოკუმენტის ზეპირად დამახსოვრება და შემდეგ ქალაქში უცდომლად გადატანა, ნებისმიერი ადამიანის მეხსიერების შესაძლებლობებს აღემატება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ხელის მანქანაზე დაბეჭდილი ეს გეგმა, სამხედრო ცენტრის მალაჩინოსანის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი წევრის მიერ უნდა იყოს გაცემული. მით უმეტეს, ბოლო პერიოდში მიკვლეული საარქივო მასალების მიხედვით, ეს სამხედრო გეგმა საქართველოს უშიშროებამ ფოსტით ეროვნულ-დემოკრატებისაგან მიიღო. ამის შესახებ ანგარიშგასანევი ინფორმაციაა დაცული საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნოს დახურულ თათბირზე ლ. ბერიას მიერ გაკეთებულ მოხსენებაში: „ზმირად იყო შემთხვევა, რომ ერთი პარტია, მაგალითად, ნაციონალ-დემოკრატები, ვკითხულობთ დოკუმენტში – ცნობას გვაძლევდა მეორე პარტიის ზოგიერთი პირების შესახებ მათი თავიდან მოშორების მიზნით. თქვენ იცით, რომ აჯანყების დროს ნაციონალ-დემოკრატებს სურდათ მოძრაობის მეთაურობა და ჰეგემონიის ხელში ალება, ამიტომ ისინი ებრძოდნენ მენშევიკებს... ჯერ იყო და მოვიდა ცნობა, მათი კომიტეტის წევრის წინამძღვრიშვილის შესახებ, რომელიც იყო ყველაზე აქტიური დამცველი მენშევიკებთან გულწრფელი თანამშრომლობის, შემდეგ უნდოდათ რა მენშევიკური სამხედრო ძალების დაქსაქსვა, ჩვენ მივიღეთ ცნობა მენშევიკების სამხედრო ხელმძღვანელი ნოდის შესახებ და ისიც შევიპყარით. მათი საშუალებით ჩავიგდეთ ჩვენ ვ. ჯუღელიც ხელში და მივიღეთ აგრეთვე ფოსტით აჯანყების პირველი გეგმა, რომლითაც გავსტეხეთ ჯუღელი და ის ავალაპარაკეთ.“ ლ. ბერიას მოხსენებაში მოტანილი ფაქტები სიმართლედ უნდა მივიჩნიოთ, რადგან: 1. ზემოაღნიშნული თათბირი დახურულ ფორმატში მიმდინარეობდა, სააგიტაციო-პროპაგანდისტულ დატვირთვას არ ატარებდა და განვლილი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ფაქტების – თათბირის მონაწილეებისადმი ინფორმაციის სახით მინოდებას ისახავდა მიზნად; 2. ეს მოხსენება, შეიარაღებული აჯანყებიდან 6 წლის შემდეგ გაკეთდა. იგი გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლების უშიშროების უწყების 1921-1930 წლების საქმიანობის შეჯამებას და სამომავლო გეგმების სრულყოფას ითვალისწინებდა; 3. ლ. ბერიას აღნიშნული მოხსენება, ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების

დისკრედიტაციაზე რომ ყოფილიყო გათვლილი, თათბირის მასალებთან ერთად გასაჯაროვდებოდა და ფართო საზოგადოებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდებოდა. რაც შეეხება პატიმრობაში მყოფ ვ. ჯუღელს, საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა: 1. უმკაცრესი წამებისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიუხედავად, მას სიტყვა ვერ დააცდევინეს. რა დონის წამებაში უნდა ყოლოდათ იგი, რომ თვითმკვლელობის გადაწყვეტილება მიეღო. ციხის იატაკის ქვაზე ალესილი ალუმინის კოვზის ტარითა და ლურსმნით, მარცხენა მკლავის ვენა ექვს ადგილზე გადაეჭრა და ჭრილობები ჟანგით ამოეფსო. ასეთი რამ ლაჩრებს არ სჩვევიათ. იგი სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული გმირებისთვისაა დამახასიათებელი. სამწუხაროდ, ჩემი კოლეგების დიდი ნაწილი, რომლებიც ტყუილებით დამძიმებული მემუარების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ღირსეული ჯარისკაცის და ფოლადივით ნანრთობი პიროვნების – ვ. ჯუღელის მიმართ, ხშირად დაუმსახურებელ და უგვანო ეპითეტებს არ იშურებენ. ხელჩასაჭიდ მასალად მის ორ წერილს: 1. „წერილი მენშევიკურ ცეკას“ და 2. „ღია წერილი ყველა ამხანაგებს და ყოფილ სახალხო გვარდიელებს“ იყენებდნენ. ყურადღების მიღმა ტოვებდნენ იმ ძირითად განმაპირობებელ მიზეზებს, რამაც ვ. ჯუღელს აღნიშნული წერილები დაანერინა, ან დაუნერეს. ყოველ შემთხვევაში, ეს წერილები მისი ხელმოწერითაა დადასტურებული. ამ დოკუმენტების საფუძვლიანად გაცნობის შედეგად, ჩემი ყურადღება მეორე წერილმა მიიქცია, სადაც კვანტალიანთან შეხვედრის ფაქტია აღწერილი. „კვანტალიანმა, წერს ვ. ჯუღელი, მაჩვენა ძალიან სერიოზული დოკუმენტები, რამაც ძალიან ჩამაფიქრა, ვინაიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ „ჩეკა“-მ ყველაფერი კარგად იცის“. საზოგადოებაში და მეცნიერულ წრეებშიაც წლების განმავლობაში პასუხგაუცემელი რჩებოდა კითხვა, ისეთი რა სახის დოკუმენტები უნდა ეჩვენებინათ ვ. ჯუღელისათვის, რომ იგი აჯანყების საიდუმლოების გაცემაში დარწმუნებულიყო. ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთან მიმართებაში, მკვლევარები ნაკლებ დაინტერესებას იჩენდნენ და ძირითადი ყურადღება ვ. ჯუღელის ზემოაღნიშნული წერილების მიზანშეწონილობის ფაქტზე გადაჰქონდათ... ქართველი ერის მიმართ ბოლშევიკთა უმკაცრესი ანგარიშსწორება და სისხლისღვრა რომ არ მომხდარიყო, დაკითხვისას ვ. ჯუღელმა თხოვნით მიმართა ლ. ბერიას: „რამდენიმე დღით გამანთავისუფლეთ პატიმრობიდან, დამალევინეთ სანამლავი, სამი დღის მერე რომ იმოქმედოს და სისხლისღვრა აღარ იქნება საჭირო... საჭიროა მოველაპარაკო თანამებრძოლებს... ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ინტერესები“. ასეთი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ გმირებს შეუძლია და არა ლაჩრებს. მას თავისი თანამებრძოლებიდან არც ერთი პიროვნება არ დაუსახელებია. ამის სანაწილმდეგო დადასტურების დოკუმენტი ჯერჯერობით არავის გამოუქვეყნებია. რაც შეეხება „დამკომისადმი“ გაგზავნილ საყოველთაოდ ცნობილ გამაფრთხილებელ წერილებს, იგი მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნა, როცა უშიშროებამ სანამლავის მიღებაზე და სანამლავმიღებულის თანამებრძოლებთან გაშვებაზე უთხრა უარი ვ. ჯუღელს“ [შ. ვადაკორია, „შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის“, თბ., 2015, გვ. 61-63].

ჩემი მხრივ უნდა შეგახსენოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ვ. ჯუღელი არჩეულ იქნა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრად, რომლის ნომინალური მეთაური ნოე ჟორდანიას იყო. ფაქტობრივად კი, სახალხო გვარდიას ვალიკო ჯუღელი მეთაურობდა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩახშობილ იქნა 1920 წლის ანტისახელმწიფოებრივი აჯანყება ცხინვალის რეგიონში. აქვე მინდა გაგაცნოთ ცხინვალიდან გამოგზავნილი წერილი „სიკვდილი ჯუღელს“: „სამხრეთ ოსეთის მშრომელი გლეხობა დიდი სიხარულით და კმაყოფილების გრძნობით ხვდება ცნობას ჯალათი ჯუღელის დაკავების შესახებ. ჩვენი სიძულვილი უნდა იქცეს ხმლად, რომელიც მოკვეთს ამ დამნაშავეთა თავებს და პირველი ჯუღელის თავი იქნება. სიკვდილი ჯუღელს, რომელმაც სისხლით მორწყა საქართველო და ოსეთი (ცალ-ცალკე ახსენებენ – მ. ხ.), სამხრეთ ოსეთის ასობით კომუნარების მკვლელს!“ ითხოვენ ჯუღელის სიკვდილს და ხელს აწერენ მოთხოვნას... [ცხინვალი, 13/VII-24 წ. “ [პრეზიდენტის არქივი, ფ.14მ ან. 2, ს. 40, ფ. 45]. თხოვნა ერთ თვეში აუსრულეს.

შ. ვადაჭკორიას ნაშრომის დასკვნიდან მომავლეს ერთი მნიშვნელოვანი ამონარიდი: „ვ) ნ. ხომერიკისა და ვ. ჯუღელის დასაპატიმრებლად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელისგან „ჩეკა“-ს თანამშრომლებისადმი ხელშეწყობა, აღნიშნული პიროვნებების პოლიტიკური სარბიელიდან ჩამოცილებას და მოქმედების თავისუფალი სივრცის შექმნას ითვალისწინებდა. შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისადმი გადაგზავნით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი სულმოკლე ადამიანებისგან უდიდესი დანაშაული იქნა ჩადენილი. ამ ქმედებით, შეიარაღებულ გამოსვლებს, არაორგანიზებული, სპონტანური სახე მიეცა და გარდუვალი დამარცხების წინასწარი საფეხური მომზადდა“ [შ. ვადაჭკორია, „შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის“, თბ., 2015, გვ. 66].

რა შეიძლება საბოლოოდ ითქვას გამცემის ვინაობის შესახებ? როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ გეგმის შესახებ სულ რამდენიმე კაცმა იცოდა. ვინ გასცა? აქედან ვ. ჯუღელი და ნ. ხომერიკი გამოირიცხნენ, რჩება ეროვნულ-დემოკრატი, რომელსაც შეხება ჰქონდა ამ გეგმასთან. ამ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომისიაში სოციალ-დემოკრატებისგან ნოე ხომერიკი იყო (რომელიც ისე დახვრიტეს, რომ არავინ გაუცია), ხოლო ეროვნულ-დემოკრატებისგან – მიხეილ ჯავახიშვილი... შეიძლება მრავლისმეტყველად ჩაითვალოს შ. ვადაჭკორიას მიერ გ. ციციშვილისთვის დასმული შეკითხვა: „ბ-ნო გიორგი, თქვენი „მტკიცებით“, რამდენადაც ნ. ხომერიკის საქმიანობა „ავანტურიზმსა“ და „ეროვნული საშიშროების ძალას“, „უბედურების მოტანას“ ემსახურებოდა და **შეუსაბამობაში მოდიოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან „ჩახუტების“ მ. ჯავახიშვილისეულ პოზიციასთან, ისმება კითხვა: პოლიტიკური სარბიელიდან ჩამოცილების მიზნით ხომ არ მოხდა მ. ჯავახიშვილის მხრიდან ნ. ხომერიკის შეგნებულად დასმენა?** საკითხის ასეთი ფორმით დაყენება, თქვენს წიგნში მ. ჯავახიშვილ-ნ.ხომერიკთან მიმართებაში მოტანილი მსჯელობებიდან და ნ. ხომერიკისადმი ნაყენებული ბრალდებებიდან გამომდინარე ლოგიკურ კატეგორიაში ჯდება“ [შ. ვადაჭკორია, „სინამდვილის გაყალბებისა და შეფასების XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკური სტილი (პასუხად გიორგი ციციშვილს)“, თბ., 2017, გვ. 30]. მართალია, ავტორი აჯანყების გამცემს პირდაპირ არ ასახელებს, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილს ლიად აღიარებს აჯანყების ერთ-ერთ გამცემად.

III.8. „ნამებულთა გაცოცხლებული ხმა“

1989 წლის 26 მაისს, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ისტორიკოს გურამ მამულიას პუბლიკაცია „ნამებულთა გაცოცხლებული ხმა“, რომელიც სხვადასხვა დოკუმენტების კრებულს წარმოადგენს. ავტორი გვამცნობს, რომ 1958 წელს მეტეხის საპატიმროს დანგრევა გადაწყდა. „როდესაც ციხის ერთ-ერთი საკნის იატაკის ფიცრები აყარეს, ქვეშ რაღაც ქალაქები აღმოჩნდა. ეს ქალაქები 1924 წლის აჯანყებულთ დაუმარხავთ. 1924 წლის აჯანყების მასალები ისტორიკოსთათვის ჯერ-ჯერობით მიუწვდომელი რჩება და ამ დოკუმენტების გამოქვეყნებით ჩვენ ვცდილობთ დავარღვიოთ ის სიჩუმე, რომელიც ქართველი ერის 1924 წლის ტრაგედიის გარშემო სუფევს...მეტეხის ყოფილ საპატიმროში აღმოჩენილი ქალაქების მხოლოდ მცირე ნაწილის გადარჩენა მოახერხა იურისტმა ნათელა ლომთათიძემ. სად გაქრა დანარჩენი ნაწილი, ჯერ კიდევ დასადგენია...“

1989 წელს ასეთი მასალის გამოქვეყნება დიდი სიახლე იყო. ჩემი ინტერესი პირველ რიგში იმან განაპირობა, რომ **აქ ვხვდებით მ. ჯავახიშვილის ხელნაწერს**, რომლის გაცნობამდე, მომყავს ერთი ვრცელი ამონარიდი დასახელებული პუბლიკაციის პირველი დოკუმენტიდან. ვფიქრობ, ამ ნამებულთა ხმა ზუსტად გადმოგვცემს მაშინდელ ვითარებას:

„დოკუმენტი რუსულად არის შედგენილი საფრანგეთის მუშათა პროფკავშირული დელეგაციის მიერ. დასმულ კითხვებს პატიმრები ასე პასუხობენ:

1. დაასახელეთ მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს თქვენი დაპატიმრება?

– 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორგანიზაციაში მონაწილეობა.

2. რომელ პოლიტიკურ დაჯგუფებებს განეკუთვნებიან დაპატიმრებულნი და რა პროპორციით?

– 16 კაციდან, რომელნიც მსჯავრდადებულნი არიან სასამართლოს მიერ და ამჟამად სასჯელს იხდიან აჯანყების საქმის გამო – 7 სოციალ-დემოკრატია, 4 ნაციონალ-დემოკრატია, 2 სოციალ-რევოლუციონერი და 3 უპარტიო.

3. აღიარებთ თუ არა თქვენ კლასთა ბრძოლას?

– ამ კითხვაზე პასუხობენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები – ვაღიარებთ.

4. მმართველობის რა სისტემის დამყარებას ისურვებდით თქვენ საქართველოში?

– საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, დაფუძნებულს საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპებზე.

5. აძლევდით თუ არა თქვენ კომუნისტებს იმ უფლებებს დამოუკიდებელი საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის არსებობისას, რომლებსაც თქვენ თხოულობთ ახლა?

– დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება კომუნისტების მიმართ შეიძლება დაიყოს სამ პერიოდად: პირველი და სანყისი – კომპარტიის თავისუფალი და ლეგალური მოქმედების უფლება (ჰქონდათ თავისი კლუბები, ბეჭდვითი ორგანოები „კავკასკი რაბოჩი“, „კომუნისტი“ და მონაწილეობდნენ ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებების არჩევნებში); მეორე – რეპრესიების პერიოდი (პიროვნებათა დაპატიმრებანი და გაზეთების დახურვა) კომპარტიის სისტემატური მცდელობისათვის გამოენჯია რუსული ინტერვენცია საქართველოს საქმეებში; და მესამე – კომპარტიის ისევ სრული ლეგალიზაცია 1920 წლის 7 მაისის შეთანხმების შემდეგ, რომლის თანახმად, საბჭოთა რუსეთმა და იურე სცნო საქართველის დამოუკიდებლობა.

7. ხომ არ მოახდენდით თქვენ სამოქალაქო ომის ბოლოდან დღემდე დროის მონაკვეთში ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში პროგრესის კონსტანტაციას?

– ეკონომიკური და სოციალური პროცესები, რომლებსაც ადგილი აქვს რუსეთში, უეჭველად იმსახურებენ ღრმა შესწავლასა და ინტერესს, მაგრამ ამ პროცესების შეფასებისასაგან ჩვენ თავს ვიკავებთ, რადგან ჩვენს პირობებში ამის შესაძლებლობა არა გვაქვს. ამასთანავე ჩვენ ვუსურვებდით რუს ხალხს კეთილად დააღწიოს თავი დღევანდელ სირთულეებს, რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ოკუპაცია მძიმე უღლად დაანვა ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროში ჩვენს მეურნეობას, ხელ-ფეხი შეუკრა ჩვენს სანარმოო ძალებს, რომელთაც ის-ის იყო დაიწყეს განვითარება დამოუკიდებლობისას. საოკუპაციო ხელისუფლებს, გინდ ძალით რომ მოეტანა კეთილდღეობა ჩვენთვის, ასეთ შემთხვევაშიც ჩვენ მარქსთან ერთად დავრჩებოდით იმ რწმენით, რომ გამარჯვებულ პროლეტარიატს არა აქვს უფლება ძალით თავს მოახვიოს სხვა ხალხს კეთილდღეობა (ენგელსის წერილი კაუტსკისადმი, 1882 წელი).

8. გვითხარით, როგორ გეპყრობიან ციხეში?

– აჯანყებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაცემებით, **გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯილია ოთხი ათასზე მეტი ადამიანი. რამდენიმე ასეული გასახლებულია რუსეთში;** თანაც ბევრია გასახლებული სოლოვკებში, სადაც მათგან მოითხოვენ იძულებით სამუშაოების შესრულებას ბოროტმოქმედებთან ერთად. ამასთან, უნდა დავძინოთ, რომ სოლოვკებში რუს პოლიტ-პატიმრებს უკვე აღარ ასახლებენ. საქართველოდან ხშირია გასახლება მხოლოდ პოლიტიკური მუშაობისათვის. **აჯანყებაში მონაწილეთაგან მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი იყო გადაცემული სასამართლოს. ათასობით დახვრეტილია და დასჯილია ჩეკა-ს მიერ.** ახლა აქ იმყოფება სასამართლოს მიერ სხვადასხვა ვადით მკაცრი იზოლაციით (სამიდან ათ წლამდე) თექვსმეტი მსჯავრდადებული. შეკითხვა, თუ რა პირობებში ვიმყოფებით ციხეში, იმდენად უმნიშვნელოა, რომ პასუხისაგან თავს ვიკავებთ.

9. რა მოსაზრებანი შეიძლება იყოს წამოყენებული არასაბჭოთა საქართველოს აღგენის მხარდასაჭერად ფრანგ მშრომელთა გამოსვლების მოტივაციისათვის მაშინ, როდესაც მიმდინარეობს მოლაპარაკება, სესხის თაობაზე?

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენაში ჩვენ მხარი უნდა დაგვიჭიროს მთელმა საერთაშორისო დემოკრატიამ, რადგან ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი დემოკრატიის პრინციპია. ფრანგი კომუნისტებისაგან კი ჩვენ ასეთი მხარდაჭერის იმედი კიდევ იმიტომ გვქონდა, რომ ისინი ასეთი მგზნებარებით იცავდნენ მაროკოსა და სირიის დამოუკიდებლობას. ეს უფლებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ამჟამად მიმდინარე საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკებები სესხის თაობაზე მათთვის ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევაა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის დასაყენებლად.

10. იმედი გაქვთ თუ არა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციისა და გსურთ თუ არა ის საქართველოს სასარგებლოდ?

– ჩვენ თანამიმდევრულად წინააღმდეგნი ვართ ყოველგვარი ინტერვენციისა საქართველოში, როგორც ამჟამინდელ საბჭოთა, ასევე მომავალი ბურჟუაზიულისა. ეს თვალსაზრისი გარკვევით გამოთქვა ჩვენმა დეპუტატმა ი. ნერეთელმა 1919 წელს პარიზში. ამ თვალსაზრისზე ვდგავართ ახლაც.

11. რა საშუალებებით და ზომებით ფიქრობთ თქვენ საქართველოში საბჭოთა წყობის დამსობას, რომლის მტრებიც თქვენ ხართ?

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი აღდგენის საკითხი მთელი საერთაშორისო დემოკრატიის მიერაა აღიარებული და რომ ეს დემოკრატია თავისი ორგანოების (მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალური, ერთა ლიგა და სხვ.) მხარდაჭერით ჩააყენებს საბჭოთა რუსეთს აუცილებლობაში მოხსნას საქართველოს ოკუპაცია იმავე მაგალითით, როგორც საბჭოთა რუსეთი ცდილობს მოხსნას რუმინეთის ოკუპაცია ბესარაბიაში.

12. ამართლებთ თუ არა თქვენ ახლაც თქვენს გამოსვლებს 24 წელს?

– ამ საკითხზე ჩვენი თვალსაზრისი გამოითქვა ჩვენს სასამართლო პროცესზე, სადაც ვამტკიცებდით, რომ აჯანყება იყო საოკუპაციო ხელისუფლების პოლიტიკის გარდაუვალი შედეგი. ამ თვალსაზრისზე ვდგავართ ისედაც.

13. ხართ თუ არა თქვენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის მომხრე?

– შეიარაღებული აჯანყების გამეორება ჩვენ მიგვაჩნია ქართველი ხალხისათვის დამლუპველად.

30.IX.26 წ.

ხელმოწერა ფრანგულად გაურკვეველია“

პირადად ჩემთვის გაუგებარია, რატომ აღმოჩნდა ყველა ეს ქალაქი დამალული და ერთი საკნის იატაკის ქვეშ ჩამარხული. ვთქვათ, პირადი წერილი დაემალათ, მაგრამ სასამართლოზე მიცემული ჩვენებები ხომ ჯერ კიდევ 1925 წელს გამოქვეყნდა! გარდა ამისა, საფრანგეთიდან ჩამოსულ დელეგაციასთან პატიმრებს საიდუმლოდ საუბრის უფლებას არავინ მისცემდა. საგანგებოდ მოვიძიე დამატებითი მტკიცებულება იმისა, რომ ციხეში დელეგაციის მისვლა მთავრობასთან შეთანხმებული იყო. დელეგაცია 28 სექტემბერს ჩამოსულა ამხ. დეგრანის მეთაურობით [„საფრანგეთის რკინიგზის მუშათა დელეგაცია თბილისში“, გაზ. „კომუნისტი“, 1926, 29 სექტემბერი, №221]. დელეგაციის ნაწილს 1924 წლის აჯანყების მონაწილე პატიმრები მოუნახულებია [„საფრანგეთის რკინიგზელთა დელეგაცია თბილისში“, გაზ. „კომუნისტი“, 1926, 1 ოქტომბერი, №223].

გაკვირვებას იწვევს გ. მამულიას პუბლიკაციაში ჩართული მიხეილ ჯავახიშვილის ჩვენება [გ. მამულია, „წამებულთა გაცოცხლებული ხმა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წლის 26 მაისი] (სურ. №48).

გ. მამულიამ ორი მეტად საგულისხმო პუნქტი (მეორე და მეშვიდე) გამოტოვა და მრავალწერტილით აღნიშნა, რათა ჩრდილი არ მიეყენებინა მ. ჯავახიშვილისათვის, თუმცა გამოქვეყნებული პუნქტებიდანაც ჩანს, რომ დიდი მწერალი არ ინდობდა თავის თანამებრძოლებს და მათ შესახებ დაწვრილებით ცნობებს აწვდიდა ჩეკას. აღნიშნული დოკუმენტი სრულ შესაბამისობაშია მ. ჯავახიშვილის სხვა ჩვენებებთან: ერთმანეთს ემთხვევა მწერლის გამონათქვამები, ჩანს მისი დამოუკიდებულება სმენა-ვეხოველობისადმი, თავისი თანამებრძოლებისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი,

აგრეთვე, მწერლის პრორუსული პოზიცია, რომელიც ასევე დასტურდება 1925 წლის სასამართლოზე მიცემულ ჩვენებაში:

„ქავთარაძე: როგორი დავა იყო შემდეგ პრინციპიალურ საკითხზე, ორიენტაცია დასავლეთისკენ თუ რუსეთისაკენ?

ჯავახიშვილი: ეგ უდავო იყო 21 წელში იმ ჯგუფისათვის, რომელიც მაშინ მუშაობდა და რომელსაც თუმცა მიძნელებდა, მაგრამ როგორც წელან ვსთქვი, კომიტეტი უნდა დავარქვა. ჩვენ ვამბობდით, რომ თუ კომუნისტები დაიცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ლაპარაკი არ იყო საჭირო, ვურიგდებოდით რუსეთის ორიენტაციას. ჩვენ ასე გვესმოდა დამოუკიდებლობა. აბსოლუტური დამოუკიდებლობა არ არსებობს, მით უფრო შეუძლებელი იყო ჩვენთვის. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა გამოსახულიყო როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ და სამხედრო კავშირში განსაკუთრებული ხელშეკრულებით. იყო აზრი და ბუნებრივია, სანამ დაარსდებოდა კავშირი იმ წესით, როგორც ეხლა არსებობს, ეს მიმდინარეობა ამბობდა, რომ ჩვენი მინიმუმი არის დაახლოებით იმგვარი ავტონომია, როგორც ქონდა რუსეთისგან ფინლანდიას. **1921 წელში ჩვენი ჯგუფი ემხრობა ან ურიგდება რუსეთის ორიენტაციას.**

ქავთარაძე: უკაცრავად, რა ჯგუფი იყო ეს?

ჯავახიშვილი: 22 წელში, რომელიც შესდგებოდა 6-7 კაცისაგან. წინათ პარტიის ცეკაში იყო 36 კაცი, გასაბჭოების შემდეგ იყო 7 კაცი და როდესაც ვამბობ მე ცეკას და ჯგუფს ეს ერთი და იგივეა.

ქავთარაძე: მე არ მესმის, ეს ცეკა იყო რუსეთის ორიენტაციის მატარებელი?

ჯავახიშვილი: პირობით თუ შევინარჩუნებდით...

ქავთარაძე: პირობით თუ უპირობოთ, აქ უნდა დაუპირდაპიროთ ერთმანეთს ორი ორიენტაცია დასავლეთ ევროპისა და რუსეთის. **თქვენ ამბობთ, რომ ჩვენი ცეკა იყო მომხრე რუსეთის ორიენტაციისაო. ტექსტურაღურათ ასე ამბობთ /კითხულობს რუსულათ/: ზადაჩი მომენტა ი სრედსტვა... თქვენ გახსოვთ ალბად, მთლიანად არ წავიკითხავ.**

ჯავახიშვილი: დიახ.

ქავთარაძე: მაშასადამე, იყო მომენტი, დროზე არ შევჩერდები, როდესაც ნაც.-დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღიარებდა რუსეთის ორიენტაციას წინააღმდეგ ევროპისა?

ჯავახიშვილი: დიახ, იყო, რადგანაც ის მომენტი იყო ერთგვარი დამოუკიდებლობას... დიახ“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 375, ტომი I, გვ. 494].

იგივე პოზიცია კიდევ უფრო გაშლილი სახით არის მოცემული მ. ჯავახიშვილის მიერ თოთხმეტი წლის შემდეგ, 1937 წლის 21 ივნისს დაწერილ განცხადებაში. მისი განცხადების ეს მონაკვეთი 1990 წელს გამოვაქვეყნე, მწერლის ვინაობის გამომჟღავნების გარეშე [მ. ხომერიკი, „არა არს დაფარული, რომელ არა განცხადენს“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წ., 9 აგვისტო].

1990 წელს, გ. მამულიას პუბლიკაციაში გამოტოვებული პუნქტების გაცნობაც მოვახერხე, მაგრამ არა დედანში. ამიტომ, ჩემს წიგნში „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“ (1996) არ გამომიქვეყნებია. მ. ჯავახიშვილის ჩვენებას ეწერა 1924 წელი, რაც არ შეესაბამებოდა მოვლენებს. რ. კვერენჩილაძემ მთხოვა გ. მამულიას პუბლიკაციაში გამოტოვებული II და VII პუნქტები მეჩვენებინა მისთვის. შემდგომ, მან ეს მასალა მიითვისა და 1999 წელს ისე გამოაქვეყნა, რომ არც მისი პოვნის ადგილი მიუთითებია, არც პირველი გამომქვეყნებელი გ. მამულია უხსენებია და არც მე. რ. კვერენჩილაძე წერს: „არის კიდევ ერთი საბუთი, იმ დროს რომ ეხება (წელს არ აკონკრეტებს! – მ. ხ.). ესაა მ. ჯავახიშვილის ჩვენება:

მინდა შევექმნა ჯგუფი ლიტერატორებისა, რომლებიც იმუშავებენ როგორც „სმენოვეხოველები“.

ორიენტაცია როგორც ჩვენს ისტორიულ მტერ ოსმალეთზე, ისე დასავლეთზე ხალხის დაღუპვას ნიშნავს. ჩვენი ორიენტაცია კვლავ რუსეთისაკენ უნდა იყოს;

ცკ-ის სხდომა გვექონდა 22 წლის ნოემბერში თუ დეკემბერში ექ. დ. ჯავახიშვილის ბინაზე (მითითებულია ცკ-ის წევრები);

იშხნელის თუ იას. ჯავახიშვილის აზრით უნდა გამოყოფილიყო მცირე პრეზიდუმი, რომელშიც

შევიდნენ იშხნელი, იას. ჯავახიშვილი და მგონი წინამძღვარი;

მე მიცნობენ როგორც ბელეტრისტს, ჩემი მოთხრობები გადათარგმნილია რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, პოლონურ, ფინურ და სომხურ ენებზე;

აფხაზი და წინამძღვარი პოლიტიკურად ნაკლებად მომზადებულები არიან;

მე ვიკისრებ ჩოლოყაშვილის ბანდების დაშლას მასთან მოლაპარაკების გზით, ოღონდ ეს ცნობა საიდუმლოდ უნდა გქონდეთ შენახული, რომ მოწინააღმდეგეებმა არ დაგვასწრონ მასთან მოლაპარაკება. მე დავიხმარებ ოფიც. გ. ხიმშიაშვილს“ [რ. კვერენჩილაძე, „წამების გზა“, თბ., 1999, გვ. 156].

რ. კვერენჩილაძემ დოკუმენტი დაამახინჯა, საეჭვო თარიღი – 1924 წლის 22 მარტი, რომლის გამოც მე დოკუმენტის გამოქვეყნებისგან თავი შევიკავე – საერთოდ გააქრო. მას შემდეგ, რაც ჩემს 2003 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ“ ხსენებულ დოკუმენტთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი პასუხი გავეცე ჩემს ოპონენტებს, რ. კვერენჩილაძემ მითვისებული მასალა ახლებურად გამოაქვეყნა [რ. კვერენჩილაძე, „საბუთები ღალატებზე“, თბ., 2007 გვ. 160] (სურ. №49). ამჯერად უკვე საარქივო ნომერიც მიუსადაგა – №9997 [რ. კვერენჩილაძე, „საბუთები ღალატებზე“, თბ., 2007, გვ. 398] (სურ. №50). წელი ახლაც დამალა, ხოლო საგამოძიებო საქმე №9997 არის მ. ჯავახიშვილის 1937 წლის საქმე, რომელშიც მსგავსი არაფერი წერია და რომელიც რ. კვერენჩილაძეს თავის დროზე მე ვათხოვე გადასანერად, რაც მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკის თანამშრომლების თანდასწრებით მოხდა. გ. ციციშვილს კი ეს საქმე თვალთ არ ჰქონდა ნანახი. მან 1997 წელს, საგაზეთო წერილში აღირა, რომ ამ საქმის დამუშავება ვერ მოახერხა [გ. ციციშვილი, „სისხლიანი 1937“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, 17 ივნისი, №138]. (მოგვიანებით, ლიტერატურის მუზეუმში გავეცნო ამ საქმის ასლს). ცხადია, ის ვერც რ. კვერენჩილაძის სამარცხვინო საქციელს მიხვდა. მიუხედავად იმისა, რომ გ. ციციშვილი დოკუმენტების და ფაქტების აბსურდულ ინტერპრეტაციას იძლევა ხოლმე, დოკუმენტების აშკარა გაყალბებას მაინც ერიდება, რაც რ. კვერენჩილაძისთვის ჩვეული საქმეა. მოცემულ შემთხვევაში, გ. ციციშვილი ისეთ აბსურდამდე მიდის, რომ ამ ჩვენებისა და აღნიშნული თარიღის გამო, მე მედავება. იმასაც ვერ ხვდება, რომ დოკუმენტი რ. კვერენჩილაძემ გამოაქვეყნა და არა მე! „აჩქარდა მკვლევარიო“ და თავგამოდებით მიმტკიცებს იმას, რაც ჩემთვის აქსიომაა: V პუნქტის თარიღი ნდობას არ იმსახურებსო. აკი, სწორედ ამიტომ არ დავიმონმე ჩემს წიგნში [„პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“, თბ., 1996]. გ. ციციშვილი მაინც უაზროდ ირწმუნება: „ამ ლაფსუსზე კი მ. ხომერიკმა მძიმე მსჯელობა ააგო“ [გ. ციციშვილი, „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003, 84]. რ. კვერენჩილაძეს რატომ არ მოჰკითხა „ლაფსუსი“ რატომ გააქრეო? ნაცვლად ამისა, გ. ციციშვილი აცხადებს, რომ მას საეჭვოდ მიუჩნევია „II და VII პუნქტების მ. ხომერიკისეული კვალიფიკაცია, მოგვიანებით მათი გაკონტროლებაც მოხერხდა. მკვლევარმა რ. კვერენჩილაძე. 1999 წელს თავის წიგნში (გვ. 156) შვიდივე პუნქტი გამოაქვეყნა“ [გ. ციციშვილი, „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003, გვ. 64]. გ. ციციშვილმა არ იცის, რომ ხსენებული პუნქტები რ. კვერენჩილაძემ ქურდულად ჩემგან გადაიწერა. ჩემი გაკონტროლება რომ შეძლოს, გ. ციციშვილმა ჩემზე მეტი უნდა იცოდეს. მან ისიც არ იცის, რომ არსებობს VIII პუნქტიც, რომელიც გ. მამულიას არ გამოუქვეყნებია და არც მე მიჩვენებია რ. კვერენჩილაძისთვის, რის გამოც ვერ მომპარა. ეს პუნქტი ბუნდოვანი და დაუსრულებელია: „8) სახარინი გაუგზავნიებია (Германская черноморская К-О თბილისის განყ.) გამბურგში 23 წლის დამლევს“. რას უნდა ნიშნავდეს „სახარინი“ ასეთ სერიოზულ დოკუმენტში? ამის პასუხი 1925 წელს გამართულ სასამართლოზე მოწმე მიხეილ ჯავახიშვილის მიცემული ჩვენებიდან ირკვევა:

„ოკუფავა: ხომ ვერ იტყვივით რამეს სახარინის შესახებ? რალაც სახარინი მოსულა.

ჯავახიშვილი: სახარინი მოვიდა გიორგი ლლონტისთვის და რადგანაც ასე ადვილი არ იყო საბაჟოდან მისი გამოტანა, ამიტომ წინამძღვრიშვილმა მომიტანა მე. მე ვიყავი მაშინ სარეცენზიო

ბიუროს თავმჯდომარე და ყოველივე საქონლის გატანა და შემოტანა ჩვენ ხელში იყო. მომიტანა კომსამენტი საბუთი. რადგანაც დროებით სახარინის შემოტანა აკრძალული იყო, ამიტომ პირადათ მთხოვა: „თუ შეგიძლიათ 200 ლირა მომეცი“. მე მაშინ 300 ლირა მქონდა, ფული ფულობდა მაშინ, ეს საბუთი დავიტოვე და ფული მივეცი.

ოკუჯავა: წინამძღვრიშვილი თქვენი ორგანიზაციის წევრი იყო?

ჯავახიშვილი: დიას.

ოკუჯავა: სახარინი პირადათ წინამძღვრიშვილის იყო თუ ორგანიზაციის?

ჯავახიშვილი: წინამძღვრიშვილის იყო, ვილაცას მაგის ფული მართებდა და ფულის მაგივრად გამომიგზავნაო.

ოკუჯავა: წინამძღვრიშვილი ცეკას წევრი იყო?

ჯავახიშვილი: დიას“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 375, ტომი I, გვ. 489].

მის. ჯავახიშვილი

1. შინდა შევქმნა ჯგუფი ლიტერატორების, რომლებიც იმუშავებენ როგორც „სმენა ვებოველები“.

2.

3. ცენტრალური კომიტეტის სხდომა გვექონდა 22 წლის ნოემბერსა თუ დეკემბერში ექ. დ. ჯავახიშვილის ბინაზე მიხეილის პროსპექტზე (ჩამოთვლილია ც-კას წევრები).

4. იშხნელის თუ იას. ჯავახიშვილის აზრით უნდა გამოყოფილიყო მცირე პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ იშხნელი, იას. ჯავახიშვილი და მგონი წინამძღვარი.

5. მე მიცნობენ როგორც ბელეტრისტს. ჩემი მოთხრობები გადათარგმნილია რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, პოლონურ, ფინურ და სომხურ ენებზე. 22. III. 24 წ.

6. აფხაზი და წინამძღვარი პოლიტიკურად ნაკლებათ მომზადებულები არიან.

7.

პატიმრობაში მიხეილ ჯავახიშვილმა ასე ჩამოაყალიბა თავისი მოქმედების გეგმა. ამ გეგმიდან შევჩერდები პირველ და ბოლო, მეშვიდე მუხლზე:

1. „მინდა შექმნა ჯგუფი ლიტერატორებისა, რომლებიც იმუშავენ, როგორც „სმენა ვეხოველები“.

სახელწოდება მოდის რუსული ემიგრანტული კრებულიდან – „სმენა ვეხ“ (გეზის შეცვლა), ვეხოველებს სურდათ რუსეთს ნეპმანური (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა), ესე იგი, ბურჟუაზიული გზით ევლო. თუ ეს არ იყო გამოძიების კარნახით აღიარებული, მიხეილ ჯავახიშვილისთვის სარისკო იყო ასეთი ჯგუფის შექმნის სურვილის გამხელა.

7. „მე ვიკისრებ ჩოლოფაშვილის ბანდების დაშლას მასთან მოლაპარაკებით, ოღონდ ეს ცნობა საიდუმლოდ უნდა გქონდეთ შენახული, რომ მოწინააღმდეგეებმა არ დამასწრონ მასთან მოლაპარაკება. მე დავიხმარებ ოფიც. გ. ხიმშიაშვილს“.¹⁶

№49. [რ. კვერენჩილაძე, „საბუთები ლაღაღებენ“, თბ., 2007, გვ. 156].

16. მ. ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმე № 9997.

17. „ზარია ვოსტოკა“. 1923. 23. V; „ტრიბუნა“, 1923. 24. V.

18. ლხცსა, 8-2-3ს-4; გ. ციციშვილის დასახელებული ნაშრომი (სიმართლე 1921-1923...); გ. ციციშვილი, რისტოვის

398

№50. [რ. კვერენჩილაძე, „საბუთები ლაღაღებენ“, თბ., 2007, გვ. 398].

III. 9. მიხეილ ჯავახიშვილი და სერგო ორჯონიკიძე

1923 წლის 25 ივლისს, სერგო ორჯონიკიძე პირადად დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სხდომას, რომელზედაც დაადგინეს ეროვნულ-დემოკრატიების ჯგუფის დეკლარაციის გამოქვეყნება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებისა და ეროვნულ-დემოკრატიების ორგანიზაციის დაშლის შესახებ [პოლიტიკურ პარტიათა არქივი, ფ. 14, ან. 1, ს. №490, ფ. 49, ოქმი №33]. დადგენილება შესრულდა: 1923 წლის 8 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ეროვნულ-დემოკრატიების თვითლიკვიდაციის დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კომუნისტებმა „აღადგინეს საქართველოს პოლიტიკური კავშირი რუსეთის ხალხთან და გამოჰგლიჯეს ჩვენი ქვეყანა ანტანტის გავლენისაგან, რომელსაც ხელთ ეპყრო მენშევიკური მთავრობის სადავე. საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებით საქართველოში ნაც. დემ. პარტიამ დაჰკარგა რეალური მნიშვნელობა, ვინაიდან ამ პარტიის ძირითადმა მიზანმა, საქართველოს ეროვნულმა თვითგამორკვევამ მოიპოვა მტკიცე საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების სისტემაში...“ **დეკლარაციას სხვებთან ერთად, ხელს აწერს ჯავახიშვილი მ. ს., რომელიც 5 დღით ადრე, 3 აგვისტოს სპეციალურად იქნა ციხიდან განთავისუფლებული** [ნაც-დემოკრატიების და რადიკალ-დემოკრატიების დეკლარაცია“ გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ., 8 აგვისტო]. 1934 წელს, პერსონალური პენსიის დანიშვნის თაობაზე დაწერილ განცხადებაში მ. ჯავახიშვილმა თავისი დამსახურება აღნიშნა: „1923 წელს დამაპატიმრეს და 6 თვის შემდეგ გამანთავისუფლეს. იმავე წლის დასასრულს ერ. დემ. პარტიის ლიკვიდაცია მოხდა და ამ საქმეში მეც მონაწილეობას ვიღებდი“ [ქ. ჯავახიშვილი „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“ გვ. 267]. ეს დამსახურება მ. ჯავახიშვილს თავის ავტობიოგრაფიაშიც აქვს ნახსენები [უახლესი ისტ. არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. №543] (სურ. №51).

1923 წელს, ცკ-ის პლენუმის სხდომაზე დაადგინეს: „ყველა ოფიციალურ გამოსვლაში ჩაითვალოს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაშლილია ყოფილი ერ. დემ. პარტიის ცკ-ის მიერ დეკლარაციის გამოქვეყნების ფაქტით“ [პოლიტიკურ პარტიათა არქივი, ფ. 14, ან. 1, ს. №490, ფ. 8].

ქ. ჯავახიშვილი წერს: „პრესაში დიდი წერილი დაიბეჭდა ამ პარტიის ლიკვიდაციის თაობაზე და დასახელებული იყო ყველას გვარი, ვინც ამ პარტიის წევრი იყო და პარტიიდან გავიდა, მათ შორის მამაც იქნა ნახსენები“ [ქ. ჯავახიშვილი „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“ გვ. 41]. სინამდვილეში, **მ. ჯავახიშვილი ნახსენები კი არ იქნა, არამედ თვითონ მოაწერა ხელი დეკლარაციას, რომელიც ქ. ჯავახიშვილმა და ე. გენძეხაძემ ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში არ შეიტანეს და 1923 წელი საერთოდ გამოტოვეს.** აი, ამგვარი „პირუთენელი ისტორიის“ მომხრეა ქ. ჯავახიშვილი, როდესაც საქმე მის მამას შეეხება. თავის მოგონებებში იგი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ორჯონიკიძემ მხოლოდ იმიტომ შეისმინა ქართველი ინტელიგენტების ჯგუფის თხოვნა და უანგაროდ აჩუქა მათ მ. ჯავახიშვილის სიცოცხლე, რომ „უთუოდ კარგ გუნებაზე იყო იმ წუთებში...“ ქ. ჯავახიშვილის ეს მტკიცება თეიმურაზ მალლაფერიძემაც დაიჯერა და თავისი ვარაუდიც დაუმატა; „ალბათ გემრიელად, მაძღრად ისადილა“ [თ. მალლაფერიძე, „ძალადობა, შიში, სიცრუე“, ჟურნ. „განთიადი“, 1992 წ., №1-4, გვ. 275]. ამასთან, მკვლევარი გულახდილად აღიარებს: „ჩემი ნარკვევი იშვიათად სცილდება ქ. ჯავახიშვილის წიგნთა არეალს“ [თ. მალლაფერიძე, „ძალადობა, შიში, სიცრუე“, ჟურნ. „განთიადი“, 1992 წ., №1-4, გვ. 261]. ქ. ჯავახიშვილი კი სდუმს იმის შესახებ, რომ სერგო ორჯონიკიძემ თავისი, უფრო ზუსტად, კომუნისტური პარტიის მიზნებისათვის გამოიყენა დიდი მწერალი და მისი ავტორიტეტი.

1923 წელს, როგორც ჩანს, მ. ჯავახიშვილს პირადი ურთიერთობა ჰქონდა ს. ორჯონიკიძესთან, რომელსაც იგი გზაზე დაუყენებია, რასაც შემდეგ მწერალი თბილად იხსენებდა: „1923 წელს მე გზაჯვარედინზე ვიდექი და სერგოს მგრძნობიარე გული რომ არა, მე ვერ გავხდებოდა მწერალი. სერგო დამეხმარა, გამამხნევა თავისი მეგობრული, ბრძნული რჩევით“. [Михаил Джавахишвили, «Имя Серго», ჟურ. «Сов. Искусство», 1937 წ. №9, 23 თებერვალი, გვ. 2] (სურ. №52 და სურ. №53). ეს პუბლიკაცია ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში ყოველგვარი ანოტაციის გარეშეა დასახელებული.

სერგო ორჯონიკიძის „მგრძობიარე გულთან“ დაკავშირებით, მინდა სოსო სიგუას ნაშრომიდან ერთი ამონარიდი დავიმონწილო: „ლავრენტი ბერია, როგორც საქართველოს ჩეკას თავმჯდომარის მოადგილე იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი ინტერპარტიული ჯგუფისა და აგვისტოს აჯანყების განადგურებისა, რის გამოც სერგო ორჯონიკიძე საჯაროდ მადლობას უხდოდა და იძახდა; „გაუმარჯოს ბერიას“ [ს. სიგუა, „მარტვილი და ალამდარი“ 1. თბ., 2011, გვ. 10].

1923 წლის შემოდგომაზე, როდესაც თანახმად ცკ-ის 1923 წლის 27 მარტის შემდეგი დადგენილებისა: „დაევალოს ჩეკას განაგრძოს და გააძლიეროს რეპრესიები ანტისაბჭოთა პარტიების მოღვაწეთა მიმართ“, ჩეკა ახორციელებდა რეპრესიებს ეროვნულ-დემოკრატიების მიმართ, მ. ჯავახიშვილის შესახებ ცკ-ი 26 ოქტომბრის სხდომაზე იღებს შემდეგ დადგენილებას: „უარი არ ითქვას ჯავახიშვილის საპასუხისმგებლო საბჭოთა სამუშაოზე გამოყენების თაობაზე“ – («Не возражать против использования Джавахишвили М. С. на ответственной советской работе») [პოლიტიკურ პარტიათა არქივი, ფ. 14, ან. 1, ს. №490, ფ. 20 და ს. №493, ფ. 78]. რევაზ კვერენჩილაძე წერს: „ზოგიერთები მ. ჯავახიშვილზე ამბობდნენ და ამბობენ – რაღაც დათმობების ფასად თავი გადაირჩინაო. ასე მაშინ, სხვა გადარჩენილებსაც ეჭვის თვალთ უნდა მივხედოთ?“ [რ. კვერენჩილაძე, „რეპრესირებული მწერლები“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1992 წ., 27 ნოემბერი].

ვფიქრობ, სხვების „მიხედვას“ თავი უნდა დავანებოთ და რომელ „გადარჩენილზეც“ ვნერთ, იმის საქმეებში ჩავიხედოთ. 1923 წლის მოვლენებზე მსჯელობისას, რ. კვერენჩილაძე ეყრდნობა ქ. ჯავახიშვილის ტენდენციურად დაწერილ ნაშრომს. ერთადერთი ფაქტი, რომელიც რ. კვერენჩილაძეს დოკუმენტზე დაყრდნობით მოჰყავს არის ის, რომ 1923 წლის მარტში დააპატიმრეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის თავმჯდომარის მოადგილე მ. ჯავახიშვილი. დამონმებულია მ. ჯავახიშვილის საქმე №9997 (რომელიც თავის დროზე რ. კვერენჩილაძეს მე ვათხოვე გადასაწერად), ფ. 6, (სიზუსტისათვის ფ. 5 და არა ფ. 6). ე. ი. ავტორს უსარგებლია მ. ჯავახიშვილის მიერ 1937 წლის 16 აგვისტოს შევსებული პატიმრის ანკეტი, რომელშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასახელებულ ფაქტს სულ ერთი წინადადება ეთმობა. საქმე №9997 შედგენილია 1937 წელს. სად არის 1923-25 წლების ამსახველი საარქივო და საგაზეთო მასალა? მათი გათვალისწინების გარეშე მსჯელობა ხომ ჭორის დონეზე რჩება.

უნდა ითქვას, რომ 1924 წლის აჯანყებაში მ. ჯავახიშვილს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და როგორც 1924 წლის მარტს დაწერილი მისი ერთი პირადი წერილიდან ჩანს, საქართველოს დატოვებაც კი ჰქონია განზრახული [ნონა კუპრეიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის პირადი წერილი“, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1990 წ., №2].

გ. ციციშვილმა კი აიკვირბა, თითქოსდა, მე ვამტკიცებდი, რომ მ. ჯავახიშვილის აგენტურული სახელი „არსენა“ იყო. ამაში მანვე დაარწმუნა რ. ჯავახიშვილი, რომელმაც ამ ინფორმაციის გამოყენება ჩემს სანინაალმდეგოდ მოინდომა და პრესის მეშვეობით მისი ტირაჟირება მოახდინა, რაც იძულებულს მხდის უფრო დანვრილებით შევჩერდე ამ საკითხზე და განვმარტო, თუ საიდან მოდის „არსენას“ ხსენება. დიდი ხნის წინ, როდესაც გ. ციციშვილი ჯერ კიდევ არ იყო ჩემზე გადამტყრებული, მე მას, როგორც კოლეგას, ერთი შემთხვევის შესახებ მოვუყევი: გამოჩნდა ირიბი მოწმე, გულიკა დადიანი, ვინც მ. ჯავახიშვილის შესახებ ინფორმაცია თავისი ბიძისგან, იაკობ (იაშა) დადიანისგან მიიღო, რომელიც 1921 წლიდან ჩეკაში მუშაობდა (სურ. №54). პირადად მე არაფრის მტკიცება არ შემიძლია, თუმცა დამაფიქრებელია, რომ ერთი და იმავე სამხედრო კომისიის ერთი წევრი – ნოე ხომერიკი დახვრიტეს, ხოლო მეორე – მიხეილ ჯავახიშვილი, სერგო ორჯონიკიძემ გზაზე დააყენა და გამოუშვა...ანუ, ზეპირსიტყვიერი და დოკუმენტებით გამაგრებული ინფორმაცია საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს.

331
6

3 კლასში - მთელი ჯერის რეზერვებზეა.

1917 წელს ურ. ღემ. შარტია დაარსდა და მე მუკავს წევრად ურყავი არჩეული.

1918 წელს ურდურთი დაშლის შემდეგ თავადი ურყავი საქ. საფარით-სამრეწველო შარტისა და 1921 წელს იმის ამავე შარტით ვმუშაობდი.

1921 წელს ჯერ ვმუშაობდი მიწადაწყობების კომისიის რედაქციის /სახალხო მამულებების განყოფილებაში/. შემდეგ ს.მ. უ. ს-ში მიმიწვიეს ცენტრ. სასაბჭოო მუშა-ყის არდუგინის საფარითმარედი, ხოლო 1922 წელს ა/კ. საფარით ვაჭრობის კომისიის რედაქციის განყოფილების განყოფილება და სალიკვიზო ბიუროს საფარითმარედი.

1923 წელს დამამაგრილებს და 6 თვის შემდეგ დამათვისებულეს. იმავე წლის დასასრულს ურ. ღემ. შარტიის რედაქციის რედაქციის და ამ, საქმეში მუც მონაწილეობას ვიღებდი.

1923-1924 ექვსიოდე თვე ვიმსახურე სახელ. რედაქციის /პირადი რედაქციის განყოფილების განყოფილება და მას შემდეგ განყოფილებრივ სალიკვიზო ბიუროში ვმუშაობდი.

შუამასწავლელად ვმუშაობდი "მასობის" სალიკვიზო რედაქციის /საბიუროსად/ ვმუშაობდი /ჯამაგრი 250 მ./, ვმუშაობდი ამ თანამდებობას თავი და ვაწარმოებ, რადგან იგი სალიკ. მუშაობაში ხელს მიშლიდა.


ამ შამად წევრი ვარ საქმ. მუშაობის კავშირის პრეზიდიუმისა და აგრეთვე საკავშირო მუშაობის კავშირის განყოფილების და პრეზიდიუმისა.

ჩემს ოჯახში ჩემთანად 7 სულია /თლი 40 წ. სიღვიძი 65 წ. ქალიშვილები 20 და 5 წ., შვილისშვილი - 7 თვისა და სიძე 29 წ. სიძე და უროსი ქალიშვილი ჯერ სალიკვიზო არიან. მხოველი მართლ მე ვარ.

მე შუა 5 წ. წლისა მუშაობდები მუშაობის საქმეებისადმი წარმოება და გთხოვთ პრეზიდიუმის პრეზიდიუმისადმი. მუშაობის ურ. ღემ. ს: სალიკვიზო სახელი და რამდენიმე კლასში მიწა მუშაობა, მაგრამ დედამისის სიკვდილის შემდეგ იგი ჩემს უმცროს ძმას დაუბრუნდა და აქვე 31 წელიწადია რაც იმ სიკვდილი უმცირესად აღარ ვთხოვდი.

ქ. ჯ. მ.

" 20 " მარტი 1936 წ.
თბილისი, უბანის დაბ. // 21.



+ Имя Серго

СОШ

Умер талантливейший партийный деятель, ближайший ополченник, непоколебимый соратник Ленина — Сталина. Трудно передать словами ту печаль и боль, которая охватила сердце миллионов трудящихся нашей страны, необыкновенно остро чувствующих эту тяжелую утрату.

Серго особенно хорошо знали в Грузии, где он с юношеских лет начал подпольную большевистскую работу. Советизация Грузии прошла под непосредственным руководством Серго. Он воюнул в Тбилиси с первыми частями Красной армии. Он укреплял и организовывал советскую власть, он беспощадно прогнал грузинских меньшевиков и национал-уклонистов, воспитывая трудящиеся массы в духе пролетарского интернационализма. Имя Серго для трудящихся Грузии — олицетворение борьбы и победы, знамя революционного огня, смелости и мужества. Это имя утвердилось в новом советском фольклоре. В горных селах о Серго слагают песни, легенды, сказания. Его героизм, его кипучую деятельность, его чуткость воспевают ашуги, народные певцы и поэты.

С именем Серго Орджоникидзе народы Кавказа связывают свое освобождение от гнета самодержавных колонизаторов, свое братство, свою неизгладимую счастливую жизнь. В дни пятидесятой годовщины трудящиеся советской Грузии в письме к вождю народов великому Сталину писали:

Слышим мы в этом горе братский зов издалека;

«Разобьет оковы ваши большевистская рука»

И народ не вынес муки, униженья и позор,

И восставши, он на север обратил надежды взор.

Красной армии отряды на подмогу шли к друзьям,

И Серго Орджоникидзе возглавлял отряды сам.

С ним и невабениш Кироз вел к нам доблестную рать,

Лензи, Ставани, их послали нам в победу помогать.

Пробил час, и в двадцать первом, в долгожданном феврале

Вознес красный флаг Советов на родной нам земле.

Мы избавились навеки от оуровых тяжких лет

И пришли к счастливой жизни, исполняя твой завет.

И грузин в своей работе и в победах не один:

С ним ашарец и абхазец, вместе с ним и осетин.

И кум теперь мы вместе ваше счастье, нашу жизнь,

И в большой семье народов строим мы социализм!

Созданию и укреплению той тесной дружбы, которая объединяет сейчас народы Грузии с народами Азербайджана, Армении и других наших республик, способствовал Серго Орджоникидзе, работавший в течение нескольких лет руководителем партийной организации Закавказья. Серго был основателем Закавказской федерации.

Память о Серго мне особенно дорога. В 1923 году я находился на распутии, и если бы не чуткое сердце Серго, я не стал бы писателем. Серго помог мне, поддержал меня дружеским, мудрым советом. В марте прошлого года в Кремле, во время вручения членам грузинской делегации орденов, я напомнил ему об этом и выразил свою глубокую признательность. Серго был очень рад, что я стал советским писателем и своими работами заслужил орден Трудового красного знамени.

Серго Орджоникидзе всегда чрезвычайно заботливо относился к работникам искусства и пера, создавая все необходимые условия для их творческой работы. Работа Серго в качестве секретаря Закавказского крайкома партии являлась ярчайшим свидетельством этому. Он первым начал реально осуществлять великую ленинско-сталинскую национальную политику и помог рассеять тот прогнивший яд взаимной ненависти и национальной розни, которым было отравлено Закавказье во времена царизма и в годы хозяйничанья на Кавказе меньшевиков, запялков и муссаватистов. Серго заблаговременно руководил развитием культуры грузинского народа. Под его руководством создавались и росли первые национальные культурные учреждения.

Смерть Серго — неопытная потеря. Народы СССР навсегда сохраняют память о нем, и его образ сохранится в веках.

Писатель-орденоносец
М. ДЖАВАХИШВИЛИ

№52. [Михаил Джавахишвили, «Имя Серго», журнал «Сов. Искусство», 1937 г. №9, 23 თებერვალი].

Память о Серго мне особенно дорога. В 1923 году я находился на распутии, и если бы не чуткое сердце Серго, я не стал бы писателем. Серго помог мне, поддержал меня дружеским, мудрым советом. В марте прошлого года в Кремле, во время вручения членам грузинской делегации орденов, я напомнил ему об этом и выразил свою глубокую признательность. Серго был очень рад, что я стал советским писателем и своими работами заслужил орден Трудового красного знамени.

№53. [Михаил Джавахишвили, «Имя Серго», журнал «Сов. Искусство», 1937 г. №9, 23 თებერვალი].

ს ა ზ ო

ჩვენ, ქვემოთ ხელის მოწერნი: დილრა მოთას ასული ფირცხალვა, მცხოვრები ქ.თბილისში, ყოფიანს ქ.წ 9-ში და ნელი სიმონის ასული ვოჩიყაშვილი, მცხოვრები ივრე მისამარბე, ვადასჯურებთ:

1990 წლის 26 მაისს შეგობღებია აღვნიშნულ საქარბველს დამოკრ-
ებღებღის ბრე. სუჭრა ვანიშალა 1937 წელს რეპრესირებღური ვენერღის, ვიორ-
ვი ქუთახელადღის ბიღიღის, აწ ვარდამცვიღი ვიღიშერ ქუთახელადღის რუახბი. ჩვენი შეგობღელი მანანა ხომერღვი დავვიანებღიშ მოვიდა თავის მელღღესთან ვრბად. მანადღა ღერი ვოჩიყაშვილი ამ ბრღს ქაქუცა ჩოღღამიღიღის საბღღეჭ-
რბღღღს სვამიდა. მან მანანა ხომერღვის ვკიღბა, ბქვენ რას იჭყვიღო. მანანამი უვასუბა: "რა უნდა ვბქვა, ახღა მავიდაბღე დავჭოვე დოკუმენჭი, რბიღიდანაც ჩანს, ბუ ვინ უმიჭყუნა ქაქუცას". მანადღის ვვერიღი, მარცხნივ, იბვა ჩვენივე შეგობღელი, სუკუნის ყოჭიღი მანამიშოღიღი ვუღიკვა დარიანი. ის მამიღ 70 წღის იქნებოდა. ის მავიდაბღე ვადანიხარა, მანანას ხელი ვაუ-
წოდა და უბხრა: მანანა, ადამამიღიღს ვუღისხბიბღ, დამარჭვი ხელიო. ამის ბევიბღე ვუღიკვა დარიანამი, მავიდას ბევიშუარა და მანანა ხომერღვის ვვერ-
იღი დარა. ვავიჭოღნუღ მისი სიჭყვები: ბენი მამიბღღი ცოცხღღი აღარ არიან. ბენ რბი ვაბღები "ვადავიარღს" მი დავინჭერიღსი სიმარბღის ვარ-
კვევიღი და ვრბი წღის წინ სვეციადღარად მივევი ჩემის ბიბასთან, იამა და-
რიანთან. ის ახღა 90 წღის არის. ბბელი ცხოვრებღა ჩვეამი მიშამბღა და ბვერი რამ იღის. მან მიბხრა, იაკინბუღი ღისამიღიღი არასოღეს ყოჭიღა ჩვენი ავენიჭი, მიხვიღი ვადახიბიღიღი ვი იყო და მისი "ვიღიკვა" არსენა იყოო".

ვუღიკვა დარიანის ეს ბიბნავოღი ჩვენ ჩვენი ყურიბი მოვისბინნუბ, რასაც ვადასჯურებთ. ხოლო იამა დარიანი არასოღეს ვვინახავს და არ ვიციო, რამიბენად ბეღეღერიბღა სინამიბვიღღეს ვ.დარიანის ბიბნავოღი. ამიბენად, ვუღიკვა დარიანის იბჭოჩამაციამბღე ვასუბს არ ვავებღ.

დილრა ფირცხალვა *ღ. ზოღუბსოღვი*
ნელი ვოჩიყაშვილი *ნ. ვოჩიყაშვილი*

..წ. ბებერიბელი, 2005 წელი.

- ხელიწერიბს ვადასჯურებღ
1. ბიღიკვა სოღიღი № 0060436 ჩახღი № 01017003611
 2. სოღიღი ვაკუკულ № 50350825 ჩახღი № 01013020984

დანართი 2. ზოგი რამ „ჯაყოს ხიზნებისა“ და „ცოფიანის“ შესახებ

წინამდებარე ნაშრომი მწერლის შემოქმედებას არ ეხება, რის გამოც ამ საკითხს დეტალურად არ განვიხილავ. მიუხედავად ამისა, მომყავს ამონარიდი ე. ჯავახიშვილის წიგნიდან, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ „ჯაყოს ხიზნები“, გარკვეულწილად, ფროიდის თეორიებზეა დაფუძნებული. ე. ჯავახიშვილი წერს: „გვინდა მოვიტანოთ კიდევ ერთი რეცენზია, რომელიც „ჯაყოს ხიზნებს“ შეეხება. ეს არის ს. ჭ-ის (შემოკლება ჩემია – მ.ხ.) წერილი, რომელიც მამას გაზეთიდან ამოუჭრია და არქივში შეუნახავს. იმ ადგილას, სადაც ავტორი წერს: „და ჩვენ ვეკითხებით მიხეილ ჯავახიშვილს, ნუ თუ ის სერიოზულად ფიქრობს, რომ ქალის გრძნობისათვის საკმარისია მამაკაცის ფიზიკური ღონე და სადისტური „დაბუზნა“ ისეთი ნადირის მიერ, რომელიც არა თუ სულიერად, არამედ გარეგნულადაც არ გავს ადამიანს, აქვს თუ არა ჯავახიშვილს წარმოდგენილი, რომ ქალის სქესობრივი წყურვილი იგივე დედობრივი ინსტინქტია, რომელიც ამაღლებს და აკეთილშობილებს ქალის ბუნებას და არ აგდებს მას იმ წუმპეში, რომელშიც სცურავენ მისი გმირები“. მამას ხელით, ფანქრით მიწერილია: „პირიქით, დედობაც სქესია. **ფრეიდი მაინც ნაიკითხე**“. იმ ადგილას, სადაც ავტორი წერს: „ჯავახიშვილი კი თავის რომანში სადისტური მიდრეკილებით ენაფება ამ მომენტებს და სქესობრივ აქტებს სთვლის უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ მისი ქალის ცხოვრებაში“ მამას მიუწერია: „დუუურაკ! მაშ რით და როგორ უნდა გამართლდეს მარგოს ასეთი ლალატი?“ [ე. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 92]. (ე. ჯავახიშვილი, რომელიც ბევრ მნიშვნელოვან ფაქტს მალავს, კეთილსინდისიერად აცნობს მკითხველს ჯავახიშვილის მიერ თავისი კრიტიკოსების წერილებზე ფანქრით მიწერილ შენიშვნებს. ამასთან, ზედმეტად მიაჩნია ისეთი სიტყვების მრავალწერტილით აღნიშვნა, როგორცაა: „დუუურაკ“, „ტუტუცო“ [ე. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 92], თუნდაც ისინი 1937 წელს დახვრეტილი ლიტერატორის მისამართით იყოს ნათქვამი).

აქვე მომყავს „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟების გრიგოლ რობაქიძისეული შეფასება: „თეიმურაზ: სქესმილეული, ჯაყო: სქესავსილი, მარგო: სქესაშლილი. სამთავეში ერთი ელემენტი: სქესი, რომელიც, ვითარ უპიროვნო, სამივეს ერთ რკალად ხდის, ისე რომ ველარ არჩევ ცალცალკეულ მეტნაკლებობას სამკუთხედში. მეფობს სქესი, აი მთავარი“ [გ. რობაქიძე, „ნაწერები“, წიგნი IV, თბ., 2012, გვ. 217].

უნდა აღვნიშნო ერთი ფაქტი. თუ საბჭოთა კრიტიკოსები და მწერლები მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებებს სექსუალური მომენტის წარმოჩენის გამო აკრიტიკებდნენ (მაგალითად, ვ. ნულუკიძე: „განა...ბოლშევიკს უნდა ახასიათებდეს ეროტომანობა, უარყოფა ოჯახისა“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს.623, გვ. 8], ან კიტა აბაშიძე: „მიხ. ჯავახიშვილი „ქალის ტვირთშიაც“ იმეორებს თავის შეცდომებს, რომელნიც სექსუალური მომენტების გადაჭარბებული დასურათებით რომ განისაზღვრება“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს.623, გვ. 8, გვ. 50]), პირადად მე, მისი „ცოფიანის“ კრიტიკა არ შემხვედრია. ცნობილია, რომ „თეთრი საყელოს“ გამო, არაერთი ხევსური განაწყენდა და აღშფოთება გამოთქვა. გ. რობაქიძე „თეთრი საყელოს“ თაობაზე წერდა: „ზღვარგადასული ავხორცობით ტკებებიან, ირღვევა საკრალური დგენა ხევსურთა. ეს შელახვა მათი წმიდა-თანწინდასი გაეგოთ თურმე მთაში. ხევსურები განრისხებულიყვნენ. აქა ერთი ამბავი. კომპარტიის ერთს ყრილობაზე, საცა არამკითხენი ლიტერატურასაც ჰქექავენ ხოლმე, ხევსურიც ყოფილიყო ერთი როგორც „დეკუტატი“. მოეთხოვა სიტყვა ასულიყო სცენაზე და გადმოეძახა ბრაზმორეულს: „ვინაა, ი რაღაც თეთრი საყელო დაუნერავ – მისსავე მელნით შევუსვარო საყელო!“ ამ გადმოძახილით დამდაგავი რეცენზია იწვინა რომანის ავტორმა“ [გ. რობაქიძე, „ნაწერები“, წიგნი IV, თბ., 2012, გვ. 218]. ვფიქრობ, ტრადიციის მოყვარული ხევსურები არც „ცოფიანს“ დატოვებდნენ ურეაქციოდ. როგორც ჩანს, ის ფართო მკითხველისთვის ხელმისაწვდომი არ გამხდარა.

ლიტერატორი ე. გენძეხაძე ამ ნაწარმოებში და-ძმას შორის აღწერილ ინცესტს არეულ-და-რეული დროს აბრალებს. მართალია, გასაბჭოებამ ბევრი სიმახინჯე შემოიტანა, მაგრამ ინცესტმა

საქართველოს ქალაქებშიც ვერ მოიკიდა ფეხი და მთაში როგორღა შეაღწია? სავარაუდოდ, დიდმა მწერალმა ფროიდიზმს გადაუხადა ხარკი. ახლა კი ე. გენძეხაძის კომენტარს გთავაზობთ: „მიხეილ ჯავახიშვილისათვის კარგად იყო ცნობილი მთიანი საქართველო და ამ რეგიონის ხალხის ყოფა და ცხოვრება. „ცოფიანში“ მწერალი ზომიერებით, შეიძლება ითქვას, მოკრძალებით, დელიკატურად-აც კი მოგვითხრობს ხირჩლა ჯიხალაურის ოჯახზე, სადაც, არეულ-დარეული დროის გავლენით, უზნეობას დაუბნელებია ახალგაზრდა და-ძმის გონება.

როგორც ჩანს, მიხეილ ჯავახიშვილს ყური მოუკრავს ან თავად მოსწრებია ინცესტის მსგავს შემთხვევას შატილიონისა და გომბორის მიდამოებში. ეგზოტიკური ბუნებისა და კულტურის რეპრეზენტაციის ბურუსში მოხვედრილან ხირჩლას დედით ობოლი შვილები, საკუთარი მოვალეობის, ტრადიციებისა და უფლებების გაუზიარებლობით ჩაფლულან უზნეობის ჭაობში, რომლიდანაც თავის დახსნა შეუძლებელი გამხდარა.

საბოლოოდ, მამა, უდიდესი მსხვერპლის ფასად, სირცხვილისა და მორალური დეგრადაციის თავიდან ასაცილებლად, „ცოფიანობის“ მომიზეზებით კლავს შვილს, ისე, რომ ვერავინ გეპულობს მკვლელობის ნამდვილ მიზეზს. თავად კი გაუჩინარდება და შემთხვევით შეიტყობენ, რომ თავი მოუკლავს“. ისმის კითხვა: თუ მკვლელობის ნამდვილი მიზეზი ვერავინ გაიგო, მაშინ მ. ჯავახიშვილს როგორღა მოუკრავს ყური, ან თავად როგორ მოსწრებია?

დავუბრუნდეთ „ჯაყოს ხიზნებს“, რომელიც პირველად ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა (1924 წ. №7-8 და 1925 წ. №1). თუ ემიგრანტი მწერალი შალვა ამირეჯიბი ამ რომანის შეფასებისას წერდა: „მასში გამოსჭვივის თვით ავტორის ბედი“ [შ. ამირეჯიბი, „ჯაყოს ხიზნები“, „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, №10, გვ. 2], ანუ დიდ მწერალს თეიმურაზ ხევისთავის პროტოტიპად მიიჩნევდა – ამის მიზეზი მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა არ უნდა ყოფილიყო. ვასაჯაროვებ ერთ ფაქტს მწერლის ცხოვრებიდან, რომელმაც გარკვეულწილად, „ჯაყოს ხიზნებში“ ჰპოვა ასახვა. მწერლის ბინის ფანჯრებიდან ბერიას ბინა კარგად ჩანდა. და, აი ბერიამ და მისმა დაცვამ მწერლის მეუღლე, ქ-ნი ლუბა ჯაჭვაძე დურბინდით ხელში შენიშნეს. რა უნდა ეფიქრათ? ის, რომ ეს ქალბატონი ბერიას უთვალთვალებდა? სიმართლის დადგენა არ გასჭირვებიათ. როგორც აღმოჩნდა, ქ-ნი ლუბა ყორღანოვის ქუჩის (დღევანდელი ქიაჩელის ქუჩა) №8-ში იყურებოდა, სადაც ალანების ოჯახი ცხოვრობდა (სურ.№55 და სურ. №56). (2009 წელს, რეჟისორმა დავით ჯანელიძემ, მ. ჯავახიშვილის რომანის მოტივებზე გადაიღო ფილმი „ჯაყოს ხიზნები“. უცნაური დამთხვევით, ფილმში დიდი ზომის, საკმაოდ თვალშისაცემი დურბინი ფიგურირებს, თუმცა მას არავინ იყენებს).

ერმილე ალანია იმ ბინიდან გამოასახლეს, მისი დის ოჯახი კი დატოვეს. ცნობისათვის, ერმილე ალანიას 1943 წელს, რუსთაველის პროსპექტზე გადასვლისას, სატვირთო ავტომანქანა დაეჯახა (ისევე, როგორც კამოს) და მოკლა.

მე, ნანა ერმილეს ასული ალანია, დავიბადე 1939 წლის 16 ოქტომბერს, ქ.თბილისში. მამა - ერმილე კონსტანტინეს ძე ალანია, დაბადებული 1894 წელს, პროფესიით გეოლოგი, გარდაიცვალა 1943 წელს. დედა - კალინა სტეფანეს ასული დუნდუა, დაბადებული 1901 წელს, გარდაიცვალა 1992 წელს. ჩემი მშობლები 1931 წელს დაქორწინდნენ. პირველი ორი შვილი დაბადებისთანავე დაედუპათ.

მამა არც მახსოვს, იმდენად მცირეწლოვანი ვიყავი, როდესაც ის გარდაიცვალა. დედა ყოველთვის ინახავდა ერთ წერილს, რომელიც მას გათხოვების შემდეგ ქმრის ქაღალდებში აღმოუჩენია. ეს გახლავთ სამ გვერდიანი წერილი, ხელმოწერილი მიხეილ ჯავახიშვილის მიერ. წერილი იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „მოწყალეო ხელმწიფე, ერმალოს კონსტანტინეს ძევ!“ მიხეილ ჯავახიშვილი მამაჩემს სთხოვდა, რომ მას შეეწყვიტა ურთიერთობა მის (ე.ი. მწერლის) ცოლთან. უნდა აღვნიშნო, რომ მამაჩემი იმ პერიოდში უცოლო იყო, ცხოვრობდა დედასთან, დასთან (ანისია კონსტანტინეს ასულ ალანია-ჩიქოვანთან) და დის ოჯახთან ერთად ყორღანოვს ქ.წმ-ში (ამჟამად ქიაჩელის ქუჩა). ამ ბინიდან მამაჩემი დაქორწინების შემდეგ შეუღლესთან ერთად გაასახლეს ჩეკისტებმა ბინის წართმევის მიზნით და შეასახლეს უვარგის ბინაში სულხან-საბას ქ.№7-ში.


ყორღანოვის ქუჩაზე მდებარე ბინის ფანჯრებიდან და აივნებიდან შესანიშნავად ჩანდა მიხეილ ჯავახიშვილის სახლი.

როდესაც დღეაღმდეგ პირველად წაშკივთხა მიხეილ ჯავახიშვილის წერილი, მე ვკითხვო მამიდას: „ნენ რა იცი ამის შესახებ?“ მამიდამ მითხრა: „მამაშენისა და მიხეილის ცოლის რომანის შესახებ ჩვენ ყველამ ვიცოდით. მე პირადად დამინახავს, როგორ იყურებოდა ფანჯრიდან დურბინდით ის ქალი, რომ დაგნახა, მოსული იყო თუ არა სახლში ჩემი ძმა“.

დღეაღმდეგ მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიაში, წიგნების კოსკში. (1955-1975). ქერქინსკის ქუჩაზე მდებარე მეცნიერებათა აკადემიის შენობაში რამდენიმე ინსტიტუტი იყო მოთავსებული. მეცნიერ თანამშრომელ ქალებს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ დედაჩემთან. ერთხელ დედას რამდენიმე ქალისათვის მოუყოლია ამ წერილის შესახებ. ერთ-ერთი მათგანი - ნელი ჯაფარიძე ძალიან დაინტერესებულა და უთხოვია ამ წერილის ჩვენება. დედას არა მხოლოდ უჩვენებია მისთვის ეს წერილი, არამედ დროებით უთხოვებია კიდევ. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ეს ქალბატონი წერილს არ აბრუნებდა, რაზედაც დედა ძალიან წუხდა და არაერთხელ სთხოვა წერილის დაბრუნება. ბოლოს და ბოლოს ნ.ჯაფარიძემ მხოლოდ მე-3 გვერდი დააბრუნა. არ ვიცი, რომელი ინსტიტუტის თანამშრომელი იყო ეს ქალბატონი. ვიცოდი მხოლოდ მისი სახელი და გვარი, რადგან დედა ხშირად, სინანულით იხსენებდა წერილის ფურცლების დაკარგვის ამბავს.

მიხეილ ჯავახიშვილის წერილის მე-3 ხელმოწერილი გვერდი 2001 წლის 3 თებერვალს გადავეცი მკვლევარ მანანა ხომერკის. ეს ფურცელი აღარ მქირდება, რადგან ჩემი მშობლები წარ არიან, პირადად მე კი ამ წერილთან არაფერი მაკავშირებს.

ნანა ალანია



3 თებერვალი, 2001 წ.

ბუნის, ეს მისი მამის, პეტე
მე ყველა ამჟვინი სურვილებს
იძრო ამჟვინს ეს სურვილი იძრო,
რე ამჟვინი ყველაზე იყო ყო-
ველ სურვილს ში მისთვის, ამ
ქვე, ზემო, უბნის ხეობის, ამ
ყველაზე მისთვის სურვილს
ეს სურვილს, ში ყველა იყო
ამჟვინის მისთვის ეს სურვილს.

მე ამჟვინისთვის ეს, რე ამჟვინი
სურვილს მისთვის სურვილს
მისთვის ეს სურვილს სურვილს
მისთვის სურვილს. სურვილს
ეს ზემო ყველაზე, სურვილს
ში მისთვის მისთვის, მე იყო
მისთვის სურვილს სურვილს
სურვილს მისთვის მისთვის,
სურვილს სურვილს - სურვილს
მისთვის ში მისთვის სურვილს.

მისთვის სურვილს, რე ამჟვინი
ში მისთვის სურვილს, ში მისთვის
ეს მისთვის სურვილს.

მისთვის სურვილს

თავი IV. 1930-იანი წლები

IV. 1. მწერალთა კავშირში

მწერალთა კავშირის ისტორიას წლების განმავლობაში რევალუციური კვლევები სწავლობდა. 1980-იან წლებში ის აცხადებდა: „დღეს მწერალთა კავშირს ამომწურავად ჩამოყალიბებული აქვს თავისი მიზნები“, რომელთა შორის მკვლევარი ასახელებდა: „პარტიულ-პრინციპულ კრიტიკას, ბურჟუაზიული შეხედულებების, დოგმატიზმისა და ვულგარიზატორობის წინააღმდეგ ბრძოლას, სოციალისტური რეალიზმის მაღალი პრინციპების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა მეგობრობის დაცვას, განმტკიცება-განვითარებას, ახალი ცვლის მომზადებას, ახალგაზრდა მწერლებისათვის უფროს თაობათა გამოცდილების გადაცემას“. აქვე აღნიშნულია, რომ სანამ მწერალთა კავშირი ასეთ ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდა, მან განვითარების რთული გზა გაიარა [რ. კვერენჩილაძე, „საქართველოს მწერალთა კავშირი“, თბ., 1983, გვ. 3]. ასევე რთული გზა გაიარა თავად რ. კვერენჩილაძემ, სანამ საბოლოოდ დოკუმენტების გამყალბებლად ჩამოყალიბდებოდა, რასაც წინამდებარე ნაშრომიდან კარგად დავინახავთ.

ვახტანგ ხარჩილაძემ გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა წერილების ციკლი „სისხლიანი ქრონიკები“, რაც 1989 წელს წიგნად გამოიცა. მწერლისათვის არქივის თანამშრომელს უთქვამს: „არ გირჩევთ ამ მასალების ნახვას, ადამიანებზე გული გაგიტყდებათ“. პირადად მე მწერალთა კავშირის საქმიანობის ამსახველ ოქმებს, სტენოგრაფიულ ანგარიშებს და სხვ. 1988 წლის მიწურულს გავეცანი. ამ მასალებმა ნათლად დამანახა საბჭოური რეჟიმის მთელი სიმანქანო-რეჟიმისა, რომელმაც შეძლო წაეშალა ზღვარი შეგნებულსა და შეუგნებელს შორის. თურმე, მცდარი და პრიმიტიული ყოფილა მწერლების დაყოფა „კარგებისა“ და „ცუდების“ ბანაკებად. ცხადია, ისინი ერთმანეთისგან თავისი ნიჭით განსხვავდებოდნენ, ალბათ, ყოველ მათგანს თავისი საკუთარი სულიერი სამყარო, საკუთარი მსოფლმხედველობა, მიზნები და მისწრაფებები გააჩნდა, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში, თავიანთი საქციელით, ისინი 1930-იან წლებში, დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სწორედ ეს იყო მათი ცხოვრების ყველაზე დიდი ტრაგედია, რაშიც საბჭოთა რეჟიმის მთელი საშინელებაა გაცხადებული.

ვ. ხარჩილაძე გვაცნობს 1934 წელს გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გამოქვეყნებულ ნიკოლო მიწიშვილის წერილს „ოცდაათიანი წლების მწერლობა“: „ჩვენ დიდ მწერლობაში გადასასვლელ საზღვარზე უნდა დავტოვოთ ბევრი ისეთი რამ, რაც ამ წლებში უდაოა ხელიხელ საგომანებელ მიღწევად მიგვაჩნდა, რაც აღიარებული გვექონდა სანიმუშოდ. აქ საფუძვლიანად უნდა მოხდეს მწერლობის გადაჯგუფება, გადაჯგუფება რაც შეიძლება სწრაფი, რის შედეგად თუ სავსებით მწერლობის რიგებიდან არა, მწერლობის ბრიგადაში მაინც უნდა იქნას გადაყვანილი ბევრი ისეთი მწერალი, რომელიც ტრადიციის, ინერციის, მაღალი ბანის თუ სხვა მიზეზების გამო გავლენას ახდენდა მწერლობის საქმეებზე და ამინდს ქმნიდა ლიტერატურაში. ეს იგივეა, რაც ბალასტის გადაყრა ჰაეროსტატიდან, რათა დაიპყროს მან ახალი სიმაღლე. თუ ეს მსხვერპლი არ იქნა მიტანილი, მწერალი შესძულდება მკითხველს...ეგრეთ ნოდებული არაპროლეტარული და თანამგზავრული მწერლობა ამ წლებში ხვნეშით მიდიოდა სოციალიზმისაკენ, წინ მიდიოდა, მაგრამ უფრო ხშირად უკან იხედებოდა, აქ მას ბევრი თანამგრძობი, ბევრი მკითხველი ჰყავდა...დღეს აღარაა საკამათო, რომ ეს თანამგრძობელი, ეს მკითხველი, ეს შემფასებელი მოკვდა. უდაოა, რომ მწერლისთვის ის არ წარმოადგენს რაიმე დასაყრდენ ბაზას და ის მწერალი, რომელიც ამ კატეგორიის ხალხისათვის მღერას დააპირებს – სიკვდილის გზაზე შესდგება...“ [ვ. ხარჩილაძე, „სისხლიანი ქრონიკები“, თბ., 1989, გვ. 7].

ვ. ხარჩილაძე აღნიშნავს, რომ ამ წერილის გამოქვეყნებიდან სულ სამიოდე წელი გაივლის და

მართლაც ბევრი მწერალი შედგება სიკვდილის გზაზე, „ჰაეროსტატიდანაც ბევრს გადაყრიან ბალასტივით“. მას მოაქვს ფრაგმენტი გრ. მუშიშვილის ვრცელი წერილიდან „გველის პერანგოსანი“: „სიმბოლოზი... კონტრაბანდულად შემოიჭრა ჩვენში. საკმაოდ დახელოვნებული, საქმის მცოდნე და პირდაპირ ვირტუოზი აღმოჩნდა მთავარი კონტრაბანდისტი: მონოპოლისტური კაპიტალიზმის, დამპალი კულტურის, სიმბოლისტ-დეკადენტური ხელოვნების გადმონერგვა მის კონტრაბანდისტულ ოსტატობას, ლიტერატურულ აფერისტობას, თითების ჯიბგირულ მოქნილობასა და ელასტიურობას შესაძლოა მიენეროს უმთავრესად“ [ვ. ხარჩილავა, „სისხლიანი ქრონიკები“, თბ., 1989, გვ. 9].

გრ. მუშიშვილის ზემოთ მოყვანილ ციტატას ეხმიანება დიდი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები „კაპიტალისტების ლიტერატურის“ შესახებ. თავის წერილში „ჩავდგეთ სოციალიზმის მშენებლობის წინა რიგებში“ მ. ჯავახიშვილი აცხადებდა: „უეჭველია, რომ კაპიტალისტების ლიტერატურამ უკვე მოიჭამა თავისი თავი, მას უკვე მწუხრი ეწვია, ჩვენი მწერლობა კი დღით-დღე იზრდება და აღმა მიიწევს. იდეურობის მხრივ ისინი უკვე დაიცალნენ, სტილის მხრივ გაუთავებელი იმეორებენ ერთმანეთს. მათ არც დღევანდელი სიმკვიდრე სწამთ და არც თავიანთი დამპალი ხვალინდელი სჯერათ“ [მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1980, გვ. 439]. **ეს წერილი მ. ჯავახიშვილის თხზულებათა მე-4 ტომში 1980 წელს კი შეიტანეს, მაგრამ 1989, ე. წ. „პერესტროიკის“ გავლენით, ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში არ შეუტანიათ.**

თავის ერთ-ერთ წერილში დიდი მწერალი წერდა: „მწერლობაში სხვა მხრივაც უდიდესი ცვლილება მოხდა. გაქრა შხამიანი დეკადანსი, პირქუში მისტიკა, კულტი ზეკაცური ინდივიდუალიზმის და შორეული ბუმბერაზებისა, გაჩნდა ახალნაირი თემა, სტილიც და მეტყველების ხერხიც. ახლა გმირს თვითონ დღევანდელი გვთავაზობს. იგი ათასობით მოიპოვება კოლმეურნეობაში, ქარხანაში, მალაროში, ყინულეთში, ჰაერში, წყალზედაც და წყალქვეშაც.

გართულდა და გადახალისდა ტექნიკა ლექსის და პროზისა, სისტემა სახისა, ლექსიკა, რიტმი, რითმა და ენის სინტაქსისმაც კი იერი შეიცვალა. კლასიკოსებისაგან ბევრი რამ დაგვრჩა სასესხებელი, მაგრამ **ილია, ვაჟა და აკაკი ცოცხალი რომ ყოფილიყვნენ, იმათაც შეეძლოთ საბჭოთა მწერლისგან ზოგი რამე ესწავლათ.**

უწინდელი გამაღბობელი სტილი კაჟივით გამაგრდა. ახლანდელი ლირიკაც კი გამკვრივდა და ლითონივით აჟღერდა. ოქტომბერმა მაჯისცემაც შეგვიცვალა. უწინ ავტორი თითქო ურმით მიიზღაზნებოდა, ახლა კი ავტომობილით მიჰქრის და იქიდან გვესაუბრება. ჩვენს სულს ურმის მაგიერ მოტორი შეუდგეს, დინამიურობა გაგვიძლიერეს და მწერლობამ ამის გამოც ძლიერ ბევრი მოიგო“ [მ. ჯავახიშვილი, „ხუთმეტი ათჯერ უნდა გამრავლდეს“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, 25 თებერვალი]. **ეს წერილი ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არ არის.**

აი, კიდევ ამონარიდი მისივე სხვა წერილიდან: „ფორმალიზმი ღვიძლი შვილია იმ თეორიისა, რომელიც ამბობს: ხელოვნება ხელოვნებისათვის, ის ამავე დროს მახლობელი ნათესავია და მემკვიდრე დეკადანსის და ფუტურიზმისა. იდეურად იგი მჩატე, ცარიელი, ამორფულია. ყველა ეს მიმართულებანი მომაკვდავი კაპიტალიზმის ლეშზე აღმოცენდა და სწორედ მაშინ, როცა მას კაპიტალიზმის მთლიანი მსოფლმხედველობის ნაცვლად სასონარკვეთილება, უიმედობა და ნიჰილიზმილა შერჩა. იგი ნაძალადევად არის ჩვენ ქვეყანაში გადმოთრეული, ვინაიდან ჩვენებური კაპიტალიზმი იმ დონემდე არ ყოფილა განვითარებული, რომელმაც იგი ევროპაში წარმოშვა“ [მ. ჯავახიშვილი, „ხალხურობა და სისადავე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, №4].

1936 წელს საბჭოთა კავშირის მონახულების შემდეგ, ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი წერდა იმის შესახებ, თუ როგორ ესმოდათ საბჭოთა კავშირში ფორმალიზმი. ფორმალიზმში ადანაშაულებდნენ ხელოვანს, რომელიც ფორმის მიმართ მეტ ინტერესს იჩენდა, ვიდრე შინაარსის მიმართ: «Когда мы прибыли в СССР, там еще не затихли окончательно споры о формализме. Я попытался понять, какой смысл вкладывался в это слово, и выяснил, что в формализме обвинялся художник, проявляющий больший интерес к форме, нежели к содержанию» [А. Жид, «Возвращение из СССР», 1990, с. 551].

1934 წელს მწერალთა კავშირში მოეწყო დისკუსია ქართული სალიტერატურო ენის საკითხების გარშემო. მწერლის არქივში მრავლად ყოფილა შემონახული მასალები ქართული სალიტერატურო ენის შესახებ. „სალიტერატურო გაზეთში“ დაიბეჭდა კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვა. მოგვყავს ამონარიდები მისი წერილიდან: „სავსებით მიუღებელია ჩემის აზრით ამხ. მ. ჯავახიშვილის გეზი... საქართველო მარტო ქართლი არც არასოდეს ყოფილა და ნურც იქნება ნურასოდეს. ქართული ენა ორი ელემენტის შეუღლებამ წარმოშვა. ქართველურ და ლაზურ-მეგრული კილოკავების შედეგებამ. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს“. ქ. ჯავახიშვილი გვამცნობს, რომ მამამისს ამ ადგილას მიუწერია: „შედეგად ხონური კილო მოგვცა“. ბოლოს კი კ. გამსახურდიას „ქართული ენის მწვალებელი“ უწოდა.

აღნიშნულ საკითხებს მ. ჯავახიშვილმა ვრცელი წერილი მიუძღვნა, რომელიც არ დაბეჭდილა და მის არქივს შემორჩა (დაკარგული პირველი ხუთი გვერდის გამოკლებით). იგი დამონმებულია ქ. ჯავახიშვილის ნაშრომში. მომაქვს ამონარიდები: „კ. გამსახურდიას წერილს სულ სხვანაირი სუნი ასდის. ის სწერს: „ქართული ენა ორი ელემენტის შეუღლებამ წარმოშვა: ქართველურ და ლაზურ-მეგრულის შედეგებამ. მეგრულმა ნაკადმა ქართულ ენას დიდი სიკეთე დასდო, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ქვემო-იმერულის კილო ამ შეუღლების კანონიერი შვილია, რომელიც თვითონ გამსახურდიასაც ეხამუშება. ავტორი აცხადებს, ქართული – ომახიანი ვაჟური ენა არისო. ეს ანაბანური სიმართლეა და მეც დამინერია. მაგრამ ამ ვაჟურ ენაში ზოგნი ეგრედ წოდებულ ქალურს – ლაზურ-მეგრულ-ქვემო იმერულს ურევენ და ქართული ენის ბუნებას ამღვრევენ“ [ქ.ჯავახიშვილი, „მიხილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 221-224] (სურ. №57). ქართველურმა ენებმა როგორ უნდა აამღვრიონ ქართული ენის ბუნება? ამ საკითხზე, ალბათ, ენათმეცნიერებმა უნდა გამოთქვან თავიანთი კომპეტენტური აზრი. მე კი მხოლოდ იმ ანაბანურ ჭეშმარიტებას შეგახსენებთ, რომ ქართველურ ენებში შედის ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ენები.

მ. ჯავახიშვილის მიერ ნახსენები „ქვემო იმერულის კილო“ არ არსებობს. ქვემო იმერულს კილო არა აქვს, რამეთუ ის თავად არის ქართული ენის ერთ-ერთი კილო, ანუ დიალექტი. [ნინო შარაშენიძე, „საჩინოური ქართული (ქვემოიმერული კილო ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით)“, თბ., 2008]. ამიტომ, კ. გამსახურდია ვერ იტყოდა იმას, რაც მ. ჯავახიშვილმა თავის ერთ-ერთ გმირს, ზაალ ბარათაშვილს ათქმევინა: „ვიღაც მოთრეულმა მილიციელმა მუხათელი, ფარცხისელი და ბირთვისელი ბიჭები უნდა დაიბრიყვოს?! ნეტა, „ნამდვილი ქართველი“ მაინც ყოფილიყო კუჭატნელი. ეს ვიღაც სეფისკვერაძე იმერეთიდან გადმოსულა, სოფელ კუჭატანში დასახლებულა და ლეკებს ეომება“. თუ XIX საუკუნის პერსონაჟს, ზაალ ბარათაშვილს ქართველების ამგვარი დაცალკეება ეპატიება, გაცილებით საკვირველია მ. ჯავახიშვილის მიერ, XX საუკუნეში, ქართული ჯარის დაყოფა ქართველების და იმერლების ჯარებად, რაც ზემოთ განვიხილეთ.

მწერალთა კავშირის სხდომათა ოქმები ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ იმეტებდნენ მწერლები ერთმანეთს კრიტიკისათვის, რაც ლიტერატურის სფეროს სცილდებოდა და სიცოცხლისათვის სასიფათო ხდებოდა.

1931 წელს მწერალთა კავშირში ჩატარდა ე. წ. „წმენდა“. გარიცხეს მწერალთა დიდი ნაწილი. წმენდა დიდი ხნით ადრე მზადდებოდა. ჯერ კიდევ 1929 წლის ნოემბერში პროლეტარულმა ასოციაციამ თავის პლენუმზე მიიწვია ე.წ. მემარჯვენე მწერლები: მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე და ლეო ქიაჩელი. ქ. ჯავახიშვილი სტენოგრაფიული ჩანაწერიდან გვაცნობს იმ ამონარიდებს, რომლებიც მ. ჯავახიშვილს შეეხება. კ. ლორთქიფანიძეს თავის გამოსვლაში უთქვამს: „ავილოთ ჯავახიშვილის, „დამპატიჟე“, თქვენ კარგად იცით, რომ ეს ნაწარმოები არის რეაქციონური ნაწარმოები, იმითი არის რეაქციონური, რომ იქ არის მოჭორილი და მოგონილი ამბავი. მე კი ვლაპარაკობ, რომ საქმე იმაში კი არ არის, რომ შიგ მოჭორილი ამბავი არის. შესაძლებელია დამპატიჟეში აღწერილი ფაქტი მართლაც მოხდა ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯავახიშვილმა ეს ფაქტი აიღო სრულიად მონყვეტილად თავისი გარემოებიდან, მან არ გაარკვია ფაქტის შინაგანი ბუნება და ის სოციალური პირობები, რომლებმაც წარმოშვა ეს ფაქტი.

თუ ჯავახიშვილი დიალექტიური განვითარების მოცემას შეეცდებოდა, მაშინ ის იტყობდა, რომ თუ დამპატიჟე ტყავს აძრობს გლეხებს, ასეთ შემთხვევაში იჭერენ იმას, ვინც ტყავს აძრობს და სხვა. მაგრამ ჯავახიშვილმა მოახდინა მხოლოდ ფაქტის ფიქსაცია. აილო და ჩასწერა ფაქტი. არ გვიჩვენა ამ ფაქტის წარმომშობი მიზეზები, ამ ფაქტის დიალექტიკური განვითარება და ამიტომ მივიღეთ რეაქციონური ნაწარმოები და ეს მოხდა ამხანაგებო იმიტომ, რომ ამ ფაქტის შინაგანი ბუნება არ იყო ახსნილი მწერლის მიერ. დიალექტიურ პროცესში უნდა იყოს მოცემული სურათი“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 98].

ზემოხსენებულ პლენუმზე მ.ჯავახიშვილიც გამოვიდა ვრცელი სიტყვით (1929 წ. 19/XI), რომელსაც ქ. ჯავახიშვილი იმონებებს. მომყავს რამდენიმე ამონარიდი ამ სიტყვიდან: „მეგობრებო, ჩემთვის უდავოა, რომ ქართულ მწერლობაში უეჭველად ერთგვარი კრიზისი არსებობს... ამასთან დაკავშირებით მაგონდება ნიკოლოზ მინიშვილის ერთი ფრაზა, სადაც ამბობს, რომ ქართველი მწერალი დღევანდელ ხელისუფლებასთან ვერ მოვიდაო... ორიოდე სიტყვა მინიშვილის შესახებ. მე, რასაკვირველია, ჩემი თავის არ მჯერა. ამ ბუნვის ხიდზე გავლა საბიფათოა, არ შემიძლიან, მართალი გითხრათ ეს მოხსენება ისე არის დაწერილი, რომ მე კარგად ვერ გავიგე... მე მისი მოხსენებიდან ერთი ალაგი მაინტერესებს მხოლოდ. მან სთქვა, რომ თანამგზავრი მწერლები საბოლოოდ ვერ დაახლოვდებიან საბჭოთა სისტემასთანაო, მე კი ამ საკითხს სხვანაირად დავაყენებ, არსებობს თუ არა 8 წლის მანძილზე პროცესი იმ დაახლოებისა? მინიშვილი თავს მიქნევს, მაშასადამე გათავდა, საკითხი ამოწურულია. მაშ თუ არსებობს პროცესის ზრდა, უნდა მოხდეს კიდევ პროლეტარული მწერლობასთან თანამგზავრი მწერლების დაახლოება და მათი შეზრდა. მომხსენებელმა დაასახელა რამდენიმე თანამგზავრი. სამწუხაროდ, სამი თანამგზავრი, რომლებიც შორს ვერ წავლენ. ეს საკმარისია იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ ეს შეზრდის პროცესი სწარმოებს ჩვენს თვალწინ... თუ ეს მართალია, მაშინ მართალი არ უნდა იყოს ის ფორმულა, რომელსაც ამხანაგი მინიშვილი იძლევა“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. გვ. 100-103]. სწორედ „თანამგზავრობა“ იქცა ერთ-ერთი ძირითად კრიტერიუმად 1931 წელს, როდესაც მწერალთა რიგების „წმენდას“ ხუთი მწერლისგან შემდგარი ჯგუფი აწარმოებდა. მ. ჯავახიშვილი მწერლების კავშირიდან გარიცხვას აცდა. მის დასაცავად რამდენიმე პარტიულმა მწერალმა ცკ-ში განცხადება შეიტანა და თავი საფრთხეში ჩაიგდო. ამის შესახებ უფრო ვრცლად იქნება მოთხრობილი დანართში „მიხეილ ჯავახიშვილი და იაკინთე ლისაშვილი“. ახლა კი ზედმეტი კომენტარების გარეშე გაცნობთ „წმენდის“ ოთხგვერდიან დოკუმენტს [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 238] (სურ. №58, სურ. №59, სურ. №60, სურ. №61).

აქვე გაცნობთ 1932 წლის ორ დოკუმენტს: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სანდრო ეული და ყოფა-ცხოვრების სექციის გამგე მიხეილ ჯავახიშვილი ფსიქიატრიული კლინიკის დირექტორს, პროფ. მიხეილ ასათიანს პოეტ ტერენტი გრანელის კლინიკაში მიღებას სთხოვენ [უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 8, ან. 1, ს. 298, გვ. 13] (სურ. №62). შემდეგ უკვე მწერალთა კავშირის მდივანი ვალერიან გაფრინდაშვილი და საქმეთა მმართველი ირადიონ ქავჭავაძე, ტერენტი გრანელის დაკრძალვისათვის, განათლების სახალხო კომისარიატს 1500 მანეთის გამოყოფას სთხოვენ [უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 8, ან. 1, ს. 399, გვ. 4] (სურ. №63). ორივე ასლი ხელმოუწერელია.

კ. გამსახურდიას წერილს სულ სხვანაირი სუნი ახდის. ის სწერს: „ქართული ენა ორი ელემენტის შეუღლებამ წარმოშვა: ქართველურ და ლაზურ-მეგრულის შედეგებამ“. მეგრულმა ნაკადმა ქართულ ენას დიდი სიკეთე დასდო, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ქვემო-იმერულის კილო ამ შეუღლების კანონიერი შვილია, რომელიც თვითონ გამსახურდიასაც ეხამუშება.

ავტორი აცხადებს, ქართული ომახიანი ვაჟური ენა არისო. ეს ანბანური სიმართლეა და მეც დამიწერია. მაგრამ ამ ვაჟურ ენაში ზოგნი ეგრედ წოდებულ ქალურს — ლაზურ-მეგრულ-ქვემო იმერულს ურევენ და ქართული ენის ბუნებას ამღვრევენ.

№57. [ქ.ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 224].

მ ე მ ი 15

7-12

მწერალთა ჟურნალის წმენდის კომისიისა 9 მაისი 31 წ.

დაესწრენ: შ. რაფიანი. არ. ჭუმბაძე, სიმ. წვერავა, სიმ. ჩიქოვანი და ღვიძან ტაბიძე.

მავთუქმომარე: შ. რაფიანი.

მეფიანი- ნ. კლდიაშვილი.

მ ი ნ ს მ ი ნ ე ს :

ქ ა ა ქ გ ი ნ ე ს :

1/ მწერალთა ჟურნალის წვერთა გაფაქტრდება და არა ღირსწევრების გამორყვება. გარჩეულ იქნა ჟურნალ. შემადგენლობა

1/ აბაშელი აღ.

ღარჩეს- /ერახმაფ/

2/ აღუქსიძე მარიამ/მარიჯანი/

" - - - - "

3/ აფლამე ილია

ღარჩა 4 ხმა 1 წინააღმდეგი.

4/ ბარნოვი ვასილ

ღარჩა ქუჩახმაფ/

5/ გამსახურდია კონსტ.

გამოირიცხოს /წინააღმდეგა ერახმაფ იქნა მიღებული/

6/ გრიშაშვილი იოსებ

ღარჩეს ქუჩახმაფ/

7/ მარჯანი /ბელოვანი ცუცა/

" - - - - "

8/ გაბაშვილი ეკატერინე

" - - - - "

9/ ვარდოშვილი ხარიტონ

გამოირიცხოს როგორც პასუხი წვერი 4 მიმხრე ერთი მავს იკავებს.

10/ ვარდაგავა იპოლიტე

ღარჩეს /ერახმაფ/

11/ ეკალაძე ია

" - - - - "

12/ ელუჭერიძე ილია

ღარჩეს 4 მიმხრე 1 წინააღმდეგი/

13/ მავაძე სოლომონ

ღარჩეს /ერახმაფ/

14/ ინგოროყვა ჰავლე

გამოირიცხოს /ერახმაფ/

15/ მანაშანი /კინწურაშვილი/

ღარჩეს 4 მიმხრე 1 წინააღმდეგი/

16/ კოჭუჭიშვილი ჭვახვანგ

ღარჩეს /ერახმაფ/

17/ კუშელავა /ბორელი/

" - - - - "

18/ კაკაბაძე პოლიკარპე

" - - - - "

19/ კაცხოველი ნიკო

ირიცხება მექანიკურად ჟურნალისა/

20/ რაჭვალისძე ელისტ.

გამოირიცხოს, როგორც პასუხი წვერი.

21/ გარყული მარიამ

ღარჩეს /ერახმაფ/

22/ რუხაძე ვარლამ	ღარიებს /ერახმაფ/
23/ ფვარ- ნამი /მუბუკა/	✓ გამოირიცხოს როგორც პასუხიწევრი ჟურნ.
24/ მუვიმელი შიო	ღარიებს /ერახმაფ/
25/ მჭედლიშვილი იოსებ	" - - - - "
26/ მგვლაძე სააკ	" - - - - "
27/ ბირიანაშვილი პეტრე	" - - - - "
28/ ნახუცრიშვილი დავით	✓ გამოირიცხოს /3 მონბრე 2 თავი შეიკავა/ /ნაარგმნელი/
29/ ნაკაშიძე ნინო	ღარიებს /ერახმაფ/
30/ სახოკია ლეო	" - - - - "
31/ სონიული ირფიონ	✓ გამოირიცხოს როგორც პასუხი წევრი
32/ საყვარელიძე მიხ.	✓ გამოირიცხოს /ერახმაფ/
33/ ტუქშიშვილი ვასო	ღარიებს /ერახმაფ/
34/ ჯაშელიშვილი სიკო	" - - - - "
35/ ყიზიანი ნინო	" - - - - "
36/ შიჭვაშვილი ნიკო	" - - - - "
37/ მერეშვილი მუშანიშვილისა	" - - - - "
38/ ჭანჭურიშვილი შიო	✓ გამოირიცხოს, როგორც პასუხი. /ერახმაფ/
39/ ჭუმბაძე არისტო	ღარიებს /ერახმაფ/
40/ მუგრელი ლუი	" - - - - "
41/ ანასტასია ერმილავ-ბრჭყალი	" - - - - "
42/ ცქვიტი /სახუჭაშვილი ანნა/	" - - - - "
43/ ჯაჯანაშვილი არ.	✓ გამოირიცხოს როგორც პასუხი /ერახმაფ/
44/ აბრამიშვილი მიხ.	✓ გამოირიცხოს შეუანიკურაფ /ერახმაფ/
45/ მაჭავარიან ივანე	ღარიებს 4 მონბრე 1 თავს იკავებს.
46. გუნია ვალერიან	ღარიებს /ერახმაფ/
47. ჯანაშია სიმონ	✓ გამოირიცხოს შეუანიკურაფ
48/ ყაუხჩიშვილი სიმონ	" - - - - "
49/ შარაშიძე შალვა /თაგუნა/	✓ გამოირიცხოს, როგორც პასუხი და პოდი- ტიკურაფ მიუღებელი /ერახმაფ/
50/ ტაყაშვილი ირაკლი	გამოირიცხოს შეუანიკურაფ
51/ ახვლედიანი დარია	ღარიებს /ერახმაფ/
52/ უგმაძე დიმი	გამოირიცხოს შეუანიკურაფ.

№59. [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 238, ფ. 13].



52/	კლესიონი სერგო	პარჩეს /ერახნაფ/	
53/	აბაშიძე მამიფ	პარჩეს /ერახნაფ/	
54/	ბუჭრაული ივანე	გამორიცხოს / ⁴ ხმა მიხრე 1	ქინააღმეფეტი/
55/	ახაიძე შალვა	პარჩეს /ერახნაფ/	
56/	არსენიშვილი აღი	" - - - - "	
57/	დვითაძე რაფუენ	" - - - - "	
58/	მიწიშვილი ნიკოლოზ	" - - - - "	
59/	ლავილი პაოლო	" - - - - "	
60/	ყიჯიანი ივნი	" - - - - "	
61/	ჯაჭარიძე დედი	გამორიცხოს მეტანიკურაფ/	
62/	ასათიანი დევიან	პარჩეს /ერახნაფ/	
63/	გაჩეჩილაძე დავით	" - - - - "	
64/	გაჩეჩილაძე აკაკი	" - - - - "	
65/	თუნდი ბესარიონ	" - - - - "	
66/	შენგელაია დემნა	" - - - - "	
67/	" - - - " ნიკოლოზ	" - - - - "	
68/	ბეღიაშვილი აკაკი	" - - - - "	
69/	ჩიქოვანი სიმონ	" - - - - "	
70/	ჩაჩავა ნიკოლოზ	" - - - - "	
71/	აბულაძე ბიძინა	გამორიცხოს /ერახნაფ/	
72/	ჟურული ვარლამ	პარჩეს /ერახნაფ/	
73/	ფლიძე სიკო	გამორიცხოს, /რეგორე პასიური წევრი/	
74/	გაბესკირია ვიქტორ	პარჩეს /ერახნაფ/	
75/	ჯავახიშვილი მიხეილ	" - - - - "	
76/	მეგრეველი დევიან	" - - - - "	
77/	ლაქიანი შალვა	" - - - - "	
78/	შანშიაშვილი სანდრო	" - - - - "	
79/	მოსაშვილი იტა	" - - - - "	
80/	ქუთათელი აღ.	" - - - - "	
81/	ქიაჩელი დეი	" - - - - "	
82/	გორგაძე ვასო	" - - - - "	
83/	ჭიჭინაძე კონსტანტინე	" - - - - "	
84/	ქიქოძე გერონტი	გამორიცხოს /ერახნაფ/	

75/ მრევლიშვილი ნინო.	გამორიცხოს 4 მიმხრე 1 თავს იკავებ
86/ კაპანელი კონსტ.	ღარჩეს /ერახმაფ/
97/ ტაყაიშვილი იოსებ	ღარჩეს /ერახმაფ/
98/ კარგულიშვილი /ნარკანი/	" - - - - -"
99/ ბაბილიანი /კარგულიშვილი/	" - - - - -"
90/ მაჭავარიანი ლეონ	" - - - - -"
91/ ტაბიძე გალაქტიონ	" - - - - -"
92/ ცხეხლაძე ვინცო	" - - - - -"
93/ თურქოშვილი ფატიმ	" - - - - -"
94/ ღიორაშვილი ნიკო	" - - - - -"
95/ ქვარციანი სიმონ	/გამორიცხოს, როგორც პასუხი/
96/ ხურიძე ვარლამ	ღარჩეს /ერახმაფ/
97/ ელიაშვილი ივანე	/გამორიცხოს როგორც პასუხი
98/ აბაშიძე კოცო	" - - - - -"
99/ იმედაშვილი იოსებ	✓ გამორიცხოს როგორც პოლიტიკ. მიუღებელი
100/ კიკვაძე თეოდორე	ღარჩეს /3 მიმხრე 2 წინააღმდეგ /
101/ ჯანშიერიძე შალვა	ღარჩეს /ერახმაფ/
102/ ბუბუაშვილი ვერვი	" - - - - -"
103/ შიშქრელი ლეონი	" - - - - -"
104/ რეზინიძე სილიბისტრო	საკითხი წარჩეს დიალ.
105/ კაჭარაძე ნიქე	ღარჩეს /ერახმაფ/
106/ ბაბოჯი პეტრე	" - - - - -"
107/ ჭიჭინაძე ბაქარი	" - - - - -"


107 წარმ. მ. ა. ბაქარი

კომისიის მიერ განხილული სია წარეგონოს მწერალთა ლექსების პრეპრეზენტაციას.


რაც შეეხება პრ. მწერ. ასოციაციის წევრთა გაფარცხნილას იგი გაცხრილული იყო ახლო წარსულში და აგრეთვე უხდაც მუშაობს კომისია მის ხელ ახლად გასაწმენდად.

დავით აღმაშენებელი:  /მ. რაფიანი/
 მდივანი:  /ნ. კლდიაშვილი/

№61. [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 238, ფ. 15].



№63. [უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 8, ან. 1, ს. 298, გვ. 13].



№63. [უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 8, ან. 1, ს. 399, გვ. 4].

IV. 2. მიხეილ ჯავახიშვილი და ცისფერყანწელები

ქ. ჯავახიშვილს მოეუხმინოთ: „თუ როგორ აფასებდა მამა იმდროინდელ, ოციანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებებს, კარგად ჩანს უბის ნიგნაკში გაკეთებული ჩანაწერით. ეს ჩანაწერები „ყანწელებს“, „ფუტურისტებს“ და „პროლეტმწერლებს“ ეხება: „ყანწელები ამბობენ ჩემზე და თითქმის ყველა ამერელ მწერლებზე – სტილი არა აქვთო. ცხადი შეცდომაა ან სიყალბე: ოდნავ თვალსაჩინო მწერალი არ არსებობს, რომ სტილი არა ჰქონდეს, მაგრამ ყანწელებს ან არ ესმით ჩვენი სტილი, ან არ მოსწონთ (უფრო არ ესმით, რადგან **ნამდვილი ქართულისა მათ არაფერი ესმით**). ამიტომ თავიანთ უმეცრებას ჩვენი სტილის უარყოფით მალავენ“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 108].

მ. ჯავახიშვილი და „ცისფერყანწელები“ ბარიკადის ერთ მხარეს მოიაზრებიან, მაგრამ ამ მოსაზრებას საფუძველი ეცლება, როდესაც შემდეგ ფაქტს ეცნობით: 1934 წელს კრიტიკოსმა ვიქტორ გოლცევემა მ. ჯავახიშვილის შემოქმედების შესახებ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა, რომელსაც მწერალმა ბევრი შენიშვნა დაურთო. გოლცევი წერს, რომ „არსენა მარაბდელზე“ მწერალთა შორის არსებობს აზრი, რომლის თანახმად, ის ყველაზე სუსტი ნაწარმოებია ჯავახიშვილის დანარჩენ ნაწარმოებებს შორის. ამაზე მ. ჯავახიშვილს მიუწერია: „ყანწელებსა და მათ დამქაშებში“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 219]. როგორც ამ შენიშვნიდან ჩანს, „ცისფერყანწელები“ და მ. ჯავახიშვილი ერთმანეთის დიდი გულშემატკივრები არ ყოფილან.

ქ. ჯავახიშვილი წერს: „წარმოიდგინეთ, ასეთ გარემოცვაში როგორ უნდა ეცხოვრა და ეშრომა მამას. არქივში შემორჩენილ ძველ გაზეთებს რომ ვათვალიერებ, სადაც ამ კრიტიკოსების გამოსვლებია დაბეჭდილი, გაკვირვებას ვეძლევი, რა საშინელ დროში გვიცხოვრია და მამას საბედისწერო დასასრულიც უთუოდ ლოგიკური დაბოლოება იყო იმისა, რაც მის გარშემო ხდებოდა“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 95]. სრული სიმართლეა, მაგრამ განა ასევე არ იქცეოდა დიდი მწერალი სხვების მიმართ? 1934 წელს, მ. ჯავახიშვილმა სასტიკად გააკრიტიკა ტიცინი ტაბიძე: „ტაბიძის ქართული დაუდევრობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა. მის პროზაში (ლექსებს თავს ვანებებ) ასეთ სიგონჯეს ნაფანყდით: „ჩემზე გადმოდის სამუშაოზე მოდებული ცხელეა“...„მომიხდა დაწოლა“ – „გვიხდებოდა ჩამოხტომა“ (მომიხდა, ე. ი. მარგო ფიზიკურად ან ესთეტიურად)“. მ. ჯავახიშვილს გულმოდგინედ უმუშავია და საკმაო მაგალითები მოუგროვებია. შემდეგ აგრძელებს: „ტ. ტაბიძეს „კი“ და „კიდევ“ ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია... კმარა. ეს ნიმუშები ქართული ენის დაგონჯებისა ტ. ტაბიძის ნარკვევებიდან ამოგკრიფე, ზოგი უნინ დაბეჭდილ მოთხრობებში („ამორძალები“) ვიპოვე. ყველა შეცდომა რომ დამესახელებინა, ეს წერილიც იმ წიგნის ოდენა გამოვიდოდა. **ამგვარი ქართულის ავტორები მშრომელ ხალხს თავიანთ სათქმელს ბევრს ვერაფერს გააგებინებენ, ახალს სოციალისტური კულტურის შექმნას ხელს დიდად ვერ შეუწყობენ**. რა თქმა უნდა უცოდველი არავინ არ არის, მეც შემპარვია შეცდომები. შეცდომის მხილება მხოლოდ გულნამცეცას ეწყინება, თვითკრიტიკის ხანაში ამპარტავნობა და ყოყორობა არავის არ არგებს. დროა ჩვენივე მეოხებით აღრეული ენა ჩვენვე გავაცოცხლოთ და გავასუფთაოთ. პირველი სიტყვა საბჭოთა მწერალს ეკუთვნის“. მინაწერში მწერალი ა. ჭყონიას შენიშვნებს გვაცნობს: „ა. ჭყონია ჩემს „არსენა მარაბდელში“ ორიოდ შეცდომას ასახელებს. (ნამდვილად გაცილებით უფრო მეტი მაქვს), მხოლოდ ერთი შენიშვნა მინდა გავაკეთო. ვსწერ: ჯორჯიაშვილს ახალი ამბებით გამოტენილი ყბა და სულის საფუვარით სავსე გული მიჰქონდა“. ამის გამო, კრიტიკოსი სწერს: „ამბავი ფიზიკურ სხეულს არ წარმოადგენს და, ამიტომ მას არ შეუძლია ყბების გამოტენა, თუ შედარება გადატანითი აზრით არის ნახმარი, უნდა ითქვას ეს ვერაფერი ალეგორიული ხერხია“. უწერიან „მთანმინდა ჩაფიქრებულა...ლამე ჩამონვა... ჭორით გატენილი გუდა... სევდის ბალი“ და სხვა. მთანმინდას ფიქრი არ შეუძლია, ღამე, ჭორი და სევდა ფიზიკური საგნები არ არის. მიუხედავად ამისა, ამგვარი მხატვრული „დაგონჯება“ ფიზიკური ბუნებისა ათასობით არსებობს“ [მიხეილ ჯავახიშვილი, „სალიტერატურო ქართულისათვის“, გაზ. „კომუნისტი“, 1934, 28 აპრილი].

ვფიქრობ, ყველას გვეცნობა „მთანმინდა ჩაფიქრებულა“ აკაკი წერეთლის „განთიადიდან“ და ბესიკის „სევდის ბალი“, მაგრამ მხატვრული „დაგონჯება“ თუ იყო და „ახალი ამბებით გამოტენილ ყბას“ თუ უტოლდებოდა – ეს არ ვიცოდი.

მ. ჯავახიშვილის ამ პუბლიკაციამ ძალიან გაანაწყება ტიცინან ტაბიძის მეგობარი პაოლო იაშვილი, რომელმაც მეორე დღეს კრებაზე განაცხადა: „ჯერ უნდა ვთქვა გუშინდელი ინციდენტის შესახებ. მე ვფიქრობ რომ ამხ. მ. ჯავახიშვილი არ მოიქცა მართებულად, როდესაც ჩვენი გაზეთის ერთი სარდაფი მოანდომა ერთი ჩვენი კარგი ნიჭიერი მწერლის, პოეტის გარჩევას და გამოიტანა ყველა მისი ნაკლი. მე მგონია ყოველი მწერალი მართალი იქნება მაშინ როცა აქ გამოიტანს საკუთარ შეცდომებს... და გამოვდივართ და ვწერთ დიდ ფელეტონებს და ვიძახით, რომ ტ. ტაბიძეს შეცდომები აქვსო, მე კი რამოდენიმე შეცდომა შემეპარაო. / მ. ჯავახიშვილი – როგორ, მათანაბრებთ ენის ცოდნის მხრივ ტ. ტაბიძესთან/“ [უახლესი ისტ, ცენტრ. არქივი, ფონდი 8, ან. 1, ს. 411, ფ. ფ. 33, 34].

მომყავს კიდევ ერთი ამონარიდი. პაოლო იაშვილი: „ჩვენ ვიცით, რომ გაიმარჯვა მ. ჯავახიშვილის რომანმა „არსენა მარაბდეღმა“. ეს ნუ უხარია მას. შეიძლება ეს ჩვენი მწერლობის დაქვეითება იყო. მას რომ დაენერა ნამდვილი რომანი თანამედროვე გმირებით, თანამედროვე ინვენტარით, თანამედროვე შრომის პროცესებით და ამ რომანს გაემარჯვნა, ისე როგორც „არსენა მარაბდეღმა“, მაშინ ვიტყვით, რომ დონე ჩვენი რომანისაც დგას ჩვენი ცხოვრების სიმალლეზე. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ის ენერგია, რომელიც ავტორმა დახარჯა ისტორიულ რომანის წერაზე დაიხარჯოს თანამედროვე რომანზე /ტაში/“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8. ან. 1, ს. 554, გვ. 51]. რადგან „არსენა მარაბდეღი“ ვახსენეთ, ცისფერყანწელების უფროსი თაობის წარმომადგენელი გრიგოლ რობაქიძეც უნდა დავიმონმოთ: „თვითონ რომანი მთლიანად აღებული ასეთი სრულყოფით არაა გარემოცული. თუ წყენის გუნებაზე ხარ, იქ მრავალ უგემურობის დეტალს იხილავ და კიდევ უფრო მრავალ მეტხორცს“ [გ. რობაქიძე, „ნანერები“, წიგნი IV, თბ., 2012, გვ. 219]. გ. რობაქიძე თამარ პაპავასადმი მიწერილ წერილში აკონკრეტებს თავის შენიშვნებს, [გ. რობაქიძე, „ნანერები“, წიგნი IV, თბ., 2012, გვ. 413-414], მაგრამ აქ აღარ დავიმონმებ, რათა ძალიან არ დავშორდე ჩემს ძირითად თემას.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1937 წლის 21 ივნისს, თავისი ხელით დაწერილ განცხადებაში, მ. ჯავახიშვილმა ყველაზე მეტად, პიროვნულად, პაოლო იაშვილი გალანძღა. (ერთი რამ უნდა ითქვას: თუ მ. ჯავახიშვილის ოჯახის წევრები ყველას მხილებას მოითხოვენ, პაოლოსა და ტიცინანის შთამომავლები მწერალთა შორის „დამნაშავეების“ ძიებას არ ცდილობენ).

გ. რობაქიძეს ქ. ჯავახიშვილი ასე ახსიათებს: „გრიგოლს გოროზად ეჭირა თავი. ამაყი გამოხედვა ჰქონდა და ბევრი რამ, ჩვენი ცხოვრებისა არ მოსწონდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაშინ ისეთ მძიმე და რთული დრო იყო ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, რომ თვითონ ჩვენც, ბევრ რამეს აღშფოთებაში მოვყავდით“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 115]. „მამა კი კრიტიკულად უდგებოდა გრიგოლის შემოქმედებას, განსაკუთრებით მის ქართულს...“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 115]. წერილში „რობაქიძის სინტაქსი“ მ. ჯავახიშვილს მოჰყავს გრ. რობაქიძის ფრაზა „სიმართლე უუძნელესი რამ არისო“ და ასეთ კომენტარს უკეთებს „ხშირად ამბობს თვითონაც, მაგრამ მისთვის ვერ მიუღწევია“.

ქ. ჯავახიშვილი ამავე ნაშრომში იხსენებს, თუ როგორი აღშფოთება გამოიწვია მწერლებში გრ. რობაქიძის უცხოეთში დარჩენის ფაქტმა: „1935 წელს გრიგოლ რობაქიძემ მწერალთა კავშირს ბარათი გამოუგზავნა და აცნობა, რომ ის სამუდამოდ რჩებოდა გერმანიაში და საქართველოში აღარ დაბრუნდებოდა. ეს ამბავი მეხივით გავარდა და მწერლებს შორის აღშფოთება და გაკიცხვა გამოიწვია. მისი დარჩენის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობდა. ხალხი ეძებდა გასამართლებელ საბუთს, მაგრამ ვერ მოენახათ.

1935 წლის 19 აპრილს, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა, სადაც სიტყვებით მწერლები გამოვიდნენ და გრიგოლ რობაქიძის ასეთი საქციელი საჯაროდ დაგმეს. მათ ერ-

თობლივი განცხადება დაწერეს. სხდომაზე მამაც გამოიყვანეს სიტყვით. აიძულეს რომ სიტყვა ეთქვა, რადგან კარგად იცოდნენ, რომ გრიგოლი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყო მამასთან. სხვა მწერლებთან შედარებით მან უფრო ლმობიერად აღნიშნა მისი დამსახურების შესახებ ქართულ ლიტერატურაში. აი, მისი მოკლე სიტყვა: „საქმე აგრეც არ არის, როგორც სანდრო შანშიაშვილმა გვიამბო. გრიგოლ რობაქიძეს ქართულ მწერლობაში საპატიო ადგილი ეჭირა. ერთი მხრივ კი მართალია სანდრო, რომ ასეთი განცხადების ფართო გახმაურება გრ. რობაქიძეს საზღვარგარეთ კაპიტალს შეუძენს, ამიტომ ეს საჭიროდ არ მიმაჩნია. ამხანაგების განცხადებას ვუერთდები, ხოლო საჭიროა მოტივაციის გადაკეთება. განცხადებაში ამოღებული უნდა იქნეს დასაწყისი, სადაც ლაპარაკია, რომ ამ განცხადების დაწერა გამოწვეულია გრიგოლ რობაქიძის მიერ გამოგზავნილი ბარათის გამო“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 117]. თუ ქ. ჯავახიშვილი დიდ მწერალს არ ადანაშაულებს იმის გამო, რომ ის თავისი მეგობრის წინააღმდეგ გამოვიდა, მაშინ რატომ განსჯის იმ პირებს, რომლებიც მამამისის წინააღმდეგ გამოვიდნენ? იქნებ, ისინიც აიძულეს, ამაზე თუ უფიქრია? მეგობარი – მეგობრის წინააღმდეგ! აი, როგორ შეაფასა ეს მოვლენა ანდრე ჟიდმა: «Когда партийная газета во Франции хочет того-то дискредитировать по политическим соображениям, подобную грязную работу она поручает врагу этого человека. В СССР – самому близкому другу. И не просят – требуют. Лучший разнос – тот, который подкреплён предательством» [А. Жид, «Возвращение из СССР», М., 1990, с. 576].

IV. 3. მიხეილ ჯავახიშვილის კონფლიქტები კოლეგებთან

მინდა აღვნიშნო, რომ მ. ჯავახიშვილის ცხოვრებაში იყო უსიამოვნო დაპირისპირებები როგორც მწერლებთან, ისე რეჟისორებთან. ქ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს, რომ 1932 წელს მ. ჯავახიშვილი მწერალთა კავშირის ყოფა-ცხოვრების სექტორის გამგედ აირჩიეს. მწერალთა დახურულ განმანაწილებელში ერთხელ ხალიჩები მიუღიათ. მწერლის მეუღლეს მხოლოდ ხელთათმანები ერგო, მაგრამ გავრცელდა ჭორი, თითქოს მ. ჯავახიშვილმა თავისთვის ხალიჩა იყიდა, სხვებს კი არაფერი არგუნა. „მწერალმა სერგო კლდიაშვილმა უკადრისი საქციელი გამოავლინა და მამას შეურაცხყოფა მიაყენა. ამის შემდეგ მამამ გადაწყვიტა ამ საქმიანობისათვის თავი დაენებებინა“ – წერს ქ. ჯავახიშვილი. მწერლის პირველი განცხადება მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა არ დააკმაყოფილა, რის გამოც მეორე განცხადების დაწერა მოუხდა: „სერგო კლდიაშვილმა, თავმეუკავებლობის გამო, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე, შეურაცხყოფა მიაყენა მამას. ამის გამო მამამ განცხადებით მიმართა პრეზიდიუმს და გადაწყვიტა ეს საქმე სამედიატორო სასამართლოში აღედრა“. საბოლოოდ, ს. კლდიაშვილმა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სახელზე დაწერა განცხადება, სადაც ბოდიშს იხდიდა თავისი საქციელის გამო. ქ. ჯავახიშვილი გვამცნობს, რომ მწერალს „ბრძოლა უხდებოდა აგრეთვე თეატრისა და კინოს მუშაკებთან და ამ ბრძოლიდან იგი რატომღაც ყოველთვის დამარცხებული გამოდიოდა. სამაგიეროდ, მისი კოლეგები მოხერხებულად მოქმედებდნენ, რათა მისთვის გვერდი აეველოთ და თავიანთი სურვილისდა მიხედვით მისივე ნაწარმოებები გადაეკეთებინათ. ამის გამო **მამას სხვადასხვა ინსტანციებში ჩივილი უხდებოდა**, რათა თავისი სიმართლე და კუთვნილი უფლებები დაეცვა“. 1933 წელს მ. ჯავახიშვილმა გადაწყვიტა „არსენა მარაბდელი“ ეკრანზე გადაეტანა და კინოსცენარი დაწერა. ფილმი მიხეილ ჭიაურელს უნდა დაედგა. ისინი კინოსცენარზე ერთად მუშაობდნენ, მაგრამ ზოგიერთ პრინციპულ საკითხში ვერ შეთანხმდნენ. კინოსტუდიამ მ. ჯავახიშვილი განზე გარიყა. სცენარზე სამუშაოდ სანდრო შანშიაშვილი მიიწვიეს, რომელმაც ჭიაურელის ნება-სურვილის მიხედვით გადააკეთა ჯავახიშვილის ნაწარმოები. ის ასევე მოქცეულა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე „არსენას“ დადგმის დროს.

სანდრო ახმეტელმა გადაწყვიტა „არსენა მარაბდელი“ თეატრში დაედგა და 1934 წელს ხე-

ლშეკრულება გაუფორმა მ. ჯავახიშვილს, რომელიც პიესაზე მუშაობას შეუდგა. თეატრშიც, პრინციპულ საკითხებში ხელმძღვანელობასთან ვერ შეთანხმდა. „ახმეტელმა ის ჩამოიშორა და პიესაზე სამუშაოდ კვლავ სანდრო შანშიაშვილი მიიწვია“. **მ. ჯავახიშვილმა 1935 წლის 2 მაისს თავის ყოფილ მეგობარს, ს. შანშიაშვილს განათლების სახალხო კომისართან უჩივლა:** „მე გადაჭრით ვაცხადებ, ს. შანშიაშვილს „არსენა მარაბდელიდან“ მრავალი მასალა გამოუყენებია, რომელიც უდავოდ მხოლოდ მე მეკუთვნის. აი საბუთებიც: „1. პიესაში მრავალი მოქმედი პირი ჩემი რომანიდან ნასესხებია“. მ. ჯავახიშვილს 22 კონკრეტული მაგალითი მოჰყავს და ბოლოს აცხადებს: „ვინაიდან შანშიაშვილმა და ახმეტელმა არავითარი ანგარიში არ გამიწიეს, ამიტომ მე იძულებული ვარ გთხოვოთ, პატივცემულო კომისარო, ყოველი ღონე იღონოთ და ჩემი კანონიერი უფლება შემანარჩუნებინოთ. მე, ამ პიესის დადგმის ან დაბეჭდვის უფლებას არ ვიძლევი“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 195-201].

მ. ჯავახიშვილის შვილიშვილმა, რამაზ შიშნიაშვილმა ქ. ჯავახიშვილის წიგნს დაურთო „ბოლოსიტყვაობა“, რომელშიც „მწერლის სათაყვანებელ“ მამულიშვილებს შორის სანდრო ახმეტელი დაასახელა [რ. შიშნიაშვილი, „ბოლოსიტყვაობა“, წიგნში: ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 476]. ეს არის მკითხველის კეთილგანწყობაზე გათვლილი, ე.წ. „მომგებიანი პოზიცია“, მაგრამ რამდენად შეესაბამება იგი სინამდვილეს? მ. ჯავახიშვილის საჩივრიდან არ ჩანს, რომ ს. ახმეტელი მისთვის სათაყვანებელი ყოფილიყო. სანდრო ახმეტელის შთამომავლებს ხომ შეეძლოთ, რეჟისორის დალუპვა მ. ჯავახიშვილის საჩივრისთვის დაებრალებინათ, მაგრამ ცხადია, ისინი ამას არ იკადრებდნენ.

1934 წლის 3 და 5 მარტს მ. ჯავახიშვილმა ვალის დაბრუნებასთან დაკავშირებული გაუგებრობის გამო, ორჯერ დაასმინა თავისი მეგობარი დავით კასრაძე და „მწერალთა ოჯახიდან“ მისი გარიცხვა მოითხოვა: „მე გთხოვთ ეს საკითხი პრეზიდენტს მოახსენოთ, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, შეიძლება თუ არა ასეთი საქმის ჩამდენი ადამიანი ჩვენი ოჯახის წევრად ითვლებოდეს.

3/III-34 მიხეილ ჯავახიშვილი“ (ეს დოკუმენტი ადრეც მაქვს გამოქვეყნებული, ასევე 1992 წელს წარვადგინე სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელ კომიტეტში სათანადო საარქივო ნომრით, მაგრამ ამჟამად, უახლესი ისტორიის არქივში, ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო, ველარ მოიძებნა).

მეორე დღესვე დ. კასრაძეს ახსნა-განმარტება დააწერიეს, მაგრამ ამან არ დააკმაყოფილა მ. ჯავახიშვილი: „მე ამ საქმის ზნეობრივი მხარე მაინტერესებს და განცხადებაც იმისთვის შემოვიტანე, რომ **პრეზიდენტმა გადასჭრას, ჰსურს თუ არა მას ამ საქციელის შემდეგ კასრაძე მწერალთა ოჯახში დასტოვოს.**

5/III-34 მიხ. ჯავახიშვილი“. (ეს დოკუმენტიც მაქვს გამოქვეყნებული, 1992 წელს ისიც წარვადგინე სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელ კომიტეტში სათანადო საარქივო ნომრით, მაგრამ ამჟამად უახლესი ისტორიის არქივში, ისიც ველარ მოიძებნა). მ. ჯავახიშვილმა თავად ვერ გაატარა ცხოვრებაში თავისი საკუთარი „მცნება“: „ისე იცხოვრე, ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი“. მან ხომ შვილისათვის მიცემულ რჩევა-დარიგებებს მკრეხელურად „ჩვენი დროის ათი მცნება“ უწოდა. შვილები სხვა მამებსაც დაურიგებიათ, მაგრამ მამაზეციერისთვის არავის გაუტოლებია თავი. ასე მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორმა, ბასილი პირველმა თავისი შვილისათვის მიცემულ რჩევებს ასე უწოდა: „ბერძენი თვითმპყრობელი ბასილი მაკედონელის დარიგებანი თავის შვილის – ლეონისადმი“, ხოლო ინგლისელმა მწერალმა რადიარდ კიპლინგმა თავისი სულიერი ანდერძი კიდევ უფრო სადად დაასათაურა ერთადერთი სიტყვით – „თუ“. მ. ჯავახიშვილს კი საკუთარი მცნებების გამოგონების ნაცვლად, შვილისათვის სახარებისეული სიბრძნე რომ ჩაენერგა – „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“, შესაძლოა, მისთვის ეს უფრო სასარგებლო ყოფილიყო.

IV. 4. მიხეილ ჯავახიშვილი – სტალინის აპოლოგეტი?

1935 წლის 22 დეკემბერს შედგა მწერალთა კავშირის სამდივნოს სხდომა მწერალთა აქტივთან ერთად. სხდომაზე მ. ჯავახიშვილმა განაცხადა: „ყოველგვარი ნაწარმოების დასაწერად საჭიროა პათოსი, ჩვენს მწერლობას ამხ. სტალინის თემისათვის პათოსი აქვს“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 473]. ამ სხდომას ქ. ჯავახიშვილი თავის მოგონებებში არ ახსენებს.

მ. ჯავახიშვილი ირწმუნებოდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის განსაკუთრებით მაღლიერი თავად უნდა ყოფილიყო [მ. ჯავახიშვილი, „თხუთმეტი ათჯერ უნდა გამრავლდეს“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, №6]. აქებდა ახალ კონსტიტუციას და მის ავტორად სტალინს აცხადებდა: „ახალი კონსტიტუცია ახალი გამომჟღავნებაა მისი ავტორის ამხ. სტალინის გენიალობისა“. [მ. ჯავახიშვილი, „ყველაზე უფრო სრულყოფილი დემოკრატია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, 2 ივლისი] (სურ. №64).

აი, მ. ჯავახიშვილის კიდევ ერთი პუბლიკაცია: „სტალინური კონსტიტუცია დამტკიცდა. ამიერიდან იგი საძირკვლად დაედო ჩვენს ცხოვრებას, რომელიც უფრო მეტად გაიფურჩქნება და შარავანდედით შეიმოსება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება მკვეთრად ასახულია სტალინურ კონსტიტუციაში.

კონსტიტუციის დამტკიცების დღე ყოველწლიურ დღესასწაულად გამოცხადდა. ეს დღე ღრმად ჩაინერა კაცობრიობის ისტორიაში და მას ვერავითარი ძალა ვეღარ ამოშლის.

მიხეილ ჯავახიშვილი

ორდენოსანი მწერალი“ [მ. ჯავახიშვილი, „შარავანდედით შეიმოსება“, გაზ. „მუშა“, 10 დეკემბერი].

კონსტიტუციას მწერალმა უფრო ვრცელი წერილიც მიუძღვნა:

„ოქტომბრის წიგნის ახალი ფურცელი

მიხეილ ჯავახიშვილი

25 ნოემბერს რადიოაპარატის წინ ვიჯექი და ჩვენი საყვარელი ბელადის მოხსენებას სულგანბული ვისმენდი. დიდმა სტალინმა ეხლაც აღმაფრთოვანა თავისი სიღრმით, სისადავით და სინათლით.

კონსტიტუციის ყოველი მუხლი, ერთი მეორეზე უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო მთლიანად იგი და სტალინის მოხსენებაც ახალი ფურცელია ოქტომბრის წიგნისა, რომლის ბადალი ისტორიაში ჯერ არ დაწერილა. ფაშისტურ ქვეყნებში პიროვნება გაითელა, დემოკრატის ნატამალიც კი მოისპო, ხოლო საბჭოთა კავშირში სწორედ ამ დროს იფურჩქნება უფლება შრომისა, განათლებისა, ფარული არჩევნებისა და თანასწორობა ერებისა, სქესებისა. თავისუფლების და ბედნიერების ეს ხარტია სტალინმა შესანიშნავად დაასაბუთა. საბჭოთა კავშირი უძლეველია და მას არც გარეშე მტრისა ეშინიან და არც შინაურისა. ახალი კონსტიტუცია ლახვარით მოხვდა სოციალიზმის მტრებს და ამავე დროს მშრომელი კაცობრიობის გულში და ხელში საბრძოლველ დროშად გაიშალა. ამ დროშის ქვეშ პიროვნება მთელი სიღრმე-სიგანით გაიფურჩქნება და საბოლოოდ განმტკიცდება ის საყოველთაო ბედნიერი ცხოვრება, რომელსაც კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი საუკუნოების მანძილზე მხოლოდ ოცნებაში ზრდიდა.

სტალინმა მძაფრი პასუხი გასცა იმ ბრმა „კრიტიკოსებს“, რომელნიც ირგვლივ უნდობლობას სთესავენ. სკეპტიკოსი უკვე ათასჯერ მოტყუვდა და ეხლაც განზილდება. ჩვენი უსაყვარელესი ბელადის სიტყვა და საქმე ნაღია“ [მ. ჯავახიშვილი, „ოქტომბრის წიგნის ახალი ფურცელი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, 1 დეკემბერი] (სურ. №65).

უკელაზე უფრო სრულყოფილი დემოკრატია

ახალი კონსტიტუცია ახალი გამო-
მჟღავნებაა მისი ავტორის აშხ. სტა-
ლინის გენიალობისა. პირველი კონს-
ტიტუცია „ყველას“ არ ანიჭებდა
სრულ უფლებებს. შეუძლებელიც
იყო სხვანაირად მომხდარიყო. მაგ-
რამ მას შემდეგ უღრმესი სოციალუ-
რი ცვლილება მოხდა და ახალმა
სინამდვილემ ახალი უფლებრივი სა-
ფუძველი წარმოშვა საბჭოთა სოცი-
ალ-სახელმწიფოებრივ წყობილები-
სა. ახალი კონსტიტუცია ამ ცვლი-
ლებებს ახალ ტერმინებშიც კი გამო-
სახავს. ამიერიდან საბჭოთა ინტე-
ლიინცია მუშებს, კოლმეურნეებსა
და წითელ არმიელებს უთანასწორ-
დება უფლებრივად. ეს კონსტიტუც
ია სრულ შესაძლებლობას ანიჭებ
მშრომელ ხალხს სავსებით გაამჟღა-
ნოს თავის შემოქმედებითი ძალები
და თავისობა.

საბჭოთა უკელასო დემოკრატია
მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო
სრულყოფილი იქნება. მაგრამ (ამას
მე დაულალავად ვიმეორებ) ახალი
უფლება ახალ ვალდებულებას გვა
კისრებს. ჩვენ მოვალენი ვართ პარ-
ტიის ნდობა გავამართლოთ და მის
ირველი უწინდით უფრო მჭიდ-
როთ შევჯგუფდეთ, რათა ლენინ-
სტალინის პარტიის ახალი ბრძნული
აქტი სავსებით განვახორციელოთ.

მიხეილ ჯავახიშვილი

„ოქტომბრის წიგნის ახალი ფურცელი“ მიხეილ ჯავახიშვილი

25 ნოემბერს რადიოაპარატის წინ ვიჯექი და ჩვენი საყვარელი ბელადის მოხსენებას სულგანაბული ვისმენდი. დიდმა სტალინმა ეხლაც აღმაფრთოვანა თავის სიღრმით, სისადავით და სინათლით.

კონსტიტუციის ყოველი მუხლი ერთი მეორეზე უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო მთლიანად იგი და სტალინის მოხსენებაც ახალი ფურცელია ოქტომბრის წიგნისა, რომლის ბადალი ისტორიაში ჯერ არ დაწერილა.

ფაშისტურ ქვეყნებში პიროვნება გაითელა, დემოკრატიის ნატამალიც კა მოისპო, ხოლო საბჭოთა კავშირში სწორედ ამ დროს იფურჩქნება უფლება შრომისა, განათლებისა, ფარული არჩევნებისა და თანასწორობა ერებისა, სქესებისა. თავისუფლების და ბედნიერების ეს ხარტია სტალინმა შესანიშნავად დაასაბუთა.

საბჭოთა კავშირი უძლეველია და მას არც გარეშე მტრისა ეშინიან და არც შინაურისა. ახალი კონსტიტუცია ლახვარით მოხვდა სოციალიზმის მტრებს და ამავე დროს მშრომელი კაცობრიობის გულში და ხელში საბრძოლველ დროშად გაიშალა. ამ დროშის ქვეშ პიროვნება მთელი სიღრმე-სიგანით გაიფურჩქნება და საბოლოოდ განმტკიცდება ის საყოველთაო ბედნიერი ცხოვრება, რომელსაც კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი საუკუნოების მანძილზე მხოლოდ ოცნებაში ზრდიდა.

სტალინმა მძაფრი პასუხი გასცა იმ ბრმა „კრიტიკოსებს“ რომელნიც ირგვლივ უნდობლობას სთესავენ. სკეპტიკოსი უკვე ათასჯერ მოტყუვდა და ეხლაც გაწბილდება. ჩვენი უსაყვარლესი ბიოადის სიტყვა საჭმე ხალდია.

№65. [მ. ჯავახიშვილი, „ოქტომბრის წიგნის ახალი ფურცელი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, 1 დეკემბერი].

IV. 5. მიხეილ ჯავახიშვილი ხელისუფლების მიერ შერისხულთა წინააღმდეგ

მ. ჯავახიშვილის შესახებ დაიწერა, რომ იგი ბილნთან ზავს არ ჰკრავდა. სამწუხაროდ, დიდი ნიჭის მიუხედავად, მ. ჯავახიშვილი თავის გამოსვლებით არ განსხვავდებოდა პარტიული მწერლებისაგან. ამისი მაგალითები საკმაოა.

დიდი მწერალი მკაცრად მოითხოვდა ხელისუფლების მიერ შერისხული ადამიანების სიკვდილით დასჯას. ისინი დიდი მწერლები არ იყვნენ, მაგრამ სიკვდილის წინაშე ხომ ყველა თანასწორია. არავის აქვს უფლება ადამიანს ღმერთისაგან ბოძებული სიცოცხლე წაართვას. ასეა ნაბრძანები „ათ მცნებაში“, რომელსაც ვერავითარი „ჩვენი დროის ათი მცნება“ ვერ შეცვლის.

1936 წლის 27 აგვისტოს გამოქვეყნდა ლ. ბერიას მოხსენება „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“. იმავე გაზეთში დაიბეჭდა მ. ჯავახიშვილის წერილი „შესრულდა ნება ხალხის“, რომელშიც ხალხს ბელადების მტრების დახოცვისაკენ მოუწოდებდა: „მე არ მახსოვს ტროცკი-ზინოვიევის ჯგუფზე უფრო მძაფრი და უფრო აღმაშფოთებელი მაგალითი ორპირობისა და ვერაგობისა. ისინი „მუცელზე ხოხვით“ შევიდნენ ხელახლა პარტიაში, რათა შიგნიდან დაერღვიათ იგი და ბელადების დახოცვით მიეღწიათ თავიანთი ბნელი მიზნებისათვის, რომელიც ისევე ჭუჭყიანია და წვრილფლევხა, როგორც მისი ავტორები. არავითარი იდეა, არავითარი პროგრამა, გარდა პირადული ცუდმედიდობისა – განა ამაზე უფრო მეტად დაკნინება შეიძლება? გამეტება უდიდესი ადამიანის სტალინისა და მისი მახლობელი თანამშრომლებისა. – განა ამაზე უფრო საზიზღარი მზაკვრობა კიდევ წარმოსადგენია? ეს ბანდა ნაძირალ ავაზაკებად იქცა და თავის ხვედრი დაიმსახურა. **ვინც ჩვენი სტალინი არ დაინდო, თვითონ ისიც არ არის დასანდობელი. ხალხის რისხვა განუზომელია და შესრულდეს ნება მისი**“ [მ. ჯავახიშვილი, „შესრულდა ნება ხალხისა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, 27 აგვისტო] (სურ. №66).

დიდი მწერლის სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა და დიდ ზემოქმედებას ახდენდა ხალხზე. შემდეგ ის იტყვის: „მე ძალიან კარგად მესმის, რომ ჩემი გესლიანი ნათქვამი ჩემი პოპულარობის მეოხებით სწრაფად გაჟონავს ხოლმე ხალხში და ავ თესლსა თესავს“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 533]. მართალია, „გესლიან ნათქვამში“ ის ამჯერად, ანტისაბჭოურ გამონათქვამებს გულისხმობდა, მაგრამ რეჟიმის მხარდასაჭერი პუბლიკაციებიც ხომ ახდენდა ხალხზე ზემოქმედებას.

1936 წლის 16 ოქტომბერს შედგა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა აქტივთან ერთად. მოისმინეს: მალაქია ტოროშელიძის მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შესახებ. სიტყვით გამოსულმა **მ. ჯავახიშვილმა თქვა: „მ. ტოროშელიძის ორგულობის ამბავი ისე მოულოდნელი იყო, როგორც მონმენდილ ციდან მეხის ჩამოვარდნა**. საშინელი უმადურობაა ტოროშელიძის მხრივ. ბევრი საპატიო საქმე ჰქონდა მას დაკისრებული. როგორც ტროცკისტ-ზინოვიელთა გაერთიანებული კომიტეტის პროცესმა გამოარკვია მას კავშირი ჰქონდა მათთან. მართლაც საკვირველი ამბავია ის შემთხვევა, გ. ქიქოძის მანდატი რომ პ. ქიქოძეს გადასცა. როგორც ეს და სხვა ფაქტები ამტკიცებენ **მ. ტოროშელიძე საშინელ მოლალატურ მუშაობას აწარმოებდა**. ჩვენ მხარს ვუჭერთ შემოტანილ წინადადებას და **მოვითხოვთ მისი მწერალთა კავშირიდან გარიცხვას**“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 530, გვ. გვ15, 16].

მ. ჯავახიშვილი და მალაქია ტოროშელიძე ერთად სწავლობდნენ პარიზში. იყო დრო, როდესაც მ. ჯავახიშვილმა იგი მედიატორადაც კი დაასახელა, რადგან გადანწყვიტა სამედიატორო სასამართლოსათვის გადაეცა განსახილველად სერგო კლდიაშვილის მიერ შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, ხოლო „პრეზიდიუმმა ამის გამო დამაკმაყოფილებელი მსჯავრი არ გამოიტანა“ – წერდა აღშფოთებული მ. ჯავახიშვილი 1933 წლის 4 აპრილს.

კარგი იქნებოდა, მოგონებებში ქ. ჯავახიშვილს მოეთხრო მკითხველისათვის, რომ მ. ჯავახიშვილმა მოლალატედ გამოაცხადა თავისი ყოფილი „მედიატორი“. საინტერესოა, რას გრძნობდა, რას ფიქრობდა დიდი მწერალი იმ დროს, როდესაც თანამოდმეთა სისხლს მოითხოვდა? რა გზით, რა საშუალებით აიძულებდნენ ეწერა მსგავსი წერილები? ამ კითხვებზე ყველაზე უკეთ მისი ქალიშვი-

ლი შეძლებდა პასუხის გაცემას, მაგრამ მან ამ საკითხს გვერდი აუარა. იმის მიუხედავად, რომ მ. ჯავახიშვილი ათობით ადამიანის სიკვდილს მოითხოვდა, თავისი შვილიშვილი რამაზ შიშნიაშვილი „მეოცე საუკუნის უდიდეს ჰუმანისტს“ უწოდებს მას.

მ. ჯავახიშვილი ბუდუ მდივნისა და მისი გუნდის წინააღმდეგაც გამოვიდა კრებაზე სიტყვით: „კრება ერთსულოვნად მოითხოვდა გაცამტვერებულ იქნას ტროცკისტ-ზინოვიელთა ქართველი ნაძირალები, ეს ჯაშუშების და მოლაღატეების ბანდა ბ. მდივნის მეთაურობით. ამ კრებაზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის მდივანმა ამხ. დ. დემეტრაძემ, მგზნებარე, **ამაღელვებელი სიტყვებით გამოვიდნენ მის. ჯავახიშვილი...**“ [„გაუგონარი ბოროტმოქმედების ორგანიზატორები“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 30 იანვარი]. **ეს საგაზეთო წერილი ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში გამოტოვებულია.**

მართალია, ბ. მდივანი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც რუს ბოლშევიკებს საქართველოს ანექსიის განხორციელებაში ეხმარებოდა, მაგრამ ახლა მას ამისთვის არ სჯიდნენ. პირიქით, შეიტყვეს, რომ იგი ნელ-ნელა ხვდებოდა თავის ნამდვილ დანაშაულს და სწორედ ეს არ აპატიეს. გარდა ამისა, ამოხოცეს მისი უდანაშაულო ვაჟები.

1937 წლის 29 იანვარს მწერალთა სასახლეში შეკრებილმა მწერლებმა ფეხზე ადგომით, მქუხარე ტაშით, ერთხმად მიიღეს მიმართვა ბერიასადმი, რომელიც 30 იანვარს გამოქვეყნდა:

„საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი

... პროცესის მასალებიდან ჩვენ გავიგეთ, რომ ხალხის მტრებისა და ჯალათების ამ გარეწართა ხროვაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ქართველ ნაძირალებსაც – ხალხის მოსისხლე მტრისა და გაუსწორებელი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტის ბუდუ მდივნის მეთაურობით.

ჩვენ მოვითხოვთ, აღიგავოს პირისაგან დედამიწისა ჩვენი სამშობლოს მოლაღატეთა ბანდის ყოველი მონაწილე.

წყევლა და ზიზლი მათს სისხლით შესვრილ სახელს!

გაუმარჯოს სოციალიზმის ძლევა მოსილებების ორგანიზატორს, ხალხთა უსაყვარლეს ბელადს და მასწავლებელს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს გამობრძმედილ სტალინელს ქართველი ხალხის სახელოვან ხელმძღვანელს ამხ. ლავრენტი ბერიას!“ [გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 30 იანვარი].

ამ მიმართვაში უკვე გამოჩნდა მწერლების, მათ შორის მ. ჯავახიშვილის, მოთხოვნა: „აღიგავოს პირისაგან დედამიწისა“. იმავე 1937 წლის ზაფხულში ეს მოთხოვნა მ. ჯავახიშვილის მისამართითაც გაიჟღერებს და სამარცხვინო ლაქად დარჩება მწერალთა კავშირის ისტორიაში. იქამდე კი...

დიდმა მწერალმა მხარი დაუჭირა ბერიასადმი მიმართვას, რომელიც შეიცავს ადამიანების „პირისაგან დედამიწისა აღგვის“ მოთხოვნას. ეს გამოთქმა, აშკარად, ბიბლიიდან არის აღებული და წარმოადგენს პერიფრაზს უფლის სიტყვებისა, წარღვნის წინ რომ ბრძანა – მიწის პირისაგან აღგვი ადამიანს, რომელიც შევქმენიო.

განა, მწერლების „შექმნილი“ იყვნენ ის ადამიანები, ვის აღგვასაც ითხოვდნენ? რატომ გაუტოლეს თავი მამაზეციერს? გაზეთში გამოქვეყნდა მ. ჯავახიშვილის სიტყვა:

„სიკვდილი მუხანათურ მტერს!

კამენევ-ზინოვიევის პროცესმა გამოააშკარავა, რომ პიატაკოვს, რადეკს, სოკოლნიკოვს და ძმათა მათთა კავშირი ჰქონდათ ამ ვერაგებთან, ეხლა კი აღმოჩნდა, რომ მათი ბოროტმოქმედება უფრო შემზარავია, ვიდრე წარმოდგენილი გვქონდა პირველ პროცესზე გამორკვეული ფაქტების მიხედვით.

რადეკ-პიატაკოვის პროცესმა დაგვიმტკიცა, რომ ამ ავაზაკთა მორალური გახრწნა და პოლიტიკური არამზადობა უძირო ყოფილა. დამარცხების გამო გაბრაზებული ავანტიურისტის ტროცკის ამ სისხლიანმა ბანდამ არა თუ სინდისი, გონიერების მინიმუმიც კი დაჰკარგეს. უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენს მოსისხლე მტრებს მიჰყიდეს. მათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაც კი მიუზომეს მტერს.

ეს დამპალი ხალხი მტერს ყოველგვარ საიდუმლო ცნობას უგზავნიდა, მავნებლობდა, მალაროებს ანგრევდა, უდანაშაულო მუშებსა და წითელარმიელებს ხოცავდა, კაპიტალიზმის აღდგენას ამზადებდა და **ჩვენს საყვარელ ბელადებს მოკვლას ემუქრებოდა.**

ამ ვერაგებმა კარგად იცოდნენ, რომ ჩვენი ხალხი მათ არ გაჰყვებოდა, ამიტომ მთელ იმედებს უცხოელთა ხიშტებზე ამყარებდნენ. ომი და ჩვენი დამარცხება მათი უკანასკნელი იმედი იყო. ამ მზაკვრებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ დამარცხებული საბჭოთა კავშირი იმპერიალისტიების კოლონიად გადაიქცეოდა, მაგრამ ისინი მზად იყვნენ არავითარი მსხვერპლი არ დაემურათ, ოღონდ თავიანთი მურდული წყურვილი დაეხშოთ – ძალაუფლება ეგდოთ ხელთ, სოციალიზმი მოესპოთ და კერძო საკუთრება აღედგინათ. მათ ისიც იცოდნენ, რომ კერძო საკუთრების აღდგენა ნამდვილი მონობის აღდგენას გვიქადის. მთელ ჩვენს ინდუსტრიას კონცესიონერები წაიღებდნენ. საკმარისია უცხოელებმა რამდენიმე ბანკი გახსნან, რომ რამდენიმე წელიწადში მთელი ჩვენი მიწაწყალი დაისაკუთრონ და ყველანი მონებად გვაქციონ. ეს იმდენად ცხადია, რომ ამას ბალლიც კი გაიგებს. ვინც **ჩვენ და ჩვენი კერა, ჩვენი დიადი ცხოვრება და ჩვენი მომავალი არ დაინდო, ის არც ჩვენი მხრით არის დასაწოდარი. სიკვდილი მუხანათურ მტერს!**

მ. ჯავახიშვილი“ [მ. ჯავახიშვილი, „სიკვდილი მუხანათურ მტერს“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 30 იანვარი] (სურ.№68).

თანდათან სულ უფრო აქტიუალური ხდებოდა „აღგვა პირისაგან დედამინისა“. 1937 წლის 10 თებერვალს ქვეყნდება დ. დემეტრაძის სიტყვა „სტალინური კონსტიტუციის დროში წინ ახალი გამარჯვებებისაკენ“, რომელშიც ნათქვამია: „... უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ჩვენი მწერლობა საბჭოთა სასამართლოს განაჩენს კონტრრევოლუციური ტროცკისტების, ფაშიზმის ამ პირისხლიანი ძალების, სამშობლოს მოღალატეების, დივერსანტების მიმართ. არა აქვს საზღვარი საბჭოთა მწერლების აღმფოთებას კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ქართველი ნაბოლარების ბ. მდივანის, მ. ოკუჯავას, ს. ქავთარაძის. მ. ტოროშელიძის, პ. აღნიაშვილის, ვ. ჯიქიას, ნ. კიკნაძის, ხ. ჩიხლაძის და სხვა ტროცკისტულ ბანდიტების გამცემლურ, ვერაგულ მოქმედებათა გამო.

ჩვენი ერთსულოვანი მოთხოვნაა ამ ჯაშუშების, **ხალხის მტრების აღგვა პირისაგან დედამინისა...**“ [გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 10 თებერვალი].

მწერლები უკვე იწყებდნენ ჩადგომას გასანადგურებელთა რიგში. სულ რამდენიმე თვის შემდეგ დ. დემეტრაძესაც შეუბრალებლად აღგვიან პირისაგან დედამინისა. 10 თებერვალს კი, მის სიტყვასთან ერთად ქვეყნდება „საქართველოს საბჭოთა მწერლების მისალმება ამხანაგ ეჟოვისადმი“, სადაც მწერლები თავიანთ და მთელი საბჭოთა ხალხის ჯალათს მადლობას უხდებიან ფხიზელი და-რაჯობისათვის:

„... საქართველოს საბჭოთა მწერლობა, გამოსთქვამს რა უღრმეს მადლობას რევოლუციის ფხიზელი დარაჯისადმი, ღრმად არის დარწმუნებული, რომ სახელმწიფო უშიშროების გამობრძმედილი ორგანოები და საბჭოთა სასამართლო ასეთივე დაუნდობლობით გაუსწორდებიან მემარჯვენე თვალთმაქც მოღალატეებს – ბუხარინს, რიკოვს, უგლანოვს და სხვა მათ მსგავს გარენებს...


საქართველოს მთელს მშრომელ ხალხთან ერთად ქართველი საბჭოთა მწერლობა მოითხოვს, რომ საკადრისი სასჯელი მიეზღოთ კონტრრევოლუციური ტროცკისტული ბანდის უმსგავსო ნაბოლარებს, ქართველ ტროცკისტებს – ბ. მდივანს, პ. აღნიაშვილს, მ. ტოროშელიძეს, ვ. ჯიქიას, მ. ოკუჯავას, ლ. ლოღობერიძეს, ს. ქავთარაძეს და სხვებს...

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის უშიშროების ბურჯს – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მის სახელოვან ხელმძღვანელს ამხ. ეჟოვს!“ [გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 10 თებერვალი].

შეგახსენებთ ერთ-ერთ თავს გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „ჩაკლული სული“, რომელიც ასეა დასათაურებული: „ყველა საზღვრის წაშლა“. მთავარი გმირი, უპარტიო ლიტერატორი თამაზი საქართველოს გასაბჭოების დღეს სიტყვით გამოდის „ზეიმზე“. თანდათან ექსტაზში შეიჭრება და მსოფლიოს განახლებისათვის „სისხლის გამოშვებასაც“ კი ჩათვლის საჭიროდ. მის გამოსვლას

გაზეთები გადმობეჭდავენ. „ზოგი ადგილი უფრო გაემკვეთრებინათ. კორესპონდენტს სიტყვა-სიტყვით გაეგო მისი ნათქვამი „სისხლის გამოშვება“. გპუ-ს არ უყვარს მეტაფორები“. ამის შემდეგ თამაზს თავისი პატარა მეგობარი, 12 წლის ბიძინა აღარ მიესალმა. „ახლა ცხადი გახდა თამაზისათვის: ბიჭის სახლში იღებენ გაზეთს, ბიძინამ, რომლის მამაც ორი კვირის წინ სიკვდილით დასაჯეს, ჩანს, რომ თამაზის სიტყვა ნაიკითხა, „სისხლის გამოშვება“ ლახვარივით მოხვდებოდა მის გულს. ახლა თვითონ თამაზს ჩაუდგა ცრემლი თვალებში. ბიჭს რომ სცოდნოდა, რა ტკივილი გუბდებოდა თამაზის მკერდში! ვინ მიხვდებოდა ამ ტკივილს? ბიჭიც კი ვერა. თამაზი სიცოცხლეს ნყევლიდა“.

ნუთუ, მიხეილ ჯავახიშვილს თამაზის მსგავსად არ განუცდია? აი, ამის შესახებ უნდა მოეთხროთ მის ქალიშვილებს!



№66. [მ. ჯავახიშვილი, „შესრულდა ნება ხალხისა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, 27 აგვისტო].

სიკვდილი მუხანათურ მტერს!

კაპენევი - ზინოვიევის პროცესმა გამოააშკარავა, რომ პიატაკოვს, რადეკს, სოკოლნიკოვს და ძმათა მათთა კავშირი ჰქონდათ ამ ვერაგებთან, ესლა კი აღმოჩნდა, რომ მათი ბოროტმოქმედება უფრო შემზარავია, ვიდრე წარმოდგენილი გვექონდა პირველ პროცესზე გამორკვეული ფაქტების მიხედვით.

რადეკ - პიატაკოვის პროცესმა დაგვიმტკიცა, რომ ამ ავაზაკთა მორალური გახრწნა და პოლიტიკური არამზადობა უძირო ყოფილა. დამარცხების გამო გაბრაზებული ავანტიურისტის ტროცკის ამ სისხლიანმა ბანდამ არა თუ სინდისი, გონიერების მინიმუმიც კი დაჰკარგეს. უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენს მოსისხლე მტრებს მიჰყიდეს. მათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაც კი მიუზომეს მტერს. ეს დამპალი ხალხი მტერს ყოველგვარ საიდუმლო ცნობას უგზავნიდა, მავნებლობდა. მალაროებს ანგრეედა, უდანაშაულო მუშებსა და წითელარმიელებს ხოცავდა. კაპიტალიზმის აღდგენას ამზადებდა და ჩვენს საყვარელ ბელადებს მოკვლას ემუქრებოდა.

ამ ვერაგებმა კარგად იცოდნენ, რომ ჩვენი ხალხი მათ არ გაჰყე-

ბოდა, ამიტომ მთელ იმედებს უცხოელთა ხიშტებზე ამყარებდნენ, რომ და ჩვენი დამარცხება. მათი უკანსკნელი იმედი იყო. ამ მზაკვრებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ დამარცხებული საბჭოთა კავშირი იმპერიალისტების კოლონიად გადაიქცეოდა, მაგრამ ისინი მზად იყვნენ არავეითარი მსხვერპლი არ დაეშურათ, ოღონდ თავიანთი ძურღალი წყურვილი დაეხშოთ — ძალაუფლება ეგდოთ ხელთ, სოციალიზმი მოესპოთ და კერძო საკუთრება აღედგინათ. მათ ისიც იცოდნენ, რომ კერძო საკუთრების აღდგენა ნაძღვილი ზონობის აღდგენას გვიქადის. მთელ ჩვენს ინდუსტრიას კონცესიონერები წაიღებდნენ. საკმარისია უცხოელებმა რამდენიმე ბანკი გახსნან, რომ რამდენიმე წელიწადში მთელი ჩვენი მიწაწყალი დაისაკუთრონ და ყველანი მონებად გვაქციონ. ეს იმდენად ცხადია, რომ ამას ბალღიც კი გაიგებს.

ვინც ჩვენ და ჩვენი კერა, ჩვენი დიადი ცხოვრება და ჩვენი მომავალი არ დაინდო, ის არც ჩვენი მხრით არის დასანდობარი.

სიკვდილი მუხანათურ მტერს!

მ. ჯავახიშვილი.

IV. 6. მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის გადარჩენის დათარიღებისათვის

ლავრენტი ბერიას მეტეხის ეკლესიის დანგრევა ჰქონდა გადანყვეტილი, მაგრამ მხატვარ დიმიტრი შევარდნაძისა და მის თანამოაზრეთა თავგანწირვამ ტაძარი გადაარჩინა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეს 1937 წელს მოხდა.

გერონტი ქიქოძე თავის „თანამედროვის ჩანაწერებში“ („მნათობი“, 1989, №1) იხსენებს, რომ 1937 წელს, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, ბერიამ განიზრახა სამხატვრო გალერეის შენობა აეგო მეტეხის ციხის გალავანში და იქვე რუსთაველის ძეგლი დაედგა. პროექტი თავისთავად ცუდი არ იყო, მაგრამ მისი განხორციელება მეტეხის ეკლესიის დანგრევას საჭიროებდა. ეს კი, აუნაზღაურებელი დანაკარგი იქნებოდა. ბერიასა და ცენტრალური კომიტეტის ამ გადანყვეტილებას ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია დიმიტრი შევარდნაძემ. „მან თავი მოუყარა სპეციალისტების და საზოგადო მოღვაწეების ჯგუფს და ბერიასთან წაიყვანა მოსალაპარაკებლად... დისკუსიის შემდეგ ბერიას თავის კაბინეტში მარტოდ-მარტო დაეტოვებინა შევარდნაძე და მისთვის წინადადება მიეცა, მეტეხის ტაძრის დანგრევა პირადად თქვენ იკისრეთ და სამაგიეროდ მომავალი მუზეუმის დირექტორად დაგნიშნავთო. შევარდნაძეს ეპასუხნა, ეს ჩემი სინდისის სანაღმდეგო საქმე იქნებაო. სინდისისადმი აპელაცია ყველაზე ცუდი გამოსავალი იყო ბერიას თვალში და დიმიტრი შევარდნაძე ორიოდე კვირის შემდეგ დატუსაღებულ იქნა“.

დიმიტრი შევარდნაძის მიერ შედგენილი ჯგუფის წევრებიდან, გერონტი ქიქოძე კონკრეტულად მხოლოდ პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილს ასახელებს. მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწევია ბერიასათვის.

სანდრო ახმეტელის ჩვენებაში მეტეხის თაობაზე ნათქვამია: „ბერიას წინადადებით გადანყდა წმ. შუშანიკის ეკლესიის დანგრევა მეტეხში, ამ ადგილზე შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმის მიზნით. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა მთავრობის ყველა წევრმა, მათ რიცხვში მგალობლიშვილ-მაც. ერთხელ, ჩემთვის მოულოდნელად თეატრში მგალობლიშვილის მანქანით მოვიდა შევარდნაძე და მომმართა თხოვნით, დაუყოვნებლივ გავყოლოდი, როგორც დელეგაციის წევრი, წმ. შუშანიკის ეკლესიის დანგვეისაგან გადასარჩენად და ბერიასთან წამიყვანა. ამ დელეგაციაში მე ჩამართო გერმანე მგალობლიშვილმა და, ჩემს გარდა, მასში შედიოდნენ პროფესორი ჩუბინაშვილი, დ. შევარდნაძე და განათლების სახ. კომისარიატის მუშაკი ლლონტი“ (სუკ-ის არქივი, საქმე №9997, ფ. 143). ამ ჩვენებაში არავითარი დასმენა არ იყო, რადგან ჩეკასთვის ბერიასთან მისული დელეგაციის შემადგენლობა ისედაც ცნობილი იქნებოდა. ბერიას კაბინეტში, გერმანე მგალობლიშვილს ეკლესიის დანგრევისათვის დაუჭერია მხარი, რამაც თავგზა აუბნია სანდრო ახმეტელს. მას ვერ გაეგო, თუ რა მოტივით ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი დელეგაცია ტაძრის აღების მომხრე გერმანე მგალობლიშვილმა. დღევანდელი გადასახედიდან ამის ახსნა არც ისე ძნელია. გერმანე მგალობლიშვილი მთავრობის თავმჯდომარე იყო. ტაძარზე გული შესტკიოდა, მაგრამ ბერიას წინააღმდეგობის განევა ვერ გაუბედა. ფარულად კი თანაუგრძნობდა თავის მეგობარ დიმიტრი შევარდნაძეს, რომელმაც უშიშრად, ღიად აიღო თავის თავზე ეს სამამულიშვილი საქმე. დელეგაციის შედგენის თარიღი სანდრო ახმეტელის ჩვენებაში მითითებული არ არის. თუ ჩვენების ეს ნაწილი სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზემოაღწერილი ამბები 1937 წელზე ადრე მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სანდრო ახმეტელი დელეგაციის წევრი ვერ იქნებოდა, რადგან ის 1935 წლის სექტემბერში რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორის თანამდებობიდან მოხსნეს, ხოლო 1936 წლის 19 ნოემბერს დააპატიმრეს.

1956 წელს, დიმიტრი შევარდნაძის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, დაკითხეს ქვეთევან მაღალაშვილი. ოქმი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ცენტრში, ქეთევან მაღალაშვილის ფონდში №1185. ს. ახმეტელის მონაწილეობა ამ ჩვენებითაც დასტურდება. აღსანიშნავია, რომ აქ პირველად ჩნდება მიხეილ ჯავახიშვილის სახელი. დიმიტრი შევარდნაძესთან ერთად ბერიასთან მისულ ხელოვნების დარგის წარმომადგენლებიდან დოკუმენტში დასახელებული არიან:

„გ. ჩუბინაშვილი, ა. ახმეტელი, მ. ჯავახიშვილი და სხვ.“ თარიღთან დაკავშირებით მაინც რჩება შეუსაბამობა. ქეთევან მაღალაშვილი წერს, რომ აღნიშნული ფაქტის შემდეგ, დიმიტრი შევარდნაძე გაემგზავრა მოსკოვს და იქ მიაღწია 5 მილიონი მანეთის გამოყოფას მუზეუმის ასაგებად. მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე იგი ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მოხსნეს დირექტორის თანამდებობიდან და მალე დააპატიმრეს. „დიმიტრი ირაკლის ძის ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი დიალოგის შესახებ ვიცი თვით დიმიტრი შევარდნაძის სიტყვებიდან“ – დასძენს ქეთევან მაღალაშვილი [ირინე აბესაძე, ქეთევან ბაგრატიშვილი, „დიმიტრი შევარდნაძე“, 1998, გვ. 262]. დ. შევარდნაძე 1937 წლის 10 ივნისს დააპატიმრეს.

ჩემი აზრით, ბერია 1935 წელს დასვა მეტეხის ეკლესიის აღების საკითხი და იმავე წელს წააწყდა კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, დიმიტრი შევარდნაძისა და მისი ჯგუფის წინააღმდეგობას. ცხადია, ბერია ამას არ დაივიწყებდა: და აი, 1937 წელს, მოსკოვიდან დაბრუნებულ დიმიტრი შევარდნაძეს აპატიმრებენ, როგორც ხალხის მტერს.

დიმიტრი შევარდნაძეს ტიპიური, ტრაფარეტული ბრალდებები წარუყენეს. მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვის ოქმები ერთი და იმავე მოდელის მიხედვით არის შედგენილი, ზოგჯერ მაინც ხერხდება „დამნაშავეს“ პიროვნული თვისებების დანახვა. ასეა დიმიტრი შევარდნაძის შემთხვევაშიც. საზარელი დოკუმენტები ვერ მალავენ მის კეთილშობილებას და კაცთმოყვარეობას, როდესაც ნაწამებ შევარდნაძეს ერთ-ერთი ხელოვანი (შემდგომში თავადაც დახვრეტილი) პირზე წააყენეს, მან იგრძნო გაბრძოლების უაზრობა, საკუთარი თავის გადარჩენაზე აღარ უზრუნია, დანებდა, მაგრამ მეგობრების გადარჩენის იმედი მაინც არ დაუკარგავს: „... უნდა გამოვყო ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, პროფ. ჩუბინაშვილი, სიდამონ ერისთავი და ლლონტი ხარლამპი, რომელთა კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ ჩემთვის არაფერი არ არის ცნობილი“. დიმიტრი შევარდნაძეს ლომის წილი მიუძღვის მეტეხის გადარჩენაში, მაგრამ ტაძრის გადარჩენის დათარიღების საკითხი ღიად რჩება. ასევე, გაურკვეველია, თუ რატომ ახსენებს მიხეილ ჯავახიშვილს მხოლოდ ქეთევან მაღალაშვილი, რომელიც ამ ჯგუფის წევრი თავად არ ყოფილა და რატომ არ ახსენებენ სხვები. თუ მ. ჯავახიშვილი დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა, რატომ უნდა დაემალა ეს ფაქტი სანდრო ახმეტელს, რომელსაც მასთან მხოლოდ დაპირისპირება აკავშირებდა?

ისეა, თუ ასე, მყარად დაამკვიდრეს ის აზრი, რომ ტაძრის გადარჩენას მიხეილ ჯავახიშვილს უნდა ვუმაღლოდეთ.

თავი V. დასასრულის დასაწყისი

1937 წელს მ. ჯავახიშვილი მიზანში ამოიღო ბერიამ. როგორც მისი თანამედროვენი ამბობდნენ, ბერიას ყურამდე მისულა ჯავახიშვილის მიერ მისი მისამართით ნათქვამი რეპლიკა: „ეს ჩეკისტი რაღას დაგვასვენს თავზეო“, ამ ფაქტის შესახებ ჯერ კიდევ 1989 წელს ვნერდი [„ერთი პუბლიკაციის გამო“. „ლიტერატურული საქართველო“, 4 აგვისტო, 1989 წ.], თუმცა მისი დოკუმენტური დადასტურება არ შემდეგო. საგულისხმოა, რომ მ. ჯავახიშვილის უმცროსმა ქალიშვილმა, რუსუდან ჯავახიშვილმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში [„ძველი დავიდგი ხელთუქმნელი“, 1995 წლის 8 ნოემბერი] ჩემგან დამოუკიდებლად, ეს ვერსია დაადასტურა. თუ დიდი მწერალი დიდი სიტოთი იხსენებდა 1923-1924 წლებში მის გზაზე დამყენებელ სერგო ორჯონიკიძეს, ბერიას მიმართ ურყოფითად იყო განწყობილი. (ბერია, ორჯონიკიძესთან მეგობრობას კარიერული წინსვლისთვის იყენებდა. თავის შვილს მის პატივსაცემად სერგოც კი დაარქვა, მაგრამ 1936 წელს მათი ურთიერთობა დაიძაბა).

ბ. არველაძე წერს, რომ 1937 წელს მიხეილ ჯავახიშვილის მეგობრები თავს იყრიდნენ საღამოობით ოჯახებში, საუბრობდნენ, კარტს თამაშობდნენ და ერთობოდნენ. ხანდახან მოგზაურობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მათ შორის, ჭეშმარიტი მეგობრული სიყვარული სუფევდა. მათ გვერდით ტრიალებდა ილო მოსაშვილი, რომელსაც გარდა ამის მიტანისა ჩეკაში, სხვა უფრო სერიოზული დავალებაც მიუღია. ბ. არველაძე იმონებებს ამონარიდს მწერალ როდიონ ქორქიას წერილიდან „ილო მოსაშვილს დაავალეს მ. ჯავახიშვილის მოკვლა. საგანგებოდ მოაწყვეს ხირსაში (ილო მოსაშვილის სოფელი კახეთში – ბ. ა.) გამგზავრება, იქ მარანში აქეიფეს მწერლები. ილო ფხიზლად იყო, ოღონდ თავი მოიმთვრალა და რევოლვერი იძრო. ჯერ ესროლა ჭერს, მერე ვითომდა ნაბარბაცდა და ესროლა მიხეილ ჯავახიშვილს. პალომ დაუჭირა ხელი. მიხვდა ჯავახიშვილი და დაიყვირა, ამას ჩემი მოკვლა უნდაო და წამოვიდა. გარდა ილოსი, არ ვიცი, ვინ იყო განდობილი ამ საქმეში... საქმე ჩაიფუშა“. ბ. არველაძე ასკვნის, რომ ბერიას და მის ხროვას, მაინც უხმაუროდ, ვითომ შემთხვევით, უნდოდათ თავიდან მოეცილებინათ მიხეილ ჯავახიშვილი [ბ. არველაძე, „წამება მიხეილ ჯავახიშვილისა“, თბ., 2001, გვ. 13].

საზოგადოებაში გავრცელებული აზრის თანახმად, მ. ჯავახიშვილის დაღუპვის მიზეზი „ჯაყოს ხიზნები“ იყო, თუმცა ფაქტები მეტყველებენ, რომ მწერლისათვის უფრო „ქალის ტვირთი“ გამხდარა საბედისწერო. ქ. ჯავახიშვილის მოწმობით, რომანზე მუშაობის დროს, მ. ჯავახიშვილს დახმარებისათვის არც ერთხელ არ მიუმართავს ბერიასათვის, რომელსაც ეს სასტიკად სწყინდა. შეხვედრისას, ბერიამ უსაყვედურა მწერალს „ბატონო მიხეილ, გავიგე, რომ 1905 წლის პერიოდიდან რომანს წერთ. ნუთუ ჩემი რჩევა ან დახმარება არ გჭირდებოდათ, რომ ჩემთან არ მოხვედით სასაუბროდ და თქვენი გეგმები არ გამაცანით?“. ქ. ჯავახიშვილი წერს: „მამას რომ მეტი თავაზიანობა გამოეჩინა და ბერიასათვის ეგრძნობინებინა, რომ ის პატივსა სცემს მას და მის სიტყვას აფასებს, მაშინ ეგებ ბერიასათვის მოელებო ბოროტი გული და თავის შავბნელი საქმე არ მოემოქმედებინა. მამამ იცოდა საკუთარი თავის ფასი და მასთან დაახლოებას და შეხვედრას არ ცდილობდა. ბერიამ ეს იგრძნო და მამას ძალზე ძვირად დაუსვა ასეთი უყურადღებობა“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, 1991, გვ. 292-293]. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თავის მოგონებებში ქ. ჯავახიშვილმა პირდაპირ მიგვითითა მ. ჯავახიშვილის დაღუპვის მიზეზზე.

მკვლევარი თ. მალლაფერიძე ქ. ჯავახიშვილის აზრს იზიარებს და განმარტავს, რომ „ქალის ტვირთი“ მართლაც საბედისწერო გამოდგა მწერლისათვის. „საქმე ის გახლდათ, რომ ამ წიგნით სისხლხორცეულად დაინტერესდა ლავრენტი ბერია... ბერიას უნდოდა, რომ „ქალის ტვირთი“ მის მიერ მიცემულ თარგზე დაწერილიყო, მაგრამ ეს არ გააკეთა მწერალმა და ამიტომ შურისძიების საბედისწერო ხვედრს ვეღარ აიცილებდა“ [თ. მალლაფერიძე, „ძალადობა, შიში, სიცრუე“, ჟურნ. „განთიადი“, 1992, №1-4, გვ. 299].

მკვლევარი ბონდო არველაძეც დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მ. ჯავახიშვილის „პოლიტიკუ-

რი „დანაშაულის“ წინასწარი „მოკვლევა“ და ბადის მოქსოვა ხდებოდა ბერიას მითითებით, ხოლო შემსრულებლები იყვნენ ქობულოვი, აბაშიძე, ნაცვლიშვილი და სხვები“ [ბ. არველაძე, „შეულამა-ზებელი ამბავი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1996, 23-30 აგვისტო].

ქ. ჯავახიშვილი თავის მოგონებებში მ. ჯავახიშვილის დალუპვაში ბერიას გარდა, მწერლებსაც ადანაშაულებს. ჩამოთვლის იმ პირებს, რომლებსაც შემდეგ დიდი მწერლის რეაბილიტაცია ეწყინათ (მათ შორის ი. ლისაშვილს არ ახსენებს). ქ. ჯავახიშვილი წერს: „მამას მეგობრებიდან ახლოს არ გამკარებიან და შეხვედრისას თავი ამარიდეს ილო მოსაშვილმა, სანდრო შანშიაშვილმა, კონია ლორთქიფანიძემ და სხვა მწერლებმა... სადღაც მოველოდი კიდეც მათი მხრიდან ასეთ დამოკიდებულებას, როგორც შემდგომ მითხრეს, თურმე ილო მოსაშვილს, მჭავანაძის სიტყვებს რომ ისმენდა, თავზარი დასცემია. ეტყობა, დიდი ცოდვა მიუძღოდა მამას წინაშე და იგრძნო, რომ სწორედ ახლა მისი განკითხვის დღე დგებოდა. რეაბილიტაციის გამოცხადების დღიდან, მგონი ორი კვირის შემდეგ... გარდაიცვალა... იმ საღამოს ის და კონია ლორთქიფანიძე ერთად ისხდნენ, ღვინოს სვამდნენ და დარდს იქარებდნენ. ალბათ ეშინოდათ, რომ რეაბილიტაციის შემდეგ მათი „გმირული საქმეები“ სააშკარაოზე გამოვიდოდა და სადარდებელს ერთმანეთს უზიარებდნენ“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 431].

ჩემს ხელთ არსებული მასალებით არ ჩანს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას რაიმე წვლილი მიუძღოდეს მ. ჯავახიშვილის დალუპვაში, მას არც იმ დაკითხვაში მიუღია მონაწილეობა, რომელიც მწერლებმა ჯავახიშვილს მოუწყვეს. მიუხედავად ამისა, ქ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „არც კონსტანტინე გამსახურდია მოსულა ჩემთან“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, ყურნ. „მნათობი“ 1989, №6, გვ. 89].

მ. ჯავახიშვილის კრიტიკა 1937 წლამდე დაიწყო. მომყავს რამდენიმე მაგალითი. 1933 წლის 29 დეკემბერს **სიმონ ჩიქოვანმა** თქვა: „აქ მ. ჯავახიშვილმა სთქვა რომ ახალგაზრდობამ უნდა ისწავლონ, მაგ. ის ამბობს რომ კლასიური ბრძოლა პატარა დოზით მივეცი და მეტი დოზით მომივიდა. რასაკვირველია ამ კაცს თვითონ სჭირია სწავლა /ჯავახიშვილის რეპლიკა არ ისმის/ აქეთ გამოიხედეთ ნუ გრცხვენიათ, რას იმალები / **ჯავახიშვილი – ეს თავხედობაა**, რას ნიშნავს ნუ იმალებითო. მე ჩიქოვანს თვალი ველარ გაუსწორე?/ მე გეუბნები როდესაც ქადაგის როლში გამოდიხარ და ამბობ ისწავლეთ, ისწავლეთ უნდა სთქვა რა უნდა ისწავლოს მწერალმა /ჯავახიშვილი – მე ჩამოვთვალე/“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8. ან. 1, ს. 275, გვ. 34]. იმავე სხდომაზე **საფო მგელაძემ** განაცხადა: „როგორი ქალის ტიპებს გვაძლევენ ჩვენი თანამედროვე მწერლები? აქაც არ არის სანუგეშო მდგომარეობა. ზოგიერთი მათგანი ისეთი ფერადებისგან სჭრის ქალის პორტრეტს, რომ აღარ იცის კაცმა ვინ არის ეს ქალი, პროსტიტუტკა თუ პატიოსანი დედაკაცი...არც მიხ. ჯავახიშვილის მარგო, არც პ. ჩხიკვაძის ლაურა, არც კ. ლორთქიფანიძის გაიანე თანამედროვე ქალის ტიპები არ არიან. სამივე ნიჭიერი მწერალია და სამივე ისე უყურებს ქალს, როგორც მხოლოდ და მარტოდ სქესს“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8. ან. 1, ს. 275, გვ. გვ.49, 50].

1937 წელს საქ. კ.პ.ბ. X ყრილობაზე ბერია აშკარად დაემუქრა ჯავახიშვილს „ქართველი ხალხის მტრებთან“ – აღნიაშვილთან, ლომინაძესთან, ჯიქიასთან, ელიავასთან და სხვებთან კავშირ-ურთიერთობისათვის [საქართველოს საბჭოთა მწერლების საერთო კრება, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 15 მაისი]. ყრილობას 643 დელეგატი ესწრებოდა. ვ. ხარჩილავა აღნიშნავს: „ამ 643 კაციდან უმრავლესობამ იცის საქმის ნამდვილი არსი. იცის, რომ „ჩეკისტური მეთოდი“ ნამდვილად მოქმედებს – რეპრესიები კარგა ხნის დანყებულაია, იცის, რომ უსამართლობა და ძალადობა გამეფებულა ირგვლივ, მაგრამ მაინც ერთგულად უკრავს ტაშს ცრუპენტელა ორატორს, სიცრუეს უკრავს ტაშს და ზედ „მართალია, მართალიასაც“ მიაყოლებს არხეინად. ამ გულგრილობისა და ლაჩრობის შედეგიც ხომ არაა 643 კაციდან 425-ის განადგურება? ახლა, როცა ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული, ძნელია იმ ადამიანთა სულში ჩავიხედოთ და პირუთენელად განვსაჯოთ მათი საქციელი, მაგრამ იმის თქმის უფლება კი გვაქვს, რომ იმ უბედურებაში, იმ განუკითხაობაში კვერის დამკვრელებმაც ითამაშეს საბედისწერო როლი – ორმა და სამმა კი არ განადგურა ათასო-

ბით ადამიანი, არამედ ათასებმა გაჟლიტეს ერთმანეთი“ [ვ. ხარჩილავა, „სისხლიანი ქრონიკები“, თბ., 1989, გვ. 89].

ყრილობის შემდეგ ტარდება მწერალთა საერთო კრება, რომლის მასალები „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა [„საქართველოს საბჭოთა მწერლების საერთო კრება“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 15 მაისი]. ბერიას სიტყვები მწერლებმა უშუალო მითითებად მიიღეს და მოვალედ ჩათვალეს თავი, რომ ამა თუ იმ სახით დაეგმოთ ჯავახიშვილი და რამდენიმე სხვა შერისხული მწერალი. რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებას მოითხოვდნენ ისეთი მწერლებიც, რომლებიც ერთ-ორ თვეში თვითონ გახდნენ „სიფხიზლის“ მსხვერპლი. ერთ-ერთი მათგანი, **დია ჩიანელი** ამბობს: „ასევე ჩვენ ვიცით, რომ ხალხის მოლაღატე ვ. ჯიქიას გარს ეხვიენ ზოგიერთი მწერლები, რომლებიც ლეზულობდნენ მის „პატივისცემას“. ეს მწერლები უნდა იქნან მხილებულნი... მ. ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი“-ც იმის მაჩვენებელია, რომ იგი ვერ მივიდა ახლოს ჩვენს სინამდვილესთან“ [„საქართველოს საბჭოთა მწერლების საერთო კრება“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 1 მაისი].

ზემოთ ხსენებულ გაზეთში მოთავსებული პუბლიკაციიდან „უნესრიგობა და ბოროტმოქმედება ლიტფონდში“ ვიგებთ, რომ ლიტფონდის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, დ. სულიაშვილს, ამ ორგანიზაციაში გამეფებულ უნესრიგობაზე უსაუბრია. **დ. სულიაშვილის** მოსაზრებანი უფრო სრულად გადმოცემულია წერილში „უთავბოლობა და ბოროტმოქმედება ლიტფონდში“. მომაქვს ამონაწერები: „ლიტფონდის სარევიზიო კომისიამ ჯერ კიდევ ა.ნ. იანვრისათვის ნათლად გამოარკვია დ. წერეთლის „მოღვაწეობა“. სარევიზიო კომისიის მოხსენების მიხედვით სამდივნომ მოხსნა წერეთელი დირექტორის თანამდებობიდან, ამასთან ლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარეობიდან განთავისუფლებულ იქნა პ.მ. საყვარელიძე, მაგრამ ამის შემდეგ დ. წერეთელს გამოესარჩლა გამგეობის ახალი თავმჯდომარე ამხ. მ. ჯავახიშვილი, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა დროებით მაინც დაეტოვებინათ დირექტორად დ. წერეთელი, როგორ „ენერგიული, სანდო და მცოდნე კაცი“. მ. ჯავახიშვილმა თავისი გაიტანა. არა თუ დირექტორად დატოვა გაიძვერა კომბინატორი, არამედ არ მოიერიდა საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპის დარღვევას და კოოპტაციის წესით წერეთელი გამგეობაშიდაც კი შეიყვანა. ამან კიდევ უფრო გაამხნევა წერეთელი. მალე ამ კომბინატორმა უჩვენა თავის ახალ მოსარჩლეს თავისი ენერგიულობა და საქმიანობა: სხვადასხვა ხრიკებით, ქურდულად ლიტფონდის ხე-ტყის ქარხანას გაასტუმრებია ჭიათურაში აღებული თავისი პირადი ვალი (4 ათასი მანეთი). ბევრი ასეთი ფაქტის მოწმედ გახდოდა ამხ. ჯავახიშვილს დ. წერეთელი, რომ იგი არ მოეშორებიათ ლიტფონდისათვის“ [„საქართველოს საბჭოთა მწერლების საერთო კრება“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 15 მაისი].

მ. ჯავახიშვილის გამოსვლის შესახებ ნათქვამია: „შემდეგ ამხ. მის. ჯავახიშვილი ეხება ლიტფონდის საქმეებს და აცხადებს, რომ სულიაშვილის გამოსვლა მეტ წილად დაუსაბუთებელი იყო, თუმცა ჯავახიშვილის ამ განცხადებამ მწერლები ვერ დააჯერა“.

პარმენ ლორიამ განაცხადა: „დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ არც მწერალთა ორგანიზაცია წარმოადგენს გამონაკლისს, აქაც აღმოჩნდნენ ხალხის მოლაღატეები, რომლებიც დაუსჯელად თარეშობდნენ ჩვენს წრეში ჩვენი უდარდებლობის და პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნების გამო... ყოველივე ეს მოითხოვს გავაძლიეროთ მწერალთა პოლიტიკური აღზრდა. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ ბოლო მოეღოთ მწერლების ჩამორჩენას ცხოვრებისაგან. რომ მ. ჯავახიშვილს მაღალი პოლიტიკური დონე და წარსული ამბების სწორი მეცნიერული გაგება ჰქონოდა, არ დასწერდა ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც არის მისი „ქალის ტვირთი“. მწერლები თავიანთი ოთახის ფანჯრიდან უმზერენ ცხოვრებას“.

დია ჩიანელი ამბობს: „როგორ ირკვევა ბ. ბუაჩიძე ავერბახის მაჩანჩალა ყოფილა. იმის მაგიერ, რომ დაეინყებინა და ხელი აეღო თავის შეცდომებზე, უკმაყოფილო ბუაჩიძე სექტანტური თანმიმდევრობით ავერბახის საქმეს აკეთებდა. ბუაჩიძეს ბევრი ცოდვები აქვს. ნ. მინიშვილმა სთქვა, ტოროშელიძეს გარს ეხვიენ ზოგიერთი მწერლები, რომელთანაც ერთად სწყვეტდა „მწერლობის“

ბედსო... ეს მწერლებიც უნდა იქნან მხილებულნი. მხატვრული ნაწარმოების ხარისხისათვის ბრძოლის ლოზუნგი მოითხოვს, რომ ჩვენი ლიტერატურული სინამდვილე გაიწმინდოს ხალხის მოღალატეების მიერ მოშხამული ატმოსფეროსაგან“. შემდეგ მომხსენებელი პირდაპირ უთითებს პ. იაშვილზე, მ. ჯავახიშვილზე და კ. გამსახურდიასზე. გაივლის რამდენიმე თვე და დია ჩიანელს, ისევე როგორ ნ. მინიშვილს, დახვრეტენ.

1937 წლის 8 ივნისს გაიმართა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც ფაქტობრივად ბერიას მიერ დასახელებული მწერლების დაკითხვად იქცა [„მწერალთა რიგების იდეური სინამდისათვის“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 10 ივნისი].

ქ. ჯავახიშვილი სამათლიანად წერს: „ეს სხდომა მორალური ინკვიზიციის შესანიშნავ მაგალითად უნდა ჩაითვალოს“. ქ. ჯავახიშვილი აქვეყნებს სხდომის სტენოგრამას [ქ. ჯავახიშვილი, „მიხილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 312-321]. სხდომაზე მ. ჯავახიშვილმა დაასახელა ის კონკრეტული პირები, რომელთა ცილისწამებას შეეძლო მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამონევა: „ყველაზე ადრე ლიდა გასვიანი გამახსენდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ დაახლოებით ერთი თვის წინათ, ერთმა ხელისუფალმა ჩემი სახელი ამ მოღალატეს გადააბარა...“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 313]. როგორც ვხედავთ, **მ. ჯავახიშვილმაც, თავის მხრივ, მოღალატედ მოიხსენია ლიდა გასვიანი, რომელიც პატიმრობაში იტანჯებოდა.**

1937 წლის 10 ივნისს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა შემაჯამებელი წერილი „მწერალთა რიგების იდეური სინამდისათვის“: „მე-10 ყრილობის შედეგების განსახილველად მონეული საბჭოთა მწერლების კრება, რომელიც სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, კატეგორიულად მოითხოვდა მწერლების პ. იაშვილის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილისა და სხვებისაგან – გულწრფელად და სიმართლით ეთქვათ სამწერლო საზოგადოებისათვის თავიანთი კავშირის შესახებ ხალხის საზიზღარ მტრებთან – კონტრრევოლუციურ ტროცკისტებთან... მწერალთა საერთო კრების რეზოლუცია შეიცავს მკაცრ გაფრთხილებას მათ მიმართ. მათ კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ საბჭოთა მწერლები თავის რიგებში ვერ მოითმენენ ხალხის მტრების აგენტებს“.

მ. ჯავახიშვილმა თავის გამოსვლაში ასევე თქვა: „მსხვილმანი სხვა რამ არის. ერთი ამგვარი აზრი არსებობს: ამბობენ, ჩვენებური მზაკვარი ტროცკისტები, თავიანთ შხამიან ქსელში ალბათ უპარტიო ინტელიგენციასაც ჩაურევდნენ და ამიტომ საფიქრებელია, რომ მათ მიხილ ჯავახიშვილიც ჩაურიესო. ეს მართლა საფიქრებელია. შეიძლება პირუკულმა მოქცეულიყვნენ, ე.ი. შესაძლოა მათ გადაეჭრათ: **ვინაიდან ჯავახიშვილი ხელისუფლების ერთგული მოქალაქეა, ვინაიდან ის ჩვენთვის, შეთქმულთათვის სანდო არ არის, ამიტომ ჯობს ვერიდოთ მას,** ან მაშინ გამოვიყენოთ, როცა საამისოდრო დაგვიდგებაო. თუ თქვენ პირველ დებულებას დაუჯერებთ, მაშინ რაც გინდა ვთქვა, სულ ერთია არ დამიჯერებთ, ხოლო თუ მეორე დებულებას გაიზიარებთ, მაშინ იმედია ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არ შეგეპარებათ, რომ არასოდეს არც ტოროშელიძესთან და არც სხვა ვინმესთან არავითარი ანტისაბჭოთა საუბარი არ მქონია. თქვენ სრული უფლება გაქვთ მითხრათ, ამხ. ბერია უსაბუთოდ არ დაგასახელებდო, სრული სიმართლეა, მეც მაგრე მგონია. ამხანაგებო, უკვე 14 წელიწადია, რაც მე და თქვენ თითქმის ყოველდღე ერთმანეთს ვხვდებით, ვესაუბრებით, მაშასადამე თქვენ საკმაოდ კარგად უნდა მიცნობდეთ. ალბათ ჩემი ხასიათიც გეცოდინებათ, მე ანჩხლი კაცი ვარ, სულ უბრალოზე ნერვები მეშლება და ჩემ წუთიერ გრძნობას ზოგჯერ მოურიდებლად გადმოვანთხევე ბოლომდე ხოლმე, მაგალითად: ტრამვაიმ ათიოდე წუთი დამაგვიანა, რომელიმე საქონელი გაძვირდა, რომელიმე საქონელი სულ აღარ იშოვება, დილის გაზეთი საღამოზე გამოვიდა, სადღაც გრძელი რიგი დავინახე, და სხვა ამგვარი. ამის გამო მე ზოგჯერ მწვავე სიტყვას ვიტყვი ხოლმე, ვილაცას ჩავწინხლავ, ვილაცას გავლანძღავ. რა თქმა უნდა, ეს თითქოს წვრილმანია, მაგრამ ისიც, მართალია, რომ ბლომად დაგროვილი წვრილმანი მოზრდილ მსხვილმანად გადაიქცევა ხოლმე. აი სად არის ჩემი ბრალი: ენა ჩემი – მტერი ჩემი“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 315].

ქ. ჯავახიშვილი წერს, რომ მ. ჯავახიშვილის შემდეგ მწერლები გამოვიდნენ და როგორც სა-

სამართლოში დამნაშავეს ისე დაადგინენ პირზე. მოგვყავს მცირე ამონარიდი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის დ. დემეტრაძის სიტყვიდან: „მიხ. ჯავახიშვილის შესახებ, რომ გავრცელდა ხმა – ანდრე ჟიდი კარგად აზროვნებსო, ეს ამბავი ჩვენი ბრალია, რომ აქამდე არ დავაყენეთ ეს საკითხი“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 320].

მ. ჯავახიშვილთან დაკავშირებით, ანდრე ჟიდის სახელი კიდევ გაიჟღერებს, ამიტომ ამ ფრანგი მწერლის სტუმრობაზე საგანგებოდ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. მან 1936 წელს იმოგზაურა საბჭოთა კავშირში. როგორც კომუნისტ მწერალს, მას დიდი პომპეზურობით შეხვდნენ. ივლისში ის საქართველოს ეწვია. „17 ივლისს ძერჟინსკის სახელობის ბაღი ჯერ კიდევ სტუმრების მოსვლამდე გაიჭედა მწერლებით, ხელოვნების მუშაკებით, მუშათა ორგანიზაციების და საბჭოთა საზოგადოებრივობის მრავალი წარმომადგენლით. საღამოს, 10 საათზე ანდრე ჟიდი და მისი თანამგზავრები ლუი გუიო, ეჟენ დაბი, შიფრინი, ქართველი მწერლების თანხლებით ეწვივნენ მათ შესახვედრად თავმოყრილ საზოგადოებას, რომელიც მქუხარე ტაშით შეხვდა ძვირფას სტუმრებს. საღამო გაიხსნა ამხ. არისტო ჭუმბაძის ფრანგულად წარმოთქმული სიტყვით“ [„ანდრე ჟიდი საქართველოში“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, 31 ივლისი]. ა. ჟიდის სიტყვას პ. იაშვილი თარგმნიდა. 18 ივლისს სტუმრები კახეთის დასათვალისწინებლად წაიყვანეს. შემდეგ მოატარეს გორი, ცხინვალი, ბორჯომი, ბათუმი. 28 ივლისს ანდრე ჟიდმა წერილი გაუგზავნა ბერიას, რომელშიც საქართველოს სილამაზესა და ბედნიერებაზე საუბრობდა. საფრანგეთში დაბრუნებულმა მწერალმა დაწერა წიგნი „დაბრუნება საბჭოთა კავშირიდან“, რომელშიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესები უარყოფითად შეაფასა. „ლიტერატურულ საქართველოში“ იბეჭდება წერილი, სადაც ვკითხულობთ: „ჟიდი ბრალს სდებს სათითაოდ ყველა საბჭოთა მწერალს სიმხთაღეს, საკუთარი აზრის უქონლობას, უნიჭობას, ადრე ჟიდი ახლა ამტკიცებს, რომ ნამდვილი ნიჭიერი მწერალი ყოველთვის ოპოზიციის უნდა უდგეს მთავრობას, ბელადებს, ყოველთვის უნდა მოუწოდებდეს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად“ [„ანდრე ჟიდის სიტყვილი და ცრემლები“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, 15 დეკემბერი]. თანდათან გავრცელდა ხმა, ვითომდა, ა. ჟიდეს უარყოფითი ცნობები თავად მწერლებმა მიანოდეს. საქართველოში პირველ რიგში ფრანგული ენის მცოდნე მწერლებზე მიიტანეს ეჭვი. ასეთები იყვნენ პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი.

ქ. ჯავახიშვილი ირწმუნება, რომ მამამისი ა. ჟიდს არ შეხვედრია: „მამას დაპატიმრების შემდეგ მითხრეს, რომ საფრანგეთში გამოსულა მწერალ ანდრე ჟიდის წიგნი, სადაც მამა იყო ნახსენები. მე ძალზე გამიკვირდა, რადგან დანამდვილებით ვიცოდი, რომ მამა ჟიდს არ შეხვედრია... ჩემთვის გაუგებარი იყო, რატომ დაასახელა ჟიდმა მამა, ახსენა ისე, თითქოს მამას პირადად ეთქვას მისთვის, რომ უკმაყოფილოა ამ ცხოვრებით და სხვა და სხვა. მე ეს წიგნი არ წამიკითხავს და ამიტომ გამიჭირდება რაიმე ვთქვა. მხოლოდ გადმოცემით ვიცი ეს ამბავი. საფიქრებელია, რომ ვინმემ, რომელიმე ჩვენმა მწერალმა, ჟიდს მამას სახელი ხომ არ უხსენა და იმანაც, როგორც ყველაზე გამოჩენილი და პოპულარული მწერლის აზრი, ისე გამოიყენა თავის წიგნში მამას სიტყვები. მე ვფიქრობ, აქაც ბოროტებას უნდა ჰქონდეს ადგილი. მწერლებმა, რომლებიც შეხვდნენ ჟიდს, ეს შეხვედრა მამას წინააღმდეგ გამოიყენეს, ადვილი შესაძლებელია ვინმეს დავალებითაც მოხდა. მამამ ვერ გაიგო რაც მოხდა. ამდროისათვის ის უკვე ცოცხალი არ იყო“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 330].

ქ. ჯავახიშვილი თავისი ვარაუდით ცილს სწამებს იმ მწერლებს, რომლებიც ა. ჟიდს შეხვდნენ. ამ უკანასკნელის წიგნში მ. ჯავახიშვილი ნახსენები არ არის. არც სხვა რომელიმე მწერალია დასახელებული, მაგრამ მისი სტუმრობა მაინც სავალალო აღმოჩნდა ქართველი მწერლებისათვის. ისინი უკვე ველარასოდეს გაიგებენ, რომ ჟიდი აღსავსე იყო მათდამი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით. ა. ჟიდმა, რომელსაც 1947 წელს ნობელის პრემია მიენიჭა, თავის წიგნს დამატებაც დაურთო. აი, მისი გზავნილი:

«В столицу Грузии мы прибыли с опозданием на один день. Из-за этого грузинские поэты, любезно выехавшие нам навстречу, вынуждены были сутки ждать нас на пограничном пункте в горах.

Пользуясь случаем, хочу сказать, как я был тронут их приемом, их обходительностью, изысканной вежливостью, постоянной предупредительностью и любезностью. Если каким-либо чудом эта книга попадет им в руки, пусть они знают, что я сохраняю по отношению к ним – что бы им ни сказали – глубочайшую признательность» [А. Жид, «Возвращение из СССР», М., 1990, с. 597].

ახლა ნათელი ხდება, რომ ქართველ მწერლებს მ. ჯავახიშვილის მიმართ ბოროტება არ ჩაუდენიათ, როგორც ეს ქ. ჯავახიშვილს ეგონა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რა უთხრეს მათ ა. ჟიდს. რაიმეს თქმა თარჯიმნის გარეშე, ცხადია, მხოლოდ ფრანგული ენის მცოდნეს შეეძლო. თბილისში მწერლისთვის საბჭოთა ხელმძღვანელების შესახებ ვილაცას მეტად სახასიათო ფრაზა უთქვამს: „მათ დაავინყდათ, რა არის ფესვები“ – «Они лгут. Они все лгут, – говорил нам в Тифлисе Х, о советских руководителях. – Они утратили всякое представление о реальности. Это все отвлеченные теоретики“. Голос его дрожал от волнения. И наконец произнес фразу, на которую я сначала не обратил внимания и которую мне потом напомнил Эрбар, – она ему показалась замечательной (действительно она замечательная), и он ее часто цитировал: «Они забыли, что такое корни» [А. Жид, «Возвращение из СССР», М., 1990, с. 600].

ბერიას არაფერი გამოეპარებოდა...

ამ თავის დასასრულს, მომყავს ამონარიდები რამდენიმე მწერლის გამოსვლებიდან, რაც ნათლად გვიჩვენებს მწერალთა კავშირში შექმნილ ატმოსფეროს.

1937 წლის 22 ივლისს, მ. ჯავახიშვილმა განაცხადა: „29-სათვის დანიშნული არის ჩემი რომანის გარჩევა. მე აქ ერთხელ განვაცხადე და გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში. თუ აქ მომხსენებელმა გააკეთა მოხსენება მიხედვით ჩემი რომანისა რომელიც დაიბეჭდა მნათობში, უეჭველად დიდი არეგ დარევა გამოვა..“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 598, გვ. 11].

დ. დემეტრაძე: „ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ მეათე ყრილობაზე მთავარ ამოცანად დასახა ჩვენი ორგანიზაციის წინაშე საკითხი ბოლშევიზმის დაუფლებისა. ... რომ მიხეილი კარგად გაცნობოდა 1905 წლის რევოლუციის ფაქტებს, კარგად გაცნობოდა ლენინ-სტალინის ნაწარმოებებს და იმ მასალებს რომელიც ამოძრავებდა ამ რევოლუციას, მაშინ რასაკვირველია მიხეილი ასცდებოდა იმ ჩავარდნას, რომელიც მას მოუხდა და ეს მოხდა იმიტომ რომ მას არ ქონდა სწორი წარმოდგენა იმ მამოძრავებელ ძალებზე რომლებიც აქ იყო. მწერალმა განიცადა იდეური მარცხი, როგორც ჩვენ ეს შევაფასეთ“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 623, გვ. 67].

ი. ტატიშვილი: „მწერალი იყო 1905 წლის ამბების მონაწილე, მაგრამ არა იმ წრეში, რომელიც რომანში ჰყავს გამოყვანილი და ეს არის მიზეზი გარღვევისა“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 622, გვ. 36].

კიტა აბაშიძე: „მიუხედავად იმისა, რომ მიხ. ჯავახიშვილი ათას ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის მომსწრეც არის და მისი ერთგვარი მონაწილაც, მან მაინც ვერ შეძლო ამ რევოლუციის, მისი წამომწყებთა და მონაწილეთა დამაჯერებელი სურათების მოცემა... [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 623, გვ. 49] (სურ.№68).

კიტა აბაშიძე: „მიხ. ჯავახიშვილი „ქალის ტვირთშიც“ იმეორებს თავის შეცდომებს, რომელნიც სექსუალური მომენტების გადაჭარბებული დასურათებით რომ განსაზღვრება. აქაც რომანის გმირი ზურაბი დიდ პოტენციას ამჟღავნებს ქალთა დამორჩილების საქმეში და ეს ურთიერთობა ისეთ სიდაბლემდე მიჰყავს, რომ ჯერ კიდევ რევოლუციონერთა და მეფის მტარვალების ხელჩართული ბრძოლის დასრულებამდე ერთ ბნელსა და ჭუჭყიან სარდაფში იმორჩილებს ავშაროვის უკვე კანონიერ მეუღლეს – ქეთოს. სავსებით მართალია მომხსენებელი, როდესაც რომანის ამ მომენტებს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს... [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 623, გვ. 50] (სურ.№69).

აკაკი განერელია: „ავტორმა ვინ მოგვცა ზურაბის ტიპით? აი პირველ თავებში ზურაბი არა ისეთი ტიპი რომელიც განსხვავდებოდას საერთო გარემოდან...პირველი გამოჩენა ზურაბ გურგენიძისა ამ რევოლუციონერ-პროფესიონალისა ბოლშევიკისა... გარდა მის მსჯელობისა არაფრით არ

განსხვავდება იმ გარემოსაგან, რომ მთავარი გმირი იმ თვისებით ყოფილიყო რომელიც მის წარმომშობ მუშათა კლასს აქვს, მაშინ ის იქნებოდა ერთგვარი ნილაბი ახალი. მე ვხედავ მასში ერთგვარ მაგალითს. მას სურს ჩაგონება გაუკეთოს ქალს რომ წაყვეს ავშაროვს, რომ გაუწიოს ამით დახმარება საერთო საქმეს“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8. ან. 1, ს. 623, გვ. 37] (სურ. №70).

აკაკი განურელია: „საერთოდ რომანში ვერ ვხედავთ ყოფაში შეჭრილ დამახასიათებელ ამბავს, რომელიც ხელშესახებს ხდიდეს რევოლუციას. ქეთოს კარგად ვხედავთ მაგრამ ვერ ვხედავთ ზურაბს – ერთერთ ცენტრალურ გმირს, ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ არ არის დაჭერილი სოციალურ-საზოგადოებრივი მომენტი რომელიც უნდა მოეტანა გმირს რომანში“ [სეა, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 623, გვ. 38].

შალვა აფხაიძე: „ისტორიული რომანი „ქალის ტვირთი“. უკანასკნელი როგორც მხატვრული შესრულების, ისე ისტორიული შეცნობის მხრივ სრულიადაც ვერ დგას იმ დონეზე, რომელზედაც დგას ისტორიული პროცესი, რომლის სურათის მოცემის პრეტენზია აქვს რომანს. „ქალის ტვირთში“ სრულიადაც არ ისმის ის სოციალური მაჯისცემა, რომელიც ჩვენი წარსულის გარკვეულ ნაწილს ახასიათებს. რომანი ვერ გადმოგვცემს იმ ღრმა სოციალურ კონფლიქტებს, რომელიც ჩვენს წინაშე რევოლუციის სახით გადაიშალნენ. ვერ გადმოგვცემს ამ ეპოქის მაცოცხლებელ სუნთქავ ძალებს“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8. ან. 1, ს. 622, გვ. 5] (სურ. №71).

შალვა აფხაიძე: მ. ჯავახიშვილი არ ღალატობს თავის ჩვეულებრივ ერთხელ აკვიატებულ კონცეპციას და ამ რომანში ერთგვარ ფრეიდიზმის იდეების მატარებლად გამოდის. რაში მდგომარეობს ეს მიკერძება? ქეთოში მთავარია არა სოციალური ატმოსფერო. იგი სუნთქავს არა სოციალური იდეებით, არამედ მასში მთავარია ბიოლოგიური ინსტიქტები და მიზიდულობა. თუ ავტორი ვერ ახერხებს მთავარი გმირის სოციალურ გარემოში ორგანულად შეყვანას, ვერ ახერხებს მის რევოლუციონურ გარემოცვის მხატვრულად „გარდატეხას“, ქეთოს მოქმედებათა შინაგან რევოლუციურ მოთხოვნილებებიდან გამოყვანას და ამრიგად პრობლემის მაღალ საფეხურზე აყვანას, სამაგიეროდ... აგვიწერს მთავარი მომქმედი პირის ქეთოს სქესობრივ ლტოლვას...“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8. ან. 1, ს. 622, გვ. 16] (სურ. №72).

პარმენ ლორია: „მიხ. ჯავახიშვილის „ქალის ტვირთს“ დიდი აღტაცებით ელოდნენ მშრომელები, მით უმეტეს რომ ეს ნაწარმოები იყო შედეგი ბელადზე მიცემულ სიტყვისა. ვერ არის ეს ნაწარმოები ისეთი, როგორც მიხეილისგან მოველოდით. არ ვიცი რატომ დასჭირდა მწერალს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიების გაერთიანება ერთ რეაქციონურ ოჯახად და რევოლუციის და კონტრრევოლუციის, იმ ოჯახიდან დაწყება. სხვა ოჯახებიც მოიძებნებოდა, მართალია, ნათქვამია ერთი ხიდან ჯვარიც გამოვა და ნიჩაბიცო, მაგრამ ხიდან ჯვრისა და ხმალის გაკეთება ჯერ არავის უფიქრია. ჩემის აზრით ძალიან კარგი იქნებოდა რომანი „ქალის ტვირთი“ უფრო დასრულებული იქნებოდა, უფრო დაიხვეწებოდა გმირები. გარდა ამისა ამხ. მიხ. ჯავახიშვილმა უნდა იფიქროს ჩვენი დღევანდელი ასახვაზედაც. ჩვენი მშრომელები დიდი ხალისითა და ინტერესით შეხვდებიან მას, ელოდებიან. ასე სხვებზედაც“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8. ან. 1, ს. 594, გვ. 92] (სურ. №73).

პარმენ ლორია: „ამხ. ჯავახიშვილმა რაღაც არა სასიამოვნო კილოთი ილაპარაკა, ზოგიერთებს ათ თუმანს მოვცემთ და ხელი ჩაიქნია, გაამოს სულერთია აღარ დაგვიბრუნდებაო. მას გაუყვია ჩვენი მწერლობა, ერთნი სამონყალო, მეორენი სანდონი და პირიანები. ერთს შეიძლება ოცი ათასი ასესხო, მეორეს ათი თუმანი და ხელი ჩაიქნო. სჭამე, ჩახეთქეო. აქ სამონყალო არაფერია. ჩვენი ხელისუფლება სამონყალოს არავის არაფერს ურიგებს, ვინაიდან მონყალებას გლახაკებს აძლევენ და ჩვენ გლახაკები არ გვყავს.

რატომ ჰგონია ზოგიერთ ჩვენ მწერლებს რომ თვითონ დიდი მწერალია და დიდი ჭამა უნდა. ჭამა შრომაზეა დამოკიდებული თავის ნაშრომის მიხედვით სჭამს ყველა. დიდია ამხ. ჯავახიშვილი, დიდია პ. საყვარელიძე, დიდია სხვებიც, მაგრამ ნუ დაგავინყდებათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს გადიდდ[ნ]ენ, ამ დროს მოიხვეჭეს მათ სახელი და ნუ გაუკვირდებათ, რომ მათზე დიდები

ათეულები გამოგვეზარდოს სწორედ იქედან სადაც ჯერ კიდევ პატარები არიან“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 594, გვ. 98] (სურ. №74).

ვანო წულიკიძე: „ევოლუციის თვალსაზრისით არ წარმოადგენს მისი ავტორის წინსვლას. რომ არსებითად იგი რჩება იმ ძველი შეხედულებების მატარებლად, თუნდაც ბოლშევიკური პარტიის როლზე და დანიშნულებაზე და ეს მისი ასეთი შეხედულება, ასეთი თვალსაზრისი გამომჟღავნდა ბოლშევიკის ტიპის მოცემას“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 623] (სურ. №75).

დია ჩიანელი: „ამხანაგებო, განსაკუთრებული სიფხიზლე გვართებს განსაკუთრებული სიფხიზლე კავშირის სამდივნოში მომუშავეთ, არ ვარგა ყოველთვის ცერებით სიარული, – განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება ტროცკისტული და სხვა ნაბოლარათა წინააღმდეგ ახლა, როცა ირკვევა, რომ ბენიტო ბუაჩიძე ავერბახის მაჩანჩალა ყოფილა“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 594, გვ. 9] (სურ. №76).

დია ჩიანელი: „ვერც ჯავახიშვილი მივიდა არსენა მარაბდელის შემდეგ ჩვენს სინამდვილესთან. „ქალის ტვირთიც“ ამის მაჩვენებელია. მაგრამ პროზაში-ლიტერატურაში ჩავარდნა კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 594, გვ. 13] (სურ. №77). დია ჩიანელი 1937 წელს დახვრიტეს. იქამდე კი, როგორც ვნახეთ, არავის ჩამოუვარდებოდა კრებებზე აქტიურობით. ამაზე უფრო აგრესიული გამოსვლებიც ჰქონდა: „ბ. ბუაჩიძეს ბევრი ცოდვები აქვს. მას თავისი ჯგუფი უსათუოდ ეყოლება. ბევრი კაი ძმა ბიჭი უმშვენებდა მას გვერდს. საჭიროა ეს ძმა ბიჭები იქნენ მხილებულნი. დროა ამხანაგებო, ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს პოლიტიკური უდარდებლობა და სიბეცე... ყველა პატიოსანმა მწერალმა უნდა გაამახვილოს ყურადღება იქით, რომ ლიტერატურაში განადგურებული იქნენ ბოლშევიზმის მტრები. ამას გვიკარნახებს ჩვენ ეპოქა. ამას გვეუბნება ჩვენ დიდი სტალინი თავის მოხსენებაში და ჩვენც მიტომ ვამუშავეთ პლენუმის შედეგებს, რომ ლიტერატურაში უნდა განადგურდეს ტროცკისა და ბუხარინის, რიკოვისა და ავერბახის ნაბოლარები: ისე ჩვენ ვერ შევქმნით დიდ ლიტერატურას“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს.594, გვ. 7]. რა გასაკვირია, რომ მისმა შვილმა ჩემი ნაშრომის „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს (საიდუმლო არქივებიდან)“ შესახებ, 1999 წელს, მწერალთა კავშირში განაცხადა, ეს წიგნი არ უნდა დაწერილიყო. საზოგადოება „მემორიალის“ ზოგიერთ წევრს ძალიან არ ესიამოვნა, რომ მათ გარდა, სხვებიც ჩაიხედავდნენ საარქივო დოკუმენტებში.

სხვათაშორის, 1934 წელს ფანასკერტელმა ჟურნალ „ნიანგი“ გამოაქვეყნა იუმორისტული ლექსი „ქართველი მწერლები ჯოჯოხეთში 1990 წ.“, რომელშიც ყველა იმ მწერალს, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ჯოჯოხეთში მოუყარა თავი. იქვეა დიდ მწერალიც:

„ჯავახიშვილი მიხეილი არ დასამალი

მობატუნებდა მარაბდელის გატეხილ ხმალით“ [ფანასკერტელი, „ქართველი მწერლები ჯოჯოხეთში 1990 წ.“, ჟურნალი „ნიანგი“, 1934, №13, მაისი].

ლექსი ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არ არის.

104 10.

სტოვებს, ღიჯებს ავტორს სურდა ერთი კალმის მოხმობა
აწვარნიში გაუსწორებო ალბურა შეშინსაღვის.

მინ. ჯავახიშვილი, როგორც სწავს მიუხედავად თავის ნაცვარ
კალამს, თავის დიდი მიხსნა რა და მოსურნა ცხრას ხუთის
რევილიუციის ამბობის გატყობილ და, მავრამ, საძვუხაროდ,
მასს კალამისა უმცყუნა და მიხსნა რა მაც. სხვა შეშინსაღვის
ში მას არ მიუვიდოდა ის მარცხი, რომელიც პოლიტიკურსა და
სოციალურ საკითხებში არა სწორი გაშეუებოდა რომ სრულდებოდა

მიუხედავად იმისა, რომ მინ. ჯავახიშვილი ახას
ცხრას ხუთი წლის რევილიუციის მომსწრეც არის და მისი
ერთგვარი მოწაწილაც, მან მაინც ვერ შესძლო ამ რევილიუციის
მისი წამომიწყება და მოწაწილთა დამაჯერებელი სურსაღობის
მოყმა. რომანი არის სამარადისი გაფიცუბზე, ფარისფერა აქ
ფუბზე და, საზოგადოებ, რევილიუციებზე, მავრამ ღვირ რევი-
ლიუციისა და მისი გამოვიდნება სხვა ფაქტები და მოვიდნებო
უშუალოდ არ არის ნაწვედებო. ყველაფერი ეს კი რომანის
დიდი ნაკლია.

როდესაც ავტორი ავვიწერს ძველი თავადების ხასიათს
მისი კვასს ან და გადმოგვიყვამს უაქლარში ავმაროვის ცხრად
ფრების დავალები, უთხრს ქალბის პერიოდს, ან კიდევ გვი-
ხატავს ღვირებისა და სამხედრო მიხსნების პირთა დროს გა-
ფარებას კაფუშანტანებში- იგი ძლიერია, - ძლიერი თავის
სიმაღლით, მხავრების დამაჯერებლობით, - მავრამ სუსტია
და უფრუი, როდესაც იგი მოწაწილდებოდა დაგვისაბუთოს
რევილიუციისა და რევილიუციონერთა თავგადასავალი, მათი მსოფ-
მხე დელობა, ბრძოლა პოლიტიკებასა და მიწვევიკებს შორის.



1173

აიღე და შენი რამის გვიჩი - ბურაბ გურგენიძე, რომლის
 სახელი მოცემულია ტიპი პრინციპული რეაქციონერისა - ბოლშე-
 ვიკის. აფორი სცდრიოზს ბურაბის მოქმედებაში, მის სა-
 სიამაში, მთელი მისი მოღვაწეობაში - გვაჩვენებს მტკიცე-
 გების მქონე - დასრულებული პიროვნება - რეაქციონერი,
 მაგრამ ამისა. დატვირთული ციხისა და მისიანსა, დატვირთუ-
 ბული რეაქციონერისა - ბოლშევიკის, რომელიც აღჭურვილი
 უნდა იყოს ცოდნით, ბოლშევიკურის შეუძლებლობით, მტკიცე
 მსოფლიოებზედობით, დაუბნის წინაშე წარმოსდგეს და საკმარისად
 უსიცილო, მუდმივ მოქალაქური მცნებებში და ამრეზით
 გამსჭვალული ადამიანი.

მის. ჯავ ხიშვილი "ქალის ტვირთშია" იმერეთის მა-
 თას შეცდომებს, რომელიც სექსუალური მომხრეების გა-
 დაჭარბებული დასურაობით რომ განისაზღვრება. აქაც რომა-
 ნის გვიჩი - ბურაბი დიდ პოპულარობას ამჟღავნებს ქალთა დამორ-
 ჩილბის საქმედში და ეს ურთიერთობა ისევე ხიდაბლივდებო-
 ყდა, რომ ჯერ კიდევ რეაქციონერობა და მეფის მფარველ-
 ბის ხელმძღვანელი ბრძოლის დასრულებამდე ურთის ბნელსა და
 ქუჩების სადრამტი იმარჩილუ და ავტორის უკვე კანონიერ
 მეუღლეს - ქეოხს. საცხებობ მარადისა მომსახურებელი როდესაც
 რომანის ამ მომხრეებს კრიტიკის ქარებილი ატარებს...

მის. ჯავხიშვილი სიუჟეტის დიდი მსჯელობა, მაგრამ
 ამ შემხვევაში რომანის სიუჟეტის ვანვლარობაც ურ არის
 დირსეული სიმართლზე, დაქვეში და მოვლემები მოკლებულია
 დრმა საფუძვლს და ხშირად ამჟღავნებს სიყარბის იერიც გადა-
 კვრავს.



ამბ. ბაქრაძე - ამხანაგე ბო, მე რომანი მიღობადა არა მათვის
წავიხსენებ, ვინაიდან დაბეჭდილი ჯერ არ არის და ამი-
ტომ უნდა ვისმჯღელთ მიხლოდ უწინააღმდეგე პაციონტი
მავბიძი. ამიტომ ჩემი მსჯელობას სრულად არ იქნება
მიხრდა მიხლოდ რა მივნიმი მე დამეხება ვაჟაკობა.

პირველი- იმი ახალი სისტემის შესახებ, რომელიც
შემოიღო მწერ ~~მწერის მიხედვით~~ რასაკვირველია ავტორმა
შეფიქრება შესწორება შეეცადა ამ რომანში წიგნად რომ
გამოეშვა და მაშინ ეს კამათი და ეს შესწორებები
აღარ იქნებოდა საჭირო, მაგრამ მეორე მიხრდა ეს დისკუსი
იმი დროს როდესაც ჯერ რომანი ჯერ წიგნად არ არის
გამოსული იმ დროსწინვე და დახმარება ავტორს ამ ნა-
წ უმოკლეს შესწორება და ვადაკრებდავ. ერთი რამ
უნდა ითქვას. ავტორმა ვინ მოგვცა ბურაბის ტიპი?
ამ პირველ მავბში ბურაბი არა ისევე ტიპი რომელიც
ვაშხვავედებოდას საერთო ვარსიდან. მიხრდა სხვა
რომანეშიც ყოველთვის ვარსად აქვს დაჭერილი ეს მიხრდა
მაგ. პირველი გამოცემა ბურაბ გურგენიძისა ამ რეჟი-
ონტონდერ- პრეზიდენტისა ბოლშევიკისა მათგან ვარდა
მის მსჯელობისა არაფრით არ ვაშხვავედებ ვარსიდან.
რომი მავარი გმინი იმი დისკუსიონ ყოველივე რომელიც
მის წარმომადგენელს ვადას აქვს, მაშინ ის იქნება ბოდა
ერთგვარინიდან ახალი, კიდევ რომ არ დაეწინა რაიმე
რეჟიონტონდერი აქტი. მე ვხედავ მასში ერთგვარ მავა-
ლიბს. მას სურს დაგონება ვაჟაკობის ქალს რომ წა-
ყვავ ავტორებს, რომ გაუჩიოდ ამის დახმარება საერთო



საქართველოს National
არქივები Archives of
საქართველო Georgia

№70. [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8. ავ. 1, ს. 623, გვ. 37].

ისტორიული რომანი "ქალის ტვირთი". უკანასკნელი როგორც
 მსაფრთხილი შესრული ბის, ისე ისტორიული სიბრძნის მეტეორის
 მიხედვით სრულიადაც უნდა იყოს იმ დროზე, რომელიც
 იგავს ისტორიული პირობის, რომლის სურათის მიხედვითაც პრე-
 ტერმინაც აქვს რომანს. "ქალის ტვირთი" ისტორიულია იმ
 მის ისტორიული მხარის გამო, რომელიც ჩვენს წინაშე
 გარკვეული დროს ახასიათებს. რომანი უნდა გამოიყვანოს
 იმ დროს ისტორიული კონტექსტი, რომელიც ჩვენს წინაშე
 რეალურად სახილავად იქნა, უნდა გამოიყვანოს ამ
 უკანასკნელის მათგან, სურათსაც დაუბნოს.

რომანი იხილავს ისტორიულ მხარე რომანში. მისი
 მიზანია მოგვცეს 1905 წლის რეალურად ჩვენს
 მხარე სახეობისა და გმირული გამოცდის გამო. მისი
 მანუხისმიერად იმ მხარესთან დაკავშირებულია აქვს დასა-
 ხული ავტორს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა: "ისტორიული იყო
 საფრანგის საზოგადოება, მისი იდეა მიხედვით უკიდურესად
 მისი მიზანია" - რ. ჩვენს სინამდვილეში გამოიყვანა მისი
 იდეა იმ დროს: 1905 წლის ისტორიისა და ქმნიდა ცხოვრების
 წინა პლანზე გამოსული ისტორიული მხარე, ჩვენ
 მოწინავე საზოგადოება - ავტორის მიხედვით იყო ამ
 დროს უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტის კონტექსტი,
 მისი გამოცემა, ამ დროს იმ სახილავად და და-
 ხასიათებს, რომლისაგან ისინი მოქმედებდნენ, ავტორის მი-
 ვალია იყო ჩვენი პირობებიდან გამომდინარე ის
 ისტორიული მოვლენები, რომელიც 1905 წ. რეალურად
 სახილავად იქნა, გამოიყვანა უნივერსიტეტის მიხედვით.



16

მცოდნეობის ყურადღებებს შევიტყობთ იმის ვაჟად იმისგან რა-
 ლად, იწვევს იმისა და არა ეს პრინციპი ყოველთვის და ყოველ
 ვითარებაში. ქვეყანა ყოველ მოქმედებას განსაზღვრავს
 არა იმიტომად ვრთობის, 1905 წლის რევოლუციის ამოცანები.
 ეს ვრთობა მისთვის საინტერესოა, მისადებია რამდენადაც
 იგი საშუალებას სთავაზობს ავტონომიის დასახლებას. ამის
 ავტონომიის იმისი გვირგვინის საუცხოველ დასახლებას,
 რისა ამბობს:

ქვეყანა ახალგაზრდა ვრთობის ვადებში შეიძლება და
 ამიტომ ვანის ფრის იტვირთვას. ქვეყნისთვის ვანის ფრის
 იტვირთვა სრულ ქვეყნისთვის ვრთობა მას ბურჟუაზია-
 მებრ ქალი ხარ, ნაბიჯები ქალი ხარ, მორჩილ და ვადავდა
 ახალი რეალის იგი. მ. ჯავახიშვილი არ-ღალატობს
 თავის რევოლუციურ ვრთობა ავტონომიის კონცეპციას და
 ამ რეალის ვრთობის ფრთხილად იტვირთვის მათგანდაც
 ვიცი. რაში მდგომარეობს ეს მიკვირება? ქვეყნის
 მთავარი არა სოციალური ავტონომია, იგი სუბიექტის
 არა სოციალური იტვირთვა, არამედ მასში მთავარი ბოლოგ-
 უნი იტვირთვები და მიზნობრივად, და ავტონომიის ახარ-
 ხებს მთავარი გვირგვინის სოციალურ ვრთობის თანდასწავლად.
 შევადრას, ვინ ახარხარ მის რევოლუციურ ვრთობის
 მთავარი * ვარდავას, ქვეყნის მოქმედებაში შენგან.
 რევოლუციურ მოახლოვნილება ბიძა ვამოც ვანს და ამ რიგად
 პრინციპის მართლ საფუძვლებზე ავტონომიის-სამთავროდ იგი
 კვანთვნი დაშორებული და საცხად ნაფურადისგანი ფრთ-
 ბი ავტონომიის მთავარი მოქმედების პირის უფროს სქესობრივ
 ღვრავას. ქვეყნის, რომელსაც შენგან წინააღმდეგობანი
 ღრღინის და დასასრული მათი მსხვერპლი ხდება, შეუძლიან



70 99
3.-


ტანჯიშობის ქონააღმშენებელი საბრძოლველად. მისაბრძოლველად გმირად გახდა
ბრძოლაში. ასევე მისაბრძოლველად გმირები დაგვატოვა და მივიღეთ უნ-
და ჩვენც ჩვენს მიწვევით მივრმეველებს.

ჩვენ ვინავე შევქმინათ ხვალისთვის ქვეყნის განმანათლებელი
გმირი, გავეხდეთ გმირი უკვე ჩამოაყენებინათ. სტახანოვიჩისა მოთ-
რათავე ჩვენ დაგვანახა ეს.

სოციალისტურ მიზნებისთვის სისწრაფეს უნდა ავსოვდეთ ნაბიჯებით.
როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ჩვენც მივრმეველებს მივნიშნავთ
და მათთვის ვეძებთ მუშაობის გზას. რასაკვირველია ცუდი არაა
ეს. მაგრამ მე მგონია არც ისა ვარგისი რამეს ვიპოვებ მიწვე-
ვებში. დახელოვნებულნი მსახურებში როგორც მინ. ჯავახიშვილი, პ.
შენგელია, ვ. ჩიკვაძე, ვ. საყვარელიძე და სხვები, მხოლოდ
მსახურების მიზნით გაიხადონ მიწვევებს საგნად. მინ. ჯავახიშვი-
ლის "ქალის ფონის" დიდს აღფრთხილებს ელოდნენ ჩვენი მიწვე-
ვები, მით უმეტეს, რომ ეს ნაწარმოები იყო შედეგი ბევრად
მიცემულ სიტყვასა.

ვინ არის ეს ნაწარმოები ისევე, როგორც მიხედობისაგან მოვე-
ლოდით. არ ვიცი რატომ დასწრდა მიწვევას საქართველოში არსე-
ბ დ პოლიტიკურ პარტიებს გაერთიანება ერთ რეპრეზენტურ ოჯახ-
ში და რევოლუციის და კონტრევოლუციის, იმ ოჯახიდან დაწვება.
სხვა ოჯახებიც მოიხსენებოდა. მართალია, ნაშევაშია ერთი ბი-
დან ჯვარის გამოცა და ნიჩაბიცი, მაგრამ ხიდან ჯვარისა და
ხიდან გაკეთება ვერ არავის უყვარია. ჩემის ამით დღიან
ვარგისი იქნებოდა რომანი "ქალის ფონის" უფრო დასრულებული იქ-
ნებოდაც, უფრო დახვეწილიც გმირები. გარდა ამისა ამხ. მიხ.
ჯავახიშვილმა უნდა იფიქროს ჩვენი დღევანდელია ასახვაზედაც.
ჩვენი მიწვევები დიდი ზარალია და ინტერესით შეხედებთან
მახ. ელოდებთან. ასე სხვებზედაც.


ამ მხრივ ვ. გამსახურდიამ თქმის ფუნქს ქაასწრო. "მთვარის
მოხატება" პირველი ბიდი რომანია ქართულ ლიტერატურაში საკულ-



28 98
9.


არც აქვს უფროებს, არც ბაღანს, მის უფლებას აქვს რა წუთშიც
 აც უნდა მოიწვიოს სპეციალისტები, დაკეთოს ყველაფერი და რე-
 ვიზია დაიწყოს, ხუთი წელი განმავლობაში ურთხვლავ არ გაუკე-
 თებია რევიზია. აქ გამოსვლა და შემოიხილა, რომ საქმიან
 რევიზია არაა არ ვიპოვა, არ ვიპოვა მით უმეტეს, რომ მის მი-
 ერ წამოყენებული საბუთები სწორი არაა. არც ის ვარდა, რომ
 სახევიზიო კომისია შეიქმნა იყოს მონაწილე სხვებთან ერთად
 ფუნქციონირებს, შეიქმნა ცოცხალი იყოს, რთხი ახასი მანუ-
 თი აქვს საბ. მწერელ. წელიწადი ბელარუსის დიქციონარში. აქ კი
 ერთ ვისმის ეძღვნა. ამხანაგებოთ მოგვეცით საშუალება ჩვენც
 მივცეთ ჩვენ წევრს ხუთასი მანეთი, რომ ბნა შეიქმნას.
 მე არ ვამბობ, რომ ფუნქციონირებს არ გასცენ, არ დაეხმარონ, ხელი
 არ შეწყვიტონ, მაგრამ უნდა იყოს მიხედვით, მივითარებოდნ მი-
 ხედვით. ამხ. ჯავახიშვილიმ რაღაც არა სსსრკ-ის კოლონი ილა-
 შარავა, ბოგოროვებს ამ შემთხვევაში და ხელი ჩადენა,
 გააჩნა სულ ერთად აღარ დაგვიბრუნებიათ. მას გაუგებია ჩვენი
 მიწერაობა, ერთნი სამოქალაქო, მეორენი სანდონი და პირიანები,
 ერთს შეიძლება რევი ახასი ასეუხო, მეორეს ახი შემანი და
 ხელი ჩადენო, სხამე, ჩახელო. აქ სამოქალაქო არაფერია, ჩვე-
 სი ხელისუფლება სამოქალაქოს არავის არაფერს ურიგებს, ვინაიდან
 მოქალაქებს გადახვევს აქვთ და ჩვენ გადახვევი არ გვეყავს
 რაღამი პირნი ბოგოროვ ჩვენ მიწერებებს რომ შეიქმნა დიდი
 მიწერაობა და დიდი ფაშა უნდა. ფაშა შრომატა დამოკიდებული
 ძველს ნაშრომის მიხედვით სწამს ყველა. დიდი ამხ. ჯავახიშ-
 ვილი, დიდი პ. საყვარელიძე, დიდი სხვებიც, მაგრამ ნუ დაბ-
 ვიწყებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს გადიდებენ, ამ დროს
 მოხვედრეს მათ სახელი და ნუ გაუკვირებთ, რომ მათზე დი-
 დები ამჟამად გამოგვეჩვენოს სწორედ იქედან სადაც ჯერ კიდევ
 პატარები არიან.

ჩვენ გვეყავს ისეთი მიწერები, რომლებიც მიუხედავად იმისა,
 რომ საკმაოდ მუშაობენ ეკონომიკურად სუსტად ცხოვრობენ დიქციონარს



513 4
1-4 გ.მ.

მაგრამ შემიძლია რაღასაც რომაინი დამთავრდა? ჩვენი იძულებული
ბუნებრივი ვადავით, ვინაა და იგი რომ ვს ჩვენი წინასწარნი მოსა-
ზრებები შემიძლიაა მიმიჩნია, უ.ი. ამი ვადალამზრისიდაც,
უ.ი. ავტორის უკონკრეტონი ვადალამზრისიდა არ წარმოუდგენს
მისი ავტორის წინსვლას, რომ არსებობდა იგი რაღა იმი
ქველი შეხედულები შეფრევადა, ლეონიდა ბოლშევიკური
პარტიის რაღა და დანიშნულია და ეს მისი ასევე
შეხედულია, ასევე ვადალამზრისი გამომიქვავდა ბოლშევიკ-
ურს ტიპის მოცულობა. ან ეს ბუნადი ავტორის მიანიშნა დამ-
ოვილი მანამდე ვერა ბოლშევიკად, ისევე აღამიანად რომელიც
მანამდე იქნებოდა ავტორის ბოლშევიკური პარტიის გეზს.
ის ვადალი სიფრთხილი და სავიზიტი მილიანტი პიროვნება ავტორის
წარმოგვინი. მაგრამ რამდენად სწორია ეს? ჩვენი ვადა-
ლამზრისი? რამდენად არის იგი ბოლშევიკი. ან ამი კითხვას
მე ვადავით ვასუსს, უნდა ვთქვათ, რომ ავტორის მიტოვნი მი-
ტად ვადალი წარმოგვინა აქვს ბოლშევიკი. ამის ილუსტრაციას
უხედავ იძულები ვადალი მოხსენებამი ამის. მ. აგხანიძე.
რომი იმი აზრად, იმი შეხედულებები და იმი ურთქველნი
აღამიანს, როგორც არის ბუნადი, ურთქველნი შემიხედავით
ჩვენი ბოლშევიკად ურთქველნი და ვერ საფაღნი. მე არ
ვაფიქრებ იმი ფაღნი რომელიც აქ მოიყვანა. ავტორის
ვანაცხადა აქ რომ მე ამოვარაფერი, უ.ი. ამის აღარ დამარა-
რავებს რასაც დამარავებდა ბუნადი, მაგრამ ეს შეხედის სა-
მის? მას ხომ არ ამოვლია მიხელი ის მოქმედებები, რასაც ის
სადის. არის მე არა მისი მოქმედებები ბოლშევიკის მოქმე-
დება ან ამი კითხვაც...



ფრთხილიყო, მარტოაყო, ქიქოძე დივიდუნი და ჯა-
შუშვილი იყვნენ. ვერ შევამჩნიეთ და რთი პარტიის ფინანს-
რი მუშაო არ ყოფილიყოს. კოფე გორდუაძესაც ვრგებოდა
მიუძინი აღბაი ჩვენი კავშირში საჭიროდყო.

(სპი ფყო პირველია 1932 წელიში კრკკომიტეტის მათ-რე
მიუძინაბს მავისი ახსნა აქვს ამხანაგებო და აქვედა
ჩვენი საჭირო დასაცნა უნდა გათიკვიფანო.

ამხანაგებო, გადამაჯობებულო სიფხიზილე გვაძიარმღებს
განსაცუობებულო სიფხიზილე მუავშირის სამიდივროში მიმიუშავთ
არ ვარგა. ყოველი ვას ცერებოი სიარული, საჭიროა
ყველაფრის შემოქმედება:

მახსოვ 1934 წელს მიწერალო კავშირის პირველი
დღეშიგრაქვი გადამაჯობებულო გავმასვილა მავისი კრი-
ტიკა ქიქოძის წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოში ვერ მიი-
ყვანა, ქიქოძის დებოშია, აუ პარტიული დამი იგი
საკავშირო ყნილობის დღეგავადაც გახდა.

განსაცუობებო უნდა გავმასვილო ყურადღებ ა
ფრთხილული და სხვა მბოლნადა წინააღმდეგ ახლა,
როცა მწიფე ირკვევა, რთი ბენიყო ბუაჩიძე აფრბახის
მიხანადა ყოფილა. ბ. ბუაჩიძე 23 აპრილის დღეგნი-
ლებს სიხარული უნდა შეხვედროდა, ეს ცვას გეზი აღ-
ფრთვა მიბი უნდა მიიღო, დაუჭრებინა ძველი შეფორმი-
ბი გაღებხილისებია საჯაროი შემოქმედება, მაგრამ
იგი უკვიყოფილო იყო, ის ჯანე გამგდაგრი სერის უფრ-
როდა, მარ სეკვანტური მანვიმიუ ვრობი აფრბახის საქ-
მის აკვებებდა.

სხანდა აუ არა ეს? სხანდა, მაგრამ ჩვენიარ იმდ-
ნაი არის ძმობიჭობს პოლიტიკა, რთი ამის შესახებ,
არა ფერს ამბობდენ, არა ფერს და მარაკობდენ, აღბაი



138.

ფრაფიტიკა უნდა მოხსნას.


კაფიჩიჩი ყველას უნდა ვინაობა ჰქონდეს, ყველას ცოდვილებს უნდა გვეუბნებოდეს და გაქარაზებულ ბნელ შინაგან ბრძოლას კაფიჩიჩის მფრთხილებს წარმოადგენდეს არამედ კრიტიკის საქმედება.

ბუნებრივად კომუნისტები, მწიგნობარი წინ ვერ წაივან, ყურადღება შესძენს.

ახლა ჩინურ სიფრთხილად ამხანაგური შენიშვნის სახით მიიღება მიტოვებული ზოგადი წამყვანი პოეზია და მწიგნობარი, რომელიც აქ სწავლა იმედა: 3. იაშვილი უსაბუთო პოეტის მიერვე პოეზია. მისი ღრუბრიანი კონტრბუნება, უსაბუთო სურათი, პოეტო იაშვილის აქვს მფრთხი იმპერია, მფრთხი უკვამლად სწავრის, მაგრამ მის აკრის ის, რაც ბუნებრივად, რომელიც ბუნებრივად ქვეყნის მოგახსენებდა.

ვინც ჯავახიშვილი მიიღობ არსებია მარაბეზის შემდეგ მიხედს სინამდვილეში. "ქალის ცვლილი" ამის მარტვერებელია. მაგრამ პრინციპული-ლივერალიზმი წამყვანად კონსტრუქციულ გამსახურებას "მფრთხის მოგახსენება".

3. გამსახურება მშობი განიჩნება ჩვენში მწიგნობარი პრინციპული-ლივერალიზმი, რომ იგი საჭეობის დაუფლებულია წერის ფორმისაში. უსაბუთო გამსახურებას ნაწარმოები გემოვნებით არის გადაეფუჭა. 3. გამსახურება სწორედ სარგებლობს ჩვენში პოეტოლოგიური სიმბოლოები, ჩვენი პოეტოლოგიური უარყოფითობა. "როცა 3. გამსახურება "ცალი მფრთხი" უცქერობა ჩვენს სინამდვილეს, ჩვენ ვამბობდით, აცადეთ, ისიც საკმარისია, ცალი მფრთხი რომ უცქერის, მფრთხი ატყობდით. როცა "დიონისოს დიონის", სწავრა ვამბობდით აცადეთ დიონის სულ მაგნიტად მფრთხი განიჩნებებს ჩვენს სინამდვილეზედ.



საქართველოს National Archives of Georgia

თავი VI. მიხეილ ჯავახიშვილის ტრაგიკული აღსასრული

VI.1. მიხეილ ჯავახიშვილის მიერ, დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე, საკუთარი ხელით დაწერილი განცხადება

ახლა 1937 წლის ტრაგიკულ მოვლენებს შევეხებით. ქ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს: „ივლისის შუა რიცხვები იქნებოდა, პაოლო იაშვილი ბერიამ რომ თავისთან დაიბარა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ბერიამ მას დაავალა მამას და ტიცციანის წინააღმდეგ ცრუ ბრალდება დაეწერა, რომელსაც ისინი შემდგომ საბუთად გამოიყენებდნენ“. ეს ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ჩვენებების მიცემას მხოლოდ პატიმრებს როდი ავალებდნენ. 2008 წელს გადაღებულ დოკუმენტურ ციკლში „1937“ ნაჩვენებია, რომ ასევე დაიბარეს მსახიობი აკაკი ვასაძე, რომლისგანაც წერილობით მიიღეს გარკვეული ინფორმაცია. ეს მაგალითიც იმაზე მეტყველებს, რომ ამგვარი დაბარებების პრაქტიკა არსებობდა. იგივე მოხდა მ. ჯავახიშვილის შემთხვევაშიც. 1937 წლის 21 ივნისს, მიხეილ ჯავახიშვილი დაიბარეს და მოსთხოვეს ყველაფერი გულწრფელად დაეწერა, როგორც მან ეს 1923 წელს გააკეთა და გადარჩა. ძველმა მაგალითმა იმედი მისცა, რომ თუ ყველაფერს აღიარებდა, სხვებს დასჯიდნენ. თავად კი ისევ უვნებელი გამოვიდოდა ამ საქმიდან. ეს არ იყო გამზადებული ჩვენება, რომელზეც ხელი უნდა მოეწერა. ტექსტი იმაზე მეტყველებს, რომ მ. ჯავახიშვილი წერის დროს ფიქრობდა, დაწერილს შლიდა, ასწორებდა. მან საკუთარი ხელით დაწერა 34 გვერდიანი განცხადება და ხელიც მოაწერა [სუკ-ის არქივი, მიხეილ ჯავახიშვილის საგამომცემო საქმე №9997] (სურ. №78). ნაცემი ადამიანი ამდენს ვერ მოახერხებდა და თანაც ნაცემს გარეთ არ გამოუშვებდნენ. მ. ჯავახიშვილის შესახებ წერილობით, თუ ზეპირად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მას ბერიას, ან გამომცემლების მიერ შედგენილ ჩვენებებზე მოაწერიეს ხელი. რას ეყრდნობა ეს მტკიცება? ვის აქვს ნანახი მ. ჯავახიშვილს ხელმოწერა სხვისი ხელით დაწერილ, ან საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილ ჩვენებაზე? ასეთი დოკუმენტი არ არსებობს. მწერლის 1937 წლის საგამომცემო საქმეში №9997, რომელსაც მე 1990 წელს დედანში გავეცანი, იყო მ. ჯავახიშვილის ხელით, 1937 წლის 21 ივნისს დაწერილი 34 გვერდიანი განცხადება, მისივე ხელმოწერით. დანარჩენი განცხადებები და ერთი ჩვენება საბეჭდ მანქანაზე იყო დაბეჭდილი. მათზე ხელმოწერა არ არის. ამ დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია, ზემოხსენებულ განცხადებასთან შედარებით, ბევრად უფრო შერბილებულია.

1980-იანი წლების დასასრულს, ჩვენი პრესის ფურცლებზე გაჩნდა სისხლიანი წლების ამსახველი პუბლიკაციები. მიხეილ ჯავახიშვილი იმათ რიცხვს მიაკუთვნეს, ვინც „არც კრებებზე და არც შემდეგ, გამომცემელთა კაბინეტებში თუ სანამებულ საკნებში, არც აღიარებენ, არც გამოტყდებიან, არც მოინანიებენ, რადგან იციან, მათ არა აქვთ უფლება იმ ხალხის და იმ ქვეყნის მოლაღატედ გამოაცხადონ თავი, რომელიც მთელი არსებით უყვარდათ და უყვართ. არა აქვთ უფლება თუნდაც იმიტომ, რომ შთამომავლობას გული არ ატკინონ, რწმენა არ შეურყიონ, სირცხვილისაგან არ გაანითლონ... სული აღმოაჩნდათ ფოლადის – გაუბზარავი, გაუტყეხელი, მონოლითი...“ სამწუხაროდ, მ. ჯავახიშვილმა თავისი „დანაშაული“ კიდევაც აღიარა, კიდევაც მოინანია და 50-ზე მეტი ადამიანი დაასახელა, რომელთაგან, როგორც დავინახავთ, ოთხი ნამდვილი გმირი აღმოჩნდა.

ზემოხსენებულ საკუთარი ხელით დაწერილ განცხადებაში დიდი მწერალი წერს: „გასული წლის აგვისტოში იაშვილმა მე, მოსაშვილი და ქიქოძე თავისთან დაგვპატიჟა არგვეთში, სადაც 4 დღე ვატარეთ. აქ ჩაისახა აზრი ჩვენი, ოთხის, მომავალი ფაშისტური ორგანიზაციის ბირთვად გადაქცევისა“ [სუკ-ის არქივი, მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის საბრალდებო საქმე №9997, ფ. 18].

მ. ჯავახიშვილი ვრცლად მსჯელობს ფაშიზმის შესახებ: „იდეოლოგია ჩვენ გამზადებული გვექონდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერი უფრო ხშირად და უფრო ხმამაღლა ხმაურობდა, ვიდრე მუსოლინი, ჩვენ იტალიურ ფაშიზმს ვანიჭებდით უპირატესობას, რადგან ის უფრო ზომიერი და „კულტურულია“. გარდა ამისა, ჩვენ არ ვიზიარებდით სისხლის თეორიას საერთოდ და კერძოდ იმ-

იტომ, რომ ქართველებს სხვადასხვა ჯგუფის სისხლი აქვთ, რაც ხელს არ უშლის მათ ეკუთვნოდნენ ერთ რასას“ [სუკ-ის არქივი, მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის საბრალდებო საქმე №9997, ფ. 19].

ამავე 1937 წლის 21 ივნისს დაწერილ განცხადებაში მ. ჯავახიშვილმა ჩეკას გაუმჟღავნა, რომ მას და მის ჯგუფს შეეძლოთ მხოლოდ მაშინ მიეღწიათ მიზნისათვის, თუ სსრკ ომში დამარცხდებოდა, ან მის ევროპულ ნაწილში საყოველთაო აჯანყება იფეთქებდა. სხვა შემთხვევაში, ადგილობრივი აჯანყება განწირული იქნებოდა. 1924 წლის გამეორება სიგიჟედ მიაჩნდათ. პაოლო იაშვილს, თითქოს, თავის თავზე აუღია უცხოელებთან დაკავშირება და მათი მეშვეობით ქართველ ემიგრანტ თანამოაზრეთა შესახებ ინფორმაციის მიღება. ამ მიზნით დაუკავშირდნენ პოლონეთის კონსულს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოში მოქმედ არალეგალურ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებას. 1939 წელს ნოე ჟორდანიას წერდა: „ჩემთვის კი მთავარი იყო ქართველი ხალხის მეზობელი სულისკვეთების შენახვა, მისთვის ხელისშეწყობა, იქაურ არალეგალურ ორგანიზაციებთან დაკავშირება და მათი საშუალებით მუდმივი კონტაქტი ერთან... მეორე მხრით, დიდ მნიშვნელობას ვაძლევდი პოლიტიკური ემიგრაციის მთლიანობის შენახვას, მეზობელი აპარატების შექმნას და მათ წინამძღვრობას“. [ნოე ჟორდანიას, „ჩემი წარსული“, პარიზი, 1953 წ., გამ. „სარანგი“, თბ. 1990 წ., გვ. 129].

მ. ჯავახიშვილის თქმით, პოლონეთის კონსული თანამემნის მეშვეობით ქართულ ემიგრაციასთან დაკავშირების თაობაზე დახმარებას დაპირდა, მაგრამ შემდეგ, შანტაჟი მოუწყო და თავის სასარგებლოდ გამოიყენა იგი. კონსულს სამხედრო პირთაგან საიდუმლო ცნობების მიღება სურდა, მისი მუქარის შედეგად, მ. ჯავახიშვილმა პოლკოვნიკ ლევან გარსიაშვილს ბარათი მისწერა: „ლევან, უკიდურესად აუცილებელია ამის გაკეთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაილუპება ბევრი შენი მეგობარი, მათ შორის მე“. კონსულის თანამემნემ გარსიაშვილისაგან ცნობები მიიღო, რისთვისაც მეორე დღეს მ. ჯავახიშვილს 3000 მან. გამოუგზავნა. შემდეგ იმავე პირმა მ. ჯავახიშვილი აიძულა ანალოგიური ბარათი გაეგზავნა ბეგლარ ფალავასთან, რომელიც სახკომსაბჭოში მუშაობდა და დოკუმენტებთან ჰქონდა საქმე. იგივე განმეორდა. კვლავ 3000 მან. მოუტანეს. მ. ჯავახიშვილი წერს: „მე ვიმედოვნებდი კონსულის გამოყენებას, სინამდვილეში კი მისი ხელშეწყობის როლში აღმოვჩნდი. ჩემი წყალობით მან 6000 მანეთად ორი ჯაშუმი იშოვა“ [სუკ-ის არქივი, მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის საბრალდებო საქმე №9997, ფ. 28]. ამ განცხადების დაწერის შემდეგ, მ. ჯავახიშვილი სახლში გამოუშვეს და მხოლოდ ორი თვის შემდეგ დააპატიმრეს. ახლა კი დედნისეულ ენაზე გაცნობთ მიხეილ ჯავახიშვილის მიერ 1937 წლის 21 ივნისს დაწერილ განცხადებას:

«Наркому в ну дел ССР Гр.

Михаила Саввича Джавахишвили

Заявление

По мере роста фашистских сил за границей у нас начали проявляться фашистские тенденции. Особенно это проявилось после победы фашизма в Германии (1934 г.), но с 1935 г. рост легкой индустрии в СССР, устранение очередей, создание все более сытной жизни явились той силой, которая мешала сильному росту фашизма. Тем не менее он наблюдался среди интеллигенции, в том числе – радикально левой. Многие из них – в том числе я – постепенно разочаровывались в европейской демократии, которая шаг за шагом теряла свои позиции (победа консерваторов в Англии, поражение радикалов во Франции и т. д.). С другой стороны на перемену настроений среди интеллигенции оказывала сильное влияние более твердая внутренняя политика в СССР. В частности писатели чувствовали это в том, что постоянно стал суживаться его тематический круг и все строже и строже начали относиться к нам Главлит и редакторы. Неустойчивые элементы начали шататься, и одним из таких неустойчивых оказался я.

Медленно всасывала меня фашистская грязь. Больше всего своих единомышленников я обнаружил среди писателей (Геронтий Кикодзе, Ило Мосашвили, Константин Гамсахурдия, Константин Чичинадзе, Аристо Чумбадзе, Павле Иашвили, Тициан Табидзе). Нужно и в дальнейшем иметь в виду, что

я все время вращался среди писателей, с другими же знакомыми встречался случайно на улице, где я показывался все реже и реже.

До 1935 г. и впоследствии группа писателей и не писателей часто встречалась за карточным столом – играли в преферанс, потом ужинали. Беседы за столом открывали души людей. Чаще всех за этим развлечением я встречался с Кикодзе, Мосашвили и Чичинадзе, которого с осени прошлого года заменил Иашвили. В августе прошлого же года Иашвили пригласил меня, Мосашвили и Кикодзе к себе в Аргвети, где мы провели 4 дня. Здесь и зародилась мысль о превращении нас четырех в ядро будущей фашистской организации. Идеологию мы имели готовую. Несмотря на то, что Гитлер шумел чаще и громче чем Мусолини, мы отдали предпочтение итальянскому фашизму потому, что он умереннее и «культурнее». Кроме того, мы не разделяли теории крови вообще и в частности потому, что грузины обладают кровью разных групп, что не мешает им принадлежать к единой расе, и еще потому, что мы решительно отвергали национальную нетерпимость германского фашизма, который по средневековому обращается с евреями, тогда как, насколько было нам известно в Италии не преследуют не итальянцев. Мы ни в коем случае не могли упустить из виду, что в Грузии проживает 30% не грузин и поэтому пришли к мысли принять в основном те формы нац. вопроса, которые выработала у нас советская власть. Это, конечно, не значит, будто мы приняли большевистский интернационализм. В основном мы приняли программу итальянского фашизма (корпоральный строй и. д.), решив приноровить её к нашей действительности.

Цели мы предполагали достигнуть в результате неудачной для СССР войны или путем внутреннего восстания в мирное время. Было ясно, что местное восстание могло рассчитывать на успех только в случае решительного поражения СССР или в случае всеобщего восстания в большей части европейского СССР. Отсюда проистекала вся наша тактика – выжидательное ожидание с севера, активное выступление РСФСР, который всегда решал и решил бы основные вопросы всего СССР. Повторение 1924 года считалось безумием. Здесь может возникнуть вопрос, не были ли мы в связи с аналогичными русскими или украинскими организациями. Нет, не были, и нам неизвестно было даже о существовании таковых.

Мы распределили между собой роли. Я – руководитель центра и зав. финансами. Г. Кикодзе поручили информацию установления связи с другими антисоветскими группами и организациями. Переговоры с иностранцами взял на себя Яшвили, а организационное дело поручили Мосашвили. Крайняя конспирация заставила нас принять ...методы. Например: каждый член мог завербовать только двух, каждый член центра имел право не выносить некоторые вопросы на заседание центра, но сообщал мне.

С самого же начала Иашвили повел собственную линию. Однажды он заявил, что у него имеется своя фракция, и просил нас не связываться с Мицишвили, Т. Табидзе, Ш. Нуцубидзе, З. Нанейшвили и одним крупным партийцем, фамилии которого он не назвал. Мы догадались что он подразумевал В. Джикия, с которым его связывала очень тесная дружба. Он также дружил с профессорами Ш. Нуцубилзе, З. Нанейшвили и отчасти С. Данелия. Как-то он сказал вскользь: «Нанейшвили и Нуцубидзе мои друзья и не стоит ни обращаться к ним, ни переходить за верийский овраг» иначе говоря, — не суйтесь к профессорам и студентам. Я согласился с ним тем более, что это отвечало нашей тактике максимальной децентрализации, о чем речь будет ниже. Я категорически заявляю, что ни я, ни кто либо из профессоров не обращались друг к другу. Я назвал так много друзей и знакомых, что с моей стороны было бы бесцельно и бессмысленно утаивать какого-то профессора или группу профессоров. Если же кто-нибудь утверждает обратное, очень прошу еще раз строго проверить и дать мне с ним очную ставку. Я убежден, что неизвестный, назвав меня, тем самым скрыл кого то другого.

Цель Иашвили была ясна. Он заручался поддержкой профессоров, а через них активной массой студентов. Он сам вызвался установить связь с иностранцами и через них получить информацию

от наших эмигрантов единомышленников. Долгое время спустя Яшвили сообщил мне, что польский консул или его представитель сказал ему: вы готовьтесь, а когда нужно будет, мы окажем вам помощь. Этот ответ ничего не говорил, информацию от эмигрантов мы так и не получили. Говорят что какой-то эмиссар приезжал из заграницы и виделся со мной. Такого случая не было. Признав связь с польским консульством, я не скрыл бы имя уехавшего эмиссара. Снявший голову по волосам не плачут. (ეს ფრაზა გამომძიებლის მიერ შეთხზულს არ ჰგავს – მ. ს.).

Я уже сказал о системе вербовки членов и о крайней децентрализации. Существование отдельных маленьких групп предохраняло от провала всей организации. Исходя из этого, решили иметь примерно в каждом из уездов, крупных центрах по одному представителю, который сам от себя составил бы тройку.

Организациями ведал Мосашвили, но Яшвили пользуясь длительной поездкой в Имеретию, назначил уполномоченных в Чиатурах, неточность... уполномоченных в Душети я уже имел – Давида Кобиашвили, который в прошлом году два раза приезжал в Тбилиси и виделся со мной. Он повторил, что у него давно имеется несколько (человек) и ждет только оружия и сигнала.

Д. Церетели и Н. Мицишвили я сказал, что они зачислены в кандидаты центра. В самом центре я о них не ставил вопроса, т. к. знал, что к их приему отнеслись бы отрицательно. Я очень опасался болтливости Церетели и избегал втягивать его, что же касается Мицишвили, его выбор был вызван бездейтельностью Мосашвили. Об этом я говорил с Мицишвили в конце апреля – в мае. Я уехал в Москву и вернувшись узнал об его аресте. Я рекомендовал ему использовать Шалву Чумбуридзе... Рекомендовал поработать среди писателей, артистов и работников кино, но он боялся или бездействовал и я решил заменить его Мицишвили (арест Церетели, Мицишвили и многих других напугал меня сильно и я притих).

Говоря о работе с профессорами я не досказал всего. Я связался еще в прошлом году с проф-ми Нанейшвили и Ш. Нуцубидзе. Было условлено, что они продолжат работу в университете, введя еще кого нибудь в свою тройку. С тех пор я несколько раз виделся с ними. Они говорили, что работа идет удовлетворительно, вербовка продолжается, что профессора кроме профессоров вербуют доцентов, те – ассистентов, ассистенты студентов. Я не помню точно кого они пригласили третьего, упоминалось несколько фамилий: В. Беридзе, М. Гогиберидзе, С. Данелия.

Я дошел до самого тайного и страшного признания. Речь идет о связи с польским консульством. Не доверяя Иашвили, я попросил его связать меня с консулом, иначе – сказал я – мне придется лично сходить к нему, а это очень опасно. Спустя некоторое время, в выходной день, утром ко мне пришел неизвестный, который отрекомендовался помощником польского консула. Сперва мы поговорили о посторонних вещах, потом он спросил:

– Поэта Иашвили вы хорошо знаете?

– Знаю хорошо.

– Лживый и жадный человек, неправда ли?

– Я с вами согласен.

– Он передал вам нашу помощь?

– Да, передал — солгал я, догадавшись, что Иашвили присвоил какую-то сумму.

– Некчему иметь посредников, неправда ли?

Я согласился. Потом он долго восхвалял меня как писателя. Он читал по-русски мои рассказы «Белый воротник», «Арсена из Марабды» и назвав меня грузинским Сенкевичем, перешел к политике. Он сказал, что СССР разваливается изнутри, что теперь самое подходящее время для удара, но они – Польша, Германия и Япония – не готовы еще политически т. к. тылы у них не обеспечены. Он знает, что контрреволюционеры пытаются покончить с большевизмом внутренними силами, но это рискованно. – В случае неудачи мы растеряем всех наших союзников внутри СССР. Положение Грузии и

Кавказа особенное. Только вашими силами вы не добьетесь ничего. Все решится в Москве. Но надо готовиться, все время готовиться.

Затем он описал мне внешность одного штатного офицера – высокий очень худой. Я знал только одного высокого, худого. Консул делал вид, что не припоминает фамилии. Я ему подсказал:

– Гарсиашвили Леван, полковник, работает в штабе ККА.

– Да, он самый. Он знает вас. В одном обществе он отзывался о вас с самой лучшей стороны. Вы не военный, поэтому не можете быть нам полезны, но оказать услугу можете.

– А именно?

– Дайте мне записку к нему всего в одну строчку.

Я колебался, но он настоял, говоря, что рука руку моет. Я почувствовал ужас, но понял, что выбора не было. В это время он проронил вскользь:

– Советую Вам беречься. У большевиков прекрасно поставлена контрразведка.

Он угрожал видать меня. Надо было оборвать разговор и позвонить по телефону в ГПУ. Я может быть сделал бы это, если бы рисковал только лишь я, но предать так много друзей и знакомых – это было выше моих сил и я написал: «Леван, крайне необходимо сделать это, иначе погибнут многие твои друзья, в том числе я». Консул положил записку в карман и сказав что он сам будет навещать меня, ушел пешком. На другой же день он прислал иудинных 3.000 р. Но Иуда оказался смелее меня: он повесился, а я еще живу. (ეს ლირიული გადახვევაც არ უნდა იყოს გამომძიებლის შეთხზული – დ. ბ.). Связь с консулом я не осмелился рассказать своим друзьям, но Иашвили предупредил, чтобы он навсегда оборвал связь с польским консульством. Я забыл сказать, что перед уходом консула я просил его установить связь между нами и эмигрантами. Он обещал, но ответа я не успел получить. Спустя некоторое время после встречи с польским консулом, я встретил на улице Гарсиашвили. Он прошел мимо, кивнув несколько раз головой, что означало: согласился, дело сделано.

Второй раз консул позвонил в час ночи и предупредил, что скоро явится. Пришел через полчаса. Он был взволнован: какие события! Всех арестуют. Слежка за консульствами и известными гражданами невероятная. «Мы консулы и наши сотрудники настоящие арестанты, зачумленные». Затем он положил на стол пачку денег (опять 3.000 р.) и пожаловался на то, что очень многие его информаторы арестованы и нечем их заменить. Не могу ли я достать для него секретные бумаги, или рекомендовать кого-либо из заведующих секретной частью? Я не имел ни секретных бумаг, ни знакомых зав. секретной частью. Тогда консул сказал:

«Вы могли бы его поискать, но мы слишком спешим: рекомендуем какогонибудь служащего совнаркома». Он уже не стеснялся, вымогал, угрожал, терзал. Я опять сдался и дал записку к Беглару Пагава, с которым с тех пор не встречался. Консула я тоже больше не видел. Я надеялся использовать консула, на самом же деле оказался в роли его пособника. Благодаря мне, он за 6.000 р. нашел двух шпионов.

Однажды в мае поздно ночью, когда все спали, в дверь тихо постучались. Я открыл дверь которые. Передо мною в полутьме стоял неизвестный мужчина. «Не узнаешь?» - «Нет». – «Тем лучше». Он сам прошел в комнату, только по улыбке я узнал Шалву Карумидзе. После приветствия он сам прикрыл ставни и заговорил. Светлый шатен превратился в брюнета, оброс густой бородой. Пока он рассказывал о себе, его перебросили через нашу границу поляки. Показал несколько советских удостоверений и паспорт. Приехал через Сочи-Батум. Обследовал побережье с точки зрения выгрузки оружия. Он был поражен разницей между 1905 г. и теперешним. «Тогда» «Сириус» легко выгрузил 500 ружей, которое расхватило население, а теперь не подступиться. Если даже сами погрузим оружие, некому будет его разгружать. Народ запугали и рассчитывать на него очень рискованно».

Он был мрачно настроен. Он был неправильно информирован за границей. Там ему сказали будто Россия накалена до красна и не сегодня — завтра произойдет взрыв, и он поспешил сюда. Чуть

было на аэроплане не вылетел из Румынии, но все же предпочел проехать через Украину и там он убедился в обратном. Народ воспринял расстрел Тухачевского и массовый арест с удивлением, которое за границей превратится в возмущение. «Даже консулы врут, и не хуже журналистов». Затем он стал расспрашивать меня. Я рассказал ему последние новости. Оказалось, что он знал их не хуже меня. На мой вопрос, давно ли он в Тбилиси, с кем виделся, он ответил, что здесь он три дня, а с кем он виделся, это мне излишне знать. Из дальнейшего я вынес впечатление, что из активно работающих политических деятелей он вряд ли уже виделся с кем-нибудь. Больше всего его огорчал арест старых офицеров. Об этом он выразился так: «Сталин сразу схватил контрреволюцию за горло. Он задушил ее. Моя поездка дала мне материал на пару фельетонов, но наши (фашистские) газеты не напечатают». Затем выяснилось, что он посетил в Тбилиси польского и германского консулов, которых выругал за то, что они способны черное показать за белое и наоборот. Они, может быть, имеют приблизительно правильные сведения о количестве войск и экономике СССР, но о настроениях масс судят через розовые очки.

Затем он расспросил меня о работе, признал правильной систему троек, советовал крайнюю осторожность и особенно настаивал на том, чтобы не повторился 1924 год. Иметь всегда готовым руководящий орган, а массу созвать будет не трудно. Далее он заговорил об оружии. Он сказал, что помимо чрезвычайных трудностей по выгрузке и хранению оружия, опасно им заранее снабдить Грузию во первых потому, что «каждый большевик имеет 10 агентов и 100 пар глаз» и поэтому оружие наверное будет найдено, во вторых – может вспыхнуть стихийное восстание и Грузия может остаться без грузин. Но в случае войны оружие наверное подвезут и тогда придется поднять всех на партизанскую войну. На мой вопрос, неужели достаточно получить оружие чтобы немедленно восстать, он ответил: – Нет, и в этом случае Грузия может остаться без грузин. Германия и Польша, конечно, будут провоцировать нас на преждевременное выступление, но мы должны дождаться решительного поражения русских и выхода противника в район Дона, после чего нетрудно будет поднять весь Кавказ, но и в этом случае мы можем оказаться перед смертельной опасностью: воюющие могут заключить мир, Кавказ может опять достаться Москве и тогда начнется страшная расправа. Я согласился с ним и спросил, разделяют ли его мнения все влиятельные эмигранты? Он ответил утвердительно, но выразил опасение, что мы не сможем выдержать. Немцы нажмут и заставят нас преждевременно выступить. Он с горечью отметил также тот факт, что в последнее время в Германии упал интерес к Грузии и Кавказу, что ввиду непримиримой позиции Франции Германия еще на многие годы может оказаться связанной и даже возможно, что она вновь сблизится с Россией. В этом случае даже я на коленях буду умолять советскую власть, разрешить мне умереть на родине.

– А тоска по родине всех мучает? – спросил я.

– Плачут в тихомолку и группами.

– А далеко ли война?

– Гораздо дальше чем предсказывают ваши газеты. Правда испанская война еще может затечь в европейскую войну, но скоро она будет ликвидирована.

Разговор коснулся Турции. Карумидзе выразил уверенность, что Турция нападает на Россию и оторвет Закавказье.

– И вы поддерживаете Турцию?

– Обязательно, лучше турки, чем большевики.

В этом вопросе мы разошлись радикально. Но мои возражения, что Турция разграбит нас до ничтожки, что сама ничего не сможет нам дать и что наш народ по вековой традиции ненавидит турок, он ответил, что я тоже заражен суеверным крестьянским страхом перед турками, которых мы вовсе не знаем. Он был очень удивлен моим словом о том, что таким же «суеверием» заражена вся интеллигенция, что мы будем бороться за возвращение в общую грузинскую семью оторванных от нас на-

ших соплеменников, тогда как в случае победы Турции, от нас оторвут Аджарию, Месхетию, Борчалю, Джавахетию, все побережье и даже железную дорогу. Карумидзе заявил, что его мнение разделяет меньшинство, но в случае войны и оно по всей вероятности, не осмелится активно выступить на стороне Турции. Я, конечно не поверил этому и сказал ему, что народ сам будет истреблять туркофилов. Он был явно смущен и заявил, что в случае победы России над Турцией, он и многие грузины были не прочь вернуться на родину, но их наверное не примут. О меньшевиках от отозвался по старому с презрением.

Народный фронт его раздражал. Далее он пожаловался на разрозненность эмиграции, которую, по его мнению, может объединить только война. Между прочим он был очень доволен результатами советской политики в Аджарии и вскользь заметил, что Мемед Абашидзе очень состарился. Я понял, что он виделся с Абашидзе или – видел его на улице. Карумидзе злорадствовал по поводу судьбы постигшей грузин-троцкистов, также уклонистов и советовал ни в коем случае не иметь с ними чего либо общего. «Немцы их руками делают свое дело, но при чем тут мы?» Беседа длилась очень долго. Наконец, уходя он обещался перед отъездом еще раз повидаться со мной, сроджайше запретил упоминать его фамилию где бы ни было, «иначе пострадаете вы сами и многие ни в чем неповинные».

Приблизительно через неделю меня неожиданно вызвали в Москву на Пленум Правления Союза Писателей. Я вернулся в июне – через 15-17 дней.

Карумидзе больше не заходил ко мне. Очевидно он уехал не дождавшись моего возвращения. Я сказал, что Г. Кикодзе было поручено установить связь с другими организациями. Он отнесся к этому весьма скептически, утверждая, что кроме меньшевиков вряд ли кто-либо работает. О том, чтобы войти в контакт с троцкистами и другими антипартийными группами, не было и быть не могло речи. Кикодзе сообщил мне как-то, что он беседовал с Нинидзе (в январе или декабре) и получил впечатление, что тот находится в удрученном настроении и скептически относится к будущему. Вопрос этот заглох тогда, но в мае возник совсем с другой стороны.

Однажды ночью М. Ниорадзе по телефону вызвал меня к себе для переговоров по возбужденному литфондом, перед ЦК и горсоветом делу о двух Тбилисских домах И. Чавчавадзе. Эти дома давно были переданы нам формально, но город не освобождал их. Вместо того, чтобы увеличить жилплощадь писателей, литфонд прочно управлял им. Не добившись освобождения, мы просили горсовет принять их обратно, но ответа не получили. Я приехал к Ниорадзе. Была поздняя ночь. Он был один. Бумаги об этих домах лежали у него на столе. Нужно сказать, что отношения между нами были натянутые. В 1906 г. в делегатском вагоне из Москвы между нами произошло очень неприятное столкновение, в конце которого Ниорадзе протянул мне стакан вина и просил примириться. Мы примирились. С тех пор я с ним не встречался.

Ниорадзе начал беседу издалка: восхвалял меня до крайности, описывал бедственное положение масс и заявил, что говорит со мной по поручению более сильного лица чем он, что за этим лицом идут массы, что он возглавляет сильную организацию, что я и это лицо очень уважаем друг друга, и т. д. Я был более чем поражен и молчал, Ниорадзе продолжал: нам известно о вашей работе. Мы и вы преследуем одну и ту же цель – свержение существующего порядка и наши дороги проходят очень близко друг от друга. Восстановление частной собственности объединяет нас и разделяют нас мелочи, так почему же не объединить наши силы? Мы сохраним внутреннюю самостоятельность, но к цели пойдем вместе. Далее он говорил что можно достигнуть внутренними силами, но события могут повернуться и в другую сторону. «Мы пришли к выводу, что мы ничего не добьемся одними лишь антипартийными силами», провал группы Мдивани дал им тяжелый урок и они пришли к решению связаться со всеми активными силами.

– У меня нет организации, - сказал я. Ниорадзе усмехнулся и ответил, что организацию я могу создать очень быстро, что все поклонники моего таланта пойдут за мной, что я из близких моих дру-

зей в 2-3 дня смогу организовать центр и что при наступлении решительного момента мое имя, моя подпись под воззванием принесет общему делу огромную пользу. Я ответил, что не могу дать своего имени неизвестному мне лицу, имени которого он не хотел назвать. А Ниорадзе настаивал на обратном: Сперва мое принципиальное согласие, потом он сведет меня с руководителями из организации. Я был чрезвычайно смущен и подумал, не провоцирует ли меня Ниорадзе? Далее Ниорадзе разъяснил, что к блоку привлечены также меньшевики и что в объединенный центр войдут четверо: 2 от них, 1 от меньшевиков и 1 от нац. демов (он называл нас нац. демами), но председатель должен иметь решающий голос. Он допускал и другие комбинации, но с непременным условием сохранить за собой решающий голос, ибо, говорил он, у них самая мощная организация, у них уже собраны все нити для нанесения удара и они понесут больше жерств чем другие. Но пока его интересовало мое «да», а меня смущал и пугал этот неестественный союз. Через день-два я намеревался выехать в Москву и не желая форсировать ответ я просил дать мне дня 3 на размышление, но Ниорадзе настаивал на своем и я согласился начать переговоры. Тогда он повез меня к Г. Мгалоблишвили. У него сидел Герасим Махарадзе. Мгалоблишвили справился: «Цель известна вам?» – «Известна». «И так, речь идет о том, чтобы получше подготовиться к огромным событиям. – сказал он. – Разногласий между ними не должно быть. Наша организация сильнее ваших двух. Мы имеем все необходимые связи, крепкие кадры и т. д. Первый удар предотвращен. В результате – испуг и растерянность. Если аресты будут усиливаться, вновь я соберу вас только после минования грозы». Затем он потребовал сохранения абсолютной тайны. О блоке и встрече пока не должны знать даже наши центры. Затем он сообщил, что к следующей встрече мы должны доставить сведения о наших силах. Это необходимо для составления плана восстания. Далее он говорил о необходимости расширения «дела» до Баку, Эревана и далее на север, и заявил, что в этом отношении кое-что уже сделано. При этом он предупредил, что нет нужды в данный момент расширить работу. Наоборот нужно количественно съежиться, а качественно укрепиться. Затем он разъяснил мне цель междупартийного комитета: это не оперативный, а объединяющий и направляющий орган, а оперативный орган мы создадим тогда, когда настанет время действовать.

– На мой вопрос, можем ли рассчитывать на помощь извне, он ответил, что кое какие силы (Троцкисты? II интернационал?) помогут, но главная надежда – это внутренние силы, что же касается вмешательства иностранных держав, то это может кончиться плачевно для всех. Затем он заявил, что в случае же ареста или долгого отсутствия его заменит Ниорадзе, и просил нас назвать наших заместителей. Махарадзе назвал Нинидзе, я – Нуцубидзе, Махарадзе молчал. По-видимому, они успели поговорить до моего прихода. На мой вопрос о будущей форме социально-политического строя, он ответил: «Бухарина читали?» – «Читал» – «Эта наша общая платформа, правильно ли я выразился? Об иной платформе пока не могло быть и речи и я ответил: «Правильно». Мгалоблишвили встал и мы разошлись. Через день я уехал в Москву, успев сообщить Нуцубидзе о вышеизложенном.

В Москву я уехал в тяжелом раздумии. Передо мною было несколько неизвестных: кто они в действительности? Каковы их скрытые замыслы? Какие силы могут всплыть за ними? Не сыграли ли мы роль лакея для неизвестных нам сил и лиц? Бухарин и Рыков трупы, троцкизм совершенно раздавлен, значит или они поведут наш народ к анархии, или к Цезарю. Говоря совершенно искренне, постепенно я решил отклонить предложение Ниорадзе. В этом решении я постепенно укрепился в Москве и Ленинграде. Там я узнал о том, как глубоко пашет плуг ГПУ, выкорчевывая все вражеские корни. Вернувшись в Тбилиси в июне, я узнал, что и здесь плуг ГПУ вспахал и пашет также глубоко. Ежедневно арестовывались по несколько известных лиц. Паника в городе росла. Естественно, что я и мои друзья также поддались ей и избегали даже личных встреч. Каждый из нас ежечасно ожидал ареста, в виду чего мы перестали встречаться.

Опасаясь легкомыслия Иашвили, ... мы стали постепенно отстранять его под предлогом, что мы

больше не собираемся, что работа приостановилась. Вместо него мы пригласили в центр Шалву Нуцубидзе и Зозо Нанейшвили и перераспределили роли:

Я вновь взял на себя общее руководство и финансы;

Ш. Нуцубидзе – связь с военными кругами и создание интерпартийного комитета;

З. Нанейшвили – связь с границей, вопросы внешней политики;

Г. Кикодзе – информация;

И. Мосашвили – вопросы организации.

В виду того, что Нуцубидзе уже работал среди профессуры и студентов, он и теперь оставил за собой общее руководство организациями в ВУЗ-ах.

Некоторое время спустя Нуцубидзе сообщил, что ему удалось связаться с военными кругами, что они сочувствуют идее восстания, что они разделяют нашу идеологию, что они давно уже спаялись в единую касту с единой целью и что они соответственно уже сорганизованы. «Я не нашел нужным – говорил Нуцубидзе – расспрашивать их о подробностях, но мне дали понять, что они готовы к выступлению как только выступят в Москве.

Я запомнил фамилии Тухарели, Гедеванова, Мосидзе, Кутателадзе, Буачидзе. Нуцубидзе просил нас держать этот факт в величайшем секрете.

О плане восстания не было речи: «Рано говорить о плане» – сказал Нуцубидзе.

Г. Кикодзе давал нам информацию. Думаю, что он черпал его у Г. Мгалоблишвили, с которым находился в дружеских отношениях. Он очень пассивный человек и поэтому более активной роли мы ему не предоставили.

Нанейшвили я предупредил о шантажных приемах представителя польского консульства и посоветовал ожидать связи, которую обещал установить Карумидзе. Мосашвили почти бездействовал. Потом я его не подгонял, так как начались массовые аресты.

Наш центр возник по моему почину. Наезжая иногда в Москву, я щупал почву среди писателей, но нарывался на глухую стену. Все мы знали правых писателей (Пастернак, Пильняк и др.), но я не верил, чтобы они участвовали в правой организации. Кроме того, ввиду частых нападков на них, они замкнулись до крайности, а в последнее время бесполезно было к ним подойти. Я имел намерение установить связь с горцами, с Эреваном и Баку, но не успел реализовать это намерение.

Кто из центра на каких заседаниях присутствовал – не могу восстановить, т. к. протоколы не велись. Структура организации была очень проста: каждый член центра нес определенную функцию, так как разных комиссий и т. п. не было.

Я еще раз подчеркиваю, что наш центр практически работал с октября 1936 г. по июнь 1937 г., т. е. 8-9 месяцев. Кроме того, я повторяю: мы боялись расширить работу. Это объясняет тот факт, что работа в провинции велась очень слабо. Организациями и связью с провинцией ведал Мосашвили, который ни одной фамилии мне не называл. Помня мою просьбу, чтобы он и моей фамилии не упоминал, иначе моя популярность могла очень скоро провалить нас.

Наш центр собирался по очереди у меня, у Кикодзе, у Мосашвили, у Иашвили.

Я лично завербовал К. Чичинадзе (зимой 1936 г. у меня на квартире), К. Гамсахурдия (в январе, в Литфонде) и Д. Церетели (там-же, в январе же) и Мицишвили осенью 1936 г. у меня на квартире. Я поручил им завербовать по два члена. Согласно нашей системе, я не должен был знать завербованных ими членов и поэтому не расспрашивал их. Церетели любил болтать и я особенно опасался его. Карумидзе, навестив меня как руководителя фашистской организации в Грузии, мог узнать о моей роли или в Тбилиси у польского консула, как я писал об этом выше (стр. 15), или у германского, которые как союзники информируют друг друга.

Кроме Карумидзе эмиссаром из границы никто не приезжал и отсюда мы никого не посылали. Связь с Москвой, закреспубликами и горцами представлялась мне крайне необходимой. Но пока я

не нашел пути и думал, что скорее москвичи отыщут нас, чем мы москвичей.

Оружие на месте не существует, это мы знали хорошо. Его можно было найти только в арсенале, но для этого нужно было предварительно переменить на свою сторону часть Красной Армии, на что и возлагалась некоторая надежда. Запасов оружия мы не делали и об этом даже не помышляли.

Стало необходимым сказать несколько слов об ориентации. Подпадение под власть Турции мы считали несчастьем, приход какой-либо европейской державы маловероятной, учитывая все реальные силы и выгоды мы по-прежнему отдавали предпочтение России. Экономическая выгода, привычка – общие культурные навыки, взаимное понимание и т. д.

Гр. комиссар, я чистосердечно сказал все что сделал и все что знаю. Трагично то, что я служил делу, в успех которого сам не верил. Я полностью сознаю всю огромность моего преступления. Один раз 14 лет тому назад за подобное же преступление Советская власть простила меня, вырастила меня как писателя и дала больше того чем я заслуживал. Тем чудовищнее моя вторичная измена. Но если вы примите во внимание мою 35 летнюю общественно-литературную работу, мое семейное положение и кое-какие другие обстоятельства, то не найдете ли возможность оказать мне какое-либо снисхождение.

21.VI. 1937 г.

М. С. Джавахишвили» [სუკ-ის არქივი, მიხეილ ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმე №9997, ფ. ფ. 16-49].

თუ გავიხსენებთ, რომ 1923-1924 წლებში დაპატიმრებულების საქმეებში მხოლოდ დაკითხვის ოქმები დევს და მ. ჯავახიშვილის მსგავსად განცხადებები არავის დაუწერია, უფრო თვალსაჩინო გახდება, რომ დიდმა მწერალმა, ფაქტობრივად, 1937 წელსაც იგივე ჩაიდინა. იმ საგამოძიებო საქმეებში, რომლების გაცნობაც 1990 წელს მოვასწარი, სხვა განცხადება არ შემხვედრია.

მ. ჯავახიშვილი აღიარების დანერის შემდეგ არ დაუპატიმრებიათ. მწერალთა კავშირის სხდომა-თა ოქმებში კვლავ ვხვდებით მის სახელს სიტყვით გამომსვლელთა შორის. ასე მაგალითად, 1937 წლის 21 ივლისს, ის სიტყვით გამოდის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე: „სიტყვით გამოსულმა მწერლებმა... მ. ჯავახიშვილმა... ილაპარაკეს თათარაშვილის მავნებლურ დივერსიულ მუშაობაზე მწერალთა კავშირის ორგანიზაციასა და ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში“ [უახლესი ისტ. არქივი, ფონდი 8, ან.1, საქ. 599, ოქმი №3 ფ. 3]. ქ. ჯავახიშვილი, რომელსაც არცერთი ჩვენება არ უნახავს, თავის მოგონებებს ასე ამთავრებს: „ყოველ წუთს მახსენდება მამას სიტყვები ერთ-ერთი დაკითხვის დროს რომ უთქვამს: – მე უდანაშაულო ვარ! ქართველი ხალხისა და ჩემი სამშობლოს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაგრამ თუ თქვენთვის ზვარაკია საჭირო, მე მზად ვარ საქართველოს თავი შევწირო. თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასდროს ვერ მოსპობთ, რაც მე დავტოვე. საქართველოს მიწა-წყალზე მე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს თქვენ ვერასოდეს აღმოფხვრითო. მე გამანადგურებთ, იმას კი ვერ მოსპობთ...“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 460]. რომელ დაკითხვაზე უთქვამს მ. ჯავახიშვილის ეს შესანიშნავი სიტყვები? რამდენადაც დოკუმენტებს ვიცნობ, შემიძლია ვთქვა, რომ 1937 წლის 8 ივნისს გამართულ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე, მ. ჯავახიშვილმა „ზვარაკი“ მართლაც ახსენა: თუ ზვარაკია საჭირო, ეს სხვა საქმეაო. რაც შეეხება მუხას, მის ფესვებს და ა. შ. – ეს ყოველივე ქალბატონი ქეთევანის „შემოქმედებაა“. დაკითხვის ოქმებში მსგავს რამეს ვერ შეხვდებით.

მოგონებების ავტორს დოკუმენტების ცოდნა არ ევალევა, მაგრამ გამოგონილი ამბები კი არ უნდა მიაწოდოს მკითხველს. დიდი მწერლის ავტორიტეტის გამო, მისი ქალიშვილის ციტატა ლიტერატორებმა აიტაცეს. ჩვენ მას თ. მალლაფერიძის ნაშრომშიც ვხვდებით შემდეგი აღწერით: „გაუმარჯოს სიკვდილშიც არ დანებებას!“ [თ. მალლაფერიძე, „ძალადობა, შიში სიცრუე“ ჟურ. „განთიადი“, 1992 წ. №1-4, გვ. 304]. ასე იქმნება მითი! თ. მალლაფერიძე ქ. ჯავახიშვილს ეყრდნობა: „მე, როგორც საქმეში ჩახედული მკითხველი თავადაც დარწმუნდება, ხე-

ლგამლილად დავესესხე ქ. ჯავახიშვილის ნაშრომს, განსაკუთრებით ეს ითქმის ფაქტოლოგიაზე, რომელზედაც მხოლოდ ამ მონოგრაფიების წყალობით მიმინვდა ხელი...“ [თ. მალლაფერიძე, „ძალაღობა, შიში, სიცრუე“ ჟურ. „განთიადი“, 1992 წ. №1-4, გვ. 251]. თ. მალლაფერიძე უბრალოდ ენდო ქ. ჯავახიშვილს, თორემ იმ დროისათვის ფაქტოლოგია არც ისე ხელმიუწვდომელი იყო დაინტერესებული მკვლევრებისთვის. ამაზე მეტყველებს თუნდაც რ. შიშნიაშვილის „ბოლოსიტყვაობა“, რომელშიც სუკ-ის მასალებია გამოყენებული. არის სხვა მაგალითებიც. აი, ერთი მათგანი: 1991 წელს ჟურნალ ცისკარში (№11-12) გამოქვეყნდა გუმბაზ მეგრელიძის მიერ მომზადებული პუბლიკაცია: „სუკ-ის არქივიდან. სერგო ამალლობლის დაკითხვის ოქმები“. ისე რომ, ვინც ეძიებს, ის ჰპოვებს.

1995 წლის 8 ნოემბერს ქ. ჯავახიშვილის უკვე ნაცნობმა ციტატამ კვლავ გაიჟღერა სატელევიზიო გადაცემაში „ძეგლი დავიდეგი ხელთუქმნელი“. ამჯერად, პირდაპირ იყო მითითებული წყარო „დაკითხვის ოქმიდან“. იქნებ, მართლა არსებობს მ. ჯავახიშვილის დაკითხვის რაიმე ოქმი, რომელსაც არ ვიცნობ? ამ საკითხის გასარკვევად ვენვლე გადაცემის ავტორს. გაირკვა, რომ ციტატა აღებული იყო ქ. ჯავახიშვილის წიგნიდან „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, რომელსაც გადაცემის ავტორი ენდო, რადგან პირადად მას მ. ჯავახიშვილის საქმე არ ჰქონდა ნანახი. ამასთან, მხოლოდ მის კაცთმოყვარეობასა და ტაქტს უნდა მივანერო ის, რომ იგი ბრმად არ აპყვა ქ. ჯავახიშვილს სხვათა განქიქებაში.

Гистосердечно

Гр. ии комиссар, я скажал все что еще
 трагично то, что я слышал делу, в успех котор.
 я сам не верю.

И все что знаю. А полностью со-
 всю
 знаю в него что некролог о нем
 с один раз, 14 марта
 мой мой банк моего преступления.
 мой тому назад, а подобно же преступление
 перед собой. Советская власть простила
 меня, но я себя не простил. Вырождаю меня как писателя и га-
 не больше того, что тем я заслуживал.
 меня тем худшим не мой мой сторш
 ввинчание
 мая имена. Но при этом 35 летнюю
~~я общественно-мэра-турную деятельность,~~
~~не найдете ли вы~~
~~для моего вы найдете~~ Но если вы при-
 мае во вклинание мою 35 летнюю
 общественно-мэра-турную работу, мое семей-
 ное положение и кое какие другие обя-
 зательства, то ^{не} найдете ли возможным
 оказать мне какое либо содействие.

21.11.37г. М. С. Джавахишви

№78. [სუკ-ის არქივი, მიხეილ ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმე №9997].

VI. 2. პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის განცხადების (21. 06. 1937) გარდაუვალი შედეგი

როგორც ვნახეთ, 1937 წლის 21 ივნისს, თავისი ხელით დაწერილ განცხადებაში, მ. ჯავახიშვილმა ყველაზე მეტად პაოლო იაშვილი გალანძღა. მწერალი ასე გადმოგცემს პოლონეთის კონსულის თანაშემწესთან საუბარს: „პოეტ იაშვილს კარგად იცნობთ? – კარგად ვიცნობ. – ყალბი და ხარბი ადამიანია, ასე არ არის? – მე თქვენ გეთანხმებით. – გადმოგცათ ჩვენი დახმარება? – დიას, გადმოგცა, ვიცრუე მე, მივხვდი რა, რომ იაშვილმა რაღაც თანხა მიითვისა. – არ არის საჭირო შუამავლები, ასე არ არის? – მე დავეთანხმე. შემდეგ ის დიდხანს მაქებდა, როგორც მწერალს. მას რუსულად წაუკითხავს ჩემი მოთხრობები, „თეთრი საყელო“, „არსენა მარაბდელი“ და მიწოდა რა ქართველი სენკევიჩი, პოლიტიკაზე გადავიდა“ [სუკ-ის არქივი, საქმე №9997, ფ. 25].

ამ ჩვენების დაწერიდან ერთი თვის შემდეგ, პ. იაშვილი იძულებული გახდა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე.

პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის გამო, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ჩაატარა სხდომა, რომელზეც „მოისმინეს 4 – ინფორმაცია პ. იაშვილის მიერ ჩადენილი პროვოკაციულ აქტის შესახებ. ინფორმაციის გარშემო აზრი გამოთქვეს მწერლებმა... ყველა ორატორი ერთსულოვნად სასტიკად გმობდა და კიცხავდა პავლე იაშვილის მოღალატურ მუშაობას, საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან უშუალო კავშირსა და მათ შავბნელ საქმეებში მონაწილეობას. ზიზღითა და აღშფოთებით აღნიშნავდა პ. იაშვილის მიერ მწერ. სასახლეში ჩადენილ პროვოკაციულ აქტს – თვითმკვლელობას“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 8, ან. 1, ს. 599]. **სიტყვით გამოსულ მწერლებს შორის მ. ჯავახიშვილიც არის დასახელებული, ისევე, როგორც აკაკი განწერელია**, რომელსაც შემდგომში ეს ფაქტი დავინყებია და არც თავისი მონაწილეობა გახსენებია იმ კრებაში, რომელზეც მწერლებს ერთხმად განუცხადებიათ: „ყველა ჩვენგანს, ამბობენ მწერლები, – მართებს შეუნელებელი დაძაბული მუშაობა, რომ ავმაღლდეთ იდეურად, პოლიტიკურად, მორალურად, რომ საბოლოოდ ჩამოვირეცხოთ ის ჩირქი, რომელიც მთელს ჩვენს კოლექტივს მოსცხეს მწერლის ნილაბქვემ დამალულმა ხალხის გარენარმა მტრებმა“ [სეა, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 599]. ამ ხალხის მტრებში, ცხადია, პაოლოც იგულისხმებოდა. საინტერესოა, ბატონმა აკაკიმ ჩამოირეცხა ჩირქი, თუ სხვებზე ჭორაობით იყო დაკავებული?

თვითმკვლელობამდე პაოლო იაშვილი ბერიასთან ყოფილა დაბარებული. არსებობს სხვადასხვა ვერსიები. ქ. ჯავახიშვილის მტკიცებით, ბერიას მისთვის მ. ჯავახიშვილის და ტიცინანის წინააღმდეგ ცრუ ბრალდების დაწერა დაუვალეობა. თვითმკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე პაოლო იაშვილს მ. ჯავახიშვილისათვის უთქვამს: „მაღე დაგიმტკიცებთ, არც ისეთი ცუდი კაცი ვარ, თქვენ რომ გგონიათ“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, გვ. 321]. გაურკვეველია, რატომ უნდა ჰგონებოდა ის ცუდი კაცი მ. ჯავახიშვილს? პაოლოსთვის შინსახკომში ხომ არ დაუხვედრებიათ ამ უკანასკნელის მიერ დაწერილი განცხადება?

პაოლო იაშვილის შესახებ მისი ძმისშვილი, ნოდარ იაშვილი იხსენებს: „ბერიამ დაავალა, ვალოდია ჯიქიას უნდა დაადგე პირზეო“ [როსტომ ჩხეიძე, „დაწყველილი თაობა“, თბ. 1992 წ., გვ. 162]. დოკუმენტურად უფრო დასაბუთებული კი ის არის, რომ იმ დროისათვის შინსახკომს უკვე ხელთ ჰქონდა მ. ჯავახიშვილის ჩვენება, რომელიც ცხადია, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა პაოლო იაშვილს.

VI. 3. მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრება, ბერია და მწერლები

მ. ჯავახიშვილი 1937 წლის 15 აგვისტოს ქვიშხეთში დააპატიმრეს [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, გვ. 325]. დაპატიმრებაზე ორდერი 1937 წლის 13 აგვისტოს არის გამოწერილი.

გერონტი ქიქოძე იხსენებდა: „რადგან მიხილ ჯავახიშვილი დიდად პოპულარული მწერალი იყო, ბერიამ საჭიროდ სცნო საზოგადოების თვალში გაემართლებინა მისი დასჯა, ამ მიზნით თავის კაბინეტში მიიწვია მწერალთა კავშირის პრეზიდენტის სრული შემადგენლობა. როდესაც წვეულნი მასთან შესულიყვნენ, ბერიას გაკვირვება გამოეთქვა, ძალიან ბევრი ყოფილხართო... შემდეგ ბერიას რამდენიმე გულის შემადონებელი შენიშვნა მიეცა თავისი სტუმრებისათვის და ბოლოს, მიხილ ჯავახიშვილის ხელით დაწერილი აღსარება წაეკითხა. ბრალდებული, თურმე აღიარებდა, რომ უცხოეთის აგენტებისაგან სისტემატურად ღებულობდა ვალუტას, ხოლო ბოლო დროს პოლონეთის კონსულისაგან სამი ათასი მანეთი ჰქონდა მიღებული. რასაკვირველია, თუ ყველა დამსწრესათვის არა, ყოველ შემთხვევაში, დიდი უმრავლესობისათვის ნათელი იყო რა ღონისძიებებით ღებულობდა ბერიას მიერ შექმნილი ტრიუმფირატი ასეთ აღსარებას, მაგრამ ვინ გაბედავდა მაშინ ეჭვი შეეტანა მის სინამდვილეში“ [გერონტი ქიქოძე, „თანამედროვის ჩანაწერები“, „მნათობი“, 1981 წ. №1, გვ. 42].

ბერიასთან სტუმრობის შემდეგ, მწერალთა კავშირში დიდი მწერლის საწინააღმდეგო საშინელო კრება ჩატარდა. თუ ბერიამ მწერლებს მ. ჯავახიშვილის მიერ დაწერილი აღსარება აჩვენა, ეს ნიშნავს, რომ განცხადება კრებამდე იყო დაწერილი, კრება კი 17 აგვისტოს ჩატარდა. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა იმის მტკიცება, ვითომდა, განცხადება 21 აგვისტოს, ანუ პატიმრობაში დაინერა, თარიღი კი შეცდომით იყო მითითებული.

გ. ქიქოძის მოგონებას სავსებით ემთხვევა ბესო ჟღენტის ნაამბობი, რომელიც მისმა სიძემ, პროფესორმა ანტონ ნულუკიძემ გადმომცა. ბერიას თავისთან თავმოყრილი მწერლებისათვის მ. ჯავახიშვილის ხელით დაწერილი აღსარება უჩვენებია. ამასთან, თურმე მძვინვარებდა და ასეთ რეპლიკებს ესროდა მწერლებს: „Вы еще и деньги брали, сволочи, что, мало мы вам платили?“ შემდეგ, მწერლების დანიშნულების შესახებ, სტალინის ციტირება დაიწყო. ბესო ჟღენტმა სიტყვა შეაშველა. ბერიამ მრისხანედ გააჩუმა – თქვენც არა გაქვთ საქმე სუფთადო. ნასვლისას ბ. ჟღენტს თავისი ახალი ნაყიდი ქუდი ბერიას კაბინეტში დარჩა და დაბრუნება ველარ გაბედა. იმის თქმას კი ვინ გაბედავდა – არ მჯერა, რომ მ. ჯავახიშვილი პოლონეთის კონსულისაგან ფულს იღებდა. არ მჯერა, რომ მ. ჯავახიშვილი ჯაშუში და დივერსანტიაო. ისიც უნდა ითქვას, რომ ფულის აღების ფაქტის სხენება სრულ თანხვედრაშია მ. ჯავახიშვილის განცხადებაში აღწერილ რამდენიმე შემთხვევასთან.

ბერიას სურვილი ნათელი იყო. მიხილ ჯავახიშვილის დაღუპვაზე პასუხისმგებლობა მთლიანად მწერლებს უნდა აელოთ და ეს ასეც მოხდა. უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ ოქმებსა და მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს, პირობითად, შეიძლება „ხილული“ მასალა ვუნოდოთ. აისბერგის მსგავსად, საქმის ძირითადი ნაწილი თვალთაგან დაფარულია. მხოლოდ „ხილულ“ მასალაზე დაყრდნობა არ იძლევა ობიექტური დასკვნის გამოტანის საშუალებას. საჭიროა კიდევ უფრო საიდუმლო მასალების გაცნობა. ვისთვისაც სუკ-ის არქივში დაცული მასლები ხელმისაწვდომი არ იყო, მათ დაიჯერეს, რომ მწერლებმა თავად გამოიძიეს მ. ჯავახიშვილის „დანაშაული“ და ჯაშუშად და დივერსანტად სცნეს იგი. ამ აბსურდული აზრის გავრცელებას, ნებისთინ თუ უნებლიეთ, ზოგმა მკვლევარმაც შეუნყო ხელი. ცხადია, შინსახკომის უშუალო მითითებით, 1937 წლის 17 აგვისტოს, შედგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდენტის სხდომა მწერალთა აქტივთან ერთად. „ოქმი №5. მოისმინეს: – ინფორმაცია გამომჟღავნებულ ხალხის მტერ მ. ჯავახიშვილის შესახებ (ამხ. დ. დემეტრაძე).“ სხდომას თავმჯდომარეობდა დ. დემეტრაძე, რომელიც თავის მხრივ, უკვე განწირული იყო. მისი ვრცელი მოხსენება პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ის პირველ რიგში ეყრდნობოდა შინსახკომის მიერ მიწოდებულ მონაცემებს: როგორც დავინახავთ, დაპატიმრების შემდეგ, მ. ჯავახიშვილს მხოლოდ 19 აგვისტოს აქვს მიცემული ჩვენება, რომელშიც არაფერს არ აღიარებს, მაგრამ დაპატიმრებამდე, 21 ივნისს დაწერილ განცხადებაში მოყვანილია მთელი ის ტყუილ-მართალი ინფორმაცია, რომელიც შინსახკომმა მწერლებს მიაწოდა, დ. დემეტრაძემ კი გააჟღერა: „მიხ. ჯავახიშვილი ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების, გარეწართა ხროვის

მონაწილე აღმოჩნდა. ეს ურყევი ფაქტებით იქნა დადასტურებული...“ განა, მწერლებს შეეძლოთ თავად ჩაეტარებინათ გამოძიება და ასეთი სერიოზული განცხადება დამოუკიდებლად გაეკეთებინათ? განა, ძნელი დასანახია, თუ ვინ იდგა ამის უკან? დღეს ზოგს ურჩევნია, რომ მ. ჯავახიშვილის დასჯის ინიციატივა მწერლებს გადააბრალოს, თუმცა უდანაშაულო არც მწერლები იყვნენ.

დ. დემეტრაძემ ისიც აღნიშნა, რომ მ. ჯავახიშვილი „იყო პარიტეტული კომიტეტის წევრი“. ეს ძალიან სერიოზული და ამავე დროს სავსებით დასაბუთებული ბრალდება იყო. შემდეგ, დემეტრაძემ მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას შეეხო: „მის. ჯავახიშვილმა საბჭოთა მწერლობის ამ ტენდენციას დაუპირისპირა ტიპიური ბურჟუაზიული ყაიდის ავანტიურისტული „რომანი“, ბულვარული მანერით დაწერილი „კვაჭი კვაჭანტირაძე“. ეს ნაწარმოები ავანტიურიზმის, თაღლითობის, მატყუარობისა და თვალთმაქცობის გაშიშვლებული აპოლოგიაა.

„კვაჭი კვაჭანტირაძეს“ მიყვა „ჯაყოს ხიზნები“, რომელშიაც სავსებით ყალბად და დამახინჯებულად არის გამოხატული საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირველი წლების საზოგადოებრივი ვითარება. „ჯაყოს ხიზნებში“ მოქმედი პერსონაჟი დახატულია პროფესიონალი ცილისმწამებლის და გამყალბებლის ხელით. რად ღირს მარტო თეიმურაზ ხევისთავის ფიგურა, რომლითაც აღმამფოთებლად და ცილისმწამებლურად გაბიაბრუებულია და მინასთან გასწორებული პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგი მთელი ქართული ინტელიგენციის ვითარება. ეს იყო შეგნებული პროვოკაციული მანერა, მტრული ცილისმწამება პროლეტარულ რევოლუციაზე, რომლის გარემოცვაშიაც ავტორის კონტრრევოლუციური თვალსაზრისით, თითქო ასე განადგურებულიყოს და გათახსირებულიყოს ქართველი ინტელიგენციის ძველი თაობა. თეიმურაზ ხევისთავის სახით ავტორმა შექმნა არა ძველი ქართველი ინტელიგენციის ტიპი, არამედ ჯავახიშვილისებური, სასიკვდილოდ განწირული რეაქციული ერთი მუჭა ინტელიგენტების განმასახიერებელი ფიგურა.

ამავე რომანში თეიმურაზ ხევისთავს ავტორმა დაუპირისპირა ჯაყო, რომელიც თავს ამ რომანის მიხედვით, განახლებული ცხოვრების ბატონპატრონად გრძნობდეს. აქ კიდევ უფრო მეტად აღმამფოთებელია მ. ჯავახიშვილის ცილისმწამებლური და სინამდვილის უხეშად გამყალბებელი განზრახვა. ჯაყო, ეს ნამდვილი პარაზიტი, ეგოისტური ინსტიქტით შეპყრობილი ცხოველი, ველური სტიქიის ყოვლად ტლანქი ჭურჭელი, „მწერალმა“ წარმოგვიდგინა ისეთ ძალად, რომელიც თითქოს წინ წამოსწია და განახლებული ცხოვრების საჭესთან დააყენა პროლეტარულმა რევოლუციამ. შეუძლებელია ამაზე შორს წასულიყო გაცოფებული კლასობრივი მტრის ცინიზმი, მისი საზიზღარი ცილისმწამება პროლეტარული რევოლუციის მამოძრავებელ ძალებზე.

ამგვარი ცილისმწამებლური, დამახინჯებული და გამყალბებელი „ნაწარმოებებიდან“ მ. ჯავახიშვილი გადავიდა ვულგარულ პორნოგრაფიული ხასიათის პატარა მოთხრობებზე, როგორიცაა „მუსუსი“, „პატარა დედაკაცი“, „ოქროს კბილი“ და სხვ. ამ „ნაწარმოებთა“ ერთ-ერთ „დანიშნულებას“ შეადგენდა საბჭოთა ხალხის მორალური შეგნების შებლაღვა. ამ „მოთხრობებით“ მწერლის ნიღაბში დამალული კლასობრივი მტერი სცდილობდა გამოეთიშა მკითხველის აზრი და გრძნობა ჯანსაღი სოციალისტური იდეების სფეროდან და მოედუნებინა მისი შემოქმედებითი უნარიანობა.

მ. ჯავახიშვილის „თეთრი „საყელო“ თავისი იდეური შინაარსით კულტურისა და ცივილიზაციის წინააღმდეგ მებრძოლ ნაწარმოებს წარმოადგენს.

როგორც კი ჩვენს ქვეყანაში გაიშალა ბრძოლა სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის – საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, მ. ჯავახიშვილმა, როგორც კონტრრევოლუციური კლასების ლიტერატურულმა აგენტმა, სასწრაფოდ შესთითხნა ცილისმწამებლური პასკვილური „მოთხრობა“ „დამპატიჟე“.

როდესაც ჯავახიშვილისათვის აშკარა გახდა, რომ პირდაპირი ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა ხალხისა და მისი იდეოლოგიური ფრონტის წინააღმდეგ შეუძლებელი იყო, მან განიზრახა შეენიღბა თავისი შავბნელი კონტრრევოლუციური ბუნება, ამოფარებოდა საბჭოთა მწერლის სახელსა და ავტორიტეტს.

ჯავახიშვილმა თემატურად უკან დაიხია და დაწერა ისტორიული ხასიათის რომანი „არსენა მარაბდელი“, რომელშიაც მძაფრად მოსჩანს ნაციონალიზმი.

უნდა ითქვას, რომ ჯავახიშვილისათვის საბჭოთა მწერლის რეპუტაციის შექმნაში განსაკუთრებული „ღვანლი“ მიუძღვით ჩვენი ხალხის დღეს უკვე საბოლოოდ ნილაბახდილ და განადგურებულ მტრებს მ. ტოროშელიძეს, ბენ. ბუაჩიძეს და სხვებს.

საბჭოთა მწერლის ნილაბქვემ დამალული მიხ. ჯავახიშვილი უკვე ახალის გაბედულებით უბრუნდება ჩვენი სოციალისტური სინამდვილისადმი ცილისმწამებლური და გამყალბებელი „მოთხრობების“ წერას. იგი სწერს მოთხრობას „რკინის საცერი“, რომელიც არსებითად „დამპატიჟეს“ გაგრძელებას წარმოადგენს. შემდეგ იგი აქვეყნებს მოთხრობას – „ცხრა ქალწულს“, რომელიც აგრეთვე საზიზღარ ცილისწამებას წარმოადგენს საბჭოთა ადამიანის მორალზე და ოჯახურ საყოფაცხოვრებო ურთიერთობის იმ სისტემაზე, რომელიც ყალიბდება სოციალისტური საზოგადოების ნიაღში. უკანასკნელად მ. ჯავახიშვილმა შემოგვთავაზა „ქალის ტვირთი“. ეს ღირსეული აპოთეოზი მისი კონტრრევოლუციურ-მოლაღატური, ლიტერატურულ მოლაღატური „მოღვანეობისა“. ამავე დროს მ. ჯავახიშვილი არ ერიდებოდა აშკარა კონტრრევოლუციურ ლაყბობას და ხშირად მოურიდებლად გამოსთქვამდა კლასობრივი მტრის ცილისმწამებლურ შეხედულებებს ჩვენი რევოლუციური სინამდვილის მთელ რიგ ძირითად საკითხებზე. ასეთია საბჭოთა მწერლის ნილაბში თვალთმაქცურად დამალული ჯავახიშვილის კონტრრევოლუციური სამწერლო და მოქალაქეობრივი გზა, რომელშიც იგი ლოგიკურად მიიყვანა უკვე საბოლოოდ განადგურებულ ჯაშუშ დივერსანტთა საზიზღარ ბანდაში. მ. ჯავახიშვილის მსგავს თვალთმაქც დივერსანტების გამომჟღავნება და განადგურება მხოლოდ აჯანსაღებს საბჭოთა ლიტერატურის ფრონტს. საბჭოთა მწერლობა, სწმენდს რა თავის რიგებს მუხანათურად შენიღბულ ამგვარ მავნებლისაგან, უფრო მეტის ერთგულებით და ერთსულოვნებით ირაზმება ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო...“ დ. დემეტრაძის მოხსენება შემდეგ გაზეთში სხვისი ავტორობით გამოქვეყნდა. ჩვენ არ ვიცით, სინამდვილეში, ვინ არის ამ მოხსენებისა, თუ საგაზეთო წერილის ავტორი. მთავარი ის არის, რომ მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებებში აღბეჭდილმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ საბჭოური რეჟიმისადმი – გადამწყვეტი როლი შეასრულა მწერლის დაღუპვაში. დამაფიქრებელი დეტალი: საგაზეთო ვარიანტში გამოტოვებულია ის ბრალდება, რომ მ. ჯავახიშვილი „იყო პარიტეტული კომიტეტის წევრი“. ეს ფაქტი ხელისუფლებამ 1925 წელსაც დაუმალა ფართო საზოგადოებას. გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე მწერალი ფიგურირებდა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და არა როგორც პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომისიის წევრი. თავის დროზე ეს ფაქტი რომ არ მიეჩქმალათ, მაშინ მ. ჯავახიშვილი მონმედ კი არ იქნებოდა მიწვეული 1925 წლის სასამართლო პროცესზე, არამედ ბრალდებულად. (იმავე კომისიის მეორე წევრი – ნ. ხომერიკი ხომ მაშინვე დახვრიტეს).

1937 წლის 17 აგვისტოს დემეტრაძის მოხსენების შემდეგ, „სიტყვებით გამოსულმა მწერლებმა... ილაპარაკეს რომ მიხ. ჯავახიშვილი საბჭოთა მწერალი არასოდეს არ ყოფილა. ის როგორც მოქალაქე და ადამიანი მიუტევებელი პიროვნებაა. მას ხალხის მტერმა ტოროშელიძემ და სხვებმა შეუქმნეს დიდი მწერლის სახელი. ჯავახიშვილის ანგრება ყველასათვის ცნობილი იყო. შენიღბულ ჯაშუშს და ხალხის მტერს ბოლომდე არ ჰყოფნიდა ჭკუა დაეფარა თავისი ბნელი ზრახვები – ის იცავდა ფაშისტური სისხლის თეორიას. წინააღმდეგი იყო საბჭოთა მეურნეობებისა და დიდი ფაბრიკა-ქარხნების ორგანიზაციის. კულუარებში იმეორებდა ანდრე ჟიდის ცილისწამებას საბჭოთა ხალხზე. მ. ჯავახიშვილის ლიტერატურული ჩავარდნები შემთხვევითი ხასიათის არ ყოფილა – ეს იყო მისი მუშაობის სისტემა. მ. ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ უნდა იქნას მწერალთა კავშირის რიგებიდან და აღგვილი დედამიწის ზურგიდან. დაადგინეს: – მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებული“ [უახლესი ისტ. არქივი, ფონდი 8 ან 1, საქ. 600, ფ.ფ. 10-11].

რაოდენ საშინელიც არ უნდა იყოს მწერლების დანაშაული, გავიხსენოთ, რომ თვითონ მ. ჯავახიშვილიც ასევე გამოდიოდა ხოლმე სიტყვით სხვა მწერლების წინააღმდეგ, მაგ.: „მ. ტოროშელიძე საშინელ მოლაღატურ მუშაობას აწარმოებდა...“ ასევე მოითხოვდა სხვა ადამიანების ფიზიკურ განადგურებას: „ვინც ჩვენ და ჩვენი კერა, ჩვენი დიადი ცხოვრება და ჩვენი მომავალი არ დაინდო, ის არც ჩვენი მხრით არის დასაწადობარი. სიკვდილი მუხანათურ მტერს!“ [მ. ჯავახიშვილი „სიკვდილი მუხანათურ მტერს“, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 30 იანვარი, 1937 წ.].

VI.4. მიხეილ ჯავახიშვილის ჩვენება და განცხადებები

დაპატიმრების შემდეგ, მ. ჯავახიშვილი 1937 წლის 19 აგვისტოს დაკითხეს. საქმეში დაცული იყო დაკითხვის ოქმის ასლი. იგი სრულიად განსხვავდებოდა მ. ჯავახიშვილის ხელით დაწერილი განცხადებისაგან. როგორც ჩანს, მწერალი დარწმუნდა, რომ იმ ხერხმა, რომელიც მან 1923 წელს გამოიყენა – ამჟამად არ გასჭრა. „დანაშაულის“ აღიარების მიუხედავად, იგი ორი თვის მერე ხომ მაინც დააპატიმრეს. ამიტომ, ახლა მან ყოველივეს უარყოფა ამჯობინა. დაკითხვაზე ძალიან მტკიცედ ეჭირა თავი. იგი დააპირისპირეს ლევან ქორქაშვილთან, რომელმაც ხელი დაადო მას, როგორც კონტრრევოლუციური ფაშისტური ცენტრის წარმომადგენელს. მ. ჯავახიშვილი ვერაფერში გამოტყუეს [სუკ-ის არქივი, საქმე №9997, ფ.ფ. 7-9]. საინტერესოა, შინსახკომში რატომ ვერ შეცვალეს ეს ჩვენება? ან, თუ თავად დაწერეს, მ. ჯავახიშვილს რატომ არაფერი არ აღიარებინეს? ალბათ გადასახედია ეს მარტივი და ტრაფარეტული სქემა: 1. გამომძიებელმა დაწერა. 2. პატიმარი სცემა. 3. ხელი მოაწერინა. რამაზ შიშნიაშვილმა, რომელმაც თავისი დედის, ქ. ჯავახიშვილის მოგონებებს „ბოლოსიტყვაობა“ დაურთო, აღნიშნული დაკითხვის ოქმი გამოაქვეყნა და დასძინა, რომ მ. ჯავახიშვილს „ძე-შეცდომილად მიუჩნევია მასთან დაპირისპირებული ქორქაშვილი, რომელიც მწერალს ამკარად ცილს სწამებდა მავნებლურ საქმიანობაში“ [რ. შიშნიაშვილი, „ბოლოსიტყვაობა“ ნიგში: ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, გვ. 467-470]. ოქმის მიხედვით, მ. ჯავახიშვილი ღირსეულად გამოიყურება, ამიტომ რამაზ შიშნიაშვილი გამომძიებლებს ამ ოქმის შეთხზვას არ აბრალებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მ. ჯავახიშვილის მიერ არ არის ხელმოწერილი.

1937 წლის 21 აგვისტოს მ. ჯავახიშვილმა დაწერა ახალი განცხადება რომელშიც ალბათ, სასტიკი ცემის შემდეგ, კვლავ ნაწილობრივ გაიმეორა ის, რასაც დაპატიმრებამდე წერდა, მხოლოდ ახლა ბევრად უფრო შერბილებული სახით. ასე მაგ., თუ ადრე მ. ჯავახიშვილი წერდა, რომ არგვეთში „ჩაისახა აზრი ჩვენი ოთახის, მომავალი ფაშისტური ორგანიზაციის ბირთვად გადაქცევისა“, ახლა ის მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიების ჯგუფზე ლაპარაკობს და გადაჭრით უარყოფს ფაშისტთან რაიმე კავშირს: „შეუძლებელია იმის თქმა, ზუსტად როდის შეგროვდა საბოლოოდ ეროვნულ-დემოკრატიების ჯგუფი. იგი თანდათანობით შეიქმნა. საბოლოოდ ჯგუფის ბირთვი (ცკ) გასულ ზაფხულს ჩამოყალიბდა, როდესაც პავლე იაშვილმა მე, გ. ქიქოძე და ილო მოსაშვილი თავისთან დაგვპატიჟა არგვეთში. ჩვენ იქ 4 დღე გავატარეთ და საბოლოოდ დავმეგობრდით. იქიდან დაწყებული ჩვენ დროდადრო ვიკრიბებოდით“.

აღვნიშნავ კიდევ სხვა მნიშვნელოვან განსხვავებებს: 21 აგვისტოს განცხადებაში მ. ჯავახიშვილი არც პოლონეთის კონსულს ახსენებს, არც ლ. გარსიაშვილსა და ბ. ფალავას და არც ემიგრანტ შ. ქარუმიძეს. 21 ივნისის განცხადებაში კი, მათ საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. სხვათა შორის, განცხადების ის მონაკვეთი, რომელიც შ. ქარუმიძეს ეხება გამოქვეყნებული მაქვს საგაზეთო წერილში [„არა არს დაფარული, რომელ არა განცხადდეს“, გაზ. „სახალხო განათლება“, 9 აგვისტო, 1990]. რ. შიშნიაშვილს „ვერ შეუნიშნავს“, რომ 1937 წლის 21 ივნისით და 21 აგვისტოთი დათარიღებული განცხადებები იდენტური არ არის. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც მოცულობით, ისე შინაარსით. პირველი განცხადება, რომლის დედანი საქმეში ინახებოდა, დაწერილია დაპატიმრებამდე, რაც ფიზიკურ ზემოქმედებას გამოორიცხავს: გამომძიებლები დასისხ-

ლიანებულ ადამიანს გარეთ არ გამოუშვებდნენ, პატიმართან ანგარიშსწორებას კი არაფერი ედგა წინ. ამის გათვალისწინებით, რ. შიშნიაშვილი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს, საქმე გვაქვს არა ორ სხვადასხვა განცხადებასთან, არამედ ერთსა და იმავე აღიარებასთან, რომელიც პატიმრობაში დაინერა. ვისაც არ ჩაუხედავს საქმეში №9997, ის ადვილად დაიჯერებს ბ-ნი რამაზ შიშნიაშვილის ვერსიას, რომელიც საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს: „წამებისა და გვემის შემდეგ დაწერილი ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ხელს აწერს ცოცხალ-მკვდარი მიხეილ ჯავახიშვილი, დათარიღებულია მისივე ხელით 21.06.37 წ. ფაქტიურად კი მწერალი 15 აგვისტოს დააპატიმრეს... ხოლო იგივე ბარათი უკვე მოსკოვში გასაგზავნად გადაბეჭდილი დათარიღებულია 1937 წლის 21 აგვისტოთი.

ჩვენი ვარაუდით, ეს დიდი მწერლის თავისებური პროტესტია ისტორიის წინაშე რაც გამოძიებას მხედველობიდან გამორჩა“ [რ. შიშნიაშვილი, „ბოლოსიტყვაობა“ წიგნი: ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, „ბოლოსიტყვაობა“. გვ. 471]. არსებობის უფლება ამ ვერსიასაც აქვს, მაგრამ მინდა გაგაცნოთ ჩემი შენიშვნები, რის შემდეგ მკითხველმა თავად გადაწყვიტოს, თუ რომელი ვერსიაა სიმართლესთან უფრო ახლოს.

ა. რ. შიშნიაშვილმა იცნო თავისი პაპის – მ. ჯავახიშვილის ხელი.

ბ. „ცოცხალ-მკვდარი“ ადამიანი თავისი ხელით 34-გვერდიან განცხადებას ვერ დაწერდა.

გ. აღნიშნული ორი განცხადება, როგორც უკვე ვთქვით, სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ორ დამოუკიდებელ დოკუმენტს წარმოადგენს.

დ. ივნისის განცხადებაში ვერ შეხვდებით ვერც ერთ ისეთ ფაქტს, რომელიც ივლის-აგვისტოში მოხდა, აგვისტოს განცხადებაში კი ნახსენებია ქვიშხეთში გამგზავრება.

ე. სრულიად დაუჯერებელია, რომ მ. ჯავახიშვილის მიერ დაწერილი განცხადება შინსახკომს მოსკოვში გასაგზავნად გადაბეჭდვის დროს, მის სასიკეთოდ შეეცვალა, შეერბილებინა და დიდი მონდომებით გაემიჯნა მწერალი ფაშიზმისაგან, მაგალითად: „მე ბრალს მდებენ ფაშისტური ორგანიზაციის წევრობაში. უკიდურესად გადაჭრით ვუარყოფ მსგავს ბრალდებას“. პირველ ხელნაწერ განცხადებაში მ. ჯავახიშვილი ხომ სანინალმდეგოს ამტკიცებდა!

ვ. სანამ მწერლები 17 აგვისტოს სხდომას ჩაატარებდნენ, მათ უკვე აჩვენა ბერიამ მ. ჯავახიშვილის აღიარება პოლონეთის კონსულისაგან 3000 მანეთის მიღების შესახებ. დაპატიმრების შემდეგ, მ. ჯავახიშვილს არც დაკითხვაზე (19 აგვისტოს) და არც 21 აგვისტოს განცხადებაში პოლონეთის კონსული არ უხსენებია. ადრე, 21 ივნისს კი წერდა: „მეორე დღეს მან (კონსულმა – მ. ხ.) იუდას 3000 მან. გამომიგზავნა. მაგრამ იუდა ჩემზე გაბედული აღმოჩნდა: მან თავი ჩამოიხრჩო, მე კი ჯერ ვცოცხლობ“ [სუკ-ის არქივი, საქმე №9997, ფ. 26].

ზ. სსრკ-ს ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა რ. რუდენკომ კარგად იცოდა, რომ 21 ივნისის განცხადება 21 აგვისტოს განცხადების დედანი კი არ არის, არამედ მისგან სრულად დამოუკიდებელი დოკუმენტია. მწერლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, 1954 წლის 24 ივნისს რუდენკომ დაწერა საიდუმლო დასკვნა, რომელშიც სათითაოდ არის ჩამოთვლილი მ. ჯავახიშვილის აღიარებანი: „ჯავახიშვილის 1937 წლის 21 ივნისის განცხადების გარდა, საქმეს ერთვის მისი 1937 წლის 19 აგვისტოს დაკითხვის ოქმის ასლი და საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის სახელზე დაწერილი მისი 1937 წლის 21 და 31 აგვისტოს განცხადებების ასლები. ამ დოკუმენტების დედნები საქმეში არ არის“ [სუკ-ის არქივი, საქმე №9997, ფ. 264]. **ე. ი. 21 ივნისის განცხადება – 21 აგვისტოს განცხადების დედანი არ არის!**

ახლა კი ვაქვეყნებ მიხეილ ჯავახიშვილის სახელით დაბეჭდილ, 1937 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებულ, ხელმოუწერელ განცხადებას:

«Наркому вну-дел Грузии Гоглидзе
Джавахишвили Михаила Саввича

ЗАЯВЛЕНИЕ

За последние годы все яснее и яснее обозначалось среди моих знакомых несколько течений, начиная с фашистов и кончая уклонистами. Перегруппировки в конечном счете давали два полюса – правый и левый. Правая группа особенно усилилась после победы фашизма в Германии и обострения противоречий между Сов. Союзом и фашистскими странами. Во время бесед с ними они (Алексей Церетели, Давид Церетели, Исидор Варазашвили, Сандро Ахметели, Конс. Гамсахурдия) повторяли обычные фашистские тезисы с некоторыми нюансами.

Программные позиции федералистов и нацдемократов настолько сблизились, что порой трудно было отличить их друг от друга. В общем федералисты оставались немного левее нацдемократов. Из федералистов я встречался и беседовал одновременно с Арчилом Джаджанашвили, Коки Абашидзе, Христофором Рачвелишвили, Михаилом Сакварелидзе, Евгением Бокерия, Шалвой Нуцубидзе.

Из нацдемов называю Геронтия Кикодзе, Константина Чичинадзе, Ило Мосашвили, Павле Иашвили, Тициана Табидзе, Иосифа Мачавариани, Серго Данелия, Николая Мицишвили и др.

Из меньшевиков встречался и беседовал с К. Нинидзе, Соломоном Тавадзе, с Пирцхалашвили (юрист), Нико Элиава, Шалвой Чумбуридзе и др. Говоря о программной близости нацдемов и федералистов, я считаю необходимым изложить вкратце основные их тезисы.

Мы не мыслим иной политической формы для Грузии кроме демократической республики. Монархия вовсе исключалась. Никто о ней не говорил. Что же касается фашистского строя, для нас она была совершенно неприемлема ни в идеологическом, ни в политико-социальном отношении. Кроме того мы считали, что фашизм в наших условиях не имеет прочной социальной базы, т. к. в Грузии почти уничтожены дворянские и кулацкие элементы, старое офицерство и чиновничество. Что же касается меньшевиков, их программа оставалась старой, но мы сильно опасались их прежних диктаторских замашек и демагогии. Тем не менее мы считали необходимым находиться с ними в тесной близости с целью усиления противовеса могущими усилиться фашистам и для реализации демократического строя.

Возвращаясь к программным вопросам нац. демократической группы. Наши установки состояли из двух частей: 1) При условии незыблемости Советского строя и 2) на случай отпадения Грузии от СССР в случае программной войны. В первом случае мы желали постепенного восстановления мелкой частной собственности и свободной конкуренции между частным и государственным капиталами, что должно было привести с одной стороны к усилению производительных сил страны, а с другой – постепенному переходу в руки частных мелких и средних предприятий с оставлением за государством командных высот (тяжелая промышленность и крупнейшие совхозы), что же касается колхозов, они исчезли бы сами собой при свободной конкуренции. При этом мы полагали, что государственная касса при помощи налогового пресса, и принимая во внимание рост производительных сил страны, осталась бы даже в выйгрыше.

Что же касается второго случая – отпадения Грузии, то об этом были разные проекты, но о них можно не говорить, т. к. кто бы ни «освободил» Грузию, он не спросил бы нас о наших проектах, как это случилось при меньшевиках.

Каким образом мы ожидали исполнения наших планов – скорее желания – в Советском Союзе? Для нас представляло азбучную истину то, что эти основные вопросы могли быть решены раньше всего русским народом, как решались ими всегда важнейшие вопросы всей России, в том числе и Октябрьская Революция. Отсюда проистекала вся тактика нашей группы – пассивное ожидание событий с севера. Имей мы общую союзную организацию на подобие троцкистов, мы по всей вероятности проявили бы во много раз большую активность.

Я сознательно называю нац. демократическое течение группой, а не организацией, т. к. она была

лишена самых необходимых атрибутов политической организации: выборного ЦК, учета членов, провинциальных отделений, распределения функций и пр. и пр. Мы не пытались численно расти из опасения преждевременного провала – это во-первых, а во-вторых мы рассчитывали в случае надобности и без предварительных мер быстро собрать давно рассыпавшиеся кадры. Считаю необходимым отметить, что о силах нац. демократов всегда ходили чрезвычайно преувеличенные слухи. В действительности же можно судить хотя бы по тому, что эта партия провела в учредительное собрание всего 5-6 депутатов из общего числа 120. После злосчастного восстания 1924 года, партия совершенно распалась и я никогда не слышал, чтобы кто либо пытался воссоздать ее.

В 1927 году была создана литературная корпорация «Арифони» по замыслу нац.демовская в составе 14 писателей, но она быстро разложилась ввиду разношертности ее состава. Оставшиеся несколько членов изредка встречались случайно. Очень долго не удавалось привлечь бывших нац.демов «голубороговцев», т. к. нас разделяла острая литературная борьба.

Невозможно сказать когда именно собралась окончательно группа нац.демов. Она образовалась постепенно. Из боязни быть обнаруженной, она даже ни разу не собралась в значительном составе. Иногда собирались по 3-4 человека, иногда же не собирались по несколько м-цев. Окончательно ядро (ЦК) группы вылилось летом прошлого года. Павле Яшвили пригласил к себе в Аргвети меня, Г. Кикодзе и Ило Мосашвили. Мы провели там 4 дня и сдружились окончательно. С тех пор мы время от времени собирались друг у друга и за ужином, и картами, обсуждали текущие вопросы. Яшвили как-то заявил, что у него есть «собственная фракция» в составе: Мицишвили, Табидзе, Нуцубидзе, З. Нанеишвили и одного крупного партийца, фамилии которого он не назвал. Мы догадались, что речь шла о Джикия. Все они были в очень близких с Яшвили отношениях, но я никогда не узнал какие дела сближали его с Джикия и Нанеишвили.

Выше я назвал лиц из фашистского и других лагерей. Возникает вопрос: кто из них был руководителем или одним из руководителей организации? Заявляю чистосердечно и категорически, что я этого не знал и не знаю. О них я судил по слухам и впечатлениям, вынесенным от бесед с ними, например с Ал. Церетели я беседовал в госархиве в 1928/29 гг. Я пришел к нему для того, чтобы получить некоторые материалы для моего романа. Категорически утверждаю, что с тех пор я с ним не виделся.

Давид Церетели за несколько дней до своего ареста бросил фразу: «Демократия и коммунизм обречены. Наступает эпоха Гитлера и Муссолини».

С И. Варазишвили, С. Ахметели и К. Гамсахурдия я беседовал, правильнее спорил по несколько раз. Пишу об этом потому, что меня обвиняют в принадлежности к фашистской организации. Самым решительным образом отрицаю подобное обвинение и привожу самый свежий факт, который очень легко проверить: перед отъездом в Квишхети я беседовал с Ар. Джаджанашвили и Коки Абашидзе, а в Квишхетах с поэтами Иона Вакели и кажется Шаншиашвили или Чичинадзе о том, как яростно мы должны выступить против агрессоров, осмелившихся напасть на наше отечество.

С заграницей у нас никакой связи не было.

О Блоке у нас не заходило речи, т. к. обстоятельства вовсе не требовали этого и никто нам не предлагал его.

Выше я сказал, что мы не пытались расширяться, в группу никого не вербовали и списка членов не вели. Но у нас были сочувствующие и сочувствовавшие, разделявшие наши установки, например Евсей Барамидзе, Аристо Чумбадзе, Шалва Картвелишвили, Александр Семенович Маисурадзе и др. которых я теперь не припомню.

Уполномоченных в провинциях не было по той причине, что мы вообще организационной работы не вели. Это не значит, что кое-где самовольно не возникали нац. демовские группы. Я имел случай лично убедиться в этом, два года тому назад я жил в Душети некоторое время. Со мной познакомился педагог Давид Кобиашвили, который назвался нац.демом и заявил, что у него имеется группа в

несколько человек. (დავით კობიაშვილი დახვრიტეს – მ.ბ.).

Спрашивается, какими средствами мы намеревались достигнуть цели? Вооруженная борьба во все исключалась. Этот вопрос в нашей группе даже не ставился. Это может показаться наивным, но факт: мы только пропагандировали наши идеи среди наших знакомых и ждали «подходящего случая» иначе говоря, мы занимались пассивной а не активной политикой.

Я чистосердечно сказал, что творил и знал. Я конечно сознаю, что творил антисоветское дело и без ропота приму наказание, но при определении его меры прошу вас гр-н Комиссар, принять во внимание мою 35-ти летнюю общественно-литературную работу и, если заслуживаю, оказать мне снисхождение.

(ხელმოწერა არ არის – მ. ბ.) /М. Джавахишвили/
21 августа 1937.

Верно» [სუკ-ის არქივი, მიხეილ ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმე №9997].

1937 წლის 31 აგვისტოს, საბოლოოდ გატეხილი და ნატანჯი მ. ჯავახიშვილი წერს კიდევ ერთ განცხადებას, რომელშიც ახალ ფაქტებს ამატებს:

«Дополнительно сообщаю следующее: в конце мая я был в Москве на пленуме писателей. Я встретился там, между прочим, с автором романа «Горы» Зазубриным, с которым раза 2-3 встречался и раньше. Из беседы выяснилось некоторое родство во взглядах. Я пригласил его на обед (в грузинский ресторан на б. Тверского). Вино понемногу развязывает языки. Мы оказались единомышленниками. Он, между прочим, в таких теплых тонах отзывался о фашисте поэте Васильеве и о некоторых недавно исключенных из союза писателях и арестованных (фамилии не помню), что тем самым явно солидировался с ними...

Не получая необходимую мне информацию от польского консульства, я попросил Яшвили связать меня лично с германским и итальянским консулами. Он все откладывал. Когда же я сказал, что сам пойду к ним, он крайне смутился и попросил не делать этого. Из его бессвязных объяснений я понял, что у него с ними неважные отношения. Он просил меня заступиться за него и сказал, что он запутался и что он на днях представит им доказательство своей искренности. Он почти плакал. Я посоветовал ему рассказать мне все, но он отказался, сказав что это совершенно бесполезно. Через несколько дней он пришел ко мне и положил на стол связку отпечатанных бумаг, сказал: «сегодня в полночь германский консул ожидает тебя. Передай ему по одной копии этих бумаг, а другие передай итальянскому и польскому консулам. Через день или два я сведу тебя с итальянским консулом, но умоляю тебя смягчи их, иначе погибнем все. Необходимо их уверить в том, что отныне я буду работать для них от имени нашей (фашистской) организации.

Я понял: до сих пор он работал от своего имени и получаемое вознаграждение присваивал. Я колебался, но понял, что связь с консулами рано или поздно приводит к шпионажу. Я бегло просмотрел документы. Их было два, в трех копиях. Первый из них касался Закавказских жел. Дорог, плана военных перевозок, во втором же перечислялись пограничные пикеты, состав пограничных войск, всех войск Закавказья, командный состав и т. д.

В назначенный час я позвонил к германскому консулу. Дверь подъезда открылась сейчас-же. Консул или его помощник (он не отрекомендовался) принял меня сразу...»

«В Тбилиси кроме нескольких писателей, я не знаком ни с одним армянином, ни с тюрком, а в Армению и Азербайджан мы никого не посылали. Но, повторяю, не будь массовых арестов, так или иначе, мы связались бы с Арменией и Азербайджаном и с горцами, одну попытку прозондировать почву я все же сделал через писателя Дарбиняна, с которым я иногда встречался в Союзе писателей и литфонде и который показался мне достаточно правым.

В июне или июле он уезжал в Ереван и я просил его связаться там с кем-нибудь из надежных своих друзей и сообщить потом мне о результатах. Я пока, конечно не открывал ему своего настоящего лица, ни тем более нашей организации, т. к. я не был с ним достаточно близок.

Вернувшись, он сказал коротко, что в Армении идут также аресты и настроение настолько подавленное, что говорить об этом пока нет возможности. Наш разговор кончился на этом.

31/VIII-37 г.

М. Джавахишвили» (ხელმოწერა არ არის – მ. ს.) [სუკ-ის არქივი, №9997, ფ.ფ. 50-54].

მ. ჯავახიშვილის განცხადებებიდან ჩეკამ ამოკრიბა მის მიერ დასახელებული პირები და 51 კაცის სია შეადგინა: „Список проходящих по собственноручным показаниям Джавахишвили М. С.»

ყოველი გვარის გასწვრივ მითითებულია შესაბამისი ფურცელი მ. ჯავახიშვილის საქმიდან. მისი ჩვენებების გვერდები გადანომრილია საქმის ფურცლების მიხედვით:

1. ჯაჯანაშვილი არჩილი – 10,14
2. აბაშიძე კოკი – 10,43.
3. რაჭველიშვილი ქრისტეფორე – 10,52
4. საყვარელიძე მიხეილ – 10
5. ბოკერია ევგენი – 10,52
6. ნუცუბიძე შალვა – 10, 13, 20, 21,2 4, 41, 43, 44, 53
7. ქიქოძე გერონტი – 10, 13, 17, 20, 36, 43, 44, 46, 52
8. ჭიჭინაძე კონსტანტინე – 10,14,17,46
9. მოსაშვილი ილო – 10, 13, 17, 20, 23, 24, 43, 45, 46, 52
10. იაშვილი პავლე – 10, 13, 17, 18, 20, 22, 23, 25, 27,43, 46, 50, 51, 52
11. ტაბიძე ციციან – 10, 13, 17, 20
12. მაჭავარიანი იოსებ – 10
13. დანელია სერგი – 10, 21, 24
14. მინიშვილი ნიკოლოზ – 10, 13, 17, 23, 24, 52
15. ნინიძე კირილე – 10, 36, 41, 53
16. თავაძე სოლომონ – 10,17
17. ფირცხალაიშვილი (იურისტი) – 10
18. ელიავა ნიკო – 10
19. ჭუმბურიძე შალვა – 10
20. ნანეიშვილი ზ. – 3, 13, 20, 21, 24, 35, 43, 45, 52
21. ჯიქია ვ. – 10
22. წერეთელი ალ. – 14
23. წერეთელი დ. – 14, 23, 46, 52
24. ვარაზაშვილი ი. – 4,14
25. ახმეტელი ს. – 14
26. გამსახურდია კ. – 14, 17, 46
27. ვაკელი იონა – 14
28. შანშიაშვილი – 14
29. ჭიჭინაძე კ. – 14, 17, 46
30. ბარამიძე ევსეი – 14
31. ჭუმბაძე არისტო – 14,17
32. ქართველიშვილი შალვა – 14
33. მაისურაძე ალ. სიმ. – 14
34. კობიაშვილი დავით – 15, 23
35. ბერიძე უ. – 24
36. გოგიბერიძე მ. – 24
37. გარსიაშვილი ლევანი – 26, 27, 52
38. ფალავა ბეგლარ – 28, 52

39. ქარუმიძე შალვა – 28, 35, 46, 52
40. აბაშიძე მემედ – 35
41. ნიორაძე მ. – 36, 37, 38, 39, 41, 42
42. მგალობლიშვილი გ. – 30
43. მახარაძე გ. – 40, 41, 53
44. პასტერნაკი – 45
45. პილნიაკი – 45
46. ზაზუბრინი – 50
47. ვასილევსკი – 50
48. სტავსკი – 50
49. დადიანი ს. – 52, 53
50. ბარათაშვილი – 52, 53
51. მესხიშვილი შ. – 52, 53

ეს სია სრული არ არის. ასე მაგალითად, 52-ე გვერდზე, მ. ჯავახიშვილი ასახელებს მწერალ დარბინიანს, ხოლო 41-ე გვერდზე, მთელ რიგ სამხედრო პირებს – თუხარელს, მოსიძეს, გედევანოვს, ქუთათელაძეს, ბუაჩიძეს. სიაში ჩამოთვლილთა ბედი ერთნაირი არ ყოფილა: ზოგი დახვრიტეს, ზოგი გაათავისუფლეს, ზოგი დაპატიმრებასაც გადაურჩა და ჩვენების მიცემასაც.

VI.5. საბრალდებო დასკვნა

მ. ჯავახიშვილის საქმის ძიება 1937 წლის 19 სექტემბერს დასრულდა. დაინერა საბრალდებო დასკვნა. მწერალი დამნაშავედ სცნეს სამ დანაშაულში, რომლებსაც ითვალისწინებდნენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-8 და 58-11 მუხლები:

„1. იყო კონტრრევოლუციური ფაშისტური, ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური ორგანიზაციის ცენტრის თავმჯდომარე;

2. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინტერპარტიული კომიტეტის მუშაობაში, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოში მთელი ანტისაბჭოთა ძალების კონტრრევოლუციურ მუშაობას;

3. ეწეოდა აქტიურ ჯაშუშურ-დაზვერვით მუშაობას უცხოეთის სახელმწიფოთა სასარგებლოდ“ [სუკ-ის არქივი, საქმე №9997] (სურ. №79, სურ. №80, სურ. №81).

ძიების დასრულების შემდეგ, მეორე დღეს, მ. ჯავახიშვილმა, თავის გადარჩენის მიზნით, კიდევ ერთი განცხადება დაწერა, რომელიც მას არაფერში გამოადგა, სამაგიეროდ, დამლუპველი აღმოჩნდა ლ. გარსიაშვილისა და ბ. ფალავასათვის. ამჯერად, მ. ჯავახიშვილი აცხადებდა, რომ გარსიაშვილისა და ფალავასაგან მიღებულ ცნობებს გერმანიის კონსულსაც აწვდიდა. ეს განცხადება მ. ჯავახიშვილის საქმეში აღარ შეუტანიათ. იგი ინახებოდა ბეგლარ ფალავას საქმეში და 21 ივნისის ჩვენებასთან ერთად, გამოყენებული იყო მისი დაკითხვის დროს:

«Наркомвнутдел ГССР

М. С. Джавахишвили

Заявление

Дополнительно показываю следующее:

Испугавшись последствий моих изменнических дел, на днях я заявил словесно следователь Д. К. Абашидзе, что я отказываюсь от моих прежних показаний, но поразмыслив я пришел к убеждению, что чистосердечность и правда лучшие средства к полному разоружению, поэтому я решил продолжать давать показания в этом духе. Я глубоко раскаиваюсь в том, что пытался ввести следствие и в заблуждение и не нахожу себе оправдания.

У Германского консула я был еще один раз. Консульство расположено на подъеме Измаиловской улицы, недалеко от угла ул. Ленина, выше сквера, налево в двух этажном доме. Пришел я туда приблизительно к 10 часам и вошел после звонка через подъезд. Меня провели через две-три комнаты в его кабинет. Точное расположение его кабинета и стиль мебели я не помню. Комната, кажется, в 2 окна, на стене заметил портрет Гитлера. Второй раз я опять принес ему военные сведения, которые передал мне Гарсиашвили в союзе писателей после окончания заседания. Я не читал их но быстро просмотрел. Это были, насколько я понял, мобилизационные планы и сведения о береговых укреплениях. Я поспешил вечером отнести их консулу, с которым имел очень короткий разговор приблизительно на те же темы, которые я описал в прерывающихся показаниях. Он, между прочим, сказал, что восстание в Москве провалилось, но его подготовят следующие поколения и подобные попытки всегда будут повторяться.

Я еще раз повторяю со всей искренностью, что в Москве, среди горцев и Зак. Республиках мы не успели завязать связей.

Я забыл добавить, что за несколько дней до получения материалов от Гарсиашвили, Беглар Пагава обещал мне, в свою очередь, кое-какие материалы. Из союза я позвонил ему и он ответил «готово». Тогда я пришел к нему во дворец и он передал мне сверток печатных бумаг экономического характера. Эти бумаги, вместе с военными сведениями, я передал германскому консулу. Я уже указывал на принятую у нас систему вербовки, а именно: Гамсахурдия Кон., Чичинадзе Конс., Церетели Д. Мицишвили Н. Что же касается названных мною ранее Барамидзе Евсея, Чумбадзе Аристо, Картвелишвили Шалва, Майсурадзе Александра, по характеру наших бесед я вынес определенное впечатление, что они или вполне сочувствовали нам, или принадлежали к нашей организации и были завербованы неизвестными мне лицами. Что же касается Т. Табидзе, то я упомянул его со слов Яшвили и личного разговора с ним не имел. Вспоминаю еще фамилии двух писателей – А. Кутатели и К. Надирадзе, но кем они были названы, я не помню. Повторяю, что я очень редко показывался на улице, буквально каждый день приезжал в союз писателей и литфонд в 11 час. И оставался там до 4-5 час. Что могут удостоверить все работники литфонда, а вечера проводил за работой, или на многочисленных собраниях. Этим я хочу сказать, что мои встречи со знакомыми были крайне редкими, а характер мимолетных бесед чрезвычайно осторожный, поэтому вполне естественно, что из таких бесед я не мог делать вполне определенных выводов. Вспоминаю две одновременные встречи с Рачвелишвили и Дадиани на ул. Руставели. Мы заговорили о надвигающихся больших событиях, о необходимости объединения сил. Он сказал, что они, федералисты, возобновили организации и работают. Я ответил ему, что мы тоже работаем, но не назвал ему характера нашей организации, поэтому, он, повидимому, считал меня нац. демократом. «Вы очень популярная фигура и в такой момент не можете оставаться в стороне» — сказал Рачвелишвили. Он высказал сомнение, чтобы мы могли найти оружие и сказал, что в конце концов дело решит армия.

Я согласился с ним и просил его прислать ко мне кого-нибудь. Я думаю, что именно в результате этой беседы явились ко мне Месхишвили и Нинидзе, о чем я писал раньше.

Разговор с Дадиани имел такой же характер. Он был настроен оптимистичнее, чем Рачвелишвили и уверял, что восстание обязательно будет иметь успех, т. к. по его сведениям, армия почти поголовно недовольна и что необходимо к этому моменту объединить наши силы. При этом он сказал, что партия федералистов возобновила работу и что мы (нац. демократы) тоже должны встать на этот путь. Я ответил ему, что мы тоже работаем и в нужный момент мобилизуем все наши силы. Других деталей разговора я не помню. Все они при беседе с Рачвелишвили и Дадиани сводились к указанным выше двум тезисам, а именно: федералисты и мы возобновим работу и необходимо объединить наши силы для вооруженного восстания.

М. Джавахишвили (ხელი მოწერილი არ არის – მ. ხ.).

20 сентября 1937 г. Верно» [სუკ-ის არქივი, საქმე №10198, ფ. ფ. 5-7].

1937 წლის 30 სექტემბერს მიხეილ ჯავახიშვილი თბილისში დახვრიტეს. მის საქმეში ჩაკერებულა დახვრეტის ოფიციალური ცნობა [სუკ-ის არქივი, საქმე №9997 ფ. 257]. ქართველმა ხალხმა დიდი მწერალი დაკარგა, რომელსაც კიდევ ბევრი ნაწარმოების შექმნა შეეძლო.

Дело №

5454

255 /

ПРИГОВОР

Именем Союза Советских Социалистических Республик
Внездная сессия
Военная Коллегия Верховного Суда Союза ССР

в составе:

Председательствующего Корвоенюриста и.о. МАТУЛЕВИЧ

Членов: Бригвоенюристов ЗАРЯНОВА и ЖИГУР

При секретаре Военюристе 1-го ранга КОСТЮШКО

В закрытом судебном заседании, в городе Т б и л и с и

30 " сентября 1937 года

....., рассмотрела дело по обвинению: ДЖАВАХИШВИЛИ Михаила Саввича, 1880г. рождения, писателя, в преступлениях, предусмотренных ст.ст. 58-1а, 58-8 и 58-11 УК ГССР.

Предварительным и судебным следствием установлено, что *поту- димант Джавахишвили являлся одним из руководителем антисоветской террористической фашистской организации и входил в состав упомянутого комитета, созданного всеми антисоветскими организациями в Грузии для об'единения своих сил в борьбе с советской властью. Принимая участ-*

в руководстве всей борьбой за свержение Со-
ветской власти и ее создание в Грузии «само-
управляемого» буржуазно-националистического госу-
дарства, посягнувший Джавахидовичами поддержа-
вал регулярную связь с эмиграцией, группами со-
ров зарубежные франшизные организации, немалым
проездившим в Грузию. Став своим зачет сверже-
ние Советской власти, посягнувший Джавахидовичами
критичная участие в создании вооруженных групп
и в развертывании работы антисоветской военной,
франшизной организации в полк Зак. Доев Окр.
Посягнувший Джавахидовичами критичная участие,
в подготовке террористических актов против
руководителей ВКП/Б и Советского правительства
а также кровопролитную и шпионскую работу в
пользу некоего иностранного государства, за что
получил денежное вознаграждение.

Таким образом установлен виновность Джа-
вахидовичами в совершении преступлений, предполо-
женных ст.ст. 58-19, 58-2 и 18-11 УК Груз ССР.

На основании уголовного и руко-
водства ст.ст. 319 и 320 УК Груз С.С.Р., Воен-
ная Коллегия Верховного Суда Союза С.С.Р.
приговорила —

— Джавахидовичами Механию Рав-
вина к внешней мере уголовного наказания
расстрелу с конфискацией всего личного имущества

კრედიტდამსახურე ჩემთვის. 256 //
კრივორ ანოთარული, ათხლოვისო კე
ნაქენი და და ათხლოვისო კრედიტდამსახურე
ბრუკ'ა სერ ატ 1/25 1934 ვოცა ვრედიტდამსახურე
ნენი ნენდენი.

პრედიტდამსახურე
კრედიტდამსახურე

ქენი } ბრუკდამსახურე ზაქენი
 } ბრუკდამსახურე ზაქენი

დანართი №3. სხვადასხვა წლების რეპრესირებულითა საქმეებს შორის არსებული მსგავსება და განსხვავება

სხვადასხვა რეპრესირებულ პირთა საქმეების გაცნობის შემდეგ, ცხადი ხდება, რომ მათ ბრალდებებს საფუძვლად უდევს რაღაც საერთო, „სავალდებულო“ მოდელი. ამ საერთო მოდელის მიხედვით არის შექმნილი მ. ჯავახიშვილის საქმეც, რომელიც ისე ჰგავს სხვა რეპრესირებულთა საქმეებს, რომ შეიძლება ისინი ერთ საქმედ წარმოვიდგინოთ, რომელიც თავის მხრივ ისე ეხმიანება 1924 წლის აჯანყების საქმეს, როგორც მისი უშუალო გაგრძელება. „პარიტეტული კომიტეტის საქმის“ 1925 წელს შედგენილ დასკვნით დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ 1922 წელს ანტისაბჭოთა პარტიებმა: სოციალ-დემოკრატიებმა (იმავე მენშევიკებმა), ეროვნულ-დემოკრატიებმა, სოციალ-ფედერალისტებმა, მემარცხენე ესერებმა და „სხიველებმა“ ურთიერთშეთანხმებას მიაღწიეს და გაერთიანდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საბრძოლველად. ხელშეკრულების დადებისთანავე „პარიტეტულ საწყისებზე არჩეულ იქნა კომიტეტი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სახელწოდებით (იგივე პარიტეტული ან ინტერპარტიული კომიტეტი)“ [სუკ-ის არქივი, არქივი 8, ფ. 11]. ეს მტკიცება რომ ფაქტებს ეყრდნობა, ამაში 1924 წლის აჯანყების აქტიური მონაწილის, სოლომონ ზალდასტანიშვილის მოგონებებიც გვარწმუნებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგონებები ემიგრაციაშია დაწერილი, რაც ავტორზე რაიმე ზენოლას გამოორიცხავს. ავტორი მოგვითხრობს: „... საქართველოში სამოქმედოდ რუსების წინააღმდეგ ყველა პარტიები გაერთიანდნენ და ორგანიზაციული ფორმა მიიღეს. დაარსდა გაერთიანებული ორგანო „დამკომი“ (დამოუკიდებლობის კომიტეტი), რომელშიც შედიოდნენ შემდეგი პარტიები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალ-ფედერალისტური პარტია, სოციალ-რევოლუციური პარტია და სხიველები“ [სოლომონ ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, პარიზი-თბილისი, მერანი, გვ. 11].

ახლა კი, შედარებისათვის მომაქვს ამონაწერი 1937 წლის ერთ-ერთი საქმიდან, სახელდობრ, მიხეილ ჯავახიშვილის საბრალდებო დასკვნიდან: „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოვლენილი და ლიკვიდირებულია მენშევიკების, სოც. ფედერალისტების, ესერების, ნაც. დემოკრატიების, ფაშისტების და სხვ. კონტრრევოლუციურ ტერორისტულ დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშური ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ინტერვენციისა და შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ბურჟუაზიულ საფუძველზე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნას ერთ-ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს პროტექტორატით.

ძიების პროცესში დადგენილია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია გაერთიანდა და მოქმედებს ე. წ. ინტერპარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელიც შედგენილი იყო ზემოთ დასახელებული კ/რ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან“ [სუკ-ის არქივი, საქმე №9997 ფ. 246).

გარეგნული მსგავსების მიუხედავად, ამ ორი სხვადასხვა პერიოდის დოკუმენტებს შორის არსებობს ძირეული განსხვავება: 1924 წელს საქართველოში ნამდვილად მზადდებოდა და მოხდა აჯანყება. გამოძიება უამრავ უტყუარ ფაქტს ეყრდნობოდა. ხოლო 1937 წელს რეპრესირებულებს ბრალი ედებოდათ აჯანყების მომზადებაში, რომელიც არ მომხდარა და ოფიციალურად დადგენილია, რომ ყოველივე ბერიას მიერ ყოფილა გამოგონილი. მართალია, საქმე სხვაგვარად იყო 1942 წელს. დღეს უკვე ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ შეთქმულებს აჯანყების მოწყობა მართლაც განზრახული ჰქონდათ. ამ ფაქტს ამტკიცებენ როგორც მკვლევრები, ისე შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორის, კოტე ჯოგლიძის ძმა, ტარიელ ჯოგლიძე [ტარიელ ჯოგლიძე „კოტე კულაშელი“, გაზ. „მამული“, 1992 წ., 16 სექტემბერი, 11 ნოემბერი; მისივე „ყურადღებას ვითხოვ“, გაზ. „თბილისი“, 1991 წ. 23 აგვისტო და სხვ.], როსტომ ჩხეიძე სწორად შენიშნავს, რომ „შეთქმულება მანამდე გამომჟღავნდა, ვიდრე მოქმედებას დაიწყებდნენ. არსებითად განზრახვისათვის, ფიქრი-

სათვის დაარბიეს და სიკვდილით დასაჯეს“ [როსტომ ჩხეიძე „დანყევლილი თაობა, 1942 წლის შეთქმულება“, თბ. 1992 წ.]. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ 1942 წელს გამომჟღავნებული ე.წ. „თუმთა შეთქმულების“ მონაწილენი დღემდე არ არიან რეაბილიტირებული. 1990 წელს ევა ოჟიდ-აურის, 80 წლის გატანჯული ქალის განცხადებაში დასმულ შეკითხვაზე – ეკუთვნის თუ არა რეაბილიტაცია, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორს, იუსტიციის პოლკოვნიკ უსტინოვს 1990 წლის 3 სექტემბერს სასტიკი უარით უპასუხია. „თან საქმის განხილვაში აღნიშნა, – განაჩენი მსუბუქიან მონაწილეთა მიმართ“ [გოჩა ბაიაშვილი, „თუმთა შეთქმულება“, გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1996 წ., №8].

რაც შეეხება 1937 წელს, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი იმისა, რომ ოფიციალური ვერსიას არ დავეთანხმეთ, თუმცა აქ ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო.

VII. უსამართლოა მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დასახელებულთა მიმართ

VII.1. მიხეილ ჯავახიშვილის 12 დამსახელებელი და მის მიერ დასახელებული 51 კაცი

რ. შიშნიაშვილი თავის „ბოლოსიტყვაობაში“ ჩამოთვლის მ.ჯავახიშვილის დამსახელებელ პატიმრებს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ვერ გაუძლეს არაადამიანურ ცემას და სხვებთან ერთად მ. ჯავახიშვილიც დაასახელეს ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ნევრად. შეიძლება არ იყო მიზანშეწონილი ამ ტანჯული ადამიანების ჩამოთვლა, ანუ იგივე მხილება მრავალრიცხოვანი მკითხველის წინაშე. რ. შიშნიაშვილმა თქვა ის, რაზედაც მაშინ საჯაროდ არ ლაპარაკობდნენ და რადგან ეს გზა აირჩია, ვალდებული იყო თავის პაპაზეც სიმართლე ეთქვა, მაგრამ ეს მის გეგმებში არ შედიოდა. რ. შიშნიაშვილი გარკვევით წერს: „მიხეილ ჯავახიშვილის საქმესთან დაკავშირებით დაკითხულნი არიან ისეთი მამულიშვილები, როგორებიც იყვნენ მწერლის სათაყვანებელი ნიკოლოზ მინიშვილი, სანდრო ახმეტელი, დავით ონიაშვილი, გრიგოლ ლალიძე, აკაკი თათარაშვილი და სხვები, სულ 51 კაცი“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 476].

საქმეში ჩაუხედავი მკითხველიც მოხიბლულია რ. შიშნიაშვილის მიმტყვებლური ტონით და იმით, რომ ის 51 „სათაყვანებელ მამულიშვილს“ უკლებლივ არ ჩამოთვლის. საიდან უნდა იცოდეს მკითხველმა, რომ მან უხეშად დაამახინჯა ფაქტები: მ. ჯავახიშვილის საქმესთან დაკავშირებით დაკითხულია 12 პატიმარი, ხოლო 51 კაცზე მეტი თავად მ. ჯავახიშვილმა დაასახელა. მაშინდელი სიტუაციის გათვალისწინებით, მას ვერ დავადანაშაულებთ, მაგრამ მისი შვილიშვილის, რ. შიშნიაშვილის, საქციელი კი ყოვლად დაუშვებელია. მან ფაქტობრივად ცილი დასწამა 51 ადამიანს, რომელთა უმრავლესობა ცოცხალი აღარ არის, მათი ჭირისუფლები კი საქმის ნამდვილ ვითარებას არ იცნობენ. აღმაშფოთებელია, რომ ეს უდანაშაულო ადამიანები თავიანთი დუმილით იმ მკვლევრებმაც განირეს, რომლებიც იცნობენ საქმეს №9997. დიდი მწერალი, მ. ჯავახიშვილი გვასწავლიდა: „ორი ხერხი არსებობს ადამიანის დასამარებისათვის. პირველი – დუმილი; მეორე – გამომჟღავნება“ [უახლესი ისტ. არქივი, ფონდი 8, ან 1 საქმე 472, ფ.ფ. 10-14]. შეიძლება ითქვას, რომ რ. კვერენჩილაძემ და მ. ჯავახიშვილის სხვა ბიოგრაფებმა თავისი დუმილით 51 კაცში დაასამარეს, მაგრამ თურმე, უარესი ჯერ კიდევ წინ იყო. გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, რუბრიკით „საიდუმლო არქივიდან“, გამოქვეყნდა ბონდო არველაძის წერილი, რომელშიც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჩეკას გამოძიებლები ფიზიკური წამების თითქმის ყველა ხერხს იყენებდნენ უდანაშაულო ადამიანებისაგან „აღიარების“ მიღების მიზნით: „გამოცდილმა ჯალათმა ფეოხორამ ქორქაშვილი ისე „დაამუშავა“, რომ სიკვდილის პირას მისულმა თავისი „დანაშაული“ ხომ აღიარა და მიხეილ ჯავახიშვილსაც პირზე დაადგა“ [ბ. არველაძე, „მეუღლამაზებელი ამბავი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1996 წ., 23-30 აგვისტო].

ამ სიტყვების შემდეგ, ბონდო არველაძე მკვლევრისათვის მიუტყვებელ ფაქტოლოგიურ შეცდომას უშვებს. აი, რას წერს იგი: „ჩეკას გამოძიებელმა 51 ასეთ პოლიტპატიმარს „დაასახელებინა“ მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ფაშისტური, ტერორისტული და სხვა ამგვარი ე. წ. ორგანიზაციის ხელმძღვანელად“. როგორც ვხედავთ, ბ. არველაძემ საქმე უკუღმა წარმოადგინა. ნაცვლად იმისა, რომ თავისი წინამორბედის, რამაზ შიშნიაშვილის შეცდომა გაესწორებინა, მკვლევარმა თავად აიტაცა მცდარი ვერსია და დააკანონა იგი.

ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ გაჩუმების უფლება არ მქონდა: საარქივო დოკუმენტები დამწვარი და დატაცებულია, ხოლო ის, ვინც მათ ასლებს იცნობდა – დოკუმენტებით მანიპულაციის გზას დაადგა. ამრიგად, მ. ჯავახიშვილის საქციელის დაფარვისა და მისი გაიდევალების მიზნით, 51 კაცის ხსოვნის წინაშე დიდი უსამართლობა იქნა ჩადენილი. თუ მკვლევარს სიის დასათაურებამ არაფერი უთხრა, ნუთუ, გვარების გვერდით აღნიშნული ციფრები მაინც ვერ შენიშნა. ამა თუ იმ დასახელებულის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, საკმარისია გადავშალოთ

მ. ჯავახიშვილის ჩვენების შესაბამისი ფურცელი. ასე მაგალითად, მემედ აბაშიძე მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები 35-ე ფურცელზე, სადაც მ. ჯავახიშვილმა მიანიშნა მისი კავშირის შესახებ უცხოეთიდან დავალებით ჩამოსულ ემიგრანტ შალვა ქარუმიძესთან, რაც ფაქტობრივად, მემედ აბაშიძის განიხილვას ნიშნავდა: „სხვათა შორის, ის (მ. ქარუმიძე – მ. ხ.) ძალიან კმაყოფილი იყო საბჭოური პოლიტიკის შედეგებით აჭარაში და გაკვრით აღნიშნა, რომ მემედ აბაშიძე ძალიან მოხუცებულიაო. მე მივხვდი, რომ ის შეხვდა აბაშიძეს, ან ქუჩაში ნახა“ [სუკ-ის არქივი, საქმე №9997, ფ. 35]. მართალია, სიაში გვხვდება რამდენიმე ისეთი პოლიტპატიმარი, რომელმაც ვერ გაუძლო ტანჯვას და მ. ჯავახიშვილი დაასახელა, მაგრამ ორმოცდათერთმეტივე ერთი საერთო ნიშნითაა სიაში მოხვედრილი – ყოველი მათგანი მიხეილ ჯავახიშვილის მიერ არის დასახელებული. ამდენად, მკვლევრის უსამართლობა მათ ყველას შეეხო.

განა, შეეძლო ბ-ნ ბ. არველაძეს მტკიცება იმისა, თითქოს, პაოლო იაშვილმა და ბევრმა სხვა პირმა, რომელთა ჩვენება არ არსებობს, მ. ჯავახიშვილი დაასახელეს? არც ბორის პასტერნაკის ნინაალმდეგ ექნებოდა ნივთმტკიცება პატივცემულ მკვლევარს. კიდევ უფრო დაუფერებელია, „გამოცდილი ჯალათის ფეოხორას“ მიერ შალვა ქარუმიძის „დამუშავება“ და მისგან აღიარების მიღება. ამ საქმეს მხოლოდ „გამოცდილება“ არ ეყოფოდა: აუცილებელი იქნებოდა ფეოხორას უცხოეთში გამგზავრება, რადგან შალვა ქარუმიძე ემიგრაციაში იმყოფებოდა. იმ პირებიდან, რომლებიც საქართველოში იყვნენ, მაგრამ არც პოლიტპატიმრები ყოფილან და არც ჩვენება მიუციათ, შევჩერდები ცნობილ იურისტ შალვა მესხიშვილზე. ამ უკანასკნელის დასაპატიმრებლად რამდენჯერმე მისულან შინსახკომიდან, მაგრამ როგორც მისმა შვილიშვილმა, ქალბატონმა ნინა ალექსი-მესხიშვილმა გადმომცა, ვერ უპოვიათ, რადგან იგი კარის მეზობელს, პავლე ინგოროყვას თავის კაბინეტში დაუმაღავს. 1938 წელს კი რეპრესიებმა იკლო და შალვა მესხიშვილიც გადარჩა, ისევე როგორც ბევრი სხვა „დასაპატიმრებელთა“ სიებიდან. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბ. არველაძეს ჩემს მიერ მისი კრიტიკის გამო, აგრესია არ გამოუხატავს და შემდგომ პუბლიკაციებში, რომლებსაც მხატვრულ-დოკუმენტური სახე მისცა, 51 კაციანი სია საერთოდ აღარ უხსენებია.

VII. 2. მიხეილ ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმის გაყალბება რევაზ კვერენჩილაძის მიერ

ჩვენ გავეცანით მ. ჯავახიშვილის მიერ დაპატიმრებამდე (1937 წლის 21 ივნისს) და დაპატიმრების შემდეგ (1937 წლის 21 აგვისტოს) დაწერილ განცხადებებს. ნებისმიერი მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს ორი სხვადასხვა განცხადებაა და არა დედანი და ასლი, როგორც ამის დამტკიცებას რ. შიშნიაშვილი ცდილობდა: „ხოლო იგივე ბარათი უკვე მოსკოვში გასაგზავნად გადაბეჭდილი დათარიღებულია 1937 წლის 21 აგვისტოთი“. [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 471].

რ. შიშნიაშვილის ვერსია იმდენად დაუფერებელი იყო, რომ რ. კვერენჩილაძემ ახალი ყალბი ვერსიის შეთხზვა ამჯობინა. აღიარა, რომ დიდმა მწერალმა დაპატიმრებამდე დაწერა განცხადება, მაგრამ მასში, თურმე, არ ყოფილა „წმინდა დაბეზლება, როგორც ზოგიერთები ცდილობენ დაამტკიცონ“ [რ. კვერენჩილაძე, „წამების გზა“, თბ., 1999, გვ. 165]. აქვე განვმარტავ, რომ „ზოგიერთები“ მე გახლავართ. რ. კვერენჩილაძე აცხადებს, თითქოსდა, მხოლოდ დაპატიმრების შემდეგ, ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, 21 აგვისტოს დაწერილ „მეორე განცხადებაშია ბევრი რამ აღიარებული, მაგრამ რის ფასად სულ მალე გაიგებს მკითხველი“ [რ. კვერენჩილაძე, „წამების გზა“, თბ., 1999, გვ. 165]. **თავისი ყალბი ვერსიის დასამტკიცებლად, რ. კვერენჩილაძემ შეცვალა ამ ორი განცხადების შინაარსი: 21 ივნისით დათარიღებულ განცხადებაში დაიმონმა ამონარიდები 21 აგვისტოს განცხადებიდან და პირიქით.** მისი წიგნის „წამების გზა“ წარდგინება 1999 წელს, მწერალთა კავშირში მოეწყო, სადაც საქმეში ჩაუხედავი პირები ქება-დიდებას არ იშურებდნენ, რადგან ეს ვერსია „მომგებიანი“ იყო ხალხის თვალში. „წამგებიანი“ ვერსია კი მხოლოდ მე გავაჟღერე,

რ. კვერენჩილაძე გამხილვე დოკუმენტების გაყალბებაში და დავუსვი კითხვა: „რა ჰქვია თქვენს საქციელს?“ პასუხი თავად გავეცი: „თქვენს საქციელს ჰქვია თაღლითობა, თქვენ ბრძანდებით თაღლითი!“ ცხადია, იქ დამსწრე საზოგადოება „მემორიალის“ პატივცემულ წევრებს ძალზე არ მოეწონათ ჩემი გამოსვლა. კონკრეტულად ვერაფერში შემენინააღმდეგენ, მაგრამ აშკარად ერჩინათ, რომ არქივების კარები მხოლოდ მათთვის ყოფილიყო ღია. ჩემს სიმართლეზე ის „მცირე განმარტებაც“ მეტყველებს, რომელიც ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, თავად რ. კვერენჩილაძემ გამოაქვეყნა და ბოდიში მოუხადა მკითხველს. [რ. კვერენჩილაძე, „მცირე განმარტება“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 25 ივნისი-2 ივლისი] (სურ. №82).

მცირე განმარტება

იმის გამო, რომ კომპიუტერზე აწყობილი, ორჯერ კორექტურაგავლილი „წამების გზის“ პირველი წიგნიდან („მერანი“, 1999) იძულებული შევიქენი ამომელო ერთი დიდი ნარკვევი (აქ გამომცემლობა არაფერ შუაშია) და მისი ადგილი სასწრაფოდ შემევსო ორი სხვა ნარკვევით, - ამ უკანასკნელში რამდენიმე ადგილას აირია განცხადებათა დაწერის თარიღი, კერძოდ:

165-ე გვერდზე II აბზაცი ასე უნდა დაბოლოვდეს: „... და განსხვავებული. სწორედ 21 ივნისის განცხადებაშია ბევრი რამ აღიარებული...“

169-ე გვერდზე, ქვემოდან მე-2 აბზაცი იწყება ასე „ამ განცხადებაში“, უნდა იყოს: „21 აგვისტოს განცხადებაში“...

172-ე გვერდზე, ზემოდან მე-3 აბზაცში ნაცვლად „21 აგვისტოს დაწერილ განცხადებაში“, უნდა იყოს: „21 ივნისით დათარიღებულ განცხადებაში (ფ.16-49)...“

აქ, ალბათ, იმანაც ითამაშა როლი, რომ ორივე განცხადების დაწერის რიცხვი 21-ია.

ბოდიშს ვუხდი მკითხველებს.

რეკაზ კვერენჩილაძე

№82. [რ. კვერენჩილაძე, „მცირე განმარტება“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 25 ივნისი-2 ივლისი].

VII. 3. მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დასახელებული გაუტყეხელნი

მ. ჯავახიშვილის მიერ დასახელებულთაგან ზოგმა გმირობა გამოიჩინა, მაგალითად: გიორგი ქუთათელაძემ, იოსებ მაჭავარიანმა, ლევან გარსიაშვილმა, ბეგლარ ფალავამ. ისინი მწერლები და მით უმეტეს დიდი მწერლები არ ყოფილან, მაგრამ „სული აღმოაჩნდათ ფოლადის, გაუბზარავი, მონოლითი...“ (როგორც, შეცდომით, მ. ჯავახიშვილზე წერდნენ). ყოველ მათგანს თავის მხრივ 50-50 კაცი რომ დაესახელებინა, განყდებოდა ქართველობა. ვილაცას ხომ უნდა დაესვა წერტილი. ეს სულგრძელი ადამიანები ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ თან არავინ გაუყოლებიათ. „მათ ხელი არ მოუწერიათ ჩვენებებზე, რომლებსაც ჩვეულებრივ გამომძიებლები თხზავდნენ?“ – შეიძლება იკითხოთ ზოგიერთმა მკითხველმა. მოაწერეს! მთელი პასუხისმგებლობით მოაწერეს ხელი თავიანთ ვაჟკაცურ და კეთილშობილურ ჩვენებებზე, რომლებშიც თავი დამნაშავედ არ სცნეს და არავინ დაასახელეს. იოსებ მაჭავარიანმა ხელმოწერას მინაწერიც კი დაურთო: „თავს დამნაშავედ არ ვცნობ“ [სუკ-ის არქივი, საქმე №941]. იქნებ ამ ადამიანებს ტანჯვა-წამება დააკლეს? როგორც 1954 წლის ღია სასამართლო პროცესზე გაირკვა, გიორგი ქუთათელაძე ე. წ. „ცხელ საკანში“ აწამეს, ფაქტობრივად ოროთქლში მოხარშეს, მაგრამ მისი ჩვენებები არ შეუცვლიათ. ის გმირულად შეხვდა სიკვდილს [სუკ-ის არქივი, განსაკუთრებული ფონდი, გიორგი ქუთათელაძის საქმე, ოქმი №6180]. დაკითხული იყო 11-ჯერ. „წინასწარი და სასამართლო გამოძახების დროს ქუთათელაძემ თავი დამნაშავედ არ სცნო“ [სუკ-ის არქივი, განსაკუთრებული ფონდი, გიორგი ქუთათელაძის საქმე, ოქმი №6180, ფ. 402]. ლევან გარსიაშვილს და ბეგლარ ფალავას ჯაშუშობა დაბრალდათ, რაც მათ კატეგორიულად უარყვეს. მომყავს ამონარიდი ბეგლარ ფალავას დაკითხვის ოქმიდან:

„დაკითხვის ოქმი

ბრალდებული ფალავა ბეგლარ ნესტორის ძე

10/X-37 წ.

ფალავა ბ. ნ. დაბ. 1894 წ. აზნაურთაგან. 1910 წლიდან სოც. ფედერალისტების პატრიის წევრი. 1923 წელს დაპატიმრებული იყო კ/რ მოღვაწეობისათვის. განათლება უმაღლესი. დაპატიმრებამდე საქ. სახალხო კომისარიატის საბჭოს საქმეთა მწარმოებლის თანაშემწე.

კითხვა: თქვენ დაპატიმრებული ხართ არალეგალური კონტრრევოლუციური მუშაობის ბრალდებით?

პასუხი: არ ვაღიარებ.

კითხვა: გამოძიებით ზუსტად არის დადგენილი, რომ თქვენ გასაბჭოების დღიდან თქვენი დაპატიმრების დღემდე ენეოდით კონტრრევოლუციურ მუშაობას. შეწყვეტეთ ჯიუტობა და სიმართლე ილაპარაკეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მხილებული იქნებით ძიების მასალებით.

პასუხი: მე ვადასტურებ ჩემს ჩვენებას, რომ არავითარ კონტრრევოლუციურ მუშაობას არ ვენეოდი.

კითხვა: გამოძიების მასალებით თქვენ მთლიანად მხილებული ხართ იმაში, რომ არალეგალურ მუშაობას ენეოდით სოც. ფედერალისტების კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში.

პასუხი: სოც. ფედერალისტების პარტიას მე საბოლოოდ ჩამოვშორდი 1920 წელს და მეტი აღარ დავბრუნებულვარ პარტიაში.

კითხვა: რატომღა დაგაპატიმრეს 1923 წელს?

პასუხი: 1923 წელს მე დამაპატიმრეს ანტისაბჭოთა მუშაობის ბრალდებით, მაგრამ 2 თვეში გამათავისუფლეს და საქმე შეწყვეტილ იქნა.

კითხვა: მწერალ ჯავახიშვილ მიხეილს იცნობთ?

პასუხი: დიახ, მწერალ ჯავახიშვილს ვიცნობ.

კითხვა: ხშირად ხვდებოდით მას და სად?

პასუხი: ჯავახიშვილს მე ვხვდებოდი სახკომსაბჭოში ან რუსთაველის და ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის სხდომებზე. 1937 წელს 5-6-ჯერ შევხვდი მას ამავე სხდომებზე, 2-3-ჯერ მან გამომი-

არა სახკომსაბჭოში ლიტფონდის საქმეების თაობაზე. ასეთ შემთხვევებში ის წინასწარ ტელეფონით მელაპარაკებოდა და მეკითხებოდა მიიღებდნენ თუ არა მას მაგალობლიშვილი ან დეკანოზოვი.

კითხვა: ძიების მასალებით თქვენ მთლიანად მხილებული ხართ იმაში, რომ თქვენ დაკავშირებული იყავით მიხეილ ჯავახიშვილთან კონტრრევოლუციური და ჯაშუშური მუშაობით. თქვენ ამას აღიარებთ?

პასუხი: ამ ბრალდებას კატეგორიულად ვუარყოფ.

კითხვა: თვით ჯავახიშვილის ჩვენებებით თქვენ მხილებული ხართ იმაში, რომ აწვდიდით მის ჯავახიშვილს ჯაშუშური ხასიათის მასალებს.

პასუხი: ამას მე კატეგორიულად ვუარყოფ.

კითხვა: **თქვენ გიკითხავენ მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის ჩვენებებს:** „მეორედ კონსულმა ლამის პირველ საათზე დამირეკა... მოვიდა ნახევარ საათში. მან დადო მაგიდაზე ფულის დასტა (3000) მანეთი და დაიჩივლა, რომ ბევრი ინფორმატორი დაპატიმრებულია და არავინ არის მათი შემცვლელი. ხომ არ შემიძლია მე, რეკომენდაცია გავუწიო სახკომსაბჭოს რომელიმე თანამშრომელს. მე მივეცი ბარათი ბეგლარ ფალავასთან.“

პასუხი: ეს არის სიყალბე და ცილისწამება.

კითხვა: განვადგინოთ ჯავახიშვილის ჩვენების კითხვას: ...საგან მასალების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე ბეგლარ ფალავა დამპირდა თავის მხრივ მასალების მოცემას. მე დავურეკე მას და მან მიპასუხა „მზად არის“. მაშინ მე მივედი მასთან სახკომსაბჭოში და მან გადმომცა... ხასიათის ქაღალდების შეკვრა...“

კითხვა: ამას კი ადასტურებთ?

პასუხი: **კატეგორიულად ვუარყოფ, ჯავახიშვილი ტყუილს ამბობს.**

ოქმი პირადად წავიკითხე. ვადასტურებ. [სუკ-ის არქივი, ბეგლარ ფალავას საგამოძიებო საქმე №10198].

ბეგლარ ფალავა დახვრიტეს. ის მხოლოდ ერთხელ იქნა დაკითხული. მან უჩვენა, რომ არავითარ კონტრრევოლუციურ მუშაობას არ ეწეოდა და მიხეილ ჯავახიშვილთან არავითარი დანაშაულებრივი კავშირი არ ჰქონდა. არავინ დაუსახელებია. მის საქმეში ჩაკრული აღმოჩნდა მ. ჯავახიშვილის მიერ 1937 წლის 20 სექტემბერს დანერილი განცხადება, რომელიც მწერლის საქმეში არ შეუტანიათ და რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით.

ახლა კი, ლევან გარსიაშვილის დაკითხვის ოქმს გავეცნოთ.

„დაკითხვის ოქმი

გარსიაშვილი ლევან იასონის ძის

31 აგვისტო, 1937 წ.

გარსიაშვილი ლ. ი. დაბ. 1894 წელს, მეფის და მენშევიკების არმიის ყოფილი ოფიცერი. 1921 წლიდან PKKA-შია. PKKA-დან გადაყვანილია OAX-ში 1935 წელს. პოლკოვნიკი, დაპატიმრებამდე იყო საქართველოს OAX-ის სამხედრო მომზადების განყოფილების უფროსი

კითხვა: თქვენ მხილებული ხართ პოლონეთის ჯაშუშობაში. მოგვეცით გულახდილი ჩვენება არსებითად.

პასუხი: კატეგორიულად ვუარყოფ ჩემს მონაწილეობას პოლონეთის ჯაშუშობაში.

კითხვა: ასეთ შემთხვევაში, გვიამბეთ მწერალ მიხეილ ჯავახიშვილთან თქვენი კავშირის ხასიათის შესახებ.

პასუხი: მიხეილ ჯავახიშვილთან ახლო ნაცნობობა არ მქონია. მე იგი გავიცანი 1918 თუ 1919 წელს, საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დროს. იშვიათად ვხვდებოდი, რამდენჯერმე ვითამაშე მასთან პრეფერანსი ქართულ კლუბში. საქართველოს გასაბჭოების დროს, მე იგი ძალიან იშვიათად მინახავს. ქუჩაში შეხვედრისას ვესალმებოდი, მაგრამ არ მისაუბრია. მხოლოდ ერთხელ, 1937 წლის მაისში, მე შევხვდი მ. ჯავახიშვილს მწერალთა სახლში და მწერალ გერონტი ქიქოძის და სხვათა (გვარები დამავიწყდა) თანდასწრებით, ჯავახიშვილმა მიაგმო, რომ მისთვის ცნობილია

ძალიან კარგი ისტორიული მასალა მე-17 საუკუნის მხედართმთავრის გიორგი სააკაძის შესახებ. მან რეკომენდაცია მომცა მე, როგორც სამხედრო ისტორიკოსს, დამემუშავებინა ეს თემა და თქვა, რომ მასალების მოპოვება შეიძლება ვიღაც ქალთან. დაასახელა გვარი, მაგრამ მე უკვე დამავინწყდა. (ხომ არ იგულისხმება „დიდი მოურავის“ ავტორი ანა ანტონოვსკაია? – მ.ბ.) ამაზე, ჩვენი საუბარი დასრულდა. მეტი მე ჯავახიშვილი აღარ შემხვედრია.

კითხვა: რა არის თქვენთვის ცნობილი მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ?

პასუხი: მე გაგონილი მაქვს მის შესახებ, რომ წარსულში ეროვნულ-დემოკრატი იყო, რისთვისაც 1923-1924 წ. წ. დაპატიმრებული იყო საქართველოს ჩეკას მიერ. მისი პოლიტიკური შეხედულებები ბოლო წლებში ჩემთვის ცნობილი არ არის, რადგან ამ თემაზე მასთან არ მისაუბრია.

ოქმი ჩანერილია ჩემი სიტყვებიდან, სწორია და ჩემს მიერ ნაკითხულია

31. 08. 37“ (ხელს აწერს ლ. გარსიაშვილი – მ. ბ.) [სუკ-ის არქივი, საქმე №3504 ფ.ფ. 15-16].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ჩვენების მიცემის შემდეგ, ლ. გარსიაშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ, მან საუბარი ვეღარ შეძლო, რის გამოც დაკითხვის შეწყვეტა მოუხდათ, მაგრამ იმავე დღეს ისევ განაგრძეს.

„გარსიაშვილი ლევან იასონის ძის, 1937 წლის 31 აგვისტოს დაკითხვის გაგრძელება

კითხვა: მიხეილ ჯავახიშვილთან თქვენი ურთიერთობის თაობაზე თქვენ ყალბი ჩვენება მიეცით ძიებას. ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენს შორის ახლო მეგობრული ურთიერთობა არსებობდა, თქვენ კი ირწმუნებით, რომ ახლო ნაცნობობაც კი არ გქონიათ. აპირებთ, თუ არა სიმართლის თქმას?

პასუხი: მეგობრული ურთიერთობა ჩემსა და ჯავახიშვილ მიხეილს შორის არ ყოფილა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ნორმალური იყო, როგორც ჩემთვის ნაცნობ დამიანთან.

კითხვა: მაშ რატომ იყავით მის ჯავახიშვილთან „შენობით“?

პასუხი: მიხეილ ჯავახიშვილი იყო რა ჩემზე უფროსი ნლოვანებით, „შენობით“ მომმართავდა, მე კი ყოველთვის ვეუბნებოდი „თქვენ“.

კითხვა: ჯავახიშვილს მოუმართავს თქვენთვის რაიმე თხოვნით?

პასუხი: 1936 წელს (შესაძლებელია 1935 წ.) ჯავახიშვილი შემხვდა ვილაციის დაკრძალვაზე და გამესაუბრა თავისი გადაწყვეტილების თაობაზე დაეწერა ისტორიული რომანი. მთხოვა მასთან ერთად დამეთვალთვალებინა რომელიღაც ველი, სადაც წარსულში ისტორიული ბრძოლები მიმდინარეობდა. მე დავპირდი მას, თუ თავისუფალ დროს ვიპოვიდი, შევესრულებდი თხოვნას, მაგრამ დრო ვერ გამოვნახე და მისი თხოვნა ვერ შევასრულე.

კითხვა: რატომ დაუმაღლეთ ძიებას მიხეილ ჯავახიშვილთან ამ შეხვედრის შესახებ, უჩვენეთ რა ადრე, რომ გასაბჭოების შემდეგ მხოლოდ ერთხელ ელაპარაკეთ მას 1937 წლის მაისში?

პასუხი: მე ეს შეხვედრა არ დამიმალავს, უბრალოდ ვერ გავიხსენე დაკითხვის დასაწყისში. შესაძლებელია, რომ მე კიდევ გავიხსენო ჩემი შეხვედრები მიხეილ ჯავახიშვილთან. მაშინ დამატებით გაცნობებთ მათ შესახებ.

ჩანერილია ჩემი სიტყვებიდან სწორად“ [სუკ-ის არქივი, საქმე №3504 ფ.16].

გარსიაშვილი ისე დახვრიტეს, რომ მას აღარაფერი უცნობებია. მის საბრალდებო დასკვნაში ვკითხულობთ: „დამნაშავედ თავი არ სცნო“ [სუკ-ის არქივი, საქმე №3504 ფ. 85].

დანართი №4. „არა არს დაფარული, რომელ არა განცხადნეს“

1990 წლის ზაფხულში, სუკ-ის არქივში, მ. ჯავახიშვილის შესახებ მასალების გაცნობის შემდეგ, გამოვაქვეყნე წერილი „არა არს დაფარული, რომელ არა განცხადნეს“, რომელშიც არ ვასახელებ მწერალს, მაგრამ მის მიერ მიცემულ ჩვენებებს ვაცნობ მკითხველს. დღეს ამ წერილის მთლიანად

გამოქვეყნებას აზრი აღარ აქვს, რადგან წინამდებარე ნაშრომში გაცილებით მეტი დოკუმენტი მაქვს გამოყენებული. მომყავს მხოლოდ ამონარიდი დასახელებული პუბლიკაციიდან: „შ. ქარუმიძესთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვა ბრალდებულთა ჩვენებებშიაც ფიგურირებს. ასე მაგალითად, ერთ-ერთი მწერალი აღწერს რა უცხოეთში თავის საქმიანობას 20-იან წლებში, ამბობს, რომ ქარუმიძესთან მისი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან ქარუმიძე კირილესთან წავიდა კობურგში, საქართველოს მომავალზე მოსალაპარაკებლად, რუსეთში მონარქიის აღდგენის შემთხვევაში. ცხადია, ეს ჩვენებაც ფიზიკური ზემოქმედების გზით იქნებოდა მიღებული, მაგრამ საქმეში ჩაუხედავი კაცი ასეთ დეტალებს ვერ მოიგონებდა. აქ ლაპარაკია კირილე ვლადიმერის ძე რომანოვზე, რომელმაც 1924 წელს, რუსეთის იმპერატორის ტიტული მიიღო. მისი რეზიდენცია საფრანგეთში, სენბრიაკში იყო, მაგრამ ვინაიდან კირილეს მეუღლე კობურგის პრინცესა გახლდათ, ოჯახი ხშირად იმყოფებოდა ხოლმე კობურგში, რის დასადასტურებლად გთავაზობთ კირილეს ვაჟის – ვლადიმერ რომანოვის ფოტოსურათს, რომელიც გადაღებულია 1928 წელს, კობურგში. როგორც ჩანს, 1946 წლის 5 დეკემბრის აქტი, რომლითაც ვლადიმერ კირილეს ძემ ბაგრატიონთა სამეფო ღირსება აღიარა, ცარიელ ადგილზე არ შექმნილა; მას წლობით უმზადდებდნენ ნიადაგს ქართველი ემიგრანტები.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ 30-იან წლებში რეპრესირებულთა „საქმეები“ ლავრენტი ბერიას მიერ იყო შეთხზული. მიუხედავად ამისა, ჩვენ ხელი არ უნდა ავიღოთ ამ საქმეების შესწავლასა და გაანალიზებაზე. სხვა მასალებთან შეჯერების შედეგად, ისინი შეიძლება დიდად დაგვეხმაროს გარდასულ დღეთა მეტ-ნაკლებად ჭეშმარიტი სურათის აღდგენაში.“[მ. ხომერიკი, „არა არს დაფარული, რომელ არა განცხადნეს“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990, 9 აგვისტო] (სურ. №83).

1990 წლის შემდეგ, არაერთხელ მომიხდა მწერლის, მ. ჯავახიშვილის, ვინაობის გამჟღავნება. ასევე უნდა გავამჟღავნო მეორე მწერლის ვინაობა, რომელიც შალვა ქარუმიძის კირილთან კობურგში წასვლის ფაქტს ახსენებს. ეს გახლავთ ნიკოლო მინიშვილი. როგორც წერილში აღვნიშნე, „შეთხზული“ საგამოძიებო საქმეები გაანალიზებას მოითხოვს. შეიძლება ითქვას, რომ 2012 წელს, იგივე მოსაზრება გამოთქვა საფრანგეთში მოღვაწე ისტორიკოსმა, გიორგი მამულიამ. ის თვლის, რომ გამომძიებელთა მიერ მთლიანად ფალსიფიცირებული დაკითხვის ოქმი მაინც შეიცავს გარკვეულ ფაქტობრივ მასალას, რომელსაც კრიტიკული მიდგომის შედეგად, შეუძლია მოგვცეს ზოგიერთი დამატებითი ცნობა: «В деле М. Джавахишвили сохранился протокол допроса Мицишвили от 14 июля 1937 г. Полностью сфальсифицированный следователями, он, тем не менее, содержит определенный фактический материал, который, при критическом к нему подходе, может дать некоторые дополнительные сведения о деятельности Мицишвили в Париже в 1922-1925 гг.» [Г. Мамулия, «Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945)», Тбилиси-Париж, 2012, с. 131].



Великій Князь Владиміръ Кирилловичъ один-
надцати лѣтъ въ Кобургѣ.

№83. დიდი მთავარი ვლადიმირ კირილის ძე რომანოვი, კობურგში.
საგაზეთო წერილში [მ. ხომერიკი, „არა არს დაფარული, რომელ არა განცხადნეს“, გაზ. „სახალხო გა-
ნათლება“, 1990, 9 აგვისტო] გამოქვეყნებული ფოტო.

თავი VIII. რეაბილიტაცია

1953 წლის 18-23 დეკემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა სასამართლო საკრებულომ, დახურულ სხდომაზე განიხილა ბერიასა და მისი თანამზრახველების საქმე და მათ სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. ბერიას დახვრეტის შემდეგ, დაინყო რეპრესირებულთა რეაბილიტაცია, რაც თავისთავად სამართლიანი და მისასალმებელი ნაბიჯი იყო. მიუხედავად ამისა, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მაშინდელი ხელმძღვანელი პირების მენტალიტეტი დიდად არ განსხვავდებოდა რეპრესირების ხანის ხელმძღვანელთა მენტალიტეტისგან. ასე, მაგალითად, ბერიასა და მის თანამზრახველებს უამრავ უსაშინლეს დანაშაულთან ერთად, იმაშიც ედებოდათ ბრალი, რომ მიზნად ისახავდნენ „მოეხდინათ კაპიტალიზმის რესტავრაცია და აღედგინათ ბურჟუაზიის ბატონობა“. ბერიას, აგრეთვე ბრალად ედებოდა „კონტაქტები ქართულ ემიგრაციასთან“ [მ. კუჭავა, „სიმართლე ბერიას საქმეზე. სასამართლოს წევრის დღიურიდან“, თბ., 1996, გვ. 23]. რაოდენ სასიხარულოც არ უნდა ყოფილიყო რეაბილიტაციები, ვფიქრობ, ისინი იმავე მიზანს ისახავდა, რაც თავის დროზე რეპრესირები – არსებული რეჟიმის განმტკიცებას. როგორც ჩანს, ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანით. ასე, მაგალითად, ქ. ჯავახიშვილისთვის ალექსი ინაურს უთქვამს: „მიხეილის საქმეს რომ გადახედოთ, გაგიკვირდებათ, მასში მხოლოდ ერთადერთი ფურცელი დევს. ეს არის დაკითხვის ოქმი, მეტი არაფერია. მას დააბრალეს, რომ ერთდროულად 11 სახელმწიფოს ჯაშუში იყო“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ, მ 1991, გვ. 433]. ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, რაზედაც ქ. ჯავახიშვილი არ აგებს პასუხს, მაგრამ თავისი მოგონებების მეშვეობით ხელს უწყობს სიცრუის ტირაჟირებას. მ. ჯავახიშვილის საქმეში ერთადერთი ფურცელი კი არ იდო, არამედ იგი სქელტანიან ტომს წამოადგენდა. რაც შეეხება 11 სახელმწიფოს ჯაშუშობას, ეს კონკრეტული რიცხვი ბრალდებაში ნახსენები არ არის. ბრალდების მესამე პუნქტში სწერია: „ენეოდა აქტიურ ჯაშუშურ დაზვერვით მუშაობას უცხოეთის სახელმწიფოთა სასარგებლოდ“ [სუკ-ის არქივი, მიხეილ ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმე 9997, ფ.251]. ა. ინაურის მსჯელობის მიხედვით, მ. ჯავახიშვილის უდანაშაულობა მხოლოდ იმით მტკიცდება, რომ 11 სახელმწიფოს ჯაშუში ვერ იქნებოდა: „ამით მივხვდით, რომ საქმე ხელოვნურად იყო შექმნილი და მიხეილის მოსასპობად ტყუილი ბრალდების შექმნა დასჭირდათ“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 433].

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ 11 სახელმწიფოს ჯაშუშობა, ანუ დაუჯერებელი ბრალდება, რომლის საფუძველზეც მ. ჯავახიშვილი გაამართლეს, სწორედ მისი რეაბილიტაციის დროს იყო შეთხზული.

1955 წლის 7 სექტემბერს, თბილისში დაინყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ღია პროცესი, რომელშიც საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი რ. რუდენკოც მონაწილეობდა. ქ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს: „ერთ-ერთ სხდომაზე რუდენკომ მამას საქალაქდ ამოიღო, ზევით ასწია რომ ყველას დაენახა. ჰაერში ააფრიალა და დარბაზში მსხდომ ხალხს მიმართა: აი, მიხეილ ჯავახიშვილის საბრალდებულო საქმე: ერთადერთი ფურცელია საქმეში. აქ სწერია, რომ ის მრავალი სახელმწიფოს ჯაშუში იყო, მაგრამ ისეთი ნამების შემდეგ ის ხელს იმაზე კი არ მოაწერდა, რომ ჯაშუში და მოლაღატე იყო, არამედ იმაზედაც, რომ ის ირანის შაჰი იყო. უწყალოდ აწამებდნენო მას“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ, 1991, გვ. 460-461].

რ. რუდენკომ იცოდა, რომ მ. ჯავახიშვილის საბრალდებო საქმეში ერთადერთი გვერდი არ იდო. პროცესზე გამოსვლამდე ერთი წლით ადრე, 1954 წლის 24 ივნისს, მან საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას გაუგზავნა საიდუმლო დასკვნა, რომელშიც ჩამოთვალა მ. ჯავახიშვილის მიერ დანერგილი აღიარებანი და საქმის ფურცლებიც ზუსტად მიუთითა. ის

ფაქტი, რომ მ. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე დაწერა აღიარება, ხელს უშლიდა მის რეაბილიტაციას, რადგან არ ჯდება სტანდარტულ სქემაში: „სცემეს–დაანერინეს“. ამიტომ რ. რუდენკოს ყალბი ვერსიის შექმნა მოუხდა – თითქოს, 1937 წლის ივნისში მწერალი უკვე დაპატიმრებული იყო. პატიმრის ცემას კი ვინ არ დაიჯერებს! რუდენკო წერს: „1937 წლის 21 ივნისს ჯავახიშვილმა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის სახელზე დაწერა განცხადება, რომელშიც აღიარა, რომ ის იყო მწერალთა კ/რ ნაციონალისტური ჯგუფის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი [სუკ-ის არქივი, საქმე №9997, ფ.16-49]. ჯავახიშვილის დაპატიმრება დოკუმენტურად გაფორმდა მხოლოდ 1937 წლის 13 აგვისტოს“ [სუკ-ის არქივი, საქმე №9997, ფ. 264]. ამრიგად, რუდენკოს ნყალობით ყველაფერი „თავის ადგილზე“ დადგა: მწერალი 1937 წლის ივნისში დაუპატიმრებიათ (რიცხვს რუდენკო არ უთითებს), უცემიათ, 21 ივნისს მას აღიარება დაუწერია, ორი თვის განმავლობაში მისი დაპატიმრება გაფორმებული არ ყოფილა. რუდენკოს ამ ვერსიის სიყალბე ადვილი დასადგენია. დიდი მწერალი სინამდვილეში აგვისტოში დააპატიმრეს. ამ ფაქტს ქ. ჯავახიშვილი და რ. შიშნიაშვილიც არ უარყოფენ. გარდა ამისა, ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მ. ჯავახიშვილი 1937 წლის ივლისში მწერალთა კავშირის სხდომებზე სიტყვით გამოდიოდა: 22 ივლისს აკაკი თათარაშვილის წინააღმდეგ, ხოლო 28 ივლისს – პ. იაშვილის. პატიმარი, ცხადია, ამას ვერ მოახერხებდა. მ. ჯავახიშვილის რეაბილიტაციას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ხელისუფლებას არ სურდა ხალხის ყურადღების გამახვილება იმ ფაქტზე, რომ დიდ მწერალს, შესაძლოა, მართლაც არ მოსწონდა საბჭოთა წყობილება. რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, 1953 წლის 20 ნოემბერს მ. ჯავახიშვილის ყოფილი გამომძიებელი მიხეილ გიორგის ძე ნაცვლიშვილი დაჰკითხეს, როგორც მოწმე. რ. შიშნიაშვილს მიაჩნდა, რომ „როგორც ჩანს, მთავრობა, ორმოცდაათიან წლებში, დაპატიმრებულთა რეაბილიტაციის საქმეს სრული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა“ და ამის ნათელ მაგალითად, მ. ნაცვლიშვილის დაკითხვის ოქმი მოჰყავს [რ. შიშნიაშვილი, „ბოლოსიტყვაობა“, ნიგნში: ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ., 1991, გვ. 461]. მომაქვს ამონარიდი მოწმე მ. ნაცვლიშვილის დაკითხვის ოქმიდან: „1937 წელს დააპატიმრეს ქართველი მწერალი მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი. მას ბრალად ედებოდა იატაკქვეშა ანტისაბჭოთა მუშაობა. პირველი დაკითხვა ჯავახიშვილს მოუწყო ბერიამ ქობულოვისა და პოლიტგანყოფილების უფროსის, ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძის მონაწილეობით. ამ დაკითხვაზე ჯავახიშვილმა საკუთარი ხელით დაწერა ჩვენება თავისი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ. მეორე დღეს აბაშიძემ ჯავახიშვილის დაწერილი ჩვენება გადმომცა, რომ ჯავახიშვილის ჩვენება გამეფორმებინა დაკითხვის ოქმად. მე გავეცანი ჯავახიშვილის დაწერილ ჩვენებებს და ეჭვი გამიჩნდა მათ სისწორეში, ვინაიდან, მის ჩვენებებში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა“ [სუკ-ის არქივი, მიხეილ ჯავახიშვილის საგამომძიებო საქმე №9997, ფ. 264]. აქ ჩნდება რამდენიმე კითხვა: თუ მ. ნაცვლიშვილმა მ. ჯავახიშვილის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენება (განცხადება) დაკითხვის ოქმად გადააკეთა, მაშინ გაუგებარია, საიდან გაჩნდა ამ ორ დოკუმენტს შორის ასეთი დიდი განსხვავება? 21 წლის ივნისის განცხადებაში მ. ჯავახიშვილი ხომ ყველაფერს აღიარებს, 19 აგვისტოს ოქმში კი ყველაფერს უარყოფს. გარდა ამისა, ჩვენ ვნახეთ, რომ **მ. ჯავახიშვილმა, გამოძიების დასრულების მეორე დღეს, 20 სექტემბერს, კიდევ დაწერა განცხადება, რომელსაც სწორედ მ. ნაცვლიშვილი ამომემებს თავისი ხელმოწერით. ეს განცხადება ბ. ფალავას საქმეში აღმოჩნდა. ამის შესახებ მ. ნაცვლიშვილი, რატომღაც, არაფერს ამბობს.** აღწერს მ. ჯავახიშვილის არაადამიანური ცემის ფაქტს, რაც ადვილი დასაჯერებელია. მიუხედავად ამისა, ის არც 21 ივნისის და 21 აგვისტოს განცხადებების დაწერის ბუნდოვან საკითხს ჰფენს ნათელს: თუ პირველი განცხადება დაპატიმრებამდე დაიწერა, მაშინ სასტიკად ნაცემ ადამიანს გარეთ როგორ გამოუშვებდნენ? თუ დაპატიმრების შემდეგ დაიწერა (რაც თარიღის მიხედვით, საეჭვოა), მაშინ გადაბეჭდვის დროს, ვინ შეცვალა და შეარბილა მისი შინაარსი? ესე საკითხები პასუხგაუცემელი დარჩა. ამავე დროს, მ. ნაცვლიშვილი ამბობს, რომ მ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. საიდან უნდა სცოდნოდა მ. ნაცვლიშვილს, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს მ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანი-

ლი ისეთი ფაქტები, როგორცაა მაგალითად, მის მიერ პოლონეთის კონსულისგან 6000 მანეთის მიღება, ლ. გარსიაშვილის და ბ. ფალავასათვის ბარათების გაგზავნა, შ. ქარუმძესთან შეხვედრა და სხვა? მ. ნაცვლიშვილი არ ახსენებს იმ დაკითხვას, რომელზეც თუ 19 აგვისტოს ოქმს დავუჯერებთ, მწერალს ლ. ქორქაშვილთან დაპირისპირების დროს, არაფერი უღიარებია. მე უპირობოდ ვიჯერებ მწერლის ცემის ფაქტს, მაგრამ ამავე დროს, მიმაჩნია, რომ მ. ნაცვლიშვილმა წინასწარ მიცემული გეგმის მიხედვით დაწერა თავისი ჩვენება. ახლა კი, რ. რუდენკოს ხელმოწერილ საიდუმლო დასკვნას გაგაცნობთ:

«Секретно

В военную коллегию Верховного Суда СССР

Заключение

(в порядке от 378 УНК)

Приговором Военной Коллегии Верховного суда СССР от 30 сентября 1937 г. осужден к ВМН

Джавахишвили Михаил Саввич,

1880 г. р., уроженец села Церакви

Борчалинского района Грузинской

ССР, грузинский писатель, председатель

Правления литфонда Груз. ССР.

Приговор этот считаю неправильным и подлежащим отмене по следующим вновь открывшимся обстоятельствам:

В июне 1937 г. в Тбилиси был арестован писатель Джавахишвили, 21 июня 1937 г. Джавахишвили написал заявление на имя Наркома внутренних дел Грузии, в котором признал, что он являлся вдохновителем и организатором к/р националистической группы писателей /л. д. 16-49/.

Арест Джавахишвили документально был оформлен только 13 августа 1937 г.

Следствие по делу Джавахишвили вели быв. Начальник 3 отделения 4 отдела УГБ НКВД ГССР Абашидзе и быв. пом. начальника этого же отделения Нацвлишвили. Кроме заявления Джавахишвили от 21 июня 1937 г. к делу приобщена копия протокола его допроса от 19 августа 1937 г. и копии его заявлений на имя наркомвнудела Грузии от 21 и 31 августа 1937 г. Подлинники этих документов в деле отсутствуют.

В процессе следствия по делу врага народа Берия и его сообщников было установлено, что дело по обвинению Джавахишвили было сфальсифицировано по указанию Берия, а признание от Джавахишвили в к/р деятельности было получено в результате применения к нему жестоких избиений.

Допрошенный по этому вопросу быв. начальник 3 отделения 4 отдела УГБ НКВД ГССР Нацвлишвили М. Г. показал следующее:

«В 1937 г. был арестован и расстрелян писатель Грузии Джавахишвили Михаил Саввич. Обвинялся он в подпольной антисоветской работе. Первый допрос Джавахишвили учинил Берия с участием Кобулова и начальника отделения СПО Абашидзе Левана Константиновича. На этом допросе Джавахишвили дал собственноручные показания о своей антисоветской деятельности. На следующий день Абашидзе собственноручные показания Джавахишвили передал мне для оформления протоколом допроса. Я ознакомился с собственноручными показаниями Джавахишвили и у меня возникло сомнение в достоверности этих показаний, т. к. в его показаниях приводились факты, которые не соответствовали действительности. Тогда я обратился к Абашидзе, который участвовал в допросе Джавахишвили и спросил в чем дело. Абашидзе мне ответил, в присутствии нескольких сотрудников, из которых я помню сейчас одного начальника отделения СПО Айвазова: «Если бы меня так избивали, что я бы признался, что я являюсь сиамским шпионом» и добавил: «Пишите как есть». После этого я вызвал арестованного Джавахишвили, которого привели два вахтера, т. к. он самостоятельно идти

не мог. На правой щеке в области уха у него был синяк и опухоль. Об избиении Джавахишвили мне рассказывал Абашидзе, что он по приказанию Берия нанес Джавахишвили удар кулаком в области уха, отчего Джавахишвили свалился вместе со стулом на пол и потерял сознание, а Берия смеялся над этим. Затем его облили водой и привели в чувство, а Кобулов предупредил его, Абашидзе, чтобы он больше Джавахишвили по лицу не бил.

После повторного избиения, как мне говорил Абашидзе, Джавахишвили согласился дать собственноручные показания.

При допросе мною Джавахишвили, он полностью подтвердил то, что он показал в собственноручном показании на допросе у Берия и Кобулова.

Несмотря на явный вымысел его показаний, Джавахишвили от них не отказывался при моем допросе и ни одним словом не намекнул, что его при допросе Берия и Кобулов избивали.

Конкретных материалы об антисоветской деятельности Джавахишвили не было.

Как мне помнится, следствие оканчивал Абашидзе. За основу обвинения Джавахишвили были взяты его собственноручные показания.

Вскоре после расстрела Джавахишвили был арестован и расстрелян начальник отделения СПО Абашидзе, который принимал участие вместе с Берия и Кобуловым в допросе Джавахишвили...

Мое мнение в отношении ареста Абашидзе заключается в том, что его, очевидно, арестовали и расстреляли за то, что он говорил в присутствии многих сотрудников об избиении Джавахишвили при допросе его Кобуловым и Берия».

Из материалов предварительного следствия видно, что Джавахишвили было предъявлено обвинение в совершении преступлений, предусмотренных ст. ст. 58-10 и 58-11 УК, а осужден он был по ст. 58-1 „а», 58-8 и 58-11 УК ГССР, причем об окончании следствия ему не было объявлено.

К делу по обвинению Джавахишвили приобщены копии протоколов допросов обвиняемых по другим делам: Гасвиани Л. И., Мицишвили Н. И., Церетели Д. К., Микадзе А. В., Ониашвили Д. Е., Лагидзе Г. Е., Махарадзе Г. Ф., Коркашвили Л. В., Татарашвили А. С., Гобечия И. П.

Гасвиани 27 марта 1937 г. показала, что она, будучи зам. зав. Госиздатом, использовала деловые связи с грузинскими писателями и завербовала в состав к/р организации ряд лиц и в их числе Джавахишвили (л.д. 58). Она же при допросе 25 апреля 1937 г. показала, что со слов Горделадзе ей известно, что он вовлек вк/р работу Джавахишвили и нашел с ним общий язык (л. д. 91).

Мицишвили 14 июня 1937 г. показал, что лично он, являясь одним из руководителей к/р фашистской организации, связался с Джавахишвили (л.д. 111).

Далее Мицишвили показал, что со слов Пирумова ему известно о том, что он, Пирумов, обработал и привлек Джавахишвили к шпионско-разведывательной работе (л.д. 116). Протокола же допроса Пирумова в деле нет.

Церетели показал, что руководство к/р организации осуществлялось со стороны Джавахишвили, Гамсахурдия (грузинский писатель) и Яшвили Паоло (поэт, покончил жизнь самоубийством) (л.д.123).

Микадзе при допросе 28 июня 1937 г. показал, что он был связан с к/р организацией правых, в которую входил якобы и Джавахишвили (л.д. 153).

Коркашвили в своих показаниях от 15 и 22 июля 1937 г. называет Джавахишвили уже председателем фашистского центра в Грузии, который якобы намечал произвести аресты секретаря ЦК КП(б) Грузии Берия и Наркомвнудела Гоглидзе.

Таким образом, изложенные выше показания крайне противоречивы, не содержат конкретных указаний о к/р работе Джавахишвили, а при таком положении из них нельзя сделать вывода о его виновности.

В силу изложенного прошу приговор по делу Джавахишвили по вновь открывшимся обстоятельствам отменить и дело по его обвинению прекратить за недоказанностью предъявленного ему обвинения.

Генеральный Прокурор СССР

Действительный государственный советник юстиции Р. Руденко

24 июня 1954 г.

№1701/е

Верно» [სუკ-ის არქივი, საქმე №9997, ფ. 264]. (ხელმოწერილია რუდენკოს მიერ – მ.ხ.)

ქ. ჯავახიშვილი წერს, რომ კრიტიკოსებმა თავიდანვე გადამწყვეტი როლი ითამაშეს მ. ჯავახიშვილის ბედზე და მისი ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულზე: „წლების მანძილზე მზადდებოდა აზრი, რომ მ. ჯავახიშვილი მტრულადაა განწყობილი საბჭოთა რეჟიმისადმი და რომ ის, ბურჟუაზიული სულისკვეთების მწერალია, რომელსაც მუშათა კლასის არაფერი არ ესმის და ა. შ. რამდენად მართალი და პირუთენელი იყო იმ წლების კრიტიკა, ეს მამას რეაბილიტაციის შემდეგ გამოირკვა, როდესაც დაგმოხილ იქნა იმ დროის პოლიტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, თბ, 1991, გვ. 302].

რადგან ქ. ჯავახიშვილს სურდა, რომ მ. ჯავახიშვილი საბჭოური სულისკვეთების მწერლად გამოეყვანა, არ შევეყამათები. სხვათა შორის, მისი შეხედულების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მ. ჯავახიშვილმა საბჭოთა მწერლის პოზიციიდან გააშუქა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაუღლეი მებრძოლის – ალექსანდრე ბატონიშვილის სახე. ამ საკითხის თაობაზე გურამ გავაშელი წერს: „მიხეილ ჯავახიშვილი 30-იან წლებში ოფიციალური მიერ რეაქციონერად შერაცხილ ალექსანდრე ბატონიშვილის ისტორიულ პორტრეტს ქმნიდა და ისევე როგორც მისი თანამედროვე ბევრი ქართველი მწერალი, იძულებული იყო ხარკი გადაეხადა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემისათვის, იმ იდეოლოგიური მოლოხისათვის, რომელმაც რომანის დამთავრებიდან სულ რამდენიმე წელიწადში თავად ავტორის სიცოცხლე შეინირა. ავადსახსენებელ 30-იან წლებშივეა დაწერილი რომანი, რომელშიც ალექსანდრე ბატონიშვილის სახე დახატულია დიდი სიყვარულით და, რაც მთავარია, იმ ისტორიულ და პიროვნულ იპოსტასში, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იჩქმალებოდა და იჩრდილებოდა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში. ეს არის ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანი „ისკანდერი“ [გ. გავაშელი, „პორტრეტი ისტორიული პიროვნებისა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 23- 31 მაისი].

ვფიქრობ, მიხეილ ჯავახიშვილი იყო გაცილებით მეტი, ვიდრე „საბჭოთა მწერალი“, მაგრამ ლიტერატორების კომპეტენციაში არ შევიჭრები.

არის კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება: მურმან ლებანიძემ, 1992 წელს, პრემიების მიმნიჭებელი კომისიის სხდომაზე თქვა ის, რაც არც მე და არც სხვას არასდროს გვითქვამს. მან ფაქტობრივად დაადასტურა, რომ მ. ჯავახიშვილს, 1937 წელს, მართლაც ჰყავდა არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია! მაშასადამე, მისი რეაბილიტაციაც სიყალბე ყოფილა. არ ვიცი, ასეთი რამ მ. ლებანიძემ საქმეში ჩაუხედაობით ნამოროშა, თუ პირიქით, ზედმიწევნით ჩახედული იყო საქმეში. არ არის გამორიცხული, რომ სხდომამდე, სათანადო კონსულტაციებიც გაველო. მან განაცხადა: „...აძრობდნენ რა ფრჩხილებს და ჰყავდათ რა ჯოჯოხეთურ ნამებში გათქვა თავისი თავიც და თავისი არალეგალური ორგანიზაციის წევრებიც... საძრახისად არ მიმანია პირში ვუთხრა სუკს, რომ მტერი ხარ მისი, და მარტოსული არ ხარ ამ მტრობაში...სუკს მილიონი საშუალება ჰქონდა ამ შეთქმულების გასახსნელად (ე. ი. 1937 წელს შეთქმულება მართლაც მზადდებოდა! – მ. ხ.) და ჩიხში მოქცეულმა მწერალმა სავსებით სამართლიანად იფიქრა, რომ აზრი აღარ ჰქონდა უარზე დადგომას [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 199, ან. 1, ს. 359] (სურ. №84). როგორც ვხედავთ, მ. ლებანიძემ მ. ჯავახიშვილის რეაბილიტაციას ხაზი გადაუსვა. საკვირველია, რომ დღემდე არავის უცდია ამ მოსაზრების გაბათილება.

მე კი გ. რობაქიძის სრულიად სანინალმდეგო მოსაზრებას დავიმომწმებ: „ჯავახიშვილი ერია შეთქმულებაში, რომელიც კოტე აბხაზის ჰეროული სახელით შევიდა „ქართლის ცხოვრებაში“. (ეს მან გამანდო პროცესის შემდგომ). იყო იგი მონაწილე სხვა შეთქმულებისა?“ ამ კითხვას გ. რობაქიძე თავად პასუხობს: „არა! ერთხელ გადარჩენილი შეუძლებელია ხელმეორედ გახდეს საბჭოეთ-

ში შეთქმული – ძარღვეშინებულ ცხენს სადოლედ არ გაიყვანენ, ვიტყვით ქართველნი“ [გ. რობაქიძე, „ნანერები“, წიგნი IV, თბ., 2012, გვ. 220].

ამრიგად, ჩვენ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას გავეცანით, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გროგოლ რობაქიძეს, მურმან ლებანიძისგან განსხვავებით, საარქივო მასალებზე ხელი არ მიუწვდებოდა.

2. მიანანა ხომერიკი ბრალს სძებს მისიერ ჯავახიშვილს იმაში, რომ /აძრობდნენ რა ფრჩხილებს და ქცავდათ ჯოჯობეფურ წაიქააში/, მიხეიღმა გააქვა თავისი თავიც და თავისი არაღეგაღურნი ორგანიზაციის შევრებიც...

ჩვენ არ შეგვიძინებია, არც გვიცოია სუკის არქივში ხსენებულ რი დაკიხვის ოქმების შეშობება, მიანანა ხომერიკის მიერ საბუთად მოხმობილი, რადგან არ იცა ამისი საფირილება: არის კი კაცი /მუ დაპაფიშრებისას თავის მოკვლას ვერ მოასწრებია/, რომელსაც შეედლო გაუძლო წაიქების სუკისეული შელოფებისათვის!

ეს ერთი მეორეც: საძნახისაი აღარც კი მიზარნია, სასიკვადილო ~~შესხუტული~~ შევანწინებია და სიკვდილისჯიღმა ფაქტურაქე პირში უახრა სუკს, რომ მცერი ხარ მისი და მარტოური კაცი არ ხარ ამ მცრობაში... სუკს მირიოწნი საშუარება ქქონია ან შეთქმულების გასახსნელად და ჩიხში მოქცეურმა მწერაღმა, სავსებით სამარჯლიანად იფიქრა, რომ ამრი აღარ ქქონია უარზე დაიგომას. ვინც ძიების საქმეში დიღეგანჭის დონეზე მაინც არის ჩახეეურწ, იმას ენა არ მოუბრუნებია მისიერ ჯავახიშვილის სასაყვედუროდ...

№84. [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 199, ან. 1, ს. 359].

დანართი №5. მიხეილ ჯავახიშვილი და იაკინთე ლისაშვილი

მ. ჯავახიშვილისგან განსხვავებით (სურ. №85, სურ.№86), ი. ლისაშვილის სახელი დღეს ბევრისთვის უცნობია (სურ.№87). ამიტომ, სანამ ძირითად სათქმელზე გადავალთ, შევეცდები სულ რამდენიმე შტრიხით გავაცნო მკითხველს. ის იყო საბჭოთა მწერალი, ავტორი რომანებისა „ერთგულება“, „კეცხოველი“ და სხვა. საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავდა, რაც ისევე ჩაბარდა ისტორიას, როგორც თავად საბჭოთა კავშირი. მისი ნამდვილი გვარი ხომერიკი იყო, ლისაშვილი კი ფსევდონიმი, დედის – ლისას, სახელის მიხედვით შედგენილი. მიუხედავად კომუნისტობისა, მორწმუნე ადამიანი გახლდათ. გთავაზობთ მცირე ამონარიდებს ჩემ მიერ გამოცემული მისი მოგონებებიდან: „ქვის პატარა ეკლესიაში ისე შევძვერით, როგორც გამოქვაბულში და ჩემს წინაშე ერთბაშად ახალი, ჯერ არნახული სამყარო წარმოჩინდა: სხვადასხვა სიდიდის ხატები, იქვე ტიტველი, ჯვარზე გაკრული, ხელფეხდალურსმული ადამიანი, თაფრამოვარდნილი, თვალეზდახუჭული და სასომიხდილი (მერე გავიგე, ჯვარცმული ქრისტე რომ იყო). თაფლის სანთლების იღუმალი კრთომა, ციმციმი, საკურთხევის მოოქროვილი კარებიდან გამოსული, ოქრომკედის ქსოვილით შემოსილი მღვდელი,

ანთებული საცეცხლურით საკმეველის გამაბრუებელ სურნელს აფრქვევდა გარშემო და იძახდა: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!“ – „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!“ – იძახდა მნათე: „მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!“ და ყოველივე ეს ქმნიდა რაღაც საოცარ, ამქვეყნიური ბინიერებისგან მოწყვეტილ სურთს, გადასულს იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი მუდმივია, ამაღლებულია და ღვთაებრივი გონიერების ჩაუქრობელი შუქითაა გაბრწყინებული. მეც ამ მარადიულ ქვეყანაში ვიგრძენი თავი და მოკვდავი – უკვდავი გავხდი. მეგონა საცეცხლურში დამწვარი სურნელოვანი საკმეველის ბოლს, ეკლესიის თაღისაკენ რომ მიიწევდა, სხეულს დამორებული ჩემი სულიც ცაში ღმერთთან აჰყავდა და მას მღვდელ-დიაკვნის ლაღადისი მიაცილებდა... ეკლესიის ეზოდან რომ გამოვედით, ცას მივაჩერდი, მინდოდა გამეგო, რითი განსხვავდებოდა ყველა სხვა ჩვეულებრივი დღეებისაგან აღდგომის დღე. დარწმუნებული ვიყავი ეს განსხვავება ცასაც დაეცყობოდა, მაგრამ რით და რანაირად, ეს მინდოდა შემეცნო. ჰაერიც სხვანაირი მეგონა ამ დღეს, მსუბუქად მივდიოდი დედის კაბის კალთაზე ხელჩაკიდებული და მინდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ესოდენ სასიხარულო აღდგომის დღე“ [ი. ლისაშვილი, „გურული ესკიზები (მოგონებები)“, თბ., 2023, გვ. 21, გვ. 22]. მომაქვს კიდევ ერთი ამონარიდი იმავე მოგონებებიდან: „მამა და ბიძაჩემი ხშირად ოდა-სახლის სარკმლიდან ესროდნენ ხოლმე ფილთათოფს ხურმის ხეზე შესეულ შაშვეებსა თუ ჩხართვებს და ხშირად, ერთი გასროლით ორ-სამსა ჰკლავდნენ. გავარდებოდა თუ არა თოფი, ბავშვები ყვილ-ხვილით ეზოში გაიჭრებოდნენ და ზოგჯერ დაჭრილ ჩიტს გულსაკლავად აწრიპინებდნენ. ჩიტის იმ უმწეო წრიპინს რომ ვუსმენდი, რაღაც მანუხებდა, გული მიძიმდებოდა, თუმცა ჩემი გრძნობა ვერ გამომეტქვა, თანაც უკვე ვრწმუნდებოდი, რასაც უფროსები სჩადიან, ეს გარდაუვალია და მინდა თუ არა, საჭიროა შევურიგდე“ [ი. ლისაშვილი, „გურული ესკიზები (მოგონებები)“, თბ., 2023, გვ. 8]. გარდაუვალი აუცილებლობის პრობლემა, ალბათ, უფრო მძაფრად დგება იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც ბუნებასთან ახლოს არიან. ი. ლისაშვილის გამოუქვეყნებელმა „დღიურებმა“ მიმახვედრა, თუ რატომ იყო მისთვის ვაჟას „გველის მჭამელი“ ესოდენ ახლობელი. (სურ. №88).

მის დღიურში ზოგი ისეთი ჩანანერი ვნახე, რომელიც იმ ეპოქის დასახასიათებლად გამოდგება. აქედან გამოვეყოფ მისი რომანის, „ნათელას“, ირგვლივ შექმნილი ვითარების აღწერას. რომანის მთავარი გმირი, ლამაზი, ნიჭიერი და ყოველმხრივ დადებითი პიროვნება, რომანის ბოლოს უკურნებელი სენით იღუპება. ასეთი პესიმისტური დასასრული, საბჭოთა ახალგაზრდის გარდაცვალება, მიუღებელი აღმოჩნდა მაშინდელი პარტიული მესვეურებისათვის. ი. ლისაშვილს ნამდვილი სასამართლო მოუწყვეს, მაგრამ დამცველებიც გამოუჩნდნენ: რომანის ბოლოს ხომ არის ნათქვამი, რომ ნათელას ყოფილ ლაბორატორიაში მზის სხივი შემოიჭრაო! ანუ, არც ისეთი პესიმისტური ყოფილა! თავად ი. ლისაშვილი კი ასე ხსნიდა: მე მინდოდა ექიმებისთვის მეთქვა, ასეთი პიროვნებები იღუპებიან, იჩქარეთ, შექმენით კიბოს საწინააღმდეგო საშუალება. ვფიქრობ, ექიმებისთვის ამის შეხსენება ზედმეტი დღესაც არ იქნება.

აღსანიშნავია, რომ 1960-იან წლებში ი. ლისაშვილი ბუკა ნაკაიძის „ჩოხოსანთა საძმოს“ წევრი იყო და ახალ წელს ჩოხით ხვდებოდა (სურ. №89).

მომყავს მცირე ამონარიდი სოსო სიგუას წიგნიდან, სადაც აღწერილია ჩემი მშობლების ქორწინებაში კონსტანტინე გამსახურდიას და მისი მეუღლის სტუმრობა. მთავარი კი ის არის, რომ მოყვანილია ერთი უტყუარი ფაქტი: ბაბუაჩემი, ი. ლისაშვილი ძნელბედობის ფამს, კ. გამსახურდიას სათარგმნ მასალას უგზავნიდა [სოსო სიგუა, „მარტვილი და ალამდარი“, თბ., 2003, წ. I] (სურ. №90). ჩემი მხრივ დავამატებ, რომ გაგზავნა ხარიტონ ვარდოშვილის ხელით ხდებოდა. ი. ლისაშვილის გარდაცვალების შემდეგ, კ. გამსახურდიამ სატელევიზიო გამოსვლის დროს დაადასტურა ეს ფაქტი და დასძინა, ასე შევინარჩუნე ფიზიკური არსებობაო.

როგორც ერთი საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, ი. ლისაშვილმა პიონერთა სასახლეზე მხოლოდ რუსულენოვანი საახალწლო მოლოცვის გამოფენის ფაქტი გააპროტესტა: „ეს ჩვენ უნდა შევიგნოთ და დავგმოთ ყოველგვარი უგულვებელყოფა და უყურადღებობის გამოჩენა ქართული ენის, როგორც ჩვენი სახელმწიფო ენის მიმართ“ [პარტ. არქივი, ფ. 897, ს. 35]. ენასთან დაკავშირებით

უნდა გავიხსენოთ, რომ მ. ჯავახიშვილის მოთხოვნის თანახმად, ქართველ მწერლებს ოსური და აფხაზური ენები უნდა ესწავლათ: „სირცხვილია ჩვენთვის რომ სოხუმიც და ცხინვალიც აქვე ხელმისაწვდომი არის, რამდენიმე საათის სავალი გზა არის ცხინვალამდე და ქართველი მწერალი მხოლოდ გაკვრით შეიხედავს...ვისაც შეუძლია უნდა წავიდეს, დიდი ხნით დასახლდეს იქ, თუ დიდი მოთმინება და დრო ეყო, ენაც უნდა შეისწავლო(ს)“ [უახლესი. ისტორიის არქივი, ფ.8, ან. 1, ს. 384, გვ. 7] (სურ. №91).

აი, ასე ნელ-ნელა მივუახლოვდით მ. ჯავახიშვილის და ი. ლისაშვილის ურთიერთობის თემას. ჩვენ უკვე გავეცანით 1931 წელს ჩატარებული მწერალთა რიგების წმენდის დოკუმენტებს და ვთქვით, რომ მ. ჯავახიშვილი მწერალთა კავშირიდან გარიცხვას გადაურჩა. „წმენდა“ წინასწარ მზადდებოდა. განზრახული იყო მისი გარიცხვაც, მაგრამ. ჯავახიშვილის და ცისფერყანწელების დასაცავად ხმა აიმაღლეს ი. ლისაშვილმა და ოთხმა პარტიულმა მწერალმა, რომლებმაც განცხადება შეიტანეს ცენტრალურ კომიტეტში, რისთვისაც ისინი სასტიკად დაგმო საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მაშინდელმა მდივანმა სამსონ მამულიამ. გთავაზობთ ამონაწერს მისი სიტყვიდან: „უკანასკნელ ხანებში ლიტერატურის რეაქციონური ფრონტი ძლიერდება მერყევ მწერალთა ერთი ნაწილის ხარჯზე. ზოგიერთი მწერლები, რომელთაც წინათ თანამგზავრობის პრეტენზია ჰქონდათ, აშკარად მემარჯვენე ბანაკში გადავიდნენ. ასე მოიქცა მაგალითად მწერალი მის. ჯავახიშვილი... ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობის დროს, როდესაც პროლეტარული მწერლები გადაჭრით ებრძოდნენ რეაქციონურ ფრონტს, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რიგებში გაჩნდა მემარჯვენე ჯგუფი (ვაკელი, ბუხნიკაშვილი, სამსონიძე, ზომლეთელი, ლისაშვილი), რომელიც ამ ასოციაციის წინააღმდეგ გამოვიდა. მათ შეიტანეს განცხადება ცენტრალურ კომიტეტში, სადაც სწერდნენ, რომ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხაზი უვარგისია, რომ „ცისფერი ყანწელები“ და ჯავახიშვილი და სხვ. არ არიან თანამგზავრები. მათი (ე. ი. ვაკელის, ბუხნიკაშვილის, სამსონიძის, ზომლეთელის, ლისაშვილის – მ. ხ.) აზრით კი ისინი თანამგზავრები იყვნენ. ამ ჯგუფმა საერთო ენა გამონახა რეაქციონურ მწერლობასთან...“ [„საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივნის ამხ. ს. მამულიას მოხსენება საქართველოს კომკავშირის მეათე ყრილობაზე 27 დეკემბერს. „გავაძლიეროთ ჩვენი კლასიური სიფხიზლე, ვამხილოთ კლასიური მტრები“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1 იანვარი, 1931 წელი.] (სურ. №92). **ს. მამულიას სიტყვა, ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არ არის.**

იმ წლებში შექმნილი სიტუაციის დასახასიათებლად, ზედმეტი არ იქნება იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ 1937 წელს თვითონ სამსონ მამულიაც დახვრიტეს, ისევე როგორც მამია ორახელაშვილი და სხვები. კომუნისტური პარტიის როგორი ერთგულიც არ უნდა ყოფილიყო ადამიანი, ის მაინც ვერ იქნებოდა დაზღვეული რეპრესიებისაგან. დღეს, საქმეში ჩაუხედავი პირები ხშირად სვამენ პრიმიტიულ კითხვას – თუ მიხეილ ჯავახიშვილი მართლა მიდიოდა კომპრომისებზე, მაშინ რატომ დახვრიტეს? იმ ავადსახსენებელ წლებში, სიცოცხლე არავის ჰქონდა გარანტირებული. ბერიას სასამართლო პროცესის უშუალო მონაწილე, მიტროფანე კუჭავა წერს: „ი. ფვანიას „ჩვენებით“ დაპატიმრებულნი იყვნენ სამსონ მამულია, ხოლო მამულიას ჩვენებით მამია ორახელაშვილი და სხვები. ორახელაშვილი აწამეს ქობულოვმა და კრემიანმა და გამოძალეს ჩვენება...“ [მიტროფანე კუჭავა, „სამართლე ბერიას საქმეზე“, 1996 წ., ფ 42].

ასეთ ვითარებაში, ყველა ერიდებოდა სხვების დაცვას. მითები და ზღაპრები კი მსმენია, მაგრამ მათი დამადასტურებელი დოკუმენტი არ მინახავს. ამდენად, ზემოთ დასახელებული ხუთეულის საქციელი თავგანწირვის ტოლფასი იყო, მაგრამ ვინ დაუფასა! ქ. ჯავახიშვილის წიგნებში ეს ფაქტი ასახული არ არის. სამაგიეროდ, ქალბატონი ქეთევანი დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორი დიდი მადლიერების გრძნობით აივსო დიდი მწერალი თავისი სიდედრის მიმართ, რომელმაც მას გემრიელი ხინკალი აჭამა. ხუთი ადამიანის თავგანწირვა კი, როგორც ჩანს, ერთი ხინკლის ფასადაც არ ღირდა!

1935 წელს მოხდა ისეთი ინციდენტი, რომლის წარმოშობის მიზეზი ჩემთვის დღემდე გაუგებარ-

ია: რატომ, რა მიზნით ჩააყენა მ. ჯავახიშვილმა ი. ლისაშვილიც და საკუთარი თავიც მძიმე მდგომარეობაში? რატომ დაუნყო მას ქუჩაში, მოწმის თანდასწრებით საუბარი აკრძალულ თემებზე? მახსენდება მუხრან მაჭავარიანი ლექსი, რომელიც მაშინდელ რეალობას ასახავს:

„ორი მსჯელობს ამხანაგი
ერთი ამბობს – ეს არ მესმის!...
მყის შეწყვიტეს ლაპარაკი,
შეემინდათ მესამესი“

ზემოხსენებული ინციდენტი შემდეგ აისახა ქ. ჯავახიშვილის წერილში „მიხეილ ჯავახიშვილი და სისხლის რასობრივი თეორია“, რომელიც დასაბუქდად რამაზ შიშნიაშვილმა მოამზადა, კიდეც უფრო დაამძიმა და როგორც თვითონ წერს, მკითხველებს „სიამოვნებით“ შესთავაზა [გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988 წ., 25 ნოემბერი]. მასში ნათქვამია, რომ მძიმე ცხოვრების მიუხედავად, მ. ჯავახიშვილი ბოლომდე „გულახდილი, გულწრფელი და მიამიტი ადამიანი დარჩა“, რასაც არაკეთილსინდისიერად განწყობილი ადამიანები მის წინააღმდეგ იყენებდნენ. მოყვნილია მაგალითი: მწერალს სამედიცინო გამოკვლევა გაუვლია. რამდენიმე დღის შემდეგ, ქუჩაში იაკინთე ლისაშვილი და ვასო გორგაძე შეხვდნენ, რომლებსაც მან „გულახდილად უამბო თავისი ავადმყოფობის ამბავი და ისიც დაუმატა, რომ სისხლის ანალიზი გაიკეთა, მარილები აღმოაჩნდა და ანალიზმა დაადასტურა, რომ მას პირველი ჯგუფის სისხლი ჰქონდა. საუბარი ამ საკითხების ირგვლივ გაიმართა და რადგან მისი მოსაუბრეები ამ სფეროში გარკვეულები არ იყვნენ, მამას სამედიცინო საკითხებში მთელი თავისი ცოდნის გამომჟღავნება დასჭირდა. გაიმართა ახსნა-განმარტება. იმ დროს კი სისხლის საკითხებზე საუბარი დიდ ცოდვა ითვლებოდა“. ქ. ჯავახიშვილის მტკიცებით, ი. ლისაშვილს ეს საუბარი „გადაუსხვაფერებია“ და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისათვის მოუხსენებია, მაგრამ „ტოროშელიძემ ამ საქმეში საეჭვო არა დაინახა რა და სთხოვა მამას, დაენერა ოფიციალური განმარტება ამ ფაქტის შესახებ“. ვფიქრობ, ქ. ჯავახიშვილმაც კარგად გადაასხვაფერა სინამდვილე. დავინყოთ იმით, რომ არავითარ მარილების დაგროვებაზე საუბარი არ ყოფილა. მარილებზე კიდეც რომ ესაუბრათ, სისხლი არაფერ შუაში არ იყო. ნუთუ, ქ-ნმა ქ. ჯავახიშვილმა არ იცოდა, რომ მარილები შარდის ანალიზში ჩანს და არა სისხლის! ცხადია, ეცოდინებოდა, მაგრამ თავისი პუბლიკაცია გონებასუსტ მკითხველებზე გათვალა! გარდა ამისა, აქ არ ჩანს, რომ დიდ მწერალს სამედიცინო საკითხების ცოდნა გააჩნდა. არცოდნა უფრო ჩანს. მნიშვნელოვანი დეტალია: მართალია, მ. ჯავახიშვილს ორი პიროვნება შეხვდა, მაგრამ ის მხოლოდ ერთს, ი. ლისაშვილს უსვამდა კითხვებს და არა „მოსაუბრეებს“. საუბრის შინაარსის დასადგენად მ. ჯავახიშვილის „გულახდილ“ ახსნა-განმარტებას დავეყრდნობთ. თავის „ავადმყოფობაზე“ და სისხლზე საუბრისას, მას ლისაშვილისათვის ამგვარი კითხვები დაუსვამს: „გკითხე მას, როგორ ახსნის იმ ფაქტს, რომ ზანგის ტომი ფრიად განათლებულ ეგვიპტის გვერდით ათასი წლობით ცხოვრობდა და მათი კულტურა ვერ შეითვისა-მეთქი. მე მინდოდა მისი ცნობისმოყვარეობა გამეღვიძებინა და მეორე კითხვა მივეცი: ამერიკელმა ინდიელებმა ევროპული კულტურა არა თუ ვერ შეითვისეს, კიდეც გადაშენდნენ და ეს რა მიზეზით ავხსნათ-მეთქი – კითხვა კითხვად დარჩა“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილი და სისხლის რასობრივი თეორია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988 წ., 25 ნოემბერი] (სურ.№93). მ. ჯავახიშვილი ორ მოსაუბრეს კი არ უსვამს აკრძალულ კითხვებს, არამედ მხოლოდ ერთს – ი. ლისაშვილს, მეორეს კი მოწმედ ისწრებს. იძულებული ვარ ვთქვა, რომ როდესაც ხელმძღვანელობას ვინმეს დასჯა უნდოდა, ვ. გორგაძეს იყენებდნენ ხოლმე, რაც მან შემდეგ თავად აღიარა [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 594]. ნურც ის დაგვაგინყდება, რომ 1923 წელს მ. ჯავახიშვილმა ნ. ხომერიკსაც „გაუღვიძა ცნობისმოყვარეობა“ კითხვების დასმით: „მე მონათხრობის შესაბამისი შეკითხვა დავუსვი ხომერიკს“... პასუხი კი ჩეკას მოახსენა. იაკინთე ხომერიკი-ლისაშვილს მ. ჯავახიშვილის მიერ ჩეკასათვის მიცემული ჩვენებები არ ენახა, მაგრამ ნაკითხული ჰქონდა მისი მაკომპრომეტირებელი ყველა ის პუბლიკაცია, რომელიც ქ. ჯავახიშვილმა ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში არ შეიტანა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ

მას გარკვეული ეჭვები გასჩენოდა. მას ჯერ კიდევ უხსენებდნენ მ. ჯავახიშვილის დაცვის ფაქტს და არ იყო გამორიცხული, რომ ეს „ზემოდან“ შეკვეთილი პროვოკაცია ყოფილიყო. უფრო გასაგები რომ იყოს, თუ რა სახის საშიშროებაზე ფიქრობდა ლისაშვილი, მომყავს მაგალითი. საარქივო მასალიდან შევიტყვე, რომ ბერიამ ერთ-ერთ მეცნიერს, რომლის აგენტურული სახელი „შმიდტი“ იყო, „საქართველოს ნაციონალისტური ძალების გაერთიანების საინიციატივო ჯგუფის შექმნის დაწყება“ დაავალა. „შმიდტმაც“ პროვოკაციული წინადადებით მიმართა სტომატოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს, აპოლონ ურუშაძეს, რომელმაც გამჭრიახობა გამოიჩინა და შემოთავაზებული წინადადების შესახებ დროულად განაცხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაფარვისათვის, ჩეკას ჩაუვარდებოდა კლანჭებში. მ. ჯავახიშვილის ნიჭიერების მიუხედავად, ი. ლისაშვილი ვერ ენდობოდა მას, რადგან ნიჭი სანდოობის გარანტიას არ იძლეოდა. აკრძალულ საკითხებზე საუბრის მოსმენის შემდეგ, ი. ლისაშვილი ძალზე აღელვებული მისულა შინ. ოთახში ბოლთას სცემდა და იმეორებდა: რა ვიფიქრო, მარტო მე რატომ მისვამდა კითხვებს, რას მიპირებს მიხეილი – არ ვიცის. იგი იძულებული გახდა თავის გადარჩენაზე ეზრუნა და მომხდარი ფაქტის შესახებ განცხადებინა. რევაზ კვერენჩილაძე, სანამ სიყალბის გზას დაადგებოდა, სავსებით სწორად ხსნიდა ი. ლისაშვილის საქციელს: „ი. ლისაშვილის მოქმედების მოტივი უბრალოა – თავის გადარჩენა. 1923 წლიდან მომდინარე ეჭვმა მას აფიქრებინა: მ. ჯავახიშვილმა ქ. ჩოლოყაშვილი არ დაინდო, ახლა ნ. ხომერიკივით ჩემი დაღუპვა აქვს დავალებული, ამიტომ დაინყო ჩემთან პროვოკაციული საუბარი, თანაც მოწმის – ვ. გორგაძის თანდასწრებით, რომელიც ადრე კ. გამსახურდიას და სხვა მწერალთა კავშირიდან გარიცხვას მოითხოვდაო – და... დაასწრო, თავად უჩივლა“ [რევაზ კვერენჩილაძე, „რეპრესირებული მწერლები“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1992 წ., 27 ნოემბერი] (სურ.№94). მოტივის სწორად ახსნის მიუხედავად, რევაზ კვერენჩილაძე ახსენებს მხოლოდ „ეჭვს“ მაშინ, როდესაც მკვლევარი ვალდებულია იცნობდეს ფაქტებს, რომლებმაც ეს ეჭვი დაბადა. ი. ლისაშვილის ეჭვი იმანაც გააძლიერა, რომ მის განცხადებას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამიტომ მას მეორე განცხადებაც დაუწერია, ანუ ზუსტად ისევე მოქცეულა, როგორც მ. ჯავახიშვილი დ. კასრაძესთან უთანხმოების დროს. ი. ლისაშვილმა, როგორც პარტიულმა, თავისი პირველი განცხადებით მწერალთა კავშირის პარტჯგუფს მიმართა, მეორეთი კი – ცენტრალურ კომიტეტს. ორივე ფაქტი ძალზე სამწუხაროა, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ მას ჩეკასთვის არ მიუძღვნა თავს. მე შორს ვარ მისი იდეალიზაციისაგან, მაგრამ რამდენადაც მოვიკვლიე, ჩეკას აგენტი არ ყოფილა. ქ. ჯავახიშვილის პუბლიკაციის შემდეგ ბევრსაც ეცადნენ, მაგრამ ი. ლისაშვილის მიერ ვინმეს დასმენის სხვა შემთხვევას ვერ მიაკვლიეს!

ქ. ჯავახიშვილის მტკიცების მიუხედავად, მ. ჯავახიშვილს მხოლოდ საკუთარ ავადმყოფობაზე არ უსაუბრია. ამასთან, მის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ახსნა-განმარტების ასლი მ. ჯავახიშვილის საოჯახო არქივში რომ არ ინახებოდეს და მისი საკუთარი ოჯახის წევრების მიერ რომ არ იყოს გამოქვეყნებული, ვერც დავიჯერებდით, რომ იგი ისეთი განათლებული ადამიანის კალამს ეკუთვნის, როგორადაც მ. ჯავახიშვილი მიგვაჩნია. მ. ჯავახიშვილი: „ჩემს მოსაუბრეს სისხლის თეორიისა ბევრი არაფერი სცოდნია-მეთქი. ეს იმით მტკიცდება, რომ მან სისხლის 4-5 ჯგუფის არსებობა პირველად ჩემგან გაიგო“. ცხადია, პირველად გაიგებდა! მე-5 ჯგუფის სისხლი არ არსებობს. გთავაზობთ ცნობას საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგურიდან:

„თქვენს 1989 წლის 15 მარტის წერილობით შეკითხვაზე გაცნობებთ, რომ სისხლის მე-5 ჯგუფი არ არსებობს.

მთავარი ექიმი, რესპ.დამს.ექიმი, მედ. მეცნ. კანდიდატი: ვ. ტ. ჩხაიძე სტანდარტული შრატების განყ. გამგე: ნ. ა. ტურაშვილი“.

როგორც ვნახეთ, მ. ჯავახიშვილი მხოლოდ ერთ „მოსაუბრეს“ ახსენებს და არა „მოსაუბრეებს“! ამავე დროს, ი. ლისაშვილი მსმენელი უფრო იყო, ვიდრე მოსაუბრე. გაკვირვებული ჩუმად უსმენდა და არ პასუხობდა. აკი, მ. ჯავახიშვილი თავად აღიარებს, კითხვა კითხვად დარჩაო. რატომ არ

ემეებოდა? ვინ დაავალა ი. ლისაშვილის „ცნობისმოყვარეობის“ გაღვიძება?

ქ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ანალიზებით დადგინდა, რომ პირველი ჯგუფის სისხლი ჰქონდა. კარგი სისხლი რომ აღმოაჩნდა, მას ეს ესია მოვანა“. ქეთევან ჯავახიშვილმა მისდა უნებლიეთ გასცა საქმის ნამდვილი ვითარება: მ. ჯავახიშვილი აღტაცებას ვერ მალავდა და გარკვეული აჟიოტაჟი შექმნა თავისი | ჯგუფის სისხლის ირგვლივ. მისი ქალიშვილიც ხომ | ჯგუფის სისხლს „კარგ სისხლს“ უწოდებს. რა მოხდა ასეთი! ანალიზებით | ჯგუფის სისხლი დადგინდა, თუ იქორი (ძველი ბერძნული მითების მიხედვით, ღმერთების სისხლი)? არსებობს სხვადასხვა კლასიფიკაცია. ჯერ კიდევ 1930 წლების დასაწყისში აკადემიკოსი გ. მუხაძე გარკვევით განმარტავდა, რომ „იანსკის | ჯგუფი არის მოსოთი IV და უკულმა – იანსკის IV ჯგუფი არის მოსოს | ჯგუფი“. რა არის აქ სასიამოვნო, ან საწყენი? ქ. ჯავახიშვილის ნათქვამი სახელს უტეხს დიდ მწერალს და როგორღაც ეხმიანება ერთი პატიმრის მიერ 1937 წელს მიცემულ ჩვენებას: „საქართველოს მწერალთა წრეზე ფაშისტური გერმანიის გავლენის დასახასიათებლად, მომყავს ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მწერალთა კავშირში 1935 წელს. მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა სპეციალურად გამოიკვლია თავისი სისხლი, თავისი არიული წარმოშობის დადგენის მიზნით“ [სუკ-ის არქივი, საქმე №10817, ფ. 7]. ამ ჩვენების მიცემის დროს, დიდი მწერალი უკვე დახვრეტილი იყო.

სხვათა შორის, ხსენებული ჩვენების შინაარსი გადმოცემულია სოსო სიგუას წერილში „როგორ დახვრეტეს ტიცვიან ტაბიძე“ [გაზ. „გრაალი“, 18-24 აპრილი, 1996 წ., №1]. არ მინდა დავუჯერო პატიმრის ჩვენებას, მაგრამ მას გარკვეულად ამაგრებს ქეთევან ჯავახიშვილის აღიარება: „კარგი სისხლი რომ აღმოაჩნდა, მას ეს ესია მოვანა“. თავის ახსნა-განმარტებაში მ. ჯავახიშვილი გაცვილებით მეტ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე ი. ლისაშვილი. ასე, მაგ., მ. ჯავახიშვილი წერს, რომ მას ხელთ ჰქონია თბილისის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის გამოკვლევების შედეგები. ეს იყო ბაქტერიოლოგიის ინსტიტუტის კლიენტების მონაცემები, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მისი მარილების დაგროვებასთან. გაუგებარია, რაში დასჭირდა მას, არასპეციალისტს, ამ მონაცემების ჯიბით ტარება იმ დროს, როდესაც ქ. ჯავახიშვილის თქმით, „სისხლის საკითხებზე საუბარი დიდ ცოდვად ითვლებოდა“.

გაკვირვებას იწვევს, რომ დიდმა მწერალმა ქუჩაში დისკუსია გამართა და ესოდენ დიდი ყურადღება დაუთმო საკუთარი სისხლის ფერსაც კი: „მე ვარდისფერი სისხლი მაქვს მეთქი. ამ თქმაში ოხუნჯობაც იყო და სიმართლეც. ცნობილია, რომ ზოგის სისხლი მკრთალია და ზოგისა კი მუქი. ჩემი სისხლი ძალიან მკრთალი (ვარდისფერი) მეჩვენა“. საოხუნჯოს აქ ვერაფერს ვხედავ; ცოცხალი ადამიანის სისხლი ცისფერი ვერ იქნება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ის შეიძლება იყოს უფრო მკრთალი, რაც ბუნებრივი მოვლენაა და მას ვარდისფერი სათვალთ არ უნდა შევხედოთ. მ. ჯავახიშვილი თავს იმართლებს: „მე რომ მეორენაირი აზრი მექონდა, პირდაპირ ვიტყოდი: მე ცისფერი სისხლი მაქვს მეთქი“. მ. ჯავახიშვილს ამის პირდაპირ თქმა კიდევ რომ სდომებოდა, მაინც ვერ იტყოდა. სწორედ ამის დამტკიცებას დავახარჯე ამდენი შრომა და დიდი მწერლის წარმომავლობა ზედმინეწვით შევისწავლე. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ის მამითაც და დედითაც გლეხი იყო, რაშიც ცუდი არაფერია, მაგრამ ცისფერ სისხლთან საერთო არაფერი აქვს. ახლა კი ხსენებულ პუბლიკაციაში დაშვებულ მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ და პოლიტიკურ შეცდომას გაგაცნობთ. მ. ჯავახიშვილი აცხადებს: „ეს ციფრები ხელთ მექონდა, როცა იაკინთე ლისაშვილს ველაპარაკებოდი და დასკვნაც ცხადი იყო: ინსტიტუტის კლიენტების 9/10 ალბათ მუშები და გლეხები იყვნენ. ნამეტან კი ოსები რომელთაც თავადაზნაურობა არ ჰყოლიათ. მამასა-დამე ჭორი ყოფილა ცისფერი სისხლის თეორიაც...“ (სურ. №95). ამ განცხადებამ ძალზე გაართულა ქართულ-ოსური ურთიერთობა. დიდი მწერალი ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა. ჯერ იყო და ქართველ მწერლებს ოსური ენის სწავლა მოსთხოვა, ახლა კი განაცხადა – ოსებს თავადაზნაურობა არ ჰყოლიათო. ოსი ეროვნების არაერთმა პიროვნებამ პირადად ჩემთან საუბარში დასვა კითხვები: ვინ იყო დავით აღმაშენებლის ბებია? ვინ იყო თამარ მეფის დედა? თუ ჩვენ თავადაზნაურობა არ გვყოლია, გამოდის, რომ ისინი გლეხის ქალები ყოფილანო. ამ საკითხის თაო-

ბაზე დასაბუთებული წერილი გადმომცა ისტორიკოსმა გიორგი თოგოშვილმა. ნუ დაგვაგინყდება, რომ 1985 წლიდან, საქართველოში გააქტიურებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალელურად გააქტიურდნენ სეპარატისტული მოძრაობები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ქ. ჯავახიშვილის წერილი 1988 წლის ნოემბერის ბოლოს დაიბეჭდა. ერთმა ოსმა ქალბატონმა მითხრა, მე ახლა ჩრდილო ოსეთში მივდივარ, ოსების ამ შეურაცხყოფის შესახებ უნდა ვაცნობო. ცხადია, ამ პუბლიკაციას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ ისე დაემთხვა, რომ ორი თვის შემდეგ, 1989 წლის 29 იანვარს, ოსებმა შექმნეს სახალხო ფრონტი „ადამონ ნიხასი“ (დაპირისპირება საბოლოოდ, 1992-1992 წლის ომში გადაიზარდა).

თუ მ. ჯავახიშვილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ანუხებდა, 1935 წელს, მწერალთა სახლთან ახლოს, მაჩაბლის ქუჩაზე უკვე არსებობდა მწერალთა პოლიკლინიკა [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 289, ან. 1, ს. 1351], ასევე არსებობდა ქალაქის 1-ლი საავადმყოფო [ახალი ისტორიის არქივი, ფ. 289, ან. 1, ს. 1166], 1932 წლიდან ფუნქციონირებდა სისხლის გადასხმის სადგური, რომლის ბაზაზეც, სწორედ 1935 წელს ჰემატოლოგიისა და ტრანსფიზიოლოგიის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი აკადემიკოსი გრიგოლ მუხაძე იყო. ნუთუ, მწერლის მარილების დაგროვების დადგენას ბაქტერიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი სჭირდებოდა? ალბათ, იყო რაღაც ისეთი, რამაც ეს არჩევანი განაპირობა. დავიწყოთ ძიება. ხსენებული ინსტიტუტი 1922 წელს მიკრობიოლოგ გიორგი ელიავას ინიციატივით დაარსდა, რომლის დირექტორიც თავადვე იყო. ინსტიტუტში რამდენიმე განყოფილება იყო, რომელთაგან ჩვენთვის ჰემატოლოგიის განყოფილება აღმოჩნდა საინტერესო. სწორედ აქ მუშავებოდა სამეცნიერო თემა: „საქართველოს ხალხების სისხლის ჯგუფი“. ევრიკა! მივაგენით! თემის ხელმძღვანელი გახლდათ თვალსაჩინო მეცნიერი ელენე მეჩესლავის ასული სემენსკაია. თემაზე მუშობის დაწყების თარიღი იყო 1935 წლის 1 იანვარი, ხოლო დასრულების სავარაუდო თარიღი: 1936 წლის 1 იანვარი [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 289, ან. 1, ს. 1331] (სურ. №96). აი, რა მონაცემებს დაატარებდა ჯიბით მ. ჯავახიშვილი. როდესაც ის გერმანულ და იტალიურ ფაშიზმს ადარებდა ერთმანეთს, ამ უკანასკნელს ანიჭებდა უპირატესობას, რადგან უფრო მისადაგებული ეგონა ქართულ რეალობასთან. ამის მიზეზი სისხლის ჯგუფობრიობა იყო: „ქართველებს სხვადასხვა ჯგუფის სისხლი აქვთ, რაც ხელს არ უშლის მათ ეკუთვნოდნენ ერთ რასას“ [სუკ-ის არქივი, მ. ჯავახიშვილის საგამომცემო საქმე №9997]. სანამ ამ დასკვნამდე მივიდოდა, ქართველების სისხლის ჯგუფობრიობაში უნდა გარკვეულიყო. სწორედ ამ მიზნით მოიპოვა მონაცემები ბაქტერიოლოგიის ინსტიტუტიდან. მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ 1935 წელს თემა ჯერ დასრულებულიც არ იყო. ე. ი. მას ვიღაც ძალზე ახლობელმა და დაინტერესებულმა პიროვნებამ, კანონდარღვევით მიანოდა ზემოაღნიშნული მონაცემები. ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ინსტიტუტის დირექტორი. სხვათაშორის, მ. ჯავახიშვილის საქმეში დევს ა. მ-ძის ჩვენებაც, სადაც ის ჩამოთვლის „ქართული ინტელიგენციის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ“ 8 კაციანი ჯგუფის წევრებს. მათ შორის არიან მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი და ბაქტერიოლოგი გიორგი ელიავა. ჩვენების გარეშეც ნათელია, რომ ეს ორი ადამიანი ერთმანეთს იცნობდა. ჩვენებაში არაფერია ნათქვამი ინსტიტუტიდან ცნობების გადინების შესახებ, მაგრამ როგორც ფაქტები მეტყველებენ, გ. ელიავა იმდენად ენდობოდა მწერალს, რომ დაუსრულებელი თემის მონაცემებს ატანდა. სამწუხაროდ, გ. ელიავაც 1937 წლის 10 ივლისს დახვრიტეს, მაგრამ არა ზემოთ აღწერილის ფაქტის გამო, არამედ გამოგონილი ბრალდებით: მას დაბრალდა ქვეყნის ღალატი, საფრანგეთის სასარგებლოდ ჯაშუშური ქსელის შექმნა და მოსახლეობაში ეპიდემიის გავრცელების მცდელობა. (ელენე სემენსკაიას, ვინც საქართველოს ხალხების სისხლის ჯგუფების თემაზე მუშობდა, რეპრესიები არ შეხებია. 1948 წლიდან მან კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრში გააგრძელა მოღვაწეობა).

ი. ლისაშვილის განცხადებების შედეგად, მ. ჯავახიშვილი არ დასჯილა. პირიქით, ის ორდენით დააჯილდოვეს. უპარტიო მ. ჯავახიშვილი იყო წევრი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა,

რომელსაც ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა: „მე ცკ-ის წევრი და ორდენოსანი გახლავართ. ეს უმაღლესი ჯილდო სტალინმა და ბერიამ მიბოძეს! – თქვა დიდმა მწერალმა. 1936 წლის 23 მარტს შედგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა აქტივთან ერთად. მომავლეს ამონაწერი ოქმიდან: „გაუმარჯოს საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ფოლადისებურ ხელმძღვანელს ამხ. ლავრენტი ბერიას! გაუმარჯოს ჩვენ საბჭოთა ლიტერატურას და მის ორდენოსნებს ... მიხეილ ჯავახიშვილს“ [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 530]. შემდეგ უკვე სულ სხვა მოვლენები განვითარდა, რასაც ი. ლისაშვილთან კავშირი არ ჰქონია.

ჩვენ გავეცანით რამდენიმე მწერლის არცთუ საამაყო გამოსვლას 1937 წელს ჩატარებულ კრებებზე. სხდომების სტენოგრამების გაცნობის შემდეგ, მკითხველს შეუძლია დარწმუნდეს, რომ მ. ჯავახიშვილის დაკითხვაში ი. ლისაშვილს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. სხდომაზე მ. ჯავახიშვილმა დაასახელა ის კონკრეტული პირები, რომელთა ცილისწამებას მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების და უნდობლობის გაჩენა შეეძლო. მეტად ყურადსაღები ფაქტია, რომ მას ი. ლისაშვილი არ უხსენებია და მის მიმართ უნდობლობა არ გამოუთქვამს. სიტყვით გამოსული მწერლები სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, უარყოფდნენ არა მხოლოდ თავიანთი მეგობრების, არამედ საკუთარ პოზიციებსაც კი, მაგალითად: „დიდად არ ვუფიქრდებოდი, თუ ვინ და რა შემქონდა ჩემს პოეტურ ნაწარმოებებში“. და ასეთ ვითარებაში, ი. ლისაშვილი არ ინანიებს მ. ჯავახიშვილის დასაცავად ადრე გადადგმულ ნაბიჯს და კვლავ ძველ პოზიციაზე დგას: „როდესაც ბუაჩიძემ და მისმა მომხრეებმა მოითხოვეს მის. ჯავახიშვილის მწერალთა კავშირიდან გარიცხვა, ხუთმა პარტიულმა მწერალმა შევიტანეთ განცხადება პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მოვახსენეთ მას, რომ ყოვლად დაუშვებელია ასეთი ადმინისტრაციულობა. ასეთი საქციელისათვის ჩვენ დაგვსაჯა მამულიამ, რომელმაც კომკავშირის ყრილობაზე ეს ხუთი მწერალი კონტრრევოლუციონერებად მოგვანათლა. როცა ბუაჩიძემ მ. ჯავახიშვილის „მარაბდელები“ დაიწყო წერა, მე ვუთხარი მას, პირველ ყოვლისა შენ შენი წინანდელი შეცდომები გააკრიტიკე-თქო“ [გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 15 მაისი] (სურ.№97 და სურ.№98). **ქ. ჯავახიშვილის და ე. გენძეხაძის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში ეს გამოსვლა შეტანილი არ არის.** იმავე გამოსვლის ტექსტი არქივშიც ინახება [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 593] (სურ. №99). ჩემს ოპონენტებს ვეკითხები: განა, ბევრია არქივში ასეთი დოკუმენტები, სადაც ერთი მწერალი მეორეს იცავს? ი. ლისაშვილის ეს გაბედული გამოსვლა, რატომღაც, ვერც გაზეთში ნახეს და ვერც არქივში.

ზემოხსენებულ კრებაზე ისიც გამოჩნდა, თუ რამდენად სანდო იყო ვ. გორგაძე, რომელიც ი. ლისაშვილისა და მ. ჯავახიშვილის საუბარს ესწრებოდა. ვ. გორგაძე ამბობს, „ბუაჩიძემ, იმ ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებდა მწერლების საკმაოდ მოზრდილი ნაწილის წინააღმდეგ, ერთხელ მეც გამომიყენა. დამანერია წერილი, სადაც მე მოვითხოვდი ამხ. გამსახურდიას, აბაშელის და სხვების გარიცხვას საბჭოთა მწერლების კოლექტივიდან. მე ეს მიმართა დიდ შეცდომად“ [„საქართველოს საბჭოთა მწერლების საერთო კრება“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 15 მაისი]. იგივე ტექსტია მოყვანილი საარქივო დოკუმენტში [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 8, ან. 1, ს. 594] (სურ.№100). ვ. გორგაძე არავისზე უარესი არ ყოფილა. ასე იქცეოდა უმეტეობა. დასკვნა ნათელია: სამწუხაროდ, ი. ლისაშვილის გადარჩენის ერთადერთი საშუალება მოწმის თანდასწრებით აკრძალულ საკითხებზე საუბრის შესახებ განცხადება იყო. და არა მარტო ვ. გორგაძის გამო. მთელი ეს წინამდებარე ნაშრომი იმას გვიჩვენებს, თუ როგორი არასანდო იყო თავად დიდი მწერალი.

რ. შიშნიაშვილმა საქმე მარტივად გადაწყვიტა. რთული მოვლენების გაანალიზების ნაცვლად, მ. ჯავახიშვილის დალუპვა ი. ლისაშვილის მიერ 1935 წელს დაწერილ განცხადებას დააბრალა. რა ამოძრავებდა მას? რ. შიშნიაშვილს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ი. ლისაშვილი არ ეკუთვნის იმ მწერალთა რიცხვს, ვისაც დღეს საზოგადოება გამოექომაგება. გარდა ამისა, მან არ იცოდა, რომ „ლისაშვილი“ ფსევდონიმი იყო და გვარი ეგონა. რადგან ი. ლისაშვილის შთამომავლები ჩვენს გვარს (ხომერიკს) ვატარებთ და არა ლისაშვილს, ის უჭირისუფლო მიცვალებულად მიიჩნის და

როგორც „უპატრონო მკვდარს“ მთელი დანაშაული აჰკიდეს. ის ხომ ველარ იმართლებდა თავს, მაგრამ მის ნაცვლად მე ვიტვირთე იმის დამტკიცება, რომ: 1. ი. ლისაშვილს საკმაო მიზეზი ჰქონდა მ. ჯავახიშვილის მიმართ უნდობლობისათვის; 2. მ. ჯავახიშვილის დახვეწილი ი. ლისაშვილთან 1935 წელს მომხდარი ინციდენტის შედეგი არ ყოფილა.

ქ. ჯავახიშვილის საგაზეთო წერილს „მიხეილ ჯავახიშვილი და სისხლის რასობრივი თეორია“ რ. შიშნიაშვილმა დაურთო წინასიტყვაობა: „საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ 1937 წელს გამოჩენილ ქართველ მწერალს მიხეილ ჯავახიშვილს სხვა ბრალდებებთან ერთად სისხლის რასობრივი თეორიის მიმდევრობაც დააბრალეს“. ახლა კი, საბრალდებო დასკვნაში ჩავიხედოთ (რომელიც ზემოთ გამოვაქვეყნე) და ვნახოთ, თუ რა დააბრალეს დიდ მწერალს. სად არის აქ ნახსენები „სისხლის ფაშისტური თეორია“? დარწმუნებული ვარ, ქეთევან ჯავახიშვილი რომ ცოცხალი ყოფილიყო, თავისი ტენდენციურობის მიუხედავად, მაინც თავს შეიკავებდა ამგვარი ინტერპრეტაციისაგან. ამას შემდეგი გარემოება მაფიქრებინებს: მის მოგონებებში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, აშკარად ჩანს, რომ ავტორი, მართალია, ი. ლისაშვილს არ სწყალობს, მაგრამ მამის დალუპვაში სხვა მწერლებს ადანაშაულებს: ჩამოთვლის რა იმ პირებს, რომლებსაც მისი აზრით, ეწყინათ მ. ჯავახიშვილის რეაბილიტაცია, მათ შორის ი. ლისაშვილს არ ახსენებს.

რ. შიშნიაშვილი განაგრძობს: „თუ სხვა ბრალდებები ნაჩქარევად შეთხზულს წარმოადგენდა „სისხლის თეორიას“ ჰქონდა ერთგვარი, მაგრამ ოდიოზური საფუძველი“. რ. შიშნიაშვილის ამ ოდიოზური განცხადების საფუძველზე, საზოგადოების დიდ ნაწილს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს, დიდი მწერალი იმ ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს, რომელიც სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, მას წაყენებული არ ჰქონია. სხვა ბრალდებები მართალია, შეთხზული კი იყო, მაგრამ „ნაჩქარევად შეთხზული“ არ ყოფილა. შინსახკომი თვეების მანძილზე ატარებდა პატიმრების დაკითხვებს, ქმნიდა ტომებს. ეს ყოველივე კარგად არის ცნობილი რ. შიშნიაშვილისათვის, რომელიც ქ. ჯავახიშვილის მოგონებების „ბოლოსიტყვაობაში“ აქვეყნებს რა მ. ჯავახიშვილის საბრალდებო დასკვნას, წერს: „შემდეგ მოდის 19 კაცი (მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილისაც) აღიარებიდან ამოგლეჯილი წინადადებები, რომელნიც ცხადყოფენ ბრალდებულის ძირგამომთხრელ საქმიანობას...“ სიზუსტისათვის შევნიშნავთ, რომ ბრალდებაში სულ 12 პატიმარია ციტირებული, მაგრამ ვინაიდან ზოგიერთის გვარი რამდენჯერმე მეორდება, ბატონ რამაზ შიშნიაშვილს 19 კაცი დაუთვლია. მ. ჯავახიშვილის საქმეში კი 16 პატიმრის ჩვენებაა.

რაც შეეხება სისხლის რასობრივი თეორიის მიმდევრობას – ეს ბრალდება ნახსენები იყო მხოლოდ მწერალთა კავშირის 1937 წლის 17 აგვისტოს სხდომაზე, სხვა ბრალდებებთან ერთად. თუ რ. შიშნიაშვილს ეს სხდომა აქვს მხედველობაში, მაშინ გაუგებარია, რატომ მიაჩნია ნაჩქარევად შეთხზულად სხვა ბრალდებები, მაგ. ის, რომ მ. ჯავახიშვილი „იყო პარიტეტული კომიტეტის წევრი“, ან განა შეიძლება, ნაჩქარევად შეთხზული უწოდო მწერლის პოლიტიკურ შეხედულებებს, რომლებიც მის ნაწარმოებებში იდო და არსებული რეჟიმის განაჩენს წარმოადგენდა? საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ 1923 წელს, მ. ჯავახიშვილი დაპატიმრებული იყო „კონტრევოლუციური საქმიანობისათვის“. ამ ბრალდებას ოდიოზური კი არა, სრულიად რეალური საფუძველი გააჩნდა. 1937 წელს მარტო ამ ფაქტის გახსენებაც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ ადამიანი დაეხვეწიდა, თუნდაც მას ადრე გარკვეული დახმარებაც ჰქონოდა განუხლები ხელისუფლებისათვის.

ქ. ჯავახიშვილი არსად არ წერს, რომ მ. ჯავახიშვილის დალუპვა გამოწვეული იყო 1935 წელს ი. ლისაშვილთან მომხდარი ინციდენტით. ეს ფაქტი მხოლოდ ის მიზნით გააშუქა, რომ ნათლად ეჩვენებინა იმ წლებში გამეფებული ურთიერთუნდობლობა. მან იცოდა, რომ სიმძიმის ტვირთის ი. ლისაშვილზე გადატანა დიდი უსამართლობა იქნებოდა, ამიტომ მისი სახელი არ ახსენა. რ. შიშნიაშვილმა კი, წერილს თავისი არაკომპეტენტური კომენტარები დაურთო. გარდა ამისა, გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის მოადგილემ, ჯუმბერ თითმერიამ, იმ მიზნით, რომ პუბლიკაცია უფრო სკანდალური ყოფილიყო და გაზეთის ტირაჟის გაზრდისთვის შეეწყო ხელი, ი. ლისაშვილის დასახელება დაჟინებით მოითხოვა. რ. შიშნიაშვილიც დათანხმდა. ჩემი ვერსი-

ის სისწორეში მკითხველს შეუძლია ადვილად დარწმუნდეს. საგაზეთო პუბლიკაციაში გაიპარა ქ. ჯავახიშვილის ფრაზა: „მწერლის სახელს და გვარს არ ვასახელებთ“. ამ განცხადების შემდეგ, რედაქციის ძალისხმევით, იმავე პუბლიკაციაში არაერთხელ არის ნახსენები ი. ლისაშვილი. ქ. ჯავახიშვილის დედანი 1990 წელს მე თავად რ. შიშნიაშვილმა მაჩვენა. როგორც ჩანს, მას იგივე ცნობები მიუწოდებია გ. ციციშვილისთვის, რომელიც საერთოდ ყველაფერზე მედავება, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემი და მისი მონაცემი ერთმანეთს ემთხვევა. გ. ციციშვილი წერს: „როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რ. შიშნიაშვილის მიერ 1988 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოსაქვეყნებლად გადაცემული მ. ჯავახიშვილის წერილი სისხლის რასობრივი თეორიის და ინციდენტის შესახებ ქალბატონ ქეთევანს მომზადებული ჰქონია იმ სახით, რომლის დროსაც ვ. გორგაძის თანხმლები მეორე მწერალი იაკინთე ლისაშვილი, აღნიშნული ყოფილა არა სახელითა და გვარით, არამედ ასოთი – X. მაგრამ ეს წინდახედულება, როგორც რ. შიშნიაშვილმა გვითხრა, მისი ინიციატივის გარეშე, რედაქციაში იმ მოტივით დაურღვევიათ, რომ უფიქრიათ, X-ის ქვეშ ვაი თუ მკითხველმა ერთი თანამედროვე ცნობილი, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან მდგარი მწერალი იგულისხმოსო. ამ შემთხვევაში როგორც ჩანს, რ. შიშნიაშვილსაც სათანადო წინდახედულობა ვერ გამოუჩენია. ბოლოს კი ის გამოვიდა, რაც უთუოდ ინციდენტის მონაწილე არც ერთ მწერალს არ მოეწონებოდა. სწორედ ამაზე იტყვიან: „შარო საიდან, საიდან მოდიხარ?!“ ამ ნათქვამს ნაწილობრივ მაინც ადასტურებს ის, რომ როდესაც 2000 წელს რ. შიშნიაშვილმა დედის ანდერძი აღასრულა და მისი „მოგონებები მამაზე“ გამოსცა, ქალბატონ ქეთევან ჯავახიშვილის 1988 წლის ვარიანტი აღადგინა“. გ. ციციშვილს სურს სიმართლის მაძიებლის როლში მოგვევლინოს, მაგრამ ისმის კითხვა: რა კავშირშია ეს ყოველივე მისი წიგნის თემატიკასთან? წიგნის სათაურია: „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“. ავტორი 1921-1923 წლების ქრონოლოგიური ჩარჩოებით იზღუდება, მაგრამ გამონაკლისს მხოლოდ მ. ჯავახიშვილსა და ი. ლისაშვილს შორის 1935 წელს მომხდარი ინციდენტისთვის უშვებს. სამწუხაროდ, ი. ლისაშვილი მის აკვიატებად, ანუ ობსესიად (ლათ. **Obsessio**) იქცა!

1989 წლის 17 მარტს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარმა რედაქტორმა, ელიზბარ ჯაველიძემ, ქ. ჯავახიშვილის პუბლიკაციის ირგვლივ შექმნილი ვითარების გამო, განცხადებით მიმართა საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივის დირექტორს: „გთხოვთ მოგვცეთ მწერალ მიხეილ ჯავახიშვილზე მწერალ ი. ლისაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებების, გამოსვლების ტექსტთა ასლები“. მოთხოვნის შესრულება არქივის დირექტორის რეზოლუციით ნინო ქიქოძეს დაევალა. ე. ჯაველიძის ანალოგიური თხოვნით მეც მივმართე არქივს. აი, არქივის დირექტორის, ბატონი ვახტანგ გურგენიძის პასუხი: „თქვენი დეპეშის თანახმად გიგზავნით თქვენი და ე. ჯაველიძის განცხადებების ასლებს. ამასთანავე გაცნობებთ, რომ არქივმა რედაქციაში პასუხი გაგზავნა 1989 წლის 12 მაისს, რომლის ასლებიც თქვენ ხელზე გადმოგეცათ არქივში“. სრული სიმართლეა. ნ. ქიქოძემ მე მართლაც გადმომცა რედაქციაში გაგზავნილი სამი დოკუმენტის ასლი. ერთი იყო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 1937 წლის 17 აგვისტოს სხდომის ოქმი, რომელშიც მ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ გამოსულ მწერლებს შორის ი. ლისაშვილიც არის ნახსენები. არც მისი და არც სხვების გამოსვლების ტექსტები არ არსებობს (გარდა დემეტრადის მოხსენებისა). რაც შეეხება დანარჩენ ორ დოკუმენტს, მათში ასახულია ი. ლისაშვილის მიერ მ. ჯავახიშვილის დაცვა: „მე ვამბობ არ შეიძლება ასეთი ადმინისტრაციული მიდგომა მწერლისადმი, რეაქციონერად გამოცხადება, კონტრრევოლუციონერად, მაგრამ ალბათ თქვენ ნაიკითხავდით მამულიას მოხსენებას, რომელმაც იმისათვის რომ ჯავახიშვილს ვიცავდით გამოგვაცხადა რეაქციონერად“ [უახლესი ისტ. არქივი, საქ. საბ. მწერლების I ყრილობის მე-5 სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, 29 დეკემბერი, 1932 წ., ფონდი 8, აღწ. 1, საქმე 275, ფ. ფ. 38-42].

აი, მესამე და ბოლო დოკუმენტიც: „როდესაც ბუაჩიძე და მისი მომხრეები მოითხოვდნენ ჯავახიშვილის გაგდებას მწერალთა კავშირიდან, მაშინ ზოგიერთი პარტიული მწერლები ჩაუფიქრდით ამ საქმეს და ვთქვით, რომ ეს არ ივარგებს. ხუთმა პარტიულმა მწერალმა, მათ შორის მე და ამხ.

სამსონიძემ დავწერეთ განცხადება ცენტრალური კომიტეტის სახელზე, სადაც იყო ნათქვამი, რომ დაუშვებელია ასეთი ადმინისტრაციულობა, როცა უნდათ მწერლის განდევნა. პირიქით, როცა ვამჩნევთ, რომ მწერალს ჩვენსკენ წამოსვლა უნდა, მას ხელი არ უნდა ვკრათ. ეს დოკუმენტი არსებობს ცენტრალურ კომიტეტში. ამ დოკუმენტის გამო მაშინ ს. მამულია გამოვიდა კომკავშირის ყრილობაზე, სადაც ჩვენ კონტრრევოლუციონერებად დაგვასახელა იმის გამო, რომ ზოგიერთ ასეთ მწერალს ვიცავდით“ [უახლესი ისტ. არქივი, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში. 1937 წლის 7 მაისი, ფონდი 8, აღ. I, საქ. 539, ფ. ფ 70-76]. სამივე დოკუმენტის ასლს ამონბეჭდებს დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების გამგე ნ. ქიქოძე (სურ. №101 და სურ. №102), რომელმაც შემდეგ თავის საგაზეთო წერილში „იქნებ თავის შეკავება სჯობდა?“ მატყუარად გამომიყვანა: მ. ხომერიკი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ი. ლისაშვილი ყოველთვის იცავდა მიხეილ ჯავახიშვილსო! ძალიან გამიძნელდა იმის დაჯერება, რომ პუბლიკაციის ავტორი ნინო ქიქოძე და არქივის თანამშრომელი ქიქოძე, რომელსაც არქივში ნანას ეძახდნენ და რომელიც სულ მამხნევებდა, ერთი და იგივე პიროვნებაა. დოკუმენტების ასლების გადმოცემისას, მან, გამოცდილმა სპეციალისტმა, ერთი სიტყვითაც არ მიმანიშნა, თუ კიდევ სად შეიძლებოდა მასალის მოძიება. მაშინ მე ხომ ამ საქმეში ნაკლებად გათვითცნობიერებული ვიყავი და ნ. ქიქოძის გამოცდილებას ვენდობოდი. ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ, ან იქნებ იქამდეც, ნ. ქიქოძემ გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში მოიძია (ან საგანგებოდ მიანოდეს) ი. ლისაშვილის 1935 წლით დათარიღებული ორი განცხადება და სასწრაფოდ გამოაქვეყნა. ამასთან, ჩემი ყოველი სიტყვის აზრი დაამახინჯა და საზოგადოებას აუწყა – მანანა ხომერიკი იაკინთე ლისაშვილის შვილიშვილიაო...ნ. ქიქოძე, თურმე, ჩემი ცალმხრივობით აღშფოთებულია: ყოველივე ამან გადამანყვეტინა პოლემიკაში ჩავრეულიყავი და საზოგადოებისათვის მეთქვა ჭეშმარიტებაო. რატომ მაშინ არ სთქვა ჭეშმარიტება, როდესაც ამ საქმეში „ჩარევა“ თავისი დირექტორის განკარგულებით სამსახურებრივად დაევალა? როგორც ჩანს, ნ. ქიქოძეს ძველი ოქმებიდან გადაედო 1937 წლის ვირუსი. ეს კი საშიში დაავადებაა.

მეეჭვება, რომ 30-იან წლებში ნ. ქიქოძეს ისევე დაეცვა დიდი მწერალი, როგორც მან ეს 1989 წელს გააკეთა და თავი გმირადაც წარმოიდგინა. ჩემ მომართ კი ასეთ აშკარა ცილისწამებას არ მოერიდა: „მ. ხომერიკი ცალმხრივად ხსნის მოვლენებს, არასწორად განმარტავს მიხ. ჯავახიშვილის მოღვაწეობას პარატიტულ კომიტეტში“... და ეს მაშინ, როდესაც მე საერთოდ არ განმიმარტავს და არც შემედლო განმემარტა მ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა პარიტეტულ კომიტეტში, რადგან 1989 წელს ნანახი არ მქონდა სუკ-ის არქივის მასალები, რომლებსაც ჩემი წერილის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ გავეცანი. წერილში კი, მე მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე დასახელებულ კომიტეტში მწერლის მოღვაწეობისა: „მიხ. ჯავახიშვილს გაუხსენეს, რომ იგი იყო წევრი პარიტეტული კომიტეტისა, რომელიც 1924 წლის აჯანყებას ხელმძღვანელობდა. ცნობილია, რომ კომიტეტის წევრები დახვრიტეს, მიხ. ჯავახიშვილი კი, როგორც გერონტი ქიქოძე წერს „გამამართლეს“, რის შემდეგ იგი სრულიად სხვა კომიტეტის წევრად გვევლინება, სახელდობრ, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, რომელსაც ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა“. ციტატა სრულად მომყავს. ამ საკითხს წერილში აღარ შევხებივარ. ნ. ქიქოძის ბრალდების აბსურდულობა ნათელია: როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ სწორ ან არასწორ განმარტებაზე იქ, სადაც განმარტება საერთოდ არ არსებობს? გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია, რ. შიშნიაშვილის მიერ მომზადებული ქ. ჯავახიშვილის წერილის გამოქვეყნების შემდეგ, გაეცნო შესაბამის მასალებს და დარწმუნდა რ. შიშნიაშვილის ტენდენციურობაში. გთავაზობთ რედაქციის მიერ გამოქვეყნებულ შენიშვნას:

„ჩვენი გასწორება

1989 წლის 25 ნოემბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა პუბლიკაცია, „მიხეილ ჯავახიშვილი და სისხლის რასობრივი თეორია“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „1937 წელს გამოჩენილ ქართველ მწერალს მიხეილ ჯავახიშვილს სხვა ბრალდებებთან ერთად სისხლის რასობრივი თეორიის მიმდევრობაც დააბრალეს.


ამჟამად, რედაქციას შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა სუკ-ის არქივში დაცულ საბრალდებო დასკვნას. ამ ოფიციალურ დოკუმენტში, მიხეილ ჯავახიშვილის მიმართ შეთითხნილ ბრალდებათა შორის „სისხლის რასობრივი თეორიის მიმდევრობა“ ნახსენები არ არის“ [გაზ. ლიტერატურული საქართველო“, 1991 წ., 15 მარტი] (სურ. №103).

დაბოლოს, ყველაზე მთავარი: მას შემდეგ, რაც 1937 წლის მაისში ჩატარებულ საერთო კრებაზე ი. ლისაშვილმა მ. ჯავახიშვილის დაცვის ფაქტი გაიხსენა, ის დასაპატიმრებელთა სიაში შეიყვანეს:

„67. ლისაშვილი იაკინთე – მწერალი, ფაშისტური ორგანიზაციის მონაწილე, მხილებულია 33-ის პირდაპირი და 25-ის არაპირდაპირი ჩვენებით“ [გოგი ციციშვილი „საიდუმლო დოკუმენტები“, გაზ. „ერი“, 1991 წ., 27 თებერვალი და 6 მარტი] (სურ. №104). როგორც პუბლიკაციის ავტორი ნერს, 1938 წელს დაპატიმრებები მიხელდა და ამ სიიდან ბევრი გადარჩა.

ახლა კი მინდა რ. კვერენჩილაძის და მის მსგავსთა ყურადღება რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე შევაჩერო. პირველად ტერმინი „ზანგი“ ქართულ ენაში „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება: „თინათინის მონა ზანგი“. ტერმინები „ზანგი“ და „შავკანიანი“ დღეს დამამცირებლად ითვლება. ამერიკის მაცხოვრებლებს, რომლებიც ნეგროიდული რასის აფრიკელების სრული ან ნაწილობრივი მემკვიდრეები არიან, შავკანიანებს უწოდებდნენ. 1980-იანი წლებიდან შემოდის ტერმინი აფროამერიკელი. ეს ტერმინი პილიტკორექტულობის შედეგია. „ზანგის“, როგორც საერთო ეთნიკური სახელწოდების აღმნიშვნელი ტერმინის ხმარება არასწორია. თავად აფრიკაში ათასობით ეთნიკური ჯგუფები და ტომები არსებობს. მათ თავ-თავიანთი სახელწოდებები აქვთ. ცნობილია 3 ათასამდე აფრიკული ტომის სახელწოდება.

თეორიებს, რომლებიც ადამიანებსა და მთელ ერებს სისხლის ჯგუფობრიობის მიხედვით ჰყოფდნენ, აღიარებდნენ მაღალ და დაბალ რასებს, რის გასამართლებლად შემოჰქონდათ თავის ინდექსის, ტვინის წონის, სისხლის სპეციფიკის მახასიათებლები და სხვა ნიშან-თვისებები – მხოლოდ კომუნისტები კი არ გამოხსნენ, მათი მიმდევრობა დღესაც სამარცხვინოდ ითვლება მთელ ცივილიზებულ სამყაროში. ეს არ იცინა ზოგიერთმა მკვლევარებმა, მაგალითად, რ. კვერენჩილაძემ, რომელიც წლების განმავლობაში, ი. ლისაშვილის ჩაქოლვის და მ. ჯავახიშვილის განდიდების მიზნით, კვლავ და კვლავ უბრუნდება მათ შორის მომხდარ ინციდენტს. მას შემოაქვს ტერმინი „დანმენდილი სისხლი“ და თავის წიგნებში ამკვიდრებს [რ. კვერენჩილაძე, „ნამების გზა“, თბ., 1999, გვ. 160]. თუ არსებობს „დანმენდილი სისხლი“, მაშინ, ე. წ. ბინარული ოპოზიციების (მაგ., ნათელი-ბნელი, სიცოცხლე-სიკვდილი) პრინციპიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს მისი საპირისპირო „ამღვრეული სისხლიც“. საინტერესოა, სისხლის ამგვარი კლასიფიკაციის მიხედვით, რომელ კატეგორიას მიაკუთვნებს რ. კვერენჩილაძე საკუთარ სისხლს – დანმენდილს, თუ ამღვრეულს? ვურჩევ გაცნოს ადამიანის უფლებების 1948 წლის საყოველთაო დეკლარაციას, 1963 წლის დეკლარაციას რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1978 წლის დეკლარაციას რასისა და რასობრივი გადმონაშთების შესახებ და სხვა შასაბამის დოკუმენტებს. ამ დეკლარაციების გაცნობას ასევე ვურჩევ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2008 წელს გადაღებული დოკუმენტური ციკლის „1937“-ის ავტორს მიხეილ ბასილაძეს და მის სამეცნიერო კონსულტანტს, ისტორიკოს ვახტანგ გურულს, რომლებმაც ზემოაღნიშნული საკითხი X სერიაში წამოიწიეს, ხოლო XI სერიაში მ. ჯავახიშვილის საქმის №9997 არცოდნა გამოავლინეს. მათ უნდა გასცენ პასუხი მ. ჯავახიშვილის იმ კითხვებს, რომლებზეც ი. ლისაშვილმა ვერ უპასუხა. კერძოდ, რატომ ვერ შექმნეს კულტურა ზანგებმა, ამერიკელმა ინდიელებმა და ამის მიზეზი როგორ უნდა ამოვიცნოთ სისხლის ანალიზში? ან, რა საერთო აქვს ამ ყოველივეს მარილების დაგროვებასთან, რაც რატომღაც სისხლში აღმოჩნდა და არა შარდში? 2008 წელს, ჩემს ნაშრომში ვწერდი: „აღნიშნული კითხვების თაობაზე კომპეტენტური დასკვნის მიღება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან შეიძლებოდა, მაგრამ რამდენად ნაადგება ეს დასკვნა ჩვენს ქვეყანას“ [მ. ხომერიკი, „მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე“, თბ., 2008, გვ. 70]. მ. ჯავახიშვილის ნააზრევის ტირაჟირებით მისი „დამცველები“ დათვურ სამსახურს უწევენ მას.



№85. დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი.



№86. მიხეილ ჯავახიშვილი ცოლ-შვილთან ერთად.



№87. იაკინთე ლისაშვილი (სომერიკი) მეულსთან ნინო კიკნაძე-სომერიკთან ერთად.

1965 წელი

სოსოა ვადაშვილი ვაჟ-გაყვანილ სკოლაში "მედიკოს"
 ვიზიტზე უკრძალავს და გმკვებლობს - ამ კლასს ხაზად
 უსვამს და სკოლის დირექტორს იმის შესახებ აცხადებს: მ
 ახი გვიღოს და დაეხმოს.

№88. იაკინთე ლისაშვილის დღიურიდან.



№89. ჩოხოსანთა საძმოს წევრი იაკინთე ლისაშვილი. 1960-იანი წლები.

იძულებული იყო მარტობას შეგუებოდა, თავის კოშკში ჩაკეტილს განდევილივით ეცხოვრა და მოვლენათა ცვალებადობას დალოდებოდა.

მაგრამ ზოგჯერ ნაღველს უკუიყრიდა და თავად ჩაერთვოდა ცხოვრების ფერხულში.

იაკინთე ლისაშვილის ვაჟს, ოთარს, ცოლი მოჰყავდა.

იაკინთე ეხმარებოდა კონსტანტინეს, როცა გამომცემლობის დირექტორი იყო, სათარგმნ მასალას აძლევდა და მწერალიც კეთილად იყო მისდამი განწყობილი.

გაიშალა დიდი სუფრა, მაგრამ კონსტანტინე არ დაჰპატიჟეს.

მაშინ კონსტანტინე და მირანდა თავად მივიდნენ ენგელსის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდა იაკინთე, მიიტანეს დიდი ტორტი.

შედუნიანებული ხალხი აღტაცებით შეხვდა მათ გამოჩენას.

მირანდამ იცეკვა, კონსტანტინემ იმღერა, თქვა სიყვარულისა და ძმობის სადღეგრძელოები.

არავის ემღუროდა, არც ჭმუნვას იმჩნევდა.

... რას ფიქრობდა იგი, დევნილი და შერისხული, როცა ადიოდა

7

1-2 გ.შ.

მისი და ახსანი მწერლები მანამდე მწერლებმა ფრიად საგულგახად
 მოხსენებმა გააკეთებინა გუბინა, მაგდარი სიოვლა ამ დამ-
 ბამში ჯერ არა გესმენია, მაშინ სხვები მივიწყებ, კერძოდ
 ახსანივებიდან, მათი სიოვლებიდან პირადად მე ვინახე, კიდევ
 გამოვიტანე ის დასკვნა, რომელიც რამდენიმე ადამიანს მოეცა, მაშინ
 სწავლავდით ჩვენთვის რომ სხვებზე და თხილვებზე აქვე ხელში-
 საწვდომი არის, რამდენიმე ხანის საგული გზა არის თხილვებზე
 და ქართული მწერალი მთელი გაკვეთილი შეთხუბავს, რამდენიმე
 დღე დარჩება და წამოვა, მაგასაც აქვე ხელისუფალი მიიჭრე-
 ლაშა, მაგრამ ჩვენს დაახლოებას ვერაფერი ხელს ვერ შეუ-
 ცობს, ჩვენ უნდა აღინიშნოს მკაცრად უნდა გზა ვისა შევძერძა
 შავივებს, იგივე ხნის უნდა დასახლოვდეს იქ, ახ იგივე მოხმდება
 და დრო ვერა, უნდა უნდა შეინახავს, ასე ვთქვამთ ვიდეონარის
 ხერხებით ხელი უნდა შევჭკოს ამ ერომანდების გაყვობას და და-
 ხლოვებას, გუბინა სსრკ-ის მაგალითი გთხოვს, არსებობს მწერალი,
 რომელსაც რედაქციური არ უნდა აქვს, ჩვენ უნდა, იმას ვერა
 გნის ვერ დაუქმდეს მწერალი, არა გნის, ახ ის არ მოხერხა
 დღეს არეს, ის მწერალი ვერ გაიქცევა, მაშასადამე, იმავე
 უნდა აიღონ ეს გუბინა, ისინი უნდა რამდენიმე ქალაქში, ჩვენს
 გაკეთებინა, მაშასადამე უნდა იყოს კვლევა მკვლევარს ერომანდის
 დახლოვება, ამ შემთხვევაში ჩვენ შევსებ დავთ იმ იგივე მკვლევარს

№91. [უახლესი. ისტორიის არქივი, ფ.8, ან. 1, ს. 384, გვ. 7].

პროლეტარული ლიტერატურა გაიზარდა, გაფართოვდა, განმტკიცდა და გადაიქცა კლასურ მემკვიდრეობად. რომელიც ლიტერატურის რეაქციონურ ნაწილს უპირისპირდება. მომწიფდნენ პროლეტარულ მწერლათა ნორჩი კადრები. მწერალთა რეაქციონური ფრონტის მიმართ შეტევამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია ამ ფრონტის წარმომადგენელთა მხრივ. რეაქციონური მწერლები შეცვლდნენ გავლენა მოეხდინათ პროლეტარულ მწერალთა ნაკლებ მტკიცე და ნაკლებ განობრძნედილ ელემენტებზე უფრო მძინე მდგომარეობის დროს, როდესაც პროლეტარული მწერლები გადაჭრით ებრძოდნენ რეაქციონურ ფრონტს, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რიგებში გაჩნდა მემარჯვენე ჯგუფი (ვაკელი, ბუხნიკაშვილი, სამხონიძე, ზომლოეთელი, დი საშვილი), რომელიც ამ ასოციაციის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოვიდა. ეს ჯგუფი აშკარად იცავდა რეაქციონურ-ბურჟუაზულ მწერლებს. მათ შეიტანეს განცხადება ცენტრალურ კომიტეტში, სადაც ხწერდნენ, რომ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის ხაზი უშარბინია, რომ „ცისფერი ყანწილები“ და ჯავახიშვილი და სხვ. არ არიან თანამგზავრები (მათი აზრით კი ესენი თანამგზავრები იყვნენ) „და ამამი უთუოდ ბრალი მიუძღვის სუსტ ხელმძღვანელობას და ხაზის უშარბინობას, რასაც დღემდე აღგილი ჰქონდა მწერალთა ფედერაციის მიმართ პროლეტარულ მწერალთა მხრით.

(გაბრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

№92. [ს. მამულია, „გავაძლიეროთ ჩვენი კლასიური სიფხიზლე, ვამხილოთ კლასიური მტრები“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1 იანვარი, 1931 წელი.].

ახლა კულტურაზე, ზანგებზე და ამერიკელ ინდიელებზე გადავიდეთ. მე ვუთხარი ი. ლისაშვილს: შესაძლებელია კულტურის განვითარების საკითხში მრავალი სხვა მიზეზის გარდა ანტროპოლოგიურ თვისებებსაც ჰქონდეს მეთქი მნიშვნელობა და ვკითხე მას: როგორ ახსნის ის ამ ფაქტს, რომ ზანგის ზოგი ტომი ფრიად განათლებულ ეგვიპტის გვერდით ათასი წლობით ცხოვრობდა და მათი კულტურა ვერ შეითვისა-მეთქი. მე მინდოდა მისი ცნობის მოყვარეობა გამეღვიძებინა და მეორე კითხვა მივეცი: ამერიკელმა ინდიელებმა ევროპული კულტურა არა თუ ვერ შეითვისეს, კიდევაც გადაშენდნენ და ეს რა მიზეზით ახსნათ მეთქი. კითხვა კითხვად დარჩა. არც მოუცია პასუხი და არც მე გამიგრძელება საუბარი.

№93. [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილი და სისხლის რასობრივი თეორია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988 წ., 25 ნომბერი].

* ი. ლისაშვილის მოქმედების მოტივი უბრალოა — თავის გადარჩენა; 1923 წლიდან მომდინარე ეჭვმა მას აფიქრებინა: მ. ჯავახიშვილმა ქ. ჩოლოყაშვილი არ დაინდო, ახლა ნ. ხომერიკივით ჩემი დალუპვა აქვს დავალებული, ამიტომ დაიწყო ჩემთან პროვოკაციული საუბარი, თანაც მოწმის — ვ. გორგაძის თანდასწრებით, რომელიც აღრე კ. გამსახურდიასა და სხვების მწერალთა კავშირიდან გარიცხვას მოითხოვდაო — და... დაასწრო, თავად უჩივლა.

№94. [რევაზ კვერენჩილაძე, „რეპრესირებული მწერლები“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1992 წ., 27 ნომბერი].

სხვათაშორის, აქ ერთი საინტე-
რესო ცნობა უნდა ჩავუროთ.
ტფილისის ბაქტერიოლოგიურ ინ-
სტიტუტის გამოკვლევით ქართვე-
ლებს საშუალოდ 80% პირველი
და მეორე ჯგუფის სისხლი შქო-
ნიათ (რუსებს 70%, ოსებს —
76%, სომხებს — 80% და
სხვა. ეს ციფრები ხელ-
თა შქონდა, როცა იაკინ-
თე ლისაშვილს ველაპარაკე-
ბოდი და დასკვნაც ცხადი
იყო: ინსტიტუტის კლიენტების
9/10 ალბათ მუშები და გლეხები
იყვნენ. ნამეტან კი ოსები, რო-
მელთაც თავადაზნაურობა არა
ჰყოლიათ. მაშასადამე ჰორი ყო-
ფილა ცისფერი სისხლის თეო-
რიაც, მაშასადამე მე იმ მიზნით
ვერ ვიხმარებდი — „ვარდისფერ
სისხლს“, როგორც იაკინთე ლი-
საშვილს მოჩვენებია.

№95. [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილი და სისხლის რასობრივი თეორია“, გაზ. „ლიტერატურულ-
ლი საქართველო“, 1988 წ., 25 ნომბერი].

Тематический план работ Н.И.учрежден.

Бактериологический Институт НКЗ Грузии - Гематологический отдел.

№№ п/п	Наименование темы	Автор работы	Время на- чала ра- боты.	Предпол. окончан. работы	Приме- чание.
1.	Кровопускание и обратное введение крови опытным животным	д-р Семеновская " Чогошвили " Сабаева	4/У-35	4/У-36	
2.	Хронический сепсис в клиническом, бактериологическом и гематологическом освещении.	Коллект. работа согр. Клин. доф. Микеладзе, д-ра Немсадзе и ге- матол. отд.	I/IV-35 2ч.	ввиду не- многочисл. материала	
3.	Группа крови народов Грузии.	д-р Семеновская	I/I-35г.	I/I-36г.	
4.	Изменения в периферической крови при введении морской свинке цитотоксической сыворотки	д-р Чогошвили	I/I-35г.	I/I-36 г.	

№96. [უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 289, ან. 1, ს. 1331].

„რაპის“ ხელმძღვანელობას კერძო ბუაჩიძის ადმინისტრაციულ ბრძანებლობას ებრძოდენ ზოგიერთი პროლეტარული მწერლები. როდესაც ბუაჩიძემ და მისმა მომხრეებმა მოითხოვეს მიხ. ჯავახიშვილას მწერალთა კავშირიდან გარიცხვა ხუთმა პარტიულმა მწერალმა შევიტანეთ განცხადება პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მოვახსენეთ

№97. [გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 15 მაისი].

ნეთ მას, რომ ყოვლად დაუშვებელია ასეთი ადმინისტრაციულობა. ასეთი საქციელისათვის ჩვენ დაგვსაჯა ს. მამულიამ, რომელმაც კომკავშირის ყრილობაზე ეს ხუთი პარტიული მწერალი კონტრრევოლუციონერებად მოგვანათლა. ბუაჩიძის წინააღმდეგ ბრძოლა პირადათ მე არც „რაპის“ გაუქმების შემდეგ შემიწყვეტია. როცა ბუაჩიძემ მ. ჯავახიშვილის „მარაბდელზე“ დაიწყო წერა, მე უთხარი მას, პირველ ყოვლისა შენ შენი წინანდელი შეცდომები გააკრიტიკეთქო, მაგრამ ბუაჩიძემ ამას ყურადღება არ მიაქცია. იგი 23 აპრილის შემდეგაც ძველი, რაპული გზით სიარულს განაგრძობს. ჩვენ არ ვიცით ქონდა თუ არა მას რაიმე ორგანიზაციული კავშირი კონტრრევოლუციონერ ავერბახთან, ეს უნდა გამოირკვეს.

№98. [გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 15 მაისი].

ვინ სძევს და მუ საჭირო იქნება ვიფიქრო.

უხლ მივ მიწადა გასაფრთხ ბუაჩიძის საკითხე და შიპის საკითხებზე. მქვენ აღბაა გახსოვდა, რომ აქ გააფრთხებულ ბრძოლა იყო რაშის ხელმძღვანელობის დროს, როდესაც ბუაჩიძე და მისი მომხრეები მოიხსოვდენ ჯავახიშვილის გადარდებას მქვენაღა ვაჭიჩიძან. მაშინ ბოგინიძე პარტიული მქვენეები ჩავუფიქრობი ამ საქმეს და უფიქრი რომ ეს არ ივარგებს. ხუთმა პარტიულია მქვენაღა, მათ შორის მი და ამხ. სამსონი" ძემი დავქვერუთ განცხადება იდგინალურ კომიტეტის სახელზე სადაც იყო ნაძევაში რომ დაუშეხებულა ასევე ადმინისტრაციულა და რელა უნდაა მქვენლის განდევნა, პირიქით რელა ვამჩინე, რომ მქვენალს ჩვენივენი წამოსვლა უნდა მას ხელთ არ უნდა ვქრამ. ეს დოკუმენტი არსებობს იდგინალურ კომიტეტში. ამ დოკუმენტის გამო მაშინ ს. მამულა გამოვიდა კომიტეტის ყრილობაზე სადაც ჩვენ კონფრეფრუტორენუბა დავაწასახელ რამი იმის გამო რომ ბოგინიძე ასევე მქვენალს ვაჭავერი.

(ვ. გამსახურდია- მ. ტაროშელიძემ რომ გამოგფრიცხა მაშინ რა ქენდა.

ამი შიხსოვს.

№99. [უახლესი ისტორიის არქივი, ფ-8, ან-1, ს. 593].

როგორ უჩვენებს ახლა პრესაში ეს კრებულები? დაიბეჭდა ამხ. დემიფრაციის რიგ წერილი, აქვე მიყვარებ იქნა დახვეწი იურისტიკა /რანგები პრინციპი/, რომელიც საერთოდ მიღებულია ჩვენს კრიტიკაში.

მინდა ერთ მოვლენას მივამოთ შევინიშნოთ ფრაგმენტა, ამ ბოლო დროს ქართველი პოეტები იბეჭდებოდნენ, რუსულ ენაზე. ეს ვარტა, მაგრამ ვინ აბეჭდს ამ წიგნებს? სახეში მათებს " ბრიკის მარცხანი. ამ წიგნს აქვს მამოლავრებელი გარეგნის წინასიგნალობა.

ვინ არის ეს გარეგნი, რომელიც ახარისხებს ეარტულ პოეტებს? გადარკობხუთ მისი დახასიათებანი, ყველას ერთხმად უწოდებს "

".


მაგრამ ეს არაფერი. ეს ვაჟბატონი ავტორიტეტად უბეჭდს რუს მკითხველს უოლადატე ტარხველიძეს. გარეგნი ამ წიგნში / გამოცემა 1936 წ./ სამჯერ ახახელებს ამ სამგზის წყვეტილ ხატბის მიტერის დიფერსანტისა და ტერორისტის გვარს.

რატომ არაფერი იძუდა დღემდე ამაზე? რიგად სიგნა ამხ. ბუარძიძეზე.

იგი ბრტოლაში, რომელსაც ის აქარმოებდა რაპში დროს - საბჭოთა მწერლებს საკმაოდ მოწოდები დაწოდს წინააღმდეგ, ერთხელ მუც გამომოყენა. დამბარა და მიიხრა: " უნდა დაწერო წერილი ამადამი მინაარსისო". მუც დაუჯერე და დავწერე, წერილს თითონ გაუკეთა საბაყრი: " მწერლობის ძალითა გადახდუჭბისათვის". ამ წერილში იყო ასეთი აბტაცი:

" ჩვენის აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიხედეს ღვით ღვით-რაცდაში შემაყად მწერალთა გაგხრილვა, რომ ღვითრაცდას შეაღებდეს დეს მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ მწერლობაში აქტორად ჩაბმული კოლექტივები". ლუ რა სისუდედე იყო ასეთი ნაბიჯი, ეს ამ აბტაციდან სჩანს. ~~ფაქტობრივად~~, კომუნისტები, როგორც იტყვიან ლემეოთა.

ვის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს სიგნალები? - ამხ. გამსახურდიას, აბაშელის, ვარდოშვილის და სხვებს წინააღმდეგ.



საარქივო ამონაწერი

საქართველოს საბჭოთა ბიუროების კავშირის პრეზიდიუმის
გაფარაბეზი სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში

7 მაისი 1937 წ.

ლისაშვილი - აზიანაგებო, თავდაპირველად უნდა იხილოდნენ სიტყვა ვაქვა
აზი. სურიაშვილის გამოცხადების შესახებ. აზი. სურიაშვილი
ბევრი სიტყვა სიტყვა ლიტონების შესახებ. უმჯობესად
ნაშრომით ცხადია. მათგან ერთი შენიშვნა მიწა გავაკეთო.
ეს რაც შეეხება ლიტონების ბინის შექმნას. ჩვენ მივიღეთ
ფოტოგრაფი ბოიები, რომ ლიტონებისათვის ბინა რაიმეაირად
უფროდ მიგვეთ, მათგან ეს არ გამოგვივიდა. ჩვენ გვერდ-
და-როსკოვის მიერ გამოცხადებული ხარჯთაღრიცხვა რომელიც
გაგვარისწინებულ იყო 50 ათასი ლანთ ბინის შექმნისა-
დვის. ჩვენ ეს ლანთა გამოვიყენებთ ასე რომ ამ გამოგებო
და იყო აზი. სურიაშვილის სიტყვებით ...

... ეხლა რე მიწა გაგვივიდნ ბუჩიძის საკითხზე და მათთვის
საკითხებზე. აქვენი აღბათ განსვთ, რომ ამ გაფარაბეზი
ბრძოლა იყო რაპის ხელმძღვანელების ირთს, რომელსაც ბუჩიძე
და მისი მოხმარებები მოიხმარებენ ჯავახიშვილის გაფარაბეზის
მინიდან, მაშინ მოვიყენებთ პარტიული ბიუროები ჩვეუფიქრით
ამ საქმეს და ვაქვირთ რომ ეს არ ივარგებს. ხუთია პარტიული,
ბიუროები, მათ შორის რე და აზი. საბოლოოდ რა ვერცა
ცხადება ცენტრალურ კომიტეტის სახეზე სადაც იყო ნაქვარი
რომ დაუშვებოდა ასეთი ადრინისგანაფიქრობა როცა უნდათ ბიუ-
როს გაგვენა, პირიქით, როცა ვაჩვენებთ, რომ ბიუროს ჩვენ-
სკენ წარსვლა უნდა მას ხელი არ უნდა ვკრათ. ეს როგორც
არსებობს ცენტრალურ კომიტეტში. ამ როგორცის გამო მაშინ
საბოლოო გამოვივიდა კომპარტიის ფრილობაზე სადაც ჩვენ

№101. არქივის თანამშრომელ ნინო ქიქოძის მიერ გამოგზავნილი საარქივო ამონაწერი.

2

კონფრეკორუციონერებად რაბუასახელა იზის ტაზო, რომ
ბოტიურთ ასუთ პუნქალს ვიცავიძო.

998. ალ.1 საქ.593, ფურ.70,76

არქივის დირექტორი

ვ.მ.ტურბენიძე

ბოკურბენების პუბლიკაციისა და
ტარიფენების ტანფორმების

ტაზი

ს. ქიქოძე

ს. ქიქოძე

№102. საარქივო ამონაწერი ს. ქიქოძის ხელმოწერით.

ჩვენის განცხადება

1988 წლის 25 ნოემბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა პუბლიკაცია „მიხეილ ჯავახიშვილი და „სისხლის რასობრივი თეორია“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „1937 წელს გამოჩენილ ქართველ მწერალს მიხეილ ჯავახიშვილს სხვა ბრალდებებთან ერთად სისხლის რასობრივი თეორიის მიმდევრობაც დააბრალეს.“

ამჟამად, რედაქციას შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა სუკ-ის არქივში დაცულ საბრალდებულო დანაკვანას. ამ ოფიციალურ დოკუმენტში, მიხეილ ჯავახიშვილის მიმართ შეთითხნილ ბრალდებათა შორის „სისხლის რასობრივი თეორიის მიმდევრობა“ ნახსენები არ არის.

№103. [„ჩვენი განცხადება“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991 წ., 15 მარტი].

არაპირდაპირი ჩვენებით.

48. კვანტალიანი ილიკო — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი. ფაშისტური ორგანიზაციის წევრი, კ/რ ორგანიზაციაში ჩაბმული იქნა 27-ის მიერ. რის შესახებაც უკანასკნელმა მისცა ჩვენება. გარდა ამისა, მხილებულია 43-ის ჩვენებებით.

49. კუკულავა ნოე — აკ. რკინიგზის ოსტატი, ფაშისტური ორგანიზაციის მონაწილე, ჩაბმული 27-ის მიერ მხილებულია უკანასკნელის ჩვენებებით.

50. კანდელაკი ალექსანდრე — 1 საავადმყოფოს ექიმი. ფაშისტური ორგანიზაციის მონაწილე. მხილებუ-

ბ5. ლორთქიფანიძე ივანე — ლორთქიფანიძის კუთვნილება ფაშისტური ორგანიზაციისადმი დასტურდება 7-ის პირდაპირი, აგრეთვე 19-ის და 46-ის არაპირდაპირი ჩვენებებით.

66. ლეონიძე — მწერალი. ფაშისტური ორგანიზაციის აქტიური წევრი. მხილებულია 25-ის, 26-ის, 33-ის პირდაპირი ჩვენებებით. გარდა ამისა, ლეონიძის მონაწილეობა კ/რ ორგანიზაციაში დასტურდება. 6-ის არაპირდაპირი ჩვენებებით.

67. ლიხაშვილი იაკინთე — მწერალი, ფაშისტური ორგანიზაციის მონაწილე. მხილებულია 33-ის პირდაპირი და 25-ის არაპირდაპირი ჩვენებებით.

27 თებერვალი, 1991 წ.

№104. [გოგი ციციშვილი, „საიდუმლო დოკუმენტები“, გაზ. „ერი“, 1991 წ., 27 თებერვალი და 6 მარტი].

ბ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ გადაცემაში „ყველა კითხვა“ მოგინვევიათ რეზო კვერენჩხილაძე, რომელიც დოკუმენტების ფალსიფიკაციაში მყავს მხილებული და მან გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ მეშვეობით ბოდიშიც მოიხადა. გადაცემის მიმდინარეობის დროს, უხეშად დაირღვა ჩემი უფლებები. ვინ მისცა ამ ფალსიფიკატორს ჩემი შეურაცხყოფის უფლება! ახლა ბრიყვულად რომ კითხულობს, ი. ლისაშვილმა რატომ დაასმინა მ. ჯავახიშვილიო – დაავინყდა, რომ 1992 წლის 27 ნოემბერს, გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში მან თავადვე ახს-ნა ი. ლისაშვილის საქციელი: „ი. ლისაშვილის მოქმედების მოტივი უბრალოა – თავის გადარჩენა. 1923 წლიდან მომდინარე ეჭვმა მას აფიქრებინა: მ. ჯავახიშვილმა ქ. ჩოლოყაშვილი არ დაინდო, ახლა ნ. ხომერიკივით ჩემი დალუბვა აქვს დავალებული, ამიტომ დაიწყე ჩემთან პროვოკაციული საუბარი, თანაც მოწმის – ვ. გორგაძის თანდასწრებით, რომელიც ადრე კ. გამსახურდიას და სხვა მწერალთა კავშირიდან გარიცხვას მოითხოვავო და...(მრავალწერილი ტექსტშია – მ. ხ.) დაასწრო, თავად უჩივლა“. ეჭვები კი არა, ეს სიმართლეა! (მაგრამ კვერენჩხილაძე 1924 წლის აჯანყების დოკუმენტებს პირადად არ იცნობს და ახლა მხოლოდ პარტისტორიკოსი გ. ციციშვილის სჯერა, რომელიც 1924 წლის აჯანყებას „მენშევიკურ ავანტიურას“ უწოდებს). არადა, ჯავახიშვილის 1937 წლის „საქმე“ ვისაც აინტერესებს, სწორედ 1923 წლიდან უნდა დაიწყოს. ვინც მაშინ ჩეკას დაეხ-მარა, 1937 წელს ყველა გამოასალმეს სიცოცხლეს. არსებობენ სერიოზული მკვლევარები და მათი ნაშრომები. ჯერ კიდევ 1996 წელს ნესტან კირთაძემ თავის ნაშრომში „1924 წლის აჯანყება საქართველოში“ მ. ჯავახიშვილის ჩვენებები გამოაქვეყნა. ამჟამად, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პროფესორ შოთა დაჭკორიას ნაშრომი, სადაც კარგად ჩანს, თუ ვინ გასცა აჯანყების გეგმა.

გასაგებია, რომ არც საზოგადოებრივი მაუწყებელი და არც საზოგადოება არ არის მზად დიდი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის, შესახებ მწარე სიმართლის მოსასმენად, მაგრამ ეს იმას არ ნიშ-ნავს, რომ განტყვევის ვაცის ძებნა უნდა დაიწყოს და დილეთანტი ფალსიფიკატორები აყიყინოთ!

შეგახსენებთ რამდენიმე ფაქტს. 1930 წლის ბოლოს, როდესაც მწერალთა კავშირიდან მწერალთა საუკეთესო ნაწილის გარიცხვა მზადდებოდა, ი. ლისაშვილმა ცეკაში შეიტანა განცხადება, სადაც მიხეილ ჯავახიშვილი და ცისფერყანწელები დაიცვა (მე მხოლოდ დოკუმენტურად დასაბუთებულ ფაქტებს მოგახსენებთ). ამ საქციელის გამო, ის 1931 წლის 1 იანვარს, ყრილობაზე, სასტიკად დაგმო კომკავშირის ცეკას მდივანმა ს. მამულიამ და შემარჯვენედ გამოაცხადა. როგორც მოგვი-ანებით გაირკვა, ი. ლისაშვილი დასაპატიმრებელთა სიაში შეუყვანიათ, მაგრამ 1938 წელს დაპა-ტიმრებები შენელდა და ამ სიიდან ბევრი გადარჩა.

მადლობის ნაცვლად, 1934 წელს, მ. ჯავახიშვილმა ი. ლისაშვილი ქუჩაში გააჩერა და მოწმის თანდასწრებით, რომელიც სხვადასხვა მწერლების გარიცხვას მოითხოვდა ხოლმე, დაუწყო საუ-ბარი აკრძალულ თემებზე – ზანგების და ინდიელების არასრულფასოვნებაზე, მათ სისხლზე და ა. შ. მე მიხდოდა იაკინთეს ცნობისმოყვარეობა გამელვიძებინა და მეორე კითხვაც მივეცი, მაგრამ კითხვა კითხვად დარჩაო – ბრძანა დიდმა მწერალმა. სამწუხაროდ, დოკუმენტურად მტკიცდე-ბა, რომ ეს მისი მეთოდი იყო. მან ასევე კითხვების დასმით გაუღვიძა ცნობისმოყვარეობა ნოე ხომერიკს და პასუხები ჩეკას მოახსენა: მე შესაბამისი კითხვები დაუფსვი ხომერიკს და ვათქმევინე, რომ მაუზერის სისტემის 1000 ცალ რევოლვერს ელოდებო! ი. ლისაშვილს ნანახი არ ჰქონდა ის

საარქივო საქმეები, რომლებზედაც მე 1990 წელს ვიმუშავე, მაგრამ წაკითხული ჰქონდა ოფიციალურად დაბეჭდილი „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ“, [ტფილისი, 1925]. პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომისიაში ორი ძირითადი წევრი იყო: მიხეილ ჯავახიშვილი და ნოე ხომერიკი. ნოე ხომერიკი დახვრიტეს, მიხეილ ჯავახიშვილი კი აჯანყებულთა სასამართლო პროცესზე მონმედ გამოიყვანეს. ამ ყოველივეს შემდეგ, რომელი ჭკუათამყოფელი მეტყვის, რომ დიდი მწერალი ნდობას იმსახურებდა? ი. ლისაშვილი შინ ძალიან აღელვებული მისულა, ბოლთას სცემდა და იმეორებდა, რას მიპირებს მიხეილი, რა ვიფიქრო არ ვიციო! ი. ლისაშვილი დიდი მწერალი თუ არ იყო, ამიტომ სიცოცხლე არ უნდა სდომებოდა? მან თავის გადარჩენის მიზნით, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას აცნობა საუბრის შესახებ. მისი ეჭვები იმანაც გააძლიერა, რომ მის განცხადებას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია, რის გამოც მეორე განცხადებაც დაწერა, ანუ ზუსტად ისე მოიქცა, როგორ მაგალითსაც დიდი მწერალი აძლევდა თავისი საჩივრებით, იმ განსხვავებით, რომ ი. ლისაშვილს „მწერალთა ოჯახიდან“ მისი გარიცხვა არ მოუთხოვია. დიდი მწერალი უფრო დაუნდობელი იყო სხვების მიმართ, რაც დეტლურად მაქვს განხილული ჩემს 2008 წელს გამოცემულ ნაშრომში „მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე“ (ელექტრონული ვერსია ეროვნ. ბიბლიოთეკის საიტზე დევს) და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ 1937 წელს, დაპატიმრებამდე 2 თვით ადრე, 21 ივნისს, მ. ჯავახიშვილი შინსახკომში დაიბარეს და სთხოვეს ისევე მოეყოლა ყველაფერი, როგორც მან ეს 1923 წელს გააკეთა. დიდმა მწერალმა 34 გვერდიანი განცხადება თავისი ხელით დაწერა, რომელშიც უამრავი ადამიანი დაასახელა და დალუპა, ყველაზე მეტად კი პიროვნულად პაილო იაშვილი გალანძღა. აგვისტოში მაინც დაადგინენ დასაპატიმრებლად. დაბეჭდილი და ხელმოუწერელი ოქმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახლა მან ყველაფრის უარყოფა ამჯობინა. შემდეგ, ცხადია, მისი სასტიკი ცემა არ გაუჭურდებოდათ და დიდი მწერალიც უბრუნდება ივნისის განცხადებას, მხოლოდ ბევრად უფრო შერბილებული სახით. რეზო კვერენჩილაძემ აღიარა, რომ მ. ჯავახიშვილმა დაპატიმრებამდე დაწერა თავისი განცხადება. აქ ცუდი არაფერი წერია, მაგრამ როდესაც დააპატიმრეს და სცემეს, მერე იძულებული გახდა ბევრი რამ ელიარებინაო! ფალსიფიკატორმა რ. კვერენჩილაძემ შებრუნებით მოახდინა ციტირება, დოკუმენტები შეცვალა. მე პრეზენტაციაზე მივედი და ვამხილე. იძულებული გახდა გაზეთის მეშვეობით ბოდიში მოეხადა, მაგრამ ბოროტ გულში ჩემზე ბოღმა ჩაიდო და მლანძღავს – ხტუნაობსო და რას აღარ როშავს ჩემზე. მინდა ვუთხრა, რომ ასე თავის ქალიშვილს ელაპარაკოს, რომელიც ამერიკაში „ხტუნაობს“!

ჩვენს ოჯახს ნამდვილი 1937 წელი მოუწყვეს. მ. ჯავახიშვილის შვილიშვილის რამაზ შიშნიაშვილის (მეტსახელად „ზოლოტაია რუჩკა“) მიერ ყოელგვარი ეთიკური ნორმების დარღვევით გამოქვეყნებულმა წერილმა, სადაც ის თავისი კომენტარებით მიაწინებდა, თითქოსდა, დიდი მწერლის დალუპვა ი. ლისაშვილის ბრალი იყო, გული გაუხეთქა მამაჩემს (ოთარ ხომერიკს). სნობურად განწყობილი საზოგადოების ნაწილი მზად იყო რ. შიშნიაშვილიც დიდ მწერლად, ან პუბლიცისტად გამოეცხადებინა, ვერ ამჩნევდა მის უვიცობას და არაკეთილსინდისიერებას. მან გამოსცა დედამისის, ქ. ჯავახიშვილის წიგნი, სადაც ეროვნულ დემოკრატიული პარტია განმარტა, როგორც პარიტეტული კომიტეტი. იმდენიც არ იცოდა, რომ ერთი პარტია თავის თავს პარიტეტულ საწყისებზე ვერ გაუერთიანდებოდა, მაგრამ განა ეს კვერენჩილაძეების მსგავსებმა კი იციან? ყველაზე მიუტყვებელი რაც რ. შიშნიაშვილმა ჩაიდინა ის იყო, რომ თავისი მოქნილი თითების ფათური ახლა სხვის ჯიბეებში კი არა, დოკუმენტებში დაიწყო და მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დასახელებული ადამიანები მის დამსახელებლად გამოაცხადა. ცილი დასწამა 51 ადამიანს! ცხადია, ვამხილე. წიგნი პრემიაზე იყო წარდგენილი, მაგრამ ჩემი განცხადების შემდეგ, ნომინაციაზე წარდგენილ წიგნს პრემია ვეღარ მიანიჭეს, მაგრამ თალლითურად და კანონის დარღვევით ჩანაცვლეს ქ. ჯავახიშვილის სხვა ნაშრომით, რომელიც მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას შეეხება და რომელიც წარდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, მე ეს წიგნი არ გამირჩევია. ამდენი თალლითობის შემდეგ, რეზო კვერენჩილაძემ და მწერლის ქალიშვილმა რუსუდან ჯავახიშვილმა დაიწყეს პრესკონფერ-

ენციების ჩატარება და ჩემი დასჯის მოთხოვნა, ზუსტად ისე, როგორც დიდი მწერალი ითხოვდა ხოლმე ადამიანების დასჯას – ვინც დიდი ბელადი არ დაინდო არც ჩვენგან არის დასაბრუნებელი! რ. კვერენჩილაძემ და მწერლის ქალიშვილმა თავის მოთხოვნაში დიდი ბელადი დიდი მწერლით ჩაანაცვლეს და საბოლოოდ, უმუშევარი დამტოვეს. წლების შემდეგ, სიმართლე მაინც არ დაიკარგა. სწორედ ის ინსტიტუტი, რომელიც იძულებული გახადეს (2006 წ.), რომ სამსახურიდან გამოვეშვივით, ახლა მიხვდა სიმართლეს და შესაბამისი ნაშრომიც გამოსცა.

ჩემი დევნა ახლა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით გაგრძელდა. როდემდე?! უკვე იძულებული ვარ მივმართო საერთაშორისო ორგანიზაციებს, უცხო ქვეყნების მეთაურებს და თავშესაფარი მოვითხოვო. ამავე დროს, მინდა პროფესიულ დონეზე გაირჩეს ის იდეები, რაზედაც მიხეილ ჯავახიშვილი თავისი ხელით დანერგულ განცხადებაში ქადაგებდა ზანგებზე, ინდიელებზე. რას ნიშნავს ქ. ჯავახიშვილის კომენტარი: „კარგი სისხლი რომ აღმოაჩნდა, მას ეს ესამოვნაო“? რატომ ხდება საქართველოში ამ იდეების ტირაჟირება?

საკითხის სერიოზულობიდან გამომდინარე, გთხოვთ გამოძებნოთ დრო ჩემთან პირადად შესახვედრად.

პატივისცემით მანანა ხომერიკი
10. 05. 2017.“

დანართი №7. ბულინგი, უმეცრება და თაღლითობა

ჩემი ნაშრომის ბოლო ნაწილი ეხება არა უშუალოდ მიხეილ ჯავახიშვილს, არამედ მის იმ არაობიექტურ დამცველებს, რომლებიც არაეთიკურ მეთოდებს იყენებენ და ჩემ მომართ აგრესიას გამოხატავენ. გადავწყვიტე მათ ერთად მოვუყარო თავი და მათი ქმედებები სააშკარაოზე გამოვიტანო, რაც ყველა მკითხველისთვის არ იქნება საინტერესო. ამდენად, ეს მკითხველის გადასაწყვეტია, გაეცნობა №7 დანართს, თუ არა.

„ბულინგი“ ინგლისური სიტყვაა და ქართულად ჩაგვრას/აბუჩად აგდებას ნიშნავს. ძალადობა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური. ბულინგის კვლევა ძირითადად ბავშვების მაგალითზე მიმდინარეობს. ზრდასრულთა ბულინგის ფორმები ნაკლებად არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ლიტერატურა რაღაც მინდა, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ სიმართლის ძიების გამო, ბულინგი ჩემს თავზე გამოვცადე. შევეცადე რამდენიმე მაგალითის მოყვანას.

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ეპიზოდი ჩემი ბრძოლის ისტორიიდან. როდესაც 1990 წელს, საგაზეთო წერილში პირველად გამოვაქვეყნე ამონარიდი მ. ჯავახიშვილის 1937 წლის 21 ივნისის განცხადებიდან (მისი ვინაობის დაუსახელებლად), მწერალთა კავშირის ერთ-ერთმა წევრმა გააქილიკა რამაზ შიშინაშვილის პუბლიკაციის გამო მამაჩემის გარდაცვალება (12/II-1989) და ასე მომმართა: „ჩემო შვილო, შვილიშვილო, ბიძია, არ ვიცი, როგორ მოგმართო, შენ ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩაიყენე თავი. არ დაგავიწყდეს, რომ შვილები გყავს!“ მე ვუპასუხე: „მე თუ შვილები მყავს, თქვენ შვილებიც გყავთ და შვილიშვილებიც. ჩემს შვილებს რომ ვინმე შეეხოს...“ ჩემი მოსაუბრე მიხვდა, რომ გურული ქალის შეშინება არც ისეთი ადვილი საქმეა, თან თუ ის უტყუარი დოკუმენტებით არის შეიარაღებული (და საჭიროების შემთხვევაში, არც მტრის იარაღის წინაშე დაიხვეს უკან.). მოსაუბრის ვინაობას არ ვამხელ, რადგან ცხოვრება ძალიან მკაცრად მოექცა და სიბერეში გაამწარა, რაზედაც გულწრფელად ვწუხვარ.

1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი და კენჭისსაყრელად დაშვებული იყო „ქეთევან მიხეილის ასული ჯავახიშვილი – პუბლიცისტი, წიგნისათვის „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, გამომცემლობა „მერანი“, 1990. (უნდა ითქვას, რომ წიგნი გამოცემულია 1991 წელს და არა 1990 წელს). არსებული წესის თანახმად, საჯარო განცხა-

დება ორი თვით ადრე გაკეთდა [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ., 8 ოქტომბერი; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1992 წ., 16 ოქტომბერი] (სურ. №105).

აღნიშნულ ნაშრომზე მე ვრცელი და დასაბუთებული რეცენზია წარვადგინე, რისი სრული უფლებაც მქონდა. ჩემი რეცენზია ფაქტობრივი მასალით და დოკუმენტებით იყო გამაგრებული. დავამტკიცე, რომ ქ. ჯავახიშვილი ამ ნაშრომში უმნიშვნელოეს ფაქტებს მალავდა. გარდა ამისა, ქ. ჯავახიშვილის ვაჟმა, რ. შინიაშვილმა, დედის ნაშრომს თავისი „ბოლოსიტყვაობა“ დაურთო, რომელშიც სუკ-ის არქივის დოკუმენტები გააყალბა და ცილი დასწამა უდანაშაულო ადამიანებს. სახელდობრ, მან მ. ჯავახიშვილის მიერ, საკუთარი ხელით, დაპატიმრებამდე დაწერილ განცხადებაში დასახელებული პირები – მის დამსახელებლებად გამოიყვანა. (ეს საკითხი ზემოთ უფრო დაწვრილებით მაქვს განხილული). რეცენზია კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, მურმან ლებანიძეს ჩავაბარე. მან მითხრა: მე ყოველთვის სიმპათიით ვიყავი ბაბუათქვენის მიმართო. (ისინი კარის მეზობლები იყვნენ გოგებაშვილის ქუჩაზე, სადაც მე ყოველ შაბათ-კვირას ვატარებდი ხოლმე). ვიცოდი, რომ გულწრფელი ადამიანი არ იყო, ამიტომ საკმაოდ უკმეხად ვუპასუხე, მე ოფიციალურად მოვედი, როგორც ისტორიკოსი, აქ ბებია და ბაბუა რა შუაშია-მეთქი. ჩემმა რეცენზიამ კომიტეტის ხელმძღვანელობა რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. ცხადია, მათ ქ. ჯავახიშვილის პრემირება სურდათ, მაგრამ იმასაც ხვდებოდნენ, რომ მე დიდ ხმაურს ავტეხდი, საქმის კურსში ჩავაყენებდი იმ უდანაშაული პირების ჭირისუფლებს, ვისაც ამ წიგნში ცილი დასწამეს. და აი, დადგენილ დროს გაზეთში გამოცხადდა, რომ ქ. ჯავახიშვილის პრემირება მოხდა წიგნისთვის „მიხეილ ჯავახიშვილი – ბელეტრისტი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989). როგორც ვხედავთ, ეს არის სრულიად სხვა წიგნი [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993, 1 იანვარი] (სურ. №106).

ეს ნიშნავს, რომ ჩემმა რეცენზიამ გაჭრა და შედეგი გამოიღო. ეს იყო ჩემი დიდი გამარჯვება, რაც აღვნიშნე წიგნში „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“: „ე. ი. მოუხდათ წიგნის შეცვლა. პრემირებული ნაშრომი მწერლის შემოქმედებას ეხება და არა ცხოვრებას; ამდენად, იგი ჩემი კვლევის საგანი არ არის და მასზე რეცენზია არ წარმიდგენია. ვისაც ეს იძულებითი ცვლილება შეუმჩნეველი დარჩა, ის კვლავ ბრმად ეყრდნობა ქ. ჯავახიშვილის მოგონებებს „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“ და ფიქრობს, რომ სწორედ ეს ნაშრომია პრემირებული“. გ. ციციშვილმა, ნაცვლად იმისა, რომ ჩემს მიერ მითითებულ გაზეთებში განთავსებული განცხადებები გადაეთვალიერებინა, მატყუარობაში დამდო ბრალი და რიტორიკული კითხვები დასვა: „ვის დავუჯერო მ. ხომერკისა და მის დამქაშებს თუ სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის იმდროინდელ თავმჯდომარეს? ვინ არის თაღლითი?“ თავმჯდომარე, შეცდომით, მ. ლებანიძე ეგონა. მომიხდა ქ. ჯავახიშვილის პრემირების ძველი საქმის არქივიდან გამოთხოვა და გაცნობა. ბევრ რამეს ნათელი მოეფინა.

კომიტეტის თავმჯდომარე, გრიგოლ აბაშიძე, ჭკვიანი კაცი იყო. მას ამ საკითხის მოგვარება მურმან ლებანიძისთვის მიუხდვია. იცოდა, რომ ყოფილი საბჭოთა მილიციონერი უფრო ადვილად მოძებნიდა გამოსავალს. (სანამ პრემიის შესახებ თხრობას გავაგრძელებ, მოვიყვან ამონარიდს წიგნიდან, სადაც მისი ეს თანამდებობა დადასტურებული: „მურმან ლებანიძე, დაიბადა 1922 წლის 14 ნოემბერს აზერბაიჯანის სოფ. ალსტაფაში, უბრალო გლეხური წარმოშობის ოჯახში. ალსტაფაში მშობლები დროებით ცხოვრობდნენ. მისი დაბადების შემდეგ გადმოსახლდნენ თბილისში. მამა – სილოვანი საქართველოს გასაბჭოებამდე მუშაობდა შუა აზიის თეატრებში პარიკის მკეთებლად, შემდეგ დალაქად. დედა – დიასახლისი იყო. მურმან ლებანიძე გაიზარდა თბილისში, გოგოლის ქუჩაზე... 1943-1945 წლებში იყო „თბილისის საგამომძიებლო ორგანოებში გამომძიებლად“ [მ. გოგლიძე-გაბუნია, „მწერალთა ბიოგრაფიები. სკოლაში შესასწავლი მწერლები“, თბ., 2004, გვ. 149]). ამ მოთამაშე კაცმა ადვილად ჩააწყო კარტი, უფრო სწორად, წიგნები კანონდარღვევით შეცვალა, რის შესახებ კომიტეტის წევრები არ გაუფრთხილებია. იცოდა, რომ ამის საჭიროება არ არსებობდა. კომიტეტის წევრებს არც ერთი წიგნი ჰქონდათ წაკითხული და არც მეორე. აქ ჩვენი

შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაღები საზოგადოება იყო წარმოდგენილი, ნიჭიერი და ღვაწლმოსილი ადამიანები, მხოლოდ ყოველ მათგანს საბჭოური დამლაჟიკონდა დასმული. ეს გასაკვირიც არ არის. ისინი ხომ თავისი ეპოქის შვილები იყვნენ! მაშ ასე, მ. ლებანიძეს განუცხადებია, საქმე ინტრიგასთან გვაქვს, მე თქვენ კულისებში უნდა ჩაგახედოთო, ჩემი და ბაბუაჩემის ლანძღვა დაუწყია და ფარისევლებიც აუყოლიებია. წარმოუდგენელი არაპროფესიონალიზმია! მსჯელობა ჩემს რეცენზიაში მოყვანილი ისტორიის გაყალბების ფაქტებზე უნდა ყოფილიყო და არა ჩემი და ბაბუაჩემის, ან თუნდაც მიხეილ ჯავახიშვილის დახასიათებაზე. კომუნისტური პარტიის წევრი, თურმე, მხოლოდ ბაბუაჩემი ყოფილა! სამწუხაროა, რომ მე იქ არ ვიყავი. ბ-ნ მურმანს შევახსენებდი, რომ 1960 წელს თავად შევიდა პარტიაში, (რომელშიც პირადად მე არასდროს შევსულვარ). მე, თურმე, უფლება არ მქონია არქივში მ. ჯავახიშვილთან დაკავშირებულ მასალებს გავცნობოდი. ერთ-ერთ პატივცემულ მწერალს წამოუძახია: „ეს არის მკრეხელობა მიხეილ ჯავახიშვილის მიმართ. ნულარ იმეორებთ...“ 1977 წელს რატომ არ იყვირა, ზვიდ გამსახურდიას გარიცხვის შესახებ ნულარ იმეორებთო? ნაცვლად ამისა, მაშინ განაცხადა: „ვიზიარებ პრეზიდენტის აზრს“. კომიტეტის მეორე წევრმა ჩემი რეცენზიის შესახებ წამოიძახა: „სირცხვილად ესეც გვეყოფა!“ კომიტეტის წევრებს შორის იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავის დროზე, ხოტბას ასხამდნენ ბელადებს, გეორგიევსკის ტრაქტატს, მონაწილეობდნენ მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდიას გარიცხვაში, ვინაიდან ის მიუღებელი იყო მათთვის თავისი ანტისაბჭოური მენტალიტეტის გამო. 1977 წლის სამარცხვინო სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში გამოქვეყნებულია რ. კვერენჩილაძის წიგნში „საბუთები ლაღადებენ“. 28 მწერალმა ერთხმად დაუჭირა მხარი თავიანთი თანამოკალმის მწერალთა „ოჯახიდან“ გარიცხვას, თან გულზე ხელს იბრაგუნებდნენ – ვერ გავზარდეთო! ერთ-ერთი გამომსვლელი იმავე შინაარსის ფრაზებს იმეორებდა, 1937 წელს დასალუპად განწირული მწერლების მიმართ რომ უღერდა: ზვიადის გამოსვლამ ჩვენ მაინც ვერ დაგვარწმუნა, რომ მას არავითარი კავშირი არ აქვს...“ მ. ლებანიძემ კი ბრძანა: „თუ ის ჟურნალის რედაქტორია, სადაც პროკლამაცია და მალაკელიძის მოსაგონარია დაბეჭდილი, მაშინ მისთვისაც და ჩვენთვისაც ნათელია, რომ ის გაირიცხება“. აი, ამონარიდი კიდევ ერთი მწერლის გამოსვლიდან: „ჩვენ წავიკითხეთ ეს მასალა და თმები ყალყზე დაგვიდგა, განსაკუთრებით ეს პროკლამაცია, წარმოუდგენელია 1977 წელს ასეთი პროკლამაცია ვინმემ შეთხზას ან გადმობეჭდოს“. ახლა კი ჩემს შესახებ (მე, ცხადია, ზვიად გამსახურდიას არ ვუტოლებ თავს) განაცხადა: „მაგ ქალსაც სპორტული ინტერესი გაუჩნდა, სპორტული ყინი და მონაწილე ხალხი და უწმინდესი კაცის სახელი უნდა რომ აქამდე მიიყვანოს“. სხვათაშორის, მე სპორტსმენი კი არა, ისტორიკოსი ვარ! დამსწრე საზოგადოებისთვის ბევრი რამის შეხსენება შემეძლო. კომიტეტის თავმჯდომარეს ზეპირად ვეტყოდი ლექსს, ლავრენტი ბერიას რომ მიუძღვნა და პირდაპირ მოუწოდა, გაგვიძეხი, ხალხი გავსრისოთო:

„და სიხარულით მოვა რამდენი,

მოვა და კვლავაც წინ გაუძღვები,

რომ გაისრისონ მოლაღატენი

და საზიზღარი იანუსები“ [გ. აბაშიძე, „ლავრენტი ბერიას“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 15 მაისი] (სურ. №107).

სახალისოდ კი, ნიკა აგიაშვილის მიერ 1940 წელს შედგენილი ხელნაწერი კრებულიდან მოვიყვანდი ერთი პატარა ლექსს, რომელიც მოგვიანებით, 2011 წელს, ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემულ კრებულში შევიდა:

„ალიო თავის მასხარას:

აბაშიძიანთ გრიშასა

ხან თავში ნაუპარტყუნებს,

ხან გადაუგდებს ქისასა“ [„ხუმრობისნაირი“, წიგნში: „ფუნაგორიები“, თბ., 2011, გვ. 21].

გურამ გვერდნითელსაც შევახსენებდი თავის „სისხლის თეორიას“, რომლის თანახმად, პროლეტარიატის და გლეხობის სისხლი – წმინდა იყო, კულაკების და თავადაზნაურობისა კი – შავი და

ჭუჭყიანი. აი, რას წერდა: „და საერთოდ, შეიძლება ითქვას, ლეო ქიაჩელის შემოქმედება სისხლიანი მატიანეა ჩვენი მამა-პაპათა ცხოვრების, იმ თაობების ცხოვრებისა, რომელთაც კაცობრიობის ნანატრი გაზაფხულის მოსაყვანად უხვად მორწყეს მშობლიური მიწა საკუთარი წმინდა სისხლით, რომელთაც საზოგადოების ორგანიზმის გასაჯანსაღებლად სხვათა შავი და ჭუჭყიანი სისხლის დაღვრა მოუხდათ... ეს იყო მძიმე, მაგრამ ისტორიულად გარდაუვალი გზა ადამიანური ბედნიერების გამოსაჭედად. ეს იყო სისხლიანი გზა, ურომლისოდაც ვერ მიიღწეოდა მზიანი და ნათელი სამყარო. ეს ჩვენთვის დღესაც ნათელია იმ მხატვრულ მატიანეთა წყალობითაც, მწერლობამ რომ შექმნა და დაგვიტოვა“ [გ. გვერდნითელი, „მწერლებზე და მწერლობაზე“, თბ., 1989, გვ. გვ. 215, 216]. და ამას 1989 წელს წერდა! ახლაც გამამტყუნებენ იმის გამო, რომ ბაბუაჩემი ასეთი სისხლიანი სვავების საჯიჯგნად არ მემეტება? ნიჭი კარგია, მაგრამ არც სინდისი და ადამიანობაა ურიგო, რაც კომიტეტის წევრებიდან არავის აღმოაჩნდა. ამდენი უმნიშვნელო და უცოდველი ადამიანი ერთად რომ შეიყარა, ალბათ, დარბაზში მათი ფრთების შრიალიც გაისმოდა. მ. ლებანიძემ ჩემი რეცენზია არა მხოლოდ არ გააცნო დამსწრე საზოგადოებას, არამედ ფიზიკურად გააქრო და საქმეში არ ჩართო. ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი, როდესაც არქივში ჩაბარებულ საქმეს გავეცანი. მისგან სხვა არც არაფერი იყო მოსალოდნელი. ამ ყოფილ საბჭოთა მილიციონერს ისეთი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი, რაც ძველი თბილისელებისთვის საიდუმლო არ იყო, მაგრამ საგაზეთო წერილში მხოლოდ ბ-ნმა ნოდარ ნათაძემ გაიხსენა: „ჩემი თაობის მწერლებისგან მსმენია, რომ მურმან ლებანიძეს, ყოფილ გამომძიებელს, პატიმრის დაკითხვის პროცესში უმძიმესი ცოდვა ჩაუდენია (ნებით თუ უნებურად). თუ ეს ასე არაა, ღმერთმა ცალკე გამიკითხოს და კანონმა ცალკე. ამ საქმის ჩამდენი ნებისმიერ დაკვეთას შეასრულებს. ისეთი ტექსტი, როგორც მან გამოაქვეყნა (საქმე ეხება მ. ლებანიძის მიერ სამეგრელოს შეურაცხყოფას – მ. ხ.), დაკვეთის გარეშე ძნელად თუ ჩნდება. საქართველოს შეურაცხყოფისა და ნგრევის დამკვეთი რომ არ გამოიღვევა, ყველამ ვიცით“ [ნ. ნათაძე, „ასეთი ტექსტი დაკვეთის გარეშე ძნელად თუ ჩნდება“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 28 მაისი-4 ივნისი 1999]. ნ. ნათაძემ პოეტს ფაქტობრივად, პატიმრის მკვლელობაში დასდო ბრალი, მაგრამ მ. ლებანიძეს მისთვის პასუხი არ მოუთხოვია, რამეთუ მიხვდა, რომ ამას ბრალდების დაკონკრეტება მოჰყვებოდა. მ. ლებანიძის შავ-ბნელი ბუნება ჯერ კიდევ 1968 წელს იყო გამოაშკარავებული ცნობილი ისტორიკოსის, აკადემიკოსი შოთა მესხიას და ისტ. მეცნ. კანდიდატ ვიქტორ გუჩუას ვრცელ წერილში [შ. მესხია, ვ. გუჩუა „წყენაო ჭირთა ბადეო...“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1968, 1 დეკემბერი], მაგრამ მას შემდეგ, რაც პოეტმა პროვოკაციული აქტი ჩაიდინა და სამეგრელო შეურაცხყო, მისი ბუნება უფრო მეტმა დაინახა. გაზეთის რედაქტორმა თამაზ ნივნივაძემ მობოდიშება ჩათვალა საჭიროდ და შეეცადა პოეტის დანაშაული რედაქციის თანამშრომლებზე გადაენაწილებინა [თ. ნივნივაძე, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის-აგან“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 4-11 ივნისი]. ჩემს წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე“ მოყვანილია რამდენიმე ავტორის ციტატები, რასაც ახლა აღარ გავიმეორებ, მხოლოდ დასახელებით შემოვიფარგლები:

დ. ბედიანი, „პასუხად მურმან ლებანიძეს“, გაზ. „საქართველო“, 1999, 8-14 ივნისი;

ო. ბერიშვილი, „ო, როგორ მინდა წამოდგეს დიდი ილია და პასუხი მოსთხოვოს სამეგრელოს განმქიქებელ ლებანიძეს!“ გაზ. „შანსი“, 1999, 7-13 ივნისი;

ო. ბერიშვილი, „დღესაც დააბიჯებენ საქართველოში მურმან ლებანიძეზე უფრო დიდი პოეტები“, გაზ. „შანსი“, 1999, 28 ივნისი-4 ივლისი;

ჰ. გეგია, „სამეგრელოს თემის პროვოცირება დანაშაულია“, გაზ. „დრო“, 1999, 8-15 ივნისი;

ზ. კალანდია, „ახლა უნდა ითქვას ის, რაც უნდა ითქვას ახლა“, მურმან ლებანიძის ერთი ლექსის „ვით დედა-მტკვართან ჭოროხს და ენგურს“ გამო, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 4-11 ივნისი;

ზ. კალანდია, „სამეგრელოს ბევრი რამ გადაუტანია და ლებანიძეებსაც გადაიტანს“, გაზ. „საქართველო“, 1999, 8-13 ივნისი;

ნ. კორსანტია, „თქვენ დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ“, გაზ. „დილის გაზეთი“, 1999, 29 მაისი;

ჰ. კუპრაშვილი, „სამეგრელოს სადღეგრძელო“, გაზ. „საქართველო“, 1999, 1-7 ივნისი;

ზ. მალაშხია, „სიძულვილით სიყვარულს ვერ მოიმკით! (მ. ლებანიძის ერთი ლექსის გამო)“, გაზ. „საქართველო“, 1999, 13-19 ივლისი;

ე. მარლანია, „დავდუმდე, ნიშნავს, აკვნის ენა გადამავიწყობ“, გაზ. „მანსი“, 1999, 28 ივნისი-4 ივლისი;

რ. მიშველაძე, „განგაში მაშინ უნდა აგვეტეხა, როცა მურმანი ხელმწიფის ნაგვი ვიხილეთ“, გაზ. „საქართველო“, 1999, 8-14 ივნისი;

თ. მეტრეველი, „სმერჩი სააკაშვილისებურად“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 11-18 ივნისი;

გ. ოტობაია, „პოეტი, რომელიც სამეგრელოში საქართველოს ვერ ხედავს“, გაზ. „საქართველო“, 1999, 5-4 ივლისი;

ი. რურუა, „ღია ბარათი მურმან ლებანიძეს“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997, 15 მაისი;

ო. შალამბერიძე, „ალილო და ხვალაო, (პასუხად მურმან ლებანიძეს)“, გაზ. „თვალთაი“, 1997, 19-25 ნოემბერი;

ს. ჯანაშია, „ნუთუ თქვენ ხართ ილიას და აკაკის მემკვიდრე?“ ღია წერილი ბ-ნ მურმან ლებანიძეს“, გაზ. „საქართველო“, 1999, 1-7 ივნისი;

ქ. ჯიშკარიანი, „ვის მიეყიდეთ, თმაჭალარა პოეტო?“, გაზ. „მანსი“, 1999, 7-13 ივნისი;

ბ. ჯიქია, „მურმან ლებანიძის ერთი უსათაურო ლექსის გამო“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999, 30-31 მაისი;

მ. ჩაჩუა, „საჯარო წერილი ბატონ მურმან ლებანიძეს“, გაზ. „თვალთაი“, 1997, 5-11 მარტი;

ბ. ნიფურია, „ერთადერთი შემდგარი ტერაქტი...“, გაზ. „დრო“, 1999, 8-15 ივნისი;

თამარ რუხაძემ, ახალგაზრდა შემოქმედთა სახელით, დასაბუქდად მოამზადა „ღია წერილი ბატონ მურმან ლებანიძეს“ [თ. რუხაძე, „ვის სამსხვერპლოზე მიიტანეთ ზვარაკად ქართული კულტურის კიდევ ერთი ფურცელი?!“ გაზ. „ახალი თაობა“, 1997, 13 მარტი]. აი, ამ ახალგაზრდების ვინაობა: კოტე აბაკელია, ზვიად აბაშიძე, ლევან ბარათაშვილი, ნატო ბოკერია, ნოდარ გალოგრე, არჩილ გელოვანი, დარეჯან გურული, თემურ დავითაია, დათო მაჭავარიანი, მანანა მდივანი, სანდრო ქიქოძე, თამარ ჯალალონია, რუსუდან შარაშენიძე. პასუხის გაცემა უზენაესი მსაჯულისადმი მოგინევთო – ნათქვამია წერილში. ჩემი სათქმელიც ეს არის.

არის კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი: მ. ლებანიძემ თავის სიტყვაში, ფაქტობრივად დაადასტურა ის, რაც არც მე და არც სხვას არ გვითქვამს. მისი მტკიცებით, მ. ჯავახიშვილს 1937 წელს მართლაც ჰყავდა არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია! გარდა ამისა, თურმე, შეთქმულება მართლა მზადდებოდა და სუკს ბევრი საშუალება ჰქონდა მისი გახსნისა.

ახლა კი ქ. ჯავახიშვილის პრემირება იურიდიული კუთხით განვიხილოთ. საქმე გვაქვს აშკარა თაღლითობასთან. პრემიის გაცემის დროს, ქ. ჯავახიშვილი ცოცხალი აღარ იყო. მის შვილს, ნიგნის რედაქტორ რ. შიშნიაშვილს პრემიის მიღებაზე უარი არ უთქვამს. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილში“ არის საგანგებო პარაგრაფი №6 – „თაღლითობა“, რომლის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ რ. შიშნიაშვილის მიერ ჩადენილი ქმედება – „კერძო პირის მიერ მოტყუებით განზრახ უკანონო მიღება ამა თუ იმ სახის სახსრების, პენსიის, დახმარების და ა. შ., უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ქონების დატაცება ჩადენილი თაღლითობით“. მ. ლებანიძის მიერ ჩადენილი ქმედება რომ დავაკვალიფიციროთ, ზემოთ მოყვანილი ციტატა უნდა გავაგრძელოთ: „ამასთან, თანამდებობის პირმა რომელმაც კერძო პირს ყალბი დოკუმენტი მისცა შეგნებულად ამ მიზნისათვის, პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობით თაღლითობაში დახმარებისა (დამხმარებლობისა) და სამსახურებრივი სიყალბისთვის“ [ზ. ნულაია, „სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი (საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით)“, ტ. II, თბ., 2001, გვ. 77].

ამდენად, პრემია, რომლითაც დაჯილდოვდა ქ. ჯავახიშვილის ნიგნი „მიხეილ ჯავახიშვილი – ბელეტრისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი“ (ნაცვლად სხვა, ოფიციალურად წარდგენილი ნიგნისა) – არის ყალბი დოკუმენტი. როგორც გ. ციციშვილისგან დაგვიანებით შევიტყვე, მ. ლებანიძის ზემოთ განხილული სიტყვა, ოთხ სხვა სიტყვასთან ერთად, „ლიტერატურულ საქართველოში“ ყოფილა გამოქვეყნებული. როგორც ჩანს, მ. ლებანიძეს თავისი ეს ნაცოდვილარი – ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად მიუჩნევია. პუბლიკაციის პოსტსკრიპტუმში აღნიშნულია, ვითომდა, მანანა ხომერიკს პასუხი გაეგზავნა. [მ. ლებანიძე, „სიტყვები“, გაზ. „ლიტერატურულ საქართველო“, 2000, 29 დეკემბერი – 4 იანვარი] (სურ. №108). მისგან ეს ტყუილი რა გასაკვირია. თან, ქ. ჯავახიშვილის ნაშრომს არ აკონკრეტებს. ახლა კი, მოკლედ მისი ტყუილების გაგრძელებაზე. 2020 წელს, ლევან თავთაქიშვილმა ფეისბუქზე მ. ჯავახიშვილის „მინის ყვილის“ შესახებ თავისი უარყოფითი აზრი დააფიქსირა, რასაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ბოლოს, ცხადია, ჩემი ნაშრომებიც გაიხსენეს. ახლა მე გამიხსენეს ცეცხლი საქმეში ჩაუხედავმა ყოვლისმცოდნეებმა. და აი, ამ დროს გამოხტა პროფესორი იოსებ ჭუმბურიძე და დამასმინა: მურმან ლებანიძის ჩემი საწინააღმდეგო დემაგოგიური სიტყვა გამოდო! ეგონა, გულს გამიხეთქავდა. რა იცოდა, რომ მე ეს სიტყვა ჩემს ნიგნში მქონდა გადმობეჭდილი და გარჩეული. თუნდაც არ სცოდნოდა, ვერ უნდა მიმხვდარიყო, რომ თალღითობას ჰქონდა ადგილი – რა ნიგნი იყო წარდგენილი და რა ნიგნმა მიიღო პრემია? ვერც იმას უნდა მიმხვდარიყო, რომ მ. ლებანიძემ მ. ჯავახიშვილის 1937 წლის საქმე ფალსიფიცირებულად კი არა, ფაქტებზე დაფუძნებულად წარმოადგინა და შეთქმულების არსებობა აღიარა?! სამწუხაროდ, მას ამდენი მიხვედრის უნარი არ აქვს და არც ადრე ჰქონდა. გაზ. „თბილისის“ რედაქტორიბის დროს, ხელს უწყობდა იმ ინფორმაციის ტირაჟირებას, თითქოსდა, გ. გურჯიევი თავად მუხრანსკის (სახელის გარეშე) ძმისშვილი, თუ შვილიშვილი იყო. ანუ გამოდის, რომ დედით ბაგრატიონი ყოფილა. ეს უაზრობა მე სომხეთის არქივში მოპოვებული დოკუმენტით გავაბათილე, რომლის თანახმად, ფილოსოფოსის დედა ევდოკია ელეფთერის ასული ელეფთეროვა (ელეფთერიდი) იყო. ალბათ, ეს დაიმახსოვრა ბ-ნმა სოსომ და შურისძიებისთვის ხელსაყრელ მომენტს ეძებდა. სანამ მე გ. გურჯიევის მშობლების ჯვრისწერის მოწმობას მოვიძიებდი, იმას ხომ მაინც უნდა მიმხვდარიყო, რომ 1870-იან წლებში თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკის ქალიშვილი უბრალო მეჯოგეზე არ გათხოვდებოდა და სომხეთის ქალაქ ალექსანდროპოლში არ გაჰყვებოდა. თანაც, გაზეთის რედაქტორს ბაგრატიონ-მუხრანსკების გენეალოგიაში მაინც ხომ შეეძლო ჩახედვა, მაგრამ ამასაც ხომ მიხვედრა სჭირდებოდა...თუ მას მ. ლებანიძის პუბლიკაცია საამაყო ჰგონია, მე მას უფრო საამაყო პუბლიკაციას შევასხენებ. აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა ბ-ნი სოსო ჭუმბურიძე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე მატყუარად და ტოქსიკურ პიროვნებად შერაცხა: „რატომ ცრუობს ჟურნალისტი სოსო ჭუმბურიძე არ ვიცი... რაც შეეხება დედოფლისწყაროს იმ მრავალრიცხოვან აუდიტორიას, რომელმაც ამა წლის 29 სექტემბერს განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა ლექცია სამ დიდ ქართველ პოეტზე, ის გულთან არ მიიტანს მატყუარა ჟურნალისტის ღვარძლსა და შურიანობას და კახელებისთვის ჩვეული სილალითა და სილალით ვაჟას პერიფრაზს მიაგებებს მას:

სოსომ რაც შხამი ანთხია,

ჩვენ კახურ ღვინოდ დავლიეთო“ [ინესა მერაბიშვილი, „რატომ ცრუობს ჟურნალისტი?“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 26 ოქტომბერი, №199].

სიმართლის მიხვედრის უნარი არც იმ პირებს აღმოაჩნდათ, ვინც 2003 წელს, მწერალთა კავშირში რევან კვერენჩილაძის მეთაურობით ჩატარებულ ე. წ. „ორშაბათობებს“ ესწრებოდა, სადაც ჩემი დასჯის მოწოდებები გაისმოდა. რ. კვერენჩილაძემ განაცხადა: „კვლავ გრძელდება დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის შეურაცხყოფა, მკვლევარი მანანა ხომერიკი, იმის ნაცვლად, რომ ეცადოს საბუთებით გააბათილოს მკვლევართა მტკიცებანი (რაც ეყრდნობა თვით შინსახკომის საბუთებს), დოკუმენტებით გაუმაგრებელი, აჩემებული ხერხებით ცდილობს სახელი გაუტეხოს ჩვენს დიდ მოღვაწესო. აი, რა ტყუილები იკადრა დოკუმენტების გამყალბებელმა რ.

კვერენჩხილაძემ! რომელი მკვლევრების მტკიცებანი უნდა გამეზათილებინა? სწორედ 2003 წელს, მე თავად წარვადგინე ჩემი წიგნი „სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ“ ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში და კომისიის შექმნა მოვითხოვე. შედეგად, ცხადია, ვერავითარი „აჩემებული ხერხებით“ დაშვებული სიყალბე ვერ აღმოჩინეს, გ. ციციშვილმა კი პრემია ვეღარ მიიღო. რ. კვერენჩხილაძემ „მორიგ ორშაბათობაზე“ რატომ არ მიმინვია? იცოდა, რომ ჩემგან დასაბუთებულ პასუხებს მიიღებდა, თავის ნათქვამს ვერც ერთი მაგალითით ვერ დააკონკრეტებდა, მე კი თავისი თაღლითობის ფაქტებს გავუხსენებდი. ამიტომ, პასუხგაუცემელი ყაყანი არჩია. გაზეთში რუსუდან ჯავახიშვილის წერილიც დაიბეჭდა:

„საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს,
ბატონ თამაზ ნივნივაძეს

როგორც ცნობილია, მანანა ხომერიკი (მწერალი იაკინთე ლისაშვილის შვილიშვილი) წლების მანძილზე ცდილობს სათანადო ისტორიული წყაროების გაყალბებით, მიხეილ ჯავახიშვილი წარმოაჩინოს, როგორც თანამოაზრე მეზრძოლების, ამხანაგების და, საერთოდ, ანტისაბჭოთა მეზრძოლების დამსმენად, აგენტი „არსენად“ და სამშობლოს მოღალატედ, იმ სამშობლოსი, რომელსაც თავისი სიცოცხლე ზვარაკად შესწირა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელმა რიგმა მკვლევარებმა სათანადო წყაროების საფუძველზე დაამტკიცეს მ. ხომერიკის ბრალდებების სიყალბე, იგი მაინც თავისას აგრძელებს. ამ უკანასკნელ წელს გამოქვეყნებულ წიგნში – „სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ“, იგი კვლავ ცდილობს, დაიცვას თავისი სიყალბე და ყოველმხრივ როგორც პოლიტიკოსი და პიროვნება, გააქარწყლოს მიხეილ ჯავახიშვილის გამამართლებელი მეცნიერული არგუმენტები და ამით იგი გაასალოს, როგორც ჩეკას აგენტი და მოღალატე, გააქარწყლოს მისი პატრიოტულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ მკითხველის ინტერესი.

კომუნისტებმა მიხეილ ჯავახიშვილს ფიზიკური სიკვდილი არ აკმარეს და ახლა ცდილობენ, რომ გაანადგურონ მისი სახელი და დამსახურება ქართველი ერის წინაშე, ჩირქი მოსცხონ მის სახელს, რათა საბოლოოდ დაუქარგონ დიდი მწერალი საქართველოს.

იმედია, მწერალთა კავშირი ხმას აიმაღლებს და დაიცავს კლასიკოსი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ღირსებას, რათა არ იქნას შელახული და იგნორირებული მისი მწერლური შემოქმედება და მამულიშვილური დამსახურება.

იძულებული ვართ, მივმართოთ ქართველ საზოგადოებას და პრესას, რათა ხმა აიმაღლონ მიხეილ ჯავახიშვილის სახელის დასაცავად.

მოგმართავთ თქვენ, ბატონო თამაზ და გთხოვთ, დაიცვათ გამოჩენილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ღირსება უსაფუძვლო ბრალდებებისა და ცილისწამებისაგან.

პატივისცემით, რუსუდან ჯავახიშვილი მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილი“ [რ. ჯავახიშვილი, „საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ თამაზ ნივნივაძეს“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2003, 5-11 დეკემბერი] (სურ.№109).

რ. ჯავახიშვილის მოწოდება მაგონებს იმავე გაზეთში 1936 წელს გამოქვეყნებულ მ. ჯავახიშვილის წერილს, რომელშიც ვკითხულობთ: „ვინც ჩვენი სტალინი არ დაინდო, თვითონ ისიც არ არის დასაბუთებელი, ხალხის რისხვა განუზომელია და შესრულდეს ნება მისი“. გადის რამდენიმე ათეული წელი და მწერლის ქალიშვილს სურს ახლა მე დამატებოს თავს ხალხის რისხვა. მოითხოვს ჩემს დასჯას: ვინც მამაჩემი არ დაინდო, ისიც არ არის დასაბუთებელი! ჩემს დახვრეტას პირდაპირ ვერ მოითხოვდა, თუმცა კი სურდა. რის საფუძველზე მაბრალებდა რ. ჯავახიშვილი ისტორიული წყაროების გაყალბებას? საექსპერტო ჯგუფმა ბევრი იმუშავა, მაგრამ ჩემ მიერ ისტორიული წყაროების გაყალბების ვერც ერთი შემთხვევა ვერ აღმოაჩინა, ან როგორ უნდა აღმოეჩინათ ის, რაც არ ჩამიდენია! ნუთუ, რ. ჯავახიშვილმა ისტორიკოსებზე მეტი იცოდა? დოკუმენტების გამყალბებლებს მე თავად მივაკვლიე და სათანადო კონკრეტულ-ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ვამხილე. მაინტერესებს: როდის შევხებივარ მ. ჯავახიშვილის „მწერლურ შემოქმედებას“? ყოველთვის დიდ

მწერლად მოვისხენიებდი და ასეც არის, ხოლო რაც შეეხება მის მამულიშვილურ დამსახურებას – ეს კარგად ჩანს მისი 1923 წლის განცხადებიდან და ჩვენებებიდან! ასევე, საინტერესოა, როგორ უნდა დავესაჯე თამაზ წივნივაძეს? მე ხომ მწერალთა კავშირის წევრი არ ვყოფილვარ! რ. ჯავახიშვილმა კომუნისტადაც კი შემრაცხა, რაც დღეს იგივეა, რაც 1930-იან წლებში „ხალხის მტერი“. უფრო ადრე, იგივე ეპითეტი თავხედურად მომანერა ჯავახიშვილების ოჯახის ახლობელმა, ელიზბარ ცისკარიშვილმა გაზეთის ფურცლებზე, რისთვისაც დამსახურებული პასუხი გავეცი: „გუშინ შევიტყვე, გარჯილხართ, გაზეთ „კაბადონის“ წინა ნომერში ჩემთვის წერილი გამოგიქვეყნებით „ღია წერილი იაკინთეს შვილიშვილს“. მე კი პაპათქვენის სახელი არ ვიცი და ამიტომ წინა პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე სუკის აგენტობაში საჯაროდ ეჭვმიტანილი სოსო ცისკარიშვილის მამად მოგიხსენიებთ. თქვენ მე ყოვლად უტიფრად ამხანაგოთი მომმართავთ, მიუხედავად იმისა, რომ მე თქვენგან განსხვავებით, კომუნისტური პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ“. ისიც ავუხსენი ამხანაგყოფილ ელიზბარს, რომ მე იაკინთე ხომერიკი-ლისაშვილის გარდა (რომელზეც არასდროს ვიტყვი უარს), მყავდა მეორე, ჩემი გამზრდელი პაპაც. ის მათემატიკოსი იყო და ელიზბარივით მრავალი წლის განმავლობაში უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწეობდა, მაგრამ ელიზბარისგან განსხვავებით, არასდროს შესულა კომუნისტურ პარტიაში და არაფერი მიუღია იმ ხელისუფლების ხელიდან, რომელსაც პატივს არ სცემდა. „თქვენ კი, დარწმუნებული ვარ, კომუნისტების ხელიდან ბოძებულ ბინაში იქნებით ჩაბუდებული“ – ასე მივმართე ამხანაგყოფილ ელიზბარს და შემდეგ ისეთი დოკუმენტები გავაცანი, რომლებიც დიდად არ გაახარებდა [მ. ხომერიკი, „ღია წერილი სოსოს მამას“, გაზ. „კაბადონი“, 1997 წ. დეკემბერი, №19 (142)].

რ. ჯავახიშვილს უნდა სცოდნოდა, რომ მე არასოდეს ვყოფილვარ რომელიმე პარტიის წევრი, ხოლო გ. ციციშვილმა, რომელიც მან გვერდით ამოიყენა, კომუნისტური იდეების ქადაგებას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. 1986 წელსაც კი, ანუ უშუალოდ ე.წ. „პერესტროიკის“ წინ, თავის ნაშრომში «Из истории партийного строительства в Грузии (1933-1937 гг.)» გ. ციციშვილი 1924 წლის აჯანყებას მენშევიკურ ავანტიურას უწოდებს. გვამცნობს, რომ აჯანყების მონაწილე თეთრგვარდიელებსა და კულაკებს მოტყუებით მოუხერხებიათ პარტიაში შეძრომა, რათა პარტილეთით შეენილბათ თავიანთი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ გაუგეს და გარიცხეს: მენშევიკები, მენშევიკი „გვარდიელები“ და 1924 წლის მენშევიკური ავანტიურის წევრები „обманым путем пробравшиеся в партию – всего 215 человек“.

რ. ჯავახიშვილისთვის დიდი ავტორიტეტი იყო გ. ციციშვილი, რომლის ნაშრომიც 2003 წელს პრემიაზე იყო წარდგენილი, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, მას შემდეგ რაც საექსპერტო ჯგუფს ჩემი წიგნი „სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ“ წარვუდგინე, მან პრემია ვეღარ მიიღო. როგორც ჩანს, 2003 წლის ბოლოს, მან დიდი მწერლის ქალიშვილს და რ. კვერენჩხილაძეს მიმართა დახმარებისთვის. მათი ინტერესები დაემთხვა და ერთობლივი ძალებით მწამებდნენ ცილს. ამავე დროს, გ. ციციშვილი, საექსპერტო ჯგუფის წევრებს გადაეკიდა და სულ „ფინაჩი პროფესორები“ ეძახა. საბოლოოდ, ისტორიკოსებმა, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, გ. ციციშვილის შესახებ თავიანთ კოლექტიურ განცხადებაში (7 მარტი, 2005 წ.) შემდეგი განაცხადეს: „ჩვენ პასუხის ღირსადაც არ ჩავთლიდით გ. ციციშვილის ბრალდებას, რომ იგი მხოლოდ სიცრუე ყოფილიყო. მის ბრალდებას ჩვენ განვიხილავთ როგორც ცილისწამებას და ბინძურ პროვოკაციას. უფრო მეტიც, ეს პროვოკაცია იმდენად უსაფუძვლო და ამაზრზენია, რომ ამის შემდეგ ჩვენ ვეღარ განვიხილავთ გ. ციციშვილს მოკამათე მეცნიერულ მხარედ და სრულიად შეუძლებლად მიგვაჩნია მასთან რაიმე სახის ოპონირების გაგრძელება“. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ 2017 წელს ივანე ჯავახიშვილი სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა პროფ. შოთა ვადაჭკორიას ნაშრომი, მრავლისმეტყველი სათაურით „სინამდვილის გაყალბებისა და შეფასების XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკური სტილი (პასუხად გიორგი ციციშვილს)“. განა, დასაჯერებელია, რომ „ორმაბათობებზე“ გაჟღერებული დილეთანტური ტიტინი უნივერსიტეტისა და ისტორიის ინსტიტუტის პროფესორების ნააზრევზე უფრო

ღირებული იყო?!

რ. ჯავახიშვილისთვის მეორე ავტორიტეტულ ფიგურას დოკუმენტების ფალსიფიკატორი რ. კვერენჩილაძე წარმოადგენდა. ჩვენ ვნახეთ, რომ მან ჩემი საქალაქიდან გადმონერილ 1920-ინი წლების დოკუმენტს მ. ჯავახიშვილის 1937 წლის საგამოძიებო საქმის საარქივო ნომერი მიანიჭა. ასევე, ურცხვად გააყალბა მ. ჯავახიშვილის 1937 წლის საქმეში არსებული დოკუმენტები, რისთვისაც ვაიძულე გაზეთის მეშვეობით ბოდიში მოეხადა მკითხველისათვის [რ. კვერენჩილაძე, „მცირე განმარტება“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 25 ივნისი-2 ივლისი].

ჩემი დევნა-შევიწროება სხვადასხვა გზებით ხორციელდებოდა. მწერალთა კავშირიდან იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ გამრიცხეს, რომ წვერი არასდროს ვყოფილვარ. ახლა ჩემს სამსახურზე მიიტანეს იერიში. 2006 წელს, როდესაც ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ატესტაცია ტარდებოდა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მე ვერ გავიარე და უმუშევარი დავრჩი. წლების განმავლობაში ამოდ მოვითხოვდი დასაბუთებულ პასუხს, თუ კონკრეტულად, რა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა ჩემი მუშაობა. ვხვდებოდი, რომ 2006 წელს სადამსჯელო ოპერაცია ჩამიტარეს. საპასუხოდ, 2008 წელს გამოვაქვეყნე მოზრდილი ნაშრომი „მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე“. 18 წელი უმუშევრობაში გავატარე, თუმცა მუშაობა არასდროს შემინწყვეტია და რამდენიმე სერიოზული ნაშრომი გამოვაქვეყნე. მათ შორის: „ფიროსმანზე და არა მხოლოდ“, რომელიც ხელნაწერეთა ცენტრმა 2017 და 2019 წლებში გამოსცა, და „ფიროსმანის დაბადების და გარდაცვალების მისტერია“ (2023). წლების შემდეგ, ისტორიის ინსტიტუტში ჩემს სიმართლეში დარწმუნდნენ (თუმცა ამის გამო სამსახურში არ დავუბრუნებია). თავად გამოაქვეყნეს პროფ. შოთა ვადაჭკორიას ნაშრომი, რომელშიც 1924 წლის აჯანყების გეგმის გაცემას ეხება. უნდა ვაღიარო, რომ ეს ფაქტი ჩემთვისაც კი უცნობი იყო. კიდევ გავიდა წლები და მივიღე არაოფიციალური პასუხი, რომ მწერლის ოჯახის ახლობელმა, განათლების სამინისტროს მოხელემ, ვინმე სიმონიკამ, 2006 წელს დარეკა ისტორიის ინსტიტუტში და ჩემი გარიცხვა მოითხოვა. ხსენებულმა მოხელემ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, რამაც ჩემი, როგორც ფიზიკური პირის უფლების, კანონიერი ინტერესის დარღვევა (სამსახურიდან განთავისუფლება) გამოიწვია. მისი მოქმედება დასჯადია, მაგრამ მე მისთვის არ მიჩივლია და არც იმის იმედი მაქვს, რომ როდესმე სინდისი შეაწუხებს.

სამსახური რომ დამატოვებინეს, ესეც ეცოტავათ. გ. ციციშვილმა დაიწყო ჩემი ნაცნობ-მეგობრების ჩხრეკა და გამოძიება. ასე მიაკვლია, რომ ქალთა საერთაშორისო კლუბის წევრი და 2010-2012 წლებში პრეზიდენტი ვიყავი. სასწრაფოდ დაიწყო ამ კლუბის დამცირება და ცილისწამება, რის გამოც კლუბიდან გამოვედი, რათა ჩემი მეგობრები ამ ახირებული პიროვნებისგან დამეცვა. ესეც ეცოტავათ. 2012 წელის ივლისში საბერძნეთიდან ჩამოვედი და „ევროკლასიკისა“ და „აკადემია ჰომერიკას“ მიერ ჩემთვის მონიჭებული ჰომეროსის მედალი ჩამოვიტანე. მოულოდნელად ტელეფონის ზარი გაისმა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი, ბ-ნი გურამ გოგიაშვილი მირეკავდა. მეგონა, ჩემი მედლის გამო რეკავდა, მან კი მოკრძალებით მკითხა, მერვე პირველი რას ნიშნავსო? მე პირველი საშუალო სკოლა მაქვს დამთავრებული. თავის დროზე, მერვე კლასიდან ზოგიერთები სხვადასხვა სკოლებში გადავიდნენ, მაგრამ კლასელებთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. მეგობრებმა მერვე პირველი დავირქვით და არ ვკარგავთ ერთმანეთს. სწორედ ეს გამოუძიებია ბ-ნი ციციშვილს და „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემზე საჩივარი მიუტანია – ეგ ქალი მასონია, რაღაც საიდუმლო ორგანიზაციის წევრიაო! (1937 წელს რას იზამდა!). რასაკვირველია, ბ-ნი გურამი ყველაფერში გაერკვა. მან მასონობის აბსურდულ ბრალდებაზე უფრო საინტერესოდ ჰომეროსის მედალი მიიჩნია და კორესპოდენტი გამომიგზავნა ინტერვიუს ასაღებად, რასაც გ. ციციშვილს უნდა ვუმაძლოდე. წარმომიდგენია მისი ემოციები, როდესაც გაზეთს გადაშლიდა და თავისი დასმენა-საჩივრის ნაცვლად, ჩემი ინტერვიუ დახვდებოდა! რა გასაკვირია, რომ ყოვლისშემძლე პიროვნებად გამომაცხადა: „ის კი კარგად ვიცი, რომ თავის ჭკუაზე ატრიალებს გაზეთის რედაქტორებს და სახელმწიფო დანესებულებების ხელმძღვანელებს“. რომელი მეცნიერებიც ჩემს

დაბუღინგებაში ვერ აიყოლია – „ფინაჩი პროფესორები“ უწოდა და თანაც, ყველას მასწავლებელი მე ვყოფილვარ! მე და პროფესორი სოსო სიგუა „ძველ თანამებრძოლებად“ მოგვიხსენია და თავის „შედეგში“ [გ. ციციშვილი, „მიხილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებულად გაგება-გაშუქების წინააღმდეგ“, 2005] სპეციალური თავი მოგვიძღვნა „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“. ბ-ნ სოსო სიგუას შორიდან პატივს ვცემ, როგორც ნიჭიერ ლიტერატორს. მასთან არავითარი ახლობლობა არ მაკავშირებს, არც თანამშრომლები ვყოფილვართ და არც ერთ ოთახში ვმსხდარვართ როდესმე. არ ვიცი გ. ციციშვილს რა ხარების დაბმა ელანდება, ეს მისი პრობლემაა.

გ. ციციშვილის დონეზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თავის „მეცნიერულ“ ნაშრომში – „მაფალუ“, მე ასე მომიხსენიებს: „იაკინთეს გენი“. გ. ციციშვილი იძულებულს მხდის მისი გამოწვევა მივიღო და განვმარტო: ჩვენი გვარის ჟღერადობის გამო, ზოგს ბერძნები ვეგონეთ. გური-აში გავრცელებული გადმოცემის თანახმად, ჩვენი უძველესი გვარი ჰომერიდი იყო. ჰომეროსის შთამომავალი ჰომერიდების სამშობლო კუნძული ქიოსია. 2013 წელს ვწერდი: „და ქიოსზე ჩემი ჩასვლა იყო უკუდაბრუნება“ [მ. ხომერიკი, „ჩემი მცირე ოდისეა“, თბ., 2013] (სურ. №110). შემდეგ გადავწყვიტე ჩვენი დნმ-ის გამოკვლევა. როგორც პროფესორი თამარ ცინცაძე წერს: „ჩემმა მეგობარმა მანანა ხომერიკმა დნმ-ის ტესტი ჩაიტარა. აღმოაჩინა თავისი ძირძველი ქართული (არა ბერძნული) ფესვები“ [თამარ ცინცაძე, „აღსარება ესეების სახით“, თბ., 2024]. უნდა დავაზუსტო: დნმ ტესტი მე კი ჩავიტარე, მაგრამ რადგან Y-დნმ ტესტი მხოლოდ მამაკაცებს უტარდებათ, ამიტომ ეს ტესტი ჩემს ბიძაშვილს ჩავატარებინე. ამერიკიდან 2018 წლის 10 სექტემბერს მოვიდა პასუხი. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველობა დაგვიდასტურდა: „ჰაპლოჯგუფი G2a-L1266, რომელსაც თქვენ მიეკუთვნებით, არის 10500 წლის, არის ქართველურ-კავკასიური წარმოშობის და ერთ-ერთი დიდი სიხშირით გავრცელებული ჰაპლოჯგუფი ქართველებში“. ბერძენმა მეცნიერებმა კი აღიარეს ჩვენი კავშირი (ქალის სახით) ქიოსელ ჰომერიდებთან (ჰომეროსის შთამომავლებთან), რომლებიც ევროპული ცივილიზაციის სათავეებთან იდგნენ. ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. გ. ციციშვილს ვურჩევ Google-ში მოიძიოს „ევროკლასიკისა“ და „აკადემია ჰომერიკას“ მიერ 2012 წელს ქიოსზე ჩატარებული კონგრესის მიმოხილვა, სადაც წერია: *κ. Manana Khomeriki, ἀπόγονος των Ομηρίδων από την Τηλείδα Γεαργιάς* [https://www.imchiou.gr/index.php/enimerosi/deltia-typou-ana-koinoseis/8669-]. ეს ნიშნავს: „ქ-ნი მანანა ხომერიკი, ჰომერიდების შთამომავალი თბილისიდან, საქართველოდან“. ხოლო ჩემი ბროშურის „ჩემი მცირე ოდისეა“ უკანა ყდაზე დატანილია ბერძენი ჰომეროლოგის, დოქტორი ათინა ზაქარუ-ლოტარარის სიტყვები: „ის ფაქტი, რომ ქიოსელი ჰომერიდების შთამომავლები საქართველოში ცხოვრობენ, ძალზე მნიშვნელოვანია კუნძულ ქიოსისათვის“.

გ. ციციშვილს არც დედაჩემის, გულიკო შარაძენიძის, გენები აძლევს მოსვენებას. ჩემს შესახებ წერს: „საკუთარი თავი კი, დედის მხრივ იმერეთის მეფეების შთამომავლად გამოაცხადა. ეს არის მისეული „მეცნიერული ძიების“ შედეგი და მას ამის გამო არ რცხვენია“. საინტერესოა, საქართველოში როდიდან გახდა სამარცხვინო ბაგრატიონთა შთამომავლობა? დიახ, დედაჩემის ბების, ასპიროს ლევანის ასული ერისთავის დედა, ანასტასია როსტომის ასული, მართლაც ბაგრატიონი იყო. სწორედ მის ხსოვნას მივუძღვენი ჩემი ნაშრომი [მ. ხომერიკი, „ბაგრატიონები. უტყუარი მტკიცებულებანი დოკუმენტების გამყალბებლებისა და თვითმარქვიების წინააღმდეგ“, თბ., 2020]. ხოლო ანასტასიას მამის, იმერეთის აჯანყების მონაწილე როსტომ ბაგრატიონის ხსოვნამ შთამაგონა ჩემი მონოგრაფიის თემა „იმერეთის სამეფოს გაუქმება, იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“ (2012), რომელიც შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის თანადგომით გამოვეცი. რაც შეეხება დედაჩემის მეორე ბების, მაკრინე გიორგის ასული რჩეულიშვილის დედას, ეკატრინე ივანეს ასულს – ის გვარად შერვაშიძე იყო. მერედა, რა არის ამაში სამარცხვინო? განა, მე ჩემი საკუთარი გვარი და გენი ვუარყავი? ან, განა მამაჩემი, ოთარ იაკინთეს ძე ხომერიკი გადავიდა თავისი გამზრდელი ბების, ნატალია ილიას ასულ ბარათაშვილის გვარზე? პირადად მე

არასდროს ვყოფილვარ სნობი და საკუთარ გენს და გვარს არაფერი მიჩვენია. გაუგებარია, რას გვერჩის ეს უთვისტომო გ. ციციშვილი? როდესაც მე მას თავისი საკუთარი გენი და დნმ-ი ვუხსენე, ყელის გამოჭრის მუქარით მომდევნა რუსთაველზე, სანამ პოლიციას არ მივმართე. ამაზე მეტი ბულინგი რაღა უნდა იყოს? მისი ასეთი გამწარების მიზეზს აღარ ავხსნი, გამგები ისედაც გაიგებს.

ჩემი სისხლით ნათესავეების გარდა, გ. ციციშვილს ჩემი ოჯახის წევრების ნათელ-მირონიც არ აძლევს მოსვენებას. საქმე ის არის, რომ ჩემი შვილის ნათლიამ და ჩემმა უფროსმა მეგობარმა ქ-ნმა მარიამ ბარატიონ-მუხრანბატონიშვილმა, 1989 წელს, პარიზში დამპატიჟა, თავისი დის, რუსეთის მთავრინა ლეონიდა რომანოვას ოჯახში. მაშინ ქართველების სიძის გაცნობის საშუალება არ მომეცა, რადგან ის მადრიდში იმყოფებოდა, სადაც ოპერაცია ჩაუტარდა. ეს დანაკლისი მომდევნო წელს ავინაზლაურე და საიმპერატორო ოჯახის უფროსის, დიდი მთავრის, ვლადიმირ კირილის ძე რომანოვის ინტერვიუც ჩავიწერე, მაგრამ ერთი რამ ვერ გავითვალისწინე: თურმე, გ. ციციშვილისგან უნდა ამელო ნებართვა. აი, რას წერს ეს „მეცნიერი“: „მ. ხომერიკი კი 1989 წელს საფრანგეთში დასეირნობდა, კობურგში საქართველოს ჯალათების, რუსეთის მეფეების მემკვიდრე, ვლადიმირ კირილეს ძე რომანოვს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველოს მომავალ სახელმწიფოებრივ სტატუსზე ემასლაათებოდა (იხ. მისი „წერილები“).“ ხსენებული ინტერვიუ 1990 წელს მაქვს აღებული პარიზში, ხოლო კობურგში და საერთოდ, გერმანიაში, არასდროს ვყოფილვარ. საიდან მოეჩვენა გ. ციციშვილს კობურგი? ჩავიხედოთ ინტერვიუში, სადაც მე დიდი მთავარს ვუსვამ კითხვას: „ზაფხულში, არქივში მუშობისას, წავაწყდი ცნობას, თითქოსდა, ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტი 20-იან წლებში საფრანგეთიდან წასულა „კობურგში, კირილთან მოსალაპარაკებლად საქართველოს მომავალ ბედზე, რუსეთში იმპერიის აღდგენის შემთხვევაში“. ხომ არ არსებობს მამათქვენის, დიდი მთავარის კირილ ვლადიმირის ძის ქართველ ემიგრანტებთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტი? ან, იქნებ ამ კონკრეტული შემთხვევის თაობაზე გვითხრათ რაიმე?“

პასუხი: „ოციან წლებში ჩვენი ოჯახი მართლა ხშირად იყო ხოლმე კობურგში, სადაც სახლი გვექონდა. დედაჩემი კობურგის ჰერცოგის (ინგლისის დედოფალ ვიქტორიას მეორე ვაჟის) ქალიშვილი იყო. შემდგომში კობურგის სახლიდან ბევრი რამ დაიკარგა. ამიტომ ვერ გეტყვით იყო, თუ არა ის საინტერესო ფაქტი, რომელიც თქვენ მაცნობეთ, დოკუმენტურად ასახული. პირადად მე კი მაშინ პატარა ვიყავი“ [„ძალადობა მხოლოდ სიძულვილს შობს“, წიგნი: მ. ხომერიკი, „წერილები“, თბ., 2006, გვ. 178].

როგორი გონებაშეზღუდული უნდა იყოს ისტორიკოსი, რომ კობურგი საფრანგეთში ეგონოს?! სამაგიეროდ, ინტრიგანობაში პროფესორ გ. ციციშვილს ბადალი არ ჰყავს. ჩემს შესახებ კითხულობს: „საკითხავია ვისი დავალებით მოგზაურობდა და მუშაობდა?“ მე, რასაკვირველია, მოვალე არ ვარ ყველა უვიცს პასუხი გავცე, მაგრამ მკითხველების საყურდღებოდ ვიტყვი, რომ 1990 წელს, რომანოვებისა და ბაგრატიონების ოჯახებში, პარიზში, სენტ-ბრიაკში, მადრიდსა და მარბეიაში ვიმოგზაურე რეჟისორ სოსო ჩხაიძის ფილმის კონსულტანტის სტატუსით (ფილმის დასრულება ვერ მოხერხდა რეჟისორის გარდაცვალების გამო). ამავე მოგზაურობის დროს ჩავიწერე რამდენიმე ინტერვიუ: გიორგი (ხორხე) ბაგრატიონ-მუხრანბატონის, საფრანგეთის პრეზიდენტების პირადი თარჯიმნის, თეოლოგის, დიპლომატის – კონსტანტინე ანდრონიკოვის, ალბანეთის ყოფილი დედოფლის – ჟერალდინ ალბანელის. ეს პიროვნებები დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებად არიან ქცეული. ნუთუ მე, როგორც ისტორიკოსს, თავის დროზე ასეთი შესაძლებლობა უნდა გამეშვა ხელიდან და გ. ციციშვილის შიშით უარი მეთქვა მათთან ურთიერთობაზე? წლების შემდეგ დედოფალ ჟერალდინის შვილიშვილმა, ლეკა II-მ, (HRH Crown Prince Leka II Zogu), რომელიც დღეს ალბანეთში ტახტის მემკვიდრის სტატუსით ცხოვრობს, ბებუის ფოტოებისთვის მაღლობა გადამიხადა და ახალი წელი მომილოცა: „Dear Manana Khomeriki, Dear Madame, Thank you for the photos, they are most appreciated. Queen Geraldine was an incredible Queen and a perfect Grandmother. Please accept my fondest regards and best wishes for 2017! Sincerely, Leka II.“ აქვე უნდა მოვიხსენიო რომანოვების

და ბაგრატიონების მეგობრები, თურქეთის პრინცესები, მათი საიმპერატორო უმაღლესობები დედა-შვილი ირინა და ნილუფერი, რომლებიც ამავე დროს ეკეტერინე გურამიშვილის შთამომავლები არიან და რომელთაგანაც ასევე ჩავინერე ინტერვიუ. ეს ფაქტი გაიხსენა პრინცესა ნილუფერმა თავის წიგნში, რომელიც გარდაცვლილ ქალიშვილს მიუძღვნა: [Princesse Nilufer La Sultane des enfants maladies, „Pour l'amour de Tatiana“, p.p. 213, 214, 215] (სურ. №111, სურ. №112, სურ. №113).

ცხადია, გ. ციციშვილს ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება ისტორიკოსი სხვისი კარნახის გარეშე, საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედებდეს. თავად ხომ დავალების გარეშე არ დაგმობდა „მეგრელების დანარჩენ ქართველებთან სწრაფი შეზღვევის ტაქტიკას“. მან ეს ანტისახელმწიფოებრივი აზრები 2003 წელს ჩამოაყალიბა და ანოტაციის სახით დაურთო თავის წიგნს „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ., 2003], რომლისთვისაც ჩემი ძალისხმევის შედეგად, პრემია ვერ მიიღო.

და მაინც ყველაზე უფრო გულისამრევი და მდაბიური საქციელი რეზო კვერენჩილაძემ ჩაიდინა, რომელსაც რაც თავი მახსოვს ვიცნობ. მან გადანყვიტა ჩემი ოჯახის წევრები დაეპირისპირებინა ჩემთვის: „კვლავ არ მოისვენა მ. ხომერიკმა, არც შინაურების რჩევას უგდო ყური...“ [რ. კვერენჩილაძე, „საბუთები ღალატებენ...“, თბ., 2011, გვ.359]. საინტერესოა, ვინ ჩემს შინაურებთან გადიოდა კონსულტაციას ეს ქორიკანა? იქნებ, მამაჩემთან, კაცთან, რომელსაც არასდროს უავადმყოფია, რომელიც უშიშრად შევიდა გალიაში ლომის მოსაფერებლად, რომელიც რ. შიშნაშვილის პუბლიკაციის შემდეგ ყოველდღე ელოდა ჩემგან სიახლეებს და რომელსაც სულ რაღაც ორ თვე ნახევარში გული გაუჩერდა? ან, იქნებ ბებიაჩემი, მამაჩემის დაკრძალვის მერე გაიქცა რ. კვერენჩილაძესთან ჩემზე საყვედურების სათქმელად? რ. კვერენჩილაძის ბოროტებას საზღვარი არ აქვს. მისი წიგნიდან შევიტყვე, რომ თურმე, სასამართლოში დავმარცხებულვარ. ჰოდა, 2012 წლის 28 იანვარს მივედი მისი წიგნის პრეზენტაციაზე, რათა დამესვა ლეგიტიმური შეკითხვა: სად და როდის მოხდა ეს მოვლენა, რომლის შესახებ მე არაფერი მსმენია. რ. კვერენჩილაძეს წინასწარ გაუთვალისწინებია ჩემი შესაძლო ვიზიტი და სცენაზე ასასვლელ კიბესთან ორი მოჭიდავე დედაკაცი დამახვედრა, რომელთაგან ერთი მისი საკუთარი ქალიშვილი ბრძანდებოდა. დიდი ძალისხმევის შედეგად დავუხსლტი მოჭიდავეებს და სცენაზე ასვლა მოვახერხე, თუმცა ამომყვინ და ტანსაცმელს მახევდნენ! ასეთი აშკარა ბულინგი წიგნის პრეზენტაციაზე წარმოუდგენელია. დამსწრე „კულტურული“ საზოგადოებიდან კი გაისმა რეპლიკა: „ლამაზი პალტო აცვია!“ რ. კვერენჩილაძეს შევახსენე, რომ მან გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე თავად აღიარა თავისი შეცდომა, მაგრამ ის გაუნძრევლად იჯდა და თვალებს ნაბავდა. ერთი საკმაოდ ცნობადი ახალგაზრდა ქალი კი გაბმით ყვიროდა. რა აყვირებდა? თავისი არაჯანსაღი ფსიქიკა. საბრალო! ამ სამარცხვინო ბაკქანალიის დეტალებს აღარ გავიხსენებ. ვიტყვი მთავარს: ჩემთვის დღესაც უცნობია, რომელ სასამართლო პროცესზე დავმარცხდი. დასასრულ მინდა რეზო კვერენჩილაძის პიროვნებაზე შევჩერდე. მწერალთა კავშირში მას ყოველთვის ერიდებოდნენ. ამ უპარტიო კაცისთვის ყველა დახურული არქივის კარი ღია იყო. როგორც ბათუმელი პოეტი მამია ვარშანიძე ჰყვებოდა, კვერენჩილაძეებს ბათუმში არ ჩაესვლებოდათ. ბათუმში ერთი პიროვნება ჰყოლიათ დაკითხვაზე. რევან კვერენჩილაძის მამა, კასიანე პირზე დაადგა მსხვერპლს და იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ეს საცოდავი ფანჯრიდან გადახტა. დავარდნისას ქვაზე დაარტყა წელი, საშინლად ეტკინა და იყვირა: „ხალხო, ერიდეთ პროვოკატორ კასიანე კვერენჩილაძესო!“ როდესაც რ. კვერენჩილაძემ ძალიან შემანუხა, მე მას ეს ამბავი მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში, მონმეების თანდასწრებით შევახსენე. „აბა, რა უნდა ექნა მამაჩემსო!“ – პირველად მხოლოდ ეს წაილულულა. შემდგომში, გადანყვიტა ეს ფაქტი შელამაზებული სახით მიენოდებინა მკითხველისათვის და თავის ოჯახზე წიგნი დაენერა [რ. კვერენჩილაძე, „რეპრესირებული ოჯახის ისტორია“, თბ., 2006]. მოქმედების ადგილი შეცვალა, ბათუმი გურიის სოფელ ჩოჩხათით ჩაანაცვლა, სადაც ეს ამბავი არ მომხდრა და სადაც ამის შესახებ არავინ არაფერი იცის. ერთი ქვეთავი ასე დაასათაურა: „ადრინდელი დაპატიმრებები“, ანუ 1937 წლამდე, სანამ ბოლოს დააპატიმრებდნენ და დახვრეტდნენ მამამისს. სად

წერია აქ ადრინდელ დაპატიმრებებზე? – არსად! რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, სათაურსა და შინაარსს შორის ასეთი გამიზნული შეუსაბამობა ვერავინ შეამჩნია. არადა, 1937 წლამდე, კასიანე კვერენჩილაძე სამჯერ იყო დაპატიმრებული, როგორც მენშევიკი [საარქივო სამმართველო, ფონდი №6 ტომი – ყუთი №84] (სურ. №114).

ეს ფაქტი სამარცხვინო არ არის, მაგრამ რეზო კვერენჩილაძე ხომ სულ მენშევიკების ლანძღვაშია! ამასთან, თავისი მამის ჩამშვებობის გამოაშკარავება არ უნდოდა და გზაკვალის არევდარევას შეეცადა. თავისთავად, კვერენჩილაძეების რეპრესირებული ოჯახი, სხვა რეპრესირებული ოჯახების მსგავსად, დიდ თანაგრძნობას და პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რ. კვერენჩილაძის ყოველ სიტყვას უნდა ვენდოთ. მართალია, ის კეთილსინდისიერად გვაცნობს თავის მრავალრიცხოვან ნათესავებს, მამიდებს, ბიცოლებს, მოგვითხრობს, რომ მისი ერთი ბიცოლა აბორტის მსხვერპლი გამხდარა, მაგრამ მამამისის ადრინდელ დაპატიმრებებზე ჯიუტად სდუმს. ამავე დროს, მკითხველს თავისი სანათესაოს უამრავი ფოტოს გაზიარებით ანებივრებს. ვერ ვიტყვით, რომ ისინი თავისი გარეგნობით ბრწყინავენ, მაგრამ სავარაუდოდ, თავად რევზისგან განსხვავებით, კარგი ადამიანები იქნებოდნენ. რ. კვერენჩილაძე ირწმუნება, რომ მამამისი „მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი“ იყო. ახლა კი საარქივო დოკუმენტებში ჩავიხედოთ:

„Сов. Секретно

Меморандум на осужденного Кверенчиладзе К. В./ к след. Делу №16840

Социальное происхождение (установочные данные) – Кверенчиладзе Косьян Виссаронович, 39 лет, семейный, с нисшим образ. б./кулак, б./мек с 1917г...“ [საარქივო სამმართველო, ფონდი №6 ტომი – ყუთი №84]. როგორც ვხედავთ, მას „დაბალი განათლება“ ჰქონია, რაც მეფის არმიაში მის ოფიცრობას ეჭვქვეშ აყენებს. გარდა ამისა, თუ გლეხი ოფიცრობას იმსახურებდა, მას პირად აზნაურობასაც აძლევდნენ. კასიანეს კი უწერია – ყოფილი კულაკი. ასევე, ყოფილი მენშევიკი 1917 წლიდან...

მომყავს რამდენიმე ამონარიდი ამავე წიგნის ქვეთავიდან „ბათუმი, 1937 – ბათუმის ციხე, გადასახლება“: „1931 წლიდან ჩვენი ოჯახი ბათუმში ცხოვრობდა...“ ეს ნიშნავს, რომ ის ინციდენტი, რისი დამალვაც სურს, 1931 წლის შემდეგ მოხდა და არა 1920-იან წლებში. რ. კვერენჩილაძე წერს: „...და, აი, დადგა ჯოჯოხეთური 1937 წელი და დააპატიმრეს უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული მამაჩემი...მაგრამ ვიდრე მამას ამავე წელს ფიზიკურად გაანადგურებდნენ, ის ადრეც რამდენჯერმე იყო დანაპატიმრები მცირე ვადით“. რისთვის? ამას კვლავ გვიმაღავს, რადგან მენშევიკები სძულს და არ უნდა მამამისის მენშევიკობა შევიტყოთ. ზემოხსენებული საჩოთირო ფაქტი კი ასე შეაღამაზა: „აი, რა გაუმხილა დედას ახლად გასაბჭოებულ საქართველოში ლანჩხუთის ჩეკას უფროსად მომუშავე ერთმა კომუნისტმა (სამწუხაროდ მისი გვარი აღარ მახსოვს – რეპრესიებზე რაიმეს ჩანერა და მით უმეტეს შენახვა აგერ გვიანობამდე საშიში იყო, ხოლო დედა გაცილებით ადრე გარდაიცვალა): „მენშევიკების დროს არალეგალურად ვმუშაობდი. დამაპატიმრეს. შემიყვანეს იმ ორსართულიან ოდა-სახლში, სადაც განლაგებული იყო სოფელ ჩოჩხათის ხელისუფლება. ამიყვანეს მეორე სართულზე, გამატარეს ერთ ოთახში. ვხედავ ვილაცის მაგიდასთან ზის ჩემი გვარიანი ნაცნობი კასიანე კვერენჩილაძე. ვიფიქრე: ჩემს დასაცავად რამეს როგორ არ იტყვის-მეთქი. მაგრამ ისე გამატარეს, კასიანეს არაფერი დაცდენია...გამიყვანეს მეორე ოთახში და დამტოვეს. ირგვლივ არავინაა, ფანჯარა კი ღიაა. არც არავინ მაკითხავს, მხოლოდ წინა ოთახიდან ისმის წყნარი ლაპარაკი...ფრთხილად ავდექი და ფანჯრიდან გადავიხედე –ეზოშიც არავინ ჩანს. ფანჯრის ქვეშ კი მაღალი ბალახია. ჰოდა, ვისკუპე, გადავხტი და რაღაც საშინელებაზე დავეცი... გონს რომ მოვედი, ვნახე ბალახებში ნამსხვრევი ქვები ყოფილა ჩამალული. ნელ-ნელა მოვსულიერდი, კვლავ არავინ ჩანს, ცოტ-ცოტა გავცოცდი და ასე ვიხსენი თავი. ტკივილებისაგან განანამებმა დავიქადნე, კასიანე კვერენჩილაძე, თუ როდესმე ხელისუფლებაში მოსვლა მეღირსა, გაგამწარებ-მეთქი“ [რ. კვერენჩილაძე, „რეპრესირებული ოჯახის ისტორია“, თბ., 2006, გვ. 23-24]. ამ ისტორიის მოყოლის შემდეგ, ჩეკისტს რეზოს დედისთვის უთქვამს: „ახლა ნაბრძანდით და თქვენს ქმარს დილით

გამოვუშვებო და მართლაც შეუსრულებია სიტყვა“. ისმის რამდენიმე კითხვა: თუ ეს ამბავი გურიის სოფელში მოხდა, მაშინ ბათუმში რატომ გაუტყდა სახელი კასიანეს, როგორც ამას ბათუმელი პოეტი ჰყვებოდა და რევზ კვერენჩილაძე ვერ უარჰყოფდა? თუ ეს მონათხრობი სიმართლეს შეესაბამება, მაშინ გამოდის, რომ კასიანეს „მენშევიკების დროს“ სოფელ „ჩოჩხათის ხელისუფლებაში“ გარკვეული ადგილი ეჭირა და ოდა-სახლში „ვილაცის მაგიდასთან“ კი არა, საკუთარ მაგიდასთან იჯდა. რ. კვერენჩილაძე კი ირწმუნება: „მამას, როგორც ვიცი, არავითარი თანამდებობა არ ეკავა ჩოჩხათის ხელისუფლებაში და, ბუნებრივია, მომავალი ჩეკისტის საქმეში, კიდევ რომ ძალიან მოენადინებინა, ვერ ჩაერეოდა“. ამის შემდეგ, რ. კვერენჩილაძე (1937 წლის დაპატიმრებისადმი მიძღვნილ ქვეთავში) უფრო ადრინდელ ამბებს იხსენებს: „1924 წლის გამოსვლების დროსაც ნაუყვანიათ მამა ოზურგეთის ციხეში, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს სოფელში არც ყოფილა. დედამ კი ცხენი და გამყოლი იქირავა, ღამით იარა, ოზურგეთში ჩავიდა და გურიაში გამოსვლების საქმეთა გამოსაკვლევად ჩასულ ფილიპე მახარაძესთან შესვლა მოახერხა (ამბობენ, 1924 წლის ამბების გარჩევისათვის ფილიპე შედარებით რბილად მოიქცა) ფილიპე ფეხზეც კი წამომდგარა და ისე შეგებებია – რამ შეგანუხათ მეგრელის ქალოო.

დედაჩემს უთქვამს – ჩემი ქმარი იმ დღეს სოფელში საერთოდ არ ყოფილა, სოფლის გამოსვლებში მონაწილეობას როგორ მიიღებდაო. ეტყობა, ეს თავადაც კარგად იცოდნენ ჩეკისტებმა. ფილიპეს უპასუხნია, ნაბრძანდით, თქვენს ქმარს მალე გამოვუშვებთო და ეს მართლაც ასე მომხდარა!“ [რ. კვერენჩილაძე, „რეპრესირებული ოჯახის ისტორია“, თბ., 2006, გვ. გვ. 25, 26]. არ ვიცი რა იცოდნენ ჩეკისტებმა და რა არა, მხოლოდ 1933 წელს შედგენილ საიდუმლო მემორანდუმში წერია, რომ კასიანე 1924 წელს შეიარაღებულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა: «руководил вооруженным восстанием в 1924г.». თუ ეს მართალია, საკითხავია, როგორ და რის ფასად გადაირჩინა თავი? რ. კვერენჩილაძემ ფ. მახარაძის მიერ 1924 წელს უანგაროდ ჩადენილი კეთილი საქციელი აგვიწერა, მაგრამ დაგვიმალა, რომ ფილიპე 1933 წელსაც დაეხმარა კასიანეს. „საბუთები ღალატებენ“ (რ. კვერენჩილაძეს დავესესხები), რომ კასიანეს 1931 წლის 24 ოქტომბერს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და სწორედ ამ თარიღიდან უნდა დაწყებულიყო ვადის ათვლა, რაც 1933 წლის 24 ოქტომბერს სრულდებოდა, მაგრამ კეთილმა ფილიპემ მახარაძემ 6 თვით ადრე გაათავისუფლა. მომყავს ამონაწერი „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის 10 აპრილის სხდომის ოქმიდან №9/17:

«№17. Слушали

Кверенчиладзе Косьян Виссаронович, 39 л., семейный, с нисш. образ. Обвиняется в преступл. Предусм. ст. ст. 58/10 УК ССРГ. Постановлением Коллегии Груз. ГПУ от 2/III-32г. Осужден на два года, считая срок с 24/X-31г.

Постановили:

Осужден. Кверенчиладзе Косьяна Виссарионовича от оставшейся меры соцзащиты освободить.-

Председатель Цик Грузии – Ф. Махарадзе

Секретарь – Т. Жгенти

ОРД 886» [საარქივო სამმართველო, ფონდი №6 ტომი – ყუთი №84] (სურ. №116).

აქვეა 1933 წლის 21 აპრილის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს კ. კვერენჩილაძის დაუყოვნებლივ განთავისუფლების ბრძანებას: «Получением сего немедленно освободить из-под ареста гражд. Кверенчиладзе Косьяна Виссароновича

Извещение к Ордеру 886

Апреля 21 1933.» [საარქივო სამმართველო, ფონდი №6, ტომი – ყუთი №84] (სურ. №115).

რატომ, რით დაიმსახურა ბ-ნმა კასიანემ ეს შეღავათი? სწორედ ამ პერიოდში ხომ არ ჩაუშვა მეგობარი, რომელიც რ. კვერენჩილაძემ ჩეკისტად დაგვიხატა, რათა მკითხველს მისადმი სიმპატია არ გასჩენოდა. ახლა ბევრ რამეს ველარ დავადგენთ, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, რ. კვერენჩილაძე ერთს ღალატებს, საბუთები კი – მეორეს!

გასაგები ხდება, თუ რატომ გადამემტერა ჩემი ძველი ნაცნობი რ. კვერენჩილაძე მას შემდეგ, რაც სუკ-ის არქივში შევალნიე და ის მართო არ ყოფილა. ეს ფაქტი საზოგადოება „მემორიალის“ რამდენიმე წევრსაც არ ექაშნიკა. რასაკვირველია, ყველა მათგანმა, თავისი მშობლების რეპრესიების გამო, დიდი უბედურება გადაიტანა, მაგრამ განა ზოგიერთს დასამალი არაფერი ჰქონდა? მაგალითად, ნიკოლო მინიშვილის შვილი, ჩემი ნაცნობი, ბ-ნი ილამაზ მინიშვილი უნდა დავასახელო. მართალია, პირადად აშკარად არ მებრძოდა, მაგრამ მხარში ედგა რეზო კვერენჩილაძეს, რომელიც ძალღონეს არ იშურებდა ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად. რა სჯიდა ილამაზ მინიშვილს? ის „მემორიალის“ ერთ-ერთი დაფასებული თავკაცი ბრძანდებოდა. რაში აძლევდა ხელს, რომ მე საიდუმლო დოკუმენტებში ჩამეხედა? სიმართლე კი უჩემოდაც გამომჟღავნდა. გთავაობთ ამონარიდს გელა სულაძის ნაშრომიდან: „საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში, ქართული ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს საქართველოს მომავალზე განსხვავებული შეხედულება ჰქონდა, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებაში. მათ გულწრფელად სჯეროდათ კომუნისტური პროპაგანდისა და საბჭოთა ხელისუფლების დაპირებებისა. ამ ადამიანთა შორის იყო ქართველი პოეტი, გამომცემელი და მთარგმნელი, იმ პერიოდში ჯერ კიდევ დაუოჯახებული, საშუალო განათლების და სამხედრო ვალდებული ნიკოლო (ნიკოლო) იოსების ძე მინიშვილი (სირბილაძე) (დაიბადა 1896 წელს ქ. ქუთაისში), რომელიც საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ ქართული ემიგრაციის „გასახრწნელად“ გამოიყენა. ნ. მინიშვილი ქართველ ემიგრანტთა საქართველოში დაბრუნების მიზნით აგიტაციის საწარმოებლად 1925 წლის დასაწყისში საზღვარგარეთ, კერძოდ, პარიზში გააგზავნეს. გრიგოლ ვეშაპელის გადმოცემით, ნიკოლოზ მინიშვილი იყო „საქართველოს წარმომადგენელი საბჭოთა ხელოვნების პავილიონში“.

ნ. მინიშვილის საზღვარგარეთ მივლინების ორგანიზებაში რომ ლ. ბერიას და მისი უწყების ხელი ერია მონაწილე ერთი „საიდუმლო“ (პირადად) გრიფის წერილი, გაგზავნილი საქართველოს საგანგებო კომისიის პასუხისმგებელი პირების მიერ საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივნის მიხ. კახიანისადმი (8 სექტემბერი, 1925 წ. №11851/ც):

«Согласно распоряжения тов. Берия, препровождаем загранпаспорт гр-на Мицишвили Николая для вручения последнему.

Приложение: упомянутое».

ნ. მინიშვილმა შემდგომში, ეროვნული მწერლობის მიზნით, არაერთხელ გაილაშქრა პროლეტარული მწერლობის წინააღმდეგ. სწორედ მისი მოქალაქეობრივ-ფილოსოფიური მრწამსი იმ ავბედით პერიოდის ქართულ საბჭოთა მწერლობასა და მწერლებზე, რაშიც ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი ანტიკომუნისტურ აზროვნებას ხედავდა, გახდა საფუძველი მისი დაპატიმრებისა 1937 წლის 1 ივნისს“ [გ. სულაძე, „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წ. წ.)“, თბ., 2010, 105].

ნ. მინიშვილის შესახებ, იმავე სახის ინფორმაციას ვხვდებით საფრანგეთში მოღვაწე ისტორიკოსის, გ. მამულიას ნაშრომში. ავტორი აგვიწერს 1925 წლის 9 აგვისტოს, პარიზში, კაფე „ვოლტერში“ ჩატარებულ კრებას, რომლის მიზანი ქართული საბჭოთა კოლონიის შექმნა იყო. „კრების ორგანიზატორად გამოვიდა ქართველი პოეტი-ბოლშევიკი ნიკოლო მინიშვილი, რომელიც, თუმცა ფორმალურად ბოლშევიკთა პარტიის წევრი არ იყო, ემიგრანტებს შორის პროპაგანდისტისა და ბოლშევიკების მხარეზე აგენტურის გადმოხრებას ეწეოდა «выполнял среди эмигрантов роль пропагандиста и вербовщика большевистской агентуры». 1924 წელს, სწორედ მან უბიძგა ვეშაპელს ბოლშევიზმისკენ და დაარწმუნა, რომ თავის თავზე აელო გაზეთ „ახალი საქართველოს“ გამოცემა [Г. Мамулия, «Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945)», Тбилиси-Париж, 2012, с. 131]. და ყოველივე ამის შემდეგ, რა უპირატესობა ჰქონდა „მემორიალის“ ერთ-ერთ თავკაცს, ი. მინიშვილს, ჩემთან შედარებით? მხოლოდ ის, რომ მამამისი დახვრიტეს, (რაც ძალზე სამწუხაროა), ხოლო ბაბუაჩემი შეყვანილი ჰყავდათ დასაპატიმებელთა სიაში, მაგრამ 1938 წელს დაპატიმრებები მინელდა, რის გამოც, მისი დაპატიმრება და დახვრეტა აღარ მოესწრო. სრული შემთხვევითობა!

ეს იყო და ეს.

პუბლიკაციის ავტორმა გ. ციციშვილმა, როგორც ვნახეთ, ი. ლისაშვილის დამსახურებების ვინაობა არ გაამხილა და ნომრებით აღნიშნა. მე კი ვიტყვი, რომ ესენი არიან ნიკოლო მინიშვილი და დათიკო წერეთელი, თუმცა მე ამის გამო არასდროს მქონია რაიმე პრეტენზია ბ-ნ ილამაზსთან. თვითონ რას მერჩოდა – ეს კი გაუგებარია ჩემთვის.

ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმისა, რისი გადატანაც და ვისგანაც თავდაცვა მიხდებოდა 1988 წლიდან დღემდე. ერთადერთი რაც ძალას მაძლევდა, ჩემი სიმართლე იყო, რამაც აუღებელი ციხე-სიმაგრეები ამაღებინა!


პუბლიცისტიკის დარგში
ქეთევან შიხეილის ასული ჭავა-
ხიშვილი — პუბლიცისტი — წი-
გნისათვის „მიხეილ ჭავახიშვილის
ცხოვრება“ (გამომცემლობა „მე-
რანი“, 1990).

№105. [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ., 8 ოქტომბერი; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1992 წ., 16 ოქტომბერი].

პუბლიცისტიკის დარგში:

1. ქეთევან შიხეილის ას-
ულ ჭავახიშვილს (გარდაც-
ვლების შემდეგ) — წიგნისათ-
ვის „მიხეილ ჭავახიშვილი —
ხელეტიკისტი, პუბლიცისტი,
ჟურნალისტი“ (გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“, 1989).

№106. [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993, 1 იანვარი]



№107. [გ. აბაშიძე, „ლაკრენტი ბერიას“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 15 მაისი].

P.S.

შემოსულ წერილზე ქალბატონ მანანა ხომერიკს გა-
ეცა პასუხი ხოლო საქართველოს პრეზიდენტთან არსე-
ბულმა კომიტეტმა ქალბატონ ქეთევან ჯავახიშვილს, ფა-
რული კენჭისყრით, ერთხმად მიანიჭა 1992 წლის საქარ-
თველოს სახელმწიფო პრემია პუბლიცისტიკის დარგში.

№108. [მ. ლებანიძე, „სიტყვები“, გაზ. „ლიტერატურულ საქართველო“, 2000, 29 დეკემბერი – 4 იანვარი].

იმედია, მწერალთა კავშირი ხმას აიმაღლებს და დაიცავს კლასიკოსი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ღირსებას, რათა არ იქნას შელახული და იგნორირებული მისი მწერლური შემოქმედება და მამულიშვილური დამსახურება.

იძულებული ვართ, მივმართოთ ქართველ საზოგადოებას და პრესას, რათა ხმა აიმაღლონ მიხეილ ჯავახიშვილის სახელის დასაცავად.

მოგმართავთ თქვენ, ბატონო თამაზ და გთხოვთ, დაიცვათ გამოჩენილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ღირსება უსაფუძვლო ბრალდებებისა და ცილისწამებისაგან.

პატივისცემით,

რუსუდან ჯავახიშვილი
მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილი

№109. [რ. ჯავახიშვილი, „საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ თამაზ ნივნივაძეს“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2003, 5-11 დეკემბერი].

მარადიული დაბრუნება

*„უკუნმქცევსა მრგულივი მოქმედებაი აქვს“.
პროკლე დიადოხოსი (ახ. წ. V ს.).*

მინა ბრუნავს, დრო იცვლება,
საბოლოოდ მაინც ყველა
თავის სანყისს უბრუნდება
და ქიოსზე ჩემი ჩასვლაც იყო
უკუდაბრუნება.
როგორც უთქვამს ფილოსოფოსს,
მე ვყოფილვარ მეტრფე ჩემთა
„მიზეზთა და დასაბამთა“
მენადე ვარ „კეთილობის.“
მარადიულ
დაბრუნებას აქ
ნერტილი არ ესმება,
ახლა სახლში
დავბრუნდები.
წრე შეიკრა საოცარი,
სად ვინყები,
სად ვმთავრდები?

№110. [მ. ხომერიკი, „ჩემი მცირე ოდისეა“, თბ., 2013].

Outre la télévision E-média, David nous avait expliqué que nous devions donner une interview au journal *Georgia Today* ainsi qu'à une historienne, amie de leur famille, Manana Khomeiriki.

№111. [Princesse Nilufer La Sultane des enfants maladies, "Pour l' amour de Tatiana~, p.p. 213

Puis, nous rencontrâmes Manana Khomeiriki. Elle savait, par Georges, que maman venait pour la première fois en Géorgie se recueillir sur les tombes de ses ancêtres, qui avaient été les seigneurs de Sagouramo.

№112. [Princesse Nilufer La Sultane des enfants maladies, "Pour l' amour de Tatiana~, p. 214].

SUR LES TRACES DE NOS ANCÊTRES

Nous nous installâmes confortablement pour répondre aux questions de Manana, qui en tira, pour le *Georgian Republic* un très long article élogieux sur nous deux, sur mon arrière-arrière-grand-père, le général Starosselsky, qui, bien que non géorgien, avait grandement participé au bien-être de son pays d'adoption, et à celui de sa chère femme, la princesse Ekaterina.

№113. [Princesse Nilufer La Sultane des enfants maladies, "Pour l' amour de Tatiana~, p. 215].

162

КГБ при ЦМ СССР

Секретно

Уч. отдел 2 отделение

Исполнитель Старели тел. № _____

(Фамилия)

Просьба выдать справку

1. Фамилия Кверенгеладзе

2. Имя и отчество Касбян Викторович

3. Год рожд. _____ 4. Место рожд. _____

5. Адрес _____

6. Место работы и должность _____

7. Какая нужна справка о судим. 1923, 1927

8. Для чего нужна справка и 1931г, и где нахо-
дятся дела

Нач. Уч. отдела _____

№ 13 XII 195 г.

(звание, фамилия)

№114. [სარქივო სამმართველო, ფონდი №6 ტომი – ყუთი №84].

№ 9/17

1938 წ. Апрელა II.

პანებს ველით 1938 წ.

თქვენ №-ზე

ს ა მ ბ ა წ ე რ ი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მაღ. შრომადგომის

1938 წ. Апрелა 10 სსრმის ოქმიდან № 9/сек.

№ № რიგზე

ს ლ უ შ ა ლ ი

17. **Кверенчиладзе Касьян Виссарианович, 39 л., семейн. с нисш.образ. Обвиняется в преступл.предусм.ст.ст.58/10 УК ССРГ. Постановлением Коллегии ГрузГПУ от 2/III-32г.осужден к заключению в исправдом сроком на два года,считая срок с 24/X-31г.**

П о с т а н о в и л и :

Осужден.Кверенчиладзе Касьяна Виссариановича от оставшейся меры соцзащиты освободить.

Председатель ЦИК Грузии - Ф.Махарадзе

Секретарь - Т.Агенти

Верно. - [Signature]

Handwritten notes and stamps are visible on the document, including a large diagonal stamp on the right side and a circular stamp at the bottom left.

№115. [საარქივო სამმართველო, ფონდი №6 ტომი – ყუთი №84].

Тяжело сердечно

Гр. ии комиссар, я скажу все что еще
трагично то, что я слышал эту, в уст. котвр. и
сам не сарии.
Моя и все что тако. Я полностью соз
всю

наю в него что ~~напрямую~~ огром.

С один раз, 14 букв

наш мой были моего преступника.

лей тому коза, я подобное же преступление

меня, ~~выражена~~ ~~как писателя~~ ~~и да~~
не больше того, тем я заслуживаю.

меня тем ~~удобнее~~ ~~мое~~ ~~мой~~ ~~второй~~
~~в вынужден~~

мая имена. Но ~~принятого~~ ~~35 лет~~

~~на общественно-литературную деятельность,~~
~~не найдете ли вы~~

~~быть~~ ~~можете~~ ~~вы~~ ~~найдете~~ Но если вы при-

мае во внимание мою ~~ф~~ 35 летнюю

общественно-литературную работу, мое семей-

ное положение и кое какие другие обсто-

ятельства, то ~~не~~ ^{не} найдете ли возможности

оказать мне какое либо содействие.

21. II - 377.

М. С. Джавахири-ви

